სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება

თბილისი
2006

American Academy Studies in Global Security

Carl Kaysen, John Steinbruner, and Martin B. Malin, editors

Robert Legvold, ed. *Thinking Strategically: The Major Powers, Kazakhstan, and the Central Asian Nexus*

Robert Legvold and Celeste A. Wallander, eds., *Swords and Sustenance: The Economics of Security in Belarus and Ukraine*

Steven E. Miller and Dmitri V. Trenin, eds., *The Russian Military: Power and Policy*

Bruno Coppieters and Robert Legvold, eds., *Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution*

Исследования Американской академии по проблемам глобальной безопасности

Редакторы Карл Кейзен, Джон Стейнбрюнер и Мартин Б. Мейлин

Стратегические перспективы: ведущие державы, Казахстан и центральноазиатский узел
Под редакцией Роберта Легволда

Мечи и орала: экономика национальной безопасности Беларуси и Украины
Под редакцией Роберта Легволда и Селесты А. Уолландер

Государственность и безопасность: Грузия после "революции роз"
Под редакцией Бруно Коппитерса и Роберта Легволда

გლობალური უსაფრთხოების პრობლემების ამერიკული აკადემიის გამოკვლევების წიგნების სერია გამოიცა ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემიის მიერ და გამოუშვა მასაჩუსეტსის ტექნოლოგიურმა ინსტიტუტმა. წიგნის რუსული თარგმანი შეგიძლიათ ნახოთ ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემიის ვებ გვერდზე: http://www.amacad.org/publications/books.aspx . წიგნის ქართული თარგმანი გამოიცა მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტის მიერ.

ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემიის მისამართი:

136 Irving Street
Cambridge, MA 02138-1996
ტელ.: (617) 576-5000
ფაქსი: (617) 576 5050
ელექტრონული ფოსტა: ciss@amacad.org
ვებ გვერდი: www.amacad.org

სახელმწიფოებრიობა და უსაფრთხოება: საქართველო "ვარდების რევოლუციის" შემდეგ

ბრუნო კოპიტერსის და რობერტ ლეგვოლდის რედაქციით

ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია
კემბრიჯი, მასაჩუსეტსი

მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი
თბილისი, საქართველო

თავდაპირველად გამოიცა MIT Press-ის მიერ შემდეგი სათაურით: “Statehood and Security: Georgia after the Rose Revolution” (“სახელმწიფოებრიობა და უშიშროება: საქართველო ვარდების რევოლუციის შემდეგ”).

© ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია, 2005
კემბრიჯი, მასაჩუსეტსის შტატი

© ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია, 2006
კემბრიჯი, მასაჩუსეტსის შტატი

ყველა უფლება დაცულია. რა ფორმითაც უნდა იყოს ელექტრონული თუ მექანიკური საშუალებების დახმარებით, ფოტოასლების დამზადებით, ჩაწერითა თუ ინფორმაციის მოძიებისა და შენახვის ჩათვლით — გამომცემლის წერილობითი თანხმობის გარეშე. მოცემული წიგნის რომელიმე ნაწილის გამოყენება არ შეიძლება.

ამ წიგნში გამოთქმული აზრები ეკუთვნით სტატიების ავტორებს და აუცილებლად არ ასახავენ ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემიის თანამდებობის პირებისა და მეცნიერ მუშაკების პოზიციებს.

ISBN 99928-37-05-5

სარჩევი

წინასიტყვაობა vi

შესავალი
პრობლემის დასმა
რობერტ ლეგვოლდი 1

თავი 1
საქართველო: მოწყვლადობის განზომილებები
გია ნოდია 53

თავი 2
1989-1993 წლები. სიძნელეების ხანა საქართველოს ისტორიაში
ქრისტოფ ციურხერი 110

თავი 3
საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო რეფორმა
დავით დარჩიაშვილი 155

თავი 4
საქართველო და რუსეთი: რთული გზა ურთიერთგაგებისაკენ
ჯაბა დევდარიანი 203

თავი 5
გაყინული გაურკვევლობა:
რუსეთი და კონფლიქტი აფხაზეთის ირგვლივ
ოქსანა ანტონენკო 270

თავი 6
საქართველოს უსაფრთხოება და დასავლეთის როლი
დამიენ ელი და გიორგი გოგია 356

თავი 7
საქართველო და მისი შორეული მეზობლები
თომას დე ვაალი 403

დასკვნა
საქართველოს უსაფრთხოების მოდელი "ცენტრი-პერიფერია"
ბრუნო კოპიტერსი 445

ავტორთა შესახებ 509

საძიებელი 514

წინასიტყვაობა

ამ მონოგრაფიაში გაანალიზებულია უსაფრთხოების პრობლემა, რომლის წინაშეც დგას საქართველო და კავკასიის რეგიონი. აგრეთვე აღწერილია საქართველოს სუსტი სახელმწიფო, რომელიც მოუცავს შიდა კონფლიქტებს, ხოლო რეგიონებში აღზევებულ ძალადობას ვეღარ აკავებს ქვეყნის საზღვრები. ავტორთა აზრით, საქართველოს შიდა და გარე პრობლემები ქმნის ისეთ დილემას უსაფრთხოების თვალსაზრისით, რომელიც გამოიარეს ყველაზე უფრო სახიფათო მდგომარეობაში მყოფმა ქვეყნებმა. წიგნში მოცემულია მსჯელობა იმის შესახებ, თუ რა შეუძლიათ გააკეთონ, ან რა უნდა გააკეთონ საქართველომ, რუსეთმა, გარემომცველმა რეგიონებმა და დასავლეთის ქვეყნებმა იმისათვის, რომ დაცული იყოს საქართველოს ახალაღმოცენებული დემოკრატია და გაძლიერდეს საერთაშორისო უსაფრთხოება.

წიგნი წარმოადგენს ყოფილ საბჭოთა კავშირში უსაფრთხოების პრობლემებზე გამოქვეყნებული ოთხტომეულის ბოლო ტომის თარგმანს. თითოეული ამ ტომთაგანი ეხება ამ პრობლემის გამოვლენას რომელიმე ერთ რეგიონში. ამ სერიის პირველი ტომი ეძღვნებოდა ცენტრალურ აზიას: "სტრატეგიული აზროვნება: მთავარი ძალები, ყაზახეთი და ცენტრალური აზიის კავშირები" ("Thinking Strategically: The Major Powers, Kazakhstan, and the Central Asian Nexus") გამოქვეყნდა 2003 წელს. 2004 წელს მას მოჰყვა შემდეგი ორი ტომი, რომელთაგან ერთი ეძღვნებოდა იმ ეკონომიკურ ფაქტორებს, რომლებიც განსაზღვრავს ეროვნული უსაფრთხოების დღის წესრიგს: "ხმალი და საკვები: უსაფრთხოების ეკონომიკა ბელორუსიასა და უკრაინაში" ("Swords and Sustenance: The Economics of Security in Belarus and Ukraine"), ხოლო მეორე რუსეთის სამხედროებს: "რუსეთის შეიარაღებული ძალები: ძალა და პოლიტიკა" ("The Russian Military: Power and Policy"). სერიის თითოეული ტომი გამოიცა ინგლისურ ენაზე მასაჩუსეტსის ტექნოლოგიური ინსტიტუტის გამომცემლობის მიერ და ოთხივე ტომი ითარგმნა რუსულ ენაზე. ამ გამოცემების ელექტრონული ვერსიები გამოქვეყნებულია აკადემიის ვებსაიტზე შემდეგ მისამართზე: http://www.amacad.org/projects/postsoviet.aspx.

ეს სერია გამოიცა ამერიკის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიასთან არსებული საერთაშორისო უსაფრთხოების პრობ-ლემების შესწავლის კომიტეტის ეგიდით. ამ მონოგრაფიის და მისი სამი წინამორბედის გამოცემა ვერ მოხერხდებოდა პროექტის მთავარი სპონსორის, ნიუ იორკის კარნეგის კორპორაციის მხარდაჭერის გარეშე. საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების სფეროში პროგრამის ხელმძღვანელი დიანა არსენიანი წარმოადგენდა პროექტის განსაკუთრებით ყურადღებიან, გულისხმიერ და კვალი-ფიციურ მრჩეველს. პროექტზე მუშაობა მიმდინარეობდა ამერიკის მეცნიერებისა და ხელოვნების აკადემიის საერთაშორისო უსაფრთ-ხოების საკითხების შესწავლის კომიტეტში. ეს, რა თქმა უნდა, ძალზე მნიშვნელოვანი გარემოება იყო, მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვ-ნელოვანი იყო ის დიდი დახმარება, რომელიც გაგვიწიეს კომიტეტის თანამშრომლებმა. პროგრამის დირექტორი მარტინ მალინი ისეთივე გულისხმიერებით და კეთილგანწყობით ხელმძღვანელობდა ამ ტომის გამოცემას, როგორც პროექტის სხვა დანარჩენ ტომებს. მარტინის ორი კოლეგა, ლეი ნოლანი და შემდეგ, მისი შემცვლელი ჰელენ კური კოორდინაციას უწევდნენ ჩვენს საქმიანობას და იაზრებდნენ სამუშაოს ყოველ წვრილმანს. აგრეთვე, გვინდა მადლიერება გამოვხატოთ აკადემიის აღმასრულებელი ოფიცრის ლესლი ბერ-ლოვიცის მიმართ პროექტისადმი დიდი ინტერესისა და მხარდა-ჭერისათვის. პროექტის დასაწყისიდან დასასრულამდე მხარში გვედგნენ კომიტეტის თანათავმჯდომარეები კარლ კეისენი და ჯონ სტეინბრუნერი, რომელთა ერუდიციამ და თანადგომამ მათ სახე-ლებთან ერთად ბევრი რამ შემატა პროექტს.

ამ წიგნის თარგმნა შესაძლებელი გახდა კოლუმბიის უნივერსიტეტის ჰარიმანის ინსტიტუტის, ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტისა და ევრაზიის ფონდის გრანტის საშუალებით. ჩვენ განსაკუთრებით მადლიერნი ვართ ევრაზიის ფონდის თანამშრომლების, ჯული გიორ-გაძისა და ანა ჯობავას მიმართ მათ მიერ გაწეული დახმარებისათვის. აგრეთვე გვინდა გამოვხატოთ მადლიერება ნინო დადალაურის, ნანა ჯანაშიას, ლალი გაბუნიას, ლელა ნანუაშვილის, ეფემია ლორიას და ნათია ნემსაძის მიმართ, რომელთაც თარგმნეს დასავლელ ავტორთა მონოგრაფიების თავები, აგრეთვე ალექსანდრე კუხიანიძის მიმართ, რომელმაც იზრუნა ქართული ტომის გამოცემაზე.

უაღრესად მადლიერნი ვართ ჩვენი ავტორების მიმართ, რომელთა მიერ გაწეული სამუშაოც შეადგენს ამ წიგნის საფუძველს. მათ არა მხოლოდ გაგვიზიარეს თავიანთი ცოდნა და უნარი, არამედ დიდი მოთმინებით იტანდნენ ჩვენი მხრიდან წაყენებულ დაუსრულებელ მოთხოვნებს. 2004 წლის თებერვალში ავტორთან შეხვედრას ბრუგსში მასპინძლობდა UNU-CRIS - გაერთიანებული ერების უნივერსიტეტის შედარებითი რეგიონული ინტეგრაციის შესწავლის პროგრამა და ჩვენ მადლიერნი ვართ მისი დირექტორების, ლუკ ვან ლანგენჰოვის და პასკალ ვანტორეს მიმართ, რომელთაც შემოგვთავაზეს ასეთი სასიამოვნო გარემო. ბრენდა შაფერმა და ოქსანა ანტონენკომ მოამზადეს კომენტარები ამ შეხვედრაზე წარმოდგენილი თავების შესახებ, შემდეგ კი პროექტის მონაწილენი გახდნენ და თითოეულ ჩვენგანს დიდად ეხმარებოდა მათი ინტუიცია და მახვილი აზროვნება. ვიაჩესლავ ჩირიკბამ, ჯორჯ ჰიუიტმა და მეგალი როდრიგას გარსიამ წაიკითხეს და შენიშვნები მოამზადეს რამდენიმე თავის შესახებ და ჩვენ მადლიერნი ვართ მათ მიერ გაწეული დახმარებისთვის. ხელნაწერი განსაკუთრებული გულმოდგინებით წაიკითხა ორმა ანონიმურმა რეცენზენტმა და ჩვენ ყველას, პროექტის თითოეულ მონაწილეს დიდად დაგვეხმარა მათი თანმიმდევრული და გონივრული რჩევები. აგრეთვე გვინდა, მადლობა ვუთხრათ ალა რაჩკოვას, რომელმაც დიდი რუდუნებით შეამოწმა წიგნის სქოლიოების სისწორე. და ბოლოს, გვინდა გამოვხატოთ განსაკუთრებული მადლიერება ჯონ გრენანის მიმართ, რომელმაც უდიდესი ოსტატობით შეასრულა წიგნის რედაქტირების სამუშაო. მისი შესწორებები აგრეთვე განსაკუთრებით სასარგებლო იყო რუსული და ქართული თარგმანებისათვის.

ბრუნო კოპიტერსი
რობერტ ლეგვოლდი
2006 წლის იანვარი

რუკა 1. საქართველოს ადმინისტრაციული რუკა

Map courtesy of the International Crisis Group (www.crisisgroup.org).

x

რუკა 2 . საქართველოში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიის რუკა

Map courtesy of the United Nations.
UNOMIG, no. 3837 Rev. 43E, January 2005, The United Nations Cartographic Section,
http://www.un.org/Depts/Cartographic/english/htmain.htm.

პრობლემის დასმა

რობერტ ლეგვოლდი

ცნობილია, რომ რუსეთს პრობლემური მეზობლები ჰყავს. არსებობს იმისი საშიშროება, რომ მისი მოსაზღვრე სუსტი და არასტაბილური სახელმწიფოები რუსეთის ტერიტორიაზე ან საკუთარ პრობლემებს გადაიტანენ, ან ავღანეთში, ირანში, ერაყსა და ახლო აღმოსავლეთში აღმოცენებულ საფრთხეს. სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებიც არანაკლებ შემაშფოთებელ გარემოცვაში ცხოვრობენ, რომლის დიდ ნაწილზეც რუსეთი მდებარეობს. პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებიდან არც ერთს არა აქვს უსაფრთხო გარემო. გამონაკლისს ამჟამად უკვე ევროკავშირის დაცვის ქვეშ მყოფი ბალტიისპირეთის სამი რესპუბლიკა წარმოადგენს. მაგრამ საფრთხე არა მხოლოდ ქვეყნის საზღვრებზე, არამედ ხშირად თვით ამ ქვეყნების შიგნითაც აღმოცენდება ხოლმე. ეს ქვეყნები არასტაბილურია, მათი ეკონომიკა ვარდნას განიცდის, მათ აქვთ სხვა სერიოზული პრობლემებიც, რომლებიც საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე მათი სახელმწიფოებრიობის აღდგენას უკავშირდება; ბევრ ამ ქვეყანაში ფეთქებადი შიდა კონფლიქტები ღვივის, ხოლო ოთხ ქვეყანაში მეამბოხე რეგიონები თავს ამ სახელმწიფოების ნაწილად არ ცნობენ.

ზემოხსენებული მხოლოდ რამდენიმე პოსტსაბჭოურ ქვეყანას რომ ეხებოდეს, ეს ასე ძლიერ არ შეაშფოთებდა მსოფლიო საზოგადოებრიობას. მაგრამ ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ნაწილში — შუა აზიაში, კავკასიასა და "ახალ შიდა მიწებზე" (ბელორუსი, მოლდოვა და უკრაინა) — განლაგებული ამ ქვეყნებიდან არც ერთი არ არის დაზღვეული შიდა გარდაქმნებით გამოწვეული საფრთხის, შესაძლო სამოქალაქო კონფლიქტებისა და რეგიონალური ძალა-

დობისაგან.[1] ამას გარდა, ერთ-ერთი ქვერეგიონი ან ყველა მათგანი (უფრო სწორად, მთელი პოსტსაბჭოური სივრცე, როგორც ასეთი) საერთაშორისო სისტემის პერიფერიაზე რომ იყოს განლაგებული, სხვა ქვეყნები, მათ შორის ზესახელმწიფოებიც, თავს უფლებას მისცემ-დნენ, ყურადღება არ მიექციათ ამ პრობლემების გადაჭრის წარუ-მატებელი მცდელობებისათვის. მაგრამ პოსტსაბჭოთა სივრცე წარმოადგენს თანამედროვე საერთაშორისო სისტემის ორი ყველაზე მნიშვნელოვანი სტრატეგიული რეგიონის — აღმოსავლეთ აზიისა და ევროპის შიდა ნაწილს და მუსულმანური სამხრეთიდან წამოსული საშიშროების წყაროს. და ბოლოს, პოსტსაბჭოთა სივრცეში განლა-გებული ყველა ეს ქვერეგიონი, ასე თუ ისე, ექცევა მსოფლიოში არსებული უდიდესი არასტაბილურობის ამა თუ იმ ზონების გავლენის სფეროში.

ამრიგად, საერთაშორისო თანამეგობრობის უდიდესი ნაწილისა და მისი წამყვანი სახელმწიფოებისათვის პრობლემას წარმოადგენს (ეს ყოველთვის ასე იყო) არა რუსეთი, როგორც ასეთი, არამედ რუსეთი თავისი გეოგრაფიული კონტექსტის გათვალისწინებით. მაგრამ მთლიანად არც ამით აიხსნება ქვეყნის ამ ნაწილში არსებული სიტუაცია. ყოველი ქვერეგიონი შეიძლება არეულობის წყარო გახდეს და საფრთხე შეუქმნას მომიჯნავე რეგიონებს ან მათ სტაბილურობას. ყველა რეგიონში შეიმჩნევა ლიბერალიზმის წინააღმდეგ მიმართული ფარული შიდა პოლიტიკური ტენდენციები, რომლებიც დასავლეთს იმედს უკარგავს, რომ პოსტსაბჭოური ქვეყნები შემდგომი დემო-კრატიული ტალღის ადგილი გახდება. ყველა ეს ქვერეგიონი იქცა ნარკოტიკების, იარაღისა და კონტრაბანდული საქონლის დერეფნად, სადაც ადამიანებით ვაჭრობასაც აქვს ადგილი; შესაძლოა, მომავალში ამ დერეფნებით მასობრივი განადგურების იარაღის დასამზადებელი ელემენტების გადატანაც გახდეს შესაძლებელი.

არც ერთ ქვერეგიონში არ ხდება ამ საფრთხეების ისეთი აშკარა დემონსტრირება, როგორც კავკასიაში; არც ერთი ქვეყანა ისე არ არის

[1] ბელორუსთან, უკრაინასა და მოლდოვასთან მიმართებით ტერმინი “შიდა მიწები” მოცემულია ნაშრომში: Robert Legvold and Celeste A. Wallander, eds. *Swords and Sustenance: The Economics of National Security in Belarus and Ukraine* (Cambridge, MA: The MIT Press, 2004).

შეწუხებული ამ საფრთხით, როგორც საქართველო. გარდა ამისა, საქართველოს ამ საფრთხის განსაზღვრაში გაცილებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია, ვიდრე ქვერეგიონის სხვა ქვეყნებს. სწორედ ეს არის ამ წიგნის დაწერის მიზეზი.

დამოუკიდებელი საქართველოს არსებობის მთელი ისტორიის მანძილზე ქვეყნის მშვიდობა და კეთილდღეობა ყოველთვის საფრთხის წინაშე იდგა. სეპარატისტებთან არსებული კონფლიქტები ხშირად ძალის გამოყენებამდეც მიდიოდა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მუდმივი პრობლემები პირდაპირ ეხება ეროვნულ უსაფრთხოებას და საშიშროებას უქმნის სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობას. სიტუაცია იმანაც გაართულა, რომ ქართული სახელმწიფოს პირველი ლიდერები მერყევი ნაბიჯებით უძღოდნენ ქვეყანას საბჭოთა წარსულიდან უფრო თანამედროვე პოლიტიკური და ეკონომიკური წყობისაკენ, რის შედეგადაც ქვეყანა ძალზე სუსტი და მოუმზადებელი აღმოჩნდა უსაფრთხოების სფეროში მის წინ წამოჭრილი პრობლემების წინაშე. საქართველოს შიდა პრობლემებს მის საზღვრებზე არსებული არასტაბილურობაც ემატება: სამხრეთით, სომხეთი და აზერბაიჯანი, ფაქტობრივად, საომარ მდგომარეობაში იმყოფებიან ერთმანეთთან მთიანი ყარაბაღის გადაუჭრელი პრობლემის გამო; ჩრდილოეთით, ჩეჩნეთში მეამბოხეთა მუდმივი მოქმედებებით რუსეთი, რომელსაც თბილისი ისედაც აგრესიულად და არაკეთილგანწყობილად მიიჩნევს, სულ უფრო გაღიზიანებული და ზედმეტად თვითდაჯერებული ხდება.

ყველა ეს ფაქტორი უაღრესად რთულ და ძნელად გადასაწყვეტ პრობლემებს უქმნის საქართველოს ახალ მთავრობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ერთ წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც აშკარად გაყალბებული არჩევნების შემდეგ პოლიტიკური ოპოზიცია ქუჩაში გამოვიდა და ედუარდ შევარდნაძის მთავრობა ხელისუფლებას ჩამოაშორა. 2003 წლის ნოემბრის "ვარდების რევოლუციისა" და მას შემდეგ ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში ახალი ლიდერები მოვიდნენ, რომლებმაც მართვის წარსულ გამოცდილებაზე უარი თქვეს და სრულიად ახალი გეზი აიღეს. ქვეყნის ახალი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი და მისი მთავარი პარტნიორები, ყოფილი პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია და პარლამენტის თავმჯდომარე ნინო ბურჯანაძე უმალვე შეუდგნენ

სახელმწიფოს გაჯანსაღებას, აღმასრულებელი ხელისუფლების გაძლიერებას, მთავრობაში არსებულ კორუფციასთან ბრძოლას, კრიმინალური ქსელების საქმიანობის აღკვეთას, ურჩ პროვინციაში — აჭარაში – ცენტრალური მმართველობის აღდგენას, ხალხის ნდობით აღჭურვილი შინაგან საქმეთა სამინისტროს შექმნასა და გადასახადების აკრეფას, რაც ასე სჭირდებოდა სახელმწიფოს.

მაგრამ ახალი მთავრობა ამ ამოცანების გადასაჭრელად ისეთ მეთოდებს იყენებდა, რომლებსაც ამ წიგნის ერთ-ერთი ავტორი "გახანგრძლივებულ რევოლუციურ სინდრომს" უწოდებს; მთავრობის მიერ გამოიყენებოდა ისეთი ტაქტიკა, რომელმაც "ვარდების რევოლუციის" წლისთავზე სამოქალაქო საზოგადოების ლიდერები, რომელთა უმრავლესობაც თავიდან მხარს უჭერდა ახალ ხელისუფლებას, დააფიქრა იმაზე, თუ რამდენად იქნებოდა მისაღები ახალი მთავრობისათვის ღია და პლურალისტული საზოგადოება.[2] მეტიც, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში პროგრესის მისაღწევად, 2004 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში ახალი ლიდერები მთელი რიგი ნაჩქარევი ინიციატივებით გამოვიდნენ: ამ ინიციატივებმა გამოიწვია კონფლიქტების ხელახალი გაღვივება, რუსეთთან ურთიერთობების გაუარესება და დასავლეთის ზოგადად კეთილგანწყობილი სახელმწიფოების წყრომა. "ვარდების რევოლუციიდან" ერთი წლის შემდეგ ერთი საკითხი კვლავ ღიად რჩებოდა: რა იმედისმომცემიც არ უნდა იყოს ახალი მთავრობის განზრახვა და პირველი ნაბიჯები, მაინც რჩება უპასუხო კითხვები: შესწევს თუ არა მთავრობას ძალა, გადაწყვიტოს სახელმწიფოს წინაშე მდგარი ურთულესი პრობლემები? შეძლებს თუ არა იგი სახელმწიფოსათვის ესოდენ მნიშვნელოვანი უსაფრთხოების მოპოვებას?

როგორც ჩანს, გარე ძალები საღად ვერ აფასებენ თავიანთ როლს საქართველოს განვითარებაში (ეს რუსეთს ეხება) ან არ შეუძლიათ, ეს როლი უფრო მნიშვნელოვანი გახადონ (აქ იგულისხმება ევროპელები და ამერიკელები). ქართული მხარისათვის კი მისი სისუსტე კონცეპტუალურია: გაურკვეველია, თუ როგორ უნდა იყოს განხი-

[2] ეს მოსაზრება ეკუთვნის გია ნოდიას და მოცემულია ჯაბა დევდარიანის სტატიაში: "Georgia's Rose Revolution Grapples with Dilemma: Do Ends Justify Means?" *Eurasia Insight, 26 October, 2004 წ.)*

ლული საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა სხვადასხვა ასპექტში ისე, რომ გათვალისწინებული იყოს მისი რთული ურთიერთკავშირები. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციაზე საკმაოდ ცოტა აზრია გამოთქმული, ყოველ შემთხვევაში, ოფიციალურ წრეებში, თუმცა საუბარი ყოფილა ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა: დამარცხების შინაგანი განცდა, ეთნიკურ ნიადაგზე აღმოცენებული რეგიონალური კონფლიქტებით გამოწვეული საფრთხე, წინა მთავრობების უუნარობა ქვეყნის პრობლემების გადასაწყვეტად, მუქარა რუსეთის მხრიდან (ყველა ეს ფაქტორი საკმაოდ რეალურია). 2000 წლის ბოლოს ედუარდ შევარდნაძის მთავრობამ მოამზადა ოფიციალური დოკუმენტი სათაურით "საქართველო და მსოფლიო: სამომავლო ხედვა და სტრატეგია", რაც წარმოადგენდა საერთაშორისო ურთიერთობებისა და უსაფრთხოების შესახებ საქართველოს შეხედულების ჩამოყალიბების მცდელობას. მაგრამ რთული კონცეპტუალური საკითხების გადაწყვეტის მაგივრად დოკუმენტის ავტორები ზოგადი საბაზისო პრინციპებისა და სამომავლო სურვილების ფორმულირებით შემოიფარგლნენ, განსაკუთრებით ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან საქართველოს ურთიერთობის სფეროში. დავით დარჩიაშვილი მის მიერ დაწერილ ნაწილში აღნიშნავს, რომ მიხეილ სააკაშვილის მთავრობამ სამხედრო რეფორმას ახალი იმპულსი შემატა და 2005 წლის გაზაფხულისათვის იგი მზად იყო, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია პარლამენტისთვისაც გაეცნო და ფართო საჯარო განხილვაზეც გამოეტანა. მომავალი გვიჩვენებს, შეძლეს თუ არა ავტორებმა ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეთა სირთულის აღქმა და მის დასაძლევად რეალისტური, სისტემური და კონკრეტული გზების დასახვა.

წინამდებარე ნაშრომის შექმნის მეორე მიზეზი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემატიკის განხილვის სურვილია. ავტორები ეცადნენ, უფრო ნათლად განესაზღვრათ საქართველოს წინაშე მდგარი საფრთხის მთავარი ფაქტორები და მათი რთული ურთიერთქმედება. საქართველოს უსაფრთხოების პრობლემას ხშირად განიხილავენ, როგორც მრავალშრიან საკითხს, რომელშიც შედის სეპარატიზმის საშიშროება, სახელმწიფო ინსტიტუტების ნგრევა და რუსეთის ინტრიგები. ბევრი აღნიშნავდა, მაგრამ ხმამაღლა არ ამბობდა, რომ არსებობდა კავშირი საქართველოს შიდა სისუსტესა

და რეგიონის არასტაბილურობას შორისაც. მაგრამ თუ მხოლოდ უსაფრთხოების პრობლემის სხვადასხვა ასპექტების ჩამოთვლით შემოვიფარგლებით, არ განვიხილავთ მათი ურთიერთგავლენის ფაქტორებს და არ შევისწავლით უშუალო ურთიერთკავშირს არასტაბილურობის შიდა და გარე ფაქტორებს შორის, მაშინ რთული იქნება ეროვნული უსაფრთხოების ისეთი კონცეფციის შემუშავება, რომელიც საშუალებას მოგვცემს, სრულად შევაფასოთ პრობლემის სირთულე. მეორე, და უფრო მთავარი, ისაა, რომ როდესაც საუბარი ჩამოვარდება მსოფლიოსათვის საქართველოსა და მისი უსაფრთხოების პრობლემების მნიშვნელობის შეფასებაზე, ვაშინგტონის, ბრიუსელისა და, ალბათ, მოსკოვის პოლიტიკოსები ვერ განიხილავენ საქართველოს პრობლემებს უფრო ფართო რეგიონალურ კონტექსტში. ამის გამო ისინი ჯეროვნად ვერ აფასებენ თავიანთ როლს და არასწორად ესმით საკუთარი ინტერესები საქართველოს წინაშე მდგარი პრობლემების საბოლოო გადაწყვეტაში. ის ფაქტი, რომ ისინი ყურადღებით აკვირდებიან საქართველოში განვითარებულ მოვლენებს, რადგანაც ამ რეგიონში თავიანთი ინტერესები გააჩნიათ, არ ნიშნავს იმის გაგებას, თუ როგორ ურთიერთქმედებენ რეგიონში მოქმედი ძალები. ასევე მათი გულწრფელი, მაგრამ ზოგადი სურვილები, რომ სააკაშვილის ახალმა მთავრობამ დემოკრატიისა და ევროპასთან დაახლოების კურსით იაროს, არ არის იმის გარანტია, რომ ისინი გაატარებენ იმ ჩახლართული შიდა და გარე რეალობის შესაბამის პოლიტიკას, რომელშიც საქართველო იმყოფება.

ასე რომ, წინამდებარე ნაშრომში სამი ამოცანა დავსახეთ: პირველი, გვსურდა, გვეჩვენებინა საქართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პრობლემები, რომლებიც წარმოიშვება მრავალი შიდა და გარე ფაქტორით და განგვეხილა მათი ურთიერთგადაკვეთის გზები და ურთიერთზეგავლენა. მეორე, გვინდოდა აგვეხსნა, თუ რატომ უნდა იყოს ამ ქვეყნის წინაშე არსებული პრობლემები მნიშვნელოვანი არა მარტო საქართველოსა და მისი უშუალო მეზობლებისათვის; რატომ უნდა აღიქვან სერიოზულად ეს პრობლემები დასავლეთის წამყვანმა ქვეყნებმა და მათთან დაკავშირებულმა დაწესებულებებმა; რატომ არის საჭირო ამ პრობლემების გადასაწყვეტად უფრო მეტი რამ, ვიდრე მატერიალური დახმარება, რომელიც ახლანდელი ურთიერთობების ბირთვს წარმოადგენს. მესამე, გვინდოდა, გაგვეგო, თუ რა უნდა

გააკეთონ ამ პრობლემების გადასაჭრელად ქართველებმა, მათმა უშუალო მეზობლებმა და, საბოლოო ჯამში, მთელმა დასავლურმა სამყარომ. მოკლედ რომ ვთქვათ, გვსურდა, გაგვერკვია, თუ როგორ უნდა გამოასწორონ არსებული სიტუაცია ქართველებმა, რუსებმა, ევროპელებმა და ამერიკელებმა – ამის შედეგად გაძლიერდებოდა თითოეული ზემოჩამოთვლილი ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოება, რაც, თავის მხრივ, უზრუნველყოფდა ურთიერთუსაფრთხოებასაც; და ბოლოს, რა რეალური პოლიტიკური ნაბიჯების გადადგმა შეიძლება ამ მიმართულებით.

პრობლემის არსი

რუსეთისა და ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოსათვის, გამონაკლისს, ალბათ, ბალტიისპირეთის ქვეყნები წარმოადგენს, უსაფრთხოება საკუთარი სახლიდან იწყება — ეს ქვეყნები სერიოზულად წუხან იმის გამო, რომ, მიუხედავად მათი ძალისხმევისა, საბჭოთა კავშირის დაცემის შემდეგ ძველი თუ ახალი ღირებულებები პოლიტიკურ-ეკონომიკურ სისტემებად ჩამოაყალიბონ, შედეგები გაურკვეველი და ბუნდოვანია. საქართველოს ლიდერებს დიდი იმედი აქვთ თავიანთი ქვეყნის გარდაქმნის, მაგრამ სანამ ისინი ურთულეს ამოცანებს განახორციელებენ, ქვეყანა შეიძლება მთლიანობის დაკარგვის საფრთხის წინაშე აღმოჩნდეს. აქედან გამომდინარე, მათთვის უსაფრთხოება უფრო რეალური ამოცანის გადაწყვეტით იწყება – ეს არის ქვეყნის ტერიტორიული უსაფრთხოების შენარჩუნება ან, თუნდაც, ცენტრალური ხელისუფლების აღდგენა იმ ფართო ტერიტორიებზე, სადაც ამჟამად ეს ხელისუფლება არ ვრცელდება.

მაგრამ ზემონახსენები მიზნის შესრულება მხოლოდ პირველი ეტაპია საქართველოში უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. ქართველებს, ვისაც კარგად აქვთ გაცნობიერებული ამ პრობლემის სერიოზულობა, აწუხებთ არა მხოლოდ სეპარატიზმის საშიშროება, არამედ ისიც, თუ რამდენად ეყოფა ქართულ სახელმწიფოსა და საზოგადოებას ამ საშიშროებასთან გამკლავების ნება და უნარი. მათ აღელვებთ, რომ ინსტიტუტები, მათ შორის, ისეთებიც, რომლებიც სპეციალურად უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად შეიქმნა,

ნათესავების, კლანებისა და "განსაკუთრებული ინტერესების მქონე ჯგუფების" ზეგავლენის ქვეშ იმყოფება და იმდენად სუსტი და კორუმპირებულია, რომ ვერ შეძლებენ ქვეყნისა და მისი მოქალაქეების დაცვას. ქართველები უკვე იმ აზრსაც უშვებენ, რომ პრობლემის მიზეზი, შესაძლოა, თვითონვე იყვნენ: ის, რასაც ქართველების ეროვნული თვითშეგნება ჰქვია, უფრო ფართო საზოგადოებრიობის რღვევის შედეგი შეიძლება იყოს. აქედან ნათელი ხდება, თუ რატომ იყო "ვარდების რევოლუცია" ასეთი მნიშვნელოვანი – იგი იყო ქართველების იმედი, რომ ქვეყანა თავს დააღწევს ამ მარწუხებს და შეაჩერებს ვარდნას.

რაოდენ სერიოზულიც არ უნდა ყოფილიყო საქართველოს არასტაბილურობის შიდა მიზეზები, ხელსაყრელი გარემოცვის შემთხვევაში პრობლემა გაცილებით მარტივი (თუმცა არა იოლი) იქნებოდა. მაგრამ საქართველოს მეზობლები მას მხოლოდ პრობლემებს უქმნიან. ქვეყანას აშკარად თუ ფარულად ემუქრება გარედან მომავალი საფრთხე. საქართველოს შიგნით არსებული არარეგიონალური კონფლიქტები ქვეყნის ყოფას ართულებს, ხოლო რეგიონალური — მეზობლებთან ურთიერთობას განსაზღვრავს. სამხრეთ კავკასიაში დიალოგისა და, მეტიც, საქმიანი და ეკონომიკური ურთიერთობების არარსებობის გამო საქართველოს არა აქვს მისი მეზობლების მხარდაჭერა და, რაც მთავარია, არა აქვს საშუალება, კონცენტრირება მოახდინოს საკუთარ პრობლემებზე. ეს იწვევს კონფლიქტების ერთი ტერიტორიიდან მეორეზე გავრცელების საშიშროებას, მეზობლებს შორის კი, რომელთაც უწევთ დაპირისპირებულ მხარეთა შორის არჩევანის გაკეთება — დაძაბულობას. კერძოდ, ჩეჩნეთში არსებული ძალადობის გამო რუსეთი უფრო აგრესიულია და დაუნდობელი სხვა მეზობლების მიმართაც. თუმცა ჩეჩნეთში რომ მშვიდობა ყოფილიყო და არც ჩრდილოეთ კავკასიის დანარჩენი ნაწილიდან წამოსულიყო საფრთხე, საქართველო რუსეთის ხელს მაინც იგრძნობდა, რადგან მოსკოვი ძალიან ნელა და მტკივნეულად ეგუება თავისი კონტროლის დაკარგვას რეგიონზე, რომელიც ორი საუკუნის განმავლობაში მის სტრატეგიულ პლაცდარმს წარმოადგენდა.

ზემოაღწერილი ფაქტორები საქართველოს არასტაბილური მდგომარეობის უშუალო და აშკარა მიზეზებია. პრობლემას უფრო

კარგად რომ დავაკვირდეთ, ვნახავთ, რომ ისტორიულმა და გეოგრაფიულმა გარემოებებმა თავიდანვე განსაზღვრა ის დაბრკოლებები, რომელიც საქართველოს უსაფრთხოების სფეროში ექნებოდა. საქართველო შავი ზღვის აუზის რეგიონში მდებარეობს; ამ რეგიონის ქვეყნების ბედი საუკუნეების მანძილზე, ჯერ კიდევ ბერძნებისა და სკვითების დროიდან დაწყებული, იმპერიათა აღმოცენებასა და დაცემაზე იყო დამოკიდებული, იქნებოდა ეს რომის, ბიზანტიის, სპარსეთისა თუ თურქეთის იმპერიები. ხშირად კი რეგიონის ბედს ამ იმპერიების ურთიერთდაპირისპირებაც განსაზღვრავდა, მაგალითად: სპარსეთ-თურქეთის დაპირისპირება XVI-XVIII საუკუნეებში, რუსეთ-თურქეთისა — XIX საუკუნეში. დროთა განმავლობაში მომცრო სახელმწიფოებს ან დიდი იმპერიები შთანთქავდნენ, ან, რაც კავკასიის შემთხვევაში მოხდა, ისინი ბუფერულ ზონებად გარდაიქმნებოდნენ (რომსა და პართიას, ბიზანტიასა და არაბეთს, სპარსეთსა და რუსეთის იმპერიას შორის).[3] საქართველო დამოუკიდებელი სახელმწიფო მხოლოდ ერთი საუკუნის განმავლობაში გახლდათ – ბაგრატოვანთა დინასტიის "ოქროს ხანაში", რომელიც 1122 წელს თბილისის სელჯუკებისაგან გათავისუფლებით დაიწყო და 1220 წელს საქართველოში მონღოლების შეჭრით დამთავრდა. ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში ქვეყანა რუსეთის, შემდეგ კი საბჭოთა იმპერიის შემადგენლობაში იმყოფებოდა. შედარებითი თავისუფლების პერიოდებში საქართველოს მწირი არჩევანი ჰქონდა: მას ან დამცველი უნდა მოეძებნა და დამოუკიდებლობა დაეკარგა (როგორც ეს XVIII საუკუნის ბოლოს მოხდა, როდესაც ერეკლე II რუსეთს მიმართა), ან თვითონ ქვეყანა უნდა დაშლილიყო (XV საუკუნეში, ალექსანდრე I შვილების დროს) ან გაყოფილიყო (როგორც XVI საუკუნეში, თურქეთის მმართველობის დროს).

დღეს, როდესაც საქართველომ კვლავ მოიპოვა დამოუკიდებლობა, იგი სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდება, რაც ჩვეულებრივი ამბავია იმ პატარა ქვეყნებისათვის, რომლებიც უზარმაზარი და ნაკლებად კეთილგანწყობილი მეზობლის გვერდიგვერდ ცხოვრობენ, "განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ისტორიულ მეხსიერებას

[3] მწყობრად ჩამოყალიბებული ეს ისტორიული თეორია იხილეთ: Charles King, *The Black Sea: A. History* (New York: Oxfors University Press, 2004)

ორ ქვეყანას შორის კონფლიქტამდე მივყავართ", – აღნიშნავს ჯაბა დევდარიანი ამ წიგნის ერთ-ერთ თავში. საქართველო ახალ ეპოქაში სანდო მოკავშირეებისა და კავშირების გარეშე შედის. თომას დე ვაალი, რომელსაც ეკუთვნის ერთ-ერთი თავი ამ წიგნში, აღნიშნავს, რომ უზარმაზარ, მოქიშპე ქვეყნებს შორის მდებარე საქართველოს თითქმის არასდროს ჰქონია საშუალება, კავკასიელ მეზობლებთან ერთად ერთიანი ფრონტი შეექმნა. კავკასიაში დაქსაქსულობის ხელშემწყობ შეტაკებებსა და უთანხმოებებს დიდი ხნის ისტორია აქვს. თუ დე ვაალის გამოთქმას მოვიშველიებთ, საქართველოს არ შეუძლია, ჰქონდეს "რეგიონალური უსაფრთხოების სანდო სისტემა."

მიუხედავად ისტორიული მემკვიდრეობისა, ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ არ შეიძლება ამ სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა. მთავარია არჩევანი: ის არჩევანი, რომელსაც აკეთებენ საქართველოს ხელმძღვანელები შიდა პრობლემების გადასაწყვეტად, სეპარატისტულ რეგიონებთან ურთიერთობის განსასაზღვრად, რეგიონში თანამშრომლობის გასაძლიერებლად და გარე ძალების პოლიტიკაზე რეაგირებისათვის – დღევანდელი რეალობის გათვალისწინებით. სამწუხაროდ, საქართველოსა და მისი პარტნიორების მიერ დამოუკიდებლობის პერიოდის ბოლო თხუთმეტი წლის განმავლობაში გაკეთებული არჩევანი შორს იყო ოპტიმალურისაგან. როგორც ჩანს, დღემდე ისტორიული წარსულის ინერცია სძალავს თანამედროვე ტენდენციებს. ისევ ღიად რჩება კითხვა, შეძლებს თუ არა სააკაშვილის მთავრობა ამ ტენდენციების გამიჯვნას.

საქართველოს უსაფრთხოების პრობლემა მასშტაბური, დრამატული და კომპლექსური ხასიათისაა, რომელიც ორი ძირითადი ნაწილისაგან შედგება: უსაფრთხოება საქართველოსათვის, პირველ რიგში, მისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ნიშნავს, ხოლო ეს დამოკიდებულია არაუსაფრთხო ქვეყნების გარემოცვაში არსებობის უსიამოვნო რეალობაზე. სახელმწიფოებრიობის სიმყიფე და არასტაბილური გარემოცვა უსაფრთხოების იმ დილემას წარმოშობს, რომელიც უკიდურესად რთულ მდგომარეობაში მყოფი ქვეყნების წინაშე დგას.

იმის მტკიცება, რომ უსაფრთხოება საქართველოსათვის მისი სახელმწიფოებრიობის შენარჩუნებას ნიშნავს, ვერ ასახავს ამ საკითხს მთელი მასშტაბურობითა და სიღრმით. გარეშე დამკვირვებელს (ალბათ, მკითხველიც მიაქცევს ამას ყურადღებას) ყველაზე

მეტად აოცებს, თუ რაოდენ განსაზღვრავს საქართველოს სინამდვილე ქართველების უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ შეხედულებებს. საქმე ის კი არ არის, რომ ქართველ პოლიტიკოსებსა და პოლიტოლოგებს არ ესმით თავდაცვითი პოლიტიკის მნიშვნელობა და ვერ ითვალისწინებენ ამ რეგიონში ძალადობის წარმოშობის საშიშროებას, ან არ ძალუძთ, განჭვრიტონ, თუ რა შეიძლება მოჰყვეს სახელმწიფოთაშორის დაპირისპირებას და რუსეთთან დაურეგულირებელ ურთიერთობას, არამედ საქმე ისაა, რომ ყველა ეს საკითხი აქტუალობას კარგავს, როცა საქმე საქართველოს მომავალს ეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში, რადგან წუხილი სახელმწიფოს უუნარობაზე, აღადგინოს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, ძალიან დიდია.

ქვეყნების უმრავლესობა, მათ შორის, ამერიკის შეერთებული შტატები, რუსეთი და ევროპის სახელმწიფოები, ეროვნული უსაფრთხოების საკითხზე მუშაობისას, პირველ რიგში, მათ წინაშე არსებული საფრთხეების ხასიათსა და ხარისხს აანალიზებენ. საქართველო სრულიად სხვაგვარად იქცევა: იგი საფრთხის თემიდან კი არ იწყებს მუშაობას, არამედ უსაფრთხოების თემიდან – ანუ განსაზღვრავს უსაფრთხოებას, როგორც ასეთს. 1998 წლის ნოემბერში სტრატეგიული კვლევის ცენტრის (თბილისი) მიერ შემოთავაზებული "საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" ავტორები კონცეფციის უმთავრეს საკითხად საქართველოს სახელმწიფოებრიობის არასტაბილურობის განმსაზღვრელ ფაქტორებს მიიჩნევენ.[4] ისინი ამოდიან იმ დებულებიდან, რომ საქართველოში საფრთხე არსებობს, რადგანაც დასუსტებულია მისი სახელმწიფო ინსტიტუტები, საზოგადოებამ დაკარგა საერთო მიზნების არსებობის

[4]*National Security Concept of Georgia* (Tbilisi: Strategic Research Center, November 1998) http://www.src.ge/policy_papers/national_security.html. მიუხედავად იმისა, რომ ნაშრომის ავტორები მითითებულნი არ არიან, ცნობილია, რომ ცენტრის დამფუძნებელთა რიგებში შედიან ფინანსთა ყოფილი მინისტრი დავით იაკობიძე, საგარეო საქმეთა ყოფილი მინისტრი ირაკლი მენაღარიშვილი, ცენტრის აღმასრულებელი დირექტორი ნიკო მელიქაძე და ცენტრის დირექტორი ნათელა სახოკია. აქ ეს ნაშრომი მისი პოლიტიკური შედეგების გამო მომყავს – ჩემი აზრით, მან ძალზე მცირე გავლენა მოახდინა პოლიტიკაზე ან საერთოდაც არ მოუხდენია – როგორც საქართველოს აზროვნების სტილის ნიმუში.

შეგრძნება, ხოლო ერმა ვერ მოძებნა სხვადასხვა ნაციონალური სათვისტომოების გამაერთიანებელი იდეა. მიუხედავად იმისა, რომ ყველა ოფიციალური თუ არაოფიციალური შეხედულება ამგვარად არ არის ჩამოყალიბებული, უმრავლესობა, მეტ-ნაკლებად მაინც, იზიარებს ამ შეხედულებებს.

ზემოხსენებული ცენტრის მიერ შემუშავებული კონცეფციის თანახმად, უსაფრთხოება დამოკიდებულია არა იმდენად იმაზე, აქვს თუ არა საქართველოს უსაფრთხოების სტრატეგიის შემუშავების უნარი, არამედ მის შესაძლებლობაზე, შექმნას განვითარების სტრატეგია. უსაფრთხოებას, როგორც შედეგს, შეგნებული და ნაყოფიერი შრომა მოიტანს, რომელიც მიმართული იქნება ქვეყანაში კანონმორჩილებისა და კონსტრუქციული მოძრაობის დამყარებისაკენ და ქართულ კულტურულ თვითმყოფადობასთან ერთად გლობალიზაციის გზაზე მყოფი მსოფლიო საზოგადოებრიობის ცვალებად მოთხოვნებსაც გაითვალისწინებს. მაგრამ ამისათვის საქართველო სუვერენული სახელმწიფო უნდა იყოს – ანუ მან დამოუკიდებლად უნდა შეძლოს არჩევანის გაკეთება და უნდა გათავისუფლდეს გარეშე ძალების ჩარევისაგან. მსჯელობათა ამ ჯაჭვში რგოლები შემდეგნაირადაა განაწილებული: "ეროვნული განვითარების სტრატეგია" – სახელმწიფოებრიობა – სუვერენიტეტი – უსაფრთხოება. აშკარაა, რომ ამ არგუმენტაციას ციკლურობა ახასიათებს, რადგანაც უსაფრთხოება სუვერენიტეტის საშუალებით შიდა გარდაქმნების საფუძველს უნდა წარმოადგენდეს; თუმცა აშკარაა ურთიერთკავშირი სახელმწიფოებრიობასა და უსაფრთხოებას შორის: სახელმწიფოებრიობა უსწრებს უსაფრთხოებას.

წინამდებარე ნაშრომის იმ ნაწილში, რომლის ავტორიც გია ნოდიაა, ანალოგიური არგუმენტებია წარმოდგენილი. მისი აზრით, უსაფრთხოება არის ხალხის თავისუფლება, იხელმძღვანელოს წარმოდგენით იმის შესახებ, "თუ რად უნდათ ყოფნა". იგი ამას "ეროვნულ პროექტს" უწოდებს და ყველაფერი, რამაც შეიძლება ჩაშალოს იგი ან გზიდან გადაახვევინოს მას, იწვევს უსაფრთხოების პრობლემას. გია ნოდია მიიჩნევს, რომ პროექტის ასამუშავებლად საჭიროა, იგი გამოხატავდეს პატივისცემას — "ერთგვარ უნიკალურ ეროვნულ თვითმყოფადობას" – დაფუძნებულს ენაზე, კულტურასა თუ "სულიერებაზე", იმავდროულად, იგი მეტისაკენ უნდა ისწრა-

ფოდეს. ავტორის აზრით, საქართველოს შემთხვევაში "მეტი" არის ევროპული სახელმწიფოების ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელისაკენ სწრაფვა, მაგრამ ავტორი იმასაც აღნიშნავს, როგორ უნდა ვიცოდეთ ზუსტად, რა არის ეროვნული პროექტი და ვინ უჭერს მას მხარს? რამდენიმე ეროვნული პროექტის არსებობის პირობებში რომელს აქვს კანონიერი ძალა? ეს შეკითხვები პრობლემის სიღრმეებს ეხება და ცვლის ურთიერთდამოკიდებულებას უსაფრთხოებასა და სახელმწიფოებრიობას შორის.

საქართველოში ეროვნული პროექტის შექმნას სერიოზული დაბრკოლებები ეღობება. გია ნოდიას აზრით, ეს დაბრკოლებებია: თვით ქართველების მიერ თავიანთი თავის "განსაკუთრებულ ეთნიკურ" ხალხად აღქმა, საბჭოთა ინსტიტუციონალური სისტემის მემკვიდრეობა, რომელიც დაქსაქსულობას უწყობს ხელს, გავლენიანი "ალტერნატიული ეროვნული პროექტები" და დაძაბულობის სხვა მთელი რიგი პოტენციური წყარო – სომხურ და აზერბაიჯანულ სათვისტომოებში არსებული ირედენტისტული განწყობიდან დაწყებული, არაინტეგრირებული ეთნიკური ჯგუფებით დამთავრებული. ეს დაბრკოლებები ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის შინაგან ასპექტს შეადგენს და საფრთხეს უქმნის ეროვნულ პროექტსა და სახელწიფოებრიობას. მაგრამ, გია ნოდიას აზრით, პრობლემას არა მხოლოდ ეს დაბრკოლებები ქმნის. თუ საკითხს უფრო ღრმად განვიხილავთ, ვნახავთ, რომ ქართული ეროვნული პროექტის შექმნას პოლიტიკური ინსტიტუტების გაუბედაობა უშლის ხელს და არა პირიქით. ინსტიტუტების წარუმატებლობა არ შეიძლება ამ დაბრკოლებებით აიხსნას, პირიქით, ამ დაბრკოლებების მასშტაბს ინსტიტუტების სისუსტე განსაზღვრავს.

შესაბამისად, გია ნოდიას აზრით, საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის არსის გასაცნობიერებლად საჭიროა სახელმწიფოს სისუსტის მიზეზების ახსნა. იგი თვლის, რომ მიზეზს ის თავდაპირველი ორმაგი ღირებულებები წარმოადგენს, რომლებიც საქართველოს მოსახლეობას გააჩნია: ერთი მხრივ, ისინი სიმპათიით უყურებენ ლიბერალურ-დემოკრატიულ მოდელს, მეორე მხრივ კი, ეჭვი შეაქვთ მასში, რადგან ანტიპათიურად არიან განწყობილი თვით სახელმწიფოს მიმართ და ცდილობენ, იგი საკუთარი ინტერესებისათვის გამოიყენონ. თუ უფრო ჩავუღრმავდებით, პრობლემა შემდეგნაირად

შეიძლება აიხსნას: ქართული საზოგადოებისათვის მისაღებია დასავლეთის დემოკრატიული მოდელი, მას სურს, დასავლეთის ნაწილი იყოს, რადგანაც დასავლეთის ნაწილად ყოფნა მას რუსეთისგან დამოუკიდებლობას განუმტკიცებს. სწორედ ამიტომ, დასავლური ლიბერალური მოდელისადმი სწრაფვა უსაფრთხოების მიზეზებითაა განპირობებული და არა ამ მოდელის ღირებულებებისადმი ღრმა სიმპათიით.[5] თუ დავუმატებთ ამას ქართველი ხალხის ინსტინქტურ უნდობლობას ზოგადად სახელმწიფოსადმი, როგორი ტიპისაც არ უნდა იყოს იგი (დემოკრატიული თუ სხვა), რაც საბჭოთა სახელმწიფოებრივი გამოცდილებიდან მოდის, ვნახავთ, რომ დემოკრატიის დანერგვის გზით სახელმწიფოს სისუსტის დაძლევა, ფაქტობრივად, შეუძლებელია, განსაკუთრებით იმ პირობებში, როდესაც ბევრი ქართველისათვის დემოკრატიული ღირებულებები ქართული საზოგადოების მიერ მემკვიდრეობად მიღებულ ღირებულებებს ეწინააღმდეგება, რასაც დროდადრო ქართული ეკლესიაც უჭერს მხარს.

ამგვარ საკითხებში კარგად გათვითცნობიერებული ქართველების შეხედულებებიც, ფაქტობრივად, იგივეა. ამ წიგნის ერთ-ერთი თავის ავტორი, დავით დარჩიაშვილიც მიიჩნევს, რომ ქართული "ვარდების რევოლუციის'' მომავალი დამოკიდებულია მის უნარზე, "გააერთიანოს ხალხი ეროვნული იდეის გარშემო", რაც მიუღწეველია მხოლოდ სამოქალაქო საზოგადოებაზე გათვლით.[6] ამ ამოცანის განხორციელებას ესაჭიროება "ემოციურობა და რომანტიზმიც" კი. ამიტომაც, მისი აზრით, წარმატების მისაღწევად საქართველოს "დემოკრატიულმა ძალებმა" თავისი გეგმის განსახორციელებლად ქართული ნაციონალიზმი უნდა გამოიყენონ, მაგრამ იმ პირობით, რომ – და ზუსტად ამაში მდგომარეობს მთავარი სირთულე – მას მოსცილდება "საშიში ეთნიკური ელფერი". ამისათვის აუცილებელია, დაირღვეს

[5] ეს ჩემი ინტერპრეტაციაა. გია ნოდია ამტკიცებს, რომ ქართველების უმრავლესობა ნამდვილად ისწრაფვის ლიბერალური ღირებულებებისა და დემოკრატიული მოდელისაკენ, რომელიც მათთვის მხოლოდ საშუალება არაა – და თანაც ბევრად უფრო მეტად, ვიდრე უმეტეს პოსტსაბჭოურ ქვეყნებში.

[6] David Darchiashvili, ''Georgian Security Problems and Policies" in Dov Lynch, ed., *The South Caucasus, A Challenge for the EU*, Chaillor Papers no 65 (Paris: Institute for Security Studies, European Union, December 2003) p. 126, http://www.iss-eu.org/public/content/chaile.html

მანკიერი კავშირი ქართულ ნაციონალიზმს, კორუმპირებულ ოფიციალურ წრეებსა და კრიმინალურ ელემენტებს შორის, ხოლო დემოკრატიულმა ძალებმა ქართული ნაციონალიზმი ისეთი სახელმწიფოს დასამკვიდრებლად გამოიყენონ, რომელიც მისგან გაუცხოებული მოქალაქეების მხარდაჭერას მოიპოვებს.

ამრიგად, დავით დარჩიაშვილი იმათ რიცხვს მიეკუთვნება, ვინც მიიჩნევს, რომ საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის თავი და თავი სახელმწიფოებრიობის სიმყიფეა, რაც თავის ყველაზე საშიშ გამოხატულებას სახელმწიფო ინსტიტუტების არაეფექტურობაში პოვებს. მის კონცეფციაში ინსტიტუტების დაკნინება მასშტაბური კორუფციით აიხსნება, რასაც სამი სახის შედეგი მოაქვს: პირველ რიგში, ეს არის "უსაფრთხოების პრივატიზაცია", როდესაც კორუმპირებულ სახელმწიფო ჩინოვნიკებს ემორჩილება ეროვნულ და საზოგადოებრივ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი სახელმწიფო ორგანოები და ისინი მათ პირად ინტერესებს ემსახურება; მეორე, შეიარაღებული დაჯგუფებების გავლენის აღდგენა, რომელთა მოქმედებაც თითქოს უკვე აღკვეთილი იყო რამდენიმე წლის წინ; მესამე – "პოლიტიკის, დანაშაულისა და კლანურობის" შერწყმა.[7] საქართველოს ყველა დონის ოფიციალური პირები "აქტიურად არიან ჩართულნი საეჭვო კომერციულ მაქინაციებში, რომლითაც სახელმწიფო საკუთრების ღია თუ ფარულ პრივატიზაციას ახდენენ"; ამის გამო საზოგადოება კრიმინალურ ქმედებებს უკვე ნორმად აღიქვამს.

საქართველოს პრობლემებისადმი მიძღვნილ ბევრ ანალიტიკურ ნაშრომში ფართოდაა გაშუქებული ურთიერთკავშირი კორუფციას (მათ შორის, მისი ყველაზე უარესი გამოვლინებებით), კრიმინალიზებულ სახელმწიფოს, ინსტიტუტების სისუსტესა და ეროვნული უსაფრთხოების სისტემის ნგრევას შორის. მაგრამ დავით დარჩიაშვილისათვის ეს პრობლემა ყველაზე აქტუალურია. პაველ ბაევი უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ "საქართველოს ყველა უბედურების" მიზეზი, რარიგ მავნეც არ უნდა იყოს გარეთა ძალების ზემოქმედება, პირველ რიგში, მაინც "თვით საზოგადოების, პოლიტიკურ ინსტიტუტებსა და ელიტებს შიგნით არსებული ანომალია და დეფორმაციაა"; ეს "უბედურებები" უფრო "გამოწვეულია ყოვლისმომცველი ჩრდილო-

[7] David Darchiashvili, ,"Georgian Security Problems and Policies", p. 113.

ვანი ეკონომიკითა და კორუფციით, ვიდრე ეროვნული წყენით, წარსულში მომხდარი უსამართლობითა თუ კომუნისტური წარსულის მემკვიდრეობით.”[8] ამგვარად, დამოუკიდებლობის გარიჟრაჟზე გასამხედროებული ფორმირებების (ეროვნული გვარდია და “მხედ-რიონი”) ზეგავლენის გაძლიერებას, 1990-იანი წლების დასაწყისის სამოქალაქო და აფხაზეთის ომებს ავტორი საბჭოთა პერიოდში ღრმად ფესვგამდგარ “კლანურ კორუფციას” უკავშირებს. საბჭოთა ეპოქაში დაწყებული საქმე უფრო საშიში ფორმით საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გამოვლინდა — ეკონომიკის ნგრევის, ნორმალური ეკონო-მიკური ურთიერთობების მოშლისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის აყვავების შედეგად.

წინამდებარე ნაშრომში დავით დარჩიაშვილი განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დასუსტებულ სახელმწიფოს, კორუფციასა და შეიარაღებულ ძალებს შორის არსებულ დესტრუქციულ ურთი-ერთკავშირს. სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან, ისეთების, როგორიცაა უკრაინა, ბელორუსი და ყაზახეთი, განსხვავებით, საქართველომ ვერ მოახერხა მის ტერიტორიაზე განლაგებული საბჭოთა არმიის ძალების უბრალო ნაციონალიზაცია და მათი საქართველოს ახალი არმიის საფუძვლად გამოყენება. ამის მაგივრად დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პირველი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას, მმართველობის პერიოდში არსებული ვაკუუმი ამ სფეროში მთელი რიგი გასამხედროებული დაჯგუფებებით ამოივსო. ამ დაჯგუფებებიდან მხოლოდ რამდენიმე თუ იყო პრეზიდენტის ერთგული, სამაგიეროდ, ყველა მათგანი ერთგული იყო საკუთარი, უმეტეს შემთხვევაში, კრიმინალი მეთაურისა. ამიტომაც ედუარდ შევარდნაძისათვის, რომელმაც პრეზიდენტის პოსტზე ზვიად გამსახურდია შეცვალა, უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა ამ თითქმის უკონტროლო შეიარაღებული დაჯგუფებების დამორჩილება და სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარება. დავით დარჩიაშვილის აზრით, ედუარდ შევარდნაძემ ამ ამოცანის შესრულება სტრატეგიის

[8] Pavel K. Baev, “Civil Wars in Georgia: Corruption Breeds Violence,” in Jan Koehler and Christoph Zurcher, eds., *Potentials of Disorde* (Manchester, UK: Manchester University Press, 2003), p. 128 (ბაევი აღიარებს, რომ კორუფცია და ჩრდილოვანი ეკონომიკაც კომუნისტური მემკვიდრეობის ნაწილებია).

– “დაყავი და იბატონე”-ს გამოყენებით დაიწყო: იგი თითო-თითოდ იშორებდა ამ გასამხედროებული ფორმირებების ლიდერებს. მაგრამ ამგვარი სტრატეგია, თავისი მხრივ, ხელს უშლიდა ახალი ქართული არმიის სრულყოფას, მწყობრი ცენტრალიზებული სამხედრო მმართველობის ჩამოყალიბებას.

დავით დარჩიაშვილი დაწვრილებით განიხილავს იმ მტკივნეულ და უსისტემო ზომებს, რომელთა საშუალებითაც ჯერ ზვიად გამსახურდია და შემდეგ ედუარდ შევარდნაძე ცდილობდნენ, წესრიგი დაემყარებინათ იმ კრიმინალურ დაჯგუფებებში, რომლებიც მონაწილეობდნენ საქართველოში წარმოებულ ბრძოლებში და გადაექციათ ისინი სახელმწიფო ძალაუფლებას დაქვემდებარებულ, სამოქალაქო მმართველობისა და დემოკრატიული კონტროლის ქვეშ მყოფ ნამდვილ არმიად. მიუხედავად უამრავი კომისიისა, ათობით “რეფორმისა” და აშშ-სა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წევრი სხვა ქვეყნების მხრიდან მნიშვნელოვანი დახმარებისა, ედუარდ შევარდნაძის ეპოქის ბოლო წუთებამდე საქართველომ ვერ შეძლო, ოდნავ მაინც წაეწია წინ სამხედრო რეფორმის თვალსაზრისით. დავით დარჩიაშვილი ამაში საქართველოს მმართველობასა და, პირველ რიგში, ედუარდ შევარდნაძეს ადანაშაულებს, რადგანაც იგი არ ენდობოდა არმიასა და უშიშროების ძალებს და მათ მიმართ, როგორც აღვნიშნეთ, სტრატეგიას “დაყავი და იბატონე” იყენებდა; გარდა ამისა, პრეზიდენტი თვალს ხუჭავდა კორუფციის ფაქტებზე ყველა იმ სფეროში, რომლის მესვეურთა მხარდაჭერაც სჭირდებოდა. მეტიც, ედუარდ შევარდნაძეს არ შესწევდა უნარი ან არ სურდა, ყველაფერი გაეკეთებინა რეფორმირებული და კარგად ორგანიზებული არმიის შესაქმნელად; ამას ემატებოდა იმ მასშტაბური სტრატეგიული კონცეფციის არარსებობაც, რომელიც საჭირო მიმართულებას მისცემდა მის ქმედებებს. ყოველივე კი განაპირობა ქვეყნის სამხედრო სტრატეგიის არასწორმა და ვიწრო ხედვამ, მოქმედებათა არათანმიმდევრულობამ და ავანტიურიზმმა.

რა განსხვავებული თვალთახედვაც არ უნდა ჰქონდეთ ქართველ ანალიტიკოსებს, თითქმის ყველა მათგანი ერთსულოვნად მიიჩნევს, რომ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის პრობლემის არსი თვით არასრულყოფილ სახელმწიფოებრიობაში მდგომარეობს. საქმეს ართულებს ის გარემოება, რომ ეს პრობლემა მრავალი კომპო-

ნენტისურთიერთკავშირს წარმოადგენს. ანალიტიკოსები, რომლებიც საქართველოს უსაფრთხოების სფეროში არსებული კონკრეტული პრობლემების გამოვლენას ცდილობენ, ხშირად ჩაკეტილ წრეში მოძრაობენ, ისე, როგორც ზემოთ ნახსენები სტრატეგიული კვლევის ცენტრის თანამშრომლები. ეს არის კლასიკური პრობლემა, რომელიც ქათმისა და კვერცხის დილემას წარმოადგენს — რა უნდა გაკეთდეს თავდაპირველად: შეიქმნას ინსტიტუტები, რომლებიც შეძლებენ, მოიპოვონ ნდობა საზოგადოებაში და დაძლიონ ნაციონალიზმის ოდიოზური ფორმები თუ ჯერ გარდაიქმნას ნაციონალიზმი და ამით ხელი შეეწყოს საყოველთაო ნდობით გამსჭვალული ინსტიტუტების შექმნას? სახელმწიფოს აღდგენა კორუფციასთან საბრძოლველად თუ კორუფციასთან ბრძოლა სახელმწიფოს აღდგენის მიზნით? "ეროვნული პროგრამის" ან "განვითარების ეროვნული სტრატეგიის" შემუშავება სახელმწიფოებრიობის სუვერენიტეტისა და დამოუკიდებლობის გაძლიერებისათვის თუ სუვერენიტეტისათვის ბრძოლა ეროვნული პროექტის განსახორციელებლად?

ამას გარდა, არსებობს შიდა წინააღმდეგობები: ქართველები, განსაკუთრებით კი, პროდასავლური საგარეო კურსის მხარდამჭერი ინტელიგენცია და პოლიტიკოსები, როგორც წესი, იმ იდეას ემხრობიან, რომ მიზანი აუცილებლად მიღწეული უნდა იქნეს ლიბერალური დემოკრატიული სისტემის შექმნით, რომელიც, თავის მხრივ, დაიცავს საქართველოს უნიკალურ კულტურულ, სოციალურ და ისტორიულ თვითმყოფადობას. მაგრამ ლიბერალური დემოკრატიული სისტემა დაპირისპირებულ მხარეთა შერიგებასაც გულისხმობს და საჭიროების შემთხვევაში დომინანტი ეროვნებების მხრიდან დათმობებზე წასვლასაც. გარდა ამისა, ხშირად გამოითქმის მოწოდება, სახელმწიფოებრიობას საფუძვლად დაედოს დაპირისპირებულ ეროვნებათა შერიგების ფაქტი, თუმცა საკითხი ვერ გადაწყდება, თუ რომელიმე ჯგუფი უარს იტყვის მორიგებაზე.

სწორედ ამ საკითხზე ზეგავლენის გამო ერევიან გარე ძალები საქართველოს საქმეებში და, როგორც წესი, ერევიან ძალიან ცუდად. კეთილმოსურნეთა სურვილი სურვილად რჩება. თუკი საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის არსი სახელმწიფოებრიობაშია, სახელმწიფოებრიობის ყველაზე მტკივნეული ფორმა შეკვეცილი სუვერენიტეტია – დაკარგულ რეგიონებში არ ხორციელდება ნაციონალური

მმართველობა და, როგორც დავით დარჩიაშვილი აღნიშნავს, არც მათ მიმდებარე ტერიტორიებზე.[9] ეროვნული უსაფრთხოების პრობლემა ყველაზე ნათლად სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის მაგალითებზე ჩანს. ისინი დღეს საქართველოს საზღვრებში მდებარე მინისახელმწიფოებს წარმოადგენენ, რომლებიც საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებებს არ ასრულებენ, ქვეყნის მმართველობას კი სიტუაციის შეცვლა არ ძალუძს.

როგორც ცნობილია, რუსეთი თავდაპირველად აფხაზეთის სეპარატიზმის მომხრედ გვევლინებოდა, შემდეგ კი — პრობლემად ქართულ-აფხაზური ურთიერთობების დარეგულირებისას. ბოლო დროს იგი რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებს თბილისზე ზეწოლისათვის იყენებს, ამიტომ საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის შიდა ასპექტს თავისთავად ეძლევა საერთაშორისო და საკმაოდ ფეთქებადი ხასიათი. საქართველოსათვის რუსეთი საერთაშორისო გარემოცვაში ყველაზე საშიშ ფაქტორს წარმოადგენს. ამის მიზეზი არაერთია: საქართველო თვლის, რომ რუსეთი არ ჩქარობს თავისი სამხედრო ბაზების საქართველოდან გაყვანას, რათა დააშინოს ქართველი ლიდერები, ყოველ შემთხვევაში, ცდილობს, ბაზების ტერიტორიები და ინფრასტრუქტურა აშშ-ს ან ჩრდილოატლანტიკურ კავშირს არ ჩაუვარდეს ხელში; იგი პატივს არ სცემს არც საქართველოს სუვერენიტეტს და მზად არის, დაარღვიოს კიდეც იგი, თუ ამას ჩეჩნეთში მიმდინარე ომი მოითხოვს; ამბობენ, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, ედუარდ შევარდნაძის წინააღმდეგ განხორციელებული თავდასხმების უკანაც რუსეთი დგას; რუსეთი ყველაფერზე წამსვლელია – გაზის მიწოდების შეწყვეტით დაწყებული, ამჟამინდელი მმართველობის მოწინააღმდეგეთა-დახმარებით დამთავრებული – ოღონდ კი საქართველოს თავისი სურვილები მოახვიოს თავზე. ყველა ზემონახსენებ შეხედულებას ამტკიცებს და მათ განსაკუთრებულ მნიშვნელობასაც ანიჭებს რუსეთის სავარაუდო მზადყოფნა, ხელი შეუწყოს აფხაზურ და ოსურ სეპარატიზმს, სულ მცირე, ეს კონფლიქტები საქართველოს მმართველობის დასასუსტებლად ან მასზე ზეწოლისათვის გამოიყენოს.

[9] David Darchiashvili, “Georgian Security Problems and Policies“, p.109

რეგიონში არსებული კონფლიქტი და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება

საქართველოში მყოფი დამკვირვებლები არ შეიძლება, არ ამჩნევდნენ იმ ნიუანსებს, რომლებითაც რუსეთიდან მომდინარე საფრთხე ინიღბება. მათ ესმით, რომ დროდადრო რუსეთთან დაკავშირებული პრობლემები გარკვეულ თავზეხელაღებულ პირებს უკავშირდება და არა მოსკოვის მთავრობას. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ არაკეთილგანწყობასა და დაძაბულობას მხოლოდ რუსეთის მხარე არ უნდა იჩენდეს.[10] დამკვირვებლებმა იციან, რომ რუსებს შეუძლიათ ისეთი საკითხი, როგორიც საერთაშორისო ტერორიზმია, რომლითაც ისინი მართლაც შეშფოთებულები არიან, საქართველოს სახელის გასატეხად გამოიყენონ. მით უფრო, რომ ამ საკითხში იგი (რუსეთი) სხვა ქვეყნების მხარდაჭერითაც სარგებლობს, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების, რომლის კეთილგანწყობაც საქართველოსთვის ესოდენ მნიშვნელოვანია.

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დამამძიმებელი გარემოებების უფრო სიღრმისეულ შეფასებას გვაძლევს ჯაბა დევდარიანი ამ წიგნის ერთ-ერთ ნაწილში.[11] იგი საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის რუსულ ასპექტს რთულ მოვლენად მიიჩნევს, რომლის ფესვებიც ქართულ ეროვნულ ფსიქოლოგიაშია საძიებელი. მისი განმარტებით, არსებული წინააღმდეგობები გაცილებით დიდ რეზონანსს იწვევს (ვიდრე ეს შეიძლებოდა გამოეწვია) სხვადასხვა "ეროვნული მითების" გამო და თანაც მაშინ, როდესაც ორივე ქვეყანა მიისწრაფვის ახლებურად გააზრებული ეროვნული თვითმყოფადობის დასამკვიდრებლად. ის შეფასება, რომ საქართველო დიდი ხნის განმავლობაში რუსეთის იმპერიალიზმის ჩაგვრის ქვეშ იყო, ქართველებზე ემოციურ გავლენას ახდენს, რუსებს კი შეურაცხყოფას აყენებს. ამ თვალსაზრისით საქართველო არ განსხვავდება სხვა ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკებისაგან. მაგალი-

[10] See the interview with Tedo Japaridze, "Georgia's Interin Foreign Minister: Russian Security Depends on Georgian Stabilization, '' by Giga Chilhladze, *Eurasianet, January 6, 2004* წ. http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav010604.shtml

[11] See Also Jaba Devdariani, "Georgia on a Fault Line", *Prespective*, vol.13, no.3 (January-February 2003), pp.1,6-8.

თად, განსხვავება საქართველოსა და უკრაინას შორის მხოლოდ იმაში შეიძლება გამოიხატებოდეს, თუ რამდენად ერთგვაროვანი შეხედულება აქვს თითოეულის მოსახლეობას ამ საკითხთან დაკავშირებით.[12] უკრაინის მოსახლეობის ნაწილს, განსაკუთრებით ქვეყნის დასავლეთ ნაწილში, ქართველების მსგავსი შეხედულება აქვს; მაგრამ სხვა რეგიონებში, უფრო მეტად ქვეყნის აღმოსავლეთით, ამ აზრს არ იზიარებენ. აქედან გამომდინარე, რუსეთთან მიმართებაში არსებული პოზიცია პოლიტიკური კურსის ერთიანობის გარანტი კი არა, პირიქით, უკრაინის შიდა პოლიტიკის გახლეჩის მიზეზი გახდა.

ურთიერთდაპირისპირებული ეროვნული მითები განსაზღვრავს საქართველოსა და რუსეთს შორის არსებულ დაძაბულობას, თუმცა თვითონ ეს მითები დაძაბულობას არ ქმნის. დაძაბულობა გარკვეულ გარემოებებს უკავშირდება, მაგალითად, ისეთ საკითხებს, როგორიცაა: სამხედრო ბაზების გაყვანა, ახალი სავიზო რეჟიმი და სხვა იმგვარი ქმედებები, რომელიც რუსეთის არაკეთილგანწყობილ განზრახვას გამოხატავს — მაგალითად, აფხაზეთისა და ჩეჩნეთის კონფლიქტები, სადაც ერთი მხარე მეორისადმი სრულიად მტრულადაა განწყობილი. ჯაბა დევდარიანი რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის გაფუჭებას მხოლოდ რუსეთს არ აბრალებს. იგი მიიჩნევს, რომ როდესაც რუსეთი აგრესიულად მოქმედებს, ეს ნაწილობრივ საქართველოს ბრალიცაა. მისი აზრით, როდესაც საქართველო კონკრეტულ საკითხში მყარ პოზიციას იკავებს და გააზრებულად მოქმედებს, რუსეთი თავშეკავებულად იქცევა. ამის აშკარა მაგალითია 2004 წლის აპრილის კრიზისი აჭარაში, როდესაც სააკაშვილის მთავრობამ რუსეთის დახმარებით ხელისუფლებას ჩამოაშორა ცენტრისგან განდგომილი ადგილობრივი პოლიტიკური ლიდერი. ამრიგად, ჯაბა დევდარიანიც უბრუნდება საქართველოს სახელმწიფოებრიობის პრობლემას. ისიც მიიჩნევს, რომ საქართველოს უსაფრთხოება – ამ შემთხვევაში უკვე რუსეთთან მისი ურთიერთობის ასპექტში დანახული – გაუარესდა ქართული მხარის უსუსურობის გამო: არასტაბილური საგარეო პოლიტიკა; ლიდერების მიერ რუსეთის ქმედებების საკუთარი

[12] აქ ვგულისხმობ უმრავლესობაში მყოფ ეთნიკურ ჯგუფს. საქართველოში მცხოვრები ზოგი ეროვნული უმცირესობა არ იზიარებს ქართველების ამ აზრს რუსეთის შესახებ იმ სახით, რა სახითაც იგი დევდარიანს აქვს წარმოდგენილი.

წარუმატებლობების შესანიღბად გამოყენება; მთავრობის კორუმ-პირებულობა; მთავრობაში მტკიცე პოზიციის არარსებობა — ეს ის სისუსტეებია, რასაც რუსეთი თავის სასარგებლოდ იყენებს.

დასკვნით ნაწილში ჯაბა დევდარიანი, როგორც ქართველების უმრავლესობა, წუხს იმის გამო, რომ რუსეთი ბოლომდე მაინც ვერ შეეგუა თავისი იმპერიული ძალაუფლების დაკარგვას და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი გავლენა შეინარჩუნოს საქართველოსა და კავკასიაზე. საქართველოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული არც ერთი საკითხი არ არის ისეთი მწვავე და მტკივნეული, როგორიც სეპარატისტების მიერ მიტაცებული ტერიტორიების პრობლემა, განსაკუთრებით ეს ეხება აფხაზეთს. ქართველებს ესმით, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დაუმორჩილებლობის ფესვები ეთნიკურ, კულტურულ და პოლიტიკურ განსხვავებათა სიღრმეებში ძევს. ისინი აცნობიერებენ, რომ საქართველოს ლიდერების მიერ გატარებულმა პოლიტიკამ — განსაკუთრებით კი ზვიად გამსა-ხურდიას მოქმედებებმა 1990-1991 წლებში – კიდევ უფრო გაამწვავა ეს უთანხმოებები. ისიც მართალია, რომ მოვლენათა სპირალი, როგორც ამას გია ნოდია და ქრისტოფ ციურხერი წერენ, რომელმაც ცენტრალურ მთავრობასა და რეგიონებს შორის ღია განხეთქილება გამოიწვია, ორივე მხარის ქმედებებმა განაპირობა. შეუძლებელია დავადგინოთ, თუ რამ მისცა ბიძგი რეგიონში ძალადობის ესკალაციას: 1988 წელს აფხაზეთის ლიდერების მიერ თავიანთი ტერიტორიის საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენ-ლობიდან გაყვანის მცდელობამ თუ 1989 წელს ქართული მხარის მიერ მიღებულმა მკაცრმა ზომებმა. მაგრამ რაც უნდა ყოფილიყო ამის მიზეზი, ერთი მხრივ, თბილისსა და, მეორე მხრივ, სოხუმ-ცხინვალს შორის ურთიერთობები იმდენად სწრაფად დაიძაბა, რომ რამდენიმე თვეში სიტუაცია კონტროლს უკვე აღარ ექვემდებარებოდა (ეს პროცესები დეტალურად არის აღწერილი ციურხერის მიერ ამავე ნაშრომის შესაბამის ნაწილში). ქართველ ლიდერებს ისევე ძლიერ აშინებდათ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის "არაკეთილგანწყობა", როგორც აფხაზებსა და ოსებს — ქართული რეპრესიები. აფხაზეთისა და ოსეთის ელიტას კი ეშინოდა რეგიონებში პრივილეგირებული მდგომარეობის დაკარგვის. მაგრამ სამხედრო მოქმედებების დაწყება, ყოველ შემთხვევაში, აფხაზეთში, ციურხერის აზრით, სულ

სხვა რამემ გამოიწვია: ქართული დრამის სათავეში ის სამხედროები და მებრძოლები იდგნენ, რომლებიც სარგებლობდნენ სახელმწიფოს სისუსტით და ძალადობას სჩადიოდნენ თავიანთი მომგებიანი კრიმინალური საქმიანობის დასაცავად. ციურხერი ამ ჯგუფებს "ძალადობის სულისჩამდგმელებს" უწოდებს.

რუსეთის როლი საომარი მოქმედებების დასაწყისიდანვე ძალიან მნიშვნელოვანი იყო. საქართველოში თითქმის ყველა დარწმუნებულია, რომ 1992-1993 წლების ომში რუსეთი აფხაზებს უჭერდა მხარს. ქართველები დღემდე ფიქრობენ, რომ სწორედ ამან განაპირობა მოვლენების საქართველოს წინააღმდეგ შემოტრიალება. მათთვის მხოლოდ ერთია გაუგებარი: მითითებები მოსკოვიდან მოდიოდა თუ ეს რუსული სამხედრო მეთაურობისა და აფხაზეთში დისლოცირებული ნაწილების თვითნებური გადაწყვეტილებები იყო. ოქსანა ანტონენკო თავის ნაშრომში გაცილებით რთულ ისტორიას მოგვითხრობს, რომლისაც არც ქართველებს სჯერათ, რასაც საოცრად ემოციურად გამოხატავენ და არც წინამდებარე წიგნის ავტორებს. კონფლიქტში ნამდვილად მონაწილეობდნენ რუსი სამხედროები, მაგრამ, ანტონენკოს აზრით, არა ერთიანი ფრონტით. ზოგი სამხედრო პირი აფხაზეთის მეამბოხეებს იარაღს აწვდიდა ან ჰყიდდა, ხოლო სამხედრო საჰაერო ძალები საჰაერო შეტევებს ახორციელებდნენ ქართული ჯარის წინააღმდეგ. იმავდროულად, 1992 წლის აგვისტოში, საქართველოს აფხაზეთზე თავდასხმის წინ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის (რომელიც რუსეთს მემკვიდრეობით ერგო საბჭოთა პერიოდიდან) მეთაურობამ ქართველ მეომრებს დიდძალი იარაღი, მათ შორის, საკმაო რაოდენობით ტანკი გადასცა. სამხედრო მოქმედებების საწყის ეტაპზე საქართველოს შეიარაღებულ ჯარებს შავ ზღვაზე დახმარებას რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტიც უწევდა. ნიშანდობლივია, აღნიშნავს ანტონენკო, რომ მოსკოვის ელიტის პოლიტიკური სიმპათიები ორად გაიყო: მისი ნაწილი (მათ შორის, პრეზიდენტი, საგარეო საქმეთა და თავდაცვის მინისტრები) მხარს "ძლიერი და ერთიანი საქართველოს" იდეას უჭერდნენ, სხვებს (ჯარისა და უშიშროების ძალების ნაწილს, ჩრდილოკავკასიის რეგიონალურ ლიდერებსა და პოლიტიკოსებს) "პრომოსკოვური განწყობის" აფხაზეთის არსებობა სურდათ.

ანტონენკოს აზრით, რუსეთი აფხაზეთის პრობლემას ართულებს არა ავი ზრახვებით, არამედ მისი საშუამავლო როლის სათანადოდ შეუსრულებლობის გამო. დამოუკიდებელ ქვეყანათა თანამეგობრობის (სადაც რუსეთს ლიდერის როლი აკისრია) ძალებზე აფხაზეთში სამშვიდობო მისიის დაკისრებით, მოსკოვმა, პირველ რიგში, მიზნად დაისახა, არ დაუშვას ძალადობის აფეთქება, რამაც საქართველოსათვის ესოდენ არასასურველი შედეგები გამოიწვია — აფხაზეთის საზღვრების გაძლიერება და მისი ავტონომია. ისიც მართალია, რომ რუსეთ-ჩეჩნეთის მეორე ომის გამო რუსეთის როლი საქართველოში 1999 წლიდან უფრო უარყოფითი გახდა. რუსები, პუტინიდან დაწყებული, მიიჩნევენ, რომ ქართველები ზედმეტ თანაგრძნობას იჩენენ ჩეჩნეთის მიმართ და, სულ მცირე, არ თანამშრომლობენ რუსეთთან ჩეჩენი მებრძოლებისათვის დახმარების არხების გადაკეტვაში. ამის გამო რუსეთი ქართველ ლიდერებს მწვავედ აკრიტიკებდა და ჩეჩნური საფრთხის თავიდან ასაცილებლად პრევენციული ზომებით იმუქრებოდა საზღვრის ქართული მხრიდან. ხანდახან რუსეთის სამხედრო ავიაცია თავს უფლებას აძლევდა, დემონსტრატიულად მიეტანა იერიში საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ სამიზნეებზე. 1999 წლიდან რუსეთმა აფხაზეთთან თავისი კავშირების განმტკიცება დაიწყო. მან გახსნა საზღვარი, მოხსნა 1992 წლიდან საკმაოდ პირობითად მოქმედი ბლოკადა, აფხაზეთის მცხოვრებთათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებასთან ერთად საქართველოს მოქალაქეებს სავიზო რეჟიმი დაუწესა. თუმცა ძნელი სათქმელია, რისი გამოხატულება იყო ეს აქციები: თბილისზე ზეწოლის სურვილის თუ რუსეთის შიდაპოლიტიკური კონფლიქტების არსებობის. ყოველივე ამან კიდევ უფრო დაარწმუნა ქართველები, რომ რუსეთს არ ძალუძს ან არ სურს, საქართველოში არსებულ ეთნოკონფლიქტებში მიუკერძოებელი მომრიგებლის როლი ითამაშოს. მის სახელზე ასევე ცუდად მოქმედებს ის ფაქტი, რომ მან ხელი არ შეუწყო სხვა მხარეების, მათ შორის, არც საერთაშორისო ორგანიზაციების როლის გაძლიერებას მშვიდობის მხარდასაჭერად და დასამკვიდრებლად.

თუ ანტონენკოს მიერ გამოთქმულ აზრს განვავრცობთ, რუსეთის მიერ საქართველოსათვის შექმნილი პრობლემა იმაზე ბევრად ღრმა და რთულია, ვიდრე ეს საქართველოში წარმოუდგენიათ. ეს პრობლემა იმდენად რუსეთის აშკარა აგრესიული მიზნებისაკენ სწრაფვაში კი

არ გამოიხატება, არამედ მისი სურვილით, ერთსა და იმავე მდინარეში ორჯერ შევიდეს. აფხაზეთის შემთხვევაში რუსეთის მიზანი არა რომელიმე მხარისათვის უპირატესობის მინიჭება, არამედ ორივე მათგანზე გავლენის შენარჩუნებაა. ოფიციალურად (და, ალბათ, გულწრფელადაც) იგი მზად არის, დაიცვას საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა, მაგრამ, იმავდროულად, ყველაფერს აკეთებს აფხაზეთთან კავშირების განსამტკიცებლადაც. ცხადია, მას სურს, რომ სტაბილური საქართველო სტაბილური ამიერკავკასიის ნაწილად იხილოს, მაგრამ ამავე დროს ძალზე ზრუნავს საკუთარ ზეგავლენაზე რეგიონში და უკუაგდებს სხვა მხარეების (ისეთების, როგორებიცაა: აშშ, თურქეთი, ჩრდილოატლანტიკური ალიანსი, გაერო, ეუთო) ჩარევის იდეას იმ სფეროში, რომელსაც იგი თავისი უსაფრთხოების სფეროდ მიიჩნევს. მეტიც, ანტონენკო ამბობს, რომ რუსეთის ერთი შეხედვით მტრულ და არაკეთილგანწყობილ ქმედებებს — საქართველოს მოქალაქეებისათვის სავიზო რეჟიმის შემოღებას; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭებას და მათთვის სავიზო მოთხოვნების მოხსნას; აფხაზეთთან სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენასა და საქართველო-აფხაზეთის ურთიერთობების დასარეგულირებლად საერთაშორისო ინიციატივების არასათანადო მხარდაჭერას – უფრო რთული საფუძველი აქვს.

თუმცა ანტონენკო და დევდარიანი იმის ნიშნებსაც ხედავენ, რომ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ რუსეთიცა და საქართველოც მზად არიან, დაივიწყონ წარსულში არსებული ზოგი უთანხმოება. დევდარიანი იმ მნიშვნელოვან პრაგმატულ მიზნებზეც (ძირითადად, ეკონომიკური ხასიათის) საუბრობს, რომლებიც ორივე მხარეს წარსული უთანხმოებების დავიწყებისა და უფრო სტაბილური ურთიერთობების დამყარებისაკენ უბიძგებს. ანტონენკო ეთანხმება ამ აზრს და მიუთითებს, თუ რომელ სფეროებშია შესაძლებელი ეკონომიკური თანამშრომლობა. იგი მიიჩნევს, აგრეთვე, რომ 2004 წლის გაზაფხულზე აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან დაძაბულობის გამწვავებისას მოსკოვი შედარებით ნაკლებად ეწინააღმდეგებოდა კავკასიაში რუსეთისა და ნატოს თანამშრომლობას და საქართველოში დსთ-ს სამშვიდობო ძალებსა და გაეროს დამკვირვებლებს შორის თანამშრომლობის გაფართოებას. თუმცა, მიუხედავად საიმედო ნიშნებისა, ორი ქვეყნის მმართველებს შორის არსებული უნდობლობა

მომდევნო თვეებში კი არ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა კიდეც. 2005 წლის დასაწყისში სააკაშვილი უკვე საკმაოდ დაუფარავად მიუთითებდა, რომ საქართველოს საქმე აქვს "მსოფლიოში ყველაზე ძლიერ და ყველაზე აგრესიულ – შესაძლოა, არა ყველაზე ძლიერ, მაგრამ უდავოდ ყველაზე აგრესიულ – ძალასთან".[13] დროის თითქმის იმავე პერიოდში პუტინის გარემოცვასთან დაახლოებული პირი აღნიშნავდა, რომ სააკაშვილი პუტინში დაახლოებით იგივე მტრულ განწყობას აღძრავს, რასაც "ფიდელ კასტრო აღძრავდა ამერიკელ პოლიტიკოსებში."[14]

საგარეო სიტუაცია: ცხოვრებისეული მორევი და კონცენტრული წრეები

ქართველებს, რაღა თქმა უნდა, არ სჯერათ სასწაულის, რომ ოდესმე მათი გეოგრაფიული მდებარეობა შეიცვლება და საქართველო დედამიწის სხვა კუთხეში აღმოჩნდება, ამიტომ ისინი აცნობიერებენ ჩრდილოელ მეზობელთან თანაცხოვრების აუცილებლობას. ქართველებს იმედი აქვთ, რომ რუსებსაც ესმით ან დროთა განმავლობაში გაიგებენ, რომ მათი უსაფრთხოება "საქართველოში არსებული სიტუაციის სტაბილურობაზეცაა დამოკიდებული"[15], – აღნიშნა ერთხელ საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა, თედო ჯაფარიძემ. მაგრამ ამ ორ ქვეყანას შორის არსებული რთული ურთიერთკავშირი შემდეგ დილემას წარმოშობს: შესაძლოა თუ არა არსებული დაბრკოლებების ფონზე რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების დარეგულირება თუ ამისათვის საჭირო გახდება უფრო ფართო სტრუქტურული ერთეულის შექმნა? ჯაბა დევდარიანი ამ უკანასკნელ აზრს იზიარებს და საუბრობს აშშ-ის მონაწილეობით კონსტრუქციული

[13] მიხეილ სააკაშვილის ეს განცხადება მოცემულია მის ყოველწლიურ მოხსენებაში ქვეყნის მდგომარეობის შესახებ, რომელიც მან 2005 წლის 10 თებერვალს პარლამენტში გააკეთა.
http://www.kvali.com/kvali/index.asp?obiektivi=show&n=126

[14] 2005 წლის 24 მარტს მოსკოვში აღებული ინტერვიუ.

[15] Chikhladze, ''Georgia's Interim Foreign Minister: Russian Security Depends on Georgian Stabilization."

სამკუთხედის შექმნის შესაძლებლობაზე თუ ევროკავშირის როლის გააქტიურებაზე ან სუამის მსგავსი გაერთიანების (რომლის წევრებიც არიან საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი და მოლდოვა, ხოლო 2005 წლის გაზაფხულისათვის მის შემადგენლობაში უზბეკეთიც შევა) შექმნაზე. თუმცა ჯაბა დევდარიანი მიიჩნევს, რომ არც ერთ ზემოჩამოთვლილ ვარიანტს რაიმე ფართო პერსპექტივა არ გააჩნია. სწორედ ამაში მდგომარეობს დილემაც: რუსეთ-საქართველოს ურთიერთობები, შესაძლოა, წააგავდეს სხვა ქვეყნების ურთიერთდამოკიდებულებასაც, მაგალითად: ისრაელ-პალესტინის; სამხრეთ და ჩრდილოეთ კორეის; ბოლო დრომდე — ინდოეთ-პაკისტანის. ეს ის შემთხვევებია, როდესაც ორ ქვეყანას შექმნილი სიტუაციიდან გამოსავლის პოვნა დამოუკიდებლად არ ძალუძს. ჯაბა დევდარიანის სიტყვებით, "მრავალშრიან" გადაწყვეტილებებს სტრუქტურული სირთულეებიც ემატება, რის გამოც ისინი ნაკლებად განხორციელებადია.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობების ჩიხიდან გამოსაყვანად აშშ-ის, რუსეთისა და საქართველოს სამმხრივ მოლაპარაკებებს წარმატების თეორიული შანსი გააჩნია, მაგრამ რეალურად აშშ-რუსეთის სტრატეგიული ურთიერთქმედება კავკასიაში ბოლო ათი წლის განმავლობაში უფრო შეჯიბრს ჰგავს, ვიდრე თანამშრომლობას.[16] ამრიგად, იმის მაგივრად, რომ საქართველოს ესარგებლა ამ რეგიონში ამერიკა-რუსეთის ქმედითი ურთიერთობებით, იგი ამ ურთიერთობებს მსხვერპლად შეეწირა. დაძაბული მომენტების დროს, მაგალითად, საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის შეჭრასთან დაკავშირებით 2002 წლის სექტემბერში პუტინმა სრულიად უსაფუძვლო განცხადება გააკეთა საქართველოში რუსეთის უფლებების შესახებ; ის, ასევე აჭიანურებს საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანას. ორივე ამ ფაქტის გამო ვაშინგტონი მოსკოვს თავშეკავებისაკენ მოუწოდებდა, მაგრამ აშშ-ის ამგვარი ჩარევა უფრო შეჯიბრს ჰგავდა, ვიდრე თანამშრომლობას, ამიტომ რუსეთს სულაც არ გასჩენია სურვილი, გადაეფასებინა საქართველოსთან ურთიერთობა. პირიქით, რუსეთის

[16] რუსეთს დღემდე აქვს პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის სამხედრო როლის გაძლიერების შიში. ამის შესახებ საუბარია სტატიაში: Svetlana Babaeva, Ekaterina Grigoreva and Nikolai Khorunzhii, "oni Uzhe nikogda ne uydut ottuda," *Izvestiya*, January 25, 2004

იმ პოლიტიკოსებმა, რომლებიც კავკასიაში აშშ-ის ქმედებებს პირდაპირ საფრთხედ მიიჩნევენ, უფრო შეუპოვრად დაიწყეს თავიანთი შეხედულების მტკიცება.

რეალურად კი საქართველო ამერიკა-რუსეთის ურთიერთობების ორბიტაში მოექცა, მაგრამ ამ ურთიერთობებს თავისი ინტერესებისთვის ვერ იყენებს. ეს უსიამოვნო ფაქტი საქართველოს გართულებული სტრატეგიული მდგომარეობის ერთ-ერთი მაგალითია. ამ პრობლემის არსი ორი მეტაფორით შეიძლება გამოიხატოს – ცხოვრებისეული მორევი და კონცენტრული წრეები. ეს ორი მეტაფორა იმის გაგებაშიც გვეხმარება, თუ რატომაა ფსონები ასე მაღალი არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ სხვა ქვეყნებისთვისაც.

პირველი მეტაფორის არსი ისაა, რომ კონფლიქტი კავკასიის ჩრდილოეთიდან – სამხრეთის, აღმოსავლეთიდან კი დასავლეთის მიმართულებით სერიოზულ დაბრკოლებებს უქმნის კონსტრუქციულ თანამშრომლობას რეგიონში. ბრუნო კოპიტერსი აღნიშნავს, რომ მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გადაჭრამდე შეუძლებელია რეგიონალური ინტეგრაციის მიღწევა.[17] მეტიც, ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რეგიონებისაგან განსხვავებით, ამ კონფლიქტებს არა მხოლოდ პოლიტიკური გახლეჩისა და სატუაციის დაძაბვისაკენ მივყავართ, არამედ იგი რეგიონის ქვეყნებს შორის არსებული ურთიერთობების ყველა მხარეს განსაზღვრავს. სხვა ავტორების აზრით, ამიერკავკასიის ურთიერთობებისათვის ამორფულობა, დაქსაქსულობა და არაკეთილგანწყობაა დამახასიათებელი. დოვ ლინჩის სიტყვით, ამიერკავკასია პოლიტიკურად საკმაოდ ამოწურულია.[18] საზღვრებთან დაკავშირებული უთანხმოებები, ეკონომიკური ბლოკადა, დარღვეული სარკინიგზო და საავტომობილო მიმოსვლა და სასჯელის მიზნით ამუშავებული სავიზო რეჟიმი არამცთუ ხელს უწყობს კონფლიქტის დამარეგულირებელ სავაჭრო თუ სხვა ტიპის კონტაქტებს, არამედ თვითონვე წარმოადგენს რეგიონში დაძაბულობის ზრდის წყაროსა და მიზეზს. თქმა

[17] Bruno Coppieters, *EU Policy on the Southern Caucasus*, Policy Paper for the committee on Foreign Affairs, Human Rights, Common Security, and Defense Policy of the European Parliament (January 20, 2004), p.7,. http://www.europarl.eu.int/meetdocs/committees/afet/20040120/wider%20europe%20caucasus.pdf.

[18] Dov Lynch, ”A Regional Insecurity Dynamic,” in Lynch, *The South Caucasus*, pp.9-21.

მხოლოდ იმისა, რომ რეგიონი მოკლებულია იმ ინსტიტუციებს, რომლებიც არსებობს მსოფლიოს სხვა ნაწილებში – სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიიდან დაწყებული დასავლეთ ევროპით დამთავრებული — წარმოადგენს არასწორ შეფასებას იმისას, თუ რამდენად არარსებულია ინსტიტუციონალიზებული თუ არაინსტუციონალიზებული საზოგადეობის ნებისმიერი ფორმა სომხეთში, აზერბაიჯანსა და საქართველოში. სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნების მსგავსად, ამ რეგიონის სამივე სახელმწიფო იბრძვის, რათა დამკვიდრდეს ახალ პოლიტიკურ, ეკონომიკურ და ეროვნულ ერთეულად და წარმატების მიღწევას სამივე ამ მიმართულებით ცდილობს. მაგრამ სხვა ქვეყნებთან შედარებით, ამ სახელმწიფოებს მეტად ახასიათებთ პოლიტიკური ინსტიტუტების სისუსტე და კორუმპირებულობა, რაც მათ სერიოზულ პრობლემებს უქმნის. აშკარაა, რომ შიდა სტაბილურობის არსებობის შემთხვევაშიც კი საქართველოს მაინც შეექმნებოდა საფრთხე კონფლიქტურ გარემოცვაში მყოფი ერთნაირად სუსტი სახელმწიფოებისაგან. მაგრამ რამდენადაც მდგომარეობა საქართველოს შიგნითაც არასტაბილურია, გარეფაქტორები მასზე გაცილებით დიდ გავლენას ახდენს და არსებული კატაკლიზმები ქვეყანას შეიძლება დიდ საფრთხედ მოევლინოს.

დე ვაალი აღნიშნავს, რომ ყოველივე ზემოთქმულის მიზეზი არა მარტო კავკასიაში არსებული პოლიტიკური დაქსაქსულობაა, არამედ ისიც, რომ საქართველო ბევრს არაფერს აკეთებს მდგომარეობის გამოსასწორებლად. ავტორის აზრით, საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი ისე არიან ერთმანეთისაგან დაშორებულნი და იმდენად არა აქვთ ეკონომიკური ურთიერთკავშირი, რომ ძნელად თუ შეიძლება მათი აღქმა ერთიან რეგიონად. დე ვაალი წერს, რომ "ამიერკავკასიის ეს სამი რესპუბლიკა ბევრი საკითხის გამო ძალიან მტკივნეულადაა დაშორებული ერთმანეთს". მათ არა აქვთ ეკონომიკური კავშირები, რისი ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზეზიც "მმართველი წრეების მაღალი კრიმინალიზაციაა", სწორედ ამის გამო ვერ ხერხდება "კავკასიური საერთო ბაზრის" მაგვარი ერთობის შექმნა. მთელი ამ ხნის განმავლობაში საქართველომ ცოტა რამ გააკეთა სიტუაციის გამოსასწორებლად. დე ვაალის სიტყვებით, გამსახურდიას მმართველობის პერიოდში ფეხს იკიდებდა აზრი — "ამ გამორჩეულ ევროპულ ქვეყანას მესიანური დანიშნულება გააჩნია". მაშინ იგი ძალზე შორს

იყო რეგიონის დრამატიზმით აღსავსე ცხოვრებიდან და რუსეთისაგან დისტანციაზე ყოფნას ცდილობდა. ედუარდ შევარდნაძემ, რომელმაც პრეზიდენტის პოსტზე გამსახურდია შეცვალა, ძალისხმევა აშშ-სთან უფრო მჭიდრო ურთიერთობის დასამყარებლად მიმართა და, დე ვაალის აზრით, იგი "თითქმის არ იჩენდა საქართველოს მეზობლებთან პოლიტიკური და ეკონომიკური ინტეგრაციის გაძლიერების ინტერესს." ამგვარად, იმის მაგივრად, რომ თავის მეზობლებს, სომხეთსა და აზერბაიჯანს, მთიანი ყარაბაღის პრობლემის დარეგულირებაში დახმარებოდა და შუამავლის როლი შეესრულებინა, საქართველომ ამ მიმართულებით ერთი ნაბიჯიც კი არ გადადგა და ეს როლი ეუთოსა და რუსეთის მთავრობას მიანდო.

საქართველო უაღრესად დაძაბული რეგიონის ცენტრში მდებარეობს და იმის მაგივრად, რომ სტაბილურობის ბირთვად იქცეს, რაც მისი ბუნებრივი დანიშნულების შესაბამისი იქნებოდა, იგი, გარკვეულწილად გამიზნულადაც, შეიძლება არასტაბილურობის მორევადაც გადაიქცეს. თუკი სტაბილურობის პროცესი შეფერხდა და არეულობა დაიწყო, მაშინ "საქართველოს კრიზისში" შეიძლება მისი მეზობლებიც აღმოჩნდნენ ჩართულნი, თუნდაც იმ მიზეზით, რომ დაიცვან თავიანთი თანამემამულეები და მატერიალური ინტერესები ან თავიდან აიცილონ ამ კრიზისის ნეგატიური გავლენა თავიანთ შიდა პრობლემებზე. მეორე მხრივ, ქვეყნის დაშლა არა მარტო საქართველოს შიდა პოლიტიკაში არსებული წარუმატებლობებით შეიძლება იყოს გამოწვეული; საქართველოს საზღვრებზე არსებული არეულობა, შესაძლოა, ქვეყნის შიდა ტერიტორიებზეც გავრცელდეს – ასეთ ფაქტს ადგილი აქვს რუსეთის ჩრდილოეთ საზღვარზე. ამგვარად, ისევ რჩება საშიშროება იმისა, რომ საქართველო ამ რეგიონში სტაბილურობის განმსაზღვრელად კი არ მოგვევლინება, პირიქით, სრულიად საპირისპირო როლს შეასრულებს. ამას გარდა, თუ კავკასიის რომელიმე რეგიონში, მათ შორის ჩრდილოეთ კავკასიაშიც, მოვლენათა განვითარებამ ფეთქებადი სახე მიიღო, მაშინ ქვეყნის შიგნით სიტუაციის გაუარესების ყველაზე დიდი საფრთხე საქართველოს ემუქრება.

მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლიდან ამ წელიწადნახევრის შემდეგაც ყველა ეს საფრთხე ისევ აქტუალურია. მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში ზოგჯერ გაიელვებდა ხოლმე იმედი იმისა,

რომ სომხებსა და აზერბაიჯანელებს ორმხრივ მოლაპარაკებებზე პროგრესისთვის მიეღწიათ, რაც ეუთოს მინსკის ჯგუფს ახალი ინიციატივებით გამოსვლის საშუალებას აძლევდა. თუმცა ხანდახან იმის ნიშნებიც ჩნდებოდა, რომ ბაქოში ამ პრობლემის მოსაგვარებლად ძალის გამოყენების შესაძლებლობასაც იხილავდნენ. ჩეჩნეთში ომი გახანგრძლივდა, შესაბამისად, მისი თანმდევი პრობლემებიც შენარჩუნდა და საკითხავია, თუ სად იჩენს იგი შემდგომში თავს, რა თანმდევ მოვლენებს გამოიწვევს და რას მოიმოქმედებს რუსეთი საპასუხოდ. 2004 წლის ზაფხულში საქართველოს ხელისუფლებამ სამხრეთ ოსეთში არსებული მდგომარეობის შეცვლის წარუმატებელი მცდელობა განახორციელა. 2005 წლის იანვარში ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეაზე მიხეილ სააკაშვილის მიერ წარდგენილი ახალი და, ბევრის აზრით, საკმაოდ ლოიალური სამშვიდობო გეგმა ერთმნიშვნელოვნად იქნა უარყოფილი ოსეთის ლიდერების მიერ, რომელთაც ზურგს მოსკოვის პოზიცია უმაგრებდათ. ამ ფაქტმა კიდევ უფრო გაამძაფრა არსებული იმედგაცრუება.

არასტაბილური კავკასია და საქართველო პოტენციურად არეულობის მორევს უფრო წარმოადგენს, ვიდრე სტაბილურობის ცენტრს და ქმნის სრული რეგიონალური სურათის მხოლოდ ნაწილს. ისინი გამოხატავენ რეგიონში შემავალ ქვეყანათა შორის არსებულ დანაწევრებულ და არასტაბილურ ურთიერთობებს. მაგრამ ყველაფერი რეგიონის პოლიტიკური გეოგრაფიით არ შემოიფარგლება, რადგან კავკასიის პრობლემა სხვათა ტერიტორიული მმართველობის გარემოცვაში ყოფნა კი არ არის, არამედ ის, რომ იგი არის არენა სხვა სახელმწიფოების მოქმედებისათვის; ამას კი მეორე მეტაფორამდე მივყავართ: საქართველო, როგორც კონცენტრული წრეების ცენტრი. ისტორიულად კავკასია სხვადასხვა იმპერიათა შეჯახების მიზეზს წარმოადგენდა. ეს იმპერიები (სპარსეთის, ოსმალეთის, რუსეთის) ახლა აღარ არსებობს, მაგრამ მათ ადგილას აღმოცენებული მემკვიდრე-სახელმწიფოები – ირანი, თურქეთი და რუსეთი – კვლავაც ექიშპებიან ამ ტერიტორიებისათვის ერთმანეთს, ზოგჯერ ღიად, ხშირად კი – ფარულად. რუსეთი უფრო მეტად ეწინააღმდეგება კავკასიის საქმეებში ირანისა და თურქეთის ჩარევას, ვიდრე ირანი და თურქეთი – რუსეთის დომინირებას რეგიონში; მაგრამ, როგორც წესი, თეირანი და ანკარა ფხიზლად ადევნებენ თვალყურს რუსეთის

მოქმედებებს კავკასიაში, განსაკუთრებით კი ენერგეტიკის სფეროში არსებულ პოლიტიკას და ხშირად გარკვეულ ბერკეტებსაც იყენებენ მოსკოვის ზეგავლენის შესასუსტებლად.

თურქეთისა და ირანის რეალურ გავლენას კავკასიაში უფრო კონკრეტული ხასიათი აქვს. იგი ერთდროულად დადებითიცაა და უარყოფითიც, თუმცა არის საფუძველი, ვიფიქროთ, რომ ნეგატიური გავლენა ჭარბობს. მიუხედავად ამისა, ორივე სახელმწიფო კავკასიის ზოგიერთ ქვეყანას გარკვეულ პერსპექტივებს უსახავს: თურქეთი ეხმარება აზერბაიჯანს და საქართველოს გარკვეულ ეკონომიკურ თანამშრომლობას სთავაზობს; ირანი კი სომხეთის პოლიტიკური და ფიზიკური იზოლაციის დონეს ამცირებს. მაგრამ ირანისა და თურქეთის მნიშვნელოვანი გავლენა კავკასიაში გამოწვეულია იმით, რომ ამ ქვეყნებს გარკვეული პრობლემები აქვთ სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობებში. რუსეთისა და სომხეთის შემდეგ ირანი მესამე ქვეყანაა, რომელიც აზერბაიჯანის უსაფრთხოებას ემუქრება. არიფ იუნუსოვის აზრით, არსებობს პოტენციური დაძაბულობის რამდენიმე წყარო: ირანის მრავალრიცხოვანი აზერბაიჯანული მოსახლეობის ვნებათაღელვა, კასპიის ზღვის გაზის საბადოებზე ხელმისაწვდომობა და აზერბაიჯანის შიიტების (უმრავლესობაში მყოფი რელიგიური ჯგუფი[19]) მიმართ ირანის მიერ გატარებული პოლიტიკა, თუმცა ირანი არ ცდილობდა, რეგიონში მომხდარი არეულობა, მათ შორის, მთიან ყარაბაღშიც, თავის სასარგებლოდ გამოეყენებინა და 1990-იანი წლების დასაწყისში სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის დარეგულირებაშიც კი მონაწილეობდა.[20] მაგრამ აზერბაიჯანელებს იმდენი პრობლემა აქვთ, რომ ირანელების ეს თავშეკავებულობა ბევრს არაფერს ნიშნავს.

სომხეთისათვის ამგვარი აფორიაქების მიზეზს თურქეთი წარმოადგენს: მისი როლი ყარაბაღის კონფლიქტში უმნიშვნელო

[19] Arif Yunusov, ”Azerbaijan’s Security Problems and Policies, ” in Lynch, *The South Caucasus*, p.146

[20] მთიანი ყარაბაღის კონფლიქტის დარეგულირების მიზნით ირანმა ერთა-დერთხელ განახორციელა წარუმატებელი მცდელობა, კონფლიქტის მონაწილე ორი მხარე მოლაპარაკების მაგიდასთან დაესვა 1992 წლის მაისში. იხილეთ: Thomas de Waal, *Black Garden: Armenia and Azerbaijan through Peace and War* (New York: New York University Press, 2003), p. 180

გავლენით არ შემოიფარგლება; თურქეთი აზერბაიჯანის მოკავშირეა, სომხეთის ბლოკადაში მთავარ რგოლს წარმოადგენს და დაჟინებით ამტკიცებს, რომ ყარაბაღის პრობლემის გადაწყვეტა მხოლოდ თურქეთ-სომხეთის ურთიერთობების ნორმალიზების შედეგად გახდება შესაძლებელი. მიუხედავად დამოუკიდებლობის მოპოვების პირველ წლებში სომხეთის მცდელობისა, დაევიწყებინა მძიმე ისტორიული წარსული (1915 წელს თურქების მიერ სომხების მასობრივი ჟლეტაც კი), მთიანი ყარაბაღის შემდეგ სომხეთის აღშფოთება კვლავ გაძლიერდა და ხელახალი ძალით წამოიჭრა აზრი, რომ თურქეთს კავკასიაში თავისი ბატონობის აღდგენა სურს და სომხეთის განადგურებაზეც არ იტყვის უარს, თუკი ამით თავის მიზანს მიაღწევს.[21]

სიტუაციას ართულებს იმ ქვეყნების მტრული ურთიერთობები, რომლებიც კავკასიაში არსებულ მასშტაბურ კონფლიქტებსა და დაპირისპირებებში მონაწილეობენ. საქმე ის კი არ არის, რომ აზერბაიჯანსა და თურქეთს შორის მჭიდრო ურთიერთობა ამძიმებს მათ დამოკიდებულებას ირანთან და იწვევს ირანსა და თურქეთს შორის უთანხმოებას, არც ის, რომ სომხეთსა და ირანს შორის ურთიერთობები განაპირობებს თურქეთთან დამოკიდებულებას, არამედ ის, რომ სამხრეთსა და დასავლეთში მდებარე ისედაც არასტაბილური რეგიონები მათი გავლენის ქვეშ ექცევიან. აზერ-ბაიჯან-თურქეთის კავშირები მოქმედებს ისრაელზე, ირან-სომხეთის ურთიერთობები კი — საბერძნეთზე. ამგვარ დინამიკას კავკასიის საერთაშორისო პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობების შემდგომ კონცენტრულ წრეში შეჰყავს და ჩნდება საშიშროება, რომ ახლო აღმოსავლეთისა და ბალკანეთის პოლიტიკა, შესაძლოა, კავკასიასაც მოედოს. შესაბამისად, კავკასიის სისუსტე და არასტაბილურობა მიმდებარე რეგიონების არასტაბილურობას ერწყმის.

უკანასკნელი გარე კონცენტრული წრე უფრო პოლიტიკური ხასიათისაა, ვიდრე გეოგრაფიული. ეს არის კავკასიის საქმეებში უდიდესი სახელმწიფოების მონაწილეობის ხარისხი. აშშ, ევროპული სახელმწიფოებიც და ევროკავშირიც მიიჩნევენ, რომ რეგიონში მათაც აქვთ თავიანთი ინტერესები. დაინტერესების ყველაზე დიდ მიზეზს

[21] De Waal, *Black Garden*, pp.274-75.

კასპიის ზღვასა და მის სანაპიროზე არსებული ნავთობისა და გაზის მარაგი წარმოადგენს. ევროპულ ბაზრებზე ამ მარაგის გატანის გზების შერჩევა კი ქმნის გარეპოლიტიკურ და სავაჭრო პრობლემებს. კასპიის ნავთობსა და გაზთან დაკავშირებული პოლიტიკა უმთავრესად მათ ტრანსპორტირებას ეხება და არა წარმოებას, ამიტომაც ამ პოლიტიკის შედეგები ყველაზე მეტად აინტერესებს აშშ-ს, თუ არ ჩავთვლით რუსეთს, ეს ფაქტი კი ამ ორ ქვეყანას შორის ქიშპობის კიდევ ერთ მიზეზი ხდება. რუსეთის მხრიდან შესაბამისი რეაქცია გამოიწვია ბილ კლინტონის პრეზიდენტობის დროს აშშ-ის მთავრობის გადაწყვეტილებამ, უზრუნველეყოთ ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირება აღმოსავლეთის მიმართულებით – თურქეთის გავლით და არა სამხრეთით (რადგანაც ეს ირანის რეჟიმის განმტკიცებას შეუწყობდა ხელს) ანდა ჩრდილოეთით (ამის შედეგად მოსკოვს ამ რეგიონის ენერგომწარმოებელ ქვეყნებზე ზეგავლენის ძლიერი ბერკეტები შეექმნებოდა). შედეგად, ბაქოდან საქართველოს გავლით თურქეთის პორტ ჯეიჰანში მიმავალი ახალი ნავთობსადენის მშენებლობა (რისკენაც დიდი ხნის განმავლობაში ასე ისწრაფოდა აშშ) ვაშინგტონსა და მოსკოვს შორის დაპირისპირების საგნად იქცა და არა თანამშრომლობის საფუძვლად.

კასპიის ზღვის რეგიონის ნავთობსა და გაზთან დაკავშირებული საერთაშორისო პოლიტიკა განხილულია ამ წიგნის დამიენ ჰელისა და გიორგი გოგიას მიერ შედგენილ ნაწილში; ჩვენს ამოცანას არ წარმოადგენს ამ საკითხის უფრო ღრმა კვლევა, აღვნიშნავთ მხოლოდ ერთს, რომ სათამაშო მოედანი აქ უფრო ფართოა და ცენტრალურ აზიასა და კავკასიასაც მოიცავს. ამ მოედანზე მესამე მხარის ყველაზე მნიშვნელოვან მოთამაშეებს ევროპული ქვეყნები, ირანი, თურქეთი, ჩინეთი და ნავთობის ყველაზე დიდი მწარმოებლები წარმოადგენენ, ხოლო თამაშის დროს იყენებენ როგორც კონკურენციის, ისე თანამშრომლობის წესებს. აღსანიშნავია, რომ ხშირად პოლიტიკური თვალსაზრისით წინააღმდეგობრივ საკითხს ნავთობსადენის გაყვანის თაობაზე თავისი დადებითი მხარეც გააჩნია, ხოლო ხანდახან, კასპიის ნავთობსადენის კონსორციუმის შემთხვევაში, ამერიკის შეერთებული შტატები და რუსეთი შეთანხმებულადაც კი მოქმედებდნენ. მაგრამ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის, საქართველოს ტერიტორიაზე გამავალი უმსხვილესი ნავთობსადენის, შემთხვევაში საქმის ვითარება სულ

სხვაგვარად იყო: ეს ნავთობსადენი თავიდანვე აღიზიანებდა რუსეთს, განსაკუთრებით კი ქვეყნის საგარეო საქმეთა სამინისტროს, რაც რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესების კიდევ ერთი საბაბი გახდა.

ბუნებრივია, კავკასიაში აშშ-ის ინტერესთა სფეროში არა მხოლოდ ნავთობი შედის და ბოლო წლების განმავლობაში ეს სფერო მნიშვნელოვნად გაფართოვდა კიდეც. ბრენდა შაფერი და სხვა მკვლევრები აღნიშნავენ, რომ 11 სექტემბრის შემდეგ საქართველომ და აზერბაიჯანმა (უფრო მეტად, ამ უკანასკნელმა) განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინეს ვაშინგტონისათვის ტერორიზმთან ბრძოლის კონტექსტში.[22] ამრიგად, ბუშის ადმინისტრაციის მიერ განხორციელებული ბრძოლა, გაეუქმებინათ კონგრესის მიერ დაწესებული შეზღუდვები აზერბაიჯანისათვის დახმარების გამოყოფის თაობაზე, გამოწვეული იყო არა ნავთობთან დაკავშირებული ინტერესებით, არამედ საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემით; ამავე მიზეზის გამო პენტაგონმა უფრო ყურადღებით განიხილა ამ ქვეყნების როლი აშშ-ის სტრატეგიულ გეგმებში. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ აშშ და რუსეთი ერთნაირად არიან შეწუხებული საერთაშორისო ტერორიზმის პრობლემით და მასთან ბრძოლის სფეროში ბევრი მიმართულებით თანამშრომლობენ კიდეც, მათი წარმოდგენები კავკასიაში არსებული საფრთხის ფაქტორებსა და მათთან ბრძოლის მეთოდებზე ნაკლებად ემთხვევა ერთმანეთს. მიუხედავად ხსენებულ საკითხზე აშშ-სა და რუსეთის მსგავსი პოზიციებისა, მათ აქვთ განსხვავებული შეხედულება ტერორიზმის წყაროებსა და კავკასიის კონფლიქტებზე, რაც საქართველოს არ აძლევს საშუალებას, გარკვეული ურთიერთობა ჩამოაყალიბოს ერთ-ერთთან ისე, რომ თავი აარიდოს მეორის ზეწოლას. შედეგად, ტერორიზმთან ბრძოლა არ უქმნის საქართველოს არც აშშ-სთან ურთიერთობების განმტკიცების მყარ საფუძველს და არც რუსეთთან საქმის დაჭერის ხელსაყრელ პირობებს.

როგორც წესი, საქართველოც, აზერბაიჯანიცა და სომხეთიც რუსეთსა და შეერთებულ შტატებს რეგიონში მთავარ ფიგურებად თვლიან. რეგიონში არსებული კრიზისული სიტუაციის, მოსახლეობის გაღიზიანებისა და არსებული ქაოსის გამო ბუნებრივი იქნებოდა,

[22] Brenda Shaffer, ''U.S. Policy, '' in Lynch, *The South Caucasus*, pp. 58-59.

დახმარება და ცივ გონებაზე მიღებული გადაწყვეტილებები გარე პირებისგან მოდიოდეს. მაგრამ რადგანაც არც მოსკოვი და არც ვაშინგტონი არ აღიქმება ერთნაირად კეთილგანწყობილ პარტნიორად, თბილისი, ბაქო და ერევანი იძულებულნი არიან, მათ შორის არჩევანი გააკეთონ და შემდეგ არჩეული ქვეყნის კეთილგანწყობა მოიპოვონ. მაგრამ ის ფაქტი, რომ აშშ-სთან სრულყოფილი ალიანსი შეუძლებელია, ხოლო ანალოგიური ალიანსი რუსეთთან — არასასურველი (სომხეთისთვისაც კი), ამიერკავკასიის ამ ქვეყნებს აიძულებს, შეინარჩუნონ ურთიერთობები ორივე ძალასთან. ვიმეორებთ: რეალობა მკაცრია და სიფრთხილეს მოითხოვს.

ამგვარად, საქართველოს წინაშე მდგარი უსაფრთხოების პრობლემის ორმაგ ბუნებას — "სახელმწიფოებრიობის სიმყიფე" და "არასტაბილური გარემოცვა" — ურთიერთდაკავშირებულ საკითხთა ურთულესი კომპლექსი უდევს საფუძვლად. იმის გამო, რომ სახეზეა სახელმწიფოებრიობის პრობლემის მრავალი ჩახლართული ასპექტი — რთულია, მაგრამ არა შეუძლებელი — აიხსნას, თუ რატომ გააკეთა საქართველომ ასე ცოტა რამ მის წინაშე მდგარი პრობლემის გადასაწყვეტად საჭირო სტრატეგიული დოქტრინის გააზრებისა და ფორმულირებისათვის. მის მიერ დამუშავებულ ნაწილში დავით დარჩიაშვილი განიხილავს ამ მიმართულებით გადადგმულ რამდენიმე წარუმატებელ ნაბიჯს – თავდაცვის დოქტრინის მსგავსი დოკუმენტის შემუშავების სხვადასხვაგვარ მცდელობას. არც ერთ მათგანს – 1997 წელს საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული ე. წ. "სამხედრო დოქტრინით" დაწყებული, 2003 წელს მთავრობის მიერ განხორციელებული უნაყოფო მცდელობით დამთავრებული – პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია. ყველა ეს დოკუმენტი, მათ შორის, 2002 წელს სამხედროების მიერ გამოცემული "თეთრი წიგნი" და 2000 წლის ოფიციალური დოკუმენტი "მომავლის ხედვა და სტრატეგია" ან არ იყო სათანადოდ მომზადებული პოლიტიკური მაღალი წრეების მიერ იმისათვის, რომ მათ საყოველთაო აღიარება მოეპოვებინათ, ან საკმაოდ არაზუსტი იყო და არ მიესადაგებოდა საქართველოს მკაცრ რეალიებს.

2000 წლის დოკუმენტში "მომავლის ხედვა და სტრატეგია" ზოგადადაა საუბარი საქართველოს მოქალაქეებში "კონსტიტუციის ერთგულებისა და საერთო მოქალაქეობის" გრძნობის განმტკიცებაზე

და "რეგიონებსა და ხალხში ეროვნული ერთიანობის გრძნობის გაძლიერებით სახელმწიფოს კონსოლიდაციაზე".[23] ამ დოკუმენტში მითითებულია, აგრეთვე, რომ აუცილებელია "გრძელვადიანი ეროვნული პროგრამის" მიღება. ყოველივე ეს პრობლემას კი აყენებდა, მაგრამ არ აანალიზებდა მას; გამოყოფდა ამოცანას, მაგრამ არ აღწერდა მის შემადგენელ ნაწილებს. ზოგადი პრინციპების — ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა, ადამიანის უფლებების დაცვა, ბლოკადების მოხსნა და გარემოს დაცვა – ჩამოყალიბება კარგია, მაგრამ ეს, საუკეთესო შემთხვევაში, მხოლოდ ორიენტირია და არა საფრთხის ანალიზისა და მასზე რეაგირების სტრატეგიის შემუშავებისათვის საჭირო ამოსავალი წერტილი

დავით დარჩიაშვილი აღნიშნავს, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი გუნდი შეუდგნენ უსაფრთხოების ეროვნული კონცეფციის შემუშავებას, რომელიც განიხილავს საქართველოს წინაშე მდგარ კონკრეტულ პრობლემებს. 2005 წლის გაზაფხულისათვის იგი თითქმის დასრულებული იყო. შეძლებენ თუ არა ქვეყნის ლიდერები თავიანთი წინამორბედების შეზღუდულობის დაძლევას, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად მოახერხებენ ისინი მიზნის მიღწევას და გარდასული წლების აპათიისა თუ ბიუროკრატიული ინდიფერენტულობის დაძლევას. დავით დარჩიაშვილი მიიჩნევს, რომ ამ სფეროში ძირითადი მამოძრავებელი პრინციპების არარსებობის პირობებში ძალზე ძნელია ქმედითი სამხედრო სტრატეგიის შემუშავება, სამხედრო ძალების აუცილებელი რაოდენობის დადგენა და ამოცანების გადანაწილება. 2000 წლის კონცეფცია "მომავლის ხედვა და სტრატეგია" სტრატეგიის საკითხებს ცალკე ნაწილში განიხილავს, სადაც უფრო ნათლადაა ნაჩვენები კავშირი მოთხოვნილებასა და დაკმაყოფილებას შორის. დოკუმენტში წერია, რომ საქართველოს უნდა გააჩნდეს უნარი, დაიცვას მის ტერიტორიაზე არსებული მილსადენები, "განსაზღვრული ძალებით გაუმკლავდეს შეტევას", თავიდან აიცილოს "სასაზღვრო ზონებში მცირე ჯგუფების შეღწევა" და აღმოფხვრას "მეზობელ ქვეყნებში ძალადობის აფეთქების შედეგად წარმოშობილი შესაძლო არეულობები და ვნებათაღელვა სასაზღვრო ზონებში". დოკუმენტში გაკვრითაა ნახსენები, რომ

[23] Georgia and the World: A Vision and a Strategy for the Future", October 10, 2000.

ქვეყანას აუცილებლად უნდა ჰყავდეს ისეთი ჯარი, რომელიც "წინ აღუდგება ნებისმიერი სახის შეიარაღებული ძალების შეტევას, რომლის მიზანსაც საქართველოს დაყოფა, მისი პოლიტიკური სისტემის ან მმართველობის ფორმის ძალისმიერი გზით შეცვლა წარმოადგენს"; მაგრამ დოკუმენტის სხვა ნაწილებში უფრო რეალისტური საუბარია: ქვეყანას უნდა "შეეძლოს, გაუმკლავდეს საფრთხეს საერთაშორისო საზოგადოებრიობისაგან დახმარების მიღებამდე."[24] თუმცა დავით დარჩიაშვილი აღნიშნავს, რომ ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი თავდაცვის სფეროში პრაქტიკული და კარგად ჩამოყალიბებული პოზიციების შესამუშავებლად.

გარესამყარო

თუკი ქართველების მცდელობა, გარკვეულიყვნენ მათი ქვეყნის წინაშე მდგარი უსაფრთხოების რთულ ამოცანებში, მარცხით დამთავრდა, შეძლეს თუ არა გარე ძალებმა, დაედგინათ საქართველოსადმი თავიანთი ინტერესი და ეპოვათ ოპტიმალური გზები მის დასაცავად? — როგორც დამიენ ჰელი და გიორგი გოგია თავიანთ ნაწილში ამტკიცებენ, ბოლო დრომდე მათ ბევრი ვერაფერი შეძლეს. საბჭოთა კავშირის დაშლიდან კარგა ხნის მანძილზე ევროპელებმა და ამერიკელებმა არათუ მთელი სისრულით ვერ აღიქვეს საქართველოსა და რეგიონის პრობლემები, არამედ, ქართველებისაგან განსხვავებით, დიდი ხნის განმავლობაში ჯეროვნად ვერც კი აფასებდნენ აქ არსებულ ინტერესებს.

ამერიკელებისა და ევროპელების გასამართლებლად უნდა ითქვას, ამ ინტერესების შეფასება საკმაოდ ძნელი იყო. ერთი შეხედვით, ნავთობი რომ არა, გარე ძალებისათვის უპრიანი იქნებოდა, გასცლოდნენ რეგიონში არსებულ ქაოსს, დაძაბულობასა და ჩამორჩენილობას და როგორც ეს ჩერნობილის რეაქტორთან დაკავშირებით მოხდა, პოლიტიკური "სარკოფაგი" აეშენებინათ. მიუხედავად იმისა, რომ ირანი და თურქეთი კავკასიას ესაზღვრება, მათ აქვთ მიზეზი, ყურადღება ამ რეგიონის გარეთ მდებარე, სხვა, უფრო მნიშვნელოვან

[24] "Georgia and the World".

პოლიტიკურ საკითხებზე გადაიტანონ. ევროპელებს კი საკმაო პრობლემები აქვთ თავიანთ სახლთან ახლოს თუ თვით სახლში. აშშ-ს ნაკლებად სჭირდება, მსოფლიოს კიდევ ერთ რეგიონში გაატაროს ცვლილებები და დაამყაროს წესრიგი. იქნებ, არც რუსეთისთვის ყოფილიყო ცუდი, გაურკვეველ მდგომარეობაში მყოფი კავკასიისაგან შორს დაეჭირათ თავი და ყურადღება სხვა ქვეყნებსა და რეგიონებზე გადაეტანათ, ისეთებზე, როგორიცაა: უკრაინა, ბელორუსი და ცენტრალური აზია — ეს რეგიონები ეკონომიკური, სტრატეგიული და პოლიტიკური თვალსაზრისით ბევრად მნიშვნელოვანია მათთვის.

ფაქტია, რომ არც ერთი ეს ქვეყანა მსგავსს არაფერს გააკეთებს, უპირველეს ყოვლისა, წარსული უმოქმედობის გამო – სხვადასხვა ვარაუდის, არასწორი მიდგომისა თუ მისწრაფების, სიმხდალის და იმ მოქმედებების გამო, რომლებმაც ისინი ამ სიტუაციამდე მიიყვანა. ასე რომ, სავარაუდოა, მოქმედ პირთა უმრავლესობა და, მათ შორის, რუსეთიც, მომავალშიც იგივე პოლიტიკას გაატარებს კავკასიასთან მიმართებაში, რასაც ადრე – თუ, რა თქმა უნდა, რეგიონში განვითარებული მოვლენები რადიკალურად არ შეიცვალა ან, როგორც ეს რუსეთში მოხდა, 2004 წლის ზაფხულსა და შემოდგომაზე ჩეჩნეთის ომთან დაკავშირებული ტერორიზმის ახალი ტალღა არ აიძულებს პუტინის ადმინისტრაციას, უეცრად უფრო მკაცრ პოლიტიკაზე გადავიდეს. ამას მოწმობს პუტინის ახლებური განცხადება, საჭიროების შემთხვევაში ჩეჩენ ან სხვა ქვეყნის ტერორისტებთან ბრძოლის რუსეთის საზღვრებს გარეთ წარმოების შესახებ და რუსეთის პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების გაუფრთხილებელი განცხადებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში რუსეთის პოზიციების გაძლიერების თაობაზე ამ ტერიტორიების დე ფაქტო სტატუსის ოფიციალური აღიარებით. მაგრამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ კავკასიის რეგიონის გარეთ მყოფი არც ერთი ქვეყანა, მათ შორის, რუსეთიც, არ არის დღესდღეობით მზად, მკვეთრი ზომები მიიღოს კავკასიაში თავისი ინტერესების დასაცავად. იმავდროულად, ჩანს, რომ არც ერთი მათგანი არც კავკასიის დატოვებას აპირებს. ამგვარად, ერთი მხრივ, მათ არ შესწევთ ძალა, შეცვალონ დღევანდელი ურთიერთობები, დააჩქარონ ცვლილებები ან ხელი შეუწყონ მშვიდობის დამყარებას. მეორე მხრივ, ისინი იმისთვის არ არიან მზად, რომ რისკზე წავიდნენ და არსებული არასტაბილურობა თავიანთ

სასარგებლოდ გამოიყენონ: გააძევონ კონკურენტები და შექმნან სტრატეგიული საყრდენი პუნქტები.

მეორე მიზეზი, თუ რატომ ვერ დაივიწყებენ სხვა ქვეყნები საქართველოსა და კავკასიას – რაც, თავისთავად, დადებითი ფაქტია – არის პოლიტიკოსებისა და ანალიტიკოსების არგუმენტები, რითაც ისინი ცდილობენ, თავიანთი მთავრობები დაარწმუნონ, ყურადღება მიაქციონ ამ რეგიონს. რა ადგილიც უნდა ეჭიროს კავკასიას მსოფლიოს საერთო სისტემაში, იქ განვითარებულმა მოვლენებმა – დადებითმაც და უარყოფითმაც – შეიძლება ისეთი მასშტაბები მიიღოს, რომ ბრიუსელის, ბერლინის, პარიზის, ვაშინგტონისა და სხვების ინტერესი ნამდვილად გაამართლოს. ჩვეულებრივ, ინტერესთა სიის სათავეში ნავთობი და გაზი დგას. გაზი უფრო ევროპელებისთვისაა მნიშვნელოვანი, ნავთობი – ამერიკისთვის, ირანის, თურქეთისა და რუსეთისათვის კი – ორივე ერთად.[25] სიაში შემდგომ უკვე შეშფოთების მიზეზებია ჩამოთვლილი: ნარკოტიკების, იარაღისა და სხვა მსგავსი ნაკადები, განსაკუთრებით განდგომილ ტერიტორიებზე და მათ გარშემო; აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გადაუჭრელი კონფლიქტების განახლების რისკი და ტერორისტების მიერ ამ ტერიტორიების პლაცდარმად გამოყენების შესაძლებლობა. ირანს, თურქეთსა და რუსეთს საშუალება აქვთ, თვალყური ადევნონ, თუ როგორ შეაღწევს რეგიონში აღმოცენებული არასტაბილურობა მათ საერთო საზღვრებში, ხოლო 2007 წელს ბულგარეთისა და რუმინეთის ევროკავშირში შესვლის შემდეგ ევროპელებიც კავკასიის უშუალო მეზობლები გახდებიან. როგორც დამიენ ჰელი და გიორგი გოგია აღნიშნავენ, ევროპა არასდროს იგრძნობს სრულიად უსაფრთხოდ თავს, თუ კავკასია მისი უსაფრთხოების ზონის მიღმა აღმოჩნდება.

ამერიკელებს 11 სექტემბრის შემდეგ სხვა საფიქრალი გაუჩნდათ: ისინი ამ რეგიონს, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანს, ტერორიზმის

[25] ხშირად ამტკიცებენ, რომ აშშ სინამდვილეში დიდად არ არის ამ რეგიონით დაინტერესებული, მას არც მისი ნავთობი აინტერესებს, რადგანაც ამერიკის ბაზარზე ამ რეგიონიდან შემოსული ნავთობის რაოდენობა ამერიკის მიერ იმპორტირებული ნავთობის მთლიანი რაოდენობის ძალზე მცირე ნაწილს შეადგენს. მაგრამ ამ დროს ყურადღების მიღმა რჩება ის ფაქტი, რომ რეალურად აშშ-ს აინტერესებს, მსოფლიო ბაზარს ნავთობის მაქსიმალური რაოდენობა მიეწოდებოდეს.

წინააღმდეგ წარმოებულ ახალ ომში ბასტიონის როლს ანიჭებენ. აშშ-ს არცთუ ისე ბევრი სახელმწიფო ჰყავს მოკავშირედ, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა მუსულმანია. ასეთ სახელმწიფოებს ვაშინგტონი დიდ მნიშვნელობას არა მხოლოდ მათი პლაცდარმად გამოყენებისათვის ანიჭებს, არამედ სხვა ქვეყნებისათვის მაგალითის მისაცემად. ცხადია, რუსეთი ამ რეგიონს თავისი შიდა ინტერესების განუყოფელ ნაწილად მიიჩნევს – ჩეჩნეთის ომით დაწყებული, მისი შეიარაღებული ძალების განთავსებით დამთავრებული; რუსეთისათვის ეს რეგიონი მისი სახელმწიფო მონოპოლიების, ტელეკომუნიკაციაში, ენერგეტიკასა და სხვა სფეროებში მოქმედების კორპორაციების პოტენციური არეალია.

დამიენ ჰელისა და გიორგი გოგიას მიაჩნიათ, რომ მთელი რიგი ინიციატივებისა და მნიშვნელოვანი დახმარების მიუხედავად, ბოლო ათი წლის განმავლობაში არც ევროპელები და არც ამერიკელები სათანადოდ არ აფასებდნენ საქართველოს პრობლემებს. მართალია, აშშ და ევროპა საქართველოს უფრო მეტ დახმარებას უწევდნენ (ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით), ვიდრე რომელიმე პოსტსაბჭოთაქვეყანას, მაგრამ ისინი არ ჩქარობდნენ, მტკიცედ დაეყენებინათ საკითხი, ეს დახმარება უშუალოდ ინსტიტუციონალურ გარდაქმნებსა და კორუფციასთან სერიოზულ ბრძოლას მოხმარებოდა. ისინი თანაუგრძნობდნენ საქართველოს დაკარგული ტერიტორიების გამო, მაგრამ არ სურდათ, თავის თავზე აეღოთ დამკვირვებელთა საერთაშორისო ჯგუფის შექმნის ინიციატივა, რომელიც საქართველოს რუსეთზე დამოკიდებულებას შეამცირებდა. მთელ რიგ შემთხვევებში და, მათ შორის, ხელახალი დაძაბულობის წარმოქმნისას 2004 წელს, ისინი ცდილობდნენ, ეკონტროლებინათ სამხრეთ ოსეთის ფეთქებადი სიტუაცია, მაგრამ არ სურდათ, კონფლიქტის გადაწყვეტაში უფრო აქტიურად ჩასართავად ეუთოს ინიციატივებისათვის დაეჭირათ მხარი. ევროკავშირში თავიდან "ამიერკავკასიისათვის სტრატეგიის" შემუშავების თაობაზე საუბრობდნენ, მაგრამ შემდეგ ეს საკითხი ღიადვე დატოვეს. აშშ მხარს უჭერდა საქართველოს მოსკოვსა და თბილისს შორის ურთიერთობების გამწვავების მომენტებში, მაგრამ არ ცდილობდა, შუამავლის როლი ეკისრა ამ ორი ქვეყნის სამომავლო ურთიერთობების დარეგულირებაში.

"ვარდების რევოლუციის" შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა აშშ-ის, ევროკავშირისა და ჩრდილოატლანტიკური ალიანსის აქტივობა.

შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდისათვის დამახასიათებელი "დონორების დაღლილობის" სინდრომი ეკონომიკური დახმარების ახალმა ტალღამ შეცვალა: ასე მაგალითად, 2004 წელს ბრიუსელში გამართულ დონორების კონფერენციაზე საერთაშორისო საზოგადოებრიობამ საქართველოსათვის 1 მილიარდი აშშ დოლარის გადაცემის ვალდებულება იკისრა. ამას გარდა, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსმა და ევროკავშირმა უფრო აქტიური ქმედებები დაიწყო ამ ქვეყანასთან მიმართებაში. ამ ორივე ორგანიზაციამ დაჩქარებულ რეჟიმში შეიმუშავა თანმიმდევრული სამოქმედო გეგმა, რომლის განხორციელება საქართველოს მათი ორგანიზაციების მოთხოვნებსა და პრაქტიკულ საქმიანობას მიუახლოებდა. 2005 წლის მაისში პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის (პირველი ამერიკელი პრეზიდენტი, რომელიც საქართველოს ესტუმრა) ვიზიტმა ნათლად გაუსვა ხაზი ვაშინგტონის სურვილს, გამოხატოს სიმპათია ახალი რეჟიმისადმი და იმავდროულად — თავისი შეშფოთება თბილისისადმი მოსკოვის მკაცრი პოზიციის გამო.

მასშტაბურია სამომავლო ამოცანები და თუ ევროპასა და აშშ-ს ნამდვილად სურთ ცვლილებების განხორციელება, მათ მოუწევთ ბევრად მეტის გაკეთება, ვიდრე გააკეთეს. დასავლეთის დახმარება, უპირველეს ყოვლისა, უნდა მოხმარდეს სახელმწიფოებრიობის შენებასა და ისეთი ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, რომლებიც შეძლებენ კორუფციასთან ბრძოლას და მთავრობისადმი ხალხის ნდობის აღდგენას; მაგრამ ასევე საჭიროა, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გაყინული კონფლიქტების გადაწყვეტისაკენ სწრაფვაც. დამიენ ჰელისა და გიორგი გოგიას აზრით, დასავლეთი აცნობიერებს: გარესამყაროს აქ რაიმეს შეცვლა მხოლოდ მრავალმხრივი ძალისხმევით თუ შეუძლია – ანუ თუ ყველა მხარის, მათ შორის, რუსეთის, რესურსები და გავლენა იქნება გამოყენებული. ისინი აღნიშნავენ, რომ, სამწუხაროდ, რუსეთი, ფაქტობრივად, არასდროს უჭერდა მხარს ასეთ მრავალმხრივ მიდგომას, დასავლეთმა კი ძალზე ცოტა რამ გააკეთა იმისათვის, რომ მრავალმხრივი მიდგომის ეფექტურობა დაემტკიცებინა. სიტუაციის გამოსწორება ვერ შეძლო 2005 წლის იანვარში საქართველოს მთავრობის მიერ შეთავაზებულმა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების, უპრეცედენტო დათმობების შემცველმა გეგმამაც. ამ გეგმას დადებითად შეხვდნენ ევროპაც და ამერიკის შეერთებული შტატებიც, მაგრამ მოსკოვში ვიზიტით მყოფმა სამხრეთ ოსეთის

ლიდერმა ედუარდ კოკოითმა ეს გეგმა ცალსახად უარყო და მისი მოსკოველი მასპინძლები არც კი შეეცადნენ მის გადარწმუნებას.

საქართველოს დასავლეთთან ურთიერთობისას კვლავ რჩება ერთი მტკივნეული მომენტი, რაზეც ამ წიგნის ბევრი ავტორი ამახვილებს ყურადღებას: საქართველო მერყეობს დასავლურ სამყაროში ინტეგრაციის იმედსა და დასავლეთის (რომელსაც ვერ გადაუწყვეტია, მტკიცედ აღუთქვას საქართველოს, რომ ეს ნამდვილად მოხდება) არაუსაფუძვლო ყოყმანს შორის. დასავლეთზე ორიენტირებულ საქართველოს ახალ ხელისუფლებას არათუ მხოლოდ სურს, საქართველო ნატოსა და ევროკავშირის წევრი გახდეს, არამედ იმედი აქვს, რომ ეს უახლოეს მომავალში მოხდება. ვაშინგტონსა და ბრიუსელს არ სურთ, ცივი წყალი გადაასხან საქართველოს და შეუმცირონ რეფორმების გატარების სტიმული, მაგრამ ისინი ჯერ კიდევ არ არიან მზად, საბოლოოდ განსაზღვრონ საქართველოს მომავალი. ამგვარი ორმაგი დამოკიდებულება აისახება ისეთ პოზიტიურ წამოწყებებშიც, როგორიცაა საქართველო-ნატოს ურთიერთთანამშრომლობის გეგმა და ევროკავშირის მიერ შემუშავებული კეთილმეზობლობის ახალი ევროპული პოლიტიკა. ეს დოკუმენტები დასავლეთის დამოკიდებულების შიდა გაორებაზე მეტყველებს. ამგვარ დაურწმუნებლობას ის რისკიც ახლავს, რომ საქართველო აღმოჩნდება უშედეგოდ მომლოდინე – იმ მდგომარეობაში, რომელშიც იმყოფებოდა უკრაინა დიდი ხნის განმავლობაში ნატოსა და ევროკავშირთან მიმართებაში და რომელმაც მხოლოდ "ნარინჯისფერი რევოლუციის" შემდეგ დაიწყო შეცვლა.

რა მნიშვნელოვანიც უნდა იყოს ყველა ეს შეხედულება, მათში ჯეროვნად არ არის შეფასებული გარესამყაროს, მათ შორის აშშ-ისა და ევროპის, დაინტერესება საქართველოსა და მისი მეზობლების ბედით. მათი დაინტერესებულობის ხარისხის შესაფასებლად მხედველობაში უნდა მივიღოთ პოსტსაბჭოთა სივრცეში მიმდინარე პროცესები. ის, რაც ოდესღაც საბჭოთა კავშირს წარმოადგენდა, ახლა აღარ არის ერთიანი ორგანიზმი. ეს არის მუდმივად დაშლის პროცესში მყოფი სივრცე, სადაც სახელმწიფოებს თავიანთი ქვერეგიონები პრობლემებს უქმნიან, შორდებიან რუსეთის ბირთვს და ხშირად მშფოთვარე სამეზობლოს ერწყმიან. პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ტენდენციები ძალზე ჰგავს ერთმანეთს და ამგვარი

დაშლის მიუხედავად ეს ნაწილები ურთიერთქმედებენ და საერთაშორისო საზოგადოებრიობისათვის ერთიან რთულ შენაერთს ქმნიან. ამ თვალსაზრისით საქართველოსა და მისი მეზობლების პრობლემებს უფრო დიდი მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე ეს გარეშე დამკვირვებლების უმრავლესობას ჰგონია; ეს მნიშვნელობა სამ რამეში გამოიხატება: პირველ რიგში, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ევროპასა და აშშ-ში უსაფუძვლოდ მიიჩნიეს, რომ ახლადაღმოცენებული სახელმწიფოების უმრავლესობა მალე "დემოკრატიზაციის მესამე ტალღას შეერწყმებოდა", ანუ მათ საბაზრო ეკონომიკაზე დაფუძნებული ღია, დემოკრატიული პოლიტიკური რეჟიმების შექმნის სურვილი გაუჩნდებოდათ. ბოლო წლების განმავლობაში გარე დამკვირვებლებს თითქოს თვალი აეხილათ პოსტსაბჭოთა ქვეყნების შეცდომებსა და მერყეობებზე. მაგრამ ვერც ერთმა მძლავრმა სახელმწიფომ, პოსტსაბჭოთა სივრცესთან ყველაზე ახლოს მდებარემაც კი, ვერ გააცნობიერა ის საფრთხე, რომ ახლადწარმოქმნილი სახელმწიფოების უმრავლესობა ამ ახალი საუკუნის მიჯნაზე არა ჭეშმარიტი (თუნდაც არასრულყოფილი) დემოკრატიის ფორმებს ირჩევდა, არამედ მის არალიბერალურ და ყალბ ვარიანტს. ვაშინგტონში, ბრიუსელსა თუ ტოკიოში (და, გასაკვირი არცაა, რომ არც პეკინსა და მოსკოვში) ბევრი პოლიტიკოსი არც დაფიქრებულა იმაზე, თუ რა საფრთხე შეიძლება მოუტანოს მათ ქვეყნებს პოსტსაბჭოური ქვეყნების დემოკრატიულ რელსებზე გადასვლის წარუმატებელმა მცდელობებმა.

"ვარდებისა" თუ "ნარინჯისფერ" რევოლუციებამდე და 2005 წლის მარტში ყირგიზეთში მომხდარ არეულობამდე სურათი ნაკლებად საიმედო იყო. ქვეყნებმა, რომლებმაც ძველი პოლიტიკური სახე შეინარჩუნეს – ბელორუსმა, თურქმენეთმა და უზბეკეთმა – არანაირი რეფორმა არ გაატარეს, მაგრამ ამის გამო ისინი არა თუ წარსულის გადმონაშთებით სავსე იზოლირებულ წრეში აღმოჩნდნენ, პირიქით, მათ ბევრი სხვა სახელმწიფოც შეუერთდა, რომელთაც მთლიანად თუ არა, ნაწილობრივ მაინც სურდათ მათი მიბაძვა. პრაქტიკულად, მთელი ცენტრალური აზია, მათ შორის ყირგიზეთიც, რომლის სახელმწიფო მეთაურიც თავდაპირველად დემოკრატიის გულწრფელი მიმდევარი იყო, თანდათანობით ჩამოშორდა ამ გზას: უარყო ღია პოლიტიკური კონკურენცია, ქმედითი პოლიტიკური პარტიები; პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისას გამჭვირვალობა და სიტყვის თავი-

სუფლება. 2004 წლის საპრეზიდენტო არჩევნების პირველი ტურის ჩატარებისას უკრაინა არათუ მიუახლოვდა, არამედ კიდევ უფრო დაშორდა დემოკრატიას. ხელისუფლება ყოველგვარ ზღვარს გადავიდა, რამაც საზოგადოების მხრიდან საქართველოს 2003 წლის მსგავსი რეაქცია გამოიწვია, მაგრამ კიდევ უფრო დრამატული შედეგებით. რუსეთის შემთხვევაში ცოტა თუ შეეძლო აეხსნა, თუ როგორ შეძლეს რუსებმა "მართული დემოკრატიის" დამკვიდრება ლიბერალური დემოკრატიის ნიღბის ქვეშ. კავკასიაში — სომხეთში და აზერბაიჯანში (და არა საქართველოში) — 2003 წელს ჩატარებული საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნები არასწორი მიმართულებით წარიმართა.

შესაძლებელია, საქართველოს, უკრაინისა და ყირგიზეთის რევოლუციები იმ ისტორიულ ტენდენციას წარმოადგენდნენ, რომელსაც შეუძლია, შეაჩეროს ან შემოატრიალოს დემოკრატიული რეფორმებისაგან დაშორებული პროცესები. მაგრამ ამისათვის ამ რევოლუციების მეთაურებმა უნდა დაამტკიცონ, რომ ისინი კვლავ ადგანან დემოკრატიზაციის გზას და მათ ძალუძთ მათ ქვეყანაში არსებული პრობლემების ნაწილობრივი გადაჭრა მაინც. მიუხედავად იმისა, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, მოახერხებს თუ არა სააკაშვილის მთავრობა მის წინაშე მდგარი კოლოსალური სირთულეების დაძლევას და შეძლებს თუ არა იგი, შეინარჩუნოს პლურალიზმი, ღია პოლიტიკა, გამჭვირვალობა და კონკურენტული ეკონომიკური გარემო – ხელისუფლებაში ისეთი ლიდერების მოსვლა, რომელთაც სწამთ, რომ ასეთი ღირებულებებით უნდა იხელმძღვანელონ, ანგრევს პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელ ზოგად არამართებულ ტენდენციებს.

გულუბრყვილობა იქნებოდა, გვეთქვა, რომ საქართველოსა და უკრაინაში განვითარებულ მოვლენებს (რომ აღარაფერი ვთქვათ ყირგიზეთზე) ძალუძს, სული შთაბეროს სხვა ქვეყნების საზოგადოებრიობას და დააფრთხოს მათი ავტორიტარი ლიდერები. თუნდაც იმიტომ, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, რამდენად მყარია ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებული ცვლილებები.[26] და მაინც, თუკი

[26] თუ ბელორუსის, ყაზახეთის, ტაჯიკეთის, აზერბაიჯანისა და რუსეთის ლიდერებს სურთ, თავიდან აიცილონ მოვლენათა განვითარების ქართული ვარიანტი, მათ უნდა იზრუნონ, რომ ოპოზიციამ ვერ შეძლოს ქუჩის დემონსტრაციების ორგანიზება, თუმცა, ამან არ გაამართლა ყირგიზეთში პოლიტიკური ქაოსისას, ბიშკეკში 2005 წლის მარტის მოვლენების დროს.

პოსტსაბჭოთა სივრცეში პროგრესული ცვლილებები ხორციელდება, ამას დიდი მნიშვნელობა აქვს სტაბილურობის შენარჩუნებისათვის როგორც ამ ტერიტორიაზე, ისე მთელ მსოფლიოში. მაშინ იმედის ყოველი გამობრწყინება – პოზიტივიზმის ყოველი გამომჟღავნებული ელემენტი – გარედან ძალიან ძლიერ მხარდაჭერას საჭიროებს. კიდევ იმიტომაც, რომ პოსტსაბჭოთა სივრცეში შიდა კავშირების მოშლის გამო ერთ სახელმწიფოს მეორეზე ზეგავლენა შეუძლია მოხდინოს მხოლოდ უშუალო მეზობლობაში. ამ სივრცეში ცვლილებები, მეტწილად, ქვერეგიონების დონეზე მიმდინარეობს და ყოველი ქვერეგიონისათვის თავისი საკუთარი სახელმწიფოს კონსტრუქციულობის მაგალითი მნიშვნელოვანი იქნებოდა – ისეთი სახელმწიფოსი, რომელმაც არ გადაუხვია ლიბერალიზმის გზიდან და გააგრძელა სვლა ჭეშმარიტი დემოკრატიისაკენ. იდეალურ შემთხვევაში, ცენტრალურ აზიაში ასეთი სახელმწიფო, შესაძლოა, ყაზახეთი (და არა ყირგიზეთი) ყოფილიყო, დასავლეთში – უკრაინა, კავკასიაში კი – საქართველო. მაგრამ მსოფლიოს უდიდესი ქვეყნების დედაქალაქებში ამგვარი შესაძლო ვარიანტიც კი ჯერ არ განხილულა.

მეორე, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებობს ცენტრიდანული ძალების შემაფერხებელი მნიშვნელოვანი ფაქტორი – ეს არის რუსეთი. რუსეთი კვლავაც რჩება იმ გარე ძალად, რომელიც უდიდეს ზეგავლენას ახდენს ყოველი პოსტსაბჭოთაქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე – ბალტიისპირეთის ქვეყნების გარდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი ყოფილ საბჭოთა კავშირთან (რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა წამყვან სახელმწიფოებზე) შედარებით სუსტი სახელმწიფოა, მას თავისი ახლადქმნილი მეზობლების დახმარებისა თუ ხელის შეშლის გაცილებით მეტი ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სამხედრო საშუალება აქვს, ვიდრე სხვა სახელმწიფოებს. იგი კვლავინდებურად მიიჩნევს, რომ მას ყოფილ პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებში მეტი ინტერესი აქვს, ვიდრე რომელიმე სხვა ქვეყანას. ამიტომაც, როდესაც ჩინეთი, ინდოეთი, პაკისტანი და აშშ თავიანთ ინტერესებს ახორციელებენ ცენტრალურ აზიაში (და მათ ეს ინტერესი ნამდვილად აქვთ), ირანი, თურქეთი, ევროკავშირი და აშშ — კავკასიაში, ხოლო აშშ და ევროკავშირი – უკრაინაში, მოლდოვასა და ბელორუსში – მათ აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ რუსეთის ფაქტორი, თუკი სურთ, რომ განახორ-

ციელონ ეფექტური პოლიტიკა. არც ერთ დაინტერესებულ მხარეს არ შეუძლია, იგნორირება გაუკეთოს რუსეთის თვალთახედვას ან მიიჩნიოს, რომ ესა თუ ის საკითხი თავისთავად გადაწყდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია მეორე მხარეც: მიუხედავად იმისა, რომ ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოების არსებობას რუსეთი თავდაპირველად უგულებელყოფდა, აშკარა იყო, რომ მისი პოლიტიკა და დამოკიდებულება მათ მიმართ განსაზღვრავდა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ზოგად მიმართულებებს და აუცილებლად იქონიებდა ზეგავლენას რუსეთის ურთიერთობებზე სხვა წამყვან სახელმწიფოებთან. "ცივი ომის" დროინდელი საყოველთაო მეტოქეობის დროს საბჭოთა კავშირის აშშ-სთან, ევროპასთან, ჩინეთსა და იაპონიასთან დაპირისპირება ელბაზე, ახლო აღმოსავლეთსა და ბირთვულ შეიარაღებაზე გადიოდა. "ცივის ომის" დასრულების შემდეგ, დიდი არეულობის დროს, ზემოხსენებული დაპირისპირება ირიბმა კონფლიქტებმა შეცვალა, რომელიც დაკავშირებული იყო რუსეთის სურვილთან, შეენარჩუნებინა გავლენა დამოუკიდებელ მეზობლებზე, დასავლეთს კი ამ ქვეყნებთან საკუთარი მიზნები გააჩნდა. ამიტომაცაა, რომ თუ აშშ-ს, ევროპას, ჩინეთს ან იაპონიას რუსეთთან წინააღმდეგობების დარეგულირება და ფართო თანამშრომლობა სურთ, მაშინ მათ მხედველობაში უნდა მიიღონ, რომ ზემოხსენებული რეგიონების გამო მათ რუსეთთან რთული ურთიერთობა ექნებათ. იგივე შეიძლება ითქვას რუსეთის დამოკიდებულებაზე სხვა სახელმწიფოების მიმართ.

1990-იან წლებში იზრდებოდა დაძაბულობა რუსეთსა და დასავლურ სამყაროს, განსაკუთრებით კი აშშ-ს, შორის. თანდათანობით პოსტსაბჭოურ სივრცეში განვითარებულმა მოვლენებმა სტრატეგიული დაპირისპირების ხასიათი მიიღო. ეს დაპირისპირება ეხებოდა მილსადენებს, ნატოს პროგრამის "პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში განხორციელებულ სამხედრო წვრთნებს, ორმხრივი ურთიერთობების ძირითად საკითხებსა და ნატოს პოლიტიკის საერთო მიმართულებას. 11 სექტემბრის შემდეგ პუტინის მშვიდი რეაქციის გამო, რომლითაც იგი თავდაპირველად შეხვდა აშშ-ისა და სხვა ქვეყნების სამხედრო ძალების განლაგებას ცენტრალურ აზიაში და აშშ-ის სპეციალური დანიშნულების ძალების განლაგებას საქართველოში, ისეთი შთაბეჭდილება შეიქმნა, თითქოს დაპი-

რისპირება დასრულდა. მაგრამ დღევანდელი გადმოსახედიდან სხვაგვარად ჩანს. პუტინი და მისი გუნდი ბოლო ორი წლის განმავლობაში მიგვანიშნებენ, რომ ისინი არ აპირებენ, დაუთმონ აშშ-ს ან რომელიმე სხვა გაერთიანებულ ძალებს თავისი გაბატონებული პოზიციები კავკასიაში, ცენტრალურ აზიაში ან საბჭოთა კავშირის დასავლეთით მდებარე ყოფილ სახელმწიფოებში. ხანდახან სამხედრო ძალის ან მკაცრი დიპლომატიის საშუალებით, უფრო ხშირად კი ეკონომიკური ბერკეტების გამოყენებით მოსკოვი გვიჩვენებდა, რომ მზადაა, კონკურენცია გაუწიოს ნებისმიერ გარე მოთამაშეს, განსაკუთრებით აშშ-ს, რომელიც, როგორც მიჩნეულია, რუსეთს ამ ტერიტორიაზე გავლენასა და ყოფნას ეცილება.

ამრიგად, თუ აშშ-სა და ევროპას სურთ, რუსეთსა და დასავლეთს შორის საუკუნეების განმავლობაში არსებული პრობლემა გადაიჭრას, ხოლო რუსეთი დასავლეთის სამყაროში ინტეგრირებულ სახელმწიფოდ იხილონ (თუ რუსეთი ამას თავადაც მოისურვებს), ამ ორ მხარეს პოსტსაბჭოური სივრცის კონსტრუქციული (და არა დესტრუქციული) ურთიერთქმედების ზონად გარდაქმნის გზების ძიება მოუწევს. არსად პოსტსაბჭოთასივრცეში არ დგას ეს საკითხი ისე მწვავედ, როგორც კავკასიაში და არც ერთ ქვეყანაში არ მიუღია მას ისეთი მტკივნეული ფორმა, როგორც საქართველოში. უკრაინა, უზბეკეთი და ყაზახეთი, ალბათ, უფრო სასურველ მონაპოვრად აღიქმება, მაგრამ აშშ-ის შესაძლო ყოფნა არც ერთ ამ ქვეყანაში (უკრაინის გარდა) არ იწვევს მოსკოვის ისეთ ძლიერ გაღიზიანებას, როგორც საქართველოში. რუსეთის ზრახვები კავკასიის რეგიონში, სხვა რეგიონებთან შედარებით, ყველაზე დამაფიქრებელია ვაშინგტონისათვის. არც ერთი სხვა ქვეყანა არ იწვევს რუსეთის ისეთ გაღიზიანებასა და მკაცრ ქმედებებს, როგორც საქართველო. აქედან გამომდინარე, იმის დადგენა, თუ როგორ უნდა ითანამშრომლონ (და არა პირიქით) ამერიკამ და რუსეთმა საქართველოში, მნიშვნელოვანია არა მარტო საქართველოს წინაშე მდგარი უსაფრთხოების პრობლემის მოსაგვარებლად, არამედ იმ უმნიშვნელოვანესი საკითხის გადასაწყვეტად, თუ როგორი ტიპის ურთიერთობა შეიძლება დამყარდეს მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისა და ევროკავშირის ურთიერთობები უფრო მრავალმხრივ და ღრმა შინაარსისად გვესახება, ეს პრობლემა გარკვეულწილად აქაც დგას.

მესამე, პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული ბევრი ქვეყნის მომავალი ჯერ კიდევ კითხვის ნიშნის ქვეშ რჩება. ჯერჯერობით ძნელია, ვიწინასწარმეტყველოთ, შეძლებს თუ არა ამ ახალი ქვეყნების უმრავლესობა ან თუნდაც ზოგიერთი მათგანი თავის ტერიტორიაზე სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური წესრიგის დამყარებას, ექნებათ თუ არა ქვეყანაში თუ მის გარეთ აღმოცენებული მტრობის კერების ჩახშობის უნარი, დაძლევენ თუ არა სხვადასხვა პრობლემებს, მოახერხებენ თუ არა დამოუკიდებლობის პერიოდში დამკვიდრებული ღირებულებებისა და ინსტიტუტების რღვევის შეჩერებას, აარიდებენ თუ არა თავს არასწორ პოლიტიკას, რის გამოც ბევრი რეგიონი ქაოსსა და ნგრევაში აღმოჩნდა. ბუნებრივია, რომ ზოგიერთ ქვეყანას ამ საფრთხეებთან გამკლავების უკეთესი შანსი აქვს; მთელი პოსტ-საბჭოთა რეგიონისათვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ რუსეთი იყოს ამგვარი ქვეყანა, თუმცა, როგორც ჩანს, ისიც არათანმიმდევრულად ვითარდება. თუ პოსტსაბჭოთა სივრცეში არის კიდეც ისეთი რეგიონი, რომლის მომავალიც ღრმა შეშფოთებას იწვევს, ეს ისევ კავკასიაა. ამ შემთხვევაში საქმე ძალზე მძიმედაა.

ამრიგად, თუკი წამყვანი სახელმწიფოები, არა მხოლოდ აშშ და ევროპა, არამედ ჩინეთი, იაპონია და, ამ შემთხვევაში, რუსეთიც, აღიარებენ იმ გაურკვეველი სიტუაციის დარეგულირების მნიშვნე-ლობას, რომელშიც პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები იმყოფებიან (ამ დარეგულირებით ხელი შეეწყობა მთელი მსოფლიოს სიცოცხლი-სუნარიანობასა და სტაბილურობას), მაშინ მათ მსოფლიოს ამ ნაწილში თავიანთ დაქსაქსულ, არათანმიმდევრულ და დაუსრულებელ მოქმედებებს თანამიმდევრულობა, ძალა და ინტენსივობა უნდა შემატონ.[27] თუ ისინი გააცნობიერებენ (წესით, ასეც უნდა იყოს), პოსტსაბჭოთა სივრცეში არსებული დაძაბულობისა და კონფლიქ-

[27] ევროპის, ჩინეთისა და იაპონიის პოლიტიკისათვის დამახასიათებელია ის, რომ არც ერთი ამ ქვეყანათაგანი არ მიიჩნევს, რომ მისი ინტერესები პოსტსაბჭოთა სივრცის ყველა ნაწილზე ვრცელდება. აქედან გამომდინარე, ჩინეთისა და იაპონიისათვის კავკასია გამოსულია მათი ინტერესების სფეროდან. ამ სერიით გამოსულ ერთ-ერთ წინა წიგნში მე დავასაბუთე, თუ რატომ არის არაშორს-მჭვრეტელური ამგვარი მიდგომა. იხ. Robert Legvold, ed., *Thinking Strategically: The Majot Powers, Kazakhstan, and the Central Asian Nexus* (Cambridge, MA: The MIT Press, 2003), იხილეთ, პირველ რიგში, შესავალი.

ტების ლიკვიდაციის აუცილებლობას, მაშინ ასეთი მუშაობა კავკასიიდან უნდა დაიწყოს. ამ ტერიტორიაზე ყველაზე მეტი უბედურება დატრიალდა: ომებით გახლეჩილი საზოგადოებები და გაყოფილი ქვეყნები, ეთნიკური ქიშპობა, კორუმპირებული პოლიტიკური რეჟიმები, რეფორმების მკვეთრი კრიტიკა, ეკონომიკის ნგრევა, ნარკოტიკებისა და იარაღის უკანონო ბრუნვა, ტერორისტები; კავკასიაში არსებულ ბუნებრივ რესურსებზე სხვა რეგიონებსაც უჭირავთ თვალი, მაგრამ ვინც ფლობს ამ რესურსებს, მზადაა, მიმართოს იგი მათ წინააღმდეგ, ვინც არ ფლობს მას.

ასეთ რთულ საქმეში პროგრესის მიღწევა პრობლემათა მოგვარების სწავლის ყველაზე კარგი საშუალებაა. ეს გარესამყაროს საშუალებას მისცემს, ყურადღება საქართველოსა და კავკასიისაკენ მიმართოს, რაც ოდენ რეგიონის მნიშვნელოვნობაზე მეტია. ახლა არ შევუდგებით იმ საკამათო არგუმენტის განხილვას, რომ საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრა — კერძოდ, კავკასიაში მშვიდობისა და სტაბილურობისათვის სეპარატიზმის პრობლემის მოგვარება უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მთიან ყარაბაღში არსებული სიტუაციიდან გამოსავლის ძიება. ორივე ეს საკითხი რეალურად წარმოადგენს ამ რეგიონში არსებული არასტაბილურობის ბირთვს. საერთაშორისო პოლიტიკა ამ რეგიონთან მიმართებაში არ შეიცვლება იქამდე, ვიდრე არ გადაიჭრება ეს ორი საკითხი; ამ კვანძის გასახსნელად საჭიროა მისი ჯერ ერთი ბოლოს გამოწევა, შემდეგ კი — მეორესი. კავკასიაშიც იგივე მეთოდის გამოყენება შეგვიძლია. მაგრამ არც ერთი მეთოდი არ იქნება საკმარისად შედეგიანი, თუ თავიდანვე არ განვმარტავთ, რაოდენ რთული და მრავალმხრივია საქართველოსა და მისი მეზობლების უსაფრთხოების უზრუნველყოფის სფეროში არსებული სიტუაცია.

ამისათვის მკითხველს ვთავაზობთ ავტორთა კოლექტივის მიერ შედგენილ ამ წიგნს. პირველი თავის ავტორი გია ნოდია ამ პრობლემის უფრო ღრმა, "შიდა" განზომილებას გვიჩვენებს: კავშირს წარსულის ტვირთსა და სახელმწიფოებრიობის მშენებლობას, რეფორმების გზაზე არსებულ პრობლემებსა და ჩავარდნებს შორის; რას ითვალისწინებენ ერთმანეთის შემცვლელი რეჟიმები ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის გადაწყვეტისას. ავტორისათვის მთავარ კონცეფციას წარმოადგენს "ეროვნული პროექტის" კონცეფცია, რაც მისთვის

ნორმატიული იდეალია, რომელიც განსაზღვრავს სახელმწიფო სუვერენიტეტისა და სასურველი პოლიტიკური წყობის წყაროებს. იგი მიიჩნევს, რომ "საქართველოში უსაფრთხოების არარსებობის" მთავარი მიზეზებია: დაპირისპირებული ეროვნული სამოქმედო გეგმების გაერთიანების უუნარობა, ეკონომიკის კრიმინალიზაცია და არაეფექტური კონსტიტუციური და ინსტიტუციონალური რეფორმა.

ნაშრომის მეორე თავის ავტორი, ქრისტოფ ციურხერი, განიხილავს საქართველოს მთავრობის წარუმატებელ მცდელობას, ხელი შეეშალა ძალადობის აღმოცენებისათვის დამოუკიდებლობის ჩამოყალიბების დროს, რაც, პირველ რიგში, 1991 წელს სამხრეთ ოსეთისა და 1993 წელს აფხაზეთის დაკარგვით დასრულდა. შემდეგ დავით დარჩიაშვილი აანალიზებს საქართველოს სამხედრო სტრატეგიის შემუშავების სხვადასხვა ეტაპებს. იგი, უპირველესად, განიხილავს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემის სამხედრო ასპექტს – მათ შორის, შეიარაღებული ძალების მშენებლობას, სტრატეგიული დოქტრინის შემუშავებას, სამხედრო და სამოქალაქო სტრუქტურებს შორის ურთიერთობების დარეგულირებას და მეამბოხე სამხედრო პირების დამშვიდებას. ნაშრომის მეოთხე თავში ჯაბა დევდარიანი განიხილავს საქართველოს უსაფრთხოების პრობლემის რუსულ ასპექტს; მეხუთე თავის ავტორი, ოქსანა ანტონენკო, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის როლს აშუქებს.

მეექვსე თავის ავტორები დამიენ ჰელი და გიორგი გოგია აანალიზებენ აშშ-ისა და ევროპის პოლიტიკას საქართველოსთან მიმართებაში, როგორც მათი კავკასიის უსაფრთხოების პრობლემის გადაჭრისადმი მიდგომის ერთ ნაწილს, მათ შორის სახელმწიფოებრიობის შენებისა და ეკონომიკური განვითარების საქმეში დახმარების გაწევას. ნაშრომის მეშვიდე თავში ტომ დე ვაალი საუბრობს იმაზე, რასაც შეიძლება ირიბი რეგიონალური ფაქტორები ეწოდოს. ეს ფაქტორები ართულებს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემას: საქართველოში ნავთობისა და გაზსადენების მშენებლობის პროექტებში სხვადასხვა მონაწილეთა ინტერესები დევს და ეს განხილულია ენერგეტიკისა და უსაფრთხოების ასპექტში; რეგიონალური კონფლიქტები, რომელშიც საქართველო შეიძლება პირდაპირ არც მონაწილეობდეს, მაგრამ რომელთა შედეგიც მასზე აისახება (მთიანი ყარაბაღი, სომხეთ-თურქეთი და

აზერბაიჯან-ირანი); უსაფრთხოების პრობლემასთან დაკავშირებული რეგიონალური ორგანიზაციები – ისეთები, როგორიცაა, საქართველოს, უკრაინას, აზერბაიჯანსა და მოლდოვას შორის არსებული მერყევი კავშირი (სუამი).[28] და ბოლოს, წინამდებარე წიგნის დასკვნით ნაწილში ჩემი თანაავტორი ბრუნო კოპიტერსი საქართველოს უსაფრთხოების პრობლემას ახალი კუთხით განიხილავს – იმ ჭრილში, რომელიც ცენტრსა და პერიფერიას შორის არსებული ურთიერთობების ცვალებად დინამიკას ასახავს, შემდეგ კი ავტორი მომავლის მისეულ ხედვას გვთავაზობს.

[28] სუუამი ისევ სუამად მას შემდეგ გადაკეთდა, რაც საქართველოსა და უკრაინაში მომხდარი რევოლუციების გამო უზბეკეთი აღარ განიხილავს ამ ქვეყნებს სასურველ პარტნიორებად.

საქართველო: მოწყვლადობის განზომილებები

გია ნოდია

საქართველო ფათერაკიან და არასტაბილურ ქვეყნად ჩამოყალიბდა მას შემდეგ, რაც 1991 წელს დამოუკიდებლობა მოიპოვა. მან ორი სისხლიანი და ხანგრძლივი სეცესიონისტური ომი გამოიარა და ორივე ცენტრალური ხელისუფლების დამარცხებით დამთავრდა. ამის შედეგად შეიქმნა გადაუწყვეტელი კონფლიქტის ორი ზონა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითგამოცხადებული რესპუბლიკების სახით, რომლებიც ერთად ქვეყნის ტერიტორიის დაახლოებით 15 პროცენტამდე შეადგენს. ეს ზონები პოლიტიკური გაურკვევლობის, საფრთხისა და დანაშაულის ინკუბატორებად იქცა, ხოლო მათი ომამდელი მოსახლეობის დიდმა ნაწილმა "იძულებით გადაადგილებულ პირთა" სტატუსი მიიღო.[1] 2004 წლის მაისამდე აჭარაც ქვეყნის შიგნით გაურკვეველი იურისდიქციის ზონას წარმოადგენდა. თუმცა დამოუკიდებლობა არასოდეს გამოუცხადებია, ის არც საქართველოს კონსტიტუციურ წესრიგს ემორჩილებოდა.

ამას ემატება ის, რომ მას შემდეგ, რაც კომუნისტებმა 1990 წლის არჩევნები წააგეს, საქართველოში ძალაუფლების კონსტიტუციური გადაცემა არ მომხდარა. სამაგიეროდ, ქვეყანამ გამოიარა ორი აჯანყება, რევოლუცია თუ სახელმწიფო გადატრიალება (ტერმინის არჩევანი პიროვნებაზეა დამოკიდებული): პირველი სისხლიანი, მეორე კი მშვიდობიანი და შედარებით მოწესრიგებული. პირველმა ეპიზოდმა ქვეყანაში რამდენიმე წლით ლამის ანარქია მოიტანა; მეორემ თბილისსა და აჭარას შორის კრიზისი გამოიწვია. იმ რეგიონებშიც კი,

[1] საქართველოს მოსახლეობის 2002 წლის აღწერით, საქართველოში 264 ათასი იძულებით გადაადგილებული პირი იყო, თუმცა ზოგ კომენტატორს ეს მონაცემი გაზვიადებული ჰგონია.

სადაც ხელისუფლების პოლიტიკურ კონტროლს აშკარად არ უპირისპირდებიან, მისი უნარი, ელემენტარული წესრიგი დაამყაროს და უსაფრხოება უზრუნველყოს, ეჭვქვეშაა. მაგალითად, პანკისის ხეობამ გარკვეულ პერიოდში ტერორისტებისა და კრიმინალების ნამდვილი თავშესაფრის რეპუტაცია შეიძინა. საქართველოს ყველაზე ძლიერ მეზობელთან და ყოფილ იმპერიულ ბატონთან, რუსეთთან ურთიერთობა უაღრესად არასტაბილური რჩება და რამდენჯერმე მიაღწია სამხედრო კონფრონტაციის ზღვარს. საქართველოს სახელმწიფო ხაზინის შემოსავალი მეტად მცირეა (თუნდაც მისი არსებითად დისფუნქციური ეკონომიკის ფონზე), ხოლო ხელფასები სახელმწიფო სექტორში, როგორც წესი, სასიცოცხლო მინიმუმზე დაბალია. რაღა გასაკვირია, თუ საქართველოს ხშირად "სუსტ" ან "არშემდგარ" სახელმწიფოს უწოდებდნენ.

ამ თავში ჩამოთვლილია საქართველოს არასტაბილურობისა და მოწყვლადობის ძირითადი წყაროები, მათ შორის "ობიექტური" მუქარები და გამოწვევები. ამ ობიექტურ საფრთხეებში ის რეალობები იგულისხმება, რომელთაც საქართველო საბჭოთა კავშირის ნანგრევებზე სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში შეეჯახა. ამ რეალობათა არსებობა არ იყო ქართული სახელმწიფოს, მისი პოლიტიკური ელიტის ან საზოგადოების მიერ გაკეთებულ არჩევანზე დამოკიდებული — აქ იგულისხმება ისეთი ფაქტორები, როგორიცაა საქართველოს გეოგრაფია, ქვეყნის სიდიდე და რესურსები, მისი ეთნიკური მრავალფეროვნება, ეთნიკურ უმცირესობათა განსახლების თავისებურებები, საბჭოთა ეთნიკური კვაზი-ფედერალიზმის მემკვიდრეობა. მაგალითად, ეთნიკური სეცესიონისტური კონფლიქტების მიზეზი ისეთ წინასწარ არსებულ ფაქტორთა კომბინაცია იყო, როგორიცაა ეთნიკური უმცირესობების არსებობა, რომლებიც არა მხოლოდ სასაზღვრო რეგიონებში იყვნენ თავმოყრილნი, არამედ თავიანთი ნაციონალისტური პოლიტიკური პროგრამების განხორციელებისას ეთნიკური პრინციპით შექმნილი ინსტიტუტების გამოყენება შეეძლოთ და მეზობელი რუსეთისგან სერიოზული მხარდაჭერაც ჰქონდათ. მაგრამ აქ შევეცდები "სუბიექტურ" ფაქტორებსაც გავუწიო ანგარიში – იმას, თუ როგორი რეაქცია მოახდინა საქართველომ ამ საფრთხეებსა და გამოწვევებზე. აქ იგულისხმება როგორც პოლიტიკური სტრატეგია, ისე ამ სტრატეგიის საფუძველზე მოქმედების უნარი: მოკლედ, სწორედ ის სფერო, რაშიც

საქართველომ "სუსტი" თუ "არშემდგარი" სახელმწიფოს იარლიყი დაიმსახურა. ამ შემთხვევაში ყურადღების ცენტრში ექცევა არა წინასწარ არსებული ვითარებების ანალიზი, არამედ ის, თუ როგორ მიუდგნენ მათ საქართველოს მოქმედი პირები.

საქართველოს წინაშე მდგომი საფრთხეების ანალიზი შეიძლება საგარეოდ და საშინაოდ გაიყოს. საგარეო საფრთხეთაგან ყველაზე თვალსაჩინო საქართველოსთვის მის ყოფილ იმპერიულ ბატონთან, რუსეთთან ურთიერთობაა. საქართველოს დამოუკიდებლობის შემდეგ გასული წლების მანძილზე ეს ურთიერთობები ძირითადად ცუდი, ხოლო რაღაც პერიოდებში მეტად მწვავე იყო. რაკი საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ამ გამოცემის სხვა ნაწილებშია განხილული,[2] აქ რუსეთის ფაქტორს მხოლოდ იმდენად განვიხილავ, რამდენადაც ის საქართველოს საშინაო საფრთხეებს უკავშირდება.

საქართველოს ეროვნული პროექტი

როდესაც საფრთხეებსა თუ უსაფრთხოებაზე ვსაუბრობთ, ყოველთვის რომელიმე სუბიექტის უსაფრთხოებას ვგულისხმობთ: ეს შეიძლება იყოს ინდივიდი, ჯგუფი ან პოლიტიკური ერთეული. პოლიტიკური ანალიზისას უსაფრთხოებაზე უფრო ხშირად სახელმწიფოსთან მიმართებაში საუბრობენ. ჩეულებრივ იგულისხმება, რომ სახელმწიფოებს მეტ-ნაკლებად მსგავსი ინსტერესები აქვთ, ხოლო მათი განსხვავება ამ მხრივ მეტწილად ობიექტურ ფაქტორებზეა დამოკიდებული: ისეთზე, როგორიცაა სახელმწიფოს სიდიდე, გეოგრაფიული მდებარეობა ან რესურსები.

თუმც ამ ფაქტორებს გარკვეული მნიშვნელობა აქვთ სახელმწიფოს უსაფრთხოების პრობლემატიკის განხილვისას, ისინი მათ ბოლომდე მაინც ვერ განსაზღვრავენ. სახელმწიფოები ადამიანთა ერთობლიობებს – "ერებს", "ხალხებს", "მოსახლეობებს" (ან მათ "ელიტებს") ეკუთვნის. სხვადასხვა ხალხებმა ან ელიტებმა შეიძლება სხვადასხვაგვარად განსაზღვრონ, თუ როგორი საზოგადოებრივი წესრიგი უნდათ ან რა შეადგენს მათი ქვეყნის "ეროვნულ ინტერესს". ეროვნული ინტერესის განსაზღვრის ამ პროცესთან დაკავშირებით

[2] იხ. ჯაბა დევდარიანის და ოქსანა ანტონენკოს მიერ დაწერილი თავები ამავე წიგნში.

შემოვიტან "ეროვნული პროექტის" ცნებას — ნორმატულ იდეას, რომელიც იმ საზოგადოებრივი წესრიგის ბუნებას გამოხატავს, რომლის განსაზღვრა და დაცვაც სახელმწიფო ინსტიტუტებს ევალება; იგი აგრეთვე ადგენს, თუ ვინ მართავს ზემოხსენებულ ინსტიტუტებს. ის, რასაც ჩვეულებრივ *ეროვნულ ინტერესებს* უწოდებენ, სწორედ ამ პროექტის გარკვეული გაგებიდან მომდინარეობს.

ეროვნული პროექტი გამოხატავს სხვადასხვა ადამიანის (ან მათი სახელით მოქმედი ელიტების) წარმოდგენებს, ისევე როგორც საზოგადოებაში ან მის რომელიღაც ნაწილში გავრცელებულ ღირებულებებს, იდეოლოგიებსა თუ ორიენტაციებს. ადამიანებს შეიძლება იმგვარი სახელმწიფოს შექმნა უნდოდეთ, რომელიც ცდილობს, აქტიური გავლენა მოახდინოს მათი ქვეყნის საზღვრებს გარეთ არსებულ სამყაროზე, ან მათ შეიძლება ერჩივნოთ, საერთაშორისო წესრიგის, როგორც ერთგვარი ფასეულობის, პასიური მომხმარებლები იყვნენ. მათ შეიძლება სურდეთ შექმნან "ეროვნული სახელმწიფო" გარკვეული ხალხისთვის (ანუ ერისთვის) – ან მათი სახელმწიფოს ამოცანად სხვადასხვა ერის გაერთიანებას სახავდნენ; შეიძლება უნდოდეთ, მათი სახელმწიფო ლიბერალურ და დემოკრატიულ, ან პატრიარქალურ, კომუნიტარულ ან სულაც რომელიმე სხვა ღირებულებებზე იყოს დაფუძნებული.

მათი არჩევანიდან გამომდინარე, სახელმწიფოებს და მათ ქვემდებარე საზოგადოებებს მეტად განსხვავებული პრობლემები ექმნებათ უსაფრთხოების დარგში: გარკვეული ფაქტორები, რომლებსაც ესა თუ ის ერი ეროვნულ საფრთხედ აღიქვამს, ასეთად იქნებ არც ჩათვლილიყო, ეროვნული პროექტი სხვაგვარად რომ იყოს ფორმულირებული. მაგალითად, თუ ადამიანთა ჯგუფის მიზანი ეთნიკური თვითგადარჩენა, ანუ საკუთარი იდენტობის შენარჩუნებაა, სულაც არაა აუცილებელი, მას იგივე პრიორიტეტები ჰქონდეს, რაც სხვა მხრივ მსგავს ჯგუფს, რომლის სურვილიც სრულფასოვანი, გაერო-ში წევრობის მქონე ეროვნული სახელმწიფოს შექმნაა; ამიტომ მას საფრთხეებისა და გამოწვევების სხვა ერთობლიობა ექნება. ერი, რომელსაც ზესახელმწიფოს ამბიცია აქვს, "ეროვნულ საფრთხედ" აღიქვამს ისეთ პროცესებს, რომელთა ამ ნიშნით მოხსენიება თავშიც არ მოუვა ნაკლებ ამბიციურ სახელმწიფოს (მაგალითად, რუსეთი ნატო-ს გაფართოებას ეროვნულ საფრთხედ განიხილავს, მაგრამ იმავეს თქმა არ შეიძლება უკრაინაზე). ერს, რომელიც დემოკრატიული

წესრიგის შექმნას აპირებს, საფრთხეთა სხვა წყება ექნება, ვიდრე ერს, რომელსაც ტრადიცული თუ მოდერნიზირებული ავტოკრატიის შექმნა სურს. საპირისპიროდ იმისა, რასაც ლორდი პალმერსტონი ამბობდა, ბრიტანეთს (ისევე როგორც ნებისმიერ სხვა ქვეყანას) არა მარტო მუდმივი მტრები და მეგობრები არა ჰყავს: არც მისი (თუ ნებისმიერი სხვა ქვეყნის) ინტერესებია მარადიული.[3]

ბუნებრივია შეკითხვა: ეს ეროვნული პროექტები საიდან მოდის? ერები შედგებიან ინდივიდებისაგან, რომელთაც სხვადასხვა აზრი აქვთ მნიშვნელოვან საკითხებზე და რომელნიც – განსაკუთრებით, დემოკრატიებში – თავიანთ უთანხმოებებს ხმამაღლა გამოხატავენ. ცხადია, ეროვნული პროექტები ხეებზე არ იზრდება და არც "ეროვნული ნიადაგიდან" ჯეჯილივით არ ამობიბინდება. მათ ქმნიან – ან *აგებენ*, როგორც პოსტმოდერნისტი სოციოლოგები იტყოდნენ – ადამიანები, ვინც საკუთარ თავზე იღებენ ეროვნული პროექტების ჩამოყალიბებას, ჩვეულებრივ, ელიტებს განეკუთვნებიან – უფრო მეტად, პოლიტიკურს და ინტელექტუალურს.[4] თუმცა, ეროვნული პროექტის ჩამოყალიბება ინტელექტუალთა თვითნებობაზე როდია დამოკიდებული. იდეათა ბაზარზე სხვადასხვა კონცეფცია მანამდე ეჯახება ერთმანეთს, ვიდრე ნორმატიულ მოსაზრებათა რაღაც ერთობლიობა აღიარების კრიტიკულ ზომას არ მიაღწევს.

ისიც მართალია, რომ ერის შიგნით არასოდეს არის სრული კონსენსუსი იმაზე, თუ რაში უნდა მდგომარეობდეს ეროვნული პროექტი, მაგრამ მისი ძირითადი იდეების გარშემო, ჩვეულებრივ, ხალხის დიდი უმრავლესობა ირაზმება. პოლიტიკოსებს, განსაკუთრებით, თუ ისინი ხელისუფლებაში არიან, უყვართ მრავალი საკითხის უსაფრთხოების ჭრილში წარმოჩენა, რადგან ისეთ საკითხებზე, სადაც ძირეული ეროვნული ინტერესებია ჩათრეული, ხალხის მობილიზება (და მასთან ერთად ხელისუფლების პოპულარობის და გავლენის გაზრდა) უფრო ადვილია.

---

[3] ამ თემაზე მეტად საყურადღებო მოსაზრებებისთვის იხ. Robert Cooper, *The Breaking of Nations* (London: Atlantic Books, 2003), გვ. 127-138.

[4] კუპერი წერს: "პოლიტიკურ ლიდერთა ამოცანაა დაადგინონ, რა უნდა ხალხს, ჯერ კიდევ მანამდე, ვიდრე ხალხი თავად გაიგებდეს ამას: მაგალითად, [უინსტონ] ჩერჩილის პოლიტიკა ინტერესთა გათვლას კი არ ემყარებოდა, არამედ ბრიტანელი ხალხისა და მისი ისტორიის ღრმა გააზრებას (*The Breaking of Nations*, გვ. 133). მრავალ ქვეყანაში ასეთ ლიდერებად ინტელექტუალები გვევლინებიან.

ეროვნული პროექტის ფორმულირებაზე მრავალი ფაქტორი ახდენს გავლენას, მაგრამ ერთ-ერთი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია: ესაა *მისაბაძი მოდელი*. ერთა უმრავლესობა გვიან განვითარებულთა რიცხვს მიეკუთვნება: მათ თანამედროვე ერებად თავის აგება დაიწყეს მას შემდეგ, რაც სხვა ერებს უკვე დადგენილი ჰქონდათ, რას ნიშნავს იყო განვითარებული და მოწინავე, და მსოფლიო წესრიგის ძირითადი პარამეტრებიც უკვე განმტკიცებული იყო. გვიან განვითარებულთა ეროვნული პროექტები, როგორც წესი, უფრო წინ წასული ერების მიღწევებს ბაძავენ, თუმცა ამავე დროს ცდილობენ, იპოვონ ნიშა, რომელიც მათ პოლიტიკურ თავისებურებას შეესაბამება.

მისაბაძ მოდელებს ჩვეულებრივ ეძებენ (1) იმ სახელმწიფოთა შორის, რომლებიც გლობალური მასშტაბით ყველაზე წარმატებულია (თანამედროვე სამყაროში ასეთი ე. წ. "დასავლეთია"), (2) ყოფილ იმპერიულ ბატონებში, რომლებმაც გარკვეული მოდერნიზაციული სიახლეები შემოიტანეს, თუნდაც ძალმომრეობით (ხანდახან ეს ისევ დასავლეთის ქვეყნებია, ხანდახან კი – არა); (3) "ჩვენნაირ" ქვეყნებში, რომლებთანაც კულტურულად და/ან გეოგრაფიულად ახლოს ვართ, მაგრამ რომლებიც მნიშვნელოვან სფეროებში ჩვენზე წინ არიან წასულები (ასეთია, მაგალითად, ესპანეთი და პორტუგალია ლათინური ამერიკის ქვეყნებისთვის). მისაბაძი მოდელები შეიძლება ერთმანეთს ავსებდნენ ან უპირისპირდებოდნენ. ევროპისა და ჩრდილო ამერიკის განვითარებული ქვეყნები შეიძლება განვითარების ზოგად მოდელებს გვაწვდიდნენ, მაგრამ, თუ ისინი კულტურულად შორს არიან ჩვენგან, დაგვიანებულ მოდერნიზატორთა მხრიდან მათი ბიბაძვის მცდელობა შეიძლება საკმარისად ლეგიტიმური არ აღმოჩნდეს, რადგან ხალხისთვის ფასეულია არა მხოლოდ განვითარება, არამედ მათი კულტურული თვითმყოფადობაც. ამიტომ, თუ მისაბაძი მოდელი კულტურულად რელევანტურია, ანუ თუ ის "ჩვენნაირი ქვეყანაა", მისი მიბაძვაც უფრო ადვილი ხდება.

ქართველების მისაბაძი მაგალითი ერთადერთი არაა: არ არსებობს კონკრეტული კულტურულად ახლობელი ქვეყანა, რომელიც ასეთ მოდელად გამოდგებოდა (მაგალითად, აზერბაიჯანისთვის ასეთად შეიძლება თურქეთი მივიჩნიოთ). შეიძლება ითქვას, რომ საქართველოსთვის მისაბაძ მოდელად ზოგადად ევროპა წარმოდგება, თუმცა, აქ ისიც უნდა დავსძინოთ, რომ მოდელი ევროპული ეროვნული სახელმწიფოა და არა ევროკავშირი. უფრო ახლობელ მოდელებად შეგვიძლია ჩავთვალოთ აღმოსავლეთ ევროპის წარმატებული

პოსტკომუნისტური ქვეყნები, როგორიცაა ბალტიის სახელმწიფოები, პოლონეთი, თუნდაც სერბეთი (როცა 2003 წლის ნოემბერში საქართველოში პოლიტიკური რეჟიმი შეიცვალა, ქართველები შეგნებულად ბაძავდნენ სერბეთიდან სლობოდან მილოშევიჩის გაძევებას). ეს ზოგადი ორიენტაცია იმას ნიშნავს, რომ საქართველოს დიდი პროექტი "ნორმალურ" ევროპულ ქვეყნად ქცევა და ასეთად აღიარებაა.

ეროვნული პროექტის ამ მარტივი და არცთუ ორიგინალური ნორმატიული მოდელის განხორციელება მოითხოვს რამდენიმე წინაპირობას, რომელთა უზრუნველყოფა სულაც არაა იოლი. უპირველეს ყოვლისა, ერი უნდა *არსებობდეს* — მაშასადამე, უნდა არსებობდეს პოლიტიკური ერთეული, რომელიც ეროვნული პროექტის მეტ-ნაკლებად ერთიანი ხედვის ირგვლივ არის გაერთიანებული. მეორე, ის უნდა არსებობდეს როგორც აღიარებული დამოუკიდებელი სახელმწიფო და მეტნაკლები პატივისცემით სარგებლობს ერთა თანამეგობრობაში. მესამე, მას უნდა ჰქონდეს ნორმალური ევროპული ქვეყნის შესაბამისი პოლიტიკური წესრიგი, – მარტივად რომ ვთქვათ, ის ლიბერალური დემოკრატია უნდა იყოს. მეოთხე, მას უნდა ჰქონდეს ეკონომიკური წესრიგი, რომელიც მისი მოქალაქეების კეთილდღეობის მეტ-ნაკლებად მისაღებ დონეს უზრუნველყოფს და საშუალებას აძლევს ქვეყანას, საერთაშორისო ეკონომიკური სისტემის ნაწილი იყოს; ამავე დროს, მან უნდა შეინარჩუნოს ის, რაც მისი ეროვნული თვითმყოფადობისთვისაა დამახასიათებელი: ენა, ეროვნული კულტურა, თუნდაც "სულიერება".

კანონიერი იქნება, ვიკითხოთ: "საიდან ვიცით, რომ მართლაც სწორედ ეს იდეები განსაზღვრავს ქართველი ხალხის მისწრაფებებს? რამდენად ფართოდაა გაზიარებული ეს პრიორიტეტები? ხომ არ არის ეს მხოლოდ ელიტის ფანტაზია?" მართლაცდა, ნამდვილად არასწორი იქნებოდა იმის თქმა, რომ ქართველებს ეჭვიც არ ეპარებათ თავის "ევროპულობასა" თუ "დასავლურობაში". საზოგადოების რაღაც ნაწილში საბჭოთა კავშირის მიმართ ნოსტალგიასაც წავაწყდებით, გარკვეული მოვლენების თუ ინციდენტების უკან ანტი-დასავლური განწყობები შეიძლება დავინახოთ. ამას ემატება ისიც, რომ ეთნიკური უმცირესობები[5] აუცილებლობით სულაც არ იზიარებენ ქართველთა

[5] მოსახლეობის 1989 წლის აღწერით, ეთნიკური უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 30 პროცენტს შეადგენდა. 2002 წლის აღწერით (რომელიც აფხაზეთსა და სამხეთ ოსეთის დიდ ნაწილს არ მოიცავს) უმცირესობები საქართველოს მოსახლეობის 16.3 პროცენტია.

შორის გავრცელებულ ძირითად იდეებს. მაგრამ, თუნდაც თუ ჩავთვლით, რომ არსებობს ალტერნატიული ხედვები: ვთქვათ, რუსეთთან მჭიდრო ინტეგრაცია თუ მართლამადიდებლობაზე ან რაიმე სხვაზე დამყარებული განუმეორებელი "ქართული გზა", და მათ მომხრეებიც ჰყავთ, ამ იდეებმა ვერანაირად ვერ დაიკავეს მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ადგილი ქართულ პოლიტიკურ ცხოვრებასა და საზოგადოებრივ დისკურსში.

საქართველოს პრობლემები ეროვნული უსაფრთხოების სფეროში ამ ფონის გათვალისწინებით უნდა განვიხილოთ. საფრთხეები ამ შემთხვევაში ის ტენდენციები და ძალებია, რომლებიც ეროვნული პროექტის განხორციელებას ემუქრება. ყოველივე ის, რაც სერიოზულად აფერხებს პროექტისათვის არსებითი მიზნების მიღწევას, ეროვნული უსაფრთხოების მნიშვნელოვანი პრობლემაა. საქართველოს მოწყვლადობის კიდევ ერთი საგულისხმო წყაროა დაძაბულობაც, რომელიც ქვეყნის ნორმატიულ მოდელსა და არსებულ რეალობებს შორის არსებობს.

ერთიან ერად ჩამოყალიბება: ეთნიკურობა, ავტონომია და კონფლიქტები

ერთიან ერად ჩამოყალიბება ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომელიც საქართველოს დამოუკიდებლობის დღიდან წინ დახვდა. ასეთი გამოწვევა ტიპიურია ერებისთვის, რომლებიც ერის მშენებლობას მრავალეროვანი იმპერიების ნანგრევებზე იწყებენ. ერები ცარიელ ადგილზე არ იგება: მათი საწყისი წერტილია ძველი რეჟიმიდან მემკვიდრეობით მიღებული შერეული მოსახლეობა და ინსტიტუციური წყობა. მაგრამ ჩამოყალიბების პროცესში მყოფი ერები ერთმანეთისგან განსხვავდება იმით, თუ რამდენად რთული პრობლემები ხვდებათ და იმითაც, რამდენად შესწევთ უნარი, გაუმკლავდნენ მათ. საქართველოს შემთხვევაში პრობლემები უფრო მეტი იყო, ვიდრე სხვა პოსტკომუნისტურ ქვეყნებში; ამავე დროს, სამწუხაროდ, ქართული საზოგადოებისა და პოლიტიკური ელიტის ქმედებები არცთუ ადეკვატური აღმოჩნდა, განსაკუთრებით — დამოუკიდებლობის პირველ წლებში.

საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდისთვის საქართველოს საზოგადოება დასერილი იყო გამმიჯნავი ხაზების მთელი ქსელით, რომელიც ეთნოსს, რელიგიას და სუბ-ეთნიკურ რეგიონულ იდენტობებს ეყრდნობოდა, ხშირად კი ტერიტორიულ-ადმინისტრაციული სტრუქტურებითაც იყო გაძლიერებული. ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ეთნიკური საკითხი გამოდგა: საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა რამდენიმე ჯგუფია, რომლებიც ერთმანეთისგან განსხვავდება რაოდენობით, განსახლების თავისებურებებით და ქართული სახელმწიფოს პროექტის მიმართ დამოკიდებულებით. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოში დამოუკიდებლობის მომენტისთვის არსებობდა ორი ეთნიკური პრინციპით ჩამოყალიბებული (აფხაზეთი და სამხეთ ოსეთი) და ერთი რელიგიური პრინციპით შექმნილი (აჭარა) ავტონომიური ტერიტორია. საბჭოთა პერიოდში მათ გარკვეული ადმინისტრაციული პრივილეგიები ჰქონდათ.

თუ რამდენად პრობლემურია საქართველოს ეთნიკური სიჭრელე, დიდწილად ეროვნული პროექტის ცენტრალურ იდეაზეა დამოკიდებული; კერძოდ იმაზე, თუ როგორ განვსაზღვრავთ ცნებას "ქართველი". სხვა აღმოსავლეთ ევროპელების მსგავსად, ქართველებიც ერისადმი კუთვნილებას გამორჩევით ეთნიკური მიკუთვნებულობის წესით ადგენენ.[6] ქართველთა დიდი უმრავლესობისთვის

[6] ნაციონალიზმის სამოქალაქო ანუ პოლიტიკურ (ინკლუზიურ) და ეთნიკურ (ექსკლუზიურ) ვერსიებს შორის განსხვავებაზე დიდძალი ლიტერატურა არსებობს, მაგრამ ავტორთა უმეტესობა თანხმდება, რომ საფრანგეთიდან აღმოსავლეთისკენ რომ მივდივართ, ნაციონალიზმი უფრო ექსკლუზიური ხდება. მაგრამ აღსანიშნავია, რომ ლორდ ექტონმა მიჯნა დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს შორის გაავლო და ამტკიცებდა (თანამედროვე ტერმინები რომ ვიხმაროთ), ერის ფრანგული კონცეფცია ეთნიკურია, ხოლო ბრიტანული – უფრო სამოქალაქოო. აქედან ჩანს, რომ თუმცა ორ იდეალურ ტიპს შორის განსხვავება მეტ-ნაკლებად ცხადია, კონკრეტული შემთხვევებისადმი მათი მიყენება შეიძლება საპრობლემოც იყოს. იხ. John Emerich Edward Dalberg Acton, *Essays on Freedom and Power* (Boston, MA: The Beacon Press, 1948); Eugene Kamenka**,** "Political Nationalism—The Evolution of the Idea," in Eugene Kamenka and John Plomenatz, eds., *Nationalism: The Nature and Evolution of the Idea* (London: Edward Arnold, 1973), გვ. 2–20; და Rogers Brubaker, *Citizenship and Nationhood in France and Germany* (Cambridge, MA: Harvard University Press, 1992). საგულისხმოა ჯეკ სნაიდერის აზრი, რომ ეთნიკური ნაციონალიზმის სამოქალაქოზე მძლავრობა დაგვიანებულ განვითარებას უკავშირდება. იხ., Jack Snyder, *From Voting to Violence: Democratization and Nationalist Conflict* (New York: W. W. Norton & Company, 2000), გვ. 77

“ქართველი” იმას ჰქვია, ვინც საერთო (მითოსურ) წარმომავლობას ატარებს (ანუ “სისხლითაა” ქართველი), და ამავე დროს ქართულ კულტურას (განსაკუთრებით, ქართულ ენას) არის ნაზიარები. ბევრი (მაგრამ არა ყველა) ქართველისთვის ეს ცნება მართლმადიდებელ ქრისტიანობასაც მოიცავს. მაშასადამე, ქართული პოლიტიკური ნაციონალიზმი ამავე დროს ეთნიკურიცაა: ის გულისხმობს, რომ, ქართველები, როგორც ერი, საკუთარ ერთიან და განუყოფელ სახელმწიფოს იმსახურებენ, მაგრამ ამ ერის სრულფასოვანი წევრები მხოლოდ ეთნიკური ქართველები არიან.

ეს, ბუნებრივია, საქართველოში ეთნიკური უმცირესობების სტატუსის საკითხს წამოწევს. ქართველების უმრავლესობას სჯერა, რომ მათი ერი გამორჩეულად ტოლერანტულია, და არცთუ უსაფუძვლოდ. მართალია, ზოგიერთი რადიკალი უმცირესობებს სამშობლოში გამგზავრებას ურჩევდა, ქართველთა უმრავლესობას ეჭვქვეშ არ დაუყენებია უმცირესობათა უფლება, მათ ქვეყანაში ეცხოვრათ. ლატვიისა თუ ესტონეთისგან განსხვავებით, ეთნიკური უმცირესობებისთვის საქართველოს მოქალაქეობის უფლების მინიჭება სერიოზული ეჭვის ქვეშ არასოდეს დამდგარა და ყველა ის, ვინც საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის საქართველოში ცხოვრობდა, უპრობლემოდ გახდა მისი მოქალაქე.[7] ქართველთა უმრავლესობა არ არის იმის დაკანონების წინააღმდეგი, რასაც დასავლეთში “უმცირესობის უფლებებს” უწოდებენ. მაგალითად, არავინ ეწინააღმდეგება იმას, რომ საქართველოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უმცირესობის ენებს ასწავლიან. მაგრამ დემოკრატიის ეპოქაში, შუა საუკუნეებისგან განხვავებით, სხვისი *შეწყნარება* აღარ არის საკმარისი; სახელმწიფომ უნდა შეძლოს “სხვისი” *ინტეგრაცია*, ანუ ის ეროვნული პროექტის ნებაყოფლობით მონაწილედ უნდა აქციოს. სანამ უმცირესობები ამ აზრით ინტეგრირებულები არ არიან, თვით მათი არსებობა სახელმწიფოს მიმართ გამოწვევად რჩება.

ყოველივე ეს გვეხმარება გავიგოთ ეთნიკური პრობლემებისადმი ის საკმაოდ გაურკვეველი და არათანმიმდევრული დამოკიდებულება, რაც ქართული პოლიტიკისთვის დღესაცაა დამახასიათებელი. თუმცა ეთნიკური ნაციონალისტის იდეალი ეთნიკურად წმინდა ერია,

[7] სამაგიეროდ, პრობლემები შეექმნათ ეთნიკურ ქართველებს, რომლებიც დამოუკიდებლობის დროისთვის საბჭოთა კავშირის სხვა ნაწილებში აღმოჩნდნენ და შემდეგ საქართველოში დაბრუნდნენ.

ყველაზე რადიკალურ ქართველ ნაციონალისტებსაც კი ასეთი რამის შეუძლებლობა იმთავითვე ესმოდათ. უმრავლესობა ამოდიოდა იქიდან, რომ ეთნიკურ უმცირესობებს უფლება აქვთ, საქართველოში დარჩნენ და კულტურული თავისთავადობა შეინარჩუნონ, მაგრამ იმ პირობით, რომ ეროვნული პროექტის ერთგული დამცველები იქნებიან. ამ ლოგიკით, უმცირებობათა მხრიდან ორგულობის ნებისმიერი გამოვლენა საკმარისი გამართლება იყო მათ მიმართ დამსჯელი ღონისძიებების, მათ შორის გაძევების, გასატარებლად. რაკი უმცირესობათა უმეტესი ნაწილის ერთგულება ეჭვის ქვეშ იდგა, ისინი მუდმივი ზეწოლის ქვეშ გრძნობდნენ თავს, რომ თავისი სანდოობა დაედასტურებინათ.

ამგვარი განწყობა საზოგადოდ ტიპიურია პოსტკომუნისტური სამყაროს ეთნიკური ნაციონალიზმებისთვის, ხოლო ბალკანეთსა და კავკასიაში, ცვლილებების ადრეულ პერიოდში, ის განსაკუთრებით დომინანტური იყო. საქართველოს შემთხვევაში ეს მიდგომა დამოუკიდებელი საქართველოს პირველი ლიდერის (1990-92 წწ.), ზვიად გამსახურდიას მმართველობის პერიოდთანაა ასოცირებული.[8] მის პოლიტიკურ ლექსიკონში უმცირესობები ხშირად "სტუმრებად" მოიხსენიებოდნენ. თუ წესიერად მოიქცეოდნენ, მათ დარჩენა შეეძლოთ, მაგრამ, როგორც კი ქართული ეროვნული პროექტის ძირითად პრინციპებში შეიტანდნენ ეჭვს, ან საკუთარ ნაციონალისტურ მიდრეკილებებს გამოავლენდნენ, მაშინვე წამოაძახებდნენ: შენს "ისტორიულ სამშობლოში" დაბრუნდი და ეგ აზრები მანდ განავითარეო. თუ რომელიმე ეთნიკური უმცირესობის ელიტები საკუთარ ექსკლუზივისტურ ნაციონალისტურ იდეოლოგიებს დაიცავენ და მათ გარშემო ხალხის დარაზმვასაც შეძლებენ, ეს უკვე ცენტრალურ ხელისუფლებასთან მათი ძალმომრეობითი კონფლიქტის საწინდარია. საქართველოს ორი ასეთი კონფლიქტი ჰქონდა (აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში), და ქართული მხარე ორივე ამ შემთხვევაში დამარცხდა.

სამხედრო მარცხმა და საერთო დაქცევამ, რაც მას საქართველოში მოჰყვა, 1990-იანი წლების შუახანებისთვის გამსახურდიას სტილის აგრესიული ეთნიკური ნაციონალიზმის დისკრედიტაცია

[8] გამსახურდია 1990 წლის ნოემბერში გახდა საქართველოს უზენაესი საბჭოს თავმჯდომარე, რამაც მას ეროვნული ლიდერის სტატუსი მიანიჭა. პრეზიდენტად ის მხოლოდ 1991 წლის მაისში იქნა არჩეული, მაგრამ ამას მისი რეალური ძალაუფლების ხარისხი არსებითად არ შეუცვლია.

გამოიწვია. ედუარდ შევარდნაძის რეჟიმის იდეოლოგებმა დაგმეს გამსახურდია, როგორც "პროვინციელი ფაშისტი". ეთნიკურ უმცირესობებს მოსცილდათ "სტუმრების" იარლიყი, რაც მათი გაძევების შესაძლებლობას გულისხმობდა. ამან დაასრულა აშკარა ეთნიკური დაპირისპირების პერიოდი, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ ნიშნავდა, რომ ქართული ნაციონალიზმის უფრო ინკლუზიურმა, სამოქალაქო ვერსიამ საბოლოო გამარჯვება იზეიმა ეთნიკური ყაიდის ნაციონალიზმზე. უფრო ზუსტი იქნება იმის თქმა, რომ ამ მტკივნეული საკითხის განხილვა უკეთესი დროისთვის გადაიდო. შევარდნაძის მმართველობის საწყის პერიოდში არავის შეუტევია ეთნიკური უმცირესობებისთვის და არც ეჭვის ქვეშ დაუყენებია მათი ერთგულება, მაგრამ არც ის უცდია ვინმეს, ისინი სამოქალაქო ცხოვრებაში შემოეყვანათ და მათი რეალური სამოქალაქო მონაწილეობის გასაზრდელად პირობები შეექმნათ. რაც შეეხება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს, ისინი "გაყინული კონფლიქტის" ზონებად იქცნენ – ომი გაჩერდა, მაგრამ არც მყარი მშვიდობის მომტანი გადაწყვეტა ჩანდა თვალსაწიერზე.

მეტიც, საჯარო დისკუსიები, რომლებიც საქართველოში გაიმართა გარკვეული კანონპროექტების გარშემო – მაგალითად, საქართველოს მოქალაქეთა პირადობის დამადასტურებელ საბუთებში "ეროვნების" გრაფის შეტანის საკითხზე – საკმაოდ ნათლად აჩვენებდა, რომ ერის ეთნიკური გაგება კვლავაც დომინანტური რჩებოდა. 2000 წელს, როდესაც ხელისუფლების "რეფორმატორული" ნაწილის ინიციატივით შემოღებულმა ახალმა კანონმდებლობამ გააუქმა საბჭოური სტილის "ეროვნების გრაფა" პიროვნების დამადასტურებელ ოფიციალურ დოკუმენტებში, ამას ფართო უკმაყოფილება მოჰყვა. პროდასავლური ელიტა, რომელიც ერის არაეთნიკური გაგების დამკვიდრებას ცდილობდა, შეტევის ქვეშ აღმოჩნდა.[9] მაგრამ მან, მცირერიცხოვ-

[9] ამასთან დაკავშირებით იხ. Oliver Reissner, "'Testground for Cosmopolitanism' or 'Ethnic Zoo'?: The Debate about the Item 'Ethnicity' in the IDs for Georgia's Citizens" (სტატია, წარმოდგენილი კომფერენციაზე "Potentials of (Dis-)Order: Former Yugoslavia and Caucasus in Comparison," ბერლინი, 1999 წლის 11-13 ივნისი). იხ. აგრეთვე David Losaberidze, "Citizenship Regimes in the South Caucasus," წიგნში Carine Bachmann, Christian Staerklé, and William Doise, eds., *Reinventing Citizenship in the South Caucasus: Exploring Dynamics and Contradictions between Formal Definitions and Popular Conceptions* (Zurich: Scientific Cooperation between Eastern Europe and Switzerland (SCOPES), Swiss National Science Foundation, 2003), გვ. 50, http://www.cimera.org/en/research/citizenship.htm.

ნობის მიუხედავად, მაინც მოახერხა, ერის გამოკვეთილად ეთნიკურ გაგებაზე დამყარებული კანონმდებლობის მიღება გადაედო. როდესაც შევარდნაძის მმართველობის ბოლო პერიოდში მისი პოპულარობა დაეცა, ხელისუფლებამ სცადა, ეთნო-ნაციონალისტური გრძნობები საკუთარ ინტერესებში გამოეყენებინა. კერძოდ, 2003 წლის საპარლამენტო საარჩევნო კამპანიის დროს მმართველი პარტიის ოფიციალური წარმომადგენლები ხშირად მიუთითებდნენ ძირითადი ოპოზიციური ლიდერების ფარულ სომხურ ძირებზე: ამით ისინი ცალსახად მიანიშნებდნენ, რომ სომხური წარმომავლობის შემთხვევაში პიროვნება არ უნდა აცხადებდეს პრეტენზიას, პოლიტიკური ლიდერი იყოს საქართველოში.[10]

პრობლემები, რასაც საქართველოს ერთიანობას ეთნოკულტურული ფაქტორები უქმნის, მის ერთ-ერთ ძირითად გამოწვევად რჩება. ერის ეთნიკურად ექსკლუზივისტური გაგება კვლავაც ამ პრობლემის გულისგულია. ამას ემატება ისიც, რომ ასეთი ექსკლუზივისტური დამოკიდებულება უმცირესობებს არანაკლებ, ან იქნებ კიდევ უფრო მეტად ახასიათებს, ვიდრე ქართულ უმრავლესობას. ასე რომ, თუნდაც თუ დომინანტ ქართულ მოსახლეობაში ერის სამოქალაქო გაგება გაიმარჯვებს, ეს თავისთავად ჯერ კიდევ არ მოგვცემს საზოგადოების წარმატებული პოლიტიკური ინტეგრაციის გარანტიას. მაგრამ რაკი ერის ასეთი გაგება ტიპიურია პოსტკომუნისტური ერების უმეტესობისთვის, საჭიროა დავახასიათოთ ის ეთნონაციონალური ფაქტორებიც (როგორიცაა წარმოშობის მითი, ენა, რელიგია ან სხვადახვა ჯგუფის ფორმალური სტატუსი პოლიტიკურ სივრეში), რომლებიც სპეციფიკურია საქართველოსთვის და გაგვაგებინებს, რატომ გაურთულდა მას ასე ძალიან ერთიანობის მიღწევა.

პირველი რელევანტური ფაქტორია კავშირი ეთნიკურ სიჭრელესა და ინსტიტუციურ მემკვიდრეობას შორის — სახელდობრ, საქართველოში ავტონომიური წარმონაქმნების არსებობა. საბჭოთა კავშირი

[10] მაგალითად, ირინე სარიშვილი, პრო-შევარდნაძისეული "ერთიანი საქართველოს" ბლოკის სპიკერი, ზურაბ ჟვანიასა და მიხეილ სააკაშვილის სომხურ წარმომავლობაზე საუბრობდა და იმასაც კი ამბობდა, რომ რიჩარდ მაილზი, აშშ ელჩი საქართველოში, შეერთებულ შტატებში არსებული სომხური ლობის ინტერესებს წარმოადგენდა. იხ. "Georgian Government-backed Bloc Spokeswoman Takes Swipe at U.S. Envoy," *BBC Monitoring Former Soviet Union*, August 12, 2003.

აგებული იყო, როგორც სამდონიანი ეთნიკური ფედერაცია (უფრო სწორედ, კვაზი-ფედერაცია) - ბევრი მას რუსულ მატრიოშკას ადარებდა. უმაღლესი, საკავშირო დონე ფორმალურად ზეეროვნული იყო, თუმცა გარე სამყაროც და არარუსი მოსახლეობაც მას "რუსულად" აღიქვამდა. მეორე დონეზე იდგა საკავშირო რესპუბლიკები, ანუ ზეეროვნული სტრუქტურის შიგნით მყოფი კვაზი-ერი-სახელმწიფოები. მესამე დონეს შეადგენდა ეთნიკური ნიშნით შექმნილი ავტონომიური რესპუბლიკები, ანუ მეორე რანგის კვაზი-ერი-სახელმწიფოები, რომლებიც უკვე საკავშირო რესპუბლიკებში შედიოდნენ. ეს ავტონომიური რესპუბლიკები თავის მხრივ რანგით აღემატებოდნენ ავტონომიურ "ობლასტებს" (ოლქებს), ამ უკანასკნელებზე დაბლა იდგნენ ნაციონალური "ოკრუგები". ამდენად, ზოგ ეთნიკური პრინციპით შექმნილ ავტონომიურ წარმონაქმნს სხვაზე მეტი ფორმალური ძალაუფლება და სახელმწიფო სტრუქტურების უფრო განვითარებული სისტემა ჰქონდა.

ტერმინებზე ("ფედერალიზმი" და "ერი-სახელმწიფო") "კვაზი"-ს დამატება უკეთ გამოხატავს საქმის არსს, რადგან განსხვავება ფასადს (ანუ ფორმალურ ინსტიტუციურ სტრუქტურასა) და ძალაუფლების რეალურ მექანიზმებს შორის საბჭოური პოლიტიკური სისტემის არსებით და (დასავლეთში) სათანადოდ შეუფასებელ ელემენტს წარმოადგენდა.[11] ფასადს შეადგენდა კონსტიტუცია – კვაზი-ფედერალური, კვაზი-დემოკრატიული დოკუმენტი, რომელიც უმაღლეს ძალაუფლებას არჩეულ პარლამენტებს (უმაღლეს საბჭოებს) ანიჭებდა და საბჭოთა რესპუბლიკებს გამოყოფის უფლებასაც კი უტოვებდა, რასაც ნამდვილი ფედერაციები ნაკლებად უშვებენ. ამასობაში, რეალურ ხელისუფლებას ახორციელებდა კომუნისტური

[11] ამ განსხვავების დაფიქსირება არსებითია აგრეთვე პოსტკომუნისტური პოლიტიკური სისტემის ფუნქციობისა და საზოგადოების მიერ მისდამი დამოკიდებულების გასაგებად. სხვა ყველაფერთან ერთად, კომუნისტური სისტემის მემკვიდრეობას შეადგენს ფართედ გაზიარებული წარმოდგენა, რომ სხვაობა საჩვენებელ ფასადსა და პოლიტიკური და ეკონომიკური ძალაუფლების რეალურ მექანიზმებს შორის სრულიად ნორმალურია. საკვირველი არაა, რომ ბევრი დასავლელი პოლიტოლოგი ლაპარაკობს "ფასადურ დემოკრატიებზე" ან "პოტიომკინის დემოკრატიებზე" პოსტ-საბჭოთა ქვეყნებში. იხ., მაგალითად, Charles King, "Potemkin Democracy: Four Myths about Post-Soviet Georgia," *The National Interest*, no. 64 (summer 2001), გვ. 93–104.

პარტია და მისი იძულების აპარატი, რომელიც მოიცავდა უშიშროების სამსახურს, არმიასა და პოლიციას. ესენი კი მკაცრად ცენტრალიზებულნი იყვნენ და ემყარებოდნენ არა დემოკრატიულ წესებს, არამედ რეპრესიას. კონსტიტუცია შედარებით დემოკრატიულად გამოიყურებოდა, რადგან კომუნისტურ პარტიას განუსაზღვრელი ვადით შეეძლო ძალაუფლების შენარჩუნება.

საბჭოთა კავშირშიც კი ფასადს სინამდვილისგან მთლიანად ვერ გამოყოფდი. დღევანდელი გადასახედიდან აშკარად ჩანს, რომ საბჭოურმა კონსტიტუციურმა სტრუქტურამ დიდწილად განსაზღვრა ის, თუ რა სახით ჩამოყალიბდა ნაციონალისტური მოძრაობები და მათი პროგრამები საბჭოთა კავშირის დაშლის მომენტისთვის. რაც გინდა ფიქტიური ყიფილიყო საბჭოთა ფედერალიზმი ძალაუფლებრივი სტრუქტურების რეალური ფუნქციობის თვალსაზრისით, მან ხელი შეუწყო ეროვნული ბიუროკრატიული და ინტელექტუალური ელიტების, ისევე როგორც ეროვნული საგანმანათლებლო, სამეცნიერო და კულტურული ინსტიტუტების ჩამოყალიბებას – ყოველივე ამან კი უდიდესი გავლენა მოაზდინა პოსტ-საბჭოთა ერების მშენებლობაზე. ამგვარად, საბჭოურმა კვაზი-ფედერალურმა ფასადმა გაცილებით მეტად შეუწყო ხელი ნაციონალიზმის განვითარებას, ვიდრე მისი შემოქმედები გეგმავდნენ.[12]

ამიტომაც, როგორც კი საბჭოთა სისტემის დასუსტება დაიწყო, ახალმა პოლიტიკურმა მოძრაობებმა სწორედ საბჭოთა კონსტიტუციაში იპოვეს მყარო იურიდიული საფუძველი, ამ კვაზი-ეროვნული-სახელმწიფოებისთვის დამოუკიდებელი ქვეყნების სტატუსი მოეთხოვათ. საქართველოს საუბედუროდ, იგივე შეეხო მეორე რიგის ქვაზი-სახელმწიფოებსაც: ავტონომიურ წარმონაქმნებსაც აღმოაჩნდათ ინსტიტუციური ნიადაგი სეცესიონისტური მოძრაობის

[12] იხ. Rogers Brubaker, “Nationhood and National Question in the Soviet Union and Post-Soviet Eurasia: An Institutionalism Account,” *Theory and Society*, vol. 23, no. 1 (1994), გვ. 47–78; Rogers Brubaker, *Nationalism Reframed: Nationalism and the National Question in the New Europe* (Cambridge: Cambridge University Press, 1996); Yuri Slezkine, “The USSR as a Communal Apartment, Or How a Socialist State Promoted Ethnic Particularism,” *Slavic Review*, vol. 53, no. 2 (summer 1994), გვ. 414–452. ეს ავტორები ძალიან კარგად გვიჩვენებენ, ფაქტობრივად როგორ წაახალისა ნაციონალიზმის განვითარება საბჭოურმა ინსტიტუტებმა, მაგრამ ვერ გვიხსნიან, რატომ შექმნეს სახელმწიფოს კომუნისტმა მამებმა მათი ინტერესებისა და იდეოლოგიის აშკარად საწინააღმდეგო სისტემა.

დასაწყებად. იმ დროს საქართველოში სამი ამგვარი ერთეული გახლდათ და ორ მათგანში, აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, საქმე გამოყოფის მოთხოვნამდე მივიდა.

ეთნიკური პრინციპით შექმნილი ავტონომიური წარმონაქმნები მეტად მოსახერხებელი ინსტიტუციური ფორმები აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ეთნო-ნაციონალისტური პროგრამები არსებული ტერიტორიული ერთეულების და არა ამორფული ეთნიკური ჯგუფების სახელით აეფრიალებინათ. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ საბჭოთა სისტემაში *ავტონომია* (სიტყვის პირველადი მნიშვნელობის მიუხედავად) თავისუფლებას კი არა, *პრივილეგიას* გულისხმობდა. ის როგორც ადგილობრივ ბიუროკრატიულ და ინტელექტუალურ ელიტას, ისე ხალხს განსაკუთრებული სტატუსის შეგრძნებას აღუძრავდა. მაგრამ, ამავე დროს, იგივე სტატუსი *დაჩაგრულობის* შეგნებას აღვივებდა იმ ერის მიმართ, ვისაც საკუთარი საკავშირო რესპუბლიკა ჰქონდა. ასე რომ, როგორც კი საბჭოთა კავშირის ეს იერარქიული სტრუქტურა მოიშალა, კონფლიქტების თავიდან აცილება შეუძლებელიც კი იყო: ავტონომიურ რესპუბლიკებს თავიანთი სტატუსის ამაღლება მოუნდათ, მაგრამ საკავშირო რესპუბლიკები ამას მათგან გამოყოფის სურვილად აღიქვამდნენ.

ალტერნატიული ეროვნული პროექტები: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი

საბჭოთა ეთნიკურმა ფედერალიზმმა შექმნა კონფლიქტების წინაპირობა, თუმცა თავისთავად ეს ჯერ კიდევ არ იყო საკმარისი. ღია კონფლიქტების გასაჩაღებლად საჭირო იყო ალტერნატიული ეთნო-ნაციონალისტური პროგრამებიც. ისინი წამოაყენეს აფხაზებმა და ოსებმა (თუმცა, აჭარაში ეს არ მომხდარა). აფხაზები და ოსები ცალკე ეთნიკური ჯგუფებია, რომლებიც ენობრივად არ ენათესავებიან ქართველებს, მაშინ როდესაც აჭარლები ქართულად მეტყველებენ და ეთნიკურად ქართველებად მიიჩნევენ თავს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ აფხაზები და ოსები ჩრდილოკავკასიელ ხალხებს ენათესავებიან, რომლებსაც აგრეთვე ჰქონდათ ავტონომია. მაგალითად, ოსების უმრავლესობა რუსეთის

ფედერაციის შემადგენლობაში მყოფ ჩრდილო-ოსეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში ცხოვრობს.[13] აფხაზები ენობრივად ახლოს დგანან ჩრდილოკავკასიელ ხალხებთან, როგორებიც ადიღელეები, ჩერქეზები და ყაბარდოელები არიან. ასე რომ, ოსების და აფხაზების ეროვნული პროექტების პოსტულატები დაახლოებით ასე ჟღერდა: "ჩვენ ქართველები არა ვართ და ერთადერთი ავტოქტონური მოსახლეობა ვართ საკუთარ ტერიტორიებზე. სხვები — მათ შორის ქართველებიც — ჩვენთან "ჩამოსახლებულები" არიან (ან უარესი — "ოკუპანტების" სტატუსი აქვთ); შესაბამისად, ეს ტერიტორიები საქართველოს არ ეკუთვნის და უნდა გამოეყოს მას, ხოლო ჩვენს თანამოძმე ჩრდილო-კავკასიელ ხალხებთან ერთიანობა კი სწორედაც რომ სასურველია".[14]

ყველა ეს დებულება, პირველის გამოკლებით, ზუსტად იმის საპირისპიროა, რასაც ქართველები ფიქრობენ. მათთვის ეს რეგიონები მშობლიური მიწაა და საკუთარი თავიც მის ძირძველ მოსახლეობად მიაჩნიათ.[15] ჯერ კიდევ 1918-21, ქართველების მიერ დამოუკიდებელი რესპუბლიკის შექმნის წლებში, ორივე ეს მხარე სისხლიანი კონფლიქ-ტების არენად იქცა. თუმცა, ეს იმას როდი ნიშნავს, თითქოს ქართველების, აფხაზებისა და ოსების ეროვნულ პროექტებს უცილობლად ამგვარ კონფლიქტებამდე მივყავდეთ. ვთქვათ, აფხაზების შემთხვევაში, ძალისმიერი შეხლის თავიდან აცილება სავსებით შესაძლებელი იყო.[16] მაგრამ ომი მაინც ორივეგან ატყდა,

[13] სამხრეთ ოსეთს კი ავტონომიის უფრო დაბალი ხარისხი – ავტონომიური "ობლასტი" ანუ ოლქი ჰქონდა. ეს განსხვავება, ქართველებისათვის მაინც, იმას უსვამდა ხაზს, რომ ოსების "ნამდვილი" სამშობლო ჩრდილოეთი ოსეთია.

[14] ოსების შემთხვევაში ეს, უბრალოდ, ჩრდილოეთ ოსეთთან მიერთებას გულისხმობდა, მაშინ როცა აფხაზებს ჩრდილოკავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბება სურდათ.

[15] ქართველებს სწორედ ოსები მიაჩნიათ "სტუმრებად" — ამიტომაცაა, რომ ცნება "სამხრეთ ოსეთი" მათთვის მიუღებელი იყო. რაც შეეხება აფხაზებს, აქ ვითარება უფრო რთულადაა: ქართველების უმრავლესობა თვლის, რომ ისინიც ამ კუთხის ავტოქტონური მოსახლეობაა; თუმცა ეროვნული მოძრაობის დროს სხვა თეორიამ მოიპოვა პოპულარობა, რომლის თანახმადაც აფხაზები ჩრდილო კავკასიიდან შედარებით ახალი ჩამოსახლებულები არიან.

[16] Ghia Nodia, "The Conflict in Abkhazia: National Projects and Political Circumstances," in Bruno Coppieters, Ghia Nodia, and Yuri Anchabadze, eds., *Georgians and Abkhazians: The Search for a Peace Settlement* (Köln: Sonderveröffentlichung des Bundersinstituts für Ostwissenschaftliche und Internationale Studien, 1998), გვ. 14–48, აგრეთვე http://poli.vub.ac.be.

ქართველების სამხედრო მარცხით დამთავრდა, შემდეგ კი სიტუაცია "გაყინული კონფლიქტების" რანგში გადავიდა.

დღესდღეობით, ეს ვითარება უმძიმესი სტრატეგიული გამოწვევაა საქართველოს უსაფრთხოებისათვის. მას შემდეგ, რაც 90-იანი წლების დასაწყისში ზემოხსენებულმა რეგიონებმა კვაზიდამოუკიდებლობას მიაღწიეს, იქ საქართველოსაგან გამიჯნული საზოგადოებები ჩამოყალიბდა და მათი რეინტეგრაციის პერსპექტივა ყოველ წელს სულ უფრო სათუო ხდება. მაგრამ, მეორეს მხრივ, ქართველები მძიმედ გამიცდიან ტერიტორიების დაკარგვას და მათზე ხელის ჩაქნევას არ ფიქრობენ. იძულებით გადაადგილებულ პირთა სიმრავლე მძიმე ტვირთად აწევს ქვეყნის ეკონომიკას და დესტაბილიზაციით ემუქრება ხელისუფლებას, ხოლო სანამ კონფლიქტები გადამწყდარა, ძალადობა ნებისმიერ დროს შეიძლება განახლდეს — მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ წარმატებით დაადო ტაბუ ადგილობრივი პოლიტიკოსების მხრიდან ომის ენაზე საუბარს.

ამ პრობლემების გარდა, გაყინული კონფლიქტები საქართველოს საერთაშორისო იმიჯსაც დიდ ზიანს აყენებს. მათი არსებობა გარკვეული (თუმცა არა ერთადერთი, და იქნებ სულაც არამთავარი) არგუმენტია საქართველოს ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანების საწინააღმდეგოდ. გადაუწყვეტელი პრობლემები რუსეთთან ურთიერთობასაც განსაკუთრებით ამწვავებს: მათ გამო საქართველოს პრაქტიკულად დაბლოკილი აქვს სატრანსპორტო გზები რუსეთთან, რომელიც ბუნებრივადაა მისი მთავარი ეკონომიკური პარტნიორი: კერძოდ, აფხაზეთთან მოსაზღვრე რეგიონებს გასაღების ბაზარზე გასასვლელი აღარა აქვთ. დაბოლოს, სადავო ტერიტორიები კრიმინალებისა და კონტრაბანდისტების სათარეშო გამხდარა, რაც განსაკუთებით აფერხებს საქართველოში სახელმწიფო ინსტიტუტების გამყარებას. აფხაზეთისა და სამეგრელოს საზღვარზე ქართული პარტიზანული დაჯგუფებები, ანუ კერძო სამხედრო შენაერთები მოქმედებდა, რომლებიც კონტრაბანდისა და გამოძალვისათვის გამოიყენებოდა და პრობლემებს არა მარტო აფხაზურ, არამედ ქართულ მხარესაც უქმნიდა. გასაკვირი არ არის, რომ პრეზიდენტმა სააკაშვილმა იმთავითვე მათი აღკვეთა სცადა. იგივე სურათია სამხრეთ ოსეთშიც, რომელიც კონტრაბანდის ბუდედ იქცა.

ორივეგან — ყოველ შემთხვევაში, ვიდრე სააკაშვილის ხელისუფლებამ ხელი არ გამოიღო ამგვარ დანაშაულებათა აღსაკვეთად, კორუმპირებულ ქართველ სამართალდამცავებს გვარიანი წილი ედოთ ამ საქმიანობაში.

სააკაშვილმა რამდენიმეგზის მიანიშნა, რომ ამგვარი ვითარება სრულიად შეუწყნარებელი იყო და ის ყოველ ღონეს იხმარდა კონფლიქტების გადასაჭრელად. 2004 წლის მაისში, როგორც კი აჭარის კრიზისი მოთავდა (იხ. ქვემოთ), ხელისუფლების ყურადღება სამხრეთ ოსეთზე გადავიდა (რაკი, საერთო აზრით, ეს უფრო იოლი მოსავლელი იყო, ვინემ აფხაზეთის საკითხი). საქართველოს ხელისუფლების სტრატეგია აქ რამდენიმე კომპონენტისაგან შედგებოდა:

1. კეთილი ნების გამოხატვა ოსების მიმართ ისეთი ღონისძიებებით, როგორიცაა მათთვის პენსიების გადახდის დაწყება, ოსურ ენაზე გადაცემების მომზადება, სხვადასხვა საქველმოქმედო აქციების ჩატარება; ასევე, წინა ხელისუფლების ზოგიერთი ნაბიჯის გაკრიტიკება, როგორიც იყო, მაგალითად, 1990 წელს სამხრეთ ოსეთის ავტონომიის გაუქმება.[17]

2. სეპარატისტული ხელისუფლებისათვის ეკონომიკური საყრდენის გამოცლა კონტრაბანდის აღკვეთის მეშვეობით.

3. ძალის დემონსტრირება რეგიონში სამხედრო კონტინგენტის შეყვანით; თუმცა ხელისუფლება აცხადებდა, რომ ის ფორმალურად ჯდებოდა ქართველ მშვიდობისდამცველთათვის გაცემულ კვოტაში.

4. რუსებთან და სხვა საერთაშორისო სუბიექტებთან დიპლომატიური და საზოგადოებრივი არხებით ურთიერთობის გააქტიურება.[18]

სამწუხაროდ, ყველაფერმა ამან მხოლოდ რეგიონში საერთო დაძაბულობა, ცალკეულ შემთხვევებში კი მსხვერპლიც გამოიწვია, რასაც თბილისსა და მოსკოვს შორის ორმხრივი ბრალდებების გაცვლა-გამოცვლა მოჰყვა. თუმცა საქართველოს ხელისუფლება საკმაოდ

[17] იხ. "Georgian Leader Says It was 'Mistake' to Abolish Breakaway Region's Autonomy," ITAR-TASS, June 12, 2004.

[18] საქართველოს სტრატეგიაზე ამ საკითხთან დაკავშირებით იხ ინტერვიუ პარლამენტის გავლენიან წევრ გიგა ბოკერიასთან: "Tbilisi Wants to Regain South Ossetia through Pro-Georgian Campaigning," *Civil Georgia, UNA-Georgia Online Magazine*, http://www.civil.ge/eng/detail.php?id=7489.

მოქნილი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ ვითარება ახალ, სრულმასშტაბიან სამხედრო კონფლიქტში არ გადაზრდილიყო, ეს მაინც პირველი აშკარა ჩავარდნა აღმოჩნდა მისთვის.

აჭარის საკითხი: ავტონომიური მაგრამ არა თავისუფალი

აჭარის საკითხი საკმაოდ უჩვეულოა. გარეგანი დამკვირვებლის თვალით, ეს თითქოს წააგავს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემებს, მაგრამ ეს შედარება ქართველებს საკმაოდ აღიზიანებთ. ერთის შეხედვით, საერთო ბევრია: აჭარა ავტონომიური რესპუბლიკა იყო საქართველოს შემადგენლობაში, ხოლო 2004 წლის მაისამდე ცენტრალურ ხელისუფლებას მცირე როლი თუ ჰქონდა მის მართვაში. მაგრამ აჭარლები, აფხაზებისა და ოსებისაგან განსხვავებით, თავს ქართველებად თვლიან. არც ცალკე აჭარის ეროვნული პროექტის საკითხი წამოჭრილა ოდესმე. მაშინაც კი, როცა აჭარის ხელმძღვანელობა კრიჭაში ჩაუდგა თბილისს, სეპარატისტული ლოზუნგები მას არასოდეს აუფრიალებია. პირიქით — ასლან აბაშიძე თავს საქართველოს ერთიანობის მებაირახტრედაც კი სახავდა.

აჭარის ავტონომია პირველად საქართველოს 1921 წ. კონსტიტუციით გამოცხადდა და იმავე წელს ერთი მხრივ თურქეთს, მეორე მხრივ კი – ბოლშევიკების მიერ მართულ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის დადებულ ყარსის შეთანხმებაშიც აისახა. ამის მიზანი ქართველ მუსლიმთა სარწმუნოებრივი უფლებების დაცვა იყო: საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში (1918-21) აჭარას ხშირად "სამაჰმადიანო საქართველოსაც" უწოდებდნენ. თუმცა, კომუნისტურ სახელმწიფოში სარწმუნოებრივ ნიადაგზე დაფუძნებული ავტონომიის არსებობა აშკარა წინააღმდეგობაში მოდიოდა გაბატონებულ იდეოლოგიასთან.

1991 წლის შემდგომ, რაც საქართველომ დამოუკიდებლობა მოიპოვა, რელიგიურ ფაქტორს არასოდეს ჰქონია რაიმე ზეგავლენა თბილისსა და აჭარას შორის ურთიერთობებზე. მაშინაც კი, როცა დაძაბულობამ პიკს მიაღწია, ამ კარტის გათამაშება ასლან აბაშიძეს არასოდეს უცდია. თუ მის სასარგებლოდ რაიმის თქმა შეიძლება, ეს

ისაა, რომ რელიგიური შემწყნარებლობის თვალსაზრისით აჭარაში უკეთესი მდგომარეობა იყო, ვიდრე საქართველოს ბევრ სხვა რეგიონში. ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2002 წლის აღწერის მიხედვით, მუსლიმანები აჭარის მოსახლეობის უმცირესობას შეადგენდნენ.[19]

ასე რომ, აჭარის კონფლიქტი პოლიტიკური და ინსტიტუციური გახლდათ და არა ეთნიკური. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მსგავსად, კონფლიქტის ფესვები აქაც ავტონომიური ერთეულების საბჭოურ სისტემაში უნდა ვეძიოთ. აჭარის შემთხვევაში, აბაშიძემ ავტონომიური ერთეულების სისტემის ბუნდოვანება საკუთარი საფაშოს შესაქმნელად გამოიყენა. ცენტრალური ხელისუფლების მიმართ მისი დაუმორჩილებლობა განსაკუთრებით საბაჟოსა და ბათუმის პორტის ერთპიროვნული კონტროლით გამოიხატა (რაც მისი რეჟიმის შემოსავლების ძირითად წყაროს შეადგენდა). ის საგადასახადო შემოსავლებს არ ურიცხავდა ცენტრალურ ხელისუფლებას და ნელნელა პირად არმიასაც აგებდა. შევარდნაძის დროს სახელმწიფო სუსტი იყო, რასაც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სამხედრო კამპანიების კატასტროფული შედეგებით გაჩენილი სინდრომი ემატებოდა. "აჭარის ლომი" მშვენივრად სარგებლობდა ამით და სეპარატისტული ბლეფის თამაშს თამაშობდა: ის თითქოს აშინებდა თბილისს, თუ აჭარის საქმეებში ცხვირს ჩაყოფთ, ნამდვილ სეპარატისტად ვიქცევიო.

რაკი აჭარა უგულებელყოფდა ცენტრალურ ხელისუფლებას, ქვეყანაში ორი სხვადასხვაგვარი პოლიტიკური რეჟიმის თანაარსებობა სერიოზულად აფერხებდა სახელმწიფოს მშენებლობას და კონფლიქტის კიდევ ერთ კერას წარმოშობდა. თუმცა საქართველო მყარი დემოკრატიული ინსტიტუტებით ვერ დაიკვეხნიდა, მაგრამ პოლიტიკური პლურალიზმითა და სამოქალაქო თავისუფლების ხარისხით გაცილებით წინ იყო წასული. აჭარა კი ერთპიროვნული ავტოკრატიული მმართველობის ნიმუშს წარმოადგენდა, სადაც პოლიტიკურ პლურალიზმს არავინ გააჭაჭანებდა. მაშინ როცა საქართველოში არჩევნები მუდამ კონკურენციის (თუმცა არა ყოველთვის პატიოსანი კონკურენციის) პირობებში ტარდებოდა,

[19] ამ აღწერის მიხედვით აჭარის მოსახლეობის მხოლოდ 30.6%-ია მაჰმადიანი, ხოლო 54.0% მართლმადიდებლებს აკუთვნებენ თავს.

ბათუმის რეჟიმის მიერ ჩატარებული არჩევნები, უბრალოდ, ფიქცია გახლდათ: მოსახლეობის აქტივობა 99%-ს უახლოვდებოდა ხოლმე, ხოლო მათგან 95-98% აბაშიძის პარტიას აძლევდა ხმას.

ამგვარი ვითარება მხოლოდ სამოქალაქო უფლებების კუთხით როდი აჩენდა პრობლემას. რაკი საქართველოს საპარლამენტო არჩევნები პროპორციული წესით ტარდებოდა, ის ადგილობრივი ლიდერი, ვისაც შეეძლო ამომრჩეველთა რიცხვის, მათი გამოცხადების და ხმის მიცემის მონაცემთა ტოტალური გაყალბება, საერთო-ეროვნულ დონეზეც არაპროპორციულად მნიშვნელოვან მოთამაშედ იქცეოდა. 1999 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს აბაშიძე მთავარ ოპოზიციურ კოალიციას ედგა სათავეში (სადაც თბილისში შექმნილი პარტიებიც შედიოდა) და გამარჯვების კანდიდატადაც კი ითვლებოდა. ამან შევარდნაძის "მოქალაქეთა კავშირს" საშუალება მისცა, თავისი საარჩენო კამპანია ხალხის დაშინებაზე აეგო: თუ აბაშიძემ გაიმარჯვა, მმართველობის აჭარული სტილი სრულიად საქართველოზე გავრცელდებაო. არგუმენტმა გაჭრა. 2003 წლის არჩევნებში აჭარის ფაქტორი (საერთო გაყალბებების ფონზე) კრიზისის ერთი უმთავრეს მიზეზთაგანი შეიქმნა, ურომლისოდაც "ვარდების რევოლუცია", შესაძლოა, არც მომხდარიყო. არჩევნების ოფიციალური შედეგების თანახმად აბაშიძის "აღორძინების პარტიამ" ხმების 20% მიიღო,[20] რითაც ის შევარდნაძის აუცილებელ პარტნიორად იქცეოდა საპარლამენტო უმრავლესობის მისაღწევად. აბაშიძის თბილისში მზარდი გავლენის გარდუვალობა მთელი საქართველოს პოლიტიკური "აჭარიზაციის" პერსპექტივას ქმნიდა, რამაც ცეცხლზე ნავთის დასხმის ეფექტი გამოიწვია და გააძლიერა საპროტესტო მოძრაობა, რაც, საბოლოოდ, შევარდნაძის გადადგომით დამთავრდა.

როგორც საქართველოს ყველა სხვა კრიზისულ რეგიონში, რუსეთის ფაქტორმა აჭარაშიც ითამაშა მნიშვნელოვანი როლი. რუსეთს საკუთარი სამხედრო ბაზა გააჩნდა იქ და აბაშიძეს თავის საკვანძო მოკავშირედ მიიჩნევდა საქართველოში. თუ გავითვა-ლისწინებთ სამხეთ კავკასიაში მიმდინარე მოვლენების პარანოიდულ აღქმას რუსი გეოსტრატეგოსების მიერ, მათთვის აჭარა საქართ-

[20] აღსანიშნავია, რომ ეს ხმები ძირითადად აჭარაზე მოდიოდა, თუმცა, 2002 წლის აღწერის მიხედვით, მისი მოსახლეობა საქართველოს მხოლოდ 8.6% შეადგენს.

ველოზე ზეწოლის მთავარი ინსტრუმენტი იყო, რათა ამ უკანასკნელს თურქეთისკენ არ გაქცეოდა თვალი. მეორე მხრივ, თავად აბაშიძეს რუსეთის სამხედრო ბაზა საკუთარი პოლიტიკური რეჟიმის უსაფრთხოების გარანტად მიაჩნდა.

სააკაშვილმა იმთავითვე განაცხადა, რომ აბაშიძის ამგვარ გამოწვევებს ვერ მოითმენდა და მოქმედება ორ ფრონტზე დაიწყო: აბაშიძის მიმართ ადგილობრივი ოპოზიციის გაძლიერებას დაეხმარა, მეორე მხრივ კი ცენტრალური ხელისუფლების ყველა შესაძლებლობა გამოიყენა მასზე ეკონომიკური და პოლიტიკური ზეწოლის მოსახდენად. სააკაშვილის ხელისუფლება შიშობდა, რომ აბაშიძე შევარდნაძეზე უფრო შორს წავიდოდა და არც სამხედრო ძალის გამოყენებას დაერიდებოდა საკუთარი ტახტის დასაცავად. 2004 წლის 2 მაისს, აბაშიძემ აჭარის დანარჩენ საქართველოსთან დამაკავშირებელი ხიდების აფეთქების ბრძანება გასცა. სავარაუდოდ, იგი იმედოვნებდა, რომ ამგვარი ქმედება თბილისთან სამხედრო დაპირისპირებას გამოიწვევა, რის შედეგადაც რუსეთი ჩაერეოდა აჭარის დასაცავად. თუ ეს მართლაც ასე იყო, მისი იმედები არ გამართლდა. იგი ქვეყნიდან თავად აჭარის მაცხოვრებლებმა განდევნეს და არა თბილისიდან ჩასულმა ჯარისკაცებმა. ბედის ირონიით, სწორედ რუსეთის დესპანმა, იგორ ივანოვმა დაარწმუნა აბაშიძე იმაში, რომ საბოლოო ნაბიჯი გადაედგა და აჭარა დაეტოვებინა.

როგორც კი კრიზისმა გადაიარა, საქართველოს ხელისუფლებამ პირობა დადო, რომ შეინარჩუნებდა აჭარის ავტონომიურ სტატუსს, თუმცა ოპოზიციური პარტიების ნაწილი მის გაუქმებას ითხოვდა.[21] მაგრამ, ფაქტობრივად, საქართველოს კონსტიტუციის ცვლილებებმა და 2004 წლის პირველ ივლისს ძალაში შესულმა კანონმა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ არსებითად შეკვეცა ავტონომიის უფლებები და ის არსებითად ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარა.[22] იმავე წლის ივნისში, აჭარის უმაღლესი

[21] აღსანიშნავია, რომ სტატუსის შეცვლას ისინი თავად აჭარის მოსახლეობაში ჩატარებული პლებისციტის გზით ითხოვდნენ და არა ცენტრალური ხელისუფლების გადაწყვეტილებით. იხ.: "Party of New Rights Started Gathering of Signatures among Achara Residents for Plebiscite on Status of Achara," *Black Sea Press*, June 14, 2004.

[22] "Georgian Parliament Defines Autonomous Status of Ajara," *Prime-News*, July 1, 2004.

საბჭოს არჩევნებში, საპრეზიდენტო პარტიამ დიდი უპირატესობით (72.1%) გაიმარჯვა. ახლადარჩეულმა საბჭომ "პრეზიდენტის კაცი" — ლევან ვაშალომიძე აირჩია აჭარის პრემიერად და ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციაშიც შეიტანა ცვლილებები საქართველოს კანონმდებლობასთან მის სრულ შესაბამისობაში მოსაყვანად.

შეიძლება, აჭარის ავტონომიის ახლებური განსაზღვრა მეტის-მეტად ცენტრალისტურად ჩავთვალოთ. მაგრამ თუნდაც ასე იყოს, მთავარი ისაა, რომ თავად აჭარის მოსახლეობას ამის გამო პროტესტი არ გამოუთქვამს. მათ შეიძლება არ მოსწონდეთ, რომ ხელისუფლებას თბილისიდან უნიშნავენ – მაგრამ ეს საქართველოს ნებისმიერ რეგიონს ეხება. შეიძლება ითქვას, რომ თუ აჭარის საკითხი საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ერთიანობას, დღეს ის ერთხელ და სამუდამოდ გადაჭრილი ჩანს. ეს არ ნიშნავს, რომ არანაირი კითხვის ნიშნები არ არსებობს იმის თაობაზე, თუ პრაქტიკულად როგორ იმუშავებს ავტონომიის ახალი რეჟიმი. ზოგი თვლის, რომ მომავალ, უფრო დემოკრატიულ აჭარაში სარწმუნოების ფაქტორმა შეიძლება უფრო მეტად იჩინოს თავი და დაძაბულობა გამოიწვიოს. საქართველოში ისეთებიც არიან, ვისთვისაც ქართველ მაჰმადიანთა არსებობა თავისთავად მიუღებელია, რადგან ქართველობა მართლმადიდებელი ეკლესიის გარეთ ვერ წარმოუდგენიათ. ეს აჭარელი მაჰმადიანების ყურსაც წვდება და სამომავლოდ გარკვეული უსიამოვნებები შეიძლება გამოიწვიოს.

ჯავახელი სომხები და ქვემო ქართლის აზერბაიჯანელები: პოლიტიკური ირედენტიზმის ახალი საფრთხე?

არც აფხაზები და არც ოსები საქართველოში ყველაზე დიდი ეთნიკური უმცირესობანი არასოდეს ყოფილან: როდესაც სსრკ დაიშალა, ყველაზე მრავალრიცხოვან ეთნიკურ უმცირესობას აქ სომხები (8.1%), რუსები (6.3%) და აზერბაიჯანელები (5.7%) შეადგენდნენ. 2002 წლისათვის ვითარება შეიცვალა: რუსების მიგრაციისა და აფხაზეთის დე ფაქტო გამოყოფის შედეგად (აქ კი ბევრი რუსი და სომეხი სახლობდა) აზერბაიჯანელები ყველაზე დიდ

ეთნიკურ უმცირესობად იქცნენ (საერთო მოსახლეობის 6.5%). შემდეგ მოდიან სომხები (5.7%). თითოეული ამ ჯგუფის დიდი წილი აზერბაიჯანისა (ქვემო ქართლი) და სომხეთის (სამცხე-ჯავახეთი) მოსაზღვრე ტერიტორიებზეა თავმოყრილი. მათგან ძალზე მცირე ნაწილი თუ მეტყველებს ქართულად. მათ სუსტად აქვთ განვითარებული საქართველოსადმი კუთვნილების გრძნობა და ემოციურად უფრო თავის ეთნიკურ სამშობლოსთან აიგივებენ თავს.

აქედან გამომდინარე, არსებობს თეორიული შესაძლებლობა, რომ ეს ორი რეგიონი მთიანი ყარაბაღის მსგავსი კონფლიქტების ზონად გადაიქცეს. საქართველოში ხანდახან შფოთავდნენ ამის გამო, თუმცა, რაკი ყველაფერი მშვიდობიანად მიდის, შიშიც შენელდა. რატომაა, რომ შესაძლებელი კონფლიქტები აქ არ განვითარებულა? მიზეზი რამდენიმეა. უპირველეს ყოვლისა, ავტონომიების მქონე ეთნიკური ჯგუფებისგან განსხვავებით, საქართველოს სომხებსა და აზერბაიჯანელებს ადმინისტრაციული საყრდენი არ ჰქონიათ საკუთარი ეთნონაციონალისტური პროექტების განსავითარებლად. მეორე მხრივ, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გამოცდილებამ ქართველები ზოგადად უფრო ფრთხილი გახადა ეთნიკურ უმცირესობებთან მიმართებაში; და მესამე — თუნდაც მთიანი ყარაბაღის სისხლიანი კონფლიქტის გამო, სომხეთიცა და აზერბაიჯანიც ერიდებიან საქართველოსთან ურთიერთობის გაფუჭებას და აქ სეპარატისტულ მოძრაობებს ვერ დაუჭერენ მხარს.

თუმცა ვითარება ჯავახეთსა თუ ქვემო ქართლში ერთმანეთის მსგავსია, სომხური უმრავლესობის მქონე ჯავახეთი მაინც მეტ ყურადღებას იქცევს, ვიდრე აზერბაიჯანელებით დასახლებული ქვემო ქართლი. ჯავახეთი პატარა რეგიონია, რომელიც ახალქალაქისა და ნინოწმინდის რაიონებს მოიცავს, მოსახლეობის დაახლოებით 95% აქ ეთნიკურად სომეხია.[23] საქართველოში არ არის სხვა კუთხე, სადაც ეთნიკური უმცირესობა ამდენად დომინირებდეს. ქართულს აქ

[23] ჯავახეთი შედის სამცხე-ჯავახეთში, სამხრეთ საქართველოს ადმინისტრაციულ რეგიონში, რომელიც ექვს რაიონს მოიცავს. მისი მოსახლეობის 54.6% სომეხია, ხოლო 43.4% - ქართველი. სახელი "ჯავახეთი" ჩვეულებრივ მიეყენება ორ რაიონს, ახალქალაქსა და ნინოწმინდას, სადაც სომხური მოსახლეობა სრულად დომინირებს, მაგრამ ფორმალურად ასეთი ადმინისტრაციული ერთეული არ არსებობს.

ძნელად გაიგონებთ, ხოლო 2004 წლამდე აქ, ქვეყნის კანონმდებლობის საპირისპიროდ, რუსული რუბლი ჯაბნიდა მიმოქცევაში ქართულ ლარს. ქართული ნაციონალიზმის ტალღის აგორებისა და 1992-ში პრეზიდენტ გამსახურდიას გაძევების შემდგომი არეულობის საპასუხოდ, ადგილობრივი ნაციონალისტური ორგანიზაციის, "ჯავახკის" თაოსნობით, სომხური ლაშქარიც კი შეიქმნა ჯავახეთში. 1990-იანი წლების დასაწყისში ქართველ ხელისუფალთ ძალზე უჭირდათ რეგიონში შეღწევა, თუმცა ათწლეულის შუახანებისთვის მათ ეს მოახერხეს იმით, რომ ბიზნესის ყველაზე მომგებიან სექტორებში გაბატონებულ ადგილობრივ კლანებს გაურიგდნენ. ორგანიზაცია "ჯავახკიც" რამდენიმე ნაწილად გაიყო (მათგან ერთ-ერთია არარეგისტრირებული პარტია "ვირქი") და მისი გავლენა საგრძნობლად შესუსტდა. "ჯავახკის" პროგრამა — ჯავახეთის სომეხთა ტერიტორიული ავტონომია — ავტონომიურ ერთეულებთან წარსული გამოცდილებიდან გამომდინარე, სრულიად მიუღებელია ქართველებისათვის. ამგვარი მოთხოვნა დრო და დრო ისევ გაისმის ხოლმე, მაგრამ მასობრივი მობილიზაციის საფუძვლად ის არ ქცეულა.

რაც შეეხება აზერბაიჯანელებით დასახლებულ კუთხეებს, იქ მსგავსი აქტივობა არ შეინიშნება და ავტონომიის მოთხოვნაც არასოდეს გაჟღერებულა. ორ რეგიონს შორის განსხვავება შეიძლება აიხსნას როგორც ეთნიკურ თემებს შორის განსხვავებით, ისე იმითაც, რომ ჯავახეთი გეოგრაფიულად უფრო მოწყვეტილია ქვეყნის სხვა ნაწილებს, ვიდრე ქვემო ქართლი. გარე გეოპოლიტიკური ფაქტორებიც თამაშობს გარკვეულ როლს: ადგილობრივ სომეხთა და აზერბაიჯანელთა ქცევა ბევრადაა განპირობებული მათი ეთნიკური სამშობლოების მოქმედებით. საქართველოსა და აზერბაიჯანს ბევრი საერთო ინტერესი აქვს, ორივეს დაძაბული ურთიერთობა აქვს რუსეთთან, ხოლო თურქეთსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს სტრატეგიულ პარტნიორებად მიიჩნევენ. ამის საწინააღმდეგოდ, სომხეთი რუსეთთანაა დაახლოებული, ხოლო თურქეთს "ისტორიულ მტრად" რაცხავს. საგარეო პოლიტიკის საკითხებში ასეთი ძირეული განსხვავება გარკვეულ უნდობლობას იწვევს საქართველოსა და სომხეთს შორის, რაც საქართველოში მცხოვრებ სომხობასაც გარკვეულ დაღს აჩენს.

ამ კონტექსტში, ახალქალაქის რუსული სამხედრო ბაზის არსებობა განსაკუთრებული მნიშვნელობის საკითხი გახდა. ჯავახელი

სომხობისათვის ეს ბაზა შემოსავლის მნიშვნელოვანი წყაროა: 2004 წლამდე მაინც, ბევრი მათგანი მსახურობდა იქ, ხოლო რუს სამხედროებს სხვა მხრივაც უდევთ წილი ადგილობრივ ეკონომიკაში. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ სომხები ამ ბაზას უყურებენ, როგორც ერთგვარ ფარს, რომელიც დაიცავს მათ როგორც თურქეთის ექსპანსიისაგან, ისე ქართული ნაციონალიზმის შესაძლო შემოტევისაგან. ამის საწინააღმდეგოდ, ქართველების უმრავლესობა და მათი ხელისუფლება ამგვარი ბაზის არსებობას მათი სახელმწიფოსთვის საფრთხედ მიიჩნევს. ასე რომ, ბაზა ხელს უწყობს სომეხ მოსახლეობასა და ქართულ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დაძაბვას.

პანკისის ხეობა: იმპორტირებული კონფლიქტი

პანკისი მომცრო ხეობაა საქართველოს ჩრდილო მთიანეთში, სადაც დაახლოებით 7,000 ქისტია კომპაქტურად დასახლებული. ისინი მაჰმადიანები არიან და ჩეჩნებს ენათესავებიან. ამავე დროს, ისინი შედარებით კარგად არიან ინტეგრირებულნი ქართულ მოსახლეობასთან, თავისუფლად ლაპარაკობენ ქართულს, და მათი გვარსახელებიც ქართულად ჟღერს.

სანამ ჩეჩნეთში ომები დაიწყებოდა, ბევრ ქართველს არც კი სმენია პანკისის ხეობაზე. საყოველთაოდ ცნობილი ის 1999 წელს გახდა, როცა ომს გამოქცეული ათასობით ჩეჩენი ლტოლვილი მიაწყდა იქაურობას.[24] ჩვეულებრივ ლტოლვილებთან ერთად დაუცველ საზღვარს იოლად კვეთდნენ ჩეჩენი მებრძოლებიც. ამან საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მკვეთრად დაძაბა: მოსკოვმა თბილისს ტერორისტების მფარველობა დააბრალა.[25] გარდა ამისა, ქვეყანას შეექმნა მწვავე საშინაო პრობლემაც: სულ მალე პანკისის ხეობა ფაქტობრივად ხელისუფლების კონტროლიდან გამოვიდა და იარაღით არალეგალური ვაჭრობის, ნარკოტიკების

[24] ჩეჩნეთის პირველი ომის დროს, 1994 წელს, ლტოლვილთა და დაჭრილ მებრძოლთა რაოდენობა შეუდარებლად ნაკლები იყო.
[25] იხ. ჯაბა დევდარიანის თავი ამავე წიგნში.

ტრანზიტისა და გამოსასყიდის მიზნით გატაცებების კერად იქცა. პანკისის ხეობა, შეიძლება ითქვას, საქართველოს არშემდგარი სახელმწიფოებრიობის თუ მისი რღვევის თავისებური სიმბოლო გახდა.[26] არსებითად, ქართველ სამართალდამცავებს იქაურობის გაკონტროლების მცდელობაზეც კი აღებული ჰქონდათ ხელი და პოლიტიკოსებიც აცხადებდნენ — პანკისის ხეობაში წესრიგის დამყარებას საქართველოს ჩეჩნეთ-რუსეთის ომში ჩათრევა შეიძლება მოჰყვესო; ჯობს, ჯერ-ჯერობით მაინც, ყველაფერი თვითდინებაზე მივუშვათ და ხეობა იზოლირებულ არეალად ვაქციოთო.

მაგრამ, თუნდაც ადამიანთა გახშირებული გატაცებების გამო, პანკისის დანარჩენი საქართველოსაგან იზოლაცია შეუძლებელი აღმოჩნდა: მეზობელ ახმეტის რაიონში საკუთარი ლაშქარი ჩამოაყალიბეს და იმუქრებოდნენ, ჩვენ თავად დავამყარებთ წესრიგსო. ეს ლაშქარიც თავისთავად იქცა პრობლემად. 2001 წლის ოქტომბერში ჩეჩენ მებრძოლთა მთელი შენაერთი, რაღაც იდუმალი გზებით (მაშინ ამბობდნენ, რომ ეს ქართველი სამართალდამცავების ხელშეწყობით მოხდა) პანკისიდან აფხაზეთში გადავიდა და წარუმატებლად სცადა, ბრძოლით შესულიყო აფხაზეთში. პანკისში შექმნილი ვითარება ნაწილობრივ აიხსნებოდა საქართველოს ცენტრალური ხელისუფლების უუნარობით, მაგრამ გამოიკვეთა კორუმპირებულ სამართალდამცავთა ინტერესიც, შეენარჩუნებინათ უკონტროლო ვითარება, რომ რეგიონში განვითარებული კრიმინალური ბიზნესიდან თავისი წილი მიეღოთ.

2001 წლის 9 სექტემბერს შეერთებულ შტატებში განხორციელებული ტერროროსტული აქტების შემდეგ ტერორიზმთან გლობალური ომის კონტექსტმა პანკისის ხეობისა თუ მისი მსგავსი რეგიონების მიმართ დამოკიდებულება მკვეთრად შეცვალა. არასტაბილურ ქვეყნებში ამგვარი უკონტროლო ანკლავების არსებობაც კი (განსაკუთრებით, თუ ისინი მუსლიმანებით არიან დასახლებულნი) იმთავითვე ტერორიზმის სავარაუდო წყაროდ განიხილება. როდესაც საქართველოში აშშ-ს საელჩოს წარმომადგენელმა ფილიპ რემლერმა

[26] ამან დასავლურ მედიაში ისეთი გამოხმაურებებიც კი გამოიწვია, როგორიც მაგ.: Patrick Cockburn, “Collapse of Georgia is Ignored by the World,” (“მსოფლიო უგულვებელყოფს საქართველოს კოლაფსს”), *The Independent*, January 14, 2002.

განაცხადა, ალ-ქაიდას ფესვი აქვს პანკისში გადგმულიო, საქართველო ერდოულად შეერთებული შტატებისა და რუსეთის ზეწოლის ქვეშ აღმოჩნდა, რამაც სულ მალე მოიტანა შედეგი.[27] ქართველი სამართალდამცავების ფორმირებებმა რამდენიმე ოპერაცია განახორციელეს ხეობაში და გარკვეულ წარმატებებსაც მიაღწიეს, ოღონდ მხოლოდ მას შემდეგ, რაც შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროთა კორუმპირებული ხელმძღვანელობა შეიცვალა. სწორედ პანკისის პრობლემამ გადააწყვეტინა შეერთებულ შტატებს, საქართველოში წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა განეხორციელებინა, რის ფარგლებშიც მან თავისი სპეცნაწილების ორასამდე ოფიცერი გააგზავნა ქართული ჯარის ქვედანაყოფების გადასამზადებლად.

პოლიტიკური ინტეგრაციის პრობლემა

პანკისში, საქართველოს სხვა კონფლიქტური ზონების მსგავსად, მთავარი საფიქრალი ერთიანი საქართველოს დანაწევრების საფრთხეა. ყველა ამ წერტილში ეთნიკური თუ სარწმუნოებრივი ფაქტორი იჩენს თავს, ოღონდ თავისთავად ეთნიკური სიჭრელე პრობლემის მიზეზებს ვერ ხსნის: კონფლიქტების წინაპირობად უფრო მეტად საბჭოთა პერიოდის ინსტიტუციური სტრუქტურები და ამ მრავალსაფეხურიანი კვაზიფედერალიზმიდან დამოუკიდებელ ეროვნულ სახელმწიფოთა სისტემაზე გადასვლის პროცესი იქცა. დანაწევრების ხიფათი ასევე ძლიერ კორელაციაშია რუსი სამხედროების ყოფნასთან როგორც უშუალოდ (აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, აჭარა, ჯავახეთი), ისე არაპირდაპირ (პანკისის ხეობა). იქ, სადაც არ არსებობს დანაწევრების ინსტიტუციური საფუძველი ან ნეგატიური გარეგანი ზეგავლენა (ქვემო ქართლი), საფრთხეც პროპორციულად კლებულობს.

რა თქმა უნდა, აქედან არ უნდა გამოვიტანოთ მარტივი დასკვნა, თითქოს საქართველოს ყველა შიდა პრობლემის გასაღები მხოლოდ

[27] იხ.: Ariel Cohen, "Moscow, Washington, and Tbilisi Wrestle with Instability in the Pankisi," *Eurasia Insight*, February 19, 2002, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav021902.shtml.

და მხოლოდ რუსეთსა თუ სხვა გარე ფაქტორებში უნდა ვეძიოთ. არსებობს სხვა, ნაკლებ თვალშისაცემი პრობლემები, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ან მას უფრო მოწყვლადს ხდის. ამათგან ყველაზე მნიშვნელოვანი ეთნიკური საკითხებია. ფაქტობრივად გამოყოფილი აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთიც რომ არ ჩავთვალოთ, საქართველოს მოსახლეობის 16.3%-ს ეთნიკური უმცირესობები შეადგენს. მათ შორის ყველაზე დიდ ჯგუფებს სომხები და აზერბაიჯანელები შეადგენენ.[28] მართალია, მათგან ირედენტობის რეალური საფრთხე არ ჩანს, მათი მარგინალურობა ქართულ საზოგადოებაში მაინც პრობლემად რჩება. უმეტესი მათგანი ვერ ფლობს ქართულს — ქვეყნის ერთადერთ სახელმწიფო ენას.[29] ასევე, მათი უმრავლესობა საკუთარი, ადგილობრივი ინტერესებითაა დაკავებული და ქვეყნის საერთო პრობლემებს ნაკლებად აღიქვამს. მართალია, ისინი წარმომადგენილი არიან პარლამენტში, მაგრამ ამას უფრო ცერემონიული დატვირთვა აქვს; სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიაში უმცირესობათა აქტიურ წევრებს ძნელად თუ იპოვით.

სახელმწიფო ენის ვერფლობა სომხებისა და აზერბაიჯანელების პასიურობისა და მარგინალურობის მხოლოდ ერთი მიზეზთაგანია — უმთავრესი მაინც ქართულ საზოგადოებაში მათი სტატუსის გაურკვევლობაა. მაინც, რის საფუძველზე შეიძლება მოხდეს მათი ინტეგრაცია? საჭიროა მათი გვარტომობის სრული იგნორირება, ოფიციალური თუ არაფორმალური ეთნიკური ქვოტების დაწესება, თუ რაიმე სხვა? აფხაზეთისა და ოსეთის კონფლიქტების შემდეგ სახელმწიფო ლიდერებიცა და ფართო საზოგადოებაც პრობლემის წაყრუებას ცდილობს, თითქოს ის საკუთარ თავს თავადვე მოუვლიდეს. მაგრამ ასე ალბათ არ მოხდება...

ბოლო წლების ვითარება რომ შევაჯამოთ, ერთის მხრივ, სახელმწიფო უფრო "ქართული" გახდა, მეორე მხრივ კი ინერციით გაგრძელდა საბჭოთა დროის ეთნიკური პოლიტიკა. ეთნიკურ უმცირესობებს უეჭველად აქვთ თავიანთი კულტურული იდენტობის შენარჩუნების

[28] ეს 2002 წლის აღწერის მიხედვით, რომელშიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა არაა გათვალისწინებული.

[29] აფხაზურ ენას აფხაზეთის ტერიტორიაზე აგრეთვე ენიჭება სახელმწიფო ენის სტატუსი, ოღონდ კონფლიქტის გადაწყვეტამდე ამას წმინდად სიმბოლური მნიშვნელობა აქვს.

მექანიზმები – მაგალითად, მშობლიურ ენაზე განათლების მიღების საშუალება – მაგრამ სწორედ ეს მექნიზმებია, რაც მათ "ეთნიკურ გეტოში" გამოკეტვას უწყობს ხელს. ინტეგრაციის ადეკვატური ფორმულის მოძიებას ხელს უშლის როგორც უმრავლესობის მოუმზადებლობა, უმცირესობანი ერის სრულფასოვან ნაწილად მიიღოს, ისე ინტეგრაციის შიში უმცირესობების მხრიდან, რადგან ისინი მას ასიმილაციის პირველ საფეხურად თვლიან. კიდევ ერთი თეორიული შესაძლებლობაა არსებული ეთნიკური ანკლავების ინსტიტუციონალიზაცია ეთნიკური ფედერალიზმის საფუძველზე. მაგრამ ეს პოლიტიკურად შეუძლებელია, რადგან ქართველების თვალში ასეთი ეთნო-ფედერალური ერთეულების შექმნა სეპარატიზმის პირველი საფეხურია. ასეთი გზა ალბათ ინტეგრაციის იმედზეც კი ხელის აღება იქნებოდა. სანამ რაღაც ფორმულა მოინახება, გარიყული ეთნიკური უმცირესობების არსებობა ქვეყნისთვის პოტენციური საფრთხის შემცველად დარჩება.

სააკაშვილის ხელისუფლების მიერ გადადგმული ზოგიერთი ნაბიჯი მიანიშნებს, რომ მთავრობას გააზრებული აქვს საქართველოში ეთნიკურ უმცირესობათა პრობლემების არსებობა და ცდილობს კიდეც რაღაც ნაბიჯების გადადგმას. მალე მათი მოსვლის შემდეგ აღდგა გადაცემები უმცირესობათა ენებზე. 2005 წლის თებერვალს, საქართველოს პარლამენტისადმი ყოველწლიურ მიმართვაში პრეზიდენტმა უმცირესობათა ინტეგრაცია ქვეყნისთვის ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად ჩათვალა და გამოაცხადა, რომ დაიწყებდა უმცირესობის სამასი წარმომადგენლის ქართულ უნივერსიტეტებში წვრთნის პროგრამას იმ ანგარიშით, რომ ისინი სახელმწიფო დაწესებულებებში იმუშავებდნენ.[30] ეს არ ნიშნავს, რომ ამ პრობლემებს მართლაც პრიორიტეტი მიენიჭება, ან რომ ხელისუფლებას მწყობრი გეგმა აქვს მათ გადასაწყვეტად. მაგრამ ახალ ხელისუფლებას პრობლემის უგულებელყოფაც არ შეუძლია. საკუთარ გამოკვლევებზე დაყრდნობითაც შემიძლია ვთქვა, რომ ეთნოსტაბილურობის მისაღწევად შევარდნაძის ხელისუფლების ძირითადი მეთოდი ეთნიკურ უმცირესობათა ელიტების ("კლანების") კორუმ-

[30] "Georgian President Delivers Annual Address to Parliament," *BBC Monitoring Newslife*, February 10, 2005.

პირებულ პატრონაჟულ ქსელებში ჩართვა იყო. ამგვარი მიდგომის შენარჩუნება შეეწინააღმდეგება ახალი ხელისუფლების მიერ დეკლარირებულ რეფორმისტულ მისწრაფებებს, მაგრამ ხელის ერთი მოსმით მათზე უარის თქმა — ისე, რომ ისინი არც აქტიური, უმცირესობათა წუხილებზე პასუხების შემცველი საინტეგრაციო პოლიტიკით შეცვალო — დესტაბილიზაციის წინაპირობად შეიძლება იქცეს.

დაქუცმაცების კიდევ ერთი ტრადიციული ფაქტორი საქართველოში თვით ეთნიკურ ქართველთა შორის კუთხურობა და ენობრივ უმცირესობათა არსებობაა. კუთხურობას საქართველოში ხანგრძლივი ისტორია აქვს. XI-XII საუკუნეების "ოქროს ხანასა" და რუსეთის იმპერიაში შესვლას შორის პერიოდში, ქართველები სხვადასხვა სამთავროებსა და სამეფოებში ცხოვრობდნენ, რომელთაც ზოგადი ერთობის მეტ-ნაკლებად ბუნდოვანი შეგნება ჰქონდათ, მაგრამ არც ერთმანეთთან კონფლიქტი აკლდათ. XIX საუკუნეში, როცა ლიბერალურად განწყობილმა ინტელიგენციამ საერთო-ეროვნული მიკუთვნებულობის იდეა წამოწია წინ, ერის მშენებლობის ძირითად წინაღობად მას სწორედ კუთხურობა მიაჩნდა. პარადოქსია, მაგრამ საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა აღმოჩნდა ის ინსტიტუტი, რომელმაც ქართველებში ერთიანი ეროვნული კუთვნილების შეგრძნება განამტკიცა. კუთხურობის არსებობა დღესაც კი იწვევს გარკვეულ შფოთვას. თუმცა ამაზე საჯაროდ ლაპარაკი კარგ ტონად არ ითვლება, ბევრი ფიქრობს, რომ გარკვეულ პირობებში, კუთხურობამ ვინძლო ეროვნულ ერთიანობასაც კი გაუჩინოს ბზარი.[31] მაგალითად, ეს ქვეტექსტი აქვს დისკუსიებს იმის შესახებ, გახდეს თუ არა საქართველო ფედერალური მოწყობის ქვეყანა. 1993-94 წლებში პრეზიდენტმა შევარდნაძემ შექმნა ახალი მსხვილი ადმინისტრაციული რეგიონები — მხარეები, და ეს სტატუსი საქართველოს ისტორიულ პროვინციებს მიანიჭა, როგორიცაა კახეთი, იმერეთი, გურია, სამეგრელო და სხვ. მაგრამ ამ იდეამ საკმაოდ ბევრი წინააღმდეგობა გამოიწვია. 1995 წლის საკონსტიტუციო დისკუსიის

[31] მაგალითად, ქართველი ანალიტიკოსები წერენ კუთხურობის გავლენაზე ბიუროკრატიულ სისტემაში პატრონაჟული ქსელების შექმნისას. იხ.: კობა კიკაბიძე და დავით ლოსაბერიძე, "ინსტიტუციონალიზმი და კლიენტელიზმი საქართველოში", *სადისკუსიო ნაშრომი,* (თბილისი, *სადისკუსიო ნაშრომების* სერია, 2000), გვ. 40-41.

დროს ქვეყნის ახლებური ტერიტორიული მოწყობის თაობაზე შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული. სახელმწიფო მოწყობის ეს უმნიშვნელოვანესი კომპონენტი ჯერაც ღიადაა დატოვებული საქართველოს კონსტიტუციაში, ხოლო სამხარეო ადმინისტრაცია მხოლოდ საპრეზიდენტო ბრძანებულებით ფუნქციობს.[32] ბევრს ისევ ეშინია, რომ ისტორიული მხარეების ადმინისტრაციულ ერთეულებად ქცევა კუთხურობას ააღორძინებს და ერთიან ეროვნულ თვით-შეგნებას გამოუთხრის ძირს.

ამ კუთხეებიდან ორი — სამეგრელო და სვანეთი განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს, რადგან მოსახლეობის ეს ორი ჯგუფი საკუთარ, ქართულის მონათესავე, მაგრამ სხვა ქართველებისთვის გაუგებარ ენებზე მეტყველებს. მეგრელები ბევრად მრავალრიცხოვანნი არიან[33] და ზოგ დასავლელ მიმომხილველს ისიც კი უკვირს, დამოუკიდებლობას რატომ არ ითხოვენო.[34] მაგრამ საქმე პირიქითაა: როგორც 1918-21 წლების, ისე პოსტ-საბჭოთა დამოუკიდებლობის პერიოდებში ქართული ნაციონალიზმი სწორედ სამეგრელოში იყო განსაკუთრებით ძლიერი. ზვიად გამსახურდია, საქართველოს პირველი პრეზიდენტი, წარმოშობით სამეგრელოდან იყო. გამსახურდიას ჩამოგდების მერე შევარდნაძის რეჟიმისათვის ერთ-ერთ საკვანძო პრობლემად სწორედ სამეგრელო იქცა: გამსახურდიას მომხრეები აქ გამაგრდნენ, ამ მხარეზე კონტროლის დამყარების მცდელობა კი ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგ სადამსჯელო ოპერაციებში გადაიზარდა. გარდა ამისა, აფხაზეთში მცხოვრებ ქართველთა უმეტესობა, ვინც კონფლიქტის შედეგად თავისი სახლებიდან განდევნეს, სწორედ მეგრელია. აქედან გამომდინარე, მეგრელებს მიაჩნიათ, რომ ყველაზე დიდი დარტყმა მიიღეს 1990-იანი წლების სამოქალაქო ომების შედეგად, და, რაც კიდევ უარესია, მათი ეს განსაცდელი ქვეყნის დანარჩენმა ნაწილმა საკმარისად გულთან ახლოს

[32] ტერიტორიული მოწყობის კონსტიტუციურ განსაზღვრაზე დროებით უარის თქმის ოფიციალური ახსნა ის იყო, რომ ჯერ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთში უნდა მოეგვარებინათ კონფლიქტი; სინამდვილეში, თავად ქართველებს შორის ამ საკითხზე ერთიანი აზრის ჩამოყალიბება ქმნიდა გადაულახავ პრობლემას.

[33] სხვადასხვა კუთხური იდენტობის მატარებლებზე მოსახლეობის აღწერა არაფერს ამბობს, თუმცა ვარაუდობენ, რომ მეგრელები ნახევარ მილიონამდე უნდა იყვნენ, მაშინ როდესაც სვანების რიცხვი 40,000-ს არ აღემატება.

[34] Neal Ascherson, *Black Sea* (New York: Hill and Wang, 1995).

არ მიიტანა. ეს არ ნიშნავს, რომ მეგრელებს რაიმე სეპარატისტული იდეები გაუჩნდათ, მაგრამ ამ კონფლიქტებმა, გარკვეულწილად, ხაზი გაუსვეს მათ განსაკუთრებულ ადგილს საქართველოს დანარჩენ მოსახლეობასთან შედარებით.

შეიძლება ვივარაუდოთ, რომ "ვარდების რევოლუციამ" დიდად შეუწყო ხელი აიარების გამთელებას. სააკაშვილმა სწორედ სამეგრელოზე გააკეთა აქცენტი პრეზიდენტ შევარდნაძის რეჟიმის საწინააღმდეგო კამპანიის აგორებისას, და სწორედ ამ მხარისგან მიიღო განსაკუთრებული მხარდაჭერა ნოემბრის დღეებში. რევოლუციის შემდეგ სააკაშვილმა გარკვეული ნაბიჯები გადადგა გამსახურდიას რეაბილიტაციის მიმართულებით, რაც მეგრელთა უმრავლესობისთვის სასიამოვნო იყო. სააკაშვილთან დაახლოებული ადამიანების მოწმობით, სამეგრელოს აქტიური "ჩართვა" პოლიტიკურ პროცესებში იმთავითვე შეადგენდა ერის გამთლიანების სააკაშვილისეული სტრატეგიული ჩანაფიქრის ნაწილს.

თანამედროვე ერებისთვის სავსებით ბუნებრივია, არსებობდნენ ძლიერი რეგიონული იდენტობები, რომლებიც გარკვეულ კონკურენციას უწევენ საერთო-ეროვნულ თვითშეგნებას: ეს თავისთავად სულაც არ უთხრის ძირს ეროვნულ ერთიანობას. 1990-იანი წლების არეულობის გამოცდილება ყველაზე ნათლად აჩვენებს, რომ კუთხურობის გამოვლინება (მათ შორის მეგრელების შემთხვევაში) საქართველოს ერთიანობას არანაირად არ ემუქრება. თუ სადმე არსებობდნენ ცენტრალური ხელისუფლებისაგან გამოყოფის მოსურნე ჯგუფები, სახელისუფლებო სტრუქტურების სრული კრახი დამოუკიდებლობის მიღწევის პერიოდში საამისოდ საუკეთესო დრო იყო. სწორედ მაშინ გახლდათ საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტები ყველაზე მყიფე და არამდგრადი.

მაშინ როდესაც შევარდნაძის მცდელობა იქითკენ იყო მიმართული, 1990-იანი წლების ეთნო-პოლიტიკური კონფლიქტების შედეგები გაენეიტრალებინა და ქვეყანა შემდგომი რღვევისაგან ეხსნა, სააკაშვილმა საქართველოს სრული გაერთიანება გამოაცხადა თავისი პოლიტიკური პროგრამის ქვაკუთხედად. ჯერ-ჯერობით მან თითქოს მოახერხა მეგრელების ერთგვარი გაუცხოებით გამოწვეული ფსიქოლოგიური ტრამვის დაძლევა და აჭარის პრობლემის პიროვნულ-ადმინისტრაციული პრობლემების მოხსნა. მაგრამ სეპარატისტული

რეგიონების შემოერთება და ეთნიკური უმცირესობების რეალური ინტეგრაცია კვლავაც რთულ გამოწვევად რჩება.

ახალი სახელმწიფო წესრიგი: ანარქიული თავისუფლება, ნეო-პატრიმონიალიზმი და სოციალური კონტრაქტი

სახელმწიფოს სისუსტეს ორი განზომილება შეიძლება ჰქონდეს: ინსტიტუციური უუნარობა და ხელისუფლების უკმარისი ლეგიტიმურობა. იმის გარკვევა, თუ რომელია მათგან უმთავრესი, კვერცხისა და ქათმის საკითხს ჰგავს.[35] ძნელია ქმედითუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების მშენებლობა, თუკი ჯერ არ გაგირკვევია, რა ტიპის სახელმწიფოს აშენებ, ან ვის ეკუთვნის იგი (ვინ არის პოლიტიკური ერი?). გარდა ამისა, როგორ უნდა მოხდეს ერის მშენებლობა, თუ ამას არ იკისრებს პოლიტიკური ელიტა, და ისევ სახელმწიფო ინსტიტუტებს არ გამოიყენებს? სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტური მოქმედება თავისთავად ზრდის მისი ლეგიტიმურობის ხარისხს. მეორე მხრივ, სახელმწიფოობის მოშლაა სისხლიან ომებში გადაზრდილი სეცესიონისტური კონფლიქტების მიზეზი და არა პირიქით.

საქართველოს სახელმწიფოს სიმყარე ორგვარად შეიძლება შევაფასოთ: 1) მისი ინსტიტუტების სტაბილურობისა და მდგრადობის მიხედვით და 2) ამ ინსტიტუტების პროდუქტიულობით, ანუ მათი უნარით, მათზე დაკისრებული ფუნქციები შეასრულონ.[36] ორივე ამ

[35] დავ ლინჩი, სამხრეთკავკასიასთან მიმართებაში, სწორედ ამ ორ ასპექტზე ამახვილებს ყურადღებას. იხ.: Dov Lynch, "A Regional Insecurity Dynamic," *The South Caucasus: A Challenge for the EU*, Chaillot Papers no. 65, (Paris: Institute for Security Studies, European Union, December 2003), გვ. 12–15.

[36] სახელმწიფოს სისუსტის განსაზღვრის ორი გზა არსებობს: ლეგიტიმური ძალადობის გამოყენებაზე მონოპოლიის ვებერისეული კრიტერიუმი მინიმალისტურ მოთხოვნად შეგვიძლია ჩავთვალოთ. ჯოელ მიგდალი, მის ხშირად ციტირებულ წიგნში, სახელმწიფოს უნართა უფრო ფართო სიას გვთავაზობს, სადაც შედის: "უნარი, მთლიანად *მოიცვას* საზოგადოება, საზოგადოებრივ ურთიერთობათა *მოწესრიგების* უნარი, სახსრების *მოპოვების* უნარი და იმავე სახსრების *სათანადოდ* ანუ *გამართულად* გამოყენების უნარი". იხ.: Joel S. Migdal, *Strong Societies and Weak States: State-Society Relations and State Capabilities in the Third World* (Princeton, NJ: Princeton University Press, 1988), გვ. 4.

კრიტერიუმით, საქართველოს სახელმწიფო სუსტია — თუნდაც იმიტომ, რომ ქვეყნის მთლიან ტერიტორიას ვერ აკონტროლებს. გარდა ამისა, ცენტრალურმა ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო ძალის ლეგიტიმური გამოყენების მონოპოლია ქვეყნის შიგნით — ანუ სახელმწიფოს მინიმალურ ვებერისეულ მოთხოვნასაც ვერ აკმაყოფილებს. ეს სისუსტე ყველაზე მძაფრად გამოვლინდა პერიოდში, რომელიც დაიწყო 1991-92 წწ. გადატრიალებით და გაგრძელდა 1995 წლამდე, როცა ხელისუფლებამ "მხედრიონის" თარეშს მოუღო ბოლო. თუმცა, 1995 წლის შემდეგაც სახელმწიფო იგუებდა პარამილიტარული დაჯგუფებების არსებობას — ამის მაგალითია სამეგრელო-აფხაზეთის რეგიონში მოქმედი პარტიზანული ჯგუფები, ან პანკისის ხეობის პრობლემის კონტექსტში შექმნილი "სახალხო ლაშქარი."

საქართველოს სახელმწიფოს სისუსტეს მხოლოდ ძალის ლეგიტიმურ გამოყენებაზე მონოპოლიის ვერდამყარება როდი წარმოაჩენს. ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორია ხელისუფლების კონსტიტუციური გზით გადაცემის უუნარობა. გამსახურდიაც და შევარდნაძეც ძალით გადააყენეს და არა ლეგიტიმური საარჩევნო პროცესის გზით. სისუსტეზე მიანიშნებს საქართველოს ხელისუფლების საკუთარ სამხედრო ფორმირებებზე არასაკმარისი კონტროლიც. 1991 წელს სწორედ სამხედრო ფორმირებებმა გააძევეს გამსახურდია, ხოლო ეროვნული გვარდიის სარდალს, თენგიზ კიტოვანს ბრალად სდებენ 1992 წლის აგვისტოში აფხაზეთში სამხედრო მოქმედებების წამოწყებას. 1994 წლის აპრილში, როცა საქართველოს თავდაცვის მინისტრად ყოფილი საბჭოთა გენერალი დაინიშნა, ჯარი გვერდზე გადგა პოლიტიკისაგან, ოღონდ 1998-2001 წლებში საზოგადოება სერიოზულად შეაშფოთა შეიარაღებულ ძალებში მომხდარმა რამდენიმე ჯანყმა. რაც შეეხება პოლიციასა და უშიშროების სამსახურებს, ისინი სახელმწიფოს წინააღმდეგ გამოხდომებში არასოდეს შემჩნეულან, მაგრამ, საყოველთაო აზრით, ჩართულნი იყვნენ სხვადასხვა კანონსაწინააღმდეგო ქმედებებში, როგორიცაა კონტრაბანდა, ნარკოტიკებით ვაჭრობა თუ ადამიანთა გატაცებები. აქვე დავამატებთ, რომ შევარდნაძის პერიოდში სამართალდამცავ ორგანოებს უყურებდნენ როგორც ბიზნესისგან და მოქალაქეებისგან ფულის გამოძალვის აწყობილ მექანიზმებს.

სისუსტის შემდგომი განზომილებაა სახელმწიფოს უუნარობა, მოკრიბოს სახაზინო შემოსავლები და ჯეროვნად დააფინანსოს სახელმწიფო ინსტიტუტები. მიჩნეულია, რომ საქართველოში ჩრდილოვან ეკონომიკას ყველაზე დიდი წილი უჭირავს პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის (სხვადასხვა შეფასებით, 40-70%).[37] შედეგად, სახელწიფო ხაზინის შემოსავლები ძალიან მცირეა. 2003 წელს მათ საერთო ეროვნული პროდუქტის მხოლოდ 11,2% შეადგინეს (ევრო-კავშირის ქვეყნებში მათი წილი დაახლოებით 50%-ს უდრის).[38] ამის შედეგი იყო უაღრესად დაბალი ხელფასები და პენსიები, რომლებიც, როგორც წესი, ბევრად ჩამორჩებოდა საცხოვრებელ მინიმუმს.[39] სახელმწიფო ორგანიზაციები ვერ იზიდავდნენ პატიოსან და კომპეტენტურ პერსონალს: შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში მინისტრის ხელფასიც კი ნებისმიერი საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის უბრალო მდივნის ხელფასს ვერ გაუტოლდებოდა. ამის გამო, ძალიან ბევრი თანამდებობას მხოლოდ პირადი გამორჩენისთვის იყენებდა. დაბოლოს, სახელმწიფოს სისუსტის ყველაზე თვალსაჩინო მაჩვენებლად და ფართო განხილვის საგნად იქცა კორუფცია, რომელსაც ზოგიერთი საქართველოს მრავალი სხვა წარუმატებლობის ძირითად მიზეზად თვლის. 2003 წელს, ორგანიზაცია "საერთაშორისო გამჭვირვალობის" მიერ შექმნილ

[37] სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის ოფიციალური მონაცემების მიხედვით, ჩრდილოვანი (აღუნუსხავი) ეკონომიკის წილი 2000 წლიდან 2003 წლამდე 32-სა და 34% შორის მერყეობდა. იხ.: (*Georgian Economic Trends*, Quarterly Review, no. 2-3, 2003, p. 10). ნიკოლაი ჰაჯიისკი, ევროპული ბანკის რეკონს-ტრუქციისა და განვითარების ექსპერტი მიიჩნევს, რომ "ეს ციფრი აშკარად 50%-ზე ნაკლები არ უნდა იყოს". იხ.: Daan van der Schriek, "Illicit Traders Work the Georgia–Turkey Shuttle," *Eurasia Insight*, August 6, 2003, www.eurasia.net.

[38] იხ.: Galt and Taggart Securities, *Georgia: Weekly Stock Market Commentary*, January 26, 2004. ისიც უნდა ითქვას, რომ ეს ციფრები მაინც ჩრდილოვანი ეკონომიკის წილის ოფიციალურ (სავარაუდოდ, შემცირებულ) მონაცემებს ეყრდნობა. თუ ჩავთვლით, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი სინამდვილეში მეტია, სახელმწიფო ხაზინის შემოსავლების პროცენტული შეფარდება ერთიან ეროვნულ პროდუქტთან მიმართებაში კიდევ უფრო დაბალი გამოვა.

[39] საქ. სტატისტიკის სახ. დეპარტამენტის მონაცემებით, 2002 წელს სახელმწიფო მოხელის საშუალო თვიური ანაზღაურება 104,9 ლარი იყო, მაშინ როცა სასიცოცხლო მინიმუმი 127,9 ლარით იყო განსაზღვრული. იხ.: *Georgian Economic Trends*, Quarterly Review, no. 2-3 (2003), გვ. 50–51.

კორუფციის აღქმის ინდექსში საქართველოს 133 ქვეყნიდან 124-ე ადგილი ეკავა.[40]

ოღონდ აქ უნდა დავძინოთ, რომ კორუფციის მაღალი დონე და სახელმწიფოს სისუსტე ავტომატურად არ უკავშირდება ერთმანეთს. ბევრ ქვეყანაში კორუფცია ყვავის, მაგრამ სახელმწიფო კონტროლიც მტკიცეა. პატიოსანი ხელისუფლება რომ კორუმპირებულს სჯობს, ამაზე არავინ დავობს, თუმცა ზოგან ქრთამი სახელმწიფო მექანიზმის "შეზეთვის" ეფექტური საშუალებაა. საქმე თავად კორუფციის ხასიათშია: შევარდნაძის დროს ხელისუფლება კორუფციულ შემოსავლებზე იყო დამოკიდებული, მაგრამ არ არსებობდა ერთიანი ცენტრი, რომელიც მათ ნაკადებს გააკონტროლებდა. ანუ, ერთი ქართველი ექსპერტის თქმით, "ეკონომიკური კაპიტალი საქართველოში არ არის სტრუქტურირებული ერთიან პატრიმონიალურ პირამიდად".[41] ფაქტობრივად, თანამდებობების სახით ხელისუფლება თავის მოხელეებს კორუფციული ქმედებებისთვის ლიცენზიებს ურიგებდა. მაღალჩინოსნები ყიდდნენ თანამდებობებს პირებზე, ვინც მათ ფულის გამოსაძალად გამოიყენებდა და მერე წილს გაუყოფდა. ასეთი კორუფციული პირამიდების მთელი ქსელი გაჩნდა, მაგრამ მათ შორის კოორდინაცია არ არსებობდა. პრეზიდენტი შევარდნაძე შუამავლის როლს ასრულებდა სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფს შორის, რათა საზოგადო სტაბილობა შეენარჩუნებინა, მაგრამ რაიმე საყოველთაო წესების გატარებას არ ცდილობდა. არაფორმალური წყაროების მოწმობით, ამგვარი კორუფციული სისტემა განსაკუთრებით არაწინასწარმეტყველებადი და, შესაბამისად, დესტრუქციულიც გახლდათ. მეტიც, ცალკეული მცდელობები კორუფციის წინააღმდეგ არათუ უშედეგო იყო, არამედ სისტემას კიდევ უფრო დახლართულად და არაწინასწარმეტყველებადად აქცევდა.

მაინც რატომაა სახელმწიფო ასე სუსტი საქართველოში? ქართველი ინტელექტუალები ხანდახან "არასახელმწიფოებრივ მენტალიტეტსა" და ინდივიდის სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ

[40] ამ მხრივ მხოლოდ მაიანმარი, პარაგვაი, ჰაიტი, ნიგერია და ბანგლადეში იდგა საქართველოზე დაბლა იხ.: http://www.transparency.org/cpi/2003/cpi2003.en.html.

[41] იხ.: მარინა მუსხელიშვილი, ანა ახვლედიანი, *დემოკრატიზაცია ეკონომიკური გარდაქმნების ფონზე*, სადისკუსიო მასალა 8, (სტოკჰოლმი: საერთაშორისო იდეას გამოცემა, 2003 წლის მაისი, გვ. 40..

გაუცხოებაზე საუბრობენ.[42] ზოგის აზრით, რაკი მოდერნული სახელმწიფოს ინსტიტუტები საქართველოს რუსეთის იმპერიამ მოახვია თავს, მათ იმთავითვე "უცხოს" იარლიყი დაედო. კომუნისტური მმართველობის ხანამ ეს გაუცხოება კიდევ უფრო გააღრმავა. სახელმწიფო აღიქმება როგორც აკრძალვების, რეპრესიის და ტყუილის საწყისი და არა მოქალაქეთა დაცვის მექანიზმი. ამ გამოცდილების ფონზე ქართველისათვის "სახელმწიფო" ისაა, რასაც თავი უნდა აარიდო. სახელმწიფოს დადგენილი წესებისთვის თავის არიდების ერთ-ერთი მექანიზმია პიროვნულ ურთიერთობებზე აგებული ქსელების განვითარება, ეს კი კლიენტილიზმის, კორუფციის და ნეოპატრიმონიალიზმის ძირია.

თუმცა ყოველივე ზემოთქმული შეიძლება სწორი იყოს, ეს არგუმენტები საქართველოსთვის სპეციფიკური ვერ იქნება. მოდერნულ წესრიგს არადასავლური სამყაროს დიდ ნაწილში უცხოობის დამღა ადევს, რადგან ის გარე ძალების თავმოხვეულია და ტრადიციულ ღირებულებებსა და ცხოვრების წესს არღვევს. თუ ეს ასეა, არსებობს კორელაცია მოდერნულობის გამაუცხოებელ ეფექტსა და სახელმწიფოს სისუსტეს შორის. აქედან გამომდინარე, სახელმწიფოს სისუსტე ზოგადი პრობლემაა განვითარებად ქვეყანათა უმეტესობისათვის.[43] გარდა ამისა, საქართველოსნაირ ქვეყნებში ანტიპოლიტიკურ განწყობას აძლიერებს კომუნისტური რეჟიმის ისტორიული გამოცდილება, რომელიც კორუფციაზე, რეპრესიასა და სიცრუეზე იყო დამყარებული.[44]

მაგრამ საქართველოს პოლიტიკური ინსტიტუტები განსაკუთრებით არამდგრადია სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან შედარებითაც კი. რატომ? მარტივი პასუხი შეიძლება ის იყოს, რომ საქართველო, უბრალოდ, უფრო მრავალგვარი გამოწვევების წინაშე

[42] იხ., მაგ: მამუკა ბიჭაშვილი, "კრიზისი და მისი ცნობიერების მოდიფიკაციები (კრებულში "ჭკუა ვაისაგან", გია ჭუმბურიძის შედგენითა და რედაქციით); თბილისი, მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიური ინსტიტუტი, 1994, გვ. 23-108.

[43] იხ.: Mark R. Beissinger and Crawford Young, eds., *Beyond State Crisis?: Postcolonial Africa and Post-Soviet Eurasia in Comparative Perspective* (Washington, DC: Woodrow Wilson Center Press, 2002).

[44] იხ.: George Konrad, *Antipolitics* (San Diego: Harcourt Brace Jovanovich, 1984).

იდგა, ვიდრე საბჭოეთის ნანგრევებზე შექმნილი სხვა ქვეყნები. იქნებ ასეც იყოს, ოღონდ სხვადასხვა სავარაუდო გამოწვევის გაზომვა და ურთიერთშედარება უმადური საქმეა. შეგვიძლია ვიდავოთ, რომ ბალტიის სამ სახელმწიფოში არანაკლები საფუძველი იყო ეთნიკური კონფლიქტებისთვის, მაგრამ ისინი არ მომხდარა, რადგან პოლიტიკური ლიდერები უფრო მოქნილად მოქმედებდნენ.

უფრო დამაჯერებელი მეჩვენება, საქართველოს სახელმწიფოებრივი მოუწესრიგებლობა დაგვეკავშირებინა იმ განსვლასთან, რაც არსებობს, ერთის მხრივ, ქართველების მიერ აღიარებულ ლიბერალური დემოკრატიის ნორმატიულ მოდელს, მეორე მხრივ კი, რეალურ სოციალურ გამოცდილებაზე დაყრდნობით ჩამოყალიბებულ გადარჩენის სტრატეგიებს შორის. როგორც ჩანს, საქართველოს არჩევანი დასავლური ლიბერალურ-დემოკრატიული მოდელის სასარგებლოდ არსებითად მის იდენტობას უკავშირდება: ქართველები თვლიან, რომ ევალებათ, დემოკრატია ჰქონდეთ, რადგან სხვაგვარად დასავლეთის ნაწილად ვერ იქნებიან აღიარებული. ამავე დროს, საქართველოს რეალურ სოციალურ და ისტორიულ გამოცდილებაში "დასავლურობის" კომპონენტი საკმაოდ მცირეა: დასავლეთთან ახლო კონტაქტში საქართველო არასოდეს ყოფილა. შუა საუკუნეებში მისი სოციალიზაციის სფერო ძირითადად ბიზანტიასთან კავშირებით განისაზღვრებოდა (ხოლო თანამედროვე დასავლეთი ბიზანტიის მემკვიდრეობას ნაკლებად იჩემებს), მოგვიანებით კი ოტომანთა იმპერიასა და სპარსეთთან ურთიერთობით. დასავლურმა მოდერნულობამ მხოლოდ XIX საუკუნეში, ისიც რუსეთის გავლით შემოაბიჯა საქართველოში. მოდერნულობის რუსული ვერსია კი თავისთავად მეორადი იყო. რაღა გასაკვირია, თუკი ქართველები დღეს "ნაღდი," საკუთრივი დასავლეთისკენ, ანუ უშუალოდ ევროპისა და შეერთებული შტატებისკენ ხიდის გადებას ცდილობენ. ქართული ეროვნული პროექტიც სწორედ დასავლურ ცივილიზაციასთან მიერთების სურვილიდან მოდის.

1917 წ. რუსეთის იმპერიის კოლაფსმა და 1991-ში სსრკ-ის რღვევამ საქართველოს ორჯერ მისცა შანსი, უშუალოდ დასავლური მოდერნიზაციის გზაზე გასულიყო. მაგრამ ვესტერნიზაციის პროექტის განხორციელებას სოციალური კაპიტალიც სჭირდება, რომელიც საქართველოს შემთხვევაში შეზღუდულია, კერძოდ, თავისუფლების

როგორც გარე შეზღუდვების არარსებობის ანარქიული გაგებით, სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ უნდობლობითა თუ საქმის პიროვნულ ურთიერთობებზე აგების ჩვევით. ეს განწყობა დაეხმარა ქართველებს, ავტოკრატულ მმართველებს არ შეგუებოდა (აქ გამსახურდიას პერსონალისტურ-პოპულისტური ვარიანტიც და შევარდნაძის ოლიგარქიული ვერსიაც იგულისხმება); ოღონდ მდგრადი და ეფექტური სახელმწიფოს ასაშენებლად ეს მენტალიტეტი ნაკლებად არის გამოსადეგი.

"ვარდების რევოლუციის" მთავარი მახასიათებელი ის არაა, რომ ქართველებმა კიდევ ერთი არადემოკრატიული ხელისუფლება მოიცილეს თავიდან. მისი ყველაზე დიდი მიღწევაა მისი არაძალადობრივი, მოწესრიგებული, უსისხლო ბუნება, ის ფაქტი, რომ ამ მოვლენამ მინიმალური ზიანი მიაყენა კონსტიტუციურ წესრიგს. ხელისუფლება იყო და არა ოპოზიცია, ვინც პირველმა ხელყო დემოკრატიული ინსტიტუტები, ხოლო ხალხმა, პირიქით, დაიცვა კონსტიტუციური წესრიგი იმით, რომ პრეზიდენტი აიძულა, გადამდგარიყო. შევარდნაძის გადადგომის შემდგომ პროცესები მალევე დაუბრუნდა კონსტიტუციის ჩარჩოებს. სწორედ რევოლუციის არაძალადობრივი და მოწესრიგებული ხასიათი იყო, რამაც ქართველებსაც და უცხო დამკვირვებლებსაც აფიქრებინა — ვინძლო ამ ქვეყნის ევროპული ამბიციები არც ისე უსაფუძვლოაო. ფართოდ გავრცელებული აზრით, ვარდების რევოლუციამ უბიძგა ევროკავშირს 2004 წელს გადაესინჯა თავისივე 2003 წლის გადაწყვეტილება და ჩაერთო სამხრეთ კავკასიის ქვეყნები ევროპის სამეზობლო პოლიტიკაში. ქართულმა საზოგადოებამ გამოიყენა პერიოდი 1992-დან 2003 წლამდე ხელისუფლების ორ არაკონსტიტუციურ შეცვლას შორის იმისთვის, რომ გაეძლიერებინა თავისი სოციალური კაპიტალი, რომელიც საჭიროა სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტების მშენებლობისთვის.

ახლა, დააგროვა თუ არა საქართველომ საკმარისი საზოგადოებრივი კაპიტალი იმ მყარი და ქმედითუნარიანი სახელმწიფო ინსტიტუტების შესაქმნელად, რომელთა წყალობით მომავალში არც ხავერდოვანი და არც რაიმე სხვა სახის რევოლუციები აღარ დასჭირდება — ჯერ კიდევ საკითხავია. პასუხი ამ კითხვაზე ბევრადაა დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად მოახერხებს ქართული პოლიტიკური ელიტა ისეთი სოციალური კონტრაქტის

ფორმულირებას, რომელიც მისაღები იქნება საქართველოს მოქალაქეთა უმრავლესობისთვის. "კორუფციასთან ბრძოლას", ახალი ხელისუფლების საფირმო ნიშანს, მხოლოდ ამ უფრო დიდი საკითხის კონტექსტში აქვს აზრი. ის, რასაც დასავლელი მრჩევლები თუ ადგილობრივი დემოკრატიული აქტივისტები და პოლიტიკოსები "კორუფციას" ეძახიან, ქართველთა უმეტესობისთვის საქმის კეთების ჩვეული ხერხია. ასეთი მიდგომა ემყარება იმ წანამძღვარს, რომ სახელმწიფო მოქალაქის მოწინააღდეგეა. ბევრი სხვა პოსტსაბჭოთა ლიდერის მსგავსად შევარდნაძეც ცდილობდა, ახალი ვითარებისათვის მოერგო ის, რასაც ზოგი ამერიკელი სოვეტოლოგი "ბრეჟნევისეულ სოციალურ კონტრაქტს" უწოდებდა:[45] ხელისუფლება თვალს ხუჭავდა მასობრივ კორუფციაზე საკუთარ მოხელეთა თუ მოქალაქეთა შორის, სანაცვლოდ კი მათგან პოლიტიკურ ლოიალობას ითხოვდა. მისი მმართველობა მყარი იყო, სანამ ამგვარი ფარული შეთანხმება ძალაში რჩებოდა. და პირიქით, ამ ბრეჟნევ-შევარდნაძისეულ საზოგადოებრივი კონტრაქტის უარყოფა შეადგენდა „ვარდების რევოლუციის" იდეოლოგიურ საფუძველს.

სააკაშვილის ხელისუფლებამ თავისი პირველი ნაბიჯებით დაგვანახა, რომ სახელმწიფოს გაძლიერება და კორუფციის აღმოფხვრა მისი უპირველესი ამოცანაა. უკანონო შეიარაღებული ფორმირებები – პარტიზანები სამეგრელოში და თუ ასლან აბაშიძის პირადი გვარდია აჭარაში — დაშლილია. შეიძლება ითქვას, რომ, თუ არ ჩავთვლით სეპარატისტულ რეგიონებს, საქართველო უკვე აკმაყოფილებს სახელმწიფოობის ვებერისეულ კრიტერიუმს — ძალის ლეგიტიმურ გამოყენებაზე მონოპოლიას. მას შემდეგ, რაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, არაერთი მაღალჩინოსანი ჩასვეს ციხეში კორუფციის ბრალდებით, ხოლო გადასახადების აკრეფამ სახელმწიფო შემოსავალი, სულ რაღაც რამდენიმე თვეში, ნახევარზე მეტით გაზარდა.[46] სახელმწიფო მოხელეთა შორის მექრთამეობის აღმო-

[45] იხ. George Breslauer, *Five Images of the Soviet Future: A Critical Review and Synthesis* (Berkeley, CA: University of California Institute of International Studies, 1978); and Linda Cook, *The Soviet Social Contract and Why it Failed* (Cambridge, MA: Harvard University Press, 1993).

[46] Galt and Taggart Securities, *Georgia: Weekly Stock Market Commentary*, October 11, 2004.

საფხვრელად მთავრობამ შექმნა ფონდი, საიდანაც დამატებით ხელფასს უხდის დაახლოებით 11,000 საჯარო მოხელეს. ფონდმა შემოწირულებანი მიიღო როგორც ადგილობრივი, ასევე საერთაშორისო სპონსორებისაგან. ამ უკანასკნელთა შორისაა გაერო-ს განვითარების პროექტი და ამერიკელი ფილანტროპი ჯორჯ სოროსი. დაგეგმილია, რომ სამი წლის ვადაში ამ ხარჯების გაღების პასუხისმგებლობა საქართველოს სახელმწიფო ხაზინაზე გადავა.[47] ახალმა მთავრობამ სახელმწიფო დაწესებულებებში მოსამსახურეთა მკვეთრი შემცირებაც იწყო. ეს აჩენს იმედს, რომ ის, ვინც რამდენიმე წლის შემდეგ დარჩება, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადექვატურ ანაზღაურებას მიიღებს. განსაკუთრებით შთამბეჭდავი იყო შემცირებები პოლიციაში (შევარდნაძის დროს ეს სტრუქტურა ხელშეუხებელი გახლდათ). ამავე სტრატეგიაში ჯდება პრივატიზაციის მეტად თამამი პროგრამა, რომელიც "სინდისის გარდა ყველაფრის" გაყიდვას ითვალისწინებს.[48]

ჯერჯერობით ნაადრევია იმის წინასწარმეტყველება, ეს ყველაფერი რამდენად წარმატებულ შედეგს გამოიღებს საქართველოს მოქალაქეთა და სახელმწიფოს შორის ახალი ურთიერთობების ჩამოსაყალიბებლად. მოკლევადიანი გათვლით, ასეთმა ღონისძიებებმა იქნებ დესტაბილიზაციაც კი გამოიწვიოს, რადგან კორუფციასთან ბრძოლა იმ სოციალურ წესრიგს უთხრის საფუძველს, რომელსაც ქართველები ათწლეულების განმავლობაში შეეჩვივნენ. ტრადიციული წესრიგის იმგვარი სოციალური ურთიერთობებით შეცვლის მცდელობა, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დასავლურ მოთხოვნებს რომ აკმაყოფილებს, სხვებსაც ჰქონდათ, მაგრამ ხშირ შემთხვევაში აქედან არაფერი გამოსულა დესტაბილიზაციის გარდა. ასეთ შემთხვევებში გარდამავალ პერიოდში ხელისუფლება განსაკუთრებით რთული დილემის წინაშე დგება: გარკვეულწილად შეინყნაროს თუ არა კორუფციის მისაღები დონე — ოღონდ ისე, რომ თავად არ ჩაეფლოს მასში. მეორე მხრივ, ეროვნული განწმენდის და სახელმწიფო ინსტიტუტების ნულიდან თავიდან აშენების რევოლუციურ-იაკობინური ენთუზიაზმიც არანაკლებ

[47] ფონდის დირექტორ კოტე კუბლაშვილთან ინტერვიუს ჩანაწერი, 2004 წ. ივლისი.
[48] ეს პროგრამა ახალმა მინისტრმა, კახა ბენდუქიძემ გაახმოვანა. მასზე იხ.: "A Different Sort of Oligarch," *The Economist*, July 27, 2004.

საფრთხეს შეიცავს.[49] ხელისუფლებას უჩნდება ცთუნება, ლიბერალური დემოკრატიის დამყარების მიზნით ავტოკრატიული მოდერნიზაციის მეთოდები გამოიყენოს. ამ შემთხვევაში დემოკრატიული პოლიტიკური ინსტიტუტები სხვადასხვა საზოგადოებრივ ინტერესს შორის წონასწორობას კი არ ემყარება, არამედ განათლებული და "პროგრესული" ელიტა ცდილობს, საზოგადოებას საკუთარი წესები მოახვიოს თავს. სწორედ ამ სტრუქტურულ პრობლემას ასახავს ფართოდ გავრცლებული ბრალდებები სააკაშვილის მთავრობის წინააღმდეგ, რომ მან დაარღვია ძალთა ბალანსი აქტივისტური აღმასრულებელი ხელისუფლების სასარგებლოდ, რითაც სხვა სახელისუფლებო შტოები და პოლიტიკური ძალები დაასუსტა, და ხშირად მიდის მიღებული დემოკრატიული პროცედურების დაღვევებზე.[50] პრობლემა ვერ გადაწყდება, თუ არ მოინახა რაღაც "ოქროს შუალედი" ადამიანებისთვის მისაღებ საზოგადოებრივ პრაქტიკებსა და ლიბერალური სახელმწიფოს თანამედროვე იდეალურ ტიპს შორის.

"კულტურის უსაფრთხოება": ეროვნული ტრადიციები და დასავლური ღირებულებები

ახალი საზოგადოებრივი ხელშეკრულების წარმატებით დასამკვიდრებლად და მასზე დაყრდნობით თანამედროვე ლიბერალური

[49] საინტერესოა, რომ 1998 წლის ჩატარებული გამოკითხვის ანალიზის შედეგად, გერმანელმა სოციოლოგმა თეოდორ ჰანფმა ქართული საზოგადოების დემოკრატიული ღირებულებების მიმართ ერთგული ნაწილი "ღვთისმოსავ იაკობინელებად" მონათლა (რადგან ისინი რელიგიურობის უჩვეულოდ მაღალ ხარისხს ამჟღავნებდნენ); იხ.: Theodor Hanf and Ghia Nodia, *Lurching to Democracy: From Agnostic Tolerance to Pious Jacobinism: Societal Change and People's Reactions* (Baden-Baden: Nomos Verlagsgesellschaft, 2000).

[50] იხ. ამაზე, მაგალითად: *Honouring of Obligations and Commitments of Georgia*, Resolution 1415 (2005) of the Parliamentary Assembly of the Council of Europe, http://assembly.coe.int/Mainf.asp?link=http://assembly.coe.int/documents/adoptedtext/ta05/eres1415.htm, ნანახია 2005 წლის 10 მაისს; Tinatin Khidasheli, "The Rose Revolution Has Wilted Georgia," *International Herald Tribune*, December 8, 2004; გია ნოდია, "ავტორიტარული მოდერნიზაცია ლაით თუ დემოკრატიული ინსტიტუტები?" 24 საათი, 2005 წ. 28 იანვარი; Irakly Areshidze, "Bush and Georgia's Faded 'Rose,'" *Christian Science Monitor*, May 9, 2005.

დემოკრატიის ინსტიტუტების ასაშენებლად სხვა ყველაფერთან ერთად აუცილებელია, ეს ხელშეკრულება ეროვნული იდენტობის გაგებასთან იყოს იდეოლოგიურად თავსებადი. იგულისხმება ტრადიციულ ღირებულებებთან გარკვეული კავშირი, რადგან ასეთი ღირებულებების აღიარების გარეშე ეროვნული იდენტობები ვერ შენდება. თუნდაც ის ფაქტი, რომ დემოკრატია სხვადასხვა ცივილიზაციაში არათანაბრადაა ფესვგამდგარი (მაჰმადიანურ ქვეყნებში მისი ნაკლებობა განსაკუთრებით მტკივნეული და ფართო დისკუსიის საგნად გამხდარი მაგალითია), გვაჩვენებს, რომ ლიბერალური დემოკრატიის გასამარჯველად არ არის საკმარისი იმის რაციონალური არგუმენტებით მტკიცება, რომ მისი ინსტიტუტები უკეთესია (ან, უინსტონ ჩერჩილს თუ დავესესხებით, ნაკლებ ცუდია), ვიდრე ნებისმიერი სხვა. ხალხმა უნდა დაიჯეროს, რომ ეს ინსტიტუტები შეიძლება *მისი* გახდეს, ანუ რომ ისინი მისი კულტურის ნორმებთან თავსებადია.

ამ თვალსაზრისით ნიშანდობლივია გარკვეული დაძაბულობა ქართული ეროვნული პროექტის ორ სხვადასხვა განზომილებას შორის. ერთი მხრივ, საქართველოს მისწრაფება ლიბერალური დემოკრატიისაკენ დიდწილად მისი ეროვნული თვითშეგნებითაა გაპირობებული, ანუ მას სურს, ლიბერალურ დემოკრატიად იქცეს, რათა ყველას დაუმტკიცოს, რომ დასავლური ქვეყანაა და ძალუძს, რუსეთზე დამოკიდებულების გარეშე ჩამოაყალიბოს თანამედროვე ტიპის ეროვნული სახელმწიფო. მეორის მხრივ, აქ ძალზე ძნელია ისე განახორციელო ლიბერალური დემოკრატიის პროექტი, რომ წინააღმდეგობაში არ მოხვიდე დამკვიდრებულ საზოგადოებრივ პრაქტიკებთან, რომლებიც, თავის მხრივ, უცხო და რეპრესიულ რეჟიმთან მრავალწლიანი ურთიერთობიდან ამოიზარდა. ამ პროცესში საჭიროა, დამკვიდრდეს ახალი ნორმები და ინსტიტუტები, რაშიც წამყვანი როლი განათლებულმა ელიტებმა უნდა შეასრულონ. მაგრამ თუ ეს ასეა, იგივე ელიტები ასეთ გარდამავალ პერიოდში თავის ოპონენტებს მათზევე იდეოლოგიურ იერიშს უადვილებენ: ოპონენტებს საშუალება ეძლევათ, ძველი სოციალური პრაქტიკები ეროვნული ღირებულებებისა და ტრადიციების გამოხატულებად წარმოადგინონ, რასაც უცხო მოდერნიზაციული პროექტი ამოძირკვით ემუქრება.

ამიტომაცაა, რომ მოდერნიზაციულ პროექტებს ხშირად ადგილობრივი ნატივისტების წინააღდეგობა მოჰყვება ხოლმე. საკუთარი

პოზიციების გასაძლიერებლად "მოდერნისტებს" მართებთ ყველას დაუმტკიცონ, რომ ისინი კი არ ასუსტებენ, პირიქით, იცავენ და ადუღაბებენ ეროვნულ თვითშეგნებას. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მოდერნიზაციის პროექტი იდეოლოგიურად ჩაფესვებული უნდა იყოს ადგილობრივ პოლიტიკურ ტრადიციაში. მოდერნიზაციულმა ელიტებმა მათი პროექტი ადგილობრივი პოლიტიკური ტრადიციის გაგრძელებად და განვითარებად უნდა წარმოაჩინონ – ან, როგორც მინიმუმი, დაარწმუნონ საზოგადოება, რომ ის საფრთხეს არ უქმნის ეროვნულ ღირებულებებს.

ეს პრობლემა აგრეთვე სოციოლოგური და პოლიტიკური კუთხითაც შეგვიძლია განვიხილოთ. ნორმატიულ მოდელსა და მოცემულ საზოგადოებრივ კაპიტალს შორის დისბალანსი თავს იჩენს იმ სოციალურ-კულტურულ ნაპრალში, რაც ერთმანეთს აშორებს, ერთი მხრივ, თანამედროვე ყაიდაზე განათლებულ ახალგაზრდა მოდერნიზაციულ ელიტებსა და, მეორე მხივ, "ჩამორჩენილ" მოსახლეობას და ძველ ელიტებს. საქართველოს შემთხვევაში, ამ ახალ ელიტებს მიეკუთვნება პოლიტიკური ჯგუფები (როგორიცაა, ვთქვათ, მიხეილ სააკაშვილისა და ზურაბ ჟვანიას ჯგუფები, რომელნიც თავდაპირველად ჩამოყალიბდნენ როგორც "ახალგაზრდა რეფორმატორები" შევარდნაძის "მოქალაქეთა კავშირის" შიგნით), არასამთავრობო ორგანიზაციები, მედია, ზოგიერთი მეცნიერი, ხელოვნებისა და კულტურის წარმომადგენელი, ახალი თაობის ბიზნესმენები. სწორედ ეს ხალხი იყო "ვარდების რევოლუციის" იდეოლოგიის შემოქმედი, მისი შთამაგონებელი და მაორგანიზებელი ძალა, თუმცა მათმა უმცირესობამ უარყო რევოლუცია ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის მკაცრი ინტერპრეტაციის მოშველიებით. თავიანთ მოწინააღმდეგედ მათ მიაჩნდათ სახელმწიფო ბიუროკრატიის და ძველი ყაიდის საქმოსნების ის ელიტური ქსელები, ვისაც რეფორმატორების მიერ "კორუცფიულად" შერაცხული პრაქტიკების შენარჩუნების ინტერესი ჰქონდა.

იდეოლოგიური ბრძოლა ამ "მოდერნისტულ" და "კონსერვატულ" ელიტებს შორის, ძირითადად, სწორედ ზემოხსენებული სოციალურ-კულტურული განხეთქილების გარშემო მიმდინარეობს. როგორ უნდა გავიგოთ ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლები და რეფორმატორული ნაბიჯები: არის თუ არა მათი მიზანი კორუციის წინააღ-

მდეგ ბრძოლა, ანუ უცხო ქვეყნის მიერ თავსმოხვეული კომუნისტური რეჟიმისგან შემორჩენილი გადმონაშთების აღმოფხვრის მცდელობა? თუ ეს სინამდვილეში ქართული იდენტობისა და ღირებულებების წინააღმდეგ ბრძოლაა, რომელიც ემყარება დასავლეთის ფარულ ჩანაფიქრს, მართლმადიდებლური კულტურა დაასამაროს? ვინ არიან ეს "რეფორმატორები": ახალი ეროვნული ლიდერები, ვისაც საკუთარი ქვეყნის გაძლიერება უნდა, თუ უცხო გავლენის აგენტები, ვისაც, ნებსით თუ უნებლიედ, ქართული ეროვნული სულიერების დასავლური (თუ გლობალური) ღირებულებებით ჩანაცვლებისკენ მიჰყავთ საქმე?

საქართველოს თავისებურება ისაა, რომ ამ ორ თვალთახედვას რეფორმატორულ და კონსერვატულ ბანაკებად არ ჩამოუყალიბებია პოლიტიკური პარტიები. ქვეყანაში არ შექმნილა არც ულტრა-მემარჯვენე ეთნო-ნაციონალისტური პარტიები მოდერნიზაციის საწინააღმდეგო ნატივისტური რეაქციის გამოსახატავად. ეს შეიძლება ნაწილობრივ ავხსნათ იმით, რომ საქართველოში პოლიტიკური პარტიები ღირებულებათა გარკვეული სისტემის, ანუ იდეოლოგიის მიხედვით კი არ იქმნება, არამედ უფრო გარკვეული პირებისა თუ მცირე ჯგუფების ინტერესთა გასატარებლად.[51] სხვა ახსნა შეიძლება ისიც იყოს, რომ დემოკრატიულ რეფორმებზე ორიენტაცია საქართველოში მეტად ძლიერია. ეს უკანასკნელი დებულება შეიძლება გაიზომოს სოციოლოგიური კვლევების მონაცემებით, რომლებიც ადასტურებენ არა მხოლოდ დემოკრატიული პრინციპების ფართო მხარდაჭერას, არამედ – რაც განსაკუთრებით მნიშველოვანია – მნიშვნელოვანი ანტიდემოკრატიული დისკურსების არარსებობას. ეს განასხვავებს კიდეც საქართველოს სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნებისაგან, რომლებიც განვითარების მსგავს დონეზე იმყოფებიან.[52] ულტრა-მემარჯვენე ორიენტაციის მოღვაწეებმა ვერ შეძლეს სიცოცხლისუნარიანი პოლიტიკური მოძრაობების შექმნა და ვერც ევროპულ ღირებულებებზე საქართველოს ორიენტაციას

[51] გია ნოდია, "პოლიტიკური პარტიები საქართველოში", სადისკუსიო მასალა7 (სტოკჰოლმი: საერთაშორისო იდეას გამოცემა, 2003 წლის მაისი, გვ. 45-53.

[52] იხ.: John S. Dryzek and Leslie T. Holmes, *Post-Communist Democratization: Political Discourses across Thirteen Countries* (Cambridge, MA: Harvard University Press, 2002), გვ. 147-157.

შეუქმნეს რეალური ალტერნატივა.[53] მსგავსი რამ უფრო პრორუსული და ნეოკომუნისტური დაჯგუფებებისაგან იყო მოსალოდნელი, ვიდრე ეთნო-ნაციონალიზმის მქადაგებელთაგან, ოღონდ პირველნი არანაირ ანგარიშგასაწევ პოლიტიკურ ძალას არ წარმოადგენენ.

ეს ყველაფერი არ ნიშნავს, თითქოს საქართველოში მოდერნიზაციის მიმართ განსხვავებული დისკურსები არ არსებობდეს. უბრალოდ, ძირითადი პოლიტიკური ჯგუფები ცდილობენ, ორივე ზემოთაღწერილი მიდგომა ერთმანეთს შეუხამონ. ის აზრი, რომ ლიბერალური დემოკრატია და საბაზრო ეკონომიკა საფრთხეს უქმნის ტრადიციულ ღირებულებებსა და ეროვნულ თვითობას, სხვადასხვა გზით არაერთხელ გამოხატულა საჯარო დისკუსიებში. მაგალითად, "ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის" შექმნის თაობაზე გამართული დისკუსიებისას[54] ხშირად დგებოდა საკითხი, საჭირო იყო თუ არა ამ დოკუმენტში ეროვნული კულტურისა და ტრადიციებისათვის მოსალოდნელი საფრთხეების და მათი თავიდან აცილების გზების ასახვა. ისინი, ვინც უფრო მეტად უსაფრთხოების საკითხებისადმი დასავლურ მიდგომებს ეყრდნობოდნენ, ამბობდნენ, რამ ამგვარი მსჯელობა ზედმეტად გადატვირთავდა დოკუმენტს, სხვები კი ამტკიცებდნენ, რომ ეროვნული უსაფრთხოება ეროვნული თვითობის დაცვის გარეშე წარმოუდგენელია.

კიდევ უფრო ფართო დისკუსიის საგნად იქცა საქართველოში "ეროვნული იდეოლოგიის" კონცეფციის შექმნის საკითხი. მისი მომხრენი ამტკიცებენ, გამოკვეთილი იდეოლოგიის არქონა დღევანდელი საქართველოს უმთავრესი პრობლემაა. ასეთი "იდეოლოგიის"

---

[53] ჩემს წერილში — "როგორ გავიგოთ, არის თუ არა გურამ შარაძე რუსეთის სპეცსამსახურების აგენტი და აქვს თუ არა ამას მნიშვნელობა" (*24 საათი, 10 ივლისი, 2002)* სხვა ყველაფერთან ერთად ვამტკიცებდი, რომ ამ პიროვნების მოღვაწეობა საქართველოს დასავლეთთან ინტეგრაციისთვის ხელს შეშლაზე იყო მიმართული. აღსანიშნია, რომ ეს ერთადერთი ბრალდება გახლდათ, რომელიც ბ-ნმა გურამმა თავგადადებით უარყო თავის საპასუხო სატელევიზიო გამოსვლაში.

[54] მთელი ამ დისკუსიების შედეგი მხოლოდ ის გახლდათ, რომ გაჩნდა დოკუმენტი სათაურით *"საქართველო და დანარჩენი სამყარო: მომავლის სტრატეგიული ხედვა* ", რომელიც, სანდო წყაროებს თუ დავუჯერებთ, უცხოელი მრჩევლების მიერ იყო დაწერილი. საქართველოს ხელისუფლებას ის ფართოდ არასოდეს გაუვრცელებია – ის ნატო-ს ვებ-საიტზე გამოქვეყნდა: http://www.nato.int/pfp/ge/d001010.htm.

ქვეშ ისინი გულისხმობენ კონცეფტუალურ დოკუმენტს, რომელშიც მოხდებოდა ერისა და სახელმწიფოსათვის იმპერატიული ღირებულებებისა და სტრატეგიების ფორმულირება. მათი აზრით, ასეთი კონცეფცია სახელმწიფოს მიერ ხელთდასხმულ ოფიციალურ დოკუმენტად უნდა იქცეს და ყველა სახელმწიფო ინსტიტუტისა და მოქალაქისთვის სავალდებულო იყოს. მოწინააღმდეგეები ამბობენ, რომ ამგვარი დოკუმენტი უკვე არსებობს — მას საქართველოს კონსტიტუცია ჰქვია და რაღაც ახლის გამოგონება საჭირო აღარ არის. თუმცა ეროვნული იდეოლოგიის აპოლოგეტებს ნათლად არასოდეს უთქვამთ, თუ რა შინაარსი და სტრუქტურა უნდა ჰქონოდა ასეთ დოკუმენტს, ის მაინც ცხადი იყო, რომ "ეროვნული იდეოლოგიის" ქვეშ, არსებითად, ეროვნული თვითობის შენარჩუნება-გამყარების სტრატეგია მოიაზრებოდა.[55]

ერთი შეხედვით, თითქოს ადვილია საერთოდ ყურადღება არ მიაქციო ოფიციალურ დოკუმენტებში ეროვნული იდეოლოგიის დაფიქსირების მოთხოვნას, როგორც საბჭოთა აზროვნების ერთგვარ რეციდივს, მაგრამ ამ მოთხოვნის უკან უფრო ღრმა პრობლემაც იმალება. ეროვნული იდოლოგიის მოთხოვნა, რაც გინდა ვიფიქროთ მის ფორმაზე, გამოხატავს იმ მოსაზრებას, რომ ქვეყანას ჯერ მკაფიოდ ვერ აურჩევია, რა მიმართულებით უნდა განვითარდეს. ლიბერალური დემოკრატიის ღირებულებები მეტისმეტად აბსტრაქტული ჩანს, რომ მიმართულების დამსახველად იყოს აღქმული. პოლიტიკურმა ელიტებმა ჯერ ვერ მოახერხეს, ეს ღირებულებები მყარად ჩაენერგათ ქართულ პოლიტიკურ პრაქტიკაში, ამიტომ ბევრს რჩება შთაბეჭდილება, რომ თავად ეს ელიტები ლიბერალური დემოკრატიის იდეებს უფრო ფარად იყენებდა, ვიდრე რეალურ სამოქმედო პროგრამად.

ნატივისტური რეაქცია ყველაზე დრამატულად რელიგიური უმცირესობების მიმართ შეუწყნარებლობისა და ძალადობის სახით გამოვლინდა. ეს "სარწმუნოებრივი ნაციონალიზმი" უკიდურესი მემარჯვენე იდეოლოგიის ქართულ ვერსიად შეგვიძლია წარმოვისახოთ. საქართველოს რელიგიური ექსტრემისტები ამოდიან იქიდან,

[55] ეს დისკუსიები მიმოხილული მაქვს სტატიაში "იდეოლოგია: ეროვნული და სხვა", *აფრა*, 5, 1998, გვ. 157-169.

რომ მართლმადიდებლობა ისტორიულად ქართული იდენტობის ძირია. აქედან ისინი ასკვნიან, რომ ნებისმიერი სხვა ეკლესიის — კერძოდ, იეღოვას მოწმეების, სხვადასხვა პროტესტანტული ეკლესიების თუ კათოლიკეების — პროზელიტური საქმიანობა ქართული იდენტობის მორღვევას ისახავს მიზნად. რელიგიური ნაციონალისტების აზრით, ქართულმა საზოგადოებამ და სახელმწიფომ მართლმადიდებლობის გარდა ნებისმიერი სხვა სარწმუნოების გავრცელება უნდა განიხილოს, როგორც პრინციპული გამოწვევა მისი ეროვნული უსაფრთხოებისათვის. ამგვარმა დამოკიდებულებამ ყველაზე მეტად 1999-2003 წლებში იჩინა თავი, როდესაც საქართველოს რელიგიური ძალადობის ტალღამ გადაუარა. ადამიანის უფლებათა ხელყოფას რომ თავი დავანებოთ, დაუსჯელი ძალადობის ფაქტების მომრავლებამ სახელმწიფოს სისუსტესაც გაუსვა ხაზი. მართალია, ხელისუფლება ვერ დაითანხმეს ფორმალური აკრძალვები შემოეღო რელიგიური უმცირესობების მიმართ, მაგრამ მას არც ფანატიკოსების ძალადობრივი გამოხდომები აღუკვეთია. მეტიც, ბევრ შემთხვევაში პოლიცია ხელსაც კი აფარებდა მათ.

რა თქმა უნდა, არავითარი ფართომასშტაბიანი სარწმუნოებრივი კონფლიქტი საქართველოს არ ემუქრება — შეუწყნარებლობის ტალღა მხოლოდ მცირე მრევლის მყოლი ეკლესიებისკენ იყო მიმართული და არა მაჰმადიანური ან, ვთქვათ, სომხური გრეგორიანული ეკლესიის წინააღმდეგ, ვისაც საქართველოში გაცილებით მეტი მიმდევარი ჰყავს. მაგრამ თავად ეს დაუსჯელად დარჩენილი კანონსაწინააღმდეგო ქმედებები სახელმწიფოს ლეგიტიმურობას უთხრიდა ძირს. ნიშანდობლივი ის იყო, რომ რელიგიური ფანატიზმის ეს გამოვლინებები ყველაზე მეტად დასავლეთთან გაიგივებულ ეკლესიებს უმიზნებდა: ეს არაპირდაპირ მიგვანიშნებს, რომ საქართველოს მოსახლეობის ნაწილი დასავლეთს მართლა აღიქვამს, როგორც რეალურ საფრთხეს ქართული ეროვნული იდენტურობისათვის. საქართველოს სამოციქულო ეკლესიამ ფორმალურად დაგმო ეს ძალადობრივი აქტები, რომელთა უმრავლესობას განკვეთილი მართლმადიდებელი მღვდელი ედგა სათავეში. მაგრამ იგივე ეკლესია თავის დოკუმენტებში "ლიბერალურ იდეოლოგიას" მართლმადიდებლობის საწინააღმდეგო მოვლენად იხსენიებდა. ეს მეტად მნიშვნელოვანია, რადგან მართლმადიდებელი ეკლესია ყველაზე

მეტი ნდობისა და პატივსაცემის მქონე ინსტიტუტია საქართველოში. საზოგადოების გარკვეული ნაწილი ამართლებდა ამ ძალადობას, სხვები კი ძალადობრივ მეთოდებს არ იწონებდნენ, ოღონდ შეშფოთებას გამოხატავდნენ რელიგიური უმცირესობების აქტივობის მიმართ და მათ წინააღმდეგ შეზღუდვების შემოღებას მოითხოვდნენ.[56] 2003 წელს, სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ, ძალადობის ამ ტალღამ გადაიარა, ხოლო აგრესიული აქტების რამდენიმე შემსრულებელს ციხეში უკრეს თავი.

პოსტშევარდნაძისეული პერიოდის დასაწყისშივე გამოჩნდა, რომ ნატივისტური რეაქცია კი არსებობს, მაგრამ იმდენად ძლიერი არ არის, რომ საქართველოს პროდასავლურ ეროვნულ პროექტს სერიოზული საფრთხე შეუქმნას. მაგალითად, რეფორმატორების "არასაკმარის ქართველობაში" დადანაშაულება მათი დისკრედიტაციისთვის საკმარისი არ აღმოჩნდა. 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის შემდეგ ხელისუფლებაში სწორედ პროდასავლელი მოდერნიზატორები მოვიდნენ და როგორც საპარლამენტო, ისე საპრეზიდენტო არჩევნებმა მათი პოპულარობის მაღალი დონე ცხადყო.[57] ბევრი მათგანი, ვინც თავის დროზე ლიბერალური რეფორმებს, მათ შორის რწმენის თავისუფლების ნაკლებ პოპულარულ მოთხოვნებს უჭერდა მხარს,

[56] 2004 წლის გამოკითხვის მიხედვით, 37.7% ეთანხმებოდა რელიგიური "სექტების" შეკრებების დარბევას და 46.9% მათი ლიტერატურის დაწვას მიესალმებოდა; ასევე, 43.6% ბაპტისტებისა და იეღოვას მოწმეების აქტივობის კანონით აკრძალვას ითხოვდა, ხოლო 34.4% — მათ განდევნას. რაც შეეხება "ტრადიციულ" აღმსარებლობებს, როგორიც კათოლიციზმი და ისლამია, მათ წინააღმდეგ "გალაშქრებას", შესაბამისად, 20.6 და 38.%-მა მისცა ხმა. (იხ.: გიორგი ნიჟარაძე, იაგო კაჭკაჭიშვილი, რუსუდან მშვიდობაძე, გიორგი ხუციშვილი და ემზარ ჯგერენაია, "ქართული მართლმადიდებელი ეკლესია და რელიგიური უმცირესობები საზოგადოებრივი აზრის ჭრილში: სოციოლოგიური კვლევის შედეგები" *საერთაშორისო კონფერენცია: 'რელიგია და საზოგადოება — რწმენა ჩვენს ცხოვრებაში'. მოხსენებათა მოკლე შინაარსები,* თბილისი, 2004, გვ. 11-14. იხ. აგრეთვე დავით ზურაბიშვილი, აღმსარებლობის თავისუფლება და რელიგიური უფლებები საქართველოში, სადისკუსიო მასალა 8 (სტოკჰოლმი: საერთაშორისო იდეას გამოცემა, 2003 წლის მაისი, გვ. 68-72, და ნოდარ ლადარია, "*რელიგიოზნი ეკსტრემიზმ ვ გრუზიი*", http://www.pankisi.info/analitic/?page=ge&id=43.

[57] 2004 წ. იანვრის საპრეზიდენტო არჩევნები მიხეილ სააკაშვილმა 96.27%-ით მოიგო, ხოლო მისმა გაერთიანებამ ნაციონალური მოძრაობა-დემოკრატები საპარლამენტო არჩევნებში ხმების 66.24%. მოიპოვა.

ახლა თავადაა ხელისუფლებაში. მაგრამ სააკაშვილი და მისი გუნდი კარგად ხვდება, რომ, დღევანდელი პოპულარობის მიუხედავად, ლიბერალურ-დემოკრატიულ პროგრამასა და საქართველოში გავრცელებულ საზოგადოებრივ პრაქტიკებს შორის მაინც საკმაოდ დიდი განსვლაა, რაც საქართველოს მოწყვლადად აქცევს ნატივისტური რეაქციის შესაძლებლობის წინაშე. ამიტომ, მათ ნაციონალიზმის განსხვავებული, ალტერნატული ხედვის ჩამოყალიბება სჭირდებათ.

დემოკრატ მოდერნიზატორთა ნაციონალიზმი ძლიერი და ქმედითუნარიანი სახელმწიფო მექანიზმის აწყობას გულისხმობს. აღმოსავლეთ ევროპის ყველა სხვა პოსტკომუნისტური ქვეყნის მსგავსად, მათთვისაც ნატო-სა და ევროკავშირში გაწევრიანება პოლიტიკური პროგრამის ცენტრალური კომპონენტია; მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ისინი უარს ამბობენ ეროვნულ თავმოყვარეობაზე ან ეროვნული სახელმწიფოს მოდელზე. პირიქით, დასავლური ინსტიტუტების წევრობა საქართველოს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს და ეროვნული თვითობის შენარჩუნების საუკეთესო დამცავ მექანიზმადაა ჩათვლილი. ხოლო რაკი მართლმადიდებელი ეკლესია საქართველოს თვითმყოფობის ყველაზე მძლავრ სიმბოლოდ რჩება, პროდასავლელი მოდერნიზატორები ფრთხილობენ, მათი ეკლესიისადმი ლოიალობა ეჭვქვეშ არავინ დააყენოს. ჯერ კიდევ 2002 წლის ოქტომბერში, შევარდნაძესთან თანამშრომლობის პერიოდში, მათი მხარდაჭერით დაიდო მეტად საკამათო "კონკორდატი", ანუ საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიასა და სახელმწიფოს შორის კონსტიტუციური შეთანხმება. "კონკორდატმა" მართლმადიდებელ ეკლესიას ფაქტობრივად უპირატესი რელიგიური ინსტიტუტის სტატუსი მიანიჭა, თუმცა ეს მართლმადიდებლობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადებას არ ნიშნავს. ამ აქტმა ლიბერალი დემოკრატების კრიტიკა დაიმსახურა, მათ შორის მათი, ვინც შემდგომ თავად აღმოჩნდა სააკაშვილის მთავრობაში.

თუმცა კონკორდატი გარკვეულ წინააღმდეგობაში მოდის ლიბერალური დემოკრატიის მოდელთან, რეფორმატორებისთვის ის მაინც შედარებით იოლი და უხიფათო გზა გახლდათ იმისა, რომ ეროვნული თვითმყოფადობის იდეისადმი თავისი ერთგულება ეჩვენებინათ და აღმსარებლობის თავისუფლების პრინციპი უშუალოდ დარტყმის ქვეშ არ დაეყენებინათ. 2004 წლის 24 იანვარს, საპრე-

ზიდენტო ინაუგურაციის ცერემონიალზე, სააკაშვილმა ფიცი ქუთაისში გელათის ტაძარში დადო[58] და ამას ორმაგად სიმბოლური მნიშვნელობა მიანიჭა: ერთი მხრივ, მან ეკლესიისაგან კურთხევა მიიღო (შუასაუკუნეების ხელმწიფის მსგავსად); მეორე მხრივ, სწორედ გელათშია დასაფლავებული დავით აღმაშენებელი, საქართველოს ყველაზე წარმატებული მეფე. აქ მიღებული დალოცვით სააკაშვილმა, ძლიერი ქართული სახელმწიფოს მომხრემ, სიმბოლური ხიდი გადო საქართველოს ისტორიის იმ პერიოდთან, როდესაც სახელმწიფო თავისი ძლიერების ზენიტში იყო.

საზოგადოდ, სააკაშვილი სიმბოლოებს დიდ (ზოგის თქმით, ზედმეტ) მნიშვნელობას ანიჭებს. "ვარდების რევოლუციის" შემდგომ, ჯერ კიდევ პრეზიდენტად ინაუგურაციამდე, მისი პირველი ნაბიჯი ის იყო, რომ სახელმწიფო დროშის შეცვლის გადაწყვეტილება მიაღებინა პარლამენტს. მანამდე არსებული დროშა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულმა მთავრობამ 1918 წელს შემოიღო. ფერები იმდროინდელი გერმანიის დროშის მსგავსი გახლდათ, ოღონდ ღვინომუქი წითლის დომინანტით — სოციალ-დემოკრატების იდეოლოგიაზე მისანიშნებლად.[59] ახალ სახელმწიფო დროშას, ჯერ კიდევ ოპოზიციაში ყოფნისას "ნაციონალური მოძრაობის" მიერ ატაცებულს, ერთი დიდი წითელი ჯვარი გასდევს თეთრ ფონზე, და ოთხიც – მომცრო. მოწინააღმდეგენი ამტკიცებდნენ — ეგ კათოლიკური დროშაა, თუმცა მას ქართული მართლმადიდებელი ეკლესიაც იყენებდა. ზოგი ისტორიკოსის მტკიცებით, ეს დროშა საქართველოს ოქროს ხანიდან, მე-XI-XII საუკუნეებიდან მოდის: ეს კი კიდევ ერთი გზაა ძლიერი ქართული სახელმწიფოს იდეის სიმბოლური აღორძინებისა.

გარდა იმისა, რომ ამ დროის საქართველო, შუა საუკუნეების საზომებით, ძლიერი სახელმწიფო გახლდათ, ქართველი მეფეები ჯვაროსნებთანაც იჭერდნენ საქმეს. მაშინ როდესაც დასავლელი მიმომხილველები ხშირად ეჭვქვეშ აყენებენ საქართველოს ევროპულობას — ეს ქვეყანა ევროპულ ისტორიულ გამოცდილებას

[58] "კათოლიკოს პატრიარქმა პრეზიდენტად აკურთხა მიხეილ სააკაშვილი" (InterPress, 24, 2004).

[59] დამოუკიდებელი საქართველოს რესპუბლიკა 1918 წელს შეიქმნა გერმანიის პატრონაჟით.

არასოდეს ზიარებიაო[60] — ჯვაროსნებთან თანამშრომლობის ეპიზოდი ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც საქართველოს შეუძლია, ევროპასთან რაიმენაირი ისტორიული კავშირის არსებობა დაიჩემოს.[61] რამდენად შეესაბამება ჯვაროსნული ომები თანამედროვე ევროპულობის იდეას — ეს კიდევ სხვა საკითხია, მაგრამ სააკაშვილის ამოცანა ამ შემთხვევაში იმაზე მინიშნებაა, რომ ერთ დროს საქართველო უშუალოდ იღებდა ევროპულ პროექტებში მონაწილეობას. თავის საინაუგურაციო სიტყვაში პრეზიდენტმა განაცხადა: "ჩვენ უბრალოდ ევროპელები კი არა, ძირძველი ევროპელები ვართ!"[62] ეს ნათქვამი ნართაულად უკავშირდებოდა დონალდ რამსფელდის განსხვავებას "ძველ" და "ახალ" ევროპას შორის (ამ უკანასკნელში აღმოსავლეთ ევროპის პოსტკომუნისტური ქვეყნები იგულისხმება): აქ სააკაშვილმა კარგი გამოსავალი მოძებნა, რადგან მას ამერიკელებსა და ევროპელებს შორის უწევს ბალანსირება. მაგრამ აქ უფრო მნიშვნელოვანი იმის ხაზგასმაა, რომ ქართველების პრეტენზია ევროპულობაზე უძველეს ძირებს ეყრდნობა. ინაუგურაციაზე ორი დროშა ფრიალებდა — საქართველოს უძველესი სიმბოლოებით დატვირთული ახალი დროშა და ევროპის დროშა — რომელსაც ევროკავშირი და ევროპის საბჭო აღმართავენ ხოლმე, და რომლის სიმბოლიკა მთლიანად თანამედროვეობაზე მიანიშნებს.

---

[60] იხ. მაგ.: William Pfaff, "'Europe' Has Historical Limits: The Baltics vs. the Caucasus," *The International Herald Tribune*, February 28, 2004. პფაფი წერს: "ახალი პრეზიდენტი [სააკაშვილი] ამბობს, რომ საქართველო ევრო-ატლანტიკურ არეალში უნდა დააბრუნოს. მაგრამ რას ჰქვია – 'დააბრუნოს?' საქართველო მე-16 — მე-17 საუკუნეებში ხან სპარსეთის, ხანაც თურქეთის ქვეშ იყო, შემდგომ — რუსეთის კოლონიად იქცა მთელი ორასი წლით, ხოლო 1921-1991 წწ. საბჭოთა რესპუბლიკა გახლდათ..." საქმეც ისაა, რომ საკაშვილი ევროპაში "დაბრუნების" გასამართლებლად ბევრად უფრო ძველ ამბებს იხსენებს.

[61] ჯვაროსნების მოტივმა ხელახლა "ამოყვინთა" 2005 წელს, როდესაც სააკაშვილმა, თავის უკრაინელ კოლეგა ვიქტორ იუშენკოსთან ერთად, წამოიწყო ქართველი და უკრაინელი ახალგაზრდებისათვის საზაფხულო ბანაკების პროგრამა, რომელსაც "ახალგაზრდა ჯვაროსნები" დაერქვა.

[62] "Georgian President Optimistic about Future in Inauguration Speech," *BBC Monitoring Former Soviet Union*, January 25, 2004.

დასკვნა

გამოწვევები საქართველოს უსაფრთხოებისადმი მრავალშრიანია. ორი მათგანი, ყველაზე დრამატული და ურთიერთდაკავშირებული — აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის გადაუწყვეტელი ტერიტორიული კონფლიქტები და რუსეთთან მოუწესრიგებელი ურთიერთობა — გამოწვევათა ამ სისტემის გარე შრეა. მათ გადასაწყვეტად საქართველოს მეტად მწირი არჩევანი აქვს. 2004 წელს სამხრეთ ოსეთში განცდილმა წარუმატებლობამ კარგად დაგვანახა საქართველოს პოზიციის სისუსტე: ადგილზე სიტუაციის შეცვლისა და პრობლემის დაჩქარებული გადაწყვეტის მცდელობამ, შესაძლოა, სიტუაცია კიდევ უფრო გააუარესა – მაგრამ ამის ალტერნატივა სტატუს კვოს პასიური მიღებაა. საქართველოს, უბრალოდ, რესურსები არ გააჩნია ამ პრობლემების გადასაჭრელად. საერთაშორისო გამოცდილება კი გვიჩვენებს, რომ ტერიტორიული კონფლიქტების შემთხვევაში, განსაკუთრებით თუ ისინი "გაყინული კონფლიქტების" სტადიას მიაღწევენ, როცა არც ერთ მხარეს არ უნდა ერთხელ მიღებული პოზიციის დათმობა, ორი გამოსავალი არსებობს: ან საქმეში გარე ძალა ერევა და მხარეეებს უხეში სამხედრო ან პოლიტიკური ზეწოლით აიძულებს, მის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტა მიიღონ, ან ვითარება ათწლეულობით უცვლელი რჩება. აქედან გამომდინარე, ქართველებს აქვთ საფუძვლიანი შიში, რომ მათ კიდევ დიდხანს მოუწევთ, იცხოვრონ ორი გადაუწყვეტელი კონფლიქტის და რუსეთთან გამწვავებული ურთიერთობის პირობებში, რაც მუდმივ დაძაბულობას ნიშნავს.

ქვეყნის მთლიანობის თემასთან დაკავშირებული სხვა საკითხები — აჭარის ავტონომიის საკითხი, კუთხურობა, არაინტეგრირებული და პოტენციურად გამოყოფის მოსურნე ეთნიკური უმცირესობები – გამოწვევათა შემდეგ შრეს შეადგენს. საქართველოს შეუძლია, საკუთარი რესურსებით მიხედოს ამ საკითხებს და დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ დინამიკაც, კაცმა რომ თქვას, დადებითია. აბაშიძის რეპრესიული რეჟიმის უსისხლო დამხობა და აჭარის საქართველოს პოლიტიკურ სივრცეში დაბრუნება, ალბათ, ყველაზე დიდი წარმატებაა სახელმწიფოებრიობის შენების გზაზე, რასაც ქვეყანამ დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ მიაღწია. სამეგრე-

ლომაც თითქოს მოიშუშა 90-იანი წლების კონფლიქტებისაგან მოწევნილი ტრავმა. მაგრამ სომხური და აზერბაიჯანული ეთნიკური უმცირესობები მხოლოდ ზედაპირულად მიეკუთვნებიან ქართულ პოლიტიკურ ერს და მათი ინტეგრაცია შესაძლოა არც ისე იოლი აღმოჩნდეს. პოზიტიური თვალსაზრისით ამ პრობლემებთან დაკავშირებითაც შეიძლება ითქვას, რომ საქართველომ, როგორც ჩანს, ძირითადად მოიხადა აგრესიული ეთნიკური ნაციონალიზმის საყმაწვილო სენი, მაშინ როცა სომხურ და აზერბაიჯანულ უმცირესობებს – მიუხედავად კერძო საკითხების გამო უკმაყოფილებისა – ყველაზე რთულ პერიოდშიც კი სეპარატისტული პროგრამების გარშემო მობილიზაცია არ უცდიათ.

ქმედითი, მდგრადი, ლეგიტიმური სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ამოცანათა გულისგულია. ეს საკითხი ცენტრალურია, რადგან ამით განისაზღვრება ქვეყნის უნარი, გადაწყვეტა უპოვოს ზემოთაღწერილ პრობლემებს. საქართველოს გამოცდილება საშუალებას არ გვაძლევს, ცალსახა პასუხი გავცეთ ამ საკითხს. ხალხმა კი მკაფიოდ გამოხატა თავისი მისწრაფება დემოკრატიისაკენ, მაგრამ ვერაფრით ჩააბარა მდგრადი დემოკრატიის ყველაზე ელემენტარული გამოცდა: ძალაუფლების შეცვლა კონსტიტუციით განსაზღვრული წესით. "კორუფცია" ყველას პირზე აკერია საქართველოში – ისევე, როგორც მსოფლიოს მრავალ სხვა ქვეყანაში. მაგრამ ის, რასაც ის საქართველოს კონტექსტში რეალურად ნიშნავს, არის ნაპრალი, ერთი მხრივ, თანამედროვე სახელმწიფოს ნორმატიულ ვებერისეულ იდეასა და, მეორეს მხრივ, იმ დამკვიდრებულ პრაქტიკებსა თუ გადარჩენის სტრატეგიებს შორის, რაც მოდერნულობის იდეას ნაგვიანევად ზიარებული საზოგადოებებისთვის არის ტიპიური. მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლება გულწრფელად ცდილობს, კორუფცია დაამარცხოს. მაგრამ მასთან მხოლოდ რეპრესიულ-რევოლუციური მეთოდებით ბრძოლა და არსებული სახელმწიფო ბიუროკრატიის სრული უნდობლობა შედეგს ნაკლებად მოიტანს და შეიძლება საზიანოც აღმოჩნდეს, თუ ამ კამპანიას საჯარო მოხელეების ახალი და მდგრადი ინსტიტუტის შექმნაზე მიმართული უფრო პროზაული მუშაობა არ დაერთო ზედ.

ის ფაქტი, რომ საქართველო ჯიუტად ინარჩუნებს ლიბერალურ დემოკრატიად ქცევის "ეროვნული პროექტის" ერთგულებას, ვინძლო

ყველაზე იმედისმომცემი ელემენტი იყოს მისი ევოლუციისა დამოუკიდებლობის შემდეგ. გამსახურდიასა და შევარდნაძის პოლიტიკის წარუმატებლობას ანტიდასავლური რეაქცია არ მოუტანია მიუხედავად იმისა, რომ ორივე პოლიტიკოსი, ზედაპირულად მაინც, პროდასავლური ორიენტაციისა იყო. აშკარად ანტილიბერალური იდეოლოგიები – ნეოკომუნიზმი, ნატივისტური ეთნო-ნაციონალიზმი, ანტიმოდერნისტული რელიგიური ფუნდამენტალიზმი – კი აღმოცენდა, მაგრამ გამსახურდიას გაძევების შემდგომ ისინი პოლიტიკურ სივცრცეში მარგინალურნი რჩებოდნენ. მართალია, ქართველებმა ჯერ ვერ შეძლეს ძირითადი დემოკრატიული პროცედურების ათვისება, მაგრამ – როგორც "ვარდების რევოლუციამ" თვალნათლივ დაგვანახა, – ჩამოყალიბდა მოქალაქეთა კრიტიკული მასა, ვისაც გათავისებული აქვს დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების ძირეული ღირებულებები. ლიბერალიზმის მკაცრ მიმდევარს შეიძლება გულზე არ ეხატებოდეს მართლმადიდებელი ეკლესიის პრივილეგირებული სტატუსი ან ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს აგებაზე მიმართული რიტორიკა, რაც დღეს ხელისუფლებაში მყოფ პროდასავლელ მოდერნისტებს ახასიათებთ. მაგრამ ამ უკანასკნელთ კარგად ესმით, რომ მათი რეფორმების წარმატება იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ შეძლებენ ისინი ტრადიციული ეროვნული ღირებულებებისა და იდენტობის შეხამებას მოდერნულ ლიბერალურ იდეებთან. მართალია, კვლავ არსებობს პრინციპული შესაძლებლობა იმისა, რომ აღმოცენდეს მძლავრი ანტილიბერალური ნატივისტური მოძრაობა, რომელიც საქართველოს ეროვნულ პროექტს საფრთხეს შეუქმნის. მაგრამ ის გამოცდილება, რომელიც ქვეყანამ აქამდე დააგროვა, ერთ რამეს გვიჩვენებს: გზა დაცული და სტაბილური სახელმწიფოს ასაშენებლად გადის ახალი საზოგადოებრივი ხელშეკრულების ჩამოყალიბებაზე, რომელიც ერთმანეთს შეუხამებს ახალი დროის დასავლურ ღირებულებებს და ეროვნული იდენტობის შენარჩუნების გარანტიებს.

1989-1993 წლები სიძნელეების ხანა საქართველოს ისტორიაში

ქრისტოფ ციურხერი

საბჭოთა კავშირში კომუნისტური რეჟიმის კრიზისმა, 1991 წელს კი საბჭოთა კავშირის დაშლამ კავკასიაში სამოქალაქო ომების სერია გამოიწვია.[1] 1987 წელს მიხეილ გორბაჩოვმა რეფორმის ამბიციური პროექტი წამოიწყო. მისი "პერესტროიკისა" და "გლასტნოსტის" პოლიტიკის საფუძველზე პირველად საბჭოთა კავშირის ისტორიაში

*წინამდებარე თავის შედგენისას თავიანთი კომენტარებითა და მოსაზრებებით დიდი დახმარება გაგვიწიეს ჯონათან კოჰენმა, ჯორჯ ჰიუიტმა, რობერტ ლეგვოლდმა, ბრუნო კოპიტერსმა, გია ნოდიამ, ვიაჩესლავ ჩირიკბამ და ჯონათან უითლიმ.

[1] ეს თავი ეყრდნობა ჩემს წინა ნაშრომებს, ძირითადად: *Institutionen und organisierte Gewalt. Konflikt und Stabilitätsdynamiken im (post-)sowjetischen Kaukasus* (Berlin: Habilitationsschrift, Free U Berlin, 2003), and Christoph Zürcher, Jan Koehler, and Pavel Baev, "Internal Violence in the Caucasus," *The Economics of Political and Common Violence* (Washington, DC: The World Bank Development Economic Research Group, 2002).ასევე ნახეთ: Svante Cornell, "Autonomy in the South Caucasus: A Catalyst for Conflict" (paper presented at the ASN Fifth Annual World Convention, New York, NY, April 12–15, 2000); Nikola Cvetkovski, "The Georgian–South Ossetian Conflict," (PhD diss., Aalborg University, n.d.), chapter 4, http://www.caucasus.dk/publication5.htm; Stephen F. Jones, "Georgia: A Failed Democratic Transition," in Ian Bremmer, and Raymond Taras, eds., *Nation and Politics in the Soviet Successor States* (Cambridge: Cambridge University Press, 1993), pp. 288–310; Darrell Slider, "Democratization in Georgia," in Karen Dawisha and Bruce Parrott, eds., *Conflict, Cleavage, and Change in Central Asia and the Caucasus* (Cambridge: Cambridge University Press, 1997), pp. 156–200. Jonathan Wheatley's forthcoming book *Georgia from National Awakening to Rose Revolution: A Story of Delayed Transition in the Former Soviet Union* (Ashgate) - ეს ძალიან ღირებული წყაროა.

რუქა 3. ავტონომიური რესპუბლიკები და ავტონომიური ოლქები საქართველოში (1991).

Central Intelligence Agency Map, courtesy of the University of Texas Libraries, The University of Texas at Austin,
http://www.lib.utexas.edu/maps/commonwealth/georgia.gif

შეიქმნა ის საზოგადოებრივი სივრცე, სადაც შეიძლებოდა პოლიტიკური უკმაყოფილების საჯაროდ გამოხატვა. ეს საზოგადოებრივი სივრცე თავდაპირველად ეროვნული მოძრაობის წარმომადგენლებმა გამოიყენეს. 1989 წლისათვის ეროვნული მოძრაობების უმრავლესობა რადიკალურად იყო განწყობილი და საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გასვლას უჭერდა მხარს. პროცესი ბალტიისპირეთის რესპუბლიკების სახალხო ორგანიზაციებმა წამოიწყეს და მათ კვალს მალევე მიჰყვნენ სომხეთის, აზერბაიჯანისა და საქართველოს ეროვნული მოძრაობის ჯგუფები; მათი მოქმედება არანაკლები ვნებათაღელვით გამოირჩეოდა, ამ მოქმედების შედეგები კი გაცილებით დრამატული აღმოჩნდა.

1991 წელს საბჭოთა კავშირი დაიშალა და დატოვა 15 მემკვიდრე-სახელმწიფო, რომელთაც გააჩნდათ ძალზე მცირე სახელმწიფოებრივი შესაძლებლობები. ამ ქვეყნებში ძალაუფლებისათვის გამუდმებული ბრძოლა მიმდინარეობდა ყოფილ ელიტასა და ეროვნულ-დემოკრატიულ მოძრაობებს თუ ნაციონალისტურად განწყობილ პირებს შორის. გარდა ამისა, ზოგიერთ ამ ახლადწარმოქმნილ სახელმწიფოში მძლავრობდა სეპარატისტული მოძრაობები. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ წარმოებული შიდა ომების არსის გასაგებად გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება სახელმწიფოს დაშლის ამ უპრეცედენტო შემთხვევის გაცნობიერებას.

1989 წლიდან 1993 წლამდე საქართველოში განხორციელებული ძალისმიერი მოქმედების სამი ფაქტი აღინიშნა. პირველი — სამხრეთ ოსეთის სეპარატისტულ რეგიონთან დაკავშირებული ეთნოპოლიტიკური კონფლიქტი, რომელიც 1989 წელს დაიწყო, პიკს 1991 წლის იანვარში მიაღწია და შემდეგ ისევ გაღვივდა 1992 წელს. 1992 წლის ივლისში სამხრეთ ოსეთში განალაგეს სამშვიდობო ძალები, რომელთა შემადგენლობაშიც შედიოდნენ რუსი, ქართველი და ოსი მშვიდობისმყოფელები. მეორე ომი იყო თბილისში — სისხლისმღვრელი ბრძოლა დაპირისპირებულ პოლიტიკურ ჯგუფებს შორის სახელმწიფო ძალაუფლებისათვის. ეს ძალისმიერი ქმედებები 1991 წლის დეკემბერში დაიწყო და 1993 წლის ნოემბერში დასრულდა. მათი გამომწვევი მიზეზი კი პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას ძალადობრივი გზით გადაყენება იყო, რომელიც ოპოზიციონერმა პოლიტიკოსებმა და ამ "ძალადობის სულისჩამდგმელებმა"[2] ერთობლივად განახორციელეს.

თბილისში ეს კონფლიქტი მხოლოდ რამდენიმე კვირას გაგრძელდა და 1992 წლის იანვარში გამსახურდიას განდევნით დასრულდა. მაგრამ 1992 წლის მარტში ედუარდ შევარდნაძის ხელისუფლებაში დაბრუნების დროიდან იმავე წლის ნოემბრამდე განდევნილი პრეზიდენტის მომხრეები დასავლეთ საქართველოში შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევდნენ ახალ მთავრობას. ორგანიზებული ძალადობრივი აქტის მესამე შემთხვევა იყო სეპარატისტული აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის გამო გაჩაღებული ომი. იგი 1992 წელს დაიწყო და 1993 წლის სექტემბერში საქართველოს ჯარის დამარცხებით დასრულდა. ფაქტობრივად, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კონფლიქტები დღემდე მოუგვარებელია. ორივე შემთხვევაში სეპარატისტულმა კუთხეებმა სამხედრო ძალის გამოყენებით თავი დაიმკვიდრეს, როგორც დე ფაქტო ერთეულებმა, მაგრამ საერთაშორისო აღიარება ვერ ჰპოვეს.

ნაშრომის ამ ნაწილში მოცემულია საქართველოში წარმოებული ამ სამი ომის ანალიზი: დაწყებული სამხრეთ ოსეთში 1988 წლის მასობრივი მობილიზაციიდან, დამთავრებული თბილისსა და აფხაზეთში პოლიტიკური ძალაუფლების მოსაპოვებლად წარმოებული ომებით. აქცენტი კეთდება საქართველოში სპირალურად განვითარებად ეთნოეროვნულ მობილიზაციაზე. მეორე ნაწილში საუბარია ფაქტორთა იმ ოთხ ჯგუფზე, რომელმაც საქართველოში ძალადობის წარმოშობა განაპირობა: (1) საბჭოთა ეთნოფედერალიზმის მექანიზმი, (2) შიდა პოსტკომუნისტური ელიტის დაშლა, (3) "ძალადობის ინსცენირება" და (4) რეგიონალური გარემოცვა. ნაშრომის მესამე, ბოლო ნაწილში მიღებული შედეგები თანამედროვეობასთან კავშირშია განხილული, შეფასებულია საქართველოში 1993 წლიდან გატარებული სტრუქტურული ცვლილებები და დასმულია კითხვა, რას ნიშნავს ეს დღეს საქართველოსა და რეგიონალური უსაფრთხოებისათვის.

[2] როდესაც ვამბობთ "ძალადობის სულისჩამდგმელები", ვგულისხმობთ იმ ხალხს, რომელიც საომარ საქმიანობას პირადი, მატერიალური კეთილდღეობისაკენ სწრაფვას უთავსებს. ეს სურვილი ხშირად "ძალადობის სულისჩამდგმელთა" მამოძრავებელ ძალად იქცევა ხოლმე.

ეროვნული მობილიზაციის სპირალი

საქართველოში მიმდინარე მოვლენების მიმართულება და ლოგიკა ვერ აღიქმება, თუ არ გავითვალისწინებთ საბჭოთა ეთნოფედერალური სისტემისათვის დამახასიათებელ ინსტიტუტებს, რომლებიც განვითარებული დრამის სცენას წარმოადგენდნენ. ამ ნაშრომისათვის დაწერილი თავის კომენტარებში გია ნოდია აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი სხვადასხვა სტატუსის მქონე ტერიტორიული ერთეულებისაგან შემდგარ ასიმეტრიულ ფედერაციას წარმოადგენდა. პირველ დონეზე იყო თხუთმეტი მოკავშირე რესპუბლიკა, შემდეგ მოდიოდა ავტონომიური რესპუბლიკები და ბოლოს — ავტონომიური ოლქები. ქართული დრამა ეთნოფედერალური სტრუქტურის დარღვევის შედეგად განვითარდა; ამ სტრუქტურაში მმართველობის თითოეული დონე იერარქიულად იმართებოდა – ზედა დონე იყო კავშირის ცენტრი (მოსკოვი), შუაში მდებარეობდა საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკა, ბოლოს — აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. მოვლენების განვითარებასთან ერთად ამ იერარქიულმა კავშირებმა დაკარგა სიმჭიდროვე, იერარქიული სტრუქტურის უფრო დაბალ დონეებზე კი ძალას იკრებდა სეპარატისტული მოძრაობა. საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვებასთან ერთად სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი სულ უფრო მეტად ძლიერდებოდნენ საკუთარი დამოუკიდებლობის მისაღწევად.

“პერესტროიკის” ადრეულ ეტაპზე საქართველო შედარებით მშვიდობიანი რესპუბლიკა იყო, რომელსაც ეთნიკურად ერთგვაროვანი ხელმძღვანელობა მართავდა. იგი მჭიდროდ იყო შეკავშირებული პროტექციონიზმითა და პატრონაჟით და კარგად იცოდა, თუ როგორ გამოეყენებინა ქართული ჩრდილოვანი ეკონომიკის მომგებიანი შესაძლებლობები. 1970-იანი წლებიდან ქართული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წარმომადგენლებმა საბჭოური ასიმილირების წინააღმდეგ თავიანთი აზრის გამოხატვა დაიწყეს, მაგრამ ეს ხდებოდა ცალკეულ შემთხვევებში და რეალური ოპოზიციური მოძრაობა ჯერ კიდევ არ არსებობდა. საქართველოში მხოლოდ 1988 წელს ჩამოყალიბდა ბალტიისპირეთსა თუ სომხეთში არსებული ოპოზიციური ეროვნული დისკურსი, რომელიც რელიგიურ,

კულტურულ და პოლიტიკურ პრობლემებს ეხებოდა. პირველი ჯგუფი, რომელსაც აშკარად სეპარატისტული პროგრამა ჰქონდა, გიორგი ჭანტურიას მიერ დაარსებული ეროვნულ-დემოკრატიული პარტია იყო. ნაციონალისტური ტალღა უსწრაფესად ძლიერდებოდა და ამუშავებდა საყოველთაო თემათა ვარიაციებს: "საქართველოს მსხვერპლად შეწირვა"; "საქართველოს ისტორიის შეცვლა და დამახინჯება"; "ეროვნული მეხსიერების ამოშლა"; "საქართველოში რუსულ-საბჭოთა უცხო მმართველობის ძალით დაწესება". ეროვნული დისკურსის მთავარი ელემენტები (დამოუკიდებლობის მოთხოვნის გარდა) პროკომუნისტურად განწყობილმა "რუსთაველის საზოგადოებამაც" კი აიტაცა.[3] 1989 წლის დასაწყისიდან ყველა საზოგადოებრივ სფეროში რადიკალი ქართველი ნაციონალისტები დომინირებდნენ – განსჯითაც და ფიზიკური ქმედებებითაც: ქუჩის დემონსტრაციებით თუ შიმშილობის აქციებით თბილისის ცენტრში.

ეროვნული მობილიზაცია აფხაზეთში საქართველოს ეროვნული მოძრაობის პირდაპირი ასახვაა. 1989 წელს აფხაზეთი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით (ავტონომიური საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა) მოიაზრებოდა საქართველოს შემადგენლობაში. მისი მოსახლეობა 525000 კაცს შეადგენდა, რომელთაგან 45.7 პროცენტი — ქართველი, 14.3 პროცენტი — რუსი, 14.6 პროცენტი კი სომეხი იყო. აფხაზები მოსახლეობის 17.8 პროცენტს შეადგენდნენ.[4] აფხაზურ-ადიღეური ენების ჯგუფი ჩრდილოკავკასიურ ენათა ოჯახში შედის. იგი ენათესავება ჩეჩნურ-დაღესტნურ ჯგუფს და არა ენათა ქართველურ ოჯახს, რომელსაც ქართული ენა მიეკუთვნება. აფხაზეთის მოსახლეობაში არიან როგორც მართლმადიდებელი ქრისტიანები, ისე მუსულმანები. ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებს

[3] Jürgen Gerber, *Georgien: Nationale Opposition und kommunistische Herrschaft, seit 1965* (Baden-Baden: Nomos, 1997).

[4] ეს მონაცემები მოტანილია სსრკ-ში 1989 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის ანგარიშიდან; ეს იყო საბჭოთა კავშირში მოსახლეობის ბოლო და ყველაზე ფართომასშტაბიანი აღწერა. იხილეთ: *1989 წლის მოსახლეობის საკავშირო* აღწერის შედეგები (*Itogi vsesoyuznoi perepisi naseleniya 1989 goda*, (Minneapolis, MN: East View Publications, 1989). ამ ციფრებთან სიფრთხილე გვმართებს, რადგანაც ეს აღწერა არც ზუსტია და არც თავისუფალი პოლიტიკური მანიპულაციებისაგან. დემოგრაფიული საკითხი ძალზე მწვავე დისკუსიების თემაა ქართველებსა და აფხაზებს შორის.

არც საბჭოთა პერიოდში აკლდა დაძაბულობა. სტალინის მმართველობის სასტიკი რეპრესიების ქვეშ აფხაზებს ეშინოდათ ქართველების დემოგრაფიული და პოლიტიკური ბატონობის. თბილისი და სოხუმი მუდმივ ჭიდილში იყვნენ რესურსების — უმთავრესად მოსკოვიდან გადმორიცხული ფულადი სახსრების, აფხაზეთში საკადრო პოლიტიკისა და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემოსავლებზე კონტროლის მოსაპოვებლად. სწორედ ეს იწვევდა მათ შორის მუდმივ პოლიტიკურ უთანხმოებას. იმდენად, რამდენადაც ამ რეგიონში ჯერ კიდევ მყარი იყო საბჭოთა მმართველობა, პოლიტიკური დაპირისპირება ქართულ და აფხაზ მოსახლეობას შორის ძალისმიერი კონფლიქტის მიზეზი არ გამხდარა. 1957, 1967 და 1977 წლებში აფხაზეთის კულტურის მუშაკები და ინტელიგენციის წარმომადგენლები (1977 წელს კი მათთან ერთად კომუნისტური პარტიის ზოგიერთი მაღალჩინოსანი) მოსკოვს აფხაზეთის რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის შემადგენლობაში შეყვანას სთხოვდნენ. საბჭოთა მთავრობამ ყოველ ჯერზე უარყო აფხაზების ეს მოთხოვნა, მაგრამ კომპენსაციის მიზნით მთელ რიგ დათმობებზე წავიდა და რეგიონში ინვესტიციებიც გაზარდა. შედეგად, აფხაზებს ხელი მიუწვდათ შეუსაბამოდ დიდი რაოდენობით რესურსებსა და მთავარ პოლიტიკურ თანამდებობებზე. ეს განსაკუთრებით ეხება 1980-იანი წლების ბოლო პერიოდს, როდესაც თბილისი კარგავდა თავის გავლენას ადგილობრივ აფხაზურ საქმიანობაზე. 1990 წელს აფხაზეთის მთავრობის მინისტრების 67 პროცენტი აფხაზი იყო.[5] რადგან საბჭოთა სისტემაში ეკონომიკურ მართვასაც ადმინისტრაციული ხელისუფლება ახორციელებდა, აფხაზები თითქმის მთელ ადგილობრივ ეკონომიკას აკონტროლებდნენ.

1988 წელს აფხაზეთში "პერესტროიკის" შედეგად შექმნილი საზოგადოებრივი სივრცე უმალვე დაიკავა ორმა დიამეტრულად საწინააღმდეგო აზრმა, რომელიც ცდილობდა ისტორიული უსამართლობის ახსნას. აფხაზები წუხდნენ მათ რესპუბლიკაში დემოგრაფიული შეფარდებითობის მკვეთრი ცვლილების გამო. საბჭოთა პერიოდში მეგრელი (დასავლეთ საქართველო) გლეხების აფხაზეთში ჩასვლით (ასევე მთავრობის მიერ მოსახლეობის ხელახალი განსახ-

[5] იხილეთ: http://freedomhouse.org/survey99/relterr/abkhazia.html.

ლებით) ავტონომიური რესპუბლიკის ქართული მოსახლეობა 1914 წლის მაჩვენებელ 28%-თან შედარებით საგრძნობლად გაიზარდა და 1989 წელს იგი უკვე 45.5%-ს შეადგენდა: აქედან გამომდინარე, გაიზარდა კონკურენცია ისედაც მწირ მიწებზე.[6] აფხაზები ასევე უკმაყოფილონი იყვნენ აფხაზეთში ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილი ფულადი სახსრებით, რაც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე ერთ სულ მოსახლეზე გამოყოფილი თანხის მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენდა. ეს მართალაც ასე იყო, მაგრამ არასწორად ხდებოდა ამ ფაქტის ინტერპრეტირება ეთნიკურ დისკრიმინაციად – რადგან აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობას ქართველები წარმოადგენდნენ, ამ დისკრიმინაციული პოლიტიკის მთავარ მსხვერპლადაც ისინი გვევლინებოდნენ. მეტიც, აფხაზეთი – ეს "საბჭოთა რივიერა" — აშკარად იყო საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი რეგიონი და ცხოვრების დონეც იქ ბევრად უფრო მაღალი იყო, ვიდრე საქართველოს დანარჩენ მხარეებში.

იმავდროულად, აფხაზეთის ქართული მოსახლეობა უკმაყოფილებას გამოთქვამდა აფხაზეთში მთავარი თანამდებობების არაპროპორციული განაწილების გამო. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო კონტროლი მიწის განაწილებაზე, რადგანაც აფხაზეთის სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას — ჩაის, თამბაქოს, ღვინოსა და ხილს — უზარმაზარი მოგება მოჰქონდა საბჭოთა ბაზარზე. თბილისელი ქართველები აფხაზებს მოსკოველ ავტორიტეტებთან განსაკუთრებულ კავშირებში ადანაშაულებდნენ და მიაჩნდათ, რომ აფხაზური ეროვნული მოძრაობა საფრთხეს უქმნიდა საქართველოს დამოუკიდებლობისაკენ სწრაფვას.

1988 წლის ივნისში 58 აფხაზმა კომუნისტმა საქართველოს სსრ-ის შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლის მოთხოვნით წერილი

[6] მოსახლეობის ამ მოძრაობათა დიდი ნაწილის სულისჩამდგმელი საბჭოთა მთავრობის წარმომადგენლები იყვნენ. იხ.: Giorgi M. Derluguian, "The Tale of Two Resorts: Abkhazia and Ajaria before and Since the Soviet Collapse" in Beverly Crawford and Ronnie D. Lipschutz, eds., *The Myth of "Ethnic Conflict"*: Politics, Economics, and Cultural Violence (Berkeley, CA: International and Area Studies, University of California Press, 1998) pp.261-292 at p.267, http://repositories.cdlib.org/cgi/viewcontent.cgi?article=1064&context=uciaspubs/research.

გააგზავნა მოსკოვში, კომუნისტური პარტიის მე-19 კონფერენციაზე. ამ მოთხოვნამ ქართველებში "ყარაბაღის სცენარის" გამეორების შიში აღძრა – ამ სცენარის მიხედვით ერთ-ერთი ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეული მეორე რესპუბლიკის შემადგენლობაში შესვლას მოითხოვდა. 1989 წლის მარტში გაიმართა მასობრივი დემონსტრაცია სოხუმის მახლობლად, ლიხნის ტერიტორიაზე – ამ ადგილს განსაკუთრებული როლი ენიჭება აფხაზეთის ისტორიასა და მითოლოგიაში, რადგანაც იქ დგას "წმინდა" ხე და ისტორიულად იგი წარმოადგენდა აფხაზეთის მმართველების რეზიდენციას. ოცი ათასმა ადამიანმა, ამ რესპუბლიკის კომუნისტური ელიტის აფხაზი წარმომადგენლების ჩათვლით, ხელი მოაწერა ე.წ. "ლიხნის დეკლარაციას", სადაც ითხოვდნენ აფხაზეთისათვის მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსის მინიჭებას, რაც საქართველოს შემადგენლობიდან გასვლას გულისხმობდა. დეკლარაცია აფხაზეთის გაზეთებში 24 მარტს გამოქვეყნდა. 1989 წლის ივლისში ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის მოხდა ძალისმიერი დაპირისპირების პირველი ფაქტები, რის შედეგად დაიღუპა 16 და დაიჭრა ასობით ადამიანი.[7] მაგრამ, მიუხედავად ამისა, უფრო მასშტაბური ძალადობისათვის არც აფხაზები და არც ქართველები ჯერ მზად არ იყვნენ.

აფხაზეთის მობილიზაციას ქართული ეროვნული მოძრაობა გამოეხმაურა. მთელი ქვეყნის მასშტაბით ჩატარდა მასობრივი დემონსტრაციები, სადაც ანტიკომუნისტური და ანტიაფხაზური ლოზუნგები ერთმანეთს ერწყმოდა. ძლიერდებოდა ანტიაფხაზური განწყობა, განსაკუთრებით აფხაზეთის ქართულ მოსახლეობას შორის. ცნობას აფხაზების მიერ მოწყობილი მასობრივი დემონსტრაციის შესახებ, სადაც წამოყენებული იყო მოთხოვნა საქართველოს შემადგენლობიდან აფხაზეთის გასვლის თაობაზე, 1989 წლის მარტში თბილისის ისტორიაში არნახული საპროტესტო აქცია მოჰყვა. საქართველოს კომუნისტურ მმართველობას ეშინოდა, რომ დედაქალაქში შექმნილ სიტუაციაზე კონტროლს დაკარგავდა და საბჭოთა ჯარებს დემონსტრანტების წინააღმდეგ ზომების მიღება სთხოვა. 9

[7] Ronald G. Suny, *The Making of the Georgian Nation* (Bloomington, IN: Indiana University Press, 1994), p.323

აპრილის დილას არმიამ დემონსტრაცია ძალის გამოყენებით დაშალა, რის შედეგადაც დაიჭრა ასობით და დაიღუპა ცხრამეტი ადამიანი. ამ სისხლისღვრის წინასწარმეტყველება ადვილი შესაძლებელი იყო: ქართული ეროვნული მოძრაობა უფრო რადიკალური გახდა, საქართველოს კომუნისტურმა რეჟიმმა კი ლეგიტიმურობა დაკარგა.

მოსკოვის რეაქცია იგივე იყო, რაც რამდენიმე თვის წინ ყარაბაღის კრიზისის დროს – გადაყენებული იქნენ ადგილობრივი მმართველი პირები. ამ შემთხვევაში თანამდებობიდან გადააყენეს საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ჯუმბერ პატიაშვილი და მის მაგივრად საქართველოს სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე გივი გუმბარიძე დანიშნეს. 9 აპრილის მოვლენებით გამოწვეული შოკი იმდენად დიდი იყო, რომ ახალმა კომუნისტურმა მმართველობამ ეროვნული ოპოზიციის მოთხოვნები მიიღო და ეროვნულ მოძრაობასთან დიდ დათმობებზე წავიდა. პირველ რიგში, ციხიდან გაათავისუფლეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერები – ზვიად გამსახურდია, მერაბ კოსტავა და გიორგი ჭანტურია. 1989 წლის აგვისტოში საქართველოს უზენაესმა საბჭომ, რომლის წევრთა უმრავლესობაც კომუნისტური პარტიის წევრი იყო, მიიღო კანონი სახელმწიფო ენის შესახებ. კანონის მიხედვით სავალდებულო იყო ქართული ენის საჯარო სექტორში გამოყენება მთელი რესპუბლიკის მასშტაბით; ამ ფაქტს უარყოფითად შეხვდნენ აფხაზეთში (სადაც არაქართული მოსახლეობის უმრავლესობამ ქართული არ იცოდა) და სამხრეთ ოსეთში.

1989 წლის სექტემბერში მოსკოვში გამართულ პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე გივი გუმბარიძემ მოითხოვა, მიეცათ საქართველოსათვის უფლება, თავად მოეგვარებინა თავისი შიდა ეთნიკური საკითხები და ამ მიზნით საკუთარი შეიარაღებული ძალების შექმნის უფლებაც კი ითხოვა. ნოემბერში საქართველოს უზენაესმა საბჭომ გამოაცხადა, რომ იგი აღარ ცნობდა საბჭოთა კანონმდებლობას, რომელიც საქართველოს ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. 1990 წლის მარტში კი გამოცხადდა საქართველოს სუვერენიტეტი, რითაც საბჭოთა მთავრობის მიერ 1921 წლიდან დადებული ყველა ხელშეკრულება გაუქმებულად ითვლებოდა. გივი გუმბარიძემ განაცხადა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა პარტიის

მიზანს წარმოადგენდა. კომუნისტური პარტიის ახალი ლიდერების სულ უფრო მზარდ ეროვნულ რიტორიკას საბედისწეროდ აღიქვამდნენ საბჭოთა საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიების ეროვნული უმცირესობები — ოსები და აფხაზები და კიდევ უფრო უმწვავდებოდათ ქართველების დომინირებით გამოწვეული შიში.

მეორე ცხელი წერტილი აღმოცენდა სამხრეთ ოსეთში. საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ამ ავტონომიური რეგიონის მოსახლეობა 100000-ს აჭარბებდა, რომლის 66.2 პროცენტს — ოსები, 29 პროცენტს კი ქართველები შეადგენდნენ.[8] სამხრეთ ოსეთში მცხოვრები ოჯახების უმრავლესობა შერეული – ქართულ-ოსური იყო[9]. ოსური ენა მიეკუთვნება ირანული ენების ჩრდილოაღმოსავლურ ჯგუფს. ოსების უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია, ხოლო მოსახლეობის უმცირესობა კი – სუნიტი მუსულმანი. 1918 და 1921 წლებში საქართველოს მენშევიკურმა მთავრობამ სასტიკად ჩაახშო ოსების ბოლშევიკური აჯანყება. ამ მოვლენის გამო ოსეთის მოსახლეობაში ჭარბობდა აზრი, რომ მათ ისტორიულად უსამართლოდ ექცეოდნენ. საერთოდ, 1988 წლის დასრულებამდე ურთიერთობა თბილისსა და ცხინვალს შორის, ისევე, როგორც სამხრეთ ოსეთში მცხოვრებ ქართველებსა და ოსებს შორის, უმთავრესად არ იყო დაძაბული. დაძაბულობამ ამ ორ ეთნიკურ ჯგუფს შორის 1989 წელს იჩინა თავი. მაშინ ნათელი გახდა, რომ სამხრეთ ოსეთი აფხაზეთის გზას დაადგა – გზას, რომელიც მიზნად ისახავდა სულ უფრო მეტად ნაციონალისტურად განწყობილი საქართველოდან გამოყოფას. სამხრეთ ოსეთს სურდა, შეერთებოდა ჩრდილოეთ ოსეთს, რომელსაც რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსი ჰქონდა.

ამ პერიოდში გამწვავდა დაპირისპირება კანონმდებლებს შორისაც: საქართველოს უზენაესი საბჭოს მიერ 1989 წლის აგვისტოში მიღებულ კანონს ქართული ენის სახელმწიფო ენად გამოცხადების შესახებ ოსებმა საკუთარი კანონი დაუპირისპირეს და სამხრეთ

[8] იხილეთ: *Itogi vsesoyuznoi perepisi naseleniya 1989 goda*.

[9] Alexei Zverev, “Ethnic Conflicts in the Caucasus 1988–1994,” in Bruno Coppieters, ed., *Contested Borders in the Caucasus* (Brussels: VUB Press, 1996), p. 39, http://poli.vub.ac.be/publi/ContBorders/eng/ch0103.htm.

ოსეთის ტერიტორიაზე ოფიციალურ ენად ოსური ენა გამოაცხადეს. 1989 წლის ნოემბერში სამხრეთ ოსეთის უმაღლესმა საკანონმდებლო ორგანომ, საოლქო საბჭომ, თხოვნით მიმართა საქართველოსა და საბჭოთა კავშირის უზენაეს საბჭოებს სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის სტატუსის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსით შეცვლის თაობაზე. ამ მიმართვაში არაფერი იყო კონსტიტუციის საწინააღმდეგო და არც გამონაკლისს წარმოადგენდა, რადგანაც "პერესტროიკის" ბოლო პერიოდში ყველა ავტონომიურ ოლქსა თუ ავტონომიურ რესპუბლიკას თავისი სტატუსის ამაღლება სურდა. მიუხედავად ამისა, ქართულმა კომუნისტურმა მმართველობამ და ეროვნულმა ოპოზიციამ ოსეთის ეს მიმართვა საქართველოს შემადგენლობიდან მისი გამოსვლისაკენ მიმართულ ნაბიჯად და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის საფრთხის შექმნად აღიქვა.

საქართველოს ეროვნულმა მოძრაობამ, რომლის ყველაზე პოპულარული ლიდერი ზვიად გამსახურდია იყო, სამხრეთ ოსეთთან შექმნილი მზარდი დაძაბულობა თავის სასარგებლოდ გამოიყენა. 1989 წლის 23 ნოემბერს სამხრეთ ოსეთის საკანონმდებლო ორგანოს გადაწყვეტილების საპასუხოდ (შეეცვალათ ოლქის სტატუსი უფრო მაღალი, დამოუკიდებელი რესპუბლიკის სტატუსით) მობილიზებული იქნა 30000 ქართველი დემონსტრანტი, რომელიც საპროტესტო აქციის ჩასატარებლად სამხრეთ ოსეთის დედაქალაქ ცხინვალში ავტობუსებით გაემართა. ქალაქში შესვლისთანავე მათ გზა საბჭოთა უშიშროების ძალებმა გადაუკეტეს. ამ ფაქტს შეტაკებები მოჰყვა, რაც, პირველ რიგში, ზვიად გამსახურდიას აძლევდა ხელს, რომელმაც ნათლად დაანახა ყველას, რომ ძალა შესწევდა, შეეკრიბა 30000 კაცი და, შესაბამისად, შეძლებდა, საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერებისათვის საკუთარი სამოქმედო გეგმა მოეხვია თავზე. ქართველი ნაციონალისტების ამ დემონსტრაციის საპასუხოდ "ადამონ ნიხასის"[10] ლიდერებმა სახალხო ლაშქრის პირველი შენაერთების შექმნა დაიწყეს სამხრეთ ოსეთში. სამხრეთ ოსეთის ქართულმა მოსახლეობამ თავისი პირადი ნივთების უსაფრთხო

[10] ადამონ ნიხასი ("ხალხის კრება") სამხრეთ ოსეთში სახალხო მოძრაობას წარმოადგენდა.

ადგილას გადატანა და საჭიროების შემთხვევაში გასაქცევად მზადება დაიწყო.

1990 წლის მარტში საქართველოს უზენაესმა საბჭომ კანონიერად ცნო ყველა აკრძალული ოპოზიციური პარტია და საქართველო ანექსირებულ და ოკუპირებულ სახელმწიფოდ გამოაცხადა, რითაც კიდევ უფრო გაამძაფრა მოსკოვთან არსებული კონფლიქტი. საქართველოს საბჭოთა კავშირიდან გასვლის მცდელობის საპასუხოდ აფხაზებმაც, თავის მხრივ, ასეთივე ნაბიჯები გადადგეს საქართველოს შემადგენლობიდან გამოსასვლელად. აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ ცალმხრივად გამოაცხადა აფხაზეთის დამოუკიდებლობა და მოსკოვს მისი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მოკავშირე რესპუბლიკად შეყვანა სთხოვა. ეს ქმედება საქართველოს უზენაესმა საბჭომ უკანონოდ გამოაცხადა.

1990 წლის აგვისტოში, პირველი თავისუფალი საპარლამენტო არჩევნებისათვის მზადებისას, საქართველოს უზენაესმა საბჭომ მიიღო საარჩევნო კანონი, რომელიც კრძალავდა არჩევნებში მხოლოდ რეგიონალურ დონეზე მოქმედი ჯგუფების მონაწილეობას, რითაც არჩევნებში ნებისმიერი ოსური პარტიის მონაწილეობა გამოირიცხებოდა. ამის საპასუხოდ 1990 წლის 20 სექტემბერს სამხრეთ ოსეთის საოლქო საბჭომ სამხრეთ ოსეთი სამხრეთ ოსეთის დემოკრატიულ საბჭოთა რესპუბლიკად გამოაცხადა და მოსკოვს საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში პირდაპირი გზით შესვლა სთხოვა. 9 დეკემბერს სამხრეთ ოსეთში არჩევნები ჩატარდა. საქართველოს ახლადარჩეულმა პარლამენტმა, სადაც გამსახურდიას მომხრეებმა ადგილების უმრავლესობა მოიპოვეს, სამხრეთ ოსეთის არჩევნები უკანონოდ ცნო და ავტონომიური ოლქის სტატუსი გააუქმა. სამხრეთ ოსეთში გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა, ხოლო ცხინვალში შინაგან საქმეთა უშიშროების ძალები განლაგდა.

1991 წლის 5 იანვარს 5000-კაციანი ქართული სამხედრო ფორმირება, რომლის შემადგენლობაში შედიოდნენ ადგილობრივი სახალხო ლაშქრისა და ახლადშექმნილი ქართული ეროვნული გვარდიის წევრები, ცხინვალში შევიდა. ისინი არბევდნენ და თავს ესხმოდნენ ადგილობრივ მოსახლეობას. სამხრეთ ოსეთის სახალხო ლაშქარმა მათ სასტიკი წინააღმდეგობა გაუწია. იანვრის ბოლოს ქართულმა ჯარმა ეს ტერიტორია დატოვა, პოზიციები ქალაქის გარშემო ამაღლებულ

ადგილებზე დაიკავა და ქალაქის ბლოკადა დაიწყო; ეს ბლოკადა 1992 წლის ივლისამდე გაგრძელდა, სანამ სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე რუსულ-ქართულ-ოსური სამშვიდობო ჯარები არ შევიდნენ.

სამხრეთ ოსეთის ომი იყო პირველი ომი საქართველოში და მან გარკვეულწილად განაპირობა მომდევნო ორიც. საქართველოს მთელ ტერიტორიაზე შეიქმნა შეიარაღებული ფორმირებები, რომლებიც სახელმწიფო კონტროლს არ ემორჩილებოდნენ, თუმცა კი მათ ჩამოყალიბებას გარკვეულწილად სახელმწიფომვე შეუწყო ხელი. შემდგომი ომები საქართველოში იყო: სამოქალაქო ომი, რომელიც 1991 წლის დეკემბერში დაიწყო და 1992 წლის აგვისტოში დაწყებული აფხაზეთის ომი. ამ ომებში მთავარი როლი შეიარაღებულმა ფორმირებებმა ითამაშეს.

საქართველოში 1990 წლის 28 ოქტომბერს ჩატარებული პირველი თავისუფალი საპარლამენტო არჩევნები ზვიად გამსახურდიას გამარჯვებით დასრულდა. ეჭვგარეშე იყო, რომ ახალ მთავრობას საქართველოს სრული დამოუკიდებლობა სურდა. მაგრამ გამსახურდიას გამარჯვებამ ვერ დაფარა ის ფაქტი, რომ გამარჯვებულებს არ შესწევდათ ძალა საბოლოოდ გახლეჩილი ეროვნული მოძრაობის გაერთიანებისა. ეროვნულ-დემოკრატიულმა და ეროვნული დამოუკიდებლობის პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს უზენაესი საბჭოს არჩევნებს და სანაცვლოდ 1990 წლის 30 სექტემბერს საკუთარი პარლამენტის – ეროვნული კონგრესის – ასარჩევად ალტერნატიული არჩევნები ჩაატარეს. უზენაესი საბჭოს არჩევნების შედეგად ხელისუფლებაში მოვიდა საქართველოს მოსახლეობის ახალი ფენა – ფენა, რომელსაც ნომენკლატურა და ქალაქის ინტელიგენცია მიიჩნევდა დაბალი განათლებისა და სუსტი პროფესიული კვალიფიკაციის მქონე ადამიანებად, რომლებსაც ქვეყნის მართვა არ შეეძლოთ. ეს აზრი დადასტურდა პირველი პარლამენტის მიერ ჩატარებული სამუშაოს შესახებ ანგარიშის შესწავლის შედეგად.

1990 წლის შემოდგომისათვის საქართველო ნაწილებად იშლებოდა. სამი ავტონომიური ერთეულიდან ორი – სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი – თბილისის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. საქართველოს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა გახლეჩილი იყო, ხოლო პარლამენტის "პრომამულიშვილური" ჯგუფები უმეტესად გაუკონტროლებლად მოქმედებდნენ. 1991 წლის 9 აპრილს, საბჭოთა

ჯარის მიერ თბილისში დემონსტრაციის მთელი სისასტიკით დარბევიდან ზუსტად ორი წლის შემდეგ, საქართველოს პარლამენტმა საქართველოს დამოუკიდებლობა გამოაცხადა, ხოლო 26 მაისს კი გამსახურდია საქართველოს პრეზიდენტად ხმათა 86 პროცენტით აირჩიეს. ამ არჩევნებს ბოიკოტი გამოუცხადა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის არაქართულმა მოსახლეობამ.

გამსახურდიამ ამ თანამდებობაზე წელიწადზე ნაკლები ხანი დაჰყო. საქართველომ სამოქალაქო ომისაკენ სვლა 1991 წლის აგვისტოში მოსკოვში მომხდარი პუტჩის შემდეგ დაიწყო. მოსკოვის ამ მოვლენებით გაკვირვებულმა გამსახურდიამ განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირში მიმდინარე ძალაუფლებისათვის ბრძოლის მიმართ იგი ნეიტრალური იყო და დაეთანხმა საბჭოთა სამხედრო მეთაურის მოთხოვნას, საქართველოს ეროვნული გვარდია საბჭოთა შინაგან საქმეთა სამინისტროს სტრუქტურაში შეეყვანა. ამ ბრძანებას არ დაემორჩილა ეროვნული გვარდიის მეთაური თენგიზ კიტოვანი, რადგანაც ეს "მისი" გვარდიის დაშლას ნიშნავდა; 1991 წლის სექტემბერში მან თავისი ჯარი თბილისიდან გაიყვანა და პრეზიდენტი მოქმედი სამხედრო ძალის გარეშე დატოვა.

ეს ნიშნავდა იმასაც, რომ გამსახურდიას აღარ გააჩნდა ძლიერი საყრდენი თავისი რეჟიმის შესანარჩუნებლად. თუმცა 1991 წლის თებერვალში მან მოახერხა იმჟამად განდგომილი "მხედრიონის" დაშლა; აგვისტოში თენგიზ კიტოვანი, მისი მომხრეები და პრემიერ-მინისტრი თენგიზ სიგუა პრეზიდენტს განუდგნენ, რის შედეგადაც გამსახურდიას ძალზე ცოტა დარჩა ისეთი შეიარაღებული პირი, რომელთა ნდობაც შეეძლო. თენგიზ კიტოვანი და თენგიზ სიგუა გაუწონასწორებელ მდგომარეობაში მყოფი ზვიად გამსახურდიას წინააღმდეგ გამოვიდნენ. გამსახურდიას მძლავრი ანტისაბჭოთა და ნაციონალისტური პოლიტიკა ვეღარ მალავდა იმ ფაქტს, რომ საქართველოს სახელმწიფო ნაწილებად იშლებოდა, საერთაშორისო მასშტაბით კი ქვეყანა იზოლაციაში რჩებოდა. 1991 წლის დეკემბერში, ციხიდან გათავისუფლების შემდეგ, ჯაბა იოსელიანმა "მხედრიონი" აღადგინა და მეამბოხეებს შეუერთდა.

1991 წლის 22 დეკემბერს ეროვნული გვარდიის დაახლოებით 500 ჯარისკაცი თბილისში შემოვიდა და მცირე ხნით პარლამენტის შენობის ალყაში მოქცევის შემდეგ კანონიერად არჩეული პრეზი-

დენტი თბილისიდან გააძევა. 1992 წლის 6 იანვარს გამსახურდია სომხეთში გაიქცა და ოპოზიციამაც თავი გამარჯვებულად ჩათვალა. მაგრამ სამოქალაქო ომი ამით არ დამთავრებულა. განდევნილმა პრეზიდენტმა თბილისის ახალი მთავრობის წინააღმდეგ შეიარაღებული მოძრაობა დასავლეთ საქართველოში, თავის მშობლიურ რეგიონში წამოიწყო.

გამსახურდიას თბილისიდან გაქცევის შემდეგ ასპარეზი უკვე მზად იყო ახალ და უფრო ძლიერ მოქმედ პირთათვის. ახალმა გარდამავალმა მთავრობამ – ჯაბა იოსელიანმა ("მხედრიონის" ლიდერი), თენგიზ კიტოვანმა (ეროვნული გვარდიის მეთაური) და ყოფილმა პრემიერ-მინისტრმა თენგიზ სიგუამ (რომელიც 1991 წლის აგვისტოში გამსახურდიამ გადააყენა) – ედუარდ შევარდნაძეს სამშობლოში მოუხმეს. ედუარდ შევარდნაძე, რომელიც გორბაჩოვის ინოვაციური მმართველობის პერიოდში საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო, დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა უცხოეთშიც და საქართველოშიც. იგი იმ რანგის სახელმწიფო მოხელედ მოიაზრებოდა, რომელსაც საქართველოს სამოქალაქო ომის ქარცეცხლიდან გამოყვანა შეეძლო. 1992 წლის 7 მარტს ედუარდ შევარდნაძის დაბრუნების შემდეგ, ე.წ. "სახელმწიფო საბჭომ" იგი გარდამავალი მთავრობის თავმჯდომარედ დაასახელა და ქვეყნის სამოქალაქო ომიდან გამოყვანა მიანდო. თუ არსებულ გარემოებას გავითვალისწინებთ, ეს ამოცანა ძალზე რთული იყო: სამხრეთ ოსეთში გამარჯვება უკვე შეუძლებელი ჩანდა; აფხაზეთთან არსებული კონფლიქტი ყოველ წუთს შეიძლებოდა გამწვავებულიყო; გაძევებული პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია თავის ერთგულ ხალხთან ერთად დასავლეთ საქართველოში მოქმედებდა. გარდა ამისა, რუსეთი, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე-ქვეყანა, საქართველოს აიძულებდა, ახლადშექმნილ დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას (დსთ) შეერთებოდა და ქვეყანაში რუსეთის სამხედრო ბაზების არსებობაზე დათანხმებულიყო. ამ დროს ედუარდ შევარდნაძის ერთადერთი (და ძალიან არასანდო) მხარდამჭერები "ძალადობის სულისჩამდგმელები" – ჯაბა იოსელიანი და თენგიზ კიტოვანი იყვნენ. სამხრეთ ოსეთთან არსებულ კონფლიქტში რუსეთი ახლა მთავარ ფაქტორად გადაიქცა. მოსკოვიდან წამოსულმა პოლიტიკურმა ზეწოლამ – ოსების აშკარა სამხედრო დახმარებამ და დასაშინებელმა მანევრებმა — შვეულმფრენებით საქართველოს სოფლებზე დროდადრო განხორ-

ციელებულმა შეტევებმა – შევარდნაძე აიძულა, ცეცხლის შეწყვეტაზე დათანხმებულიყო. 1992 წლის ივლისში რუსეთის მეთაურობის ქვეშ მყოფი რუსულ-ქართულ-ოსური სამშვიდობო ძალები ცეცხლის შეწყვეტის განხორციელებაზე კონტროლს შეუდგნენ.

სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის დეესკალაციის შემდეგ აფხაზეთში კვლავ იმძლავრა ძალადობამ. რამდენიმე წლის განმავლობაში საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტი მხოლოდ კანონმდებლობის (შესაბამისი პარლამენტების მიერ მიღებული კანონების) და არჩევნების ომი იყო.[11] 1990 წლის 25 აგვისტოს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ აფხაზეთი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში მყოფ მოკავშირე რესპუბლიკად გამოაცხადა. საქართველოს უზენაესმა საბჭომ ეს გადაწყვეტილება უმალვე უკანონოდ ცნო. 1991 წლის აგვისტოში განხორციელდა კონსენსუსის მიღწევის ერთი სერიოზული მცდელობა – ზვიად გამსახურდიამ აფხაზეთის მთავრობასთან მიაღწია შეთანხმებას ძალაუფლების გადანაწილების შესახებ; ეს გადანაწილება გამოიხატა საარჩევნო კოდექსის მიღებით, რომლის თანახმადაც საარჩევნო ოლქების დემარკაცია ეთნიკური პრინციპით უნდა მომხდარიყო; ასე რომ, ყოველ ეთნიკურ ჯგუფს აფხაზეთის ახალ 65-კაციან პარლამენტში გარკვეული კვოტა ეძლეოდა: ქართული მოსახლეობა (რომელიც 1989 წელს აფხაზეთის მოსახლეობის 45.7 პროცენტს შეადგენდა) მიიღებდა 26 ადგილს, აფხაზებს (17.8 პროცენტი) ექნებოდათ 28 ადგილი, ხოლო სხვა ეთნიკური ჯგუფები (უმთავრესად, სომხები (14.6 პროცენტი) და რუსები (14.3 პროცენტი) მიიღებდნენ დარჩენილ 11 ადგილს. კონსტიტუციური საკითხების გადასაწყვეტად საჭირო იქნებოდა ხმათა ორი მესამედის მიღება – ამის გამო ვერც ერთი ეთნიკური ჯგუფი ვერ გაატარებდა კონსტიტუციურ ცვლილებებს სხვა ჯგუფთან შეუთანხმებლად.[12] 1991 წლის

[11] ”Human Rights Watch”, “Georgia/Abkhazia: Violance of the Laws of War and Russia’s Role in the Conflict, “ March 1. 1995 http://www.hrw.org/reports/1995/Georgia2.htm.

[12] იხილით: Ghia Nodia, “The Conflict in Abkhazia: National Projects and Political Circumstances,” in Bruno Coppieters, Ghia Nodia, and Yuri Anchabadze, eds., *Georgians and Abkhazians: The Search for a Peace Settlement* (Koeln: Bundesinstitut für Ostwissenschaftliche und Internationale Studien, 1998), pp. 14–48, http://poli.vub.ac.be./publi/Georgians/chp0201.html; Revaz Gachechiladze, *The New Georgia: Space, Society, Politics* (London: Routledge, 1995), p.41 and p. 84.

29 სექტემბერს ამ კანონის თანახმად აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ ჩაატარა არჩევნები, რომლის შემდეგი ორი ტური 13 ოქტომბერსა და 1 დეკემბერს გაიმართა. საბოლოოდ, 1991 წლის ხელშეკრულება ძალაში არ შესულა. ამის ერთ-ერთი მიზეზი იყო ზვიად გამსახურდიას მთავრობის მარცხი, რამაც, თავის მხრივ, შემდეგი მოვლენები გამოიწვია: შევარდნაძის ადმინისტრაცია ყველაფერს აკეთებდა ზვიად გამსახურდიას დელეგიტიმიზაციისათვის, ამიტომაც მას არანაირი სურვილი არ ჰქონდა, გამსახურდიას პროექტისათვის დაეჭირა მხარი.

ზვიად გამსახურდიას მომხრეები ედუარდ შევარდნაძის მთავრობას "მოსკოვის მარიონეტად" სახავდნენ. თავის მხრივ, ახალი მთავრობა ცდილობდა, ეროვნული ინტერესების დაცვაში გამსახურდიაზე მეტად წარმოეჩინა თავი. ამ მიზეზთა გამო მთავრობისათვის ხელსაყრელი იყო 1991 წლის ხელშეკრულების "ეროვნული ინტერესების შემლახველ" დოკუმენტად გამოცხადება. და ბოლოს, აფხაზეთის მთავრობა საქართველოში მმართველობისა და ლეგიტიმურობის რღვევის პროცესში თავისი შანსის გამოყენებას ცდილობდა: 1992 წლის 23 ივლისს აფხაზეთის უზენაესმა საბჭომ, რომელიც არც კი ეცადა ხმების ორი მესამედის მოპოვებას, როგორც ეს 1991 წლის აგვისტოს ძალაუფლების გადამანაწილებელი ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული, ისე მიიღო კანონი, რომლითაც 1925 წლის აფხაზეთის კონსტიტუციის პროექტის აღდგენა ხდებოდა, სადაც აფხაზეთი სუვერენულ სახელმწიფოდ იყო გამოცხადებული და რომელიც თავის დროზე სრულიად აფხაზეთის საბჭოების კონგრესმა მიიღო.

1992 წელს ზვიად გამსახურდიას მხარდამჭერმა ჯარებმა გაიტაცეს საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრი და პარლამენტის ერთი წევრი. როგორც ამბობდნენ, მძევლები აფხაზეთის ტერიტორიაზე, გალის რაიონში გადაიყვანეს. ქართულმა მხარემ ეს ფაქტი აფხაზეთში შესვლის საბაბად გამოიყენა. 1992 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ეროვნული გვარდია აფხაზეთისაკენ დაიძრა, დაიკავა სოხუმი და გააღვივა კონფლიქტი, რომელიც დიდი ხნის განმავლობაში მწიფდებოდა. აფხაზებს მხარს უჭერდნენ ჩრდილოკავკასიელები და მათ ტერიტორიაზე განლაგებული რუსეთის ჯარები. ამიტომაც, ქართველებისათვის მოულოდნელად, მათ მაშინვე შეძლეს ძლიერი

შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევა. იმ დროისათვის დასავლეთ საქართველოში ზვიად გამსახურდიას ჯარები საკუთარ სამხედრო კამპანიას აწარმოებდნენ. ქართულ ჯარს ორ ფრონტზე ომის საშიშროება ემუქრებოდა. ასეთ შემთხვევაში ისინი შეიძლება ალყაში მოქცეულიყვნენ – ჩრდილოეთით აფხაზებისა, ხოლო სამხრეთით — ზვიად გამსახურდიას ძალების გარემოცვაში. ასეთი რამ ერთი წლის შემდეგ მართლაც მოხდა. 1993 წლის სექტემბერში ზვიად გამსახურდიას სამხედრო შენაერთებმა დასავლეთ საქართველოში ქართულ ჯარს შეუტიეს, ხოლო აფხაზებმა, რუსეთის მხარდაჭერის შედეგად, სოხუმის დაბრუნება შეძლეს. აფხაზეთის ქართული მოსახლეობა აფხაზეთიდან გამოიქცა.

დამარცხების შემდეგ უკიდურესად დამცირებული ედუარდ შევარდნაძე იძულებული გახდა, რუსეთისათვის დახმარება ეთხოვა, რათა გამსახურდიას გასწორებოდა. რუსეთის ჯარმა ზვიად გამსახურდიას ძალები ორ კვირაში დაამარცხა. საქართველომ კი წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია დსთ-ს მოთხოვნას, მისი სრულუფლებიანი წევრი გამხდარიყო და ხელი მოეწერა მთელ რიგ ხელშეკრულებებზე უსაფრთხოების სფეროში. 1994 წლის ივნისში აფხაზეთისა და საქართველოს მთავრობები შეთანხმდნენ, რომ აფხაზეთისა და საქართველოს დანარჩენ ტერიტორიას შორის არსებულ საზღვარზე რუსი სამშვიდობო ძალები განლაგდებოდნენ. თბილისმა დაიწყო მოლაპარაკებები მოსკოვთან ვაზიანში, გუდაუთაში, ახალქალაქსა და ბათუმში განლაგებული რუსული სამხედრო ბაზების მომავალი ბედის შესახებ.

ახალი ქართული პარლამენტი მაშინ აირჩიეს, როდესაც აფხაზეთში ჯერ კიდევ ომი მიმდინარეობდა – 1992 წლის 11 ოქტომბერს. იმავდროულად, ჩატარდა პარლამენტის თავმჯდომარის პირდაპირი წესით არჩევნები, სადაც შევარდნაძეს კონკურენტი არ ჰყოლია. ამომრჩეველთა აქტივობამ 74% შეადგინა და ედუარდ შევარდნაძემ მათი ხმების 96% მოიპოვა. 1992 წლის 6 ნოემბერს ახალმა პარლამენტმა დაამტკიცა კანონი სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ, რომლის თანახმადაც ედუარდ შევარდნაძე ხდებოდა აღმასრულებელი ხელისუფლების ხელმძღვანელი, შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი და სახელმწიფოს მეთაური. მას შემდეგ, რაც 1995 წლის 24 აგვისტოს მოხდა ახალი კონსტიტუციის რატი-

ფიცირება, ედუარდ შევარდნაძე 1995 წლის 5 ნოემბერს ხმათა 74 პროცენტით (ოფიციალური მონაცემებით) ქვეყნის პრეზიდენტად აირჩიეს.

ამ არჩევნებით ედუარდ შევარდნაძემ მოიპოვა დემოკრატიული და კონსტიტუციური ლეგიტიმურობა, რაც მას ხელისუფლებაში მოსვლისას არ გააჩნდა. მას შემდეგ, რაც შევარდნაძემ ვერ შეძლო კონტროლის აღდგენა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე, იგი ჯაბა იოსელიანსა და თენგიზ კიტოვანს დაუპირისპირდა – ლიდერებს, რომლებმაც 1992 წელს ის საქართველოში ჩამოიყვანეს იმ იმედით, რომ თავიანთი შეიარაღებული ფორმირებებით შეძლებდნენ მის მართვას. უპირველეს ყოვლისა, ედუარდ შევარდნაძემ ეროვნული გვარდიის ნეიტრალიზაცია განახორციელა და ეტაპობრივად გააერთიანა იგი სახელმწიფო სტრუქტურაში. 1993 წლის მაისში მან თენგიზ კიტოვანი თავდაცვის მინისტრობიდან გაათავისუფლა, 1994 წლის თებერვალში კი ამავე თანამდებობიდან გადადგა თენგიზ კიტოვანის პროტეჟე, გიორგი ყარყარაშვილი, რომელიც ამ პოსტზე ედუარდ შევარდაძისადმი კეთილგანწყობილმა ვარდიკო ნადიბაიძემ შეცვალა. 1995 წლის იანვარში ძალაუფლებისათვის უკანასკნელად უიმედოდ გაიბრძოლეს — თენგიზ კიტოვანი (თენგიზ სიგუას დახმარებით) 700-მდე მსუბუქად შეიარაღებულ მომხრესთან ერთად კვლავ შეეცადა აფხაზეთზე იერიშის მიტანას, მაგრამ ისინი ქართულმა პოლიციამ შეაჩერა და დააპატიმრა. ჯერ კიდევ 1993 წლის შემოდგომაზე პრეზიდენტ გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ საბრძოლველად ედუარდ შევარდნაძის დასაყრდენი ჯაბა იოსელიანი და მისი "მხედრიონი" იყო. მხოლოდ 1995 წლის დასაწყისში შეძლო მან, ებრძანებინა შინაგან საქმეთა მინისტრისათვის სამინისტროს ჯარების მეშვეობით "მხედრიონის" შენაერთების დაპატიმრება, თუმცა 1995 წლის ზაფხულამდე ჯაბა იოსელიანის მოადგილე და საქართველოს შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრი, თემურ ხაჩიშვილი, ჯერ კიდევ სახელმწიფო უშიშროების მინისტრის მოადგილედ რჩებოდა. მხოლოდ 1995 წლის აგვისტოში პრეზიდენტ შევარდნაძეზე განხორციელებული თავდასხმის შემდეგ მოხდა ჯაბა იოსელიანისა და თემურ ხაჩიშვილის დაპატიმრება.

მოვლენათა ამ მოკლე მიმოხილვიდან ჩანს, რომ პოსტსაბჭოთა პერიოდის პირველი ხუთი წელი საქართველოსათვის უმძიმესი

აღმოჩნდა. 1988-1993 წლებში საქართველო დამარცხდა ორ სეპარატისტულ რეგიონთან მიმდინარე ომებში, გარდა ამისა, იყო ძალაუფლებისათვის დაუნდობელი ბრძოლა თბილისში. წინამდებარე ნაშრომის შემდგომ ნაწილში მოცემულია მოვლენათა ამგვარი განვითარების ახსნა-განმარტება.

ქართველების, აფხაზებისა და ოსების ეთნოეროვნული მობილიზაციის ისტორია სამ მნიშვნელოვან საკითხს წამოჭრის: პირველ რიგში, ამ სამი ჯგუფის მობილიზაცია ურთიერთდამოკიდებულ პროცესს წარმოადგენდა, სადაც ყოველ ქმედებას უკუქმედება მოჰყვებოდა. შიდასაზოგადოებრივი ორგანიზებული ძალადობა სპირალის მხოლოდ ბოლო იყო. დიდი ხნის განმავლობაში ეთნოეროვნული საკითხების განსჯა მხოლოდ სიტყვების ომს წარმოადგენდა. შემდგომ ამას კანონმდებლობათა ომი მოჰყვა: 1989 წლიდან და შემდგომ პერიოდში გამოცოცხლებულმა საბჭოთა საკანონმდებლო ორგანოებმა ეროვნული იდეები კანონებსა და განცხადებებში გადაიყვანეს, სადაც სახელმწიფოს მეთაურები სუვერენიტეტს აცხადებდნენ. აფხაზეთის ორ სხვადასხვა ეთნიკურ ჯგუფს შორის არსებული დაპირისპირება ძალისმიერ კონფლიქტში მხოლოდ გარე ძალების ინტერვენციის შედეგად გადაიზარდა.

მეორე, აღსანიშნავია, რომ ეროვნული პროგრამები ძალიან სწრაფად მიიღო საქართველოს, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის კომუნისტურმა ნომენკლატურამ და შემდეგ ისინი საბჭოთა სისტემის პოლიტიკურ ინსტიტუტებში შეიტანა. ამ სამივე სახელმწიფოში საბჭოთა კანონმდებლებმა ეროვნული სუვერენიტეტი თუ დამოუკიდებლობა კანონმდებლობით განამტკიცეს. მას შემდეგ, რაც კომუნისტური პარტიის მესვეურებმა ნაციონალური მოძრაობის ხელმძღვანელებს გადასცეს პარტიისა და სახელმწიფოს მობილიზების პოტენციალი, მობილიზაციის პროცესი საგრძნობლად დაჩქარდა.

მესამე, ორგანიზებული ძალადობა გაცილებით გვიან დაიწყო, ვიდრე ნაციონალისტური მობილიზაცია. ზვიად გამსახურდიას მიერ ეროვნულ გრძნობებზე აპელირება საკუთარი ძალაუფლების განმტკიცების მიზნით სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში ორგანიზებული ძალადობის წარმოშობის მიზეზი გახდა – მან გასაქანი მისცა ახლადშექმნილ ეროვნულ გვარდიას, რომელიც გამორჩენის მძებნელ

მეთაურთა დაქვემდებარებაში მყოფ არაოფიციალურ ფორმირებას წარმოადგენდა. მოგვიანებით ამ გასამხედროებული ჯგუფების გაკონტროლება შეუძლებელი შეიქნა. სახელმწიფო კონტროლს დაუქვემდებარებელ გასამხედროებულ ჯგუფებს უკავშირდება ორგანიზებული ძალადობის ესკალაცია საქართველოს სხვა ომებშიც.

საბჭოთა ეთნოფედერალიზმის მექანიზმი

მობილიზაციის ზემოაღწერილი პროცესი აშკარად განაპირობა საბჭოთა ფედერალური სისტემის ინსტიტუტებმა. ოსები და აფხაზები საქართველოში არც ერთადერთ და არც ყველაზე დიდი რაოდენობის ეროვნულ უმცირესობას არ წარმოადგენდნენ. 1989 წელს სომხები საქართველოს მოსახლეობის 8 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო აზერბაიჯანელები – 5.7 პროცენტს. ორივე ჯგუფის წარმომადგენლები შედარებით კომპაქტურად იყვნენ დასახლებული სამხრეთ საქართველოს რეგიონებში, სომხეთისა და აზერბაიჯანის საზღვრების გასწვრივ. ფაქტორების ეს კომპლექსი ქმნის "ტრიადულ გარემოს", რომელსაც როჯერ ბრუბეიკერი განსაკუთრებით სარისკოდ მიიჩნევს[13]. ეთნოპოლიტიკური კონფლიქტების აღმოცენების მეტი ალბათობაა მაშინ, როდესაც ნაციონალისტურ სახელმწიფოში ეთნიკური უმცირესობის კომპაქტურად დასახლებულ ჯგუფს მეზობელ ქვეყანაში "უფროსი ეთნიკური ძმა" ჰყავს. ხორვატიასა და, განსაკუთრებით კი, ბოსნია-ჰერცეგოვინაში წარმოებულმა ომებმა აშკარად გვიჩვენა, თუ რამდენად ფეთქებადია ასეთი მეზობლობა. საქართველოში მცხოვრებ სომხებსა და აზერბაიჯანელებს მობილიზაცია არ დაუწყიათ და, ოსებისა და აფხაზებისაგან განსხვავებით, არც სეპარატისტული ტენდენციები გამოუვლენიათ. ამ განსხვავების მთავარი მიზეზი ისაა, რომ აფხაზებსა და ოსებს საკუთარი ავტონომია გააჩნდათ, ჰქონდათ პოლიტიკური ინსტიტუტები და სიმბოლიკა, რამაც ხელი შეუწყო მათ მობილიზაციასა და გამოყოფას. სომხებსა და აზერბაიჯანელებს კი საქართველოს შემადგენლობაში არც ავტონო-

[13] Rogers Brubaker, *Nationalism Reframed: Nationhood and the National Question in the New Europe* (Cambridge: Cambridge University Press, 1996), pp.55-76.

მიური ოლქი და არც ავტონომიური რესპუბლიკა არ ჰქონიათ. ასე რომ, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი საუკეთესო მაგალითია საბჭოთა ეთნოფედერალიზმში[14] ჩადებული შენელებული მოქმედების ნაღმისა.

შემდეგი სამი ფაქტორით აიხსნება ის, თუ რატომ შეუწყო ხელი ავტონომიურ რეგიონებში მობილიზაციასა და სეპარატიზმს საბჭოთა ეთნოფედერალიზმმა. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ საქართველოს მიერ დამოუკიდებლობისათვის გადადგმულმა ნაბიჯებმა საფრთხის წინაშე დააყენა ის დიდი პრივილეგიები, რომლებიც საბჭოთა კავშირის ავტონომიური ოლქების რჩეულ ერებს გააჩნდათ. ეს განსაკუთრებით ნათლად აფხაზეთის შემთხვევაში გამოჩნდა. საბჭოთა პერიოდის დრამატული დემოგრაფიული ცვლილებების შედეგად აფხაზები 1989 წელს აფხაზეთის მთელი მოსახლეობის მხოლოდ 17.8 პროცენტს შეადგენდნენ, ხოლო ქართველები კი – 45.7 პროცენტს, მაგრამ იმ დროს აფხაზური ელიტისათვის არაპროპორციულად ფართოდ ხელმისაწვდომი იყო პოლიტიკური და ეკონომიკური რესურსები, რადგანაც ყველა მთავარი ბიუროკრატიული თანამდებობა აფხაზებს ეკავათ.[15] მოსკოვის თანდათანობითი დასუსტება, პოლიტიკურ ზედამხედველობასა და საკუთრების უფლებებზე კონტროლის დაკარგვა სისტემას ნგრევით ემუქრებოდა, რაცაფხაზებს პრივილეგირებულ მდგომარეობას აკარგვინებდა.

ასე რომ, ორივე ჯგუფმა მობილიზაცია ახალი გარემოებების საპასუხოდ დაიწყო: ქართველები იმედოვნებდნენ, რომ შეძლებდნენ თავიანთი რიცხობრივი უპირატესობის გამოყენებას და მიზნად ისახავდნენ, დაენგრიათ სისტემა, რომლითაც აფხაზებს რესურსებზე არაპროპორციულად ფართოდ მიუწვდებოდათ ხელი. მოსკოვის დახმარების იმედის მქონე აფხაზებს კი სურდათ სტატუს-კვოს

[14] ის ფაქტი, რომ საქართველოში მცხოვრებმა სომხებმა მობილიზაცია არ წამოიწყეს, შეიძლება აიხსნას აგრეთვე სომხების თავდაცვითი რეაქციით. სომხეთის ლიდერებმა საქართველოში მცხოვრები სომხური დიასპორის ლიდერებთან ერთად შეძლეს ასეთი მობილიზაციის თავიდან აცილება. ყველანაირი ამგვარი მობილიზაცია ერთმნიშვნელოვნად არასასურველი იყო სომხეთისათვის, რომელიც უკვე იყო ჩართული მთიანი ყარაბაღის კონფლიქტში. ასეთ ახსნას ხშირად ვერ შეხვდებით ლიტერატურაში, მაგრამ ამ რეგიონში გადაწყვეტილებების მიმღები პირები ხშირად წამოწევდნენ ხოლმე წინ ამ საკითხს ნაშრომის ავტორთან საუბრისას (ივლისი, 2002 წ.).

[15] Derluguian, ,,The Tale of Two Resorts", p..262

შენარჩუნება და, მეტიც, თავიანთი პოლიტიკური პოზიციების გაუმჯობესებაც კი. ამ სიტუაციის გათვალისწინებით, სავარაუდო იყო, რომ აფხაზები შეეცდებოდნენ, თავიანთი ავტონომიური რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის პირდაპირ დაქვემდებარებაში შეეყვანათ. დამოუკიდებლობის მოთხოვნა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ გაჩნდა, რადგან ამ დროს აფხაზებმა პოტენციური თავშესაფარი დაკარგეს. რაც შეეხება საქართველოს ეროვნულ მოძრაობას, მათთვის აფხაზების მოსკოვისადმი ერთგულება, რომელიც თავდაპირველად მხოლოდ ეკონომიკური ინტერესებით იყო გამოწვეული, საბჭოთა იმპერიისადმი მათ სამსახურს ადასტურებდა. ასე რომ, რესურსების გამო აღმოცენებული კონფლიქტი ეთნიკურ კონფლიქტად გარდაიქმნა, რამაც, თავის მხრივ, მობილიზაციას შეუწყო ხელი.

მეორე, სეპარატიზმის მხარდასაჭერად მიმართულ მობილიზაციას ხელს უწყობდა ის ფაქტიც, რომ ავტონომიური წარმონაქმნების შიგნით არსებულ ჯგუფებს, საკუთარი ტერიტორიის არმქონე ნაციონალური ჯგუფებისაგან განსხვავებით, გააჩნდათ საკუთარი პოლიტიკური ინსტიტუტები, რომლითაც სარგებლობდა პოლიტიკური ელიტა. საბჭოთა პოლიტიკური სისტემის კრიზისის პირობებში აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ეროვნული მოძრაობები სწრაფად ძლიერდებოდა. ორივე ტერიტორიაზე ნაციონალურ ელიტებს შორის მიმდინარეობდა დაუნდობელი კონკურენცია ადგილობრივ სახელმწიფო სტრუქტურებზე კონტროლის დასამყარებლად. კომუნისტური პარტიის ოფიციალური პირები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გამართულ მიტინგებში მონაწილეობდნენ და სახელმწიფო და პარტიულ რესურსებს განსაკარგავად ეროვნულ მოძრაობებს გადასცემდნენ. შესაბამისად, აფხაზური და ოსური ელიტები წარმოადგენდა ეროვნული ინტელიგენციისა და კომუნისტი თანამდებობის პირების "პერსონალურ კავშირს". ორივე შემთხვევაში სეპარატისტული მოძრაობები სწრაფად გავრცელდა საკანონმდებლო ორგანოებშიც (საბჭოებში). სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის საბჭოები მუდმივად მიმართავდნენ მოსკოვს მათი საბჭოთა ცენტრისადმი უშუალო დაქვემდებარების მოთხოვნით. ორივე საკანონმდებლო ორგანო თავიდან საბჭოთა პროცედურებს მიმართავდა და ამით გარკვეულ ფორმალურ ლეგიტიმურობას აღწევდა, რისი გაპროტესტებაც უჭირდა თბილისში მყოფ მთავრობას, განსა-

კუთრებით კი მაშინ, როდესაც საქართველოს უკვე თვითონ ჰქონდა შეწყვეტილი საბჭოთა კანონების მიხედვით თამაში.

მესამე, ცენტრალური საბჭოთა მთავრობა ზოგჯერ გამიზნულად, ზოგჯერ კი უნებლიეთაც ხელს უწყობდა სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეულების სეპარატისტულ განწყობას. სტალინის ეპოქიდან წამოსული საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის ძირეული ელემენტი იყო პრინციპი: "დაყავი და იბატონე". ზოგიერთ შემთხვევაში მოკავშირე რესპუბლიკების შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეულები ამავე რესპუბ-ლიკების ერთა ნაციონალისტური სურვილების დასაბალანსებლად გამოიყენებოდა. დაქვემდებარებულ ავტონომიათა რჩეულმა ერებმა განსაკუთრებული სარგებელი მიიღეს ამგვარი მდგომარეობის გამო – მათ შეუსაბამოდ ფართოდ მიუწვდებოდათ ხელი ყოველგვარ რესურსზე, ყოველ შემთხვევაში იქამდე, ვიდრე კითხვის ნიშნის ქვეშ არ დადგებოდა მათი მოსკოვისადმი ერთგულება. "პერესტროიკის" გვიანდელ პერიოდში მოსკოვი ამგვარ პრაქტიკას კვლავ დაუბრუნდა და სამხრეთ ოსეთსაც და აფხაზეთსაც ფართო პოლიტიკურ დახმა-რებას უწევდა საქართველოს წინააღმდეგ; საბრძოლო მოქმედებების დაწყების შემდეგ ამ დახმარებას სამხედრო ხასიათიც მიეცა. თავისი ორი საბრძოლო მარცხის ასახსნელად ქართული მხარე ხშირად აზვიადებს ამ დახმარებას. საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე სამხრეთ ოსეთშიც და აფხაზეთშიც აშკარად გადაჭარბებული წარმოდგენა ჰქონდათ მოსკოვის ხელთ არსებული ზეწოლის რეალური ბერკეტების შესახებ. არასწორმა შეფასებებმა, ეჭვგარეშეა, განაპირობა სეპარატისტების სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბებაც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში.

პოსტკომუნისტური ელიტის შიდა დაქსაქსულობა

ეთნონაციონალურ მობილიზაციასა და საბჭოთა ეთნოფე-დერალიზმის ინსტიტუტებთან ერთად ორგანიზებულ ძალადობას ახალი ქართული ელიტის დაქსაქსულობაც უკვალავდა გზას, რაც ახლადმოპოვებული დამოუკიდებლობის განმტკიცებას უშლიდა

ხელს.[16] ეს სახელმწიფოებრივი სისუსტე და მმართველ სტრუქტურებში არსებული დაპირისპირება გარკვეული ინსტიტუციონალური მიზეზებით აიხსნება და დამახასიათებელია მთელი კავკასიისათვის, განსაკუთრებით კი ნიშანდობლივია საქართველოსთვის.

საქართველოს სახელმწიფოს სისუსტე გარდამავალი პოსტკომუნისტური ეპოქის შედეგი არ ყოფილა. ეს სისუსტე უფრო ადრე წარმოიშვა, როგორც საბჭოთა სისტემის ინსტიტუციონალური მემკვიდრეობა. კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში არსებული პროტექციონიზმისა და კლიენტელიზმის ქსელი ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურ არაფორმალურ ინსტიტუტს წარმოადგენდა საბჭოთა პერიოდში და იგი საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც შენარჩუნდა.[17] სამხრეთ კავკასიის პრობლემებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ჯერალდ ისტერი აღწერს, თუ როგორ ცდილობდა სტალინის დროიდან მოყოლებული საბჭოთა სახელმწიფო საკუთარი მმართველობის სიმტკიცის უზრუნველსაყოფად ადგილობრივი პროტექციული სისტემის გამოყენებას.[18] ამის შედეგად მიღებული სოციალისტური სახელმწიფოებრიობის სისუსტე კომპენსირდებოდა პერსონიფიცირებული მმართველობით. საბჭოთა ეკონომიკის გადამანაწილებელი გიგანტური მექანიზმი იმ ნაყოფიერ ნიადაგს ქმნიდა, რომელზეც კარგად ხარობდა პროტექციონიზმის სისტემა; ამიტომ არცაა გასაკვირი, რომ ეს სისტემა საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგაც შენარჩუნდა.

ახალმა ქართველმა ნაციონალისტებმა ვერ შეძლეს პირად ნდობაზე დამყარებული პროტექციონიზმის ღრმად ფესვგამდგარი სისტემის უფრო თანამედროვე, არაპირადულზე დაფუძნებული სახელმწიფო ბიუროკრატიის ჩამოყალიბება.[19] საქართველოში

---

[16] Jones, “Georgia: A Failed Democratic Transition, “pp. 288-310.

[17] Pavel K. Baev, “Civil Wars in Georgia: Corruption Breeds Violence,” in Jan Koehler and Christoph Zürcher, eds., *Potentials of Dis/Order: Explaining Conflict and Stability in the Caucasus and in the Former Yugoslavia* (Manchester:
Manchester University Press, 2003), pp. 127–144; Zürcher, Koehler, and Baev, “Internal Violence in the Caucasus”; Derluguian, “The Tale of Two Resorts,” pp. 261–292.

[18] Gerald Easter, “Personal Networks and Post-Revolutionary State-Building:
Soviet Russia Reexamined,” *World Politics*, vol. 48 (1996), pp. 551–578.

[19] ეს არის ძირითადი თეზისი სტატიის: Barbara Christophe, “Bringing Culture Back into a Concept of Rationality: State–Society Relations and Conflict in Post-Socialist Transcaucasia,” in Koehler and Zürcher, *Potentials of Dis/Order,* 193–207.

აღზევებული ეროვნული მოძრაობა, რომელმაც ზვიად გამსახურდია ხელისუფლებაში მოიყვანა, შეეთვისა ამ კარგად ჩამოყალიბებულ და ღრმად ფესვგამდგარ სტრუქტურას, რომელიც კვლავაც აკონტროლებდა ყოველგვარ შესაძლებლობათა გადანაწილებას. ამას გარდა, საკანონმდებლო ორგანოში არ იყვნენ წარმოდგენილნი პროტექციონიზმის ქსელის გავლენიანი წარმომადგენლები, ძველი კადრები და ქალაქის ინტელიგენცია – ამის გამო პარლამენტს საკმაოდ მოაკლდა პოლიტიკური მხარდაჭერა. ამგვარად, გამოუცდელმა პარლამენტმა ვერ შეაჩერა სახელმწიფოს რღვევა, კერძოდ: მან ვერ შეძლო ძველი კადრებისა და მათი მფარველების ეკონომიკური და პოლიტიკური შესაძლებლობების მობილიზება.

პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიასა და მისი ახალი პარლამენტისათვის ეთნონაციონალური მობილიზაცია ძალაუფლების შენარჩუნების საშუალებას წარმოადგენდა, რასაც კატასტროფული შედეგები მოჰყვა. ნაციონალიზმი ზვიად გამსახურდიას ერთადერთი საყრდენი იყო. იგი ხელისუფლებაში ქუჩის ზეწოლისა და ეროვნულ-პატრიოტული ემოციების შედეგად მოვიდა. 1990 წლის შემოდგომის არჩევნებზე მან და მისმა კოალიციამ — "მრგვალი მაგიდა – თავისუფალი საქართველო" პარლამენტში 250 ადგილიდან 155 მოიპოვა. ეროვნულმა მოძრაობამ მას არჩევნებში გამარჯვება კი მოუტანა, მაგრამ სახელმწიფოს ერთიანობის უზრუნველყოფა ვერ შეძლო.

პოსტკომუნისტური პერიოდის სამივე კონფლიქტისას ორგანიზებული ძალადობის ზრდა პირდაპირ კავშირშია საქართველოს შიდა უთანხმოებასა და ჩამოუყალიბელ სახელმწიფოებრიობასთან. პირველი კონფლიქტი – საბრძოლო მოქმედებები სამხრეთ ოსეთში – იმ პატრიოტულ ძალთა კონსოლიდაციას მოჰყვა, რომელმაც დიდად შეუწყო ხელი ზვიად გამსახურდიას ხელისუფლებაში მოსვლას. ამ მოძრაობამ გამსახურდიას 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში ხმათა დიდი უმრავლესობით გაამარჯვებინა, მაგრამ სამხრეთ ოსეთის ომში გამარჯვება ვერ მოუტანა. მხოლოდ ნაციონალისტური რიტორიკით ომებს ვერც აწარმოებენ და ვერც იგებენ.

ზვიად გამსახურდიას გადასაყენებლად წამოწყებული საომარი მოქმედებაც შიდა უთანხმოებებისა და სუსტი სახელმწიფოებრიობის შედეგად დაიწყო. მიუხედავად იმისა, რომ საპრეზიდენტო არჩევ-

ნებზე ზვიად გამსახურდიამ გაიმარჯვა, ქართულ პოლიტიკურ არენაზე, განსაკუთრებით კი ეროვნული მოძრაობის შიგნით, არ წყდებოდა პირადი დაპირისპირება და ქიშპი. ზვიად გამსახურდია, როგორც პიროვნება, ვერ გამოდგებოდა უკვე გახლეჩილი ეროვნული მოძრაობის გამაერთიანებლად. იგი მტრებს ადვილად იძენდა, გარშემო კი უმეტესად ისეთი ხალხი ეხვია, რომელთა ერთადერთი ღირსებაც მისდამი ერთგულება იყო.[20] ამ პირობებში არცაა გასაკვირი, რომ პირად ამბიციებს აყოლილმა გახლეჩილმა ეროვნულმა მოძრაობამ გაერთიანება ვერ შეძლო. გამსახურდიამ ვერ დაიმორჩილა "ძალადობის სულისჩამდგმელნი". ეროვნული გვარდია ზვიად გამსახურდიას განუდგა და მის ჩამოსაგდებად დაიწყო მოქმედება.

და ბოლოს, აფხაზეთში 1992 წელს დაწყებული ომიც შედეგი იყო ედუარდ შევარდნაძის საქართველოში ჩამოსვლის შემდგომი დაპირისპირებებისა და გაუმართავი სახელმწიფოებრიობისა. იმდროინდელი გარემოებებიდან გამომდინარე, ეროვნული გვარდიის აფხაზეთში შეჭრა დარბევის მსურველ კერძო ჯარის მანევრს ჰგავდა.[21]

ზვიად გამსახურდიას დამარცხების მიზეზები გასაგები გახდება, თუ დავაკვირდებით, რა აუჩქარებლად და ოსტატურად აძლიერებდა ედუარდ შევარდნაძე თავის ძალაუფლებას, მიუხედავად საქართველოს ტერიტორიის მნიშვნელოვან ნაწილზე კონტროლის დაკარგვისა და როგორ აკოწიწებდა იგი საქართველოს სახელმწიფოებრიობას 1992-1995 წლებში. ედუარდ შევარდნაძემ თავისი უდიდესი პირადი ავტორიტეტით, დასავლეთიდან სახსრების მოზიდვის უნარითა და შუამავლობის ნიჭით შეძლო სიცოცხლისუნარიანი კავშირის შექმნა, რომელშიც შედიოდნენ ყოფილი ფუნქციონერები, პროტექციონიზმის სისტემის გავლენიანი პირები და ეროვნული მოძრაობის ცალკეული ერთეულები. აფხაზეთში დამარცხების შემდეგ ედუარდ შევარდნაძე დამორჩილდა მოსკოვის ძლიერ ზეწოლას და საქართველოს დსთ-ის შემადგენლობაში შესვლაზე თანხმობა განაცხადა. კმაყოფილების ნიშნად მოსკოვი მას გამსა-

[20] Suzanne Goldenberg, *Pride of Small Nations: The Caucasus and Post-Soviet Disorder* (London: Zed Books, 1994), p. 92.

[21] Zürcher, Koehler, and Baev, "Internal Violence in the Caucasus"; Baev, "Civil Wars in Georgia," pp. 127–145.

ხურდიას მომხრეთა გამოსვლების ჩახშობაში დაეხმარა. ამის შემდეგ კი შევარდნაძემ ძალადობის ორი მთავარი სულისჩამდგმელის – კიტოვანისა და იოსელიანის იზოლირებაც მოახერხა.

ნაციონალიზმმა სახელმწიფოებრიობის განმტკიცება საქართველოსა და პოსტსაბჭოთა სივრცის სხვა ქვეყნებში ვერ შეძლო; ეს მხოლოდ სომხეთსა და ბალტიისპირეთის ქვეყნებში გახდა შესაძლებელი. სომხეთმა თავისი სახელმწიფოებრიობა სამხედრო ნაციონალიზმის მეშვეობით დაამკვიდრა, რომელიც უდიდეს საფრთხესთან იყო დაკავშირებული. ჩეჩნეთში ჩეჩნურმა ნაციონალურმა მოძრაობამ კი, არათუ სახელმწიფოებრიობა ვერ ჩამოაყალიბა, არამედ ქვეყანა ანარქიამდეც კი მიიყვანა, რამაც გზა მისცა 1994 წლის კატასტროფულ რუსულ სამხედრო კამპანიას. თავისი პოზიციების შეჯერება ვერც აზერბაიჯანის ნაციონალ-დემოკრატებმა შეძლეს.

სახელმწიფოებრიობის სისუსტე და ძალადობის სულისჩამდგმელნი[22]

პოსტკომუნისტურ გარდამავალ პერიოდში საქართველოში მომხდარი ორგანიზებული ძალადობის ბევრ შემთხვევაში ძალადობის სულისჩამდგმელნი უკვე ნანგრევებად ქცეული სახელმწიფოს ნარჩენ შესაძლებლობებს იყენებდნენ. ამ ადამიანთა უმრავლესობა წარსულში სახელმწიფო პოსტებზე იყო დანიშნული იმ ელიტის მიერ, რომელსაც თავისი პოლიტიკური მიზნების მისაღწევად ძალა ესაჭიროებოდა. ქართული ომების ყველაზე დამახასიათებელი ნიშანი იყო ზღვრის მოშლა სახელმწიფო და კერძო ძალადობას შორის, ამიტომ საჭიროა, გავარკვიოთ, თუ რას შეიძლება ეწოდოს "სახელმწიფოს პრივატიზაცია" და "კერძო საქმიანობის სახელმწიფო ორგანოებად გარდაქმნის" ორმაგი პროცესი.

საქართველოში მოქმედებდა ორი უდიდესი ორგანიზებული ჯგუფი, რომელსაც ძალის გამოყენების საშუალება ჰქონდა — ეს იყო "მხედრიონი" და ეროვნული გვარდია. "მხედრიონი" იყო თბილისის

[22] ეს ნაწილი დაფუძნებულია ნაშრომზე: Zürcher, Koehler, and Baev, "Internal Violence in the Caucasus."

კრიმინალური დაჯგუფებებისა და ახალგაზრდული ბანდების ამორფული ერთობა, რომელიც 1989 წელს საბჭოთა პერიოდის დამნაშავეთა სამყაროს მფარველმა, ჯაბა იოსელიანმა შექმნა. ფინანსების მოსაპოვებლად ეს დაჯგუფება კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდა – მათ შორის რეკეტსა და გამოძალვასაც. 1992 წელს მან შეძლო შემოსავლიან სფეროებზე თავისი კონტროლის დაწესება, მაგალითად, ბენზინით ვაჭრობაზე.[23] "მხედრიონს" თავი საქართველოს დამცველ პატრიოტულ საზოგადოებად მიაჩნდა, მისი წევრები ფართოდ იყენებდნენ პატრიოტულ და რელიგიურ სიმბოლიკას. ბევრი მათგანი მკერდზე ატარებდა მედალიონს წმინდა გიორგის გამოსახულებით. პრინციპში, "მხედრიონი" იყო წარმატებული საქმოსან-პატრიოტთა შეიარაღებული შენაერთი, რომლებმაც თავიანთი კერძო ჯარი სახელმწიფო სამსახურში ჩააყენეს დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი ნაციონალური უმცირესობების წინააღმდეგ ომის დროს.

ეროვნული გვარდია 1990 წლის ნოემბერში შეიქმნა და იგი ქართული ჯარის ბირთვი უნდა გამხდარიყო. იმის გამო, რომ ამ დროს ჯერ კიდევ არ არსებობდა ქართული სახელმწიფო, ჯარის დაკომპლექტება და მისი შეიარაღება თითქმის მთლიანად კერძო პირების მიერ ხდებოდა. გვარდია სახელმწიფოს თითქმის არარსებული ბიუჯეტიდან და შავი ბაზრის წარმატებულ პირთა შემოწირულობებით ფინანსდებოდა. გვარდიის მეთაურად და თავდაცვის მინისტრად გამსახურდიას ახლო მეგობარი და თანამებრძოლი თენგიზ კიტოვანი დაინიშნა. მას არც სამხედრო მომზადება ჰქონდა და არც შესაბამისი გამოცდილება, სამაგიეროდ, იგი ფინანსების კარგი მშოვნელი გამოდგა.

ეროვნულმა გვარდიამაც და "მხედრიონმაც" შეიარაღება საბჭოთა (შემდგომში კი, რუსეთის) ჯარისაგან მიიღო – ფაქტობრივად, იმ სახელმწიფოს ჯარისაგან, რომელიც, ქართველი ნაციონალისტების აზრით, გამიზნულად აფერხებდა საქართველოს დამოუკიდებლობას. 1992 წლის ივლისში, იმ პერიოდში, როდესაც საბჭოთა ჯარი სწრაფად იშლებოდა, ამ გასამხედროებულმა ფორმირებებმა საბჭოთა არსე-

[23] Georgii Nizharadze, "The Institutional Framework of Caucasian and Central Asian Transitional Societies: Georgia, Abkhazia, and South-Ossetia," *The Economics of Political and Common Violence* (Tbilisi: World Bank Development Economic Research Group, 2002), typescript.

ნალიდან 50 ტანკი მიიღეს.[24] ტანკების მიღებიდან ერთ თვეში კიტოვანმა აფხაზური კამპანია წამოიწყო.

არც ერთი ამ ჯგუფთაგანი სახელმწიფო კონტროლს არ ექვემდებარებოდა. ჯაბა იოსელიანის "მხედრიონი" პრეზიდენტ ზვიად გამსახურდიას დაარსების დღიდანვე უპირისპირდებოდა, მოგვიანებით ეროვნული გვარდიაც შეეწინააღმდეგა სახელმწიფო სტრუქტურებში ინტეგრაციას და უარი თქვა პრეზიდენტისადმი ერთგულების ფიცის დადებაზე. 1991 წლის შემოდგომაზე კიტოვანმა და ეროვნულმა გვარდიამ პრეზიდენტს ზურგი შეაქციეს და ამით გამსახურდიას ბედი უკვე გადაწყვეტილი აღმოჩნდა.

თბილისში ძალაუფლების მოსაპოვებლად გაჩაღებული ბრძოლა სწრაფად განვითარდა და პრეზიდენტ გამსახურდიას ქვეყნიდან გაძევებით დასრულდა. მიუხედავად იმისა, რომ საბრძოლო მოქმედებებში 500-ზე მეტი კაცი არ მონაწილეობდა, სამოქალაქო ომის ეს ძალადობა ნამდვილად იყო გასამხედროებული ჯგუფის მიერ ორგანიზებულ სახელმწიფო გადატრიალება. გადატრიალების წარმატებით დასრულების შემდეგ ორივე დაჯგუფებამ გადაინაწილა გავლენის სფეროები: "მხედრიონმა" შეინარჩუნა კონტროლი ბენზინითა და სიგარეტებით ვაჭრობაზე, ხოლო ეროვნული გვარდია სულ უფრო მეტად ჩაეფლო იარაღით ვაჭრობაში. 1992 წლის მარტში საქართველოში დაბრუნებულმა ედუარდ შევარდნაძემ, რომელსაც საოცრად სჭირდებოდა თანამდგომები, "მხედრიონს" მიანიჭა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უსაფრთხოების ძალების

[24] 1992 წლის 15 მაისს აზერბაიჯანის რესპუბლიკამ, სომხეთის რესპუბლიკამ, ბელორუსის რესპუბლიკამ, ყაზახეთის რესპუბლიკამ, მოლდოვას რესპუბლიკამ, რუსეთის ფედერაციამ, უკრაინამ და საქართველოს რესპუბლიკამ, როგორც საბჭოთა კავშირის მემკვიდრე-სახელმწიფოებმა, ხელი მოაწერეს ე.წ. ტაშკენტის ხელშეკრულებას, რომლის მიხედვით ხელმომწერ ქვეყნებს ჰქონდათ საკუთარი ჯარის შექმნის უფლება, რომელიც შესაბამის სამინისტროებს დაექვემდებარებოდა; ხოლო მინისტრებსა და სახელმწიფოს მეთაურებს კი პატივი უნდა ეცათ ევროპის ტრადიციული შეიარაღების ხელშეკრულებით (CFE) გათვალისწინებული ჩვეულებრივი შეიარაღებისათვის დადგენილი ზედა ზღვრისათვის. ტაშკენტის ხელშეკრულებით, საქართველოს საბჭოთა არმიის საწყობებიდან 100 ტანკი და 200 ჯავშან-საბრძოლო მანქანა გადაეცა; საქართველომ იგნორირება გაუკეთა გადაცემის იმ პირობას, რომლის თანახმადაც იკრძალებოდა ამ შეიარაღების შიდა კონფლიქტებში გამოყენება.

სტატუსი და იგი საბჭოთა არსენალში არსებული იარაღით აღჭურვა. "მხედრიონის" ერთ-ერთი ლიდერი, თემურ ხაჩიშვილი, შინაგან საქმეთა მინისტრი გახდა. ეროვნული გვარდიის ლიდერმა თენგიზ კიტოვანმა თავდაცვის მინისტრის პოსტი შეინარჩუნა. შევარდნაძემ "მხედრიონს" გამსახურდიას მომხრეების წინააღმდეგ ბრძოლა დაავალა დასავლეთ საქართველოში. ამ საბრძოლო კამპანიას უფრო ძარცვა-რბევის სახე ჰქონდა. ამ ბრძოლაში მოხალისეების ჩართვის მიზნით ჯაბა იოსელიანმა და "მხედრიონის" მებრძოლებმა ტელევიზიით განცხადება გააკეთეს, რის შემდეგაც მათ მოხალისე "შაბათკვირის" მებრძოლებიც შეუერთდნენ. ისინი ჩვეულებრივ სამეზობლოსაგან შემდგარ პატარა-პატარა ჯგუფებში ერთიანდებოდნენ, რომელთაც "მხედრიონის" პუნქტებში იარაღს ურიგებდნენ. სამოქალაქო ომის ეს ნაწილი დასავლეთ საქართველოში ბევრად უფრო სისხლისმღვრელი აღმოჩნდა თბილისში მომხდარ გადატრიალებასთან შედარებით. საბრძოლო მოქმედებების თითოეულ მხარეს დაახლოებით 3000 მებრძოლი მონაწილეობდა, აქედან 2000-მდე დაღუპულად ითვლება.

სამხრეთ ოსეთში ძალადობრივი ქმედებებისათვის აქტიური მზადება 1990-იანი წლებიდან დაიწყო. 1990 წლის ბოლოსათვის ოსებს თავიანთ განკარგულებაში 4000 – 5000 კაცი ჰყავდათ, მათგან დიდი უმრავლესობა სახალხო ლაშქრის წევრი იყო.[25] იარაღს ისინი უმთავრესად ცხინვალში განლაგებულ შვეულმფრენების საბჭოთა პოლკში შოულობდნენ. ამ პოლკში მომსახურე ჯარისკაცებისა და ოფიცრების უმრავლესობა ეთნიკურ ოსებს წარმოადგენდა და მათი დიდი რაოდენობა ამ ბრძოლების მონაწილე გახლდათ. ამ საბრძოლო მოქმედებებში მონაწილე ოსური მხარე მეტწილად ჩრდილოეთ ოსეთიდან (რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური რესპუბლიკა, რომელიც სამხრეთ ოსეთზე ბევრად მდიდარია) შემოსული შემოწირულობებით ფინანსდებოდა.[26]

შეტაკებების პიკის დროს ქართველების წინააღმდეგ ჩრდილოეთ ოსეთიდან ჩამოსული რამდენიმე ასეული მოხალისე იბრძოდა.

[25] Nizharadze, "The Institutional Framework of Caucasian and Central Asian Transiitional Societies.

[26] Zurcher, Koehler, and Baev, "Internal Violence in the Caucasus".

სამხრეთ ოსეთის ომის მონაწილე ორივე მხარეს არაორგანიზებული გასამხედროებული ფორმირებები იბრძოდნენ; მათ არ გააჩნდათ ერთიანი სამეთაურო სტრუქტურები, ბრძოლებში დროს კი მხოლოდ მსუბუქ შეიარაღებას იყენებდნენ. ოსური დანაყოფები ძალებს ძირითადად ადგილობრივი მოსახლეობის ხარჯზე იკრებდნენ, ხოლო ქართულ დანაყოფებში უმთავრესად სამხრეთ ოსეთის ქართული მოსახლეობა მონაწილეობდა. თავდაპირველად ქართველების მხარეზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები და ეროვნული გვარდიის ჯარისკაცები იბრძოდნენ. საბრძოლო მოქმედებების დასრულებისათვის ამ ომში მთელი რიგი პატრიოტული სულის-კვეთებით გამსჭვალული ჯგუფები ჩაერთნენ. "თეთრი შევარდნები", "მერაბ კოსტავას საზოგადოება," "მხედრიონი" და "საქართველოს ეროვნული ფრონტი" ამ ომში დაქირავებულ პირთაგან შემდგარ არაორგანიზებულ ჯგუფებს აგზავნიდნენ, რომლებიც ხშირად მშვიდობიან მოსახლეობას ესხმოდნენ თავს და მძევლებადაც კი აჰყავდათ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მსხვერპლის შესახებ არსებობს ძალზე მწირი და წინააღმდეგობრივი მონაცემები. ქართული წყაროების ცნობით, ორივე მხარემ დაახლოებით 500-600 ადამიანი დაკარგა.[27] 1990-1992 წლებში ოლქის ტერიტორია ეტაპობრივად დატოვა დაახლოებით 12000 ქართველმა (სამხრეთ ოსეთის მთლიანი მოსახლეობა დაახლოებით 30000 ადამიანს შეადგენს). იმავდრო-ულად, საქართველოში მცხოვრები ოსი ეროვნების დაახლოებით 30000 ადამიანი ჩრდილოეთ ოსეთში გადავიდა საცხოვრებლად ზვიად გამსახურდიას ნაციონალისტური რეჟიმის მიერ მათ წინააღმდეგ განხორციელებული დევნის გამო.

1992 წლის აგვისტოში თენგიზ კიტოვანის ეროვნულმა გვარდიამ, ედუარდ შევარდნაძის მხარდაჭერით, აფხაზეთის სამხედრო კამპანია წამოიწყო. ეროვნული გვარდიის 5000 წევრი აფხაზეთში შეიჭრა, 1000 ჯარისკაცი გაგრის პორტში გადაისროლეს რუსეთში მიმავალი გზის გადასაკეტად. გუდაუთაში გაქცეულმა აფხაზეთის მთავრობამ საყოველთაო მობილიზაცია გამოაცხადა. აფხაზეთის

[27] Nizharadze, "The Institutional Framework of Caucasian and Central Asian Transitional Societies." Other sources speak of 3,000 casualties on the Ossetian side (see www.geocities.com/vienna/strasse/5262/South.html).

ეროვნულმა გვარდიამ, რომელსაც იმ დროს 1000 ჯარისკაცი ჰყავდა და ძირითადად მსუბუქი შეიარაღებით იყო აღჭურვილი, პოზიციები მდინარე გუმისთას ნაპირის გასწვრივ, რუსეთის სამხედრო-საჰაერო ბაზის მახლობლად, დაიკავა. აფხაზებს ჩრდილოეთ კავკასიიდან მთის ბილიკებით ჩამოსული ასობით მოხალისე შეუერთდა. თითქმის მთელ იარაღს ისინი ჩეჩნეთიდან იღებდნენ. საბრძოლო მოქმედებებში ამ მოხალისეთა ჩართვაში მთავარი როლი კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაციამ ითამაშა. ეს პანნაციონალისტური მოძრაობა 1989 წელს დაარსდა ადიღეი-ყარაჩაი-ჩერქეზეთის (ჩრდილოეთ კავკასიაში რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ოლქები) და აფხაზეთის აქტივისტების მიერ. 1990-იანი წლების დასაწყისში კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაცია მეამბოხე პოლიტიკურ მოძრაობად გადაიქცა, რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობას ითხოვდა. მიუხედავად იმისა, რომ რუსეთისაგან გამოყოფა მიუღწეველ ოცნებად რჩებოდა, კონ-ფედერაციამ მაინც შეძლო მოხალისე სამხედრო ძალების ჩამო-ყალიბება, რომლებმაც აფხაზეთის ომში საკმაოდ მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს. მოგვიანებით, 1994 წელს, ამ ძალების ერთმა ნაწილმა ჩეჩნეთის წინააღმდეგობის ფრონტის ბირთვი შეადგინა.[28]

რიცხობრივ უმცირესობაში მყოფ აფხაზებს რუსეთის ჯარი დაეხმარა. ოფიციალურად რუსეთი აფხაზეთის საკითხის მშვიდობიანი გადაწყვეტის გზებს ეძებდა და ომში არ მონაწილეობდა, მაგრამ მისი პოლიტიკა, რომელიც პრინციპს – "დაყავი და იბატონე" ეფუძნებოდა, გულისხმობდა კონფლიქტის მონაწილე ორივე მხარისათვის სამხედ-რო დახმარების გაწევას; მაგრამ კონფლიქტის პერიოდში ამ დახმარებას აფხაზები სულ უფრო მეტად და მეტად იღებდნენ. აფხაზეთის ეროვნული გვარდია სოხუმში განლაგებული რუსეთის ჯარის ბატალიონისაგან იარაღით მარაგდებოდა, ხოლო რუსი ინსტრუქტორები მოხალისეების მოსამზადებელ ბანაკებს ხელმძღვა-ნელობდნენ.[29] გარდა ამისა, რუსეთი აფხაზების ფრონტის ზურგსაც

[28] 1992 წლის ოქტომბერში ამ ორგანიზაციამ სახელწოდება შეიცვალა — მას კავკასიის ხალხთა კონფედერაცია დაერქვა.

[29] Nizharadze, "The Institutional Framework of Caucasian and Central Asian Transitional Societies."

ამაგრებდა და აფხაზეთში განლაგებული საჰაერო ბაზიდან განხორციელებული ცალკეული საჰაერო დარტყმებითაც ეხმარებოდა მათ. ერთი წლის განმავლობაში ჩრდილოეთ კავკასიიდან და რუსეთიდან შემოსული დახმარების წყალობით დღითიდღე იზრდებოდა აფხაზების ბრძოლისუნარიანობა, რასაც ვერ ვიტყვით ქართველებზე. "ბოევიკებისა" და მძარცველებისაგან შემდგარმა ქართულმა არმიამ დაშლა იწყო. 1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის მებრძოლებმა საბოლოოდ გააძევეს ქართული ჯარი სოხუმიდან და უკვე რამდენიმე დღეში აფხაზეთის მთელ ტერიტორიას აკონტროლებდნენ. აფხაზეთში დარჩენილმა 200000 ქართველმა რეგიონი დატოვა.

ორგანიზებულ ძალადობას ყოველთვის განაპირობებს გარკვეული მოტივაცია და არსებული შესაძლებლობების გამოყენების სურვილი. პოლ კოლიერი და ანკე ჰეფლერი სიხარბისა და საზოგადოებრივი უკმაყოფილებისადმი მიძღვნილ ნაშრომში ამტკიცებენ, რომ სიხარბე (ანუ "ძალადობის სულისჩამდგმელთა" ანგარება) და გარემოებათა ხელსაყრელი დამთხვევა (მაგალითად, იაფ იარაღზე ხელმისაწვდომობა, მოწინააღმდეგის აშკარა სისუსტე, მესამე ძალის დახმარების იმედი და ა.შ.) უფრო ხშირად წარმოშობს ძალადობას, ვიდრე ამას იწვევს საზოგადოებრივი უკმაყოფილება (მაგალითად, ეკონომიკური და პოლიტიკური დისკრიმინაცია).[30] საქართველოს შემთხვევაში, მიუხედავად ნაციონალისტური ჯგუფების მიერ საზოგადოებრივ უკმაყოფილებაზე საუბრისა (ჩაგვრა, ეკონომიკური დისკრიმინაცია და ა.შ.), შიდა ძალადობების უმეტეს მიზეზად ანგარებით შეპყრობილი გასამხედროებული ფორმირებების ქმედებები უნდა ჩავთვალოთ. იაფი და ადვილად ხელმისაწვდომი საბჭოთა იარაღის მოპოვება გაცილებით აიოლებს ასეთი ჯგუფების მოქმედებას. ზვიად გამსახურდია ასეთ ძალებს თავისი პოლიტიკური პოზიციების გასამყარებლად იყენებდა, მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს სისუსტემ მას ამ ჯგუფების კონტროლისა თუ შეჩერების შესაძლებლობა აღარ

[30] Paul Collier and Anke Hoeffler, "Greed and Grievance in Civil War," (Washington, DC: The World Bank Group, October 2001), http://econ.worldbank.org/programs/conflict/library/doc?id=12205; James D. Fearon and David. D. Laitin, "Ethnicity, Insurgency, and Civil War" (paper presented at the 2001 Annual Meeting of the American Political Science Association, San Francisco, CA, August 30–September 2, 2001), http://www.stanford.edu/group/ethnic/workingpapers/apsa011.pdf.

მისცა. ქართული, ოსური და აფხაზური ძალების მობილიზაციას შორის აშკარა განსხვავება არსებობს. ქართული რაზმების – "მხედრიონისა" და "ეროვნული გვარდიის" – მამოძრავებელი ძალა "ძალადობის სულისჩამდგმელი" ცალკეული პიროვნებები იყვნენ; ეს ასე არ იყო აფხაზებისა და ოსების დაჯგუფებათა შემთხვევაში. თითქოსდა საბჭოთა ჩაგვრის (განსაკუთრებით კი, 1989 წლის 9 აპრილს თბილისში მომხდარი ძალადობრივი ფაქტის შემდეგ) წინააღმდეგ შექმნილი "მხედრიონი" ძალიან სწრაფად გადაიქცა ანგარების სურვილით შეპყრობილ კრიმინალურ ორგანიზაციად, რომელმაც მოახდინა თავისი მოქმედებების ლეგიტიმიზაცია და თავის რიგებში ახალი წევრები პატრიოტული ლოზუნგებით მიიზიდა. 1992-1993 წლებისათვის "მხედრიონად" წოდებული სხვადასხვა დაჯგუფების მიზანს ძარცვა-ყაჩაღობა წარმოადგენდა და გაუგებარიც კი იყო, იყვნენ თუ არა ამ ჯგუფების წევრები ძველებურად ჯაბა იოსელიანის ერთგულნი.

ეროვნული გვარდია "მხედრიონისაგან" განსხვავებულად წარმოიშვა. იგი დაარსდა "ზევიდან" გარკვეული პოლიტიკური მიზნებით. ეს ორგანიზაციაც აკისრებდა ხარკს ჩრდილოვან ეკონომიკაში მოღვაწეთ და იარაღით ვაჭრობის სარფიან საქმეს აკონტროლებდა. ბევრი მებრძოლი ეროვნულ გვარდიაში ძარცვის პერსპექტივით შედიოდა. აფხაზეთის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის წამოწყება ეროვნული გვარდიის ეკონომიკური ინტერესებით იყო ნაკარნახევი — რეგიონის ჩრდილოვანი ეკონომიკის მთავარი სექტორების გაკონტროლების სურვილით.

აღსანიშნავია, რომ ომმა აფხაზეთის რესურსები სწრაფად ამოწურა. ძალადობის ესკალაციასთან ერთად ინგრეოდა აფხაზეთის ტურისტული ინდუსტრია, პარალიზებული იყო სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, ადგილობრივმა სოფლის მეურნეობამ ბაზრები დაკარგა. საბრძოლო მოქმედებების ეფექტურობა ყოველთვიურად კლებულობდა, მცირდებოდა გასამხედროებული ფორმირებების მომარაგება. შემდგომში ედუარდ შევარდნაძემ ოსტატურად გამოიყენა ამ ორგანიზაციების რესურსების შემცირება მათი მეთაურების პოლიტიკური არენიდან განდევნის მიზნით.

აფხაზი და ოსი მებრძოლების მიერ სამხედრო ძალის გამოყენება უმთავრესად ნაკარნახევი იყო არა პირადი გამორჩენის სურვილით, არამედ იმ საფრთხის არსებობით, რომელსაც მათ დამოუკიდებელი

და ნაციონალისტური საქართველო უქმნიდა. ქართული ნაციონალიზმის ტალღა აძლიერებდა მომავალი დისკრიმინაციის შიშს, რამაც ადგილობრივ ნაციონალისტებს უფრო იოლად გადააწყვეტინა საკუთარი ძალადობრივი მექანიზმის შემუშავება. ქართული დაჯგუფებების მათ ტერიტორიაზე შეჭრისთანავე დადასტურდა ოსებისა და აფხაზების შიში, ორგანიზებული ძალადობა კი გარდაუვალი შეიქნა.

მეზობლობის ფაქტორი

ქვეყნის შიგნით არსებული კონფლიქტის განვითარებაზე რამდენიმე გარეფაქტორი მოქმედებს. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია შემდეგი სამი: დიასპორის მიერ მეამბოხეთა მხარდაჭერა; გეოსტრატეგიული მდებარეობა და კონფლიქტში სხვა სახელმწიფოს ჩარევა.[31] თითოეულმა ამ ფაქტორმა გარკვეული როლი ითამაშა 1988-1993 წლებში საქართველოში, თუმცა მათი მოქმედება ხშირად გადაჭარბებულად იყო შეფასებული.

ადგილობრივმა დიასპორამ და ნათესაურმა ეთნიკურმა ჯგუფებმა, რაღა თქმა უნდა, დახმარება გაუწიეს აფხაზებსა და სამხრეთ ოსებს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. ოსები კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა[32], ჩრდილოეთ ოსეთში მცხოვრები ეთნიკურად მონათესავე ხალხისაგან მნიშვნელოვან ფინანსურ და ყოველგვარ მატერიალურ დახმარებას იღებდნენ; ისინი მათ ცოცხალი ძალითაც ეხმარებოდნენ. აფხაზ მებრძოლებს ჩრდილოეთ კავკასიის მოხალისე რაზმები და თურქეთში მცხოვრები აფხაზური დიასპორაც ეხმარებოდა. ყველაზე ძლიერი და ბრძოლისუნარიანი შენაერთებიდან აღსანიშნავია ე.წ. "აფხაზური ბატალიონი", რომელსაც მეამბოხე ჩეჩენი ლიდერი შამილ ბასაევი ხელმძღვანელობდა. შამილ ბასაევმა და დაახლოებით 300 მისმა თანამებრძოლმა, რომლებიც შემდგომ ჩეჩენი სეპარატისტების მთავარ ძალად გადაიქცნენ, ფაქტობრივად,

[31] Collier and Hoeffler, "Greed and Grievance in Civil War"; Fearon and Laitin, "Ethnicity, Insurgency, and Civil War."
[32] Zürcher, Koehler, and Baev, "Internal Violence in the Caucasus."

აფხაზეთში, ქართველების წინააღმდეგ წარმოებულ ომში, მიიღეს პირველი საბრძოლო გამოცდილება.

მიიჩნევენ, რომ ურთიერთმოწინააღმდეგე ძლიერი სახელმწიფოების გადაკვეთაზე მდებარე საქართველო დაწყევლილია თავისი არასახარბიელო გეოპოლიტიკური მდებარეობითა და მძიმე გეომორფოლოგიური სიტუაციით. სპარსეთს, ოსმალეთსა და მეფის რუსეთის იმპერიებს შორის არსებულმა ქიშპობამ და საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა მოდელმა კავკასიის სოციოპოლიტიკურ და კულტურულ სახეს ღრმა დაღი დაასვა. ყველაზე მნიშვნელოვანია ის, რომ ამ ისტორიულმა მემკვიდრეობამ დაგვიანებული და ინსტიტუციურად სუსტი სახელმწიფოებრიობა განაპირობა. ამას ემატებოდა ისიც, რომ კავკასიის ბევრი რეგიონის მთაგორიანობის გამო ადგილობრივ ელიტასაც და კოლონიალურ სახელმწიფოებსაც უძნელდებოდათ სასურველი მმართველობის დამყარება. ასე რომ, ვერ უარვყოფთ, გეოპოლიტიკამ და გეომორფოლოგიამ კავკასიის მთელ ისტორიაზე დიდი ზეგავლენა რომ მოახდინა. მაგრამ როდესაც საქმე ეხება საბჭოთა იმპერიის ნგრევასა და ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს შექმნას შორის არსებულ დროის მცირე, ბობოქარ და კონფლიქტებიან პერიოდს, მაშინ ზემოაღწერილი ორივე ფაქტორი მნიშვნელობას მოკლებულია. პირიქით, ამ პერიოდში შიდა პოლიტიკა გაცილებით დიდ როლს თამაშობდა. მოვლენებს ადგილობრივი ინსტიტუციონალური სტრუქტურები და მათი მოსკოვთან ურთიერთდამოკიდებულება განსაზღვრავდა. 1988-1993 წლებში საქართველოს შიდა კონფლიქტებზე სერიოზული გავლენა არც ერთ პოლიტიკურ ერთეულს არ მოუხდენია, თუმცა კი ითვლება, რომ მათ – თურქეთს, ირანს, სომხეთს, აზერბაიჯანს, აშშ-სა და ევროკავშირს — სამხრეთ კავკასიაში თავიანთი ინტერესები გააჩნიათ.

აქ უპრიანი იქნება, აღინიშნოს ორი რამ, პირველი: მარკ ბეისინჯერი თავის მნიშვნელოვან ნაშრომში ასაბუთებს საბჭოთა კავშირის მემკვიდრე-სახელმწიფოებში მიმდინარე მოვლენების ურთიერთდამოკიდებულებას, რაც ემყარებოდა "წარმატებული ნაციონალისტური მობილიზაციის დემონსტრირების ეფექტს".[33]

[33] Mark R. Beissinger, *Nationalist Mobilization and the Collapse of the Soviet State* (Cambridge: Cambridge University Press, 2002).

საბჭოთა კავშირის ყველა რესპუბლიკის საზოგადოება და ელიტა გულისყურით ადევნებდა თვალს ნაციონალური მოძრაობების განვითარებას. ამ მოძრაობის ყოველი ტალღა, რომელზედაც მოსკოვი თვალს ხუჭავდა, სხვა ნაციონალურ მოძრაობებს ახალი ენერგიით ავსებდა, ანუ ეთნონაციონალური მობილიზაციის სპირალი არა მარტო საქართველოს შიგნით ქართველების, ოსებისა და აფხაზების ერთმანეთის წინააღმდეგ მიმართული მოძრაობებით იმუხტებოდა, არამედ ბალტიისპირეთის ქვეყნებისა და სომხეთის ნაციონალური მოძრაობებითაც.

მეორე ეხება საბჭოთა კავშირს და მისი დაშლის შემდეგ — რუსეთს. შეცდომა იქნებოდა საქართველოში განვითარებულ მოვლენებზე რუსეთის ზეგავლენის უარყოფა, მაგრამ ასეთივე შეცდომა იქნებოდა საქართველოს ყველა უბედურების მზაკვრული და კარგად დაგეგმილი იმპერიული პოლიტიკისათვის გადაბრალება. სინამდვილეში, სულ მცირე, 1990 წლის ზაფხულიდან მოსკოვს აღარ შესწევდა ძალა სათანადო პოლიტიკის ჩამოყალიბების და მისი კოორდინირებისა, რომ აღარაფერი ვთქვათ მის განხორციელებაზე. ეს ყველაფერი მზარდი ეკონომიკური ნგრევითა და კრემლში ძალაუფლებისათვის მიმდინარე ბრძოლით აიხსნება. კავკასიაში "მშვიდობის აღსადგენად" სულ უფრო მეტი ცუდად დაგეგმილი და ცუდად ჩატარებული ოპერაცია მიმდინარეობდა. მაგალითად, 1988 წლის ივლისში ერევნის აეროპორტში დემონსტრანტების წინააღმდეგ მიღებული ზომები; 1989 წლის აპრილში თბილისში მომხდარი მოვლენები ან "სისხლიანი კვირა" ბაქოში 1990 წლის იანვარში. საბოლოო ჯამში, ამ ოპერაციებმა საბჭოთა კავშირის ძალადობრიობის უნარიც შეასუსტა და საბჭოთა სახელმწიფოს დაცემა დააჩქარა; იმავდროულად, ამ ოპერაციებმა იმპულსი შემატეს ეროვნულ მოძრაობებს. ამ ყველაფერმა კი, თავის მხრივ, როგორც ცეცხლზე ნავთმა, ისე იმოქმედა საქართველოს შიდა ტერიტორიაზე მიმდინარე კონფლიქტებზე.

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საბჭოთა ცენტრალური მთავრობა ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქების ეროვნულ მოძრაობებთან ტაქტიკური კავშირის დამყარებას ცდილობდა. 1990 წლის აპრილში უმაღლესმა საბჭომ მიიღო კანონი, რომლის თანახმადაც, თუ მოკავშირე რესპუბლიკა საბჭოთა კავშირის შემადგენ-

ლობიდან გავიდოდა, მაშინ მასში შემავალ ავტონომიურ ოლქებსა და რესპუბლიკებს, რეფერენდუმის ჩატარების შემდეგ, უნდა ჰქონოდათ საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში დარჩენის უფლება აშკარაა, რომ ამ კანონს უნდა დაებრკოლებინა მოკავშირე რესპუბლიკების სსრკ-დან გასვლა. მიუხედავად ამისა, მან ვერ შეძლო საბჭოთა კავშირის შიდა აფეთქების თავიდან აცილება და მხოლოდ მოტივაცია შემატა ავტონომიური ოლქებისა და რესპუბლიკების ბრძოლას გამოყოფისათვის. სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი ამისი კარგი მაგალითია. ასე რომ, ეს კანონი (თუმცა, სხვა მხრივ, გამიზნული) მკაფიო ნიშანი აღმოჩნდა საქართველოს შემადგენლობაში მყოფი ავტონომიური ერთეულების ეროვნული მოძრაობებისათვის: მათ თითქოს აღუთქვეს, რომ თუკი საქართველო საბჭოთა კავშირის შემადგენლობიდან გავიდოდა, მოსკოვი მათ "იშვილებდა". მთლიანობაში, საბჭოთა იერარქიის დაშლა ის მნიშვნელოვანი ფაქტორი აღმოჩნდა, რომელმაც დრამატულად შეცვალა მოქმედ ძალთა მამოძრავებელი მოტივები. საბოლოო ჯამში, ზუსტად ამით აიხსნება ძალადობის წარმოშობა და განვითარება საქართველოს სინამდვილეში არსებულ სამივე შემთხვევაში. საბჭოთა სტრუქტურების სისუსტის გამო საქართველოში შესაძლებელი გახდა ეროვნული მოძრაობის აღმოცენება, ამ მოძრაობამ კი სწრაფად დაიკავა მთავარი პოზიციები. აზერბაიჯანისა და ჩეჩნეთისაგან განსხვავებით, მაგრამ სომხეთისა და ბალტიისპირეთის ქვეყნების მსგავსად, საქართველოს კომუნისტურმა ნომენკლატურამ სწრაფად აითვისა ეროვნული მოძრაობების პოლიტიკური (თუმცა არა იდეოლოგიური) პროგრამა და სახელმწიფოს ინსტიტუტები მათ სამსახურში ჩააყენა. საბჭოთა კავშირის თანდათანობითმა დასუსტებამ გააადვილა საქართველოსათვის თავისუფლების მოპოვება. 1990 წლის დასაწყისიდან ეროვნულმა მოძრაობამ და ნომენკლატურამ მთავარ მიზნად ქვეყნის სრული სუვერენიტეტი დაისახა.

მოვლენების ამგვარმა განვითარებამ, თავის მხრივ, სტიმული მისცა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის სეპარატისტულ მოძრაობებს. საქართველოს ეთნონაციონალურმა მოძრაობამ ავტონომიურ ერთეულთა გამორჩეულ ერებში საკმაოდ საფუძვლიანად გამოიწვია იმის შიში, რომ დამოუკიდებელ საქართველში მათ შეიძლება აღარ ჰქონოდათ პრივილეგიები. საქართველოში მცხოვრები სომხებისა და

აზერბაიჯანელებისაგან განსხვავებით, ოსები და აფხაზები ფლობდნენ იმ პოლიტიკურ ბერკეტებს, რითაც შესაძლებელი იყო სეპარატისტული პოლიტიკის გატარება. ავტონომიურ ერთეულებში მცხოვრებ ყველა ეროვნული სათვისტომოს კომუნისტ ფუნქციონერს სახელმწიფო და პარტიული რესურსების ეროვნული საქმისაკენ მიმართვა შეეძლო — ისინი ამ შესაძლებლობას იყენებდნენ კიდეც. კერძოდ, თუკი 1988 წლამდე უმაღლესი საბჭოები მხოლოდ სიმბოლურად ითვლებოდნენ წარმომადგენლობით ორგანოდ, შემდგომში ისინი ჭეშმარიტი პოლიტიკური ხელისუფლების ცენტრებად გარდაიქმნენ.

რადიკალურმა ნაციონალისტურმა რიტორიკამ, ძალადობის მართვაზე სახელმწიფოს გავლენის დაკარგვამ და საქართველოს მთავრობის აშკარა სურვილმა, გამოეყენებინა "ძალადობის სულისჩამდგმელები", ხელი შეუწყო ეკონომიკურ-კრიმინალური ინტერესების მქონე გასამხედროებული ფორმირებების წარმოქმნას. ზვიად გამსახურდიას გარშემო არსებულმა ახალმა ელიტამ ვერ შეძლო ვერც რეჟიმის გადარჩენა და ვერც სახელმწიფოს კონსოლიდირება, რამაც საგრძნობლად გაუადვილა საქმე "ძალადობის სულისჩამდგმელებს".

ახალი სიძნელეები სიძნელეების ხანის შემდეგ?

საბჭოთა ეთნოფედერალიზმი ამჟამად აღარ იყენებს თავის დესტრუქციულ ენერგიას, თუმცა მან ღია ჭრილობები მაინც დატოვა. ათწლიანმა გაჭიანურებულმა მოლაპარაკებებმა ოსეთისა და აფხაზეთის პრობლემა ვერ გადაჭრა. 2003 წლის სექტემბერში აფხაზეთმა "დამოუკიდებლობისათვის ომში" გამარჯვების მეათე წლისთავი აღნიშნა. ამ "გამარჯვების" ფასი რუსეთზე მძიმე პოლიტიკურ-ეკონომიკური დამოკიდებულება და საერთაშორისო იზოლაცია აღმოჩნდა. აფხაზების უმრავლესობამ რუსეთის მოქალაქეობა მიიღო, რაც მათთვის გარკვეული სოციალური და პოლიტიკური უსაფრთხოების გარანტიაა. ომის შემდეგ პერიოდულად მაინც ხდება ძალადობრივი აფეთქება, დახოცეს რუსეთის სამშვიდობო ჯარში მომსახურე ათობით ჯარისკაცი, აფხაზი თანამდებობის პირები და სხვადასხვა ეროვნული სათვისტომოს წარმომადგენლები.

აფხაზეთის მმართველობა მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლას გაძლიერებული სამხედრო მზადყოფნით შეხვდა. დღეს-დღეობით მოსკოვი აფხაზეთში შექმნილ სიტუაციას თავისი სამხედრო ძალის იქ ყოფნითა და პოლიტიკურ-ეკონომიკური დახმარების გაწევით აკონტროლებს, რისი განხორციელებაც საქართველოს არ ძალუძს. ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლოს კრიმინალური გასამხედროებული ფორმირებები ჯერ კიდევ ახდენდნენ ზეგავლენას მოსაზღვრე რეგიონის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ზოგიერთი მათგანი კვლავ მჭიდროდაა დაკავშირებული ეგრეთ-წოდებულ პარტიზანულ შენაერთებთან, ისეთებთან, როგორიცაა "თეთრი ლეგიონი" ზურაბ სამუშიას მეთაურობით, "ტყის ძმები" დავით შენგელიას ხელმძღვანელობით და რუზგენ გოგოხიას ფორმირება[34]. აფხაზეთის მთავრობის წინააღმდეგ ბრძოლის მოტივით ისინი ხშირად დაერევიან ხოლმე ერთმანეთს ბენზინის, სიგარეტისა და თხილის კონტრაბანდაზე კონტროლის მოსაპოვებლად. 2003 წლის ნოემბერში ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მიხეილ სააკაშვილმა ბრძანება გასცა, ბოლო მოეღოთ ამ ფორმირებების მოქმედებებისათვის.

აფხაზეთთან შედარებით სამხრეთ ოსეთში არსებული სიტუაცია უფრო მყიფეა. ისევე, როგორც აფხაზეთი, ეს პაწაწინა სახელმწიფოც უკანონო ვაჭრობის, უმთავრესად ალკოჰოლური სასმელებისა და თამბაქოს ყიდვა-გაყიდვის ცენტრი აღმოჩნდა. ორი ძლიერი პოლიტიკური კლანის ირგვლივ კონცენტრირებული პოლიტიკური ელიტა თავისი ინტერესებისათვის იყენებს ამ ვითომ თავისუფალ ეკონომიკურ ზონას. 2004 წელს კონფლიქტის ესკალაციის დროსაც არ შეწყვეტილა ვაჭრობა დანარჩენ საქართველოსთან, თუმცა კი ამ ვაჭრობისათვის ცხინვალიდან თბილისამდე მიმავალ მთელ გზაზე სხვადასხვა "გადასახადები" იყო დაწესებული, რომლებსაც ოფიციალური და არაოფიციალური ხელისუფლების წარმომადგენლები კრებდნენ.

აფხაზეთში შექმნილი სიტუაციისაგან განსხვავებით, 1992 წლის შემდეგ საქართველო, შევარდნაძის მეთაურობით და სამხრეთ ოსეთი სხვადასხვა პრაქტიკულ ნაბიჯებს დგამდნენ თავიანთი ურთი-

[34] International Crisis Group, "Georgia: What Now?" *Europe Report* no. 151, December 3, 2003, www.reliefweb.int/library/documents/2003/icg-geo-3dec.pdf.

ერთობების გასაუმჯობესებლად. მაგრამ კონფლიქტი არათუ დარეგულირებული არ არის, არამედ გაურკვეველია, სრული დამოუკიდებლობის გარდა რა პოლიტიკური სტატუსი იყო მისაღები სამხრეთ ოსეთისათვის და სუვერენიტეტის რა ნაწილის დათმობა შეეძლო საქართველოს.

ედუარდ შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლებში სამხრეთ ოსეთის საბოლოო სტატუსის შესახებ მიმდინარე მოლაპარაკებები პრაქტიკულად შეჩერდა.

2004 წლისათვის მიხეილ სააკაშვილის მიერ გატარებულმა ძალის დემონსტრირების პოლიტიკამ დაძაბულობის ახალი ეტაპი წარმოშვა. მან ნათლად გამოხატა, რომ სამხრეთ ოსეთს მისი პრიორიტეტების სიაში ერთ-ერთი პირველი ადგილი უკავია. აჭარაში მიღწეული წარმატების შემდეგ, სადაც იგი ადგილობრივ მმართველს, ასლან აბაშიძეს, გაუსწორდა, ყველა ელოდა, რომ პრეზიდენტი სამხრეთ ოსეთის საქართველოს შემადგენლობაში რეინტეგრაციას შეეცდებოდა. 2004 წლის მაისში საქართველომ სამხრეთ ოსეთში მდებარე უზარმაზარი და ცნობილი ერგნეთის ბაზრობა დახურა. ამ ბაზრობაზე ყველა სახის, ძირითადად, რუსეთიდან შემოსული კონტრაბანდული საქონელი იყიდებოდა. ზოგი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ერგნეთის ბაზრობა თავისი არსით წარმოადგენდა უკანონო თავისუფალ ეკონომიკურ ზონას, რომელსაც წელიწადში 35 მილიონი აშშ-ის დოლარის შემოსავალი მოჰქონდა. ამ თანხის მნიშვნელოვანი ნაწილი ედუარდ კოკოითის გარშემო შემოკრებილი სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური ელიტის ჯიბეებში ილექებოდა.[35] ბაზრობის დახურვის ეს გადაწყვეტილება იმის ერთმნიშვნელოვანი სიგნალი იყო, რომ საქართველო აღარ აპირებს სტატუს-კვოს მოთმენას. 2004 წლის ივლისში საქართველომ სამხრეთ ოსეთში გამშვები პუნქტები გააძლიერა და როკის გადასასვლელზე საქართველო-რუსეთის სასაზღვრო კონტროლი დააწესა, რათა საქართველოში უაქციზო საქონლის იმპორტი შეემცირებინა. მიხეილ სააკაშვილის ახალი მთავრობა ენერგიული კამპანიით შეეცადა ამ რეგიონში ძალთა ბალანსის შეცვლას. ამ კამპანიის მიზანი ოსური მოსახლეობის ნდობის

[35] M. Alkhazashvili, “South Ossetia’s Reliance on Contraband,” *The Messenger*, July 15, 2004, http://www.messenger.com.ge/issues/0655_july_15,2004/economy_0655_1.htm.

მოპოვება და სეპარატისტული მთავრობის სამხედრო ზომებით დაშინება იყო, მაგრამ ამან შედეგად რეგიონში სამხედრო დაპირისპირება და რუსეთთან პოლიტიკური კრიზისი მოიტანა.

მოკლედ, სამხრეთ ოსეთიცა და აფხაზეთიც გადაუჭრელი პრობლემაა. თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს სეპარატისტული რეგიონებისათვის პოლიტიკურ და ეკონომიკურ სფეროში ცოტა რამის შეთავაზება შეუძლია, სამხედრო სფეროში კი იგი ძალზე სუსტია საიმისოდ, რომ სიტუაცია ძალის გამოყენებით შეცვალოს, კონფლიქტების გადაწყვეტა ისევ მომავლის საქმედ რჩება. თავის მხრივ, რუსეთი დაინტერესებულია, რეგიონში შენარჩუნდეს სტატუს-კვო, თვითონ კი ვეტოს უფლება დარჩეს.

რეფორმატორების მეორე თაობის წინაშე მდგარი ამოცანა შეიძლება იმ ამოცანაზე არანაკლებ რთული აღმოჩნდეს, რომელიც საბჭოთა საქართველოდან დამოუკიდებელი საქართველოსკენ გრანდიოზული გადასვლის პერიოდში იდგა. ეს სრულიად განსხვავებული ამოცანაა. არეულობის ხანაში მოწინააღმდეგე დაჯგუფებები იმ ქვეყნის ძალაუფლებისათვის იბრძოდნენ, რომელიც, ფაქტობრივად, არ არსებობდა. დღეს სამეული — სააკაშვილისა და მისი კოლეგების სახით – ღრმად ფესვგამდგარი და კორუმპირებული სახელმწიფო სისტემის შეცვლას ცდილობს, მაგრამ წარმატების გარანტია, ცხადია, არ არსებობს. მოკლედ რომ ვთქვათ, ზვიად გამსახურდია პოლიტიკურ მოწინააღმდეგეებს ებრძოდა და დამარცხდა. მიხეილ სააკაშვილი ღრმად კორუმპირებულ, მაგრამ მაღალინსტიტუციონალიზებულ სისტემას ებრძვის და, შესაძლოა, ისიც დამარცხდეს. მისი ყველაზე საშიში მტერი არა ესა თუ ის პოლიტიკური ლიდერი ან რომელიმე პოლიტიკური პარტიაა, არამედ ის, რასაც შეიძლება "შევარდნაძის სისტემა" ვუწოდოთ.

ედუარდ შევარდნაძემ ძალის უხეში გამოყენებით ნაწილ-ნაწილ დაშლილი ქართული სახელმწიფოს შეკოწიწება და აღდგენა შეძლო, მაგრამ ამისათვის მან გარკვეული საფასური გაიღო. იმისათვის, რომ დაქსაქსული ელიტა შემოეკრიბა, იგი მოთმინებით ეკიდებოდა ღრმად კორუმპირებულ სისტემასა და კადრების მონაცვლეობას. დღეს ეს სისტემა იმდენად ღრმადაა ფესვგამდგარი, რომ იგი გაცილებით მეტია, ვიდრე სუსტადგანვითარებული სახელმწიფოებრიობის ოდენ დამღუპველი შედეგი. ეს არის სახელმწიფოებრიობის ახალი

ალტერნატიული ვარიანტი, რომელიც საკმაოდ გაფართოვდა და ჩაენაცვლა ჯანსაღ სახელმწიფოებრივ ფორმას, ისეთს, როგორიცაა პიროვნებებზე არადამოკიდებული, საზოგადოებაზე მზრუნველი ბიუროკრატია. ამ სისტემის შეცვლას რამდენიმე კორუმპირებული თანამდებობის პირის დაპატიმრება არ ეყოფა, საჭიროა მთელი პოლიტიკური სისტემის ხელახლა, პრაქტიკულად, ნულიდან შენება. ეს რთული გზაა და ერთ-ერთ მთავარ საშიშროებას ის წარმოადგენს, რომ ახალი ელიტა მხარდაჭერას ეთნონაციონალური მობილიზაციის მეშვეობით შეეცდება. უახლესი ისტორია, განსაკუთრებით კი, ქართული, გვასწავლის, რომ ამგვარი სტრატეგია ძალზე სარისკოა.

საქართველოს თავდაცვის პოლიტიკა და სამხედრო რეფორმა

დავით დარჩიაშვილი

საქართველოს თავდაცვის სექტორის მდგომარეობა, განსაკუთრებით კი სამხედრო რეფორმის ბედი, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული პოლიტიკური სისტემის შიგნით მიმდინარე მოვლენების დინამიკაზე. სამხედრო რეფორმის აღქმა, შეფასება თუ წარმატებული განხორციელება შეუძლებელია ქვეყნის ერთიან სოციალური და პოლიტიკური განვითარებისაგან მოწყვეტით. ერთი სიტყვით, ე.წ ეფექტური მართვის პრაქტიკის დანერგვის გარეშე, ეფექტური თავდაცვის სისტემა, მწყობრი უსაფრთხოების პოლიტიკა და საღი სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები წარმოუდგენელია. ეს პრინციპი ყველა ქვეყანაზე ვრცელდება, საქართველოში კი იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს.

სამხედრო რეფორმასთან უშუალო კავშირშია დაფინანსების საკითხიც. თავისი შეზღუდული მატერიალური რესურსების გამო, საქართველო კვლავ ღატაკ ქვეყნად რჩება, რაც ყოველმხრივ ზღუდავს რეფორმებს, განსაკუთრებით კი უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში. ჯარების რესტრუქტურიზაცია, თუნდაც რიცხოვნობის შემცირება, განახლება ან კონტროლის ეფექტური საშუალებების შექმნა, ფინანსებს მოითხოვს. სამხედრო პირს ბიზნესში ჩართვის - განსაკუთრებით უკანონო კომერციის - უფლება არ ეძლევა. ამის თავიდან ასაცილებლად სახელმწიფომ უნდა შესძლოს თავისი ოფიცრებისა და ჯარისკაცების ადექვატური ხელფასებითა და საცხოვრებელი პირობებით უზრუნველყოფა, რაც საქართველომ დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში ვერ განახორციელა.

გარდა ამისა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკაზე გავლენას ახდენს საქართველოს იდეოლოგიური და სოციალურ-

პოლიტიკურ ორიენტაცია. ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა და თავდაცვითი სისტემა მომდინარეობს ეროვნული ინტერესებიდან და საფრთხეებიდან, რაც ეროვნული სტერეოტიპების და ღირებულებების თემასთან გვაბრუნებს. ღირებულებები განსაზღვრავენ საფრთხეებს, რომელთაც ეროვნული უსაფრთხოების პოლიტიკა უნდა დაუპირისპირდეს. ეროვნული ინტერესები, საფრთხეების აღქმა, რომელნიც პირდაპირ თუ არაპირდაპირ საზოგადოებრივი ღირებულებებიდან მომდინარეა, გავლენას ახდენს უსაფრთხოების სექტორის შიდა სტრუქტურაზე, საკადრო პოლიტიკაზე, მასში არსებული ურთოერთობების თავისებურებებზე. მეორეც, ამა თუ იმ ერის მიერ სტრატეგიულ მოკავშირეთა და მეგობართა არჩევა მნიშვნელოვანწილადაა დამოკიდებული მასში არსებულ ღირებულებათა სისტემაზე. თანამშრომლობითი ალიანსების ფორმირებისას თანხვედრი ღირებულებები ისევე არსებითია, როგორც პრაგმატული ეკონომიკური ინტერესები თუ საერთო გეოსტრატეგიული ხედვები.

ბოლო დრომდე ქართული საზოგადოების საბაზო ღირებულებების სისტემა, ქვეყნის წინაშე არსებულ საფრთხეთა დეფინიცია (რაც უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების ფუნდამენტია) და უსაფრთხოების სფეროში ადგილობრივი ექსპერტიზის დონე არ შეესაბამებოდა დასავლურ სტანდარტებსა და ევროატლანტიკური თანამეგობრობის პრაქტიკას. ამავე დროს, საქართველო ხელისუფლება სწორედ ევროატლანტიკურ თანამეგობრობასთან ინტეგრაციას ისახავს მიზნად. შესაბამისად, უახლოეს წლებში, სახელმწიფოსა და ერის მშენებლობა ქვეყნის პოლიტიკური ამოცანების მთავარ პრიორიტეტად დარჩება.

დამოუკიდებლობის პირველ ათწლეულში საქართველო სუსტ, და ეგებ ე.წ. არშემდგარ სახელმწიფოდაც ჩამოყალიბდა. მიუხედავად მისწრაფებებისა თუ პრეტენზიებისა, ქვეყანაში დამკვიდრებული პოლიტიკური პრაქტიკა და მმართველობის სტილი საგრძნობლად ჩამორჩებოდა დასავლეთის თანამედროვე სტანდარტებს. ერისა და სახელმწიფოს აღმშენებლობა ხშირად მე-19 საუკუნის მიდგომით - ეროვნული პოეზიის, ისტორიული გმირების მითოლოგიზირებული სახეების თუ მართმადიდებლური ეკლესიის ღირებულებებისა და სიმბოლოების წინა პლანზე წამოწევით - გამოიხატებოდა. ქართველებმა და ქვეყნის ეროვნულმა უმცირესობებმა ვერ შეძლეს ერთიანი

ეროვნული იდენტობის შექმნა. ეთნიკური კუთვნილება ხშირად უფრო მნიშვნელოვნად ითვლებოდა, ვიდრე ინდივიდუალური ეკონომიკური კეთილდღეობა.[1] შესაბამისად, პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის რეჟიმისათვის დამახასიათებელი გახდა ლიბერალურ-დემოკრატიული და ეთნო-ნაციონალისტური იდეებით გაჯერებული წინააღმდეგობრივი პროექტები. მათ ფორმირებაზე კომუნისტური ნომენკლატურის ტრადიციებიც ახდენდა გავლენას. შესაბამისად, რეფორმები ნელი და მერყევი ხდებოდა.

შევარდნაძის რეჟიმი მხოლოდ რიტორიკულად გმობდა კორუფციასა და ქსენოფობიას. ძალიან ხშირად ეს ორი მოვლენა ქართული კულტურის მახასიათებლად მოიაზრებოდა. ქართული სამუშაო ჯგუფი, რომელსაც პრეზიდენტმა შევარდნაძემ ანტი-კორუფციული სტრატეგიის შემუშავება დაავალა, აღნიშნავდა, რომ კორუფცია ცხოვრების წესად იქცა გარკვეულ სფეროებში. კორუფციული აზროვნება ისე ღრმადაა საზოგადოებრივ აზროვნებაში, რომ დიდი სიფრთხილეა საჭირო ეროვნული თავისებურებების სათავეებისა და კორუფციული ჩვეულებების გამიჯვნის დროს. ანტიკორუფციული რეკომენდაციები[2] მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა და არაფერი ჰქონდა საერთო მთავრობის წარმომადგენლების, ბიზნესმენების და კრიმინალების მიერ შექმნილ კორუფციულ პირამიდებთან. რიტორიკული კრიტიკა კი რეჟიმის წინააღმდეგობრივი მიდგომის ნაწილს წარმოადგენდა: განეხორციელებინა ბალანსი ერთი მხრივ ახალგაზრდა რეფორმატორ პოლიტიკოსებსა და მოხელეებს, მეორე მხრივ კი, ყოფილ კომუნისტურ ნომენკლატურას შორის.

მმართველობის ბოლო პერიოდში შევარდნაძის მთავრობა უუნარო აღმოჩნდა, აღეკვეთა რელიგიურ ნიადაგზე წარმოშობილი ძალადობის ფაქტები. ნათქვამის დასტურია ეკლესიისგან განკვეთილი მღვდლის ბასილ მკალავიშვილის დაუსჯელი ძალადობრივი ქმედებები რელიგიური უმცირესობის მიმართ.

---

[1] Theodor Hanf and Ghia Nodia, *Georgia Lurching to Democracy* (Baden-Baden: Nomos Verlagsgesellschaft, 2000), pp. 92-102

[2] ეროვნული ანტიკორუფციული სტრატეგიის შემმუშავებელი ჯგუფი, საქართველოს ეროვნული ანტიკორუფციული პროგრამის ძირითადი მიმართულებები, კერძო გამოცემა, 31 ოქტომბერი,2000 წ., გვ.9 (ჯგუფი შექმნილი იყო პრეზიდენტის მიერ)

გასაკვირი არ არის, რომ ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შუქჩრდილები ფართოდ აირეკლებოდა თავდაცვის პოლიტიკასა და სამხედრო რეფორმის პროცესზე. თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკისათვის დამახასიათებელი იყო საგარეო პოლიტიკის მუდმივი ცვლა, არაადეკვატური დაფინანსება და შეუზღუდავი კორუფცია. ნათელი სტრატეგიული ორიენტირები თუ ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია არასოდეს ყოფილა ბოლომდე არტიკულირებული. ხშირად ევრო-ატლანტიკურ სივრცეში ინტეგრირება ქვეყნის მთავარ პრიორიტეტად ცხადდებოდა.[3] მაგრამ ქვეყნის პოლიტიკური ელიტა პრორუსული სტრატეგიის არჩევანსაც არ გამორიცხავდა. სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები არადემოკრატიული იყო. ისედაც მწირი რესურსების არამიზნობრივი ხარჯვა კიდევ უფრო ართულებდა დაფინანსებას. უსაფრთხოებისა და სამხედრო უწყებებში ხელფასები დროულად არ გაიცემოდა, სამხედრო და პარასამხედრო სტრუქტურები ვერ ექცეოდა ადექვატური სამოქალაქო ზედამხედველობის ქვეშ.

არსებული კანონმდებლობა პროგრესული იყო, მაგრამ დეტალიზაციას მოკლებული და წინააღმდეგობრივი. "ძალოვანი" მინისტრები, როგორც წესი, საზოგადოებრივი უნდობლობით სარგებლობდნენ.

საბოლოო ჯამში, 2003 წელს შევარდნაძის ხელისუფლების დაცემაში ყველა ამ ხარვეზმა შეიტანა თავისი წვლილი. საქართველოს ახალმა მთავრობამ პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ხელმძღვანელობით უპრეცენდენტო ნება აჩვენა კორუფციული საქმიანობისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში. დასავლური ორიენტაციის მქონე ინტელექტუალები, რომლების ხელმძღვანელ პოსტებზე დაწინაურდნენ, აცნობიერებენ გლობალიზაციის მნიშვნელობას და იყენებენ პოსტმოდერნისტულ პოლიტიკურ დისკურსს, რომელიც ნაკლებად ჰგუობს ნაციონალიზმს, უნიტარული სახელმწიფოების იდეას, საერთაშორისო არენაზე სახელმწიფო აქტიორთა ტრადიციულ ექსკლუზიურობას. ახალმა მთავრობამ ჯვაროსნული ომი გამოუცხადა კორუფციასა და სახელმწიფო

[3] 1990-იანი წლების მიწურულს შევარდნაძემ საჯაროდ განაცხადა, რომ 2005 წლისათვის საქართველო ნატოს კარზე დააკაკუნებს. იხ. "სვობოდნაია გრუზია", 26 ოქტომბერი, 1999 წ.

სახსრების არამიზნობრივ ხარჯვას. პასუხისგებაში მიეცა რამოდენიმე მაღალჩინოსანი. 2005 წლის იანვარში მოძალადე მღვდელს - მკალავიშვილს 6 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა.[4]

და მაინც, საქართველოს საქართველოს განვითარების ახალ მიმართულებებში ყველაფერი არ შეესაბამება ევრო-ატლანტიკურ ერთობაში გაერთიანების კურსს.[5] ახალი ელიტა ჯერ კიდევ იბრძვის პოპულარული ტრადიციული ნაციონალისტური სენტიმენტებისა და ლიბერალურ-დემოკრატიული იმპერატივების შესაჯერებლად. მრავალკულტურულობის, დეცენტრალიზაციის, თავისუფალ ერთა ერთობაში ინტეგრაციისა და კოოპერატიული უსაფრთხოების იდეათა მოხმობის პარალელურად, ახალი ხელმძღვანელობა ცენტრალიზმის მეთოდებს ვერ ივიწყებს და რეგიონალურ თუ ადგილობრივ ორგანოებს უხალისოდ უზიარებს სამთავრობო მოვალეობებს.

წარმატების მისაღწევად, ახალმა ხელისუფლებამ უნდა გადალახოს რეფორმების ბედის ინდივიდუალურ, სუბიექტურ ნებაზე დამოკიდებულება და ხელი შეუწყოს ეფექტური

მმართველობის მხარდამჭერი ფართო სოციალური ბაზის შექმნას. ნათქვამი ეხება თავდაცვის სფეროსაც.

საქართველოს მთავრობას ნათლად აქვს განსაზღვრული კორუფციასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის აუცილებლობა. მან მხარი დაუჭირა თავდაცვისა და უსაფრთხოების, ისევე როგორც სამართალდაცვის უწყებებში ახალი რეფორმატორული ჯგუფებისა და სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოების შექმნის იდეას. ზოგმა მათგანმა უკვე დაიწყო პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავება, რაც ხელახალ შანსს აძლევს შევარდნაძის რეჟიმის განუხორციელებელ ანტიკორუფციულ პოლიტიკას. მაგრამ მეტია გასაკეთებელი უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებების სტრუქტურული

[4] IWPR, Caucasus Reporting Service, No 272, February 3, 2005, http://www.iwpr.net/home_index_new.html

[5] არსებითად, ეს კურსი დეკლარირებული იქნა თანამედროვე ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნისთანავე. საქართველოს პირველმა პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ თავის საპრეზიდენტო პროგრამაში ხაზი გაუსვა, რომ საქართველოს თავდაცვის დოქტრინა ევროპული უსაფრთხოების სისტემის თანადგომაზე აიღებდა ორიენტაციას. ეს შეესაბამებოდა მის იდეას, რომ საქართველო გამხდარიყო ევროპასა და აზიას შორის დამაკავშირებელი ხიდი. იხ. საქართველოს რესპუბლიკა 253, 27 დეკემბერი, 1991 წ.

რეფორმირების, მოქმედების წესისა და მისიებისათვის საჭირო ახალი კანონებისა და სტრატეგიული დისკურსის შესამუშავებლად.

თავდაცვის რეფორმას საქართველოში მოუგვარებელი ეთნიკური კონფლიქტებიც ეღობება წინ. ეს კონფლიქტები და ხელახალი შეიარაღებული შეტაკებების პოტენციალი არცთუ საუკეთესო ფონს ქმნის ქართული სამხედრო სისტემის რესტრუქტურიზაციისათვის. მართლაც, ხელისუფლებაში მოსვლიდან რამოდენიმე თვეში, ახალი ხელმძღვანელობა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ექსკალაციაში აღმოჩნდა ჩაბმული, რასაც კონფლიქტის ზონაში შინაგან საქმეთა სამინისტროს დამატებითი ჯარების შეყვანა და შინაგან საქმეთა ახალი მინისტრის მიერ დაგეგმილი რეფორმის შეფერხება მოჰყვა ერთერთ შედეგად.

წინამდებარე თავში გაანალიზებულია საქართველოს უსაფრთხოებისა და თავდაცვის პოლიტიკის წარუმატებლობა და ახალი მთავრობის წინაშე მდგომი გამოწვევები.[6] იგი ოთხ ნაწილად არის დაყოფილი. პირველი ნაწილი იკვლევს ქართული არმიის აღმშენებლობის ისტორიის სხვადასხვა ეტაპებს 1980-იანი წლების დამდეგიდან

[6] წინამდებარე თავი ეფუძნება ადრე ჩატარებულ გამოკვლევებს უსაფრთხოების საკითხებისა და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების შესახებ. იხ. David Darchiashvili, "Georgia: The Search for the State Security," Caucasus Working Papers (Stanford, CA: Center for International Security and Cooperation, 1997), http://cisac.stanford.edu/publications/10255/; David Darchiashvili, "Trends of Strategic Thinking in Georgia: Achievements, Problems, and Prospects," in Gary K. Bertsch, Cassady Craft, Scott A. Jones, and Michael Beck, eds., *Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia* (Routledge: New York, 2000), pp. 66-74; David Darchiashvili and Tamara Pataraia, "Return to Europe? Some Aspects of the Security Orientation of Georgia," *Österreichische Militarische Zeitschrift*, no. 1 (2001), pp. 43–55; იხ. აგრეთვე დავით დარჩიაშვილი პოლიტიკოსები, ჯარისკაცები, მოქალაქენი: საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების და სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების ანალიზი (თბილისი, სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2000 წელი) http://www.cipdd.org/en/archive.shtml?lang=eng&detail=1&id=3; David Darchiashvili, "Power Structures in Georgia," International Institute for Democracy and Electoral Assistance, Discussion Paper no. 5 (Printinfo: Yerevan, Armenia, 2003); David Darchiashvili, "Georgian Security Problems and Policies," in Dov Lynch, ed., The South Caucasus, A Challenge for the EU, Chaillot Papers, no. 65 (December 2003), p.107–128, http://www.iss-eu.org/public/content/chaile.html; აგრეთვე, მე ვიყავი ბიულეტენის *The Army and Society in Georgia* რედაქტორი 1996-2000 წლებში. 1998-2001 წლის ნომრები შეიძლება ნანახი იქნას შემდეგ მისამართზე: http://www.cipdd.org/en/publication.shtml?cat_id=6.

2003 წლის ვარდების რევოლუციამდე. მასში გაანალიზებულია პროცესის სისტემური ნაკლოვანებები და ახსნილია დრამატული მოვლენები, რომლებმაც შეარყია სამხედრო-პოლიტიკური ურთიერთობები. მეორე ნაწილში განხილულია სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის პრობლემა: ურთიერთობა მთავრობის აღმასრულებელ და საკანონმდებლო შტოებს შორის, თავდაცვის ბიუჯეტის საკითხი, სამხედრო სფეროში გამჯდარი კორუფცია. მესამე ნაწილი ეხება ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ჩამოყალიბების პროცესში წარმოჩენილ გამოწვევებს. თავი სრულდება მეოთხე ნაწილით, რომელშიც მოკლედაა მიმოხილული თავდაცვის პოლიტიკის და სამხედრო რეფორმის ახალი მიმართულებები ვარდების რევოლუციის შემდეგ.

საქართველოს შეიარაღებული ძალები: ისტორიული მიმოხილვა

მიუხედავად მრავალსაუკუნოვანი ისტორიისა, რეგულარული შეიარაღებული ძალების ფორმირებაში საქართველოს დიდი გამოცდილება არ გააჩნია. ბოლშევიკური რევოლუციის შემდეგ მოპოვებული დამოუკიდებლობის მოკლე პერიოდში (1918 – 1921) საქართველოს გააჩნდა 20-25 ათასი კაცის შემადგენლობის რეგულარული ჯარი და მილიციის ტიპის სახალხო გვარდია. ქვეყანას იმ დროს რუსეთის არმიიდან წამოსული, პროფესიონალი, არისტოკრატი ოფიცრების საკმაო მოცულობის კორპუსი ჰყავდა. ახალ სოციალურ - დემოკრატიულ მთავრობასა და ოფიცერთა შორის დამკვიდრებული ურთიერთუნდობლობა ხელს უშლიდა ქვეყანას დაბრკოლებების გადალახვასა და ეფექტური სამხედრო სისტემის ჩამოყალიბებაში. ქართულ ჯარში აღინიშნებოდა დისციპლინის სისუსტე და ცუდი მომარაგება. მთელი ეს ექსპერიმენტი მხოლოდ 1921 წლამდე გაგრძელდა - ბოლშევიკური წითელი არმიის მიერ ქვეყნის ოკუპაციამდე.

გასაბჭოების შემდეგ მოსკოვი ზოგჯერ თანხმდებოდა ეროვნული სამხედრო შენაერთების შექმნაზე. თუმცა, ეს ფორმირებები ნაკლებად ასრულებდა რეალური ეროვნული არმიის ფუნქციებს. მსგავსი მცდელობები სრულიად შეწყდა 1956 წელს, როდესაც ნიკიტა

ხრუშჩოვმა საბჭოთა არმიაში ყველა ეროვნული შენაერთი გააუქმა.

ახალი ქართული სამხედრო სისტემა დამოუკიდებლობისათვის მასობრივი ბრძოლის დაწყებისა და საბჭოთა კავშირის დაშლისთანავე იღებს სათავეს. 1980-იანი წლების ბოლოს ანტისაბჭოთა პოლიტიკური ჯგუფების მიერ დაკომპლექტებული პირველი ქართული ფორმირებების შექმნა იმხანად გაღვივებულ ეთნოკონფლიქტებს დაემთხვა. ეს ფორმირებები კანონგარეშე მოქმედებდნენ. 1990 წლის მიწურულს, როდესაც ზვიად გამსახურდია მოვიდა სახელმწიფოს სათავეში, ეს ფორმირებები დაახლოვებით 6 000 მებრძოლს ითვლიდა.[7]

თუმცა, ეს ციფრი შესაძლოა გადაჭარბებულიც იყოს, რადგან ერთი და იმავე დროს, შეიარაღებულ ოპერაციებში მხოლოდ რამოდენიმე ასეული მებრძოლი მონაწილეობდა. ფორმირებები საბჭოთა არმიის რიგებიდან დათხოვნილი ქართველი ოფიცრებით, სამოქალაქო აქტივისტებით და კრიმინალური წარსულის მქონე ადამიანებით იყო დაკომპლექტებული.

მიუღწეველი რჩებოდა შეიარაღებულ ფორმირებათა საერთო პოლიტიკური კონტროლი. საბჭოთა კონტროლი თავიდანვე გამოირიცხებოდა - ამგვარი ფორმირებების არსებობას საბჭოთა კანონმდებლობა არ ითვალისწინებდა. გარკვეულ გარემოებებში ეროვნული მოძრაობის ლიდერებს შეეძლოთ შეექმნათ კიდეც ალტერნატიული პოლიტიკური ზედამხედველობა, მაგრამ მათ შორის მუდმივი ქიშპი სუფევდა. აქედან გამომდინარე არ და ვერ იქმნებოდა ერთიანი საკომანდო სტრუქტურა. ყოველი მეტნაკლებად მნიშვნელოვანი ფორმირება ავტონომიურ ერთეულს წარმოადგენდა. მას შერეული, სამხედრო-პოლიტიკური მისიები ეკისრებოდა და უშუალო მეთაურს იყო დაქვემდებარებული. ზოგ შემთხვევაში ფორმირებები ემორჩილებოდა რომელიმე ანტი-საბჭოურ პოლიტიკურ ორგანიზაციას, რომელთა რაოდენობა ისევე მრავალრიცხოვანი იყო, როგორც თავად შეიარარებული ფორმირებისა. ყველაზე ძლიერი და მარავალრიცხოვანი "მხედრიონი" ლოიალობას მხოლოდ დამფუძნებლის, ჯაბა იოსელიანის მიმართ იჩენდა. იგი განათლებით ხელოვნებათმცოდნე,

[7] შეიარაღებული და გასამხედროებული ფორმირებები საბჭოთა კავშირში (მოსკოვი, საერთაშორისო და სამხედრო-პოლიტიკური კვლევების რუსულ-ამერიკული ცენტრი, 1991) გვ 8-9 (რუსულ ენაზე)

პროფესორი და, იმავდროულად, კრიმინალური სამყაროს ცნობილი ავტორიტეტი იყო. "მხედრიონს," რომლის ბირთვს, ძირითადად, კრიმინალური რომანტიკის მიმდევარი ახალგაზრდა უბნის ბიჭები და ინტელიგენტთა შვილები წარმოადგენდნენ, სძულდა გამსახურდია, რომელიც, თავის მხრივ 1990 წლისათვის ეროვნული მოძრაობის ერთერთ ყველაზე გავლენიან ლიდერად ყალიბდებოდა. "მხედრიონი" უპირისპირდებოდა გამსახურდიას ხელმძღვანელობის ავტორიტარულ სტილს, მისთვის მიუღებელ პოპულისტურ ნაციონალიზმს, მის გარემოცვას, რომელსაც "მხედრიონის" ბირთვი სოციალური და კულტურული თვალსაზრისით "უცხოდ" მოიაზრებდა. მხედრიონელები, ისევე როგორც ეროვნული მოძრაობის ზოგიერთი სხვა დაჯგუფება, გამსახურდიას არ პატიობდნენ, რომ თავის დროზდე, 70-იან წლებში, მან საჯაროდ მოიხადა ბოდიში ანტისაბჭოთა, დისიდენტური საქმიანობისათვის.

იოსელიანმა საერთო ენა გამონახა კომუნისტების ლიდერ გივი გუმბარიძესთან, რომელიც თვითონ ცდილობდა მზარდ ეროვნულ მოძრაობასთან საერთო ენის გამონახვას. ამის შედეგად მოხდა იოსელიანისა და "მხედრიონის" ლეგალიზაცია ალტერნატიულ გასამხედროებულ ინსტიტუტად, ე.წ. "მაშველთა კორპუსად." მაშველთა კორპუსს მთავრობისათვის დახმარება უნდა გაეწია სტიქიური უბედურებების დროს.

"მხედრიონის" გარდა ფუნქციონირებდა მერაბ კოსტავას საზოგადოების შეიარაღებული ფრთა, რომელსაც ზვიად გამსახურდიას ერთგული ვაჟა ადამია ედგა სათავეში. სხვა ორი შედარებით მნიშვნელოვანი ფორმირება - "ქართველ შევარდენთა ლეგიონი" და სახალხო ფრონტის სამხედრო ფრთა "იმედი," ნეიტრალიტეტს ინარჩუნებდა გამსახურდია - იოსელიანის დაპირისპირებაში. იშვიათად, მაგრამ მაინც, სხვადასხვა ფორმირებების ცალკეული ჯგუფები იცვლიდნენ დაქვემდებარებას. ამის დადასტურებაა "იმედის" ნაწილის გადანაცვლება "მხედრიონში." მეორე მაგალითია გია ყარყარაშვილი, რომელიც თავიდან მხედრიონში ირიცხებოდა, მოგვიანებით კი ცალკე რაზმი "თეთრი არწივი" ჩამოაყალიბა.[8]

[8] ყველა მონაცემი 1995 – 1999 წლების პერიოდის ყოფილი მებრძოლებისა და პოლიტიკოსების პირადი ინტერვიუების საფუძველზეა მოპოვებული

აღნიშნული ფორმირებების მოქმედება, ძირითადად, ქართველ და ეროვნული უმცირესობების წარმომადგენელ ნაციონალისტთა პირველ შეტაკებებს უკავშირდება. სამხედრო თვალსაზრისით ფორმირებები მცირემასშტაბიანი და არაორგანიზებული იყო.

1990 წლის ოქტომბრის მრავალპარტიულ არჩევნებში ანტი-კომუნისტური მრგვალი მაგიდის გამარჯვების შემდეგ, ქართული სამხედრო სისტემის აღმშენებლობაში ახალი ეტაპი დაიწყო. ახალმა მთავრობამ ჩამოყალიბა ეროვნული გვარდია, რომლის სახელწოდება, ფუნქცია და შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი დაქვემდებარება მისი პარასამხედრო ბუნების გამოვლენა იყო; იგი პასუხს აგებდა საზოგადოებრივ წესრიგსა და სახელმწიფოს ტერიტორიულ მთლიანობაზე.[9] მისი, ჟანდარმერიის მსგავსი, ელფერი ორ მიზანს ემსახურებოდა: რჩებოდა რა საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში, ახალი ელიტა, მოსკოვის მხრიდან მწვავე რეაქციის შიშით, თავს იკავებდა ბოლომდე გაემჟღავნებინა სრული დამოუკიდებლობის მოპოვების სურვილი. ეროვნული არმიის ნაცვლად შიდა უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყების შექმნა ნაკლებ პროვოკაციული ჩანდა. მეორეს მხრივ, აშკარა საფრთხე, რომლის წინაშეც საქართველოს მთავრობა იდგა, სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ავტონომიური რეგიონების სეპარატისტული მოძრაობებიდან მომდინარეობდა. ამ მოძრაობის შესაჩერებლად პარასამხედრო ძალები ადექვატური ჩანდა. იმავდროულად საგარეო თავდაცვა საბჭოთა ცენტრის პასუხისმგებლობად რჩებოდა.[10]

მიუხედავად ზემოთ ნათქვამისა, ცხადი იყო, რომ ეროვნული გვარდია მომავალი ეროვნული შეიარაღებული ძალების ბირთვად მოიაზრებოდა. ახალი მთავრობა არ მალავდა, რომ ადრე თუ გვიან, ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება სურდა და ამ კონტექსტში გვარდიელებს სამშობლოს დამცველის როლს ანიჭებდა. ამ განზრახვამ პრაქტიკული ფორმა ეროვნული გვარდიის დაკომპლექტების და წრთვნის წესებით შეიძინა. ეროვნული გვარდია ორწლიანი სავალდებულო სამსახურის საფუძველზე კომპლექტდებოდა. ადრე შექმნილი ყველა პარასამხედრო ფორმირებისათვის სავალდებულო

[9] საქართველოს უზენაესი საბჭოს უწყებანი 12, 1990 წ.
[10] ახალი საქართველო, 10 ნოემბერი, 1990წ.

გახდა გვარდიაში შესვლა ან დაშლა. 1991 წლის გაზაფხულზე გვარდია 12 000 კაცისაგან შედგებოდა. ახალგაზრდები სავალდებულო გაწვევას დიდი ენთუზიაზმით ხვდებოდნენ, რაც ალბათ არ მოხდებოდა საზოგადოებას გვარდია პოლიციურ უწყებად რომ არ ჩაეთვალა. გვარდიაში ჩაეწერა ქართული წარმოშობის ბევრი საბჭოთა ოფიცერი. გვარდიის რიგებში შევიდა "თეთრი არწივი" და "იმედი." "მხედრიონი-მაშველთა კორპუსი" რომელმაც უარი განაცხადა გამსახურდიას მთავრობასთან შერიგებაზე, გაუქმებულად გამოცხადდა, მისი ბევრი წევრი კი დააპატიმრეს.

ამ ხნის განმავლობაში საქართველოში კვლავ განლაგებული იყო საბჭოთა არმიის დიდი შენაერთები. გარკვეული გარემოებებში, მათ შესაძლოა რაღაც როლიც შეესრულებინათ ეროვნული არმიის შექმნაში, როგორც ეს უკრაინასა და ბელორუსიაში მოხდა. მაგრამ საქართველოში ეს შეუძლებელი იყო. ჯერ ერთი, საბჭოურ შენაერთებში ქართველ ოფიცერთა რაოდენობა მინიმალური იყო. ამის ერთერთ მიზეზს წარმოადგენდა ის, რომ სსრკ-ს არსებობის ბოლო პერიოდში სამხედრო კარიერის პრესტიჟი ქართველებში საგრძნობლად დაეცა. 1978 – 1979 წლებში თბილისის საარტილერიო სასწავლებელში (ერთადერთი სამხედრო სკოლა საბჭოთა საქართველოში) რამოდენიმე ასეული კურსანტიდან მხოლოდ ოციოდე იყო ქართველი.[11] ერთ-ერთი ქართველი გენერლის შეფასებით, საბჭოთა კავშირის დაშლის პერიოდში, ქართველები საბჭოურ ეროვნებებს შორის 1 000 სულ მოქალაქეზე ოფიცრების რაოდენობით 72-ენი იყვნენ. ნაწილობრივ ამ მიზეზის, ისევე როგორც ქართულ საზოგადოებაში მზარდი ეთნიკურ-ნაციონალისტური განწყობის გამო, საბჭოთა ჯარები ოკუპაციურ ძალად მოიაზრებოდა. გამსახურდიას მთავრობის ერთ-ერთი ძირითადი მოთხოვნა მათი გაყვანა იყო. მართლაც, ისინი ნელ-ნელა ტოვებდნენ საქართველოს და როდესაც 1993 წლის შუახანებში ეს პროცესი დროებით შეჩერდა, ქვეყნის ტერიტორიაზე რჩებოდა ყოფილი საბჭოთა არმიის 15 000 – 25 000 მოსამსახურე, რომელთაც ამიერკავკასიის რუსული ჯარების ჯგუფის ბირთვი შეადგინეს.

[11] თბილისის საარტილერიო სკოლის ყოფილი კურსდამთავრებულნი; ინტერვიუ ავტორთან, დეკემბერი 1996 წ.

ქართული არმიის მშენებლობის მესამე სტადია 1991 წლის აპრილში, დამოუკიდებლობის დეკლარირებისა და გამსახურდიას პრეზიდენტად არჩევის შემდეგ დაიწყო. პარლამენტის თავმჯდომარის პოსტის პრეზიდენტობით ჩანაცვლების შემდეგ გამსახურდია შეეცადა გავლენიანი სამხედრო-სამოქალაქო ლიდერების ჩამოცილებას და სამხედრო ძალებზე პირადი კონტროლის დაწესებას. 1991 წლის 19 აგვისტოს საპრეზიდენტო განკარგულებით ეროვნული გვარდიის სტატუსი მილიციის სპეციალურ ქვედანაყოფამდე იქნა დაყვანილი, ხოლო გვარდიის სარდლის თანამდებობა გაუქმდა.

იმავდროულად, ჯერ კიდევ საბჭოთა რესპუბლიკებში ავტონომიური შეიარაღებული ძალების გაუქმების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა მოსკოვში მომხდარი 1991 წლის აგვისტოს პუტჩის მცდელობისას, საგანგებო მდგომარეობის სახელმწიფო კომიტეტის მიერ. გამსახურდიას საქციელი ნაწილობრივ მოტივირებული იყო მოსკოვიდან წამოსული მუქარის შიშით, რამაც, თავისთავად, საგრძნობლად შეარყია გამსახურდიას ავტორიტეტი მის მომხრეთა შორის. მაგრამ იმავდროულად, მოსკოვის მოთხოვნა გამსახურდიასათვის კარგი საბაბიც იყო ეროვნული გვარდიის დამოუკიდებელი ხელმძღვანელობის გზიდან ჩამოსაცილებლად. მოსკოვის სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ჩაშლისა და ცენტრისადმი თავად რუსეთის რესპუბლიკური ხელმძღვანელობის ურჩობის ფონზე, გამსახურდიამ 1991 წლის 9 სექტემბერს გამოსცა ბრძანებულება თავდაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ. გვარდიას დაუბრუნდა პირვანდელი სტატუსი, მაგრამ ახლა იგი უშუალოდ პრეზიდენტის დაქვემდებარებაში გადავიდა. მისი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა კი თავდაცვის სამინისტროს დაევალა.[12] პარალელურად იქმნებოდა შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარი, რომელზედაც გადადიოდა გვარდიის პოლიციური ფუნქციები.

სახელმწიფოს შენების გამსახურდიასეული სტრატეგიის ცვლილება ამ ისტორიული პერიოდის კონტექსტში უნდა იყოს გაგებული. საბჭოური მმართველობიდან დამოუკიდებლობისაკენ გარდამავალი პერიოდი დასრულდა. საქართველოს ტერიტორიაზე აღარ მოქმე-

[12] გენერალ-მაიორი გურამ ნიკოლაიშვილი, ინტერვიუ ავტორთან, ოქტომბერი 1996 წ.

დებდა საბჭოთა კანონები და სტრუქტურები. მაგრამ სახელმწიფოსა და არმიის აღმშენებლობა უმტკივნეულოდ არ მიმდინარეობდა და მოგვიანებით შეიარაღებული აჯანყებითა და გამსახურდიას მმართველობის დამხობით დამთავრდა. მოვლენათა ასეთი განვითარების მიზეზთა შორის ერთერთი იყო გამსახურდიას მარცხი სამხედრო აღმშენებლობის სფეროში. მთავრობის მერყევმა დამოკიდებულებამ ეროვნული გვარდიის მიმართ მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი სამხედრო რეფორმის პროცესის არასტაბილურობას. როგორც მალე გაირკვა, გვარდიელებმა პრეზიდენტს არ აპატიეს 19 აგვისტოს ბრძანებულებით მათი სტატუსის შელახვა, რამაც სათავე დაუდო 1991 წლის ზამთრის შეიარაღებულ აჯანყებას.

ქართული სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის ქაოსში სხვა ასპექტებიც იკვეთებოდა. აღსანიშნავია, რომ რამოდენიმე პარასამხედრო ფორმირება არასოდეს ყოფილა ინტეგრირებული ეროვნულ გვარდიაში. გამსახურდიას მხარდამჭერი მერაბ კოსტავას საზოგადოება ავტონომიასა და იარაღს ინარჩუნებდა. მისი ლიდერი ვაჟა ადამია პარლამენტში არსებულ თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისიას თავმჯდომარეობდა. იგი ითავსებდა პარტიის ლიდერის, ფორმირების სარდლისა და კანონმდებლის ფუნქციებს. იგივე შიეძლება ითქვას თენგიზ კიტოვანის შესახებ. ის ერთდროულად იყო პარლამენტის დეპუტატი, თავდაცვის სამთავრობო კომისიის თავმჯდომარე და ეროვნული გვარდიის სარდალი. კიტოვანის თანამდებობის ფონზე გვარდიის დაქვემდებარება შინაგან საქმეთა სამინისტროსადმი უბრალო ფორმალობას წარმოადგენდა. იგი პიროვნულ ლოიალობას აღვივებდა ყოფილი სამოქალაქო პირებისაგან დაკომპლექტებულ გვარდიის ოფიცრებში, რომელნიც თავადაც, ძირითადად, ყოფილი სამოქალაქო პირები იყვნენ და ნაკლებად იცნობდნენ პროფესიონალი სამხედროების ეთიკას. ამრიგად, ფორმალური იარლიყების საფარქვეშ, ქართულ შეიარაღებულ ძალებში ისევ კლანურ-ფეოდალური სულისკვეთება დომინირებდა. ერისადმი ერთგულების პოპულარული ლოზუნგი ვერ გადაიზარდა სახელმწიფო ინსტიტუტებისადმი ლოიალობაში.

1991 წლის აგვისტოში ადამიასა და კიტოვანის თანამდებობებიდან დათხოვის შემდეგ, რომლებსაც თავიდან არც ისე თანამშრომლობითი ურთიერთობები ჰქონდათ, გამსახურდიას წინააღმდეგ გაერთიანდა.

1991 წლის დეკემბერში გამსახურდიას მომხრეებსა და მოწინააღმდეგეებს შორის გამართულ თბილისის ომში კიტოვანსა და ადამიას ხელახლა შეკრებილი "მხედრიონიც" შეუერთდა. ამ სურათს ისიც ართულებდა, რომ ორივე მხარე რუსი სამხედროებისგან ელოდა მხარდაჭერას, ზოგი მაღალ პოლიტიკურ დონეზე, სხვები კი ადგილობრივად განლაგებული საბჭოთა ჯარების მეთაურებისაგან. გასაკვირი არაა, რომ რუსების ფრთხილი სიმპატიები აჯანყებულებისაკენ იხრებოდა. ნაციონალისტურმა რიტორიკამ გამსახურდიას კარგი სამსახური ვერ გაუწია რუსეთთან ურთიერთობაში.

1992 – 1993 წ.წ. საქართველოს სამხედრო აღმშენებლობის მეოთხე სტადიას წარმოადგენს. ეს ყველაზე ქაოტური და კონფლიქტებით დატვირთული პერიოდია საქართველოს უახლეს ისტორიაში. შესაბამისად, სამხედრო ძალები საგანგებო ვითარებაში, დაუგეგმავად იქმნებოდა - კონცეპტუალური ორიენტირის გარეშე.[13] ქაღალდზე ყველაფერი მეტნაკლებად ორგანიზებული ჩანდა, თუმცა ხშირი ცვლილებებით დაღდასმული. 1992 წ. იანვარში უმაღლესი ხელისუფლება ამბოხებულთა მიერ შექმნილ სამხედრო საბჭოს ხელში აღმოჩნდა, თუმცა მოკლე ვადით. ორიოდ თვეში მას ჩაენაცვლა სახელმწიფო საბჭო ედუარდ შევარდნაძის ხელმძღვანელობით, რომელიც დაბრუნდა რუსეთიდან. თავდაცვის სამინისტროს ორგანიზება შევარდნაძემ თითქმის ნულიდან დაიწყო. გადაწყდა ჯარების საარმიო კორპუსებად ორგანიზება. 1992 წლის აპრილში შეიქმნა პირველი ნამდვილი საარმიო ნაწილის - მეთერთმეტე ბრიგადა. ზაფხულში რუსმა სამხედრო მოხელეებმა საქართველოში განლაგებული საბჭოთა საწყობებიდან ჩვეულებრივი შეიარაღების დიდი რაოდენობა გადასცეს თავდაცვის ახალ სამინისტროს. იმავე წელს დაარსდა სასაზღვრო ჯარი. ეროვნულ გვარდიას თავდაცვის სამინისტროს "სწრაფი რეაგირების კორპუსი" ეწოდა და თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებაში შევიდა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კვლავინდებურად შეუნარჩუნდა შინაგანი ჯარების კონტროლი.

1993 წელს მთავრობა შეუდგა მაშველთა კორპუსის დამოუკიდებელი დეპარტამენტის ფორმირებას, რომელშიც "მხედრიონელთა"

[13] Richard Wolff, "The Armed Forces of Georgia-An Update", Jane's Intelligence Review, Europe ტომი 6, #12, დეკემბერი 1994 წ., გბ 559-561

დიდი ნაწილი უნდა შესულიყო. დანარჩენებს კი შეიარაღებულ ჯარებში გაერთიანება დაევალათ. თუმცა, რეალურად, როგორც ეროვნული გვარდია ისე "მხედრიონიც" დამოუკიდებლობას ინარჩუნებდა. იოსელიანი, რომელიც 1992 წლის შემოდგომაზე პარლამენტის წევრი და უშიშროებისა და თავდაცვის[14] ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე გახდა, ისევ "მხედრიონის" შეუცვლელ სარდლად რჩებოდა. გია ყარყარაშვილი იყო ერთადერთი პიროვნება, ვისაც გვარდიელები ემორჩილებოდნენ, როდესაც მან კიტოვანი შეცვალა გვარდიის სარდლის თანამდებობაზე. 1993 წლის მაისში, როდესაც შევარდნაძე კიტოვანს დაუპირისპირდა, ამ უკანასკნელის პოსტი - თავდაცვის მინისტრობა - ყარყარაშვილს ერგო. ამიერიდან ყარყარაშვილი შეიარაღებული ძალების ინტეგრაციით დაინტერესდა. შეიარაღებული ძალების ახალი, 1993 წლის მაისში შემუშავებული სტრუქტურა აღარ ახსენებდა სწრაფი რეაგირების კორპუსსა თუ ეროვნულ გვარდიას. გვარდიის ბატალიონები მეთერთმეტე არმიის ბრიგადაში გაერთიანდა. დაჩქარდა პირველი და მეორე კორპუსების ფორმირება. თუმცა მხედრიონი ამ პროცესში არ მონაწილეობდა.

1992 – 1993 წლების აფხაზეთის კონფლიქტის დროს ქართული შეიარაღებული ძალების საკადრო და ორგანიზაციული ცვლილებების თვალსაზრისით, რეალური პროგრესი არ შეიმჩნეოდა. ბატალიონები მხოლოდ რამოდენიმე ათეული კაცით იყო დაკომპლექტებული. რიგ შემთხვევებში ისინი თვითონ ირჩენდნენ მეთაურს. მებრძოლთა დიდ ნაწილს უჭირდა დასახელება, თუ რომელ შენაერთს ეკუთვნოდა მისი რაზმი. რიგი ფორმირებები ე.წ. უბნების საძმოებით იყო დაკომპლექტებული. იყო შემთხვევები, როდესაც ჯარისკაცები და ახალგაზრდა ოფიცრები ფრონტის ხაზზე ყოფნის ვადებს თავად განსაზღვრავდნენ; რიგ შემთხვევებში ერთი დანაყოფიდან მეორეში ინაცვლებდნენ. თვით თავდაცვის მინისტრიც კი ზოგჯერ არსებითად, ბატალიონის მეთაურის ფუნქციას ასრულებდა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაცვის სამინისტროს 1993 წლის მაისში მიღებული ახალი სტრუქტურით, ეროვნული გვარდია გაუქმებულად ითვლებოდა, როგორც მაღალი რანგის ერთერთი მეთაური იხსენებდა, მას

[14] 1995 წელს, კონსტიტუციის მიღების შემდეგ, აღნიშნულ სტრუქტურის ნაცვლად ეროვნული უშიშროების საბჭო შეიქმნა.

არასოდეს შეუწყვეტია ფუნქციონირება.[15] 1993 წლის ოქტომბერში კი შევარდნაძემ გვარდიის ფორმალური აღდგენის ბრძანება გამოსცა.

სამხედრო ხელმძღვანელები ფაქტიურად ე.წ. საველე მეთაურების კატეგორიას განეკუთვნებოდნენ და სამოქალაქო ხელისუფლების მიმართ გარკვეულ ინდიფირენტობას იჩენდნენ. სამხედრო ძალებზე საპარლამენტო კონტროლი მხოლოდ ქაღალდზე რჩებოდა ან საერთოდ არ არსებობდა. მინისტრის პოსტზე დანიშნული კიტოვანი რიგ შემთხვევებში შევარდნაძეს ეწინააღმდეგებოდა თავდაცვის საკითხებში, მიაჩნდა რა, რომ სახელმწიფოს მეთაურს მხოლოდ საგარეო პოლიტიკის მოგვარება ეკისრებოდა. ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე მან განაცხადა, რომ პარლამენტსა და შევარდნაძეს კი არა, "ხალხსა" და არმიას უნდა გადაეწყვიტა ვინ იქნებოდა თავდაცვის მინისტრი.

ნახევრად ავტონომიური ფორმირებების გარდა არსებობდნენ ხელისუფლებას სრულიად დაუმორჩილებელი რაზმებიც. დამხობილი პრეზიდენტის, გამსახურდიას შეიარაღებული მომხრეები პერიოდულად ახერხებდნენ დასავლეთ საქართველოს რაიონების გაკონტროლებას და აფხაზეთში განლაგებული ჯარების თბილისისგან მოწყვეტას. იმავე პერიოდში აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე საკუთარ ლაშქარს აყალიბებდა.

გამსახურდიასგან განსხვავებით, შევარდნაძემ მაინც შესძლო გარკვეული კონტროლის შენარჩუნება რთულ და დაქუცმაცებულ სამხედრო-პოლიტიკურ გარემოზე. მისი პოპულარობის მთავარი იარაღი პიროვნული გავლენა იყო, რადგან ქართული პოლიტიკური სცენის თითქმის ყველა მოთამაშე თვლიდა, რომ მხოლოდ შევარდნაძეს შეეძლო სართაშორისო თანადგომის მოპოვება. ამასთან ერთად იგი "დაჰყავი და იბატონეს" მისთვის კარგად ჩვეულ მეთოდსაც იყენებდა და ერთდროულად არასოდეს უპირისპირდებოდა ყველა შეიარაღებულ ლიდერს. აუცილებლობის შემთხვევაში შევარდნაძე გამსახურდიას მომხრეებთან საერთო ენის გამონახვასაც არ თაკილობდა. ასეთი მეთოდებით მან თანდათან ჩამოიშორა გზიდან კიტოვანი, იოსელიანი და შეიარაღებული ჯგუფების ნაკლებ ცნობილი

[15] მაიორი კობა ლიკლიკაძე, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს პრესცენტრის უფროსი, ინტერვიუ ავტორთან, 27 სექტემბერი, 1999 წ.

ლიდერები. თავისი ძალაუფლების კონსოლიდაციისათვის მან მშვენივრად გამოიყენა უცხოური თანადგომა და საერთაშორისო მხარდაჭერა, რაც გამსახურდიას არასოდეს ქონდა.

1994 – 1995 წლები გადამწყვეტი პერიოდი აღმოჩნდა შევარდნაძის პიროვნული ძალაუფლების კონსოლიდაციისათვის. ეს წლები შეიძლება ჩაითვალოს საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნის მეხუთე ეტაპად. აფხაზეთში განცდილი მარცხის შემდეგ, შევარდნაძემ 1993 წლის ოქტომბერში დამოუკიდებელი სახელმწიფოების თანამეგობრობაში გაწევრიანების გადაწყვეტილება მიიღო და საქართველოში რუსული ჯარების ყოფნაც დააკანონა. ამ ნაბიჯით იგი გამსახურდიას მომხრეთა წინააღმდეგ რუსეთის მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა; გამსახურდიამ ისარგებლა შევარდნაძის მარცხით აფხაზეთში და დასავლეთ საქართველოს დიდ ნაწილზე საკუთარი კონტროლის დამყარება დაიწყო. შევარდნაძის გადაწყვეტილებათა შედეგად საქართველოს შინაგან საქმეთა, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სამინისტროები მოსკოვის ფავარიტების ხელში გადავიდა. ამ პოლიტიკამ სათავე დაუდო ნახევრად კანონიერი შეიარაღებული ფორმირებებისა და იმ სამხედრო ლიდერების გზიდან ჩამოცილებას, რომელთა თვითნებური მოქმედებები ცენტრალურ ხელისუფლებას უქმნიდა საფრთხეს. თუმცა ამით სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე მდგომი პრობლემები არ ამოწურულა.

უშიშროების ახალი მინისტრი იგორ გიორგაძე გამორჩეულად ძლიერ ფიგურად წარმოჩნდა და შესაბამისად შევარდნაძის ეჭვების ახალი ობიექტიც გახდა. სავარაუდოდ, გიორგაძე უკანონო იარაღისა და სიგარეტის კონტრაბანდაში მონაწილეობდა თავისი რუსული ნაცნობობის წყალობით. რუსეთის უშიშროებისა და სამხედრო მაღალჩინოსნები მას უფრო უცხადებდნენ ნდობას ვიდრე შევარდნაძეს, რომელსაც საბჭოთა იმპერიის დამანგრევლად მოიაზრებდნენ. შვარდნაძისა და გიორგაძის კონფლიქტი 1995 წელს გამოაშკარავდა. იმ პერიოდში უკვე წარსულს ბარდებოდა შეიარაღებულ ფორმირებათა უკონტროლო თარეში თარეში. ქართველები მოუთმენლად ელოდნენ მშვიდობის დამყარებას და ეკონომიური პირობების გაუმჯობესების პერსპექტივას, განსაკუთრებით კი მას შემდეგ რაც დასავლეთმა ინტერესი გამოიჩინა საქართველოს მიმართ. როგორც აღმოჩნდა, გიორგაძეს უნარი არ შესწევდა პოლიტიკურად ან ძალის

გამოყენებით მეტოქეობა გაეწია შვარდნაძისათვის. სამოქალაქო თუ ეთნიკური ომების ქარტეხილით გატანჯული საქართველოს მოსახლეობა სამხედრო ფორმიან მმართველს ნაკლებად შეეგუებოდა. გარდა ამისა გიორგაძეს დიდი სამხედრო ძალაც არ გააჩნდა. 1994 წელს რუსეთის დახმარებით შექმნილი უშიშროების სამინისტროს სპეციალური ბრიგადა ვერ აჯობებდა სხვა, ე.წ. ძალოვანი უწყებების[16] კოლექტიურ ძალას, რომლის ლიდერებსაც თავისი საკუთარი ამბიციები გააჩნდათ.

წინა წლების მსგავსად, შევარდნაძე კვლავ განაგრძობდა შეიარაღებული უწყებების მომრავლების და მათი ერთმანეთით დაბალანსების ჩვეულ პოლიტიკას. 1995 წელს ამ პოლიტიკამ შძედეგი გამოიღო. 1992-1993 წლების სამოქალაქო და ეთნიკური კონფლიქტების დროს შექმნილ უწყებებთან შედარებით, ახალი ძალოვანი სტრუქტურები უკეთ ინსტიტუციონალიზებული და დისციპლინირებული გახდა. ასეთ გარემოებაში მოსკოვი ველარ დაუჭერდა მხარს ახალ გადატრიალებას - რადგან ეს უკვე აშკარად მიუღებელი იქნებოდა ქართველი და ევროპული საზოგადოებისათვის. რუსეთისათვის უფრო გონივრული ხდებოდა თავად შევარდნაძესთან თანამშრომლობა.

1995 წლის აგვისტოში სახელმწიფოს მეთაურზე განხორციელებული თავდასხმის მცდელობის შემდეგ, რომლის სრულყოფილი გამოძიებაც კვლავ მომავლის საქმედ რჩება, შევარდნაძემ მისი პიროვნული ძალაუფლებისათვის ყველაზე საშიში ფიგურები - გიორგაძე და მხედრიონის ლიდერი ჯაბა იოსელიანი მოიცილა. თავდასხმის ორგანიზება მათ დაბრალდათ. ამ დროისათვის მომძლავრებული პოლიცია თანდათან ანიარაღებდა და შლიდა მხედრიონს, რაც იოსელიანს თანდათანობით იზოლაციაში აქცევდა. 1995 წლის სექტემბერში საქართველოში განლაგებული რუსეთის სამხედრო

[16] ძალოვანი უწყებები სიტყვასიტყვითი თარგმანია რუსული ცნებისა "силовые структуры". ეს გამოთქმა მიღებულია პოსტსაბჭოტა ქვეყნებში და გულისხმობს არმიას, პოლიციას, უშიშროების სტრუქტურებს, სასაზღვრო დაცვას და რიგ სხვა გასამხედროებულ ძალებს, რომლებიც არასოდეს ყოფილა სწორად და ბოლომდე ურთიერთგამიჯნული. დაწვრილებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ინგლისურენოვანი ჟურნალი "ძალოვანი ინსტიტუტები პოსტ. საბჭოურ ინსტიტუტებში" http//www.pipss.org/

ბაზიდან გიორგაძე რუსეთში გაიქცა, რამაც კიდევ უფრო გააძლიერა თავდასხმის მცდელობაში მისი (და რუსი ჩინოსნების) პიროვნული მონაწილეობის ეჭვი. გიორგაძის გაქცევამ, ისევე როგორც იოსელიანის დაპატიმრებამ დააჩქარა თავდაცვისა და უსაფრთხოების რეფორმის შემდგომი ეტაპი. შევარდნაძეს მეტი თავისუფლება მიეცა პირადი არჩევანით წარემართა სამხედრო აღმშენებლობა, რადგან მის გარშემო შემოკრებილ პოლიტიკოსებსა და სამხედრო მაღალ-ჩინოსნებს ძალა და გავლენა არ ეყოფოდათ, რომ მისი სურვილის წინააღმდეგ წასულიყვნენ.

1995 წლის შემოდგომიდან 1998 წ. გაზაფხულამდე სამხედრო მშენებლობის ახალი, რიგით მეექვსე ეტაპი მიმდინარეობდა. რუსეთის არმიის ქართული წარმოშობის გენერალი ვარდიკო ნადიბაიძე, რომელიც ადრე საქართველოში განლაგებული რუსული კონტინ-გენტის სარდლის მოადგილე იყო, 1998 წლის გაზაფხულამდე უძღვებოდა საქართველოს შეიარაღებულ ძალებს. 1994 წლის დამდეგს, როდესაც მან თავდაცვის მინისტრის პოსტი დაიკავა, ქართულ არმიას დაახლოებით 50 სხვადასხვა ზომისა და მისიის დანაყოფი შეადგენდა და მათში 49 000 კაცი ირიცხებოდა.[17] სამხედრო გაწვევა იმ პერიოდში[18] სპორადულად ან დაბალი მასშტაბით ხდებოდა. შესაბამისად, არმიისა და ეროვნული გვარდიის დანაყოფებში ძირითადად მოხალისეები შედიოდნენ. სამხედრო სამსახურში ჩარიცხული ბევრი ოფიცერი და ჯარისკაცი იშვიათად ცხადდებოდა თავის ნაწილში. აღნიშნული 49 000 კაციდან ერთდროულად მხოლოდ რამოდენიმე ათასი ჯარისკაცი თუ იმყოფებოდა დისლოკაციის ადგილზე.

ნადიბაიძის მინისტრობის დროს არმიის რიცხოვნობა შემცირდა და სამხედრო გაწვევების სისტემა უფრო ორგანიზებული გახდა. ბევრმა არაპროფესიონალმა ოფიცერმა დატოვა არმიის რიგები, რომელსაც ახლა მეტწილად საბჭოთა სამხედრო გამოცდილების მქონე ასაკოვანი გენერლები უძღვებოდნენ. 1996 წელს ახალმა სისტემამ მეტ-ნაკლებად დასრულებული ფორმა შეიძინა. საარმიო კორპუსის

[17] სარკე, ოქტომბერი 18, 1995

[18] გაწვევა წარმოებდა 1992 წელს მიღებული კანონით "თავდაცვისა და საყოველთა სავალდებულო სამსახურის შესახებ" სინამდვილეში კანონ-მდებლობა ნაკლებად მოქმედებდა.

სისტემა გაუქმდა იმ მიზეზით, რომ იგი გამოუსადეგარ ბიუროკრატიულ რგოლად ჩათვალეს ბრიგადებსა და უმაღლეს სარდლობას შორის. თავდაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული შეიარაღებული ძალები, რომელიც ახლა 30 000 კაცს ითვლიდა, 7 მოტომსროლელი, 1 შერეული ტიპის საზღვაო ბრიგადებად, საჰაერო თავდაცვისა და საჰაერო ძალების დანაყოფებად და რამოდენიმე ცალკეულ ბატალიონად დაიყო. ეროვნული გვარდია თავდაცვის სამინისტროს დეპარტამენტად გადაიქცა და მისი საველე ნაწილები ერთი ბრიგადის შემადგენლობაში გაერთიანდა.[19]

თავდაცვის სამინისტროს ჯარები მთავრობის ერთადერთ სამხედრო რესურსს არ წარმოადგენდა. 1994 წელს სასაზღვრო ძალები გამოეყო თავდაცვის სამინისტროს. იმავე წელს შევარდნაძემ სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური შექმნა. 1995 წელს უსაფრთხოების სამინისტროსთან არსებული სპეციალური ბრიგადა შინაგან საქმეთა სამინისტროს გადაეცა. 1997 წელს, სპეციალური საპარლამენტო დადგენილებით, სამხედრო ძალების საერთო რაოდენობა 42 000 ჯარისკაცითა და ოფიცერით განისაზღვრა.

სამხედრო მოსამსახურეთა რაოდენობის პარლამენტის დონეზე განსაზღვრა ერთადერთი საკანონმდებლო სიახლე არ ყოფილა. 1995 წელს მიღებული კონსტიტუცია სამხედრო რეფორმირების პროცესსაც შეეხო, განსაკუთრებით სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის სფეროს. ახალი კონსტიტუციით, საქართველო საპრეზიდენტო მმართველობის სიტემაზე გადავიდა. პრეზიდენტივე ახორციელებდა სამხედრო ძალების უმაღლესი მთავარსარდალის ფუნქციას. 1995 წ. საპარლამენტო და საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, სამოქალაქო კონტროლის საკანონმდებლო საფუძვლების ხელახალი ფორმირება დაიწყო. აღსანიშნავია კანონები თავდაცვის, სახელმწიფო საიდუმლოების, ნდობის ჯგუფის შესახებ და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი. 1998 წელს პარლამენტის სამი წევრისგან შემდგარი ნდობის ჯგუფი შეიქმნა, რომელსაც მონიტორინგი უნდა განეხორციელებინა სამხედრო და უსაფრთხოების საიდუმლო პროგრამაზე.

[19] პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის წევრები, ინტერვიუ ავტორთან ოქტომბერი, 1996.

სამხედრო ძალების უახლესი ისტორიის მე-7 ეტაპი 1998 წელს დაიწყო. უსაფრთხოების ყოფილი მინისტრის ჯემალ გახოკიძის თქმით, ამ წელს გადაწყდა, რომ საქართველოს უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიკის ვექტორი ერთხელ და საბოლოოდ დასავლეთისკენ იქნებოდა მიმართული.[20] იმავე წელს ევროპის საბჭომ გადაწყვიტა დაეკმაყოფილებინა საქართველოს გაწევრიანების სურვილი. დასავლური ნავთობის კომპანიები, ისევე როგორც შეერთებული შტატებისა და თურქეთის მთავრობები საბოლოოდ დათანხმდნენ დიდი აღმოსავლეთ-დასავლეთის ნავთობსადენის მშენებლობას საქართველოს ტერიტორიის გავლით. დასავლეთის მზარდი დაინტერესებით გამხნევებულმა შევარდნაძემ, რომლისათვისაც ასევე ნათელი ხდებოდა, რომ დაკარგულ ტერიტორიებს რუსეთის დახმარებით ვეღარ დაიბრუნებდა, დსთ-ს კოლექტიური უშიშროების ხელშეკრულების დატოვება გადაწყვიტა. საქართველოს მთავრობამ უფრო აქტიურად დაიწყო მუშაობა ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის მიმართულებით. დღის წესრიგში დგებოდა ნატოში გაწევრიანების სურვილის დეკლარირება.

ახალი ორიენტაციის სიმტკიცეზე მოგვიანებით გაჩენილი ეჭვების მიუხედავად, ეს ცვლილებები აიძულებდა საქართველოს მთავრობას მეტი გაეკეთებინა სამხედრო ძალების მართვისა და კონტროლის მექანიზმების დასავლურ სტანდარტებზე გადასაყვანად. 1998 წლის აპრილში ნადიბაიძე თავდაცვის მინისტრის პოსტიდან გაათავისუფლეს. იგი ერთერთი პარასამხედრო ფორმირების ყოფილმა მეთაურმა დავით თევზაძემ შეცვალა. იმავე პერიოდში პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის თავჯდომარე რევაზ ადამიამ დაარწმუნა პრეზიდენტი უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭოს (ISAB) შექმნის საჭიროებაში, რომელიც ბალტიისპირეთის ქვეყნებში არსებული მსგავსი ინსტიტუტების ანალოგი იქნებოდა. 1999 წელს ISAB-მა წარმოადგინა რეკომენდაციები, რომლებიც სამხედრო ძალების რიცხოვნობის შემცირებას, უწყებათაშორისი პარალელიზმის აღმოფხვრას, ოფიციალური ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის და თავდაცვის თეთრი წიგნის შექმნას და თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე სამო-

[20] ახალი თაობა, ოქტომბერი 19, 1999

ქალაქო პირის დანიშვნას გულისხმობდა. იმავდროულად შეერთებული შტატების ექსპერტები საქართველოს თავდაცვის სამინისტროს ეხმარებოდნენ დასავლური სტანდარტების გენერალური შტაბის, თავდაცვის რესურსების მართვის ცენტრის შექმნასა და თავდაცვის ბიუჯეტის შემუშავებაში. მაგრამ, საბოლოო ჯამში, მთავრობამ ვერ შეძლო ამ რეკომენდაციათა განხორციელება.

2001 წ. 11 სექტემბრის ცნობილი მოვლენების შემდეგ შეერთებული შტატების მიერ ტერორიზმის წინააღმდეგ დაწყებულმა ომმა საინტერესო გვერდითი ეფექტი იქონია ქართულ სამხედრო ძალებზე. რეფორმატორულად განწყობილ სამხედრო და პოლიტიკურ ლიდერებთან კონსულტაციით, შეერთებულმა შტატებმა წამოიწყო წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (GTEP). შედეგად, 2003 წლისათვის ქართულმა არმიამ მიიღო დაბალი ინტენსივობის კონფლიქტებში სამოქმედოდ გაწრთვნილი 4 პროფესიონალური ბატალიონი. შევარდნაძის მთავრობის წინააღმდეგობრივი სამხედრო საქმიანობიდან ეს იყო ბოლო და ალბათ ყველაზე მიზანმიმართული ნაბიჯი.

თბილისმა ვერ მოახერხა ქვეყანაში განლაგებულ შეიარაღებულ ძალებზე სრული კონტროლის დაწესება. აფხაზეთსა და ოსეთში არსებულ უკონტროლო ძალებს კვლავ ემატებოდა აჭარის ლიდერის, ასლან აბაშიძის რაზმები. ვარდების რევოლუციის დროს ასლან აბაშიძის დაქვემდებარებაში, გადმოცემით, დაახლოებით ოცი ტანკი და ჯავშანმანქანა, რამდენიმე შვეულმფრენი და სანაპირო კატერები შედიოდა. მისი სპეციალური დანაყოფები 500 – 1000 კაცისგან შედგებოდა. შევარდნაძეს არასოდეს შეეძლო გაეკონტროლებია აბაშიძის საქმიანობა და მისი თანამშრომლობა ბათუმში განლაგებული სამხედრო ბაზის ხელმძღვანელობასთან. უფრო მეტიც, თბილისმა ვერ შესძლო საერთო ენის გამონახვა მოსკოვთან ამ დროისათვის დარჩენილი ორი რუსული ბაზის (ბათუმის და ახალქალაქის) გაყვანის შესახებ, რის თაობაზეც მხარეებს უნდა მოელაპარაკათ 1999 ნოემბრის ეუთოს სამიტზე მიღწეული შეთანხმების თანახმად. 2004 წლის დასაწყისში 3000-6000 რუსი სამხედრო კვლავ რჩებოდა ბათუმისა და ახალქალაქის ბაზებზე. ქვეყნის დასავლეთში (აფხაზეთის კონფლიქტის ზონის მიმდებარე) და პანკისის ხეობაში მოქმედი პარტიზანული და კრიმინალური დაჯგუფებები კი გასამხედროებული ფორმირებების მესამე სახეობა იყო, რომელიც საქართ-

ველოს მთავრობის კონტროლს არ ექვემდებარებოდა. 2002 წელს, რუსეთისა და შეერთებული შტატების მოთხოვნით, ქართულმა სამართალდამცავმა უწყებებმა ბოლოსდაბოლოს სპეციალური ოპერაცია განახორციელეს პანკისის ხეობაში. სხვადასხვა წყაროების თამახმად, ქართველებთან შეტაკების თავიდან ასაცილებლად, ჩეჩნურმა შეიარაღებულმა ფორმირებებმა ხეობა დატოვეს.[21]

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ 1994 წლის შემდეგ შევარდნაძის რეჟიმმა წარმატებას მიაღწია იარაღიანი ხალხის თარეშის აღკვეთაში. გარდა ამისა, სამხედრო ძალები შეიძინა უფრო დისციპლინირებული გახდა. მაგრამ მთავრობამ ვერ შეძლო აუცილებელი რეფორმების გატარება. მან ვერ მოახერხა ეფექტური თავდაცვის სისტემის შექმნა და სამოქალაქო კონტროლისა და ზედამხედველობის ქმედითი დემოკრატიული მექანიზმების დანერგვა. სულ უფრო მკვიდრდებოდა აზრი, რომ საქართველო სუსტი, მეტიც, არშემდგარი სახელმწიფოა. ყოველივე ეს განსაკუთრებით ნათელი ხდებოდა ვარდების რევოლუციის წინა პერიოდში.

წინამდებარე თავის მომდევნო ორი ნაწილი სამხედრო რეფორმის იმ ორ მნიშვნელოვან გამოწვევას ეხება, რომლის მიმართაც შევარდნაძის ადმინისტრაციამ ადეკვატური ზომები ვერ მიიღო. პირველი სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის განხორციელებაა, მეორე კი, თავდაცვისა და უსაფრთხოების სტრატეგიის განვითარება.

სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლი

“მე მესმის, თუ რისთვისაა პოლიცია - უთხრა ერთხელ შევარდნაძემ თავის ერთერთ მრჩეველს - და როგორ წარმართს იგი ყოველდღიურ საქმიანობას, მაგრამ ნეტავ ეს სამხედროები რაღაზე ფიქრობენ თავიანთ ყაზარმებში?”[22] ამ რემარკამ გამოამჟღავნა

[21] რუსული ბაზების საკითხსა და პანკისში განლაგებულ ჩეჩენთა გამო რუსეთთან კონფლიქტის შესახებ იხილეთ ჯაბა დევდარიანისა და ოქსანა ანტონენკოს ნაშრომები წინამდებარე კრებულში.

[22] ყოფილი მაღალჩინოსანი საქალაქო პირი. კონფიდენციალური ინტერვიუ ავტორთან, თებერვალი 2003.

შევარდნაძის ღრმა ეჭვი სამხედროების მიმართ, ისევე როგორც დემოკრატიული სამხედრო - სამოქალაქო ურთიერთობის უცოდინარობა. სამუელ ჰანტინგტონის ტერმინი რომ გამოვიყენოთ, სამხედროებზე სამოქალაქო კონტროლი საქართველოში 1995 წლისათვის "სუბიექტურობას" ინარჩუნებდა.[23] შეიარაღებული ძალების პოლიტიკური და სამართლებრივი დაქვემდებარების ხაზები ბუნდოვანი იყო. სხვადასხვა სამთავრობო სტრუქტურები და პოლიტიკური დაჯგუფებები ექიშპებოდნენ ერთმანეთს სამხედრო სისტემის გაკონტროლებასა და მართვაში იმდაგვარად, რომ თავად სამხედროებს საკუთარი პოლიტიკური თუ პიროვნული ინტერესებით მოქმედების შესაძლებლობა ეძლეოდათ.

თავდაცვის საკითხებში ერთიანი ხედვის არარსებობა მნიშვნელოვანწილად 1995 წლის კონსტიტუციიდანაც მომდინარეობდა. ამ დოკუმენტის მიხედვით პარლამენტს ევალებოდა საშინაო და საგარეო პოლიტიკის მთავარი მიმართულებების განსაზღვრა, პრეზიდენტს კი ამ პოლიტიკის წარმართვა ჰქონდა დაკისრებული.[24] ქართულ ენაში ტერმინების "განსაზღვრა" და "წარმართვა" - მნიშვნელობა ძნელად გასამიჯნია. ეს ორაზროვნება თავის თავში გულისხმობდა იმის შესაძლებლობას, რომ ინსტიტუციურ ჩარჩოებზე მაღლა პირადი გავლენა, ქარიზმა დამდგარიყო. ან, თუნდაც მეორე მაგალითი: საქართველოს კონსტიტუციის 98-ე მუხლით პრეზიდენტი განესაზღვრავდა სამხედრო ძალების სტრუქტურას, ხოლო მათი რაოდენობა პარლამენტს უნდა დაედგინა. შედეგად, თუ პრეზიდენტი და პარლამენტი ვერ შეთანხმდებოდნენ არმიის შემადგენლობის დადგენაზე, პრობლემა იოლად ვერ მოგვარდებოდა. არც ის იყო იოლად გასაგები, როგორ შეეძლო პრეზიდენტს შეიარაღებული ძალების სტრუქტურის განსაზღვრა თუ არ იქნებოდა დარწმუნებული, რომ პარლამენტი უზრუნველყოფდა მას საჭირო იარაღითა და სამხედრო მოსამსახურეებით.

---

[23] Samuel P. Huntington, *The Soldier and the State: the Theory and Politics of Civil-Military Relations* (New York: Vintage Books, 1964) გვ. 162-192. ჰანტინგტონი ეხება სიტუაციებს, როდესაც სხვადასხვა პოლიტიკურ ორგანოებს აქვთ ზედამხედველობის პარალელური როლები, რაც სამხედროებს პოლიტიკურ ვაჭრობაში ჩართვის შანსს აძლევს.

[24] საქართველოს კონსტიტუცია, მუხლები 48, 49.

უფრო მეტიც, რიგ შემთხვევებში, პარლამენტის მიერ მიღებული კანონები ეწინააღმდეგებოდა საქართველოს კონსტიტუციას. მაგალითისათვის, კონსტიტუციის 78-ე მუხლი კრძალავდა უშიშროების, საპოლიციო და შეიარაღებული ძალების ნებისმიერ გაერთიანებას. მაგრამ 1997 წლის კანონით თავდაცვის შესახებ შინაგან საქმეთა სამინისტროს შიანაგანი ჯარები სამხედრო ძალების ნაწილად ცხადდებოდა. ამასთან, შინაგანი ჯარების კანონის თანახმად, საგანგებო სიტუაციების შემთხვევაში მათ სარდალს ადგილობრივი პოლიციის მოქმედების კოორდინაცია ევალებოდა.[25]

საქართველოს კანონების წინააღმდეგობრიობის ნათელი ილუსტრაციაა სახელმწიფო საიდუმლოების საკითხიც. საკმაოდ ლიბერალური ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის თანახმად, თავდაცვის სფეროში საიდუმლო იყო ინფორმაცია ოპერატიულ გეგმებზე, მოქმედ ოპერაციებსა და მათ მონაწილეებზე. მაგრამ სახელმწიფო საიდუმლოებების ნუსხა, რომელიც იგივე სახელწოდების სპეციალურ კანონს ერთვოდა, კრძალავდა ინფორმაციის გამჟღავნებას სამხედრო ძალების განვითარებასა და ორგანიზაციაზე, ნაწილთა შექმნაზე, ჯარების და იარაღის რაოდენობაზე, სამხედრო დანაყოფებში მათ განაწილებაზე.[26]

წინააღმდეგობრიობათა ჩამონათვალი კიდევ უფრო შორს მიდის. ზოგიერთი კანონი რეალურად რომ ამოქმედებულიყო, პრეზიდენტსა და პარლამენტს შორის უამრავ, გადაუწყვეტელ გაუგებრობას ექნებოდა ადგილი. რიგი სხვა კანონებისა კი ძალზე მცირე შანსს დატოვებდა დემოკრატიული ანგარიშგებისა და გამჭვირვალობისათვის. ასე მაგალითად, კანონით სახელმწიფო საიდუმლოების შესახებ შეუძლებელი გახდებოდა კვალიფიციური საპარლამენტო დებატების ჩატარება თავდაცვის სამინისტროს ხარჯების შესახებ. თუმცა, რეალურად, ასეთი დებატები, მართალია არაპროფესიონალურად და შეზღუდული ინფორმირების პირობებში, მაინც იმართებოდა. დეპუტატები არ ფლობდნენ ინფორმაციას თავდაცვის ბიუჯეტის სპეციფიკური დეტალების შესახებ, რომ აღარაფერი ვთქვათ სამხედროების არასაბიუჯეტო შემოსავლებსა და ხარჯებზე. სიმპტომატურია, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტისა

[25] კანონი შინაგანი ჯარების შესახებ, აპრილი 30, 1998
[26] საქართველოს რესპუბლიკა, თებერვალი 4, 1997

და ნდობის ჯგუფის თავჯდომარემ, რომელსაც ნებისმიერი საიდუმ-ლო ინფორმაცია უნდა ჰქონოდა, 2000 წლის მარტში განაცხადა, რომ მას არ მიუწვდებოდა ხელი თავდაცვის სამინისტროს დაფინანსების დეტალებზე.[27]

საერთოდ, ამ სფეროში კანონი მუდმივად ირღვეოდა. პოლი-ტიკოსებს, ჟურნალისტებსა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს ყაზარმების ვიზიტისას პრობლემები ნაკლებად ექმნებოდათ. ოფიცერთა გამოკითხვით, რომელთაც ან არ იცოდნენ კანონის მოთხოვნები, ან არ ადარდებდათ მათი სიმკაცრე, ისინი სისტემატურად ეცნობოდნენ ნაწილებში არსებულ მდგომარეობას. მეორე მხრივ, თავდაცვის სამინისტრო უგულვებელყოფდა თავის კანონიერ მოვალეობას ნდობის ჯგუფისთვის სწორი ფინანსური ინფორმაციის მიწოდების შესახებ. ასე მაგალითად, თავდაცვის სამინისტრო ასხვისებდა გამოუყენებელ ქონებას, მაგრამ პარლა-მენტარები ვერაფრით იგებდნენ ამგვარად მიღებული არასაბიუჯეტო შემოსავლების ოდენობას.

პრობლემის სათავე კორუფციასა და სახსრების არამიზნობრივ ხარჯვაშია საძიებელი, რაც ფართოდ იყო გავრცელებული შევარდ-ნაძის მმართველობის ყველა სფეროში. თვით პრეზიდენტს პრობ-ლემის მასშტაბებზე მხოლოდ ზოგადი წარმოდგენა ჰქონდა შექმნილი. კონტროლის პალატა, რომელსაც ბიუჯეტის ხარჯვის აუდიტირება ევალებოდა, ხანდახან ამოწმებდა თავდაცვის სამინისტროს და ასობით ათასი დოლარის არამიზნობრივი გამოყენების ფაქტებს ასახელებდა. 1999 წელს, მაგალითად სამინისტრომ სახელფასო ხარჯი მხოლოდ 66 პროცენტით შეასრულა, იმავდროულად კი სამივლინებო თანხები 42 პროცენტით იყო გადახარჯული.[28] პასუხი არავისთვის მოუთხოვიათ, რადგან თავდაცვის მაღალჩინოსნები აცხადებდნენ, რომ გადახარჯვები თუ ხელფასების დავალიანება ხაზინის ბრალი

[27] საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტის მიერ ჩატარებული სემინარი თემაზე: სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობები, მარტი 21, 2000

[28] საქართველოს კონტროლის პალატის ანგარიში 1999 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ (თბილისი, გამოუქვეყნებელი მასალა საქართველოს პარლამენტის კვლევითი დეპარტამენტიდან, 200 წელი), გვ. 44-45

იყო, რომელიც საჭირო თანხებს ხან დაგვიანებით რიცხავდა, ხანაც საერთოდ არ აძლევდა თავდაცვის სამინისტროს.

თავდაცვის მოუგვარებელი ხარჯთაღრიცხვა ფინანსური ხასიათის პრობლემების მხოლოდ ერთი მხარე იყო. აფხაზეთში განცდილი მარცხის შემდეგაც კი, კრიმინალური ელფერის მქონე ე.წ ომის ეკონომიკა კვლავ ფუნქციონირებდა. კონფლიქტის ზონაში მოქმედი პარტიზანული რაზმები და კრიმინალები განაგრძობდნენ გამოძალვასა და კონტრაბანდას - ხშირად სამართალდამცავი სტრუქტურების ხელშეწყობით. 1995 წლის შემდეგ სამხედროებს ნაკლებად ეძლეოდათ ასეთ საქმიანობაში მონაწილეობის შანსი, მაგრამ მათ ფულის შოვნის სხვა არაკანონიერი საშუალებები გამონახეს. 2001 წლის სექტემბრის სამთავრობო მოსმენისას, ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭოს მდივანმა განაცხადა, რომ ყველა "ძალოვანი სტრუქტურა" სერიოზულად იყო ჩართული სხვადასხვა სახის კორუფციასა და პატრონაჟული სისტემების შექმნაში;[29] შესაბამისად, შევარდნაძეც იძულებული გახდა შეხებოდა მთავრობაში ფეხმოკიდებული კორუფციისა და ელიტის ხელშეუხებლობის საკითხს.

მაგრამ საქმე არც ამჯერად წასულა განაცხადის მიღმა. თავდაცვის სამინისტროს მაღალი რანგის მოხელენი განაგრძობდნენ არაკანონიერი გარიგებების დადებას არმიის მომმარაგებელ კომერციულ ფირმებთან. ნადიბაიძის მინისტრობისას (1994 – 1998) არმიისათვის სრულიად მისაღები გახდა მომარაგების კონტრაქტების გაფორმება იმ ორგანიზაციებთან, სადაც გენერლების ნათესავები მუშაობდნენ. თავდაცვის სისტემის მაღალჩინოსნები ბიუჯეტიდან მოითხოვდნენ თანხებს იმ იარაღსა და აღჭურვილობაზე, რომელიც ისედაც მათ განკარგულებაში იყო. არც ფინანსთა სამინისტრო იყო უცოდველი. თავდაცვის სამინისტროსათვის მნიშვნელოვანი თანხების გადარიცხვისას, ფინანსთა სამინისტროს თანამშრომლები მოელოდნენ და იღებდნენ კიდეც გარკვეულ, საპასუხო წილს.[30]

დავით თევზაძე თავდაცვის მინისტრის პოსტზე 1998 წლის გაზაფხულზე დაინიშნა. დასავლეთის რჩევების გათვალისწინებით,

[29] საქართველოს რესპუბლიკა, 6 სექტემბერი, 2001 წელი

[30] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს თანამდებობის პირები. კონფიდენციალური ინტერვიუ ავტორთან, 1998-2004

იგი თავიდანვე შეეცადა კორუფციას შებრძოლებოდა, მაგრამ დიდ წარმატებას ვერ მიაღწია. 1998-2003 წლების მიჯნაზე კორუფციული საქმიანობა კვლავ რჩებოდა ქვეყნის პრობლემად. თავდაცვის სამინისტრო საჭურვლის შესყიდვას რუსული სამხედრო ბაზებიდან ყოველგვარი დოკუმენტაციისა და გამჭვირვალობის გარეშე ახერხებდა. ასეთი გარიგებების საფუძველზე შესაძლებელი ხდებოდა ფულის დაზოგვა, მაგრამ შეუძლებელი იყო ამ ფულის რეალური ხარჯვის კონტროლი. ქართველი ოფიცრები რამოდენიმეჯერ იყვნენ მხილებულნი უკანონო იარაღის გაყიდვაში.

ახალწვეულთა სახლში გაშვება კვლავ რჩებოდა ქრთამის აღების საშუალებად. ნაწილებში მრავლად იყო "მკვდარი სულები", რაც მეთაურთათვის არალეგალური შემოსავლების წყარო (ზედმეტი ტანსაცმელი, საკვები და ა.შ.) ხდებოდა. ნიკოლოზ ჯანჯღავა, 2001 წლის გაზაფხულზე დანიშული სახმელეთო ჯარების სარდალი, რომელიც დანიშვნიდან რამოდენიმე კვირაში გაათავისუფლეს, მოგვიანებით აცხადებდა, რომ თავდაცვის სამინისტროს მიერ რეგისტრირებული 20 000 კაცის ნაცვლად, ჯარში რეალურად მხოლოდ 10 000 კაცი თუ მსახურობდა.[31] იყო შემთხვევები, როდესაც ოფიცრები მცველებად მუშაობდნენ ღამის კლუბებში. ეს თავის გატანის ერთ-ერთი გზა იყო, რადგან თვეების განმავლობაში ისინი ხელფასებს ვერ იღებდნენ. როგორც თევზაძის ერთ-ერთმა ყოფილი თანამშრომელი იხსენებდა, ნაწილებში ჯარისკაცების გამოსაკვებად მეთაურები არარეგისტრირებული შემოსავლების საერთო სალაროებს ქმნიდნენ.[32]

სახელმწიფო ბიუჯეტის არასწორი განკარგვის შედეგად, კორუფცია სწრაფად იკიდებდა ფეხს. 2000 წ. თავდაცვის სამინისტროსათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი 42 მილიონი ლარი (21 მილიონი $), რაც, თავისთავად, არაადექვატური იყო, რამოდენიმე თვეში ისევ შემცირდა. დასავლეთის დახმარებამ უსაფრთხოების სექტორის რეფორმირებაში დიდი შედეგი არ გამოიღო. ერთერთი უცხოელ ექსპერტი აცხადებდა, რომ საბიუჯეტო პარამეტერების მუდმივი

[31] პოლკოვნიკი ნიკოლოზ ჯანჯღავა. ინტერვიუ ავტორთან, ივნისი 2001

[32] თავდაცვის სამინისტროს ოფიციალური პირი, კონფიდენციალური ინტერვიუ ავტორთან, თებერვალი 2004

ცვლილებით შეუძლებელი ხდებოდა სამხედრო ძალების მისიათა ზუსტი განსაზღვრა და თავდაცვის დაგეგმარება.[33]

კორუფციასთან ბრძოლაში თვითონ შევარდნაძე მხოლოდ რიტორიკითა და ფორმალიზმით იფარგლებოდა. სამოქალაქო და სამხედრო ფუნქციონერებს პრეზიდენტისადმი ლოიალობის კრიტერიუმით ნიშნავდნენ და ათავისუფლებდნენ. საბოლოო ჯამში, კორუფციაზე დამყარებული ლოიალური ქსელები არაეფექტური იყო, რადგან შეუძლებელი ხდებოდა ამ ქსელებში ყველა ოფიცრის ინკორპორირება. თავისი მმართველობის ბოლო პერიოდში, უეცრად შევარდნაძე სამხედროთა უკმაყოფილების მომსწრე გახდა. ჯარში არსებული გაუსაძლისი პირობების მომიზეზებით, 2001 წ. მაისში ეროვნული გვარდიის ერთმა ბატალიონმა დაუმორჩილებლობა გამოაცხადა. მას გადამდგარი სამხედროები და კრიმინალური ჯგუფებიც შეუერთდნენ. პრეზიდენტთან ინტენსიური მოლაპარაკებების შემდეგ, მთავრობის ჯარებით გარშემორტყმულმა მეამბოხეებმა დათმობა ამჯობინეს. შევარდნაძეს ისინი არ დაუსჯია, რადგან ჩათვალა, რომ სოციალურ-ეკონომიკური პირობებით ისედაც გაღიზიანებული საზოგადოების ფონზე, ჯართან ურთიერთობაში სიფრთხილე უნდა გამოეჩინა.

უსაფრთხოებისა და სამხედრო პოლიტიკაში მრავალი არსებითი დეტალი აღმასრულებელი ხელისუფლების განკარგულებებით განისაზღვრებოდა, რაც ძირს უთხრიდა პარლამენტის ფუნქციას - თავისი წვლილი შეეტანა ქვეყნის ეროვნული უსაფრთხოების მოდელის შექმნაში. ბიუჯეტში ცვლილებების შეტანა მხოლოდ პრეზიდენტს შეეძლო. პარლამენტს ისღა რჩებოდა, რომ დათანხმებოდა შეთავაზებულ ციფრებს, ან საერთოდ ჩაეგდო ბიუჯეტის კანონპროექტი. პარლამენტი პრეზიდენტს სუსტ წინააღმდეგობას უწევდა, რადგან შევარდნაძეს საპარლამენტო უმრავლესობის მხარდაჭერის იმედი ყოველთვის ჰქონდა. პარლამენტი კიდევაც რომ შეწინააღმდეგებოდა პრეზიდენტს, მისი კურსი მაინც უცვლელი დარჩებოდა; აღმასრულებელი და საკანონმდებლო შტოების ურთიერთობა ჩიხში რომ მომწყვდეულიყო, საქართველოს კანონმდებლობა

[33] გერმანიის შეიარაღებული ძალების ოფიციალური პირი, ინტერვიუ ავტორთან, აგვისტო, 2000

მთავრობას ნებას რთავდა წინა წლის საბიუჯეტუ ციფრებით ეხელმძღვანელა. ამით პარლამენტის როლი თავდაცვის უწყების საბიუჯეტო კონტროლის სფეროში, რაც დემოკრატიული საპარლამენტო კონტროლის მთავარი იარაღია, საკმაოდ შეზღუდული ხდებოდა.

პარლამენტის უმწეობა განსაკუთრებით თვალსაჩინო 2002 წლის ბიუჯეტის მიღების დროს გახდა.[34] თავდაცვის სამინისტრომ სცადა წარმოედგინა ბიუჯეტის პროექტი ე.წ. პროგრამული ფორმით; სპეციფიკური სტრუქტურული კომპონენტების ცალკე გამოყოფით. პირველად მოხდა, რომ თავდაცვის ბიუჯეტის პროექტი ნატოს სტანდარტების შესაბამისად, სამ ნაწილად იყო დაყოფილი: პირადი შემადგენლობა, ოპერატიული მზადყოფნა, შესყიდვები და კაპიტალური ხარჯები. მიუხედავად ამისა, პროექტი ვერ ცემდა პასუხს შემდეგ კითხვებს: რა იყო ხარჯების განაწილების პრინციპი, რა ფინანსური შედეგები მოჰყვებოდა კადრების დაგეგმილ შემცირებას? პარლამენტის თავდაცვის კომიტეტი მხარს უჭერდა თავდაცვის ბიუჯეტის პროექტს, რომელსაც წინწადგმულ ნაბიჯად თვლიდა, თუმცა, როგორც მალე გაირკვა, თავდაცვის სამინისტრომ თავისი ბიუჯეტის პროექტი ფინანსთა სამინისტროსთან არ შეათანხმა და ისე გაწერა 71 მლნ ლარზე, როცა ფინანსთა სამინისტრო მხოლოდ 38 მილიონის გამოყოფაზე იყო თანახმა. პარლამენტმა თავდაპირველად თავი შეიკავა შემცირებული ციფრის მიღებაზე, თავდაცვის სამინისტრომაც უარი განაცხადა თავიდან დაეანგარიშებინა წარმოდგენილი მოთხოვნა.

საბოლოოდ, 2002 წლის იანვარში, პარლამენტმა მიიღო სახელმწიფო ბიუჯეტი თავდაცვის სფეროს შემცირებული წილით, თუმცა შემდგომი განხილვის გარეშე. ფინანსთა და თავდაცვის სამინისტროებს აღარ განუსაზღვრიათ, თუ როგორ უნდა გადაენაწილებინათ ნატოს სტანდარტების თანახმად საბოლოოდ დამტკიცებული ბიუჯეტი. ყოველ შემთხვევაში, პარლამენტისათვის ეს აღარავის უცნობებია. არსებითად, პარლამენტმა ერთხელ კიდევ გაუშვა ხელიდან სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის განხორციელების მთავარი მექანიზმი.

[34] საქართველოში ფისკალური წელი კალენდარულს ემთხვევა.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაცვის, უსაფრთხოებისა და სამართალდაცვის სფეროებზე საპარლამენტო მეთვალყურეობა სხვა მხრივაც სუსტად გამოიყურებოდა. კონსტიტუციის და პარლამენტის რეგლამენტის თანახმად თავდაცვის, უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა მინისტრები ანგარიშვალდებული იყვნენ პარლამენტის წინაშე, მაგრამ იგივე არ ითქმოდა სასაზღვრო ძალებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის ხელმძღვანელებზე. მათ პრეზიდენტი ნიშნავდა და ათავისუფლებდა საკანონმდებლო ორგანოს თანხმობის გარეშე.

ამავე დროს, პარლამენტს არ შეეძლო უნდობლობის გამოცხადება პრეზიდენტისა და ნებისმიერი მინისტრის წინააღმდეგ. მაღალი თანამდებობის სამოქალაქო პირის იმპიჩმენტი კონსტიტუციის დარღვევის ან სისხლის სამართლის დანაშაულზე დაკავების შემთხვევაში თეორიულად დაშვებული იყო, მაგრამ ბრალის წაყენებისათვის უზენაესი სასამართლოს თანხმობა იყო საჭირო.

პარლამენტს არც ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს კონტროლი შეეძლო. 1996 წლის შესაბამისი კანონმდებლობით, საბჭო უსაფრთხოების საკითხებში პრეზიდენტის სათათბირო ორგანოდ მოიაზრებოდა. ამ ფუნქციით იგი პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულად არ ითვლებოდა. სინამდვილეში კი საბჭო, განსაკუთრებით მისი აპარატი, გავლენიან როლს თამაშობდა სამხედრო და პარასამხედრო უწყებების კოორდინაციასა და საკადრო პოლიტიკაში. შევარდნაძის მმართველობის დროს თავდაცვისა და უსაფრთხოების საკითხები პრეზიდენტთან დაახლოვებული პირების წრეში წყდებოდა. უწყებათშორის სისტემურ კოოპერაციას პრეზიდენტის კაბინეტი ცვლიდა. როგორც პარლამენტი, ისე უშუალოდ სამინისტროები ნაკლებად წყვეტდნენ რაიმეს უსაფრთხოების პოლიტიკის შემუშავებისა და იმპლემენტაციის სფეროში.

უცხოელი ექსპერტების რჩევების გათვალისწინებით, 2001 წლის შემოდგომაზე პარლამენტმა თავდაცვის კანონში ცვლილება შეიტანა. თავდაცვის სამინისტროს გენერალურ შტაბს საგანგებო და საომარი ვითარების დროს ყველა შეიარაღებული უწყების კოორდინირება დაევალა. თუმცა, ცვლილებაში არაფერი იყო ნათქვამი კოორდინირების პროცედურებსა და მასშტაბებზე. კანონი არ განსაზღვრავდა გენერალური შტაბისა და ავტონომიური შეიარაღებული

უწყებების ურთიერთობებს მშვიდობიან პერიოდში. 2002 წ. იანვარში თავდაცვის მინისტრი აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა სხვადასხვა უწყებებს შორის კოორდინაციის არარსებობის გამო, აღნიშნავდა რა, რომ კოორდინაცია მხოლოდ საგანგებო შემთხვევებში ხდებოდა, რაიმე წინასწარი დაგეგმვისა და ურთიერთვალდებულებების სამართლებრივი განსაზღვრის გარეშე. როგორც ჩანს შევარდნაძე და ეროვნული უსაფრთხოების საბჭო სიტუაციის გამოსწორებას არ ეშურებოდნენ.[35]

ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგიის ძიებაში

სამხედრო რეფორმა უნდა ეფუძნებოდეს კარგად ჩამოყალიბებულ ეროვნულ ინტერესებს და სტრატეგიას, რაც თავის მხრივ, პოლიტიკის დაგეგმვის პროცესის განვითარებას გულისხმობს. შევარდნაძე აშკარად არასოდეს ეწინააღმდეგებოდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შექმნას, მაგრამ მან ვერ შეძლო ამის განხორციელება. ჯერ კიდევ 1996 წელს შეიქმნა სახელმწიფო კომისია შეიქმნა, რომელსაც ასეთი კონცეფცია უნდა შეემუშავებინა. 1997 წელს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია სამხედრო დოქტრინის დამტკიცების შესახებ.

დოქტრინა თავდაცვის სამინისტროში მომზადდა და თავდაცვისა და უსაფრთხოების საპარლამენტო კომიტეტში გადამუშავდა. მაგრამ დოქტრინა ნაკლებად წარმოადგენდა ეფექტური სამხედრო რეფორმისათვის საჭირო სტრატეგიული აზროვნების ნიმუშს. მისი ტექსტი უბრალოდ ბაძავდა 4 წლით ადრე მიღებული რუსული ანალოგის სტილს. დოქტრინაში აღნიშნული იყო ყველა სახელმწიფოებთან თანამშრომლობის აუცილებლობა, მაგრამ არაფერი არსებითი არ იყო ნათქვამი საქართველოს ეროვნულ ინტერესებსა თუ ქვეყნის წინაშე მდგომ საფრთხეებზე. დოქტრინა გაკვრით თუ ეხებოდა სტრატეგიული პარტნიორების თემას, გვერდს უვლიდა რუსი სამხედროების

[35] ერთერთი უცხოელი ექსპერტი 2000 წლის გაზაფხულზე ამბობდა "დასანანია, რომ, როგორც ჩანს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭო არ არის მზად სამხედრო სტრუქტურების კონსოლიდაციისათვის." კონფიდენციალური ინტერვიუ ავტორთან, გაზაფხული 2000 წ.

ქვეყანაში ყოფნის სადაო საკითხებს. დოკუმენტში ბუნდოვნად იყო ნათქვამი მეზობელი ტერიტორიების მილიტარიზაციის რისკის შესახებ. ეს ბუნდოვანება კი კიდევ უფრო მატულობდა იმით, რომ აღნიშნული პასაჟი რუსული ანალოგიდან პრაქტიკულად სიტყვა-სიტყვით იყო გადმოწერილი. შესაბამისად, იქმნებოდა შთაბეჭდილება, თითქოს მილიტარიზაციის რისკში საქართველოც, რუსეთის მსგავსად, ნატოს გაფართოვებას გულისხმობდა. მაგრამ ამ შემთხვევაში საქართველოს სამხედრო დოქტრინა სრულ შეუსაბამობაში ექცეოდა ნატოსთან თანამშრომლობის პროგრამასთან "პარტნიორობა მშვიდობისათვის". საუბედუროდ თუ საბედნიეროდ, ამ და სხვა საკითხებს არც დოკუმენტი აკონკრეტებდა და, საბოლოო ჯამში, დოქტრინა მიღებისთანავე იქნა დავიწყებული. ამ დოკუმენტს მეტად მცირე შანსი ჰქონდა საიმისოდ, რომ სამხედრო რეფორმების ორიენტირი გამხდარიყო.

1999 წელს ეროვნული უსაფრთხოების საბჭომ განაცხადა, რომ ISAB-ის რეკომენდაციების განხორციელება და ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ფორმულირება მისთვის პრიორიტეტს წარმოადგენდა. 1996–1999 წლებში კონცეფციის მრავალი პროექტი შეიქმნა. ზოგი მათგანი სახელმწიფო კომისიის ეგიდით იქნა შემუშავებული; დანარჩენი პარლანეტში და ცალკეულ სამთავრობო უწყებებში იქმნებოდა. ერთად აღებულნი, ეს დოკუმენტები ქმნის წარმოდგენას უსაფრთხოების ქართულ დისკურსზე. პროექტების უმეტესობაში ყურადღება მახვილდებოდა შემდეგ პრობლემებზე: სახელმწიფოს მშენებლობა, შიდა სახელწიფოებრივი სეპარატიზმი, გარეშე ძალთა ჩარევა ქვეყნის საშინაო საქმეებში, კორუფცია, სოციალური უთანასწორობა, რეგიონალური კონფლიქტების რისკი, საქართველოს სუსტი სამხედრო პოტენციალი, ეკოლოგიური საფთხეები. ზოგიერთი პროექტი აღნიშნავდა, რომ მოსახლეობაში ეთნიკური თვითიდენტიფიკაცია სამოქალაქო, საერთო - სახელწიფოებრივ განცდაზე უფრო ძლიერი იყო; რომ სამართალდამცავი ორგანოების ავტორიტეტი უმდაბლეს ნიშნულზე იმყოფებოდა; რომ ამ ორგანოთა წარმომადგენლები პატივს არ სცემდნენ ადამიანის უფლებებს. პროექტების საგრძნობი ნაწილისათვის უცხო არ იყო ხაზგასმა ადამიანის უფლებათა დაცვის აუცილებლობაზე, სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის განმტკიცების საჭიროებაზე,

პოლიტიკური პლურალიზმისა და ადგილობრივი თვითმართველობის მნიშვნელობასა თუ გაყინული ეთნო-კონფლიქტების მშვიდობიანი გზით გადაჭრაზე.

და მაინც, ამ პროექტთა უმეტესობა გამოირჩეოდა ეკლექტურობით, ზოგადობით და წინააღმდეგობრივი პასაჟებით. ზოგჯერ ავტორები თავს არიდებდნენ მგრძნობიარე საკითხებს. ზოგიერთ პროექტში ადამიანის უფლებებისა და ერთა დემოკრატიულ თანამეგობრობაში ინტეგრაციის მნიშვნელობა იყო აქცენტირებული, მაგრამ იქვე იყო გაჟღერებული გლობალიზაციისა და ინდივიდუალიზმის საფრთხე. ერთერთი დოკუმენტი "ოჯახის სოციალურ პასუხისმგებლობაზე" საუბრობდა. პროექტთა უმეტესობას უსაფრთხოების დისკურსში განათლებისა და კულტურის საკითხებიც შემოჰქონდა, ამავე დროს კი გაკვრით თუ ეხებოდა რუსული სამხედრო ბაზებისა და რუსი სამხედროების მიერ ქვეყნის საშინაო საქმეებში ჩარევის თემებს. არა და საზოგადოებრივ დისკუსიებში ეს უკანასკნელი საკითხები დომინირებდა.

1999 წლის ზაფხულში, მას შემდეგ რაც ეროვნული უშიშროების საბჭომ ISAB-ის რეკომენდაციები მიიღო, სახელწიფო კომისიამ უსაფრთოების კონცეფციის ახალი, სახეშეცვლილი ვერსია მოამზადა. წინამორბედი პროექტებისაგან იგი რამოდენიმე პუნქტით გამოირჩეოდა: უფრო მკაფიოდ იყო წარმოჩენილი საქართველოს სტრატეგიული ორიენტაცია: აღინიშნებოდა, რომ ქვეყნის მიზანი ევროატლანტიკური ერთობის ძირითად ინსტიტუტებში ინტეგრირება იყო. კონცეფციის ახალი ვერსია განათლების სისტემისაგანაც მოითხოვდა დასავლური ორიენტაციის შესაბამისი ნორმების დამკვიდრებას. თუმცა ვერც ახალი პროექტი გათავისუფლდა ბუნდოვანი და საეჭვო განზოგადოებებისაგან, როგორიც იყო "კულტურული თვითმყოფადობის შესატყვისი სოციალური ორგანიზაციისა და პოლიტიკური სისტემის შექმნის საჭიროება". ასახავდა რა საზოგადოებრივი ცხოვრების მაქსიმალურად ფართო სპექტრს, ამავე დროს, დოკუმენტი დეტალურად ვერ განსაზღვრავდა ქვეყნის წინაშე მგდომ კონკრეტულ საფრთხეებს. წინა ვარიანტების მსგავსად და ევროპის ქვეყნებისა თუ შეერთებული შტატების ანალოგიური დოკუმენტებისაგან განსხვავებით, პროექტი არ იძლეოდა ეროვნული ინტერესების, საფრთხეებისა და ამ საფრთხეთა განეიტრალების გზების მკაფიო ჩამონათვალს.

თანდათან უფრო ნათელი ხდებოდა, რომ დასავლეთთან თანამშრომლობის გაღრმავებისათვის საქართველოს ხელისუფლებას უნდა მიეღო ეროვნული უსაფრთხოების მწყობრი კონცეფცია. ISAB, სხვა საერთაშორისო თუ ადგილობრივი ექსპერტები რეგულარულად მოითხოვდნენ ამას, მაგრამ შევარდნაძის რეჟიმი ნელა მოქმედებდა. კონცეფციის არსებობა არა მარტო უსაფრთხოების მწყობრი პოლიტიკის შემუშავებას აფერხებდა, არამედ სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობებში დემოკრატიული პრინციპების დამკვიდრებას და ეროვნულ უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი უწყებების კოორდინაციასაც ეღობებოდა წინ. 2000 წლისათვის თავდაცვის მინისტრი თავზაძე და სასაზღვრო ძალების სარდალი გენერალი ვალერი ჩხეიძე ხაზგასმით აღნიშნავდნენ, რომ სტრატეგიული ორიენტირების ამსახველი დოკუმენტის არარსებობა ხელს უშლიდა მათზე დაქვემდებარებული უწყებების ნორმალურ ფუნქციონირებას.

ბევრი ლოდინის შემდეგ ISAB-მა, საგარეო სამინისტროსთან თანამშრომლობით, უსაფრთოების კონცეფციის საკუთარი ვარიანტი შეიმუშავა. დოკუმენტის სათაური იყო "საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია".[36]

ახალი პროექტის ავტორები ნათლად აცხადებდნენ, რომ საქართველოს სტრატეგიულ მიზნებს ნატოსთან ინტეგრაცია და ევროკავშირთან თანამშრომლობის გაღრმავება წარმოადგენდა. დოკუმენტში მოთხოვნილი იყო ქვეყნის ტერიტორიიდან რუსული ბაზების გაყვანა, ხოლო რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის ეფექტურობაზე ეჭვი იყო გამოთქმული. ეროვნული უსაფრთხოების კონფეპციის ახალი პროექტი პირველად აქცევდა კონკრეტულ ყურადღებას თავდაცვის სექტორის მისიების განსაზღვრას. მასში აღინიშნებოდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები უკეთ უნდა იყვნენ ინტეგრირებულნი, რათა შეკავების ფუნქცია იტვირთონ: მათ უნდა შესწევდეთ მტრის შედარებით შეზღუდული ძალების დამარცხების, საზღვრის გაკონტროლების, ტერორისტული თავდასხმების აღკვეთის უნარი. დოკუმენტის თანახმად საქართველოს სამხედრო ძალებს მოეთხოვებოდა სამოქალაქო ხელისუფლების დახმარება კანონიერებისა და

[36] დოკუმენტი დაიდო ნატოს ვებსაიტზე , http://www.nato.int/pfp/ge/d001010.htm

წესრიგის აღდგენაში საგანგებო ვითარებათა დროს, სტიქიის დამანგრეველ შედეგთა ლიკვიდაცია და საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში მონაწილეობა.

მართალია, ასეთი სახის დოკუმენტში ნაკლებადაა მოსალოდნელი თავდაცვის პოლიტიკის დეტალების განხილვა, მაგრამ მაინც, კონცეფციის აღნიშნულ პროექტსაც სურვილების ჩამონათვალის ელფერი გადაჰკრავდა. მიუხედავად იმისა, რომ უცხოელი ექსპერტების დახმარებით შექმნილ დოკუმენტში საკმარისად არ და ვერ იქნებოდა არტიკულირებული ქვეყნის კონკრეტული წუხილები მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებში, რეალისტურ უსაფრთხოების კონცეფციას მაინც მეტი მოეთხოვებოდა უსაფრთხოების გამოწვევათა დეფინიციის თვალსაზრისით. თუმცა, "მომავლის ხედვისა და სტრატეგიის" ძირითადი ხარვეზი მისი სტატუსი უფრო იყო, ვიდრე შინაარსი. პროექტის გამოქვეყნებამდე იგი შესაბამის სამთავრობო უწყებებში არ განხილულა. მის შემუშავებაში არც საზოგადოებას მიუღია რაიმე არსებითი მონაწილეობა. ამავე დროს, დოკუმენტი გამოქვეყნდა ოფიციალური წინასიტყვაობის გარეშე. არც მისი ოფიციალურად მიღების რაიმე ანგარიშგასაწევი პროცედურა შემდგარა. დოკუმენტის გამოქვეყნების შემდეგ კი ქვეყნის ლიდერებმა იგი ერთგვარად მიივიწყეს. ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭო განაგრძობდა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ტექსტზე მუშაობას.

2002 წელს თავდაცვის სამინისტრომ შექმნა საკუთარი "თეთრი წიგნი", თუმცა მისი დანიშულება შედარებით მოკრძალებული იყო. იგი ISAB-ის რეკომენდაციების პასუხად დაიწერა. "თეთრი წიგნი" აღწერდა შეიარაღებული ძალების ორგანიზაციულ სატრუქტურას, ხაზს უსვამდა სამხედრო საკითხებში სამოქალაქო ხელისუფლების უზენაესობას და ნატოსთან თანამშრომლობის მნიშვნელობას. მასში გამოხატული იყო არმიის გაძლიერების სურვილი. "თეთრი წიგნი" ცდილობდა დაეკონკრეტებინა სამხედრო ძალების მისიები, მაგრამ ქვეყნის წინაშე მდგომი უსაფრთხოების გამოწვევების ზუსტი სურათის შექმნისა და ზოგადი სტრატეგიის არტიკულირების გარეშე, ასეთი მცდელობა ხელშესახებ შედეგს ვერ მოიტანდა. თავდაცვისა და ფინანსთა სამინისტროებს შორის არსებული დავის ფონზე, "თეთრ წიგნს" ვერც დაფინანსების საკითხში შექონდა რაიმე სინათლე. მასში

არც სხვა შეიარაღებულ სტრუქტურებთან კოორდინაციაზე იყო არსებითი საუბარი. თავდაცვის "თეთრი წიგნი" სხვა სამთავრობო ინსტიტუტებთან სერიოზული კონსულტაციების გარეშე შეიქმნა. დადიოდა ჭორი, რომ იგი თავდაცვის სამინისტროს ერთი თუ ორი საშუალო დონის თანამშრომელის მიერ დაიწერა და რომ სამინისტროს წამყვან შიდა სტრუქტურებსაც კი "თეთრი წიგნის" შექმნაში არავითარი ქმედითი მონაწილეობა არ მიუღიათ.

2003 წლის შუა პერიოდში ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატმა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის საკუთარი პროექტი შეიმუშავა. მასში ISAB-ის ვარიანტიდან რამოდენიმე იდეა იყო ნასესხები, მაგრამ მთლიანობაში ახალი ვერსია განსხვავებული იყო და თანაც, არც თუ უკეთესობის მიმართულებით. ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის ვერსია[37] ბევრ თემას მოიცავდა. ამათგან ზოგიერთი ნაკლებად შეეფერებოდა უსაფრთხოების თემატიკას. ასე მაგალითად, ავტორები საუბრობდნენ მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ტრადიციული დარგების აღდგენის საჭიროებაზე. ამასთან, ტექსტი არ აკონკრეტებდა სამხედრო მისიებს. პროექტში ხაზგასმული იყო ნატოში გაწევრიანების განზრახვა, მაგრამ საგარეო ურთიერთობების დახასიათებისას, ავტორები არ იძლეოდნენ ქვეყნის წინაშე მდგომი გამოწვევების და მათზე რეაგირების მექანიზმების რეალურ შეფასებებს. რუსეთთან ურთიერთობის საკითხებში კონცეფცია საოცარ არადიპლომატიურობას იჩენდა. გარდა ამისა, კონცეფციის პროექტში არსებითად მოვიწყებული იყო ადამიანთა უფლებების დაცვისა და დემოკრატიზაციის თემები. სანაცვლოდ, დოკუმენტში აღნიშნული იყო, რომ საქართველოს ეძლეოდა შესაძლებლობა ეშენებინა სულიერი პრიორიტეტებისა და კულტურული იდენტურობის შესაფერისი სახელმწიფო. ამას მოსდევდა ამბიციური მიზნების მთელი ჩამონათვალი, თუმდა, მათი განხორციელების შესაძლებლობების შეფასების გარეშე. ასე მაგალითად, ნათქვამი იყო, რომ ჩრდილოვანი ეკონომიკის წილი ერთობლივ შიდა პროდუქტში 15-20%-მდე უნდა შემცირებულიყო, მაგრამ არ ჩანდა ამის მიღწევის გზა. ასევე არაფერი იყო ნათქვამი იმაზე, თუ რა ეფექტი უნდა მოეხდინა მსგავს პროცესს თავდაცვის სფეროს დაფინანსებაზე.

[37] გამოუქვეყნებელი დოკუმენტი

არსებითად, ახალი პროექტი არ იძლეობდა ეროვნული უსაფრთოების პრიორიტეტების, სტრატეგიული არჩევანის, რისკის ანალიზის მკაფიო და კონკრეტულ სურათს. იგი არ ანსხვავებდა ერთმანეთისაგან საფრთხეებს, რისკებსა და გამოწვევებს.

ეს იყო ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის ბოლო პროექტი, რომელიც შევარდნაძის მთავრობამ შეიმუშავა. წინამორბედების მსგავსად, არც იგი იქცა ოფიციალურ დოკუმენტად. მისი შექმნის პერიოდი შევარდნაძის რეჟიმის ღრმა კრიზისს დაემთხვა. თავდაცვისა და უსაფრთხოების პოლიტიკაში პერზიდენტი სხვადასხვა მოქიშპე ძალებს შორის მერყეობდა, და პოლიტიკური კონცეფციების ნაცვლად პიროვნულ გადარჩენაზე ფიქრობდა.

მმართველობის ბოლო პერიოდში შევარდნაძე საკმაოდ ამბივალენტური გახდა შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის მიმართ. იგი ძნელად ეგუებოდა დემოკრატიული ოპოზიციის კრიტიკას, რომელიც დასავლეთში მზარდ თანაგრძნობას ნახულობდა. პარალელურად, 2002 წლის მიწურულისათვის შევარდნაძის მთავრობას რუსეთთან ურთიერთობების დარეგულირების გაზრდილი მონდომება ეტყობოდა. 2002 წლის დეკემბერში, ეუთოს საგარეო საქმეთა მინისტრების ლისაბონის შეხვედრაზე საქართველოს დელეგაცია ნაკლებად მომთხოვნი ჩანდა რუსული ბაზების გაყვანის საკითხში. ამასთან დაკავშირებით ეუთოს ერთერთი მაღალი თანამდებობის პირი პრივატულ საუბარში აღნიშნავდა, რომ არათანამიმდევრულობა და გამჭვირვალეობის ნაკლებობა ასუსტებდა საქართველოს პოზიციას.[38] საქართველოს საგარეო პოლიტიკის ეს ცვალებადობა დროში ემთხვეოდა ქვეყანაში მოქმედი დასავლეთელი ინვესტორების საქმიანობის შეკვეცას,[39] და ქვეყნის ეკონომიკის სტრატეგიულ სექტორებში რუსული სახელმწიფო ბიზნესის მომძლავრებას.

შევარდნაძის საქართველო მანკიერ წრეში იმყოფებოდა: სამხედრო სფეროში არსებული უწესრიგობა აფერხებდა სტრატეგიული ხედვის ფორმულირებას; ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის არარსებობა კი ართულებდა სამხედრო რეფორმის პროცესს.

[38] OSCE ოფიციალური პირი, კონფიდენციალური ინტერვიუ ავტორთან, იანვარი 2003

[39] მაგალითად, ამერიკულლი ენერგო-კომპანია AES , რომელმაც დაარსა ახლად პრივატიზირებული ენერგოკომპანია ე.ი.ს.-თელასი.

შევარდნაძის რეჟიმის ბოლო წელს თავდაცვის სისტემის გარდაქმნის პროცესი კვლავაც არ მისდევდა ISAB-ის რეკომენდაციების ქარგას. არმიის რიცხოვნება შემცირდა, მაგრამ 20000 კაცი ჯერ კიდევ ირიცხებოდა სახემწიფო ბიუჯეტის კმაყოფაზე - 6000-7000-ით მეტი ვიდრე რეკომენდაციით იყო გათვალისწინებული. უშიშროების სამინისტროს ყოფილი სპეციალური საშტურმო ბრიგადა შინაგან საქმეთა სამინისტროში იყო ინტეგრირებული, რაც წინააღმდეგობაში მოდიოდა ISAB-ის რჩევებთან შინაგან საქმეთა სამინისტროს სამოქალაქო-საპოლიციო უწყებად გარდაქმნის თაობაზე. შესაბამისი რეკომენდაციების მიუხედავად, სასაზღვრო ძალებიც სამხედრო სტრუქტურად რჩებოდა.

შევარდნაძე სამი მიზეზის გამო ვერ ართმევდა თავს თავდაცვის სისტემის დემოკრატიული რეფორმირების ამოცანას:

1. რთული პოლიტიკური გარემოს სამართავად მან კონტროლის პარალელური ხაზების კორუფციული ქსელი შექმნა. ეროვნული უსაფრთხოების მკაფიო კონცეფცია კი ხელს შეუწყობდა გამჭვირვალეობას, რითაც საფრთხე შეექმნებოდა აღნიშნულ ქსელს.
2. მისი მუდმივი მერყეობა დასავლურ და რუსულ არჩევანს შორის ართულებდა უსაფრთხოების სტარატეგიის შემუშავებას და სამხედრო რეფორმის უსაფრთხოების პოლიტიკასთან კოორდინირებას. ერთის მხრივ შევარდნაძეს ეშინოდა, რომ ცალსახად დასავლური ორიენტაცია რუსეთთან დაპირისპირებას გაამწვავებდა. მეორეს მხრივ კი იგი კვლავაც ამყარებდა იმედებს რუსეთის დახმარებაზე ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში.
3. შევარდნაძე ზედაპირულად თუ იზიარებდა დემოკრატიულ ღირებულებებს. ეს ზედაპირულობა კარგად ჩანდა მის დამოკიდებულებაში კორუფციისადმი, ისევე როგორც მართმადიდებლური ეკლესიისათვის მინიჭებულ ფისკალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ პრივილეგიებში. ევროპიაში ინტეგრაცია მისთვის უფრო ინსტრუმენტალური, ვიდრე შინაგანი, იდეოლოგიური ამოცანა იყო. 1999 წლის მიწურულს იგი აცხადებდა, რომ საქმე საქართველოს ევროპულ თუ რუსულ ორიენტაციაში კი არ იყო, არამედ იმაში თუ ვინ რას მოგვცემდა სანაცვლოდ.[40]

[40] გაზ. "ევროპა", დეკემბერი 25-31, 1999

ასეთი დონის პროგმატიზმი არაეფექტურუბის უშუალო მიზეზს წარმოადგენდა. ნებისმიერი სახელმწიფო, რაგინდ სუსტი და პატარა უნდა იყოს იგი, უნდა მკაფიო ვალდებულებებს იღებდეს მოკავშირეებისა და კეთილისმყოფელების წინაშე. მხოლოდ მაშინ უნდა ელოდოს იგი გრძელვადიან და თანასწორუფლებიან თანამშრომლობას. შევარდნაძემ ვერც ერთ მხარესთან ვერ მოახერხა ამგვარი ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობის აწყობა. შესაბამისად, იგი ვერ აკმაყოფილებდა ქვეყნის მოქალაქეთა ძირეულ მოთხოვნილებებს, რის გარეშედაც თავდაცვისა თუ უსაფრთოების ეროვნული სისტემაც სახალხო მხარდაჭერას იყო მოკლებული.

ყოველივე ამის შედეგად, მისივე გამოზრდილმა სამხედრო და საპოლიციო წრეებმა უარი განაცხადეს პრეზიდენტის დაცვაზე, როდესაც ამ უკანასკნელს ხალხი დაუპირისპირდა. 2003 წლის ნოემბრის რევოლუცია არადემოკრეტიული და გამრუდებული სამხედრო-სამოქალაქო ირთიერთობების ლოგიკური შედეგიც იყო. ისევე როგორც მთელი ხალხი, არმია და პარასამხედრო ძალებიც აღარ ცემდა პატივს ასაკოვან პრეზიდენტს. სამხედრო ძალების მართვისა და კონტროლის კლიენტელისტური, კორუმპირებული, არაეფექტური სისტემა უუნარო აღმოჩნდა კრიტიკულ სიტუაციაში სამოქმედოდ. ოპოზიციის ლიდერებს კი, პირიქით, დასავლური ორიენტაციის მქონე ენერგიულ და არანაკლებ უკმაყოფილო ოფიცრებთან მოლაპარაკების კარგი შესაძლებლობები ეხსნებოდათ. შევარდნაძეს რომ ხალხის წინააღმდეგ ძალის გამოყენება გადაეწყვიტა, შედეგი ძალიან ბუნდოვანი იქნებოდა, მისი პირადი ბედ-იღბალი კი ალბათ უფრო ტრაგიკულად წარიმართებოდა.

სამხედრო რეფორმა ვარდების რევოლუციის შემდეგ

პოსტ შევარდნაძისეული ეპოქა მხოლოდ ახლახანს დაიწყო და წინასწარ ძნელია იმის განსჯა, თუ რამდენად შორს მიმავალი იქნება პროცესები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. თუმცა ახალი მთავრობის რიგ განცხადებებსა და ინიციატივებში პოზიტიური ძვრების პერსპექტივა შეინიშნება. ახალ შესაძლებლობებს ქმნის

შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის დახმარების ახალი ტალღა.

დამაიმედებელი პირველი ნაბიჯები შემდეგია: პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რამდენჯერმე ხაზგასმით აღნიშნა, რომ უსაფრთხოების საკითხები, მათ შორის არმიის მშენებლობა, სახელმწიფო პოლიტიკის პრიორიტეტია. ამ განცხადებათა რეალურობა კი მალე თავდაცვის დაფინანსების გაზრდით დადასტურდა. გარდა ამისა, ახალმა მთავრობამ დააარსა სპეციალური ფონდი, რომლის მიზანს უცხოური და კერძო დონაციების აკუმულირება და მაღალი რანგის თანამდებობის პირთა ხელფასების გაზრდა წარმოადგენდა. შესაბამისად, ხელფასები საგრძნობლად მოემატათ თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელებსაც. მოგვიანებით, ხელფასების მატება მთელს ოფიცერთა კორპუსსაც შეეხო. მთავრობა შეუდგა სამხედრო ტექნიკის რემონტსა და განახლებას.

ამერიკისა და ნატოს სხვა ქვეყნების ტექნიკური დახმარებით განხორციელებულმა სამხედრო რეფორმამ ახალი სტიმული შეიძინა. 2004 წლის დასაწყისში შეერთებული შტატებიდან დაბრუნებისთანავე, სააკაშვილმა განაცხადა, რომ ამერიკელები არათუ გააგრძელებდნენ ქართული არმიის ჯერ კიდევ შევარდნაძის დროს წამოწყებულ მატერიალურ და ტექნიკურ დახმარებას, არამედ ნატოს სტანდარტებით გაწვრთნილი 5000 კაციანი ქვეითი ბრიგადის ფორმირებასაც შეუწყობდნენ ხელს. ამჟამინდელი გეგმებით, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში მიმდინარეობს სრული შემადგენლობის 4 ქვეითი ბრიგადის ხელახალი ფორმირება. თავდაცვის სამინისტროს ბიუჯეტმა 2005 წელს 300 მილიონ ლარს გადააჭარბა, რაც თითქმის ათჯერ მეტია შევარდნაძის მმართველობის დროინდელ დაფინანსებაზე.

ახალი რეჟიმის დამყარების პირველ თვეებში კიდევ ორი მნიშვნელოვანი ცვლილება მოხდა. 2004 წლის მარტში მიღებული იქნა თავდაცვის სამინისტოს ახალი დებულება, რომელიც თავდაცვის უწყების ნატოს სტანდარტებით ორგანიზებას ისახავდა მიზნად. სამინისტროს რეორგანიზაციის კონკრეტულ გეგმებზე, სამხედრო და სამოქალაქო ფუნქციების გამიჯვნის სქემებზე ქართველ კოლეგებთან ერთად პენტაგონის მიერ დაქირავებული კერძო ფირმა "კუბიკი" და ბრიტანეთის თავდაცვის სამინიტროს გუნდი მუშაობდა.

ამ პროცესის კონკრეტული მაგალითია ეროვნული გვარდიის რეფორმირებაც. მისი საბრძოლო ნაწილები არმიის შემადგენობაში ინტეგრირდა. უშუალოდ გვარდია კი ამჟამად საწრთვნელი ცენტებისა მათ ბაზაზე მომზადებული რეზერვის ბატალიონებისაგან შედგება.

თავდაცვის სამინისტროს წამყვან თანამდებობებზე სააკაშვილმა უპრეცედენტო რაოდენობის სამოქალაქო პირი დანიშნა. სამოქალაქო პირი გახდა თავდაცვის მინისტრიც. იმავდროულად პენსიაზე იქნა გაშვებული ბევრი გენერალი, რომელიც ან ეწინაარმდეგებოდა რეფორმას ან მისი გატარებისათვის საჭირო ცოდნას და გამოცდილებას არ ფლობდა; უფრო ახალგაზრდა ოფიცრები და სამოქალაქო მოხელეები, რომლებმაც დასავლეთის ინსტიტუტებში გაიარეს წვრთნა, სულ უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობდნენ სამხედრო რეფორმის გატარებაში. უფრო მეტიც, რეფორმამ ახლა სხვა შეიარაღებული უწყებებიც მოიცვა და მთავრობამ რიგი პარალელული სტრუქტურებიც გააერთიანა. საქართველოს საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტი შინაგან საქმეთა სამინისტო შეერთდა, რამაც საფუძველი ჩაუყარა მის სამართალდამცავ სტრუქტურად ჩამოყალიბებას. შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარები კი თავდაცვის სამინისტოს გადაეცა. დაიწყო ფიქრი საზღვრის დაცვის დეპარტამენტის სანაპირო დაცვისა და თავდაცვის სამინისტროს საზღვაო ძალების გაერთიანებაზე.

უსაფრთხოების სექტორში უკანასკნელ და ყველაზე სერიოზულ სიახლეს წარმოადგენდა საქართველოს მთავრობის სტრუქტურასა და საქმიანობის წესში 2004 წლის დეკემბერში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებები. ამ ცვლილებათა თანახმად დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროსა და უშიშროების სამინისტროს გაერთიანება პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების სამინისტროდ. პარალელურად, ცალკე გამოიყო და უშუალოდ პრეზიდენტს დაექვემდებარა საგარეო დაზვერვის უწყება.

ნავარაუდევია, რომ ამგვარი ზომები ხელს შეუწყობს საქართველოს თანამშრომლობას ნატოსთან და გააუმჯობესებს უსაფრთხოებისა და თავდაცვის სისტემის მართვისა და კონტროლის მექანიზმებს. ინტეგრაციისა და ჯარების რიცხოვნობის შემცირებას, საბოლოო ჯამში ფინანსების დაზოგვაც უნდა მოჰყვეს. სექტორის გამჭვირვალეობისა და ანგარიშგების გასაზრდელად, დემოკრატიული

სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობების განსავიტარებლად 2004 წლის მანძილზე მიმდინარეობდა მთავრობის წარმომადგენელთა და სამოქალაქო ორგანიზაციების დიალოგი. ნავარაუდევი იყო საზოგადოებრივი საბჭოების შექმნა ცალკეულ ძალოვან უწყებებში.

სამხედრო და პარასამხედრო ძალების რეფორმის პარალელურად, სააკაშვილმა მკაფიოდ დაადასტურა ქვეყნის ნატოში გაწევრიანების სურვილი. მისი აზრით, ეს გაწევრიანების პროცესი სულ რამოდენიმე წელს გასტანს. მანვე განაცხადა, რომ საქართველოს სტრატეგიულ მიზანს ევროკავშირში გაწევრიანებაც წარმოადგენს. 2004 წლის აპრილში უწყებათაშორისმა სპეციალურმა ჯგუფმა ნატოსთან ინდივისუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP) შემუშავა. გეგმა მოწონებული იქნა ნატოს შესაბამისი უწყებების მიერ.[41] IPAP-ის ახალი, პოსტრევოლუციური ვერსია ლოგიკურ ახსნას უძებნის სამხედრო სფეროში ზემოთხსენებულ რეფორმებს და ნატოს სტანდარტების მისაღწევად ითხოვს კონკრეტულ ტექნიკურ დახმარებას. იმავდროულად, სამოქმედო გეგმა კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს საქართველოს ევროატლანტიკურ ერთობაში ინტეგრირების სურვილს, რეგიონალურ თანამშრომლობის მნიშვნელობას, დემოკრატიისამდი და საბაზრო ეკონომიკის პრინციპებისადმი ერთგულებას, ეთნიკური კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარების უალტერნატივობას. ამრიგად, IPAP-მა ასახა ეროვნული უსაფრთხოების კონცეფიის შესაფერისი მთელი რიგი საკითხები.

ამასთან ერთად სააკაშვილმა ჯვაროსნული ომი გამოუცხადა ორგანიზებულ დანაშაულსა და კორუპციას. ბრძოლა ამ, ეროვნული მასშტაბის საფრთხეებთან მანამდე უჩვეულო ენერგიით წარიმართა. შევარდნაძის ეპოქისათვის დამახასიათებელი მაღალჩინოსნებისა და ორგანიზებული დანაშაულის ხელმძღვანელთა დაუსჯელობა წარ-

[41] ამ დოკუმენტის ერთერთი ავტორი, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის თანამშრომელი, ინტერვიუ ავტორთან, 2004 წლის აპრილი. ჯერ კიდევ შევარდნაძის ადმინისტრაციას ქონდა აღებული ამგვარი გეგმის შემუშავების ვალდებულება, მაგრამ მაშინ ეს ვალდებულება განუხორციელებელი დარჩა. ნოემბრის რევოლუციის წინ შევარდნაძის მთავრობამ შეიმუშავა IPAP-ის პირველი ვერსია, მაგრამ ნატოს ექსპერტებმა იგი მეტად ზედაპირულად მიიჩნიეს. (საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი, ინტერვიუ ავტორთან, 2003 წლის დეკემბერი).

სულს ბარდებოდა. მაგალითისათვის, დააპატიმრეს რკინიგზის სახელმწიფო სამსახურის ყოფილი უფროსი აკაკი ჩხაიძე. იგივე ბედი ეწია პარლამენტის ყოფილ წევრ გიორგი კენჭაძეს, რომელიც კრიმინალურ სამყაროსთან კავშირებით იყო ცნობილი. დაკავებული იქნა აფრასიძეების კრინიმალური ნაბდა, რომელიც სვანთის მაღალმთიანი სოფელი ეწერიდან ახორციელებდა კრიმინალურ საქმიანობას მთელი საქართელოს მასშტაბით.

და მაინც, ნაადრევია ამ ცვლილებებს შეუქცევად ხასიათზე საუბარი. ამასთან ერთად, უსაფრთხოებისა და თავდაცვის სფეროში კვლავ რჩება მნიშვნელოვანი ხარვეზები:

სამხედრო სისტემაზე სამოქალაქო კონტროლი არასაკმარისად დემოკრატიულია და ზედმეტი პარალელიზმით ხასიათდება. 2004 წლის თებერვალში, ახალმა მთავრობამ, პარლამენტის თითქმის ერთსულოვანი თანხმობით, კონსტიტუციაში ცვლილება შეიტანა. შემოღებული იქნა პრემიერ-მინისტრის თანამდებოდა და, გარკვეულ შემთხვევებში, პრეზიდენტის პარლამენტის დათხოვნის უფლება მიენიჭა. ზოგიერთი მოსაზრებით, ამ ცვლილებებმა შეასუსტეს პარლამენტის როლი, მათ შორის, სამხედრო ძალებზე სამოქალაქო კონტროლის სფეროშიც. შესაძლოა ეს მოსაზრება გადაჭარბებულიც იყოს, მაგრამ ფაქტია, რომ თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროებში პოლიტიკური ორგანოების ფუნქციათა აღრევიდან მომდინარე პრობლემატიკა არ ამოწურულა.

მაგალითისათვის, ახლა პარლამენტს აქვს უფლება უნდობლობა გამოუცხადოს ცალკეულ მინისტრს ან მთლიან კაბინეტს, თუმდა დათხოვნის რისკად. პრემიერ-მინისტრის პოსტის შემოღება კი აღმასრულებელ ხელისუფლებაში მართვისა და კონტროლის პარალელიზმის მიზეზი ხდება: სამინისტროებს პრემიერ-მინისტრი უწევს კურირებასა და კოორდინირებას, მაგრამ პრეზიდენტი ინარჩუნებს უფლებას დაითხოვოს თავდაცვისა და პოლიციისა და საზოგადოებრივი უსაფრთხოების მინისტრები პრემიერ-მინისტრის თანხმობის გარეშეც. ამავდროულად, პრეზიდენტი რჩება შეიარაღებული ძალების უზენაეს სარდლად და ეროვნული უშიშროების საბჭოს თავმჯდომარედ. საგანგებო შემთხვევებში პრეზიდენტი მინისტრთა კაბინეტის სხდომებსაც თავმჯდომარეობს. ასეთი პარალელიზმი თუ ფუნქციათა ურთიერთგადაფარვა ქმნის “სუბიექტური” სამოქალაქო

კონტროლის რისკს, რომლის შესახებაც ადრე იყო საუბარი.

მეტიც, თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა განიცდიდა უჩვეულოდ ხშირ ცვლილებებს. 2005 წ. თებერვალში თავდაცვის მინისტრმა, რომელიც თავად იყო რიგით მეოთხე მინისტრი რევოლუციის შემდეგ, გენერალური შტაბის ყველა დირექტორატის ხელმძღვანელთა გადადგომა მოითხოვა. მისივე მოთხოვნით გადადგა გენერალური შტაბის უფროსიც. გენერალური შტაბის ახალი უფროსად, აგრეთვე მეოთხედ რევოლუციის შემდეგ, პოლკოვნიკი ლევან ნიკოლაიშვილი დაინიშნა. ამ შემთხვევასთან დაკავშირებით ორი რამ იყო შემაშფოთებელი. ჯერ ერთი, ასეთი ცვლილებები ხელმძღვანელობის არასტაბილურობაზე მიანიშნებდა. მეორეც, მინისტრის მოთხოვნა, სავარაუდოდ, არაკანონიერი იყო, რადგან მინისტრს არ აქვს უფლება გენერალური შტაბის უფროსს გადადგომა აიძულოს. კანონის თანახმად, გენერალური შტაბის უფროსის დანიშვნა და გათავისუფლება პრზიდენტის პრეროგატივაა. არსებითად, საქართველოს თავდაცვის პოლიტიკაში ბოლო დრომდე ნარჩუნდებოდა რევოლუციური ქაოსისა და ქვაზი-კანონიერების ნაზავი.

2005 წლის გაზაფხულზე ნატომ ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის მიმდინარეობის პირველადი შეფასება განახორციელა. პროცესი ძირითადად კლასიფიცირებულია და, შესაბამისად, ბევრი რამ უცნობია ამ შეფასების შედეგების შესახებ. მთავრობა აცხადებს, რომ ნატოს ექსპერტები გაოცებული არიან რეფორმების წარმატებული ტემპებით და შეიარაღებული ძალების გაზრდილი ბრძოლისუნარიანობით. თუმცა, იმავდროულად, რიგი კონფიდენციალური წყაროების ცნობით, ნატოს ექსპერტებს ბევრი კითხვები უჩნდებათ საქართველოს თავდაცვის სისტემაში დაგეგმვისა და საბრძოლო აღჭურვილობის შესყიდვების რაციონალურობასთან დაკავშირებით.

ამ ვითარებაში მნიშვნელოვანია ეროვნული უშიშროების საბჭოს როლის მკაფიოდ განსაზღვრა. ეს პროცესი 2004 წელს დაიწყო და იმედისმომცემ პირველ ნაბიჯად შეიძლება ის გარემოება ჩეითვალოს, რომ ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს პირველმა პოსტ-რევოლუციურმა მდივანმა - ვანო მერაბიშვილმს, ეროვნული უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებაში რჩევისათვის არასამთავრობო ორგანიზაციებსა და სამოქალაქო ექპერტთა საზოგადოებას მიმარ-

თა.[42] სამწუხაროდ, მისი შემცვლელი გელა ბეჟუაშვილი ნაკლებ ინტერესს იჩენს აკადემიურ წრეებსა და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან თანამშრომლობის მიმართ.

მანამ, სანამ სამუშაო დასრულებულ ფორმას მიიღებს და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ოფიციალური კონცეფცია ექნება,[43] პრეზიდენტმა, პრემიერ-მინისტრმა და მართველი ნაციონალური მოძრაობა - დემოკრატების ხელმძღვანელებამ პასუხი უნდა გასცეს შემდეგ კითხვებს: როგორ და როდის უნდა მოგვარდეს რუსული ბაზების საქართველოში ყოფნის საკითხი; როგორ გეგმავს საქართეველოს მთავრობა სეპარირებული, უკონტროლო ტერიტორიების პრობლემის მოგვარებას; როგორ აპირებს მთავრობა ქვეყნის ენერგეტიკული უსაფრთხოების უზრუნველყოფას; რა ზომებია მისაღები უკიდურესი სიღარიბის, ჯერაც დაუმარცხებელი კორუპციისა და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ; რა უნდა გაკეთდეს რელიგიური და ეთნიკური შეუწყნარებლობის პრობლემების მოსაგვარებლად, რომელიც კვლავაც საკმაოდაა გამჯდარი საქართველოს სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში; რა გზით შეიძლება ამ ყველაფრის და უსაფრთხოების სხვა საკითხების მოგვარებისათვის საჭირო რესურსების მოზიდვა; რა კონკრეტული მისიები ეკისრება უსაფრთხოების და თავდაცვის უწყებებს?

თუ საბოლოოდ არ გაირკვა რუსეთ - საქრთველოს ურთიერთობები თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში; თუ არ იქნა მკაფიოდ

[42] ეროვნული უსაფრთხოების საბჭოს აპარატის წარმომადგენელი. ინტერვიუ ავტორთან, აპრილი, 2004

[43] სანამ წიგნი დასაბეჭდად მზადდებოდა, საქართველოს ხელისუფლებამ შეიმუშავა და მიიღო დიდი ხნის ნანატრი ეროვნული უსაფრთხოების კონცეფცია. სამუშაოს დაჩქარებაში დიდი წვლილი შეიტანა პარლამენტის თავდაცვისა და უსაფრთხოების კომიტეტმა. აღსანიშნავია, რომ კონცეფციის შემუშავების საბოლოო ეტაპზე, ავტორებმა უშიშროების საბჭოს აპარატიდან მოაწყვეს პროექტის განხილვები არასამთავრობო სექტორის მონაწილეობით. მიუხედავად იმისა, რომ მიღებულ დოკუმენტში კვლავ არის საკამათო ადგილები, რომელთა განხილვის საშუალება დასაბეჭდად გამზადებულ წიგნში აღარაა, როგორც კონცეფციის შემუშავების პროცესი, ისე დოკუმენტის შინაარსი უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია თავდაცვისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმირების გზაზე. ამავე დროს, მიღწეული იქნა პროგრესი მოლაპარაკებებში რუსული ბაზების თაობაზე. მთავრობამ გადადგა ახალი ნაბიჯები კონფლიქტების მოგვარების გეგმათა შემუშავების მიმართულებითაც.

ჩამოყალიბებული სამხედრო ძალების როლი ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საქმეში; და თუ სწრაფი ტემპით არ განხორციელდება საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკური, სამართლებრივ-პოლიტიკური და კულტურული მოდერნიზაცია, სამხედრო რეფორმა - თუნდაც საუკეთესო ექსპერტების ხელმძღვანელობით - მკვდრად შობილი დარჩება. არმიაში, პოლიციასა და უსაფრთხოების სხვა უწყებებში წლების მანძილზე ფეხმოკიდებულმა კორუფციამ და ფავორიტიზმმა სეროზული დარტყმა განიცადა. თუმცა გასაკეთებელი ჯერაც ბევრია და რეფორმის პროცესში გაჩენილი ნებისმიერი ბზარი კვლავ ააღორძინებს ძველ პრაქტიკას.[44]

ფართომაშტაბიანი აგრესიის საფრთხე საქართეველოს უახლოეს მომავალში არსაიდან არ ემუქრება. რაგინდ გაღიზიანებული არ უნდა იყვნენ რუსი პოლიტიკოსები საქართველოს პროდასავლური არჩევანით, ფართომაშტაბიანი ინტერვენციის ალბათაობა ძალიან მცირეა. მითუმეტეს, როცა მათ შეუძლიათ საქართველოზე ზეწოლის ნაირფერი ეკონომიკური და პოლიტიკური ბერკეტების ამოქმედება. აქედან გამომდინარე, შესაძლებელიც რომ იყოს, საქართველოსათვის მაინც არ აქვს აზრი მრავალრიცხოვანი ტრადიციული არმიის ფორმირებას.

სინამდვილეში ქვეყანას ესაჭიროება მსუბუქი და შედარებით მცირერიცხოვანი პროფესიონალური სამხედრო ძალა, რომელიც შეძლებს აკონტროლოს მთიანი და ზღვის პირა საზღვრები. ამავე დროს, საქართველოს უნდა ყავდეს გასამხედროებული ფორმირებები ორგანიზებულ კრიმინალურ ჯგუფებთან საბრძოლველად. სამხედრო ძალების ნაწილი შესაძლოა წარმატებით იქნას გამოყენებული საერთაშორისო სამშვიდობო მისიებში, რისი მაგალითებიც უკვე სახეზეა. ამგვარ ოპერაციებში მონაწილეობა საქართველოს აძლევს შანსს თავისი წვლილი შეიტანოს საერთაშორისო სტაბილურობისა და უსაფრთხოების საქმეში. უფრო ჰიპოთეტური, ფართომაშტაბიანი საფრთხეებისათვის მოსამზადებლად კი უპრიანი იქნებოდა სარეზერვო ძალების გაძლიერება. სარეზერვო ძალები, თავისი მოკლევადიანი წრთვნებით, შეიძლება პოზიტიურ ფაქტორად იქცეს

[44] საქართველოს თავდაცვის სამინისტროს წარმომადგენლები. ინტერვიუ ავტორთან, აპრილი, 2004.

საქართველოს მრავალეთნიკური მოსახლეობის თანამედროვე სამოქალაქო ერად გარდაქმნის საქმეში.

თუ კორუფცია საბოლოოდ იქნა აღმოფხვრილი და მოხდა მენეჯმენტის სისტემის ოპტიმიზაცია, საქართველოს თავისი მოკრძალებული რესურსებითაც კი შეეძლება 15 000 –20 000 პროფესიონალი ჯარისკაცის შენახვა, რასაც რეზერვისტთა კონ-ტიგენტი დაემატება. თუმცა, ყოველივე ეს კვლავ გვახსენებს საქართველოს ძირითად საშინაო პრობლემატიკას - მათ შორის წინა ხელისუფლებისაგან ნაანდერძევ და ჯერაც დასარეგულირებელ სამხედრო-სამოქალაქო ურთიერთობის პრობლემებს. თუ ახალი მთავრობა გაწონასწორებულად და მიზანმიმართულად იმოქმედებს სამოქალაქო დემოკრატიული კონტროლის ეფექტური მექანიზმების დასამკვიდრებლად, ქვეყანას ნამდვილად ექნება უზრუნველყოფილი შედარებითი, მაგრამ გაზრდილი და ადექვატური უსაფრთხოება.

საქართველო და რუსეთი: რთული გზა ურთიერთგაგებისაკენ

ჯაბა დევდარიანი

რუსეთსა და საქართველოს ურთიერთობების გაუმჯობესების მორიგი შესაძლებლობა 2004 წლის იანვარში მიეცათ, როდესაც ახლადარჩეულმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა რუსეთს ურთიერთობების სუფთა ფურცლიდან დაწყება შესთავაზა. რუსეთისადმი უნდობლობა მის ბევრ მეზობელს ახასიათებს, მათ შორის ბალტიისპირა ქვეყნებს და აზერბაიჯანსაც. თუმცაღა სიტყვიერი თუ რეალური დაპირისპირების დონითა და ინტენსივობით საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა მაინც გამორჩეულია. მაშ რა განაპირობებს ასეთ დაძაბულობას?

რთული ისტორიის მქონე მეზობლებს შორის ჯანსაღი ურთიერთობის ჩამოყალიბებას ამ ქვეყნებში საკუთარი შესაძლებლობების რწმენის განმტკიცება სჭირდება. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის რღვევამ საკუთარი თავის რწმენა ორივე ახლადშექმნილ სახელმწიფოს გაუქარვა. 90–იანი წლების განმავლობაში რუსეთიც და საქართველოს თვითშეგნების კრიზისს განიცდიდა. საქართველოს მმართველმა ელიტამ ძალაუფლება რუსეთის იმპერიული კლანჭებიდან გათავისუფლების დროშის ქვეშ მოიპოვა. რუსეთის იმპერიაში გაერთიანებიდან მოყოლებული, თანამედროვე ქართული ნაციონალური აზრონება რუსეთისაგან ენობრივი, ტერიტორიული და რელიგიური დამოუკიდებლობის იდეის გარშემო ყალიბდებოდა. საბჭოთა კავშირის პერიოდმა რუსეთის მიმართ ჯერ კიდევ იმპერიულ პერიოდში ჩამოყალიბებული წყენა და უნდობლობა კიდევ უფრო განამტკიცა. ქართული ელიტა თავის ინტერესებს სულ უფრო ხშირად განიხილავდა რუსეთის ინტერესებთან შეუთავსებლად. რუსეთის ელიტისათვის, სამხრეთ კავკასიაზე კონტროლის დაკარგვა მტკივ-

ნეული მოვლენა იყო, ხოლო რუსეთის მიმართ რადიკალურად განწყობილი ქართული ნაციონალიზმი დამატებით გამღიზიანებელს წარმოადგენდა.

უნდობლობის ამ კონტექტში შეუძლებელი გახდა უშიშროების უმნიშვნელოვანესი საკითხების კონსტრუქციული განხილვა. საქართველო რუსეთს საფრთხედ აღიქვამდა, ხოლო რუსეთი ეჭვით ეკიდებოდა საქართველოს სწრაფვას ნატოსაკენ და კავშირების გაღრმავებას რუსეთის ისტორიულ მეტოქე თურქეთთან. ლიდერებს შორის პირადმა მტრობამ კი კომუნიკაცია შეუძლებელი გახადა. საქართველოს სუსტი მმართველები საზოგადოების მხარდაჭერას ანტირუსული პროპაგანდით მოიპოვებდნენ. არჩევნები რუსეთის მიმართ რადიკალური განცხადებების შეჯიბრად იქცა, მოსკოვს მიეწერებოდა ყველა არსებული და არარსებული ცოდვა. ეკონომიკურ და პოლიტიკურ წარუმატებლობას საქართველოს მთავრობა რუსეთს მიაწერდა, მაგრამ ეკონომიკური და პოლიტიკური სისუსტე რუსეთის ყველაზე აგრესიულ ელემენტებს ქვეყნის შიდა პოლიტიკაში ჩასარევად უხსნიდა გზას.

ამ ვითარებაში, რუსეთსა და საქართველოს შორის პრაგმატული თანამშრომლობისათვის ადგილი არ დარჩა. თუმცა დღეს ორი ფაქტორი მაინც აახლოებს ორ სახელმწიფოს. პირველი, მმართველი ფენის თანდათანობითი ცვლაა. პოლიტიკოსთა ახალ თობას პირადი წყენის ნაკლები საფუძველი გააჩნია. რაც უფრო მნიშვნელოვანია, შეიცვალა რეგიონული და საერთაშორისო კონტექსტი. მეზობელი და უფრო შორეული სახელმწიფოები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ბიზნესი სულ უფრო მეტ გავლენას ახდენს სამხრეთ კავკასიის რეგიონზე. ნავთობისა და სხვა ენერგომატარებლების ტრანზიტმა რეგიონი უფრო ღირებული გახადა. საერთაშორისო ურთიერთობების სულ უფრო მეტი მონაწილეა დაინტერესებული აქ სტაბილურობის შენარჩუნებით. ნათელია, რომ საერთო პრობლემების გადაწყვეტა თანამშრომლობის გზითაა შესაძლებელი. საერთაშორისო ტერორიზმის საფრთხემ უსაფრთხოების აღქმა შეცვალა. საქართველოს მოქალაქეების მიერ რუსეთიდან გადმორიცხული თანხების რაოდენობამ და საქართველოში რუსეთის ენერგეტკულმა ინტერესებმა დააახლოა ორი ქვეყნის მთავრობები. მოსკოვშიც და თბილისშიც უკანასკნელ ხანებში ცდილობენ მცირედ მაინც გააუმჯობესონ

ურთიერთობა. თუმცაღა, დღეისათვის დამაშორიშორებელი მიზეზები ისეთივე ძლიერია როგორც დამაახლოებელი, რაც რეალურ პროგრესს ხელს უშლის.

ეს თავი საქართველოსა და რუსეთს შორის კონფლიქტის მიზეზების ანალიზით იწყება და დაპირისპირების ორ დონეს ეხება: თვითშეგნების კრიზისს, რომელიც ორივე ქვეყანაში 90–იანი წლების დასაწყისს დაემთხვა და უსაფრთხოების ძიებას 90–იანი წლების შუა ხანებსა და დასასრულს. თავის შუაწელში ორმხრივ ურთიერთობებში ახალი პრაგმატიზმის ძიებას შევეხებით. თავის დასასრულს საერთო მიდგომის გამონახვის ორ კონკრეტულ მაგალითზე შევჩერდებით.

თვითშეგნების ძიებაში

რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობის ზრდა 80–იანი წლების დასაწყისს უკავშირდება, როდესაც საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ ორივე სახელმწიფო თავის ახალ, დამოუკიდებელ თვითშეგნებას აყალიბებდა. ამ რთულ და მტკივნეულ პროცესში რუსეთი და საქართველო თვითმყოფადობის ძირეულად განსხვავებული ფორმისაკენ ისწრაფვოდნენ. დაძაბულობამ ქვეყნებს შორის პიკს მიაღწია 1994 წლისათვის, მაგრამ უნდობლობა და მასთან დაკავშირებული რადიკალური (თუმცა ხშირად არათანმიმდევრული) რიტორიკა არასოდეს განელებულა. ღირებულებებს შორის ამგვარი კონფლიქტები მეტად რთული გადასალახია, რადგან როგორც ჯეფრი რუბინი აღნიშნავს, მათი „გადაწყვეტა მხოლოდ მაშინ შეიძლება თუკი ერთი მხარე მეორეს აზრის შეცვლის აუცილებლობაში დაარწმუნებს და არა მოლაპარაკებებისათვის დამახასიათებელი კომპრომისების გზით.”[1] ამავე მიზეზით რთულდება კონფლიქტის აღწერა პრაგმატული პოლიტიკის ენაზე, რადგან ერთი შეხედვით პოლიტიკურად უმნიშვნელო მოვლენები, რომლებიც „ნორმალურ” ურთიერთობებზე გავლენას ვერ მოახდენდნენ, მაგალითად ერთი ცალკეული სტატია, გამონათქვამი თუ ტელეგადაცემა, დაპირისპირებული ღირებუ-

[1] *Jeffrey Z. Rubin.* Models of Conflict Management. – *Journal of Social Studies*, vol. 50, no. 1 (1994), pp. 33–45.

ლებებისა და მიზნების კონტექსტში გადაჭარბებულ რეაქციას იწვევს.

ანთროპოლოგიაში მიღებული „კოლექტიური თვითშეგნების" განსაზღვრება ამ ფენომენის აღსაწერად გამოგვადგება. „კოლექტიური თვითშეგნება" საზოგადოებრივი ცხოვრების ზოგად, გაზიარებულ კონცეფციას გულისხმობს ანუ „კოორდინატთა უზოგადეს სისტემას რომელიც წარმართავს სოციალურ ქმედებას."[2] საქართველოსა და რუსეთის თანამედროვე „ერი–სახელმწიფოების" თვითშეგნება მნიშვნელოვანწილად იმპერიული რუსეთისა და საბჭოთა კავშირის ფარგლებში ზიარი ისტორიის შედეგად ჩამოყალიბდა, მაგრამ ამ ერებმა განსხვავებული შინაარსით დატვირთეს თანაცხოვრების ეს გამოცდილება. თვითშეგნება, „მეობა", თავისი არსით ერის ცხოვრების მითოლოგიზებული მოთხრობაა რომელიც წარმართავს და განსაზღვრავს საზოგადოებრივ ცხოვრებას. ის აისახება წერილობით ისტორიაში, ხელოვნებაში, ლიტერატურასა და საზოგადოების ცხოვრების წესში. ამ მხრივ შეგვიძლია ვისაუბროთ „მთავარ მითზე," რომელიც ყველაზე ზოგად დონეზე განსაზღვრავს სიმბოლურ სამყაროს, რომლის მიხედვითაც საზოგადოება აფასებს, თუ რა უქმნის საფრთხეს მის არსებობას და რა გზით უნდა დაუპირისპირდეს ის ამ საფრთხეს.[3] ეს მთავარი მითი საკმაოდ მდგრადი უნდა იყოს იმისათვის რომ საუკუნეების მანძილზე ჩამოაყალიბოს და შეინარჩუნოს ერის „მეობა", მისი თვითშეგნება, მაგრამ ამავე დროს მისი ცალკეული ნაწილები მუდმივად გადასხვაფერდება და ესადაგება მიმდინარე რეალობას. დრამატული ისტორიული მოვლენები, როგორიც იყო მაგალითად საბჭოთა კავშირის დაშლა, ხშირად ისტორიის გადაფასებას და მთავარი მითის საფუძვლიან მოდიფიცირებას იწვევს.[4]

თანამედროვე საქართველოს თვითშეგნება რუსეთისაგან დამოუკიდებლობის იდეის გარშემო ჩამოყალიბდა. ამიტომაც, რუსეთთან

---

[2] *Peter L. Berger and Thomas Luckmann.* The Social Construction of Reality: A Treatise in the Sociology of Knowledge (New York: Anchor Books, 1967), p. 62.

[3] *Berger and Luckmann.* The Social Construction of Reality, p. 62; *Margaret R. Somers and Gloria D. Gibson.* Dark Thoughts about the Self, in *Craig Callhoun, ed.* Social Theory and the Politics of Identity (Oxford: Blackwell, 1994), p. 67.

[4] *Somers and Gibson.* Dark Thoughts about the Self, p. 67. ასევე *Manuel Castells.* The Power of Identity (Malden, MA: Blackwell, 1997), p. 31.

მიმართების თემა მთავარია ეროვნული ცნობიერებისათვის და მას უზარმაზარი სიმბოლური დატვირთვა აქვს პოლიტიკური ცხოვრებისათვის იმისდა მიუხედავად, თუ რა გზას ადგას თავად რუსეთი.[5] საქართველოს ისტორიის რუსეთის იმპერიასთან მიმართებაში ინტერპრეტირება ქმნის „წინააღმდეგობის თვითშეგნებას", როგორც მას მანუელ კასტელსი უწოდებს. ამგვარი თვითშეგნება ერში მაშინ ყალიბდება, როდესაც ის თავსმოხვეულ იდეოლოგიას ეწინააღდეგება, ხოლო სუვერენული კონტროლი საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ინსტიტუტებზე დაკარგულია. ამ პირობებში საზოგადოება პარალელურ, თავსმოხვეულთან დაპირისპირებულ და ავტონომურ სოციალურ სისტემას აყალიბებს, აშენებს „დაპირისპირებისა და თვითგადარჩენის სანგრებს" რომლებითაც კოლექტიური „ჩვენ" ეთნო–ლინგვისტური, რელიგიური ან სხვა ნიშნით ემიჯნება დამპყრობელ „იმათ."[6]

მეთვრამეტე საუკუნეში ოტომანურ და სპარსულ საფრთხესთან მებრძოლი საქართველო პოლიტიკური და ფიზიკური განადგურების საფრთხის წინაშე იდგა. ვერ მიიპყრო რა ევროპის ყურადღება, ქართულმა ელიტამ დაცვა რუსეთის იმპერიას სთხოვა. ეს არჩევანი გაზიარებულმა მართლმადიდებლობამაც განსაზღვრა, როგორც საქართველოს თვითშეგნების ერთ–ერთმა ელემენტმა. ათწლეულების განმავლობაში საქართველოს სამხედრო–პოლიტიკური ელიტა რუსული ჯარების მხარდამხარ იბრძოდა ჩრდილო კავკასიაში და დიდი როლი შეასრულა თუნდაც იმამ შამილის ლეგენდარული აჯანყების ჩახშობაში. ამავე დროს, რუსული პოეზიის, ხელოვნებისა და განათლების წყალობით ქართული არისტოკრატია ევროპულ კულტურასა და ღირებულებებს ეზიარა.

კულტურულმა კავშირებმა საუკუნეებს გაუძლო, მაგრამ პოლიტიკურ–სამხედრო ალიანსმა დიდ ხანს ვერ გასტანა. იმპერიული მმართველობის პირველი წლებიდანვე გამოიკვეთა უკმაყოფილება როგორც უბრალო მოსახლეობის, ისე არისტოკრატიის მხრიდან, რაც

[5] *Gia Tarkhan-Mouravi.* The Georgian–Abkhazian Conflict in a Regional Context, in *Bruno Coppieters, Ghia Nodia, and Yuri Anchabadze, eds.* Georgia and Abkhazia, The Search for a Settlement (Cologne: Sonderveröffentlichung des BIOst, 1998), pp. 90–112, http://poli.vub.ac.be.

[6] *Castells.* The Power of Identity, p. 8.

პერიოდულ სპონტანურ თუ დაგეგმილ აჯანყებებში გადაიზრდებოდა ხოლმე. საქართველოს ფეოდალური სისტემა ვერ შეეგუა ბევრად უფრო ხისტ რუსულ მოდელს. ახალგაზრდა ქართველმა არისტოკრატებმა რუსეთის უნივერსიტეტებში აითვისეს თავისუფლებისა და ლიბერალიზმის ევროპული იდეალები და მამების თაობის რუსული არჩევანის წინააღმდეგ გაილაშქრეს. ეს კონფლიქტი, რომელიც კარგად აისახა იმ პერიოდის ქართულ ლიტერატურაში, შვილთა გამარვებით დასრულდა. მეცხრამეტე საუკუნის ბოლოსათვის ამ თაობამ ხელოვნების, ლიტერატურისა და ჟურნალისტიკის მეშვეობით ეროვნულ თვითშეგნებაში შემოიტანა რუსეთის მხრიდან „ღალატის" თემა, თხრობა იმის შესახებ რომ იმპერიული ინსტინქტებით მოქმედმა რუსეთმა ისარგებლა საქართველოს სისუსტით და დაცვის მაგივრად გააუქმა დამოუკიდებელი ქართული სახელმწიფოებრიობა.

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლეგიტიმურობა 1918 წელს ამ იდეებზე გაზრდილი თაობის ძალისხმევას დაეყრდნო. როდესაც საბჭოთა რუსეთის ჯარებმა 1921 წელს დაიკავეს დამოუკიდებელი საქართველო, საქართველოს ნაციონალისტების თვალში საბოლოოდ განმტკიცდა რუსეთის სახე – არასაიმედო და მზაკვარი მეზობელი, რომელიც მუდმივად ძირს უთხრის ქართველ ერსა და ქართულ სახელმწიფოს. მიუხედავად იმისა, რომ ქართული ელიტა და არისტოკრატია 1920–30–იან წლებში თითქმის მთლიანად განადგურდა, ქართველი მწერლებისა და საზოგადოებრივი მოღვაწეების ახალი თაობა 1930–იან, 40–იან თუ 70–იან წლებში სწორედ მეცხრამეტე საუკუნის კლასიკოსების მიერ ჩამოყალიბებულ „ქართველობის" განსაზღვრებას ეყდნობოდა, ანუ იმპერიულ მჩაგვრელთან დაპირისპირებას ქადაგებდა. ამგვარად, საქართველოს მთავარი მითი „წინააღმდეგობის თვითშეგნების" ნიადაგზე აღმოცენდა.[7]

რუსეთის მიმართ დამოკიდებულება საბჭოთა პერიოდის მტკივნეულმა გამოცდილებამ კიდევ უფრო გააუარესა. 1956 წელს საბჭოთა ჯარებმა ცეცხლი გაუხსნეს თბილისში ნიკიტა ხრუშჩოვის დესტალინიზაციის პოლიტიკის მოწინააღმდეგე დემონსტრანტებს,

[7] ამ საკითხის უფრო დეტალური ანალიზისისათვის, იხილეთ: *Irakli Chkonia*. Remaking the Identity Master Myth in Georgia: The Intellectual and Social History of Discourse of Modern Georgian Nationalism. გამოუქვეყნებელი ნაშრომი.

რომლებიც ხრუშჩოვის კამპანიის ქვეტექსტად „ქართველობის" წინააღმდეგ შეტევას აღიქვამდნენ. 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა შინაგანმა ჯარებმა დაშალეს დამოუკიდებლობის დევიზით გამართული დემონსტრაცია, რის შედეგადაც ოცი ადამიანი დაიღუპა, ძირითადად ახალგაზრდა ქალები. ამ მოვლენამ საქართველოში დამოუკიდებლობის მომხრეთა რიგები მკვეთრად გაზარდა.

საქართველოს რუსეთისაგან განთავისუფლება 80–იანი წლების ბოლოს გაშლილი დამოუკიდებლობის მოძრაობის მთავარი მიზანი იყო. მოძრაობის ლიდერები ხშირად საუბრობდნენ „სრულ დამოუკიდებლობაზე," თუმცა ამ ტერმინის კონკრეტული არსი არასოდეს განუმარტავთ. ეროვნული მოძრაობა საძულველი იმპერიისაგან გათავისუფლების ინსტინქტს ეყრდნობოდა. რუსეთისადმი უნდობლობა პარანოიის ზღვარზე გადიოდა: ქართული პრესა, მაგალითად, თვლიდა რომ საბჭოთა სატელევიზიო არხების მიერ თბილისის ამინდის პროგნოზის გადმოცემა იმპერიული აზროვნების ნაწილი იყო, ხოლო დამანგრეველი მიწისძვრები რუსეთის საიდუმლო მიწისქვეშა ლაბორატორიებიდან იმართებოდა.

ამ ფონზე, საქართველოს უსაფრთხოებისადმი რეალური საფრთხე არასწორად იყო ინტერპრეტირებული. ითვლებოდა, რომ რუსეთის ჩარევის გარეშე ეთნიკურ უმცირესობებთან – განსაკუთრებით აფხაზებთან და ოსებთან – შექმნილი დაძაბულობა თავისთავად განიმუხტებოდა.[8] ეკონომიკურ საკითხებსაც არ ექცეოდა ყურადღება. პოლიტიკოსები და უბრალო მოქალაქეები თვლიდნენ, რომ მათი გადაწყვეტა ადვილად მოხერხდებოდა დამოუკიდებლობის მიღწევის შემდეგ. დაუბრუნდეს ქვეყნის ბუნებრივი რესურსები ქართველ ხალხს და ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობა თავისთავად უზრუნველყოფილი იქნება, თვლიდა ბევრი.

მიხეილ გორბაჩოვის რეფორმების დაწყების შემდეგ ქართველებისათვის დამოუკიდებლობა არა მხოლოდ სასურველი, არამედ შესაძლებელიც ჩანდა. თუკი ქართული საზოგადოება ამას იმედით ხვდებოდა, რუსეთის ელიტისათვის საბჭოური წარსულისათვის

[8] ამ კრებულში შესულ თავში გია ნოდია აღნიშნავს, რომ ეთნიკური უმცირესობები საფრთხედ აღიქვამდნენ საქართველოს სახელმწიფოს ეთნიკური ნიშნის მიხედვით განსაზღვრას.

ზურგის შექცევა უფრო რთული აღმოჩნდა. რუსეთის კოლექტიური თვითშეგნება მჭიდროდ იყო დაკავშირებული იმპერიული „დიადი სახელმწიფოსა" და ცივი ომის დროინდელი „სუპერსახელმწიფოს" სტატუსთან. ამგვარი თვითშეგნება რუსეთს ევროპისაგან დამოუკიდებელ ერთეულად აღივამდა, მიუხედავად იმისა, რომ რუსული ელიტა ტრადიციულად ისწრაფვოდა ევროპული კულტურული სფეროსაკენ. საბჭოთა პერიოდში „მთავარი მითი" რუსეთს დასავლეთის გამაწონასწორებელ იდეოლოგიურ და სამხედრო ძალად განიხილავდა. ბორის დუბინის აზრით საბჭოთა თვითაღქმის მთავარი ნაწილები 1930–იანი წლებიდან მოყოლებული იყო: „მისია" (დასავლეთის გავლენის გაწონასწორება), „დერჟავა" (დიადი, მრავალი ერის გამაერთიანებელი სახელმწიფოს ხატებაზე დამყარებული „მეობა") და „საზღვარი" (ფიზიკური გამყოფი ხაზი „ჩვენ"–სა და „იმათ" შორის).[9] ეს კონცეფციები ჯერ კიდევ რუსეთის იმპერიის დროს ჩაისახა, მაგრამ სტალინის მმართველობის პერიოდში „უზენაესი მისიის" იმპერიული იდეა გადაეჯაჭვა მილიტარისტული, ცენტრალიზებული სახელმწიფოს ინსტიტუტს, რომელიც მუდმივ სამკვდრო–სასიცოცხლო ბრძოლაში იყო კაპიტალისტურ დასავლეთთან.[10]

გორბაჩოვი შეეცადა გარიდებოდა დასავლეთის გაწონასწორების იდეას და საბჭოთა ეკონომიკა და პოლიტიკური ინსტიტუტები დასავლურთან შეთავსებადი გაეხადა. „მთავარი მითი" პოპულარული რჩებოდა რუსეთის საზოგადოებაში და მასზე „ზემოდან"შეტევამ ვერ დაიმსახურა სახალხო მხარდაჭერა. კონსერვატიული ელიტის პოლიტიკური რეაქცია 1991 წლის მოსკოვის პუტჩის სახით გამოიხატა. საბჭოთა პოლიტიკური ინსტიტუტებიც ზედმეტად ხისტი აღმოჩნდა დემოკრატიულ ღირებულებებზე გადასაწყობად. შედეგად, საბჭოთა კავშირი დაიშალა. ასე რომ, მისიის შეცვლის მცდელობისას რუსეთმა საკუთარი „მეობის" განმსაზღვრელი, მრავალი ერის გამაერთიანებელი, სუპერსახელმწიფოს სტატუსით დამშვენებული დერჟავა დაკარგა.

ასე რომ, რუსეთის თვითშეგნების კრიზისი რეალურად საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ დაიწყო. ბორის ელცინის ადმინისტრაციამ

[9] *Boris Dubin.* Counterweight: Symbolism of the West in Contemporary Russia. – *Pro et Contra,* vol. 8, no. 3 (2004), p. 24.
[10] *Dubin.* Counterweight, p. 24.

თავიდან, 1990–93 წლებში, განაგრძო დასავლეთთან ინტეგრაციის პოლიტიკა. ახალი რუსული ელიტა აცხადებდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლა რუსეთისათვის „თვითგანთავისუფლების" აქტს წარმოადგენდა. ლიბერალი რეფორმატორები, ეგორ გაიდარის მეთაურობით, თვლიდნენ, რომ დამოუკიდებელი, დასავლეთზე ორიენტირებული რუსეთი წრაფად გადაეწყობოდა საბაზრო ეკონომიკაზე და მიაღწევდა კეთილდღეობას. მათი აზრით, თუკი რუსეთს ჩამოშორდებოდა ჩამორჩენილი, დოტაციაზე მყოფი საბჭოთა რესპუბლიკები ქვეყანა უფრო სწრაფად შეძლებდა განვითარებას და ეკონომიკური აღმავლობის ხარჯზე აღიდგენდა სუპერსახელმწიფოს სტატუსს. ეკონომიკური ლიბერალიზმის ეს იდეა რუსეთში ვერ გაბატონდა. პრივატიზაციის გაუკუღმართებულმა პროცესმა მხოლოდ კარგი კავშირების მქონე ადამიანების ვიწრო წრე გაამდიდრა და მოსახლეობა რეფორმატორთა იდეების წინააღმდეგ განაწყო. ეკონომიკური ლიბერალიზმის იდეოლოგიამ ვერ შეცვალა საბჭოეთის „მთავარი მითი."

რუს ავტორებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა ამ წარუმატებლობის მიზეზების ძიებაში. ზოგიერთი თვლის, რომ ინდივიდუალურ აქტივობაზე დამყარებული ეკონომიკური კეთილდღეობის იდეა უცხოა რუსული, კოლექტივისტური საზოგადოებისათვის, რომელიც სულიერ ღირებულებებს მატერიალურ კეთილდღეობაზე მაღლა აყენებს. სხვები თვლიან, რომ დასავლეთთან ინტეგრირების იდეა ზედმეტად რადიკალურად ეწინააღმდეგებოდა რუსული სახელმწიფოს ტრადიციულ თვითშეგნებას, რაც დასავლეთის გაწონასწორებას გულისხმობს. საზოგადოებრივი აზრის 1996 წელს ჩატარებული გამოკითხვის თანახმად, რუსეთის გამოკითხული მოქალაქეების 20% თვლიდა რომ მათი სახელმწიფო საბჭოთა კავშირის მსგავსად უნდა აეწყოს, 47% მხარს „ტრადიციულ რუსულ" ცხოვრების წესს უჭერდა და მხოლოდ 11%–ს სურდა რუსეთის დასავლურ ყაიდაზე გადაწყობა. ამავე დროს, 1997 წელს რუსეთის გამოკითხულ მოქალაქეთა 51% თვლიდა, რომ დასავლეთი „რუსეთის მეტოქეა" რომელიც „საკუთარი პრობლემების რუსეთის ხარჯზე მოგვარებას ცდილობს და ზიანს აყენებს რუსეთის ინტერესებს."[11]

[11] *Dubin*. Counterweight, p. 27

როდესაც ახალმა იდეოლოგიამ ფეხი ვერ მოიკიდა, რუსეთის საზოგადოება იმპერიული პერიოდის მითებსა და სიმბოლოებს მიუბრუნდა. აღმოსავლეთ ევროპის სოციალისტური სახელმწიფოებისათვის ამ პერიოდში საერთოდ დამახასი[12]ათებელი იყო საკუთარ ფესვებთან მიბრუნება. თუმცა, აღმოსავლეთი ევროპისაგან განსხვავებით რუსეთის წინა–საბჭოური წარსული კაპიტლისტური, დემოკრატიული ინსტიტუტების მქონე ერი–სახელმწიფო კი არა, მრავალეროვნული ტერიტორიული იმპერია იყო. შესაბამისად, ფესვებისაკენ მიბრუნება იმპერიული სიმბოლოების (და მასთან ერთად დერჟავნიკული რიტორიკის) აღორძინებას დაუკავშირდა. რუსეთის ევრო–ინტეგრაციულ პოლიტიკას საბოლოო წერტილი 1994 წელს, ჩეჩნეთის პირველი ომის დაწყებისას დაესვა. დასავლეთმა დაკარგა რუსეთის სწრაფი დემოკრატიზაციისა და ეკონომიკური ლიბერალიზაციის იმედი.

ახალი საქართველოსსა და ახალი რუსეთის „მთავრი მითები" ერთმანეთს ღიად უპირისპირდებოდა. საქართველოსათვის, საბჭოთა კავშირის დაშლა ხსნა იყო, გათავისუფლება „მათგან" ვის წინააღმდეგაც ქართველები საკუთარ თვითშეგნებას გრძნობითა და თითქმის პარანოიდალური დაჟინებით აგებდნენ. რუსეთის ელიტის უდიდესი ნაწილი მძიმედ განიცდა საბჭოთა კავშირის კრახს, რადგან ამან სახელმწიფო თვითშეგნების საფუძვლები შეარყია. საქართველო რუსეთის „მთავარი მითისათვის" თავიდან მხოლოდ უმნიშვნელო ელემენტი იყო, მაგრამ თვითშეგნების კრიზისის პერიოდში რუსეთი უფრო მგრძნობიარე გახდა საქართველოსა და კავკასიის მიმართ.

კავკასიის დაპყრობა და თბილი ზღვებისაკენ გაფართოება, „ველური ერების განათლება" რუსული იმპერიული მისიის განუყოფელი ნაწილი იყო. ამ იდეის გარშემო იგებოდა რუსული ლიტერატურის უდიდესი წარმომადგენლების, პუშკინის, ლერმონტოვის, ტოლსტოის ნაწარმოებების მნიშვნელოვანი ნაწილი. საქართვლოს ხისტი და შეურიგებელი თვითგამორკვევა ღიად უპირისპირდებოდა ამ მითოლოგიას. საქართველო უარს ამბობდა დერჟავის ნაწილად ყოფნაზე. მეტიც, ის ღიად აცხადებდა, რომ თავის თავს „საზღვრის" რუსეთის

[12] *Dmitri Trenin.* Identity and Integration: Russia and the West in the 21st Century. – *Pro et Contra,* vol. 8, no. 3 (2004), p. 11.

საპირისპირო, დასავლურ მხარეზე აღიქვამდა. კიდევ უარესი, ზვიად გამსახურდიას რომანტიკულ–ნაციონალისტური რიტორიკა სამხრეთ და ჩრდილოეთ კავკასიის ერთობას ქადაგებდა და რუსეთის იმპერიულ უფლებებს უკვე თვით რუსეთის ფედერაციის შიგნით უპირისპირდებოდა. რაც არ უნდა არარეალისტური ყოფილიყო ამ გეგმების განხორციელება, რუსეთში მათ გაზვიადებული შიშით ეკიდებოდნენ.[13] „პან–კავკასიურ" მოძრაობაზე საუბარი ხომ რუსეთში ყოფილი რეგიონული მეტოქის, თურქეთის ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენის ზრდას უკავშირდებოდა.

სტრატეგიული ხედვებისა და იდეოლოგიური მრწამსის შეუთავსებლობა არ გამორიცხავდა თანამშრომლობის გარკვეულ დონეს გამსახურდიასა და ელცინის ადმინისტრაციებს შორის. თუმცა, თვითშეგნების უფრო ღრმა კონფლიქტი გამორიცხავდა ნდობას და, შესაბამისად, რეალურ პროგრესს ამ ურთიერთობებში. რუსეთთან კონფრონტაცია ქართული პოლიტიკის ძირითად თემად დარჩა. გამსახურდიას მთავრობა რუსეთთან ბრძოლას სახელმწიფოს მშენებლობის ნებისმიერ სხვა ამოცანაზე მაღლა აყენებდა, რაც საზიანო აღმოჩნდა ქვეყნის განვითარებისათვის. მაგალითად, გამსახურდიას მთავრობას მეტად აშინებდა რუსეთის უშიშროების სამსახურისა და კომუნისტური ნომენკლატურის ზეგავლენა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. შედეგად, პროფესიული ელიტისა და ინტელიგენციის დიდი ნაწილი, რომლებსაც რუსეთთან კულტურული და პროფესიული კავშირები ჰქონდათ, სახიფათო კოლაბორაციონისტებად ირაცხებოდნენ.[14] მთავრობის ყურადღება კონკრეტული ეკონომიკური და სოციალური პრობლემების გადაწყვეტიდან კუდიანებზე ასეთ ნადირობაზე იყო გადართული. ამავე მიზეზით, გამსახურდიას მთავრობას გაემიჯნა გამოცდილი ადმინისტრაციული კადრების დიდი ნაწილი სახელმწიფო ინსტიტუტებს შიგნით, რამაც პოლიტიკურად დანიშნულ მინისტრებსა და მათ ნომენკლატურულ

---

[1] *Liz Fuller.* New Geopolitical Alliances on Russia's Southern Rim. – *RFE/RL Newsline,* April 16, 1997, http://www.rferl.org/newsline/1997/04/160497.asp.

[2] ზვიად გამსახურდია საქართველოში და აბულფაზ ელჩიბეი აზერბაიჯანში ცდილობდნენ დაშორებოდნენ "წითელ ინტელიგენციას", რისი უკუეფექტიც "ელიტების გაუცხოება" გახდა.

ხელქვეითებს შორის მუდმივი დაძაბულობა მოიტანა. ელიტების ამგვარ გაუცხოებას ლოგიკურად მოჰყვა გამსახურდიას მთავრობის დამხობა.[15]

მსგავსადვე, გამსახურდია და მისი ადმინისტრაცია აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს მხოლოდ რუსეთის მარიონეტებად აღიქვამდნენ. შედეგად, ამ ავტონომიების ელიტების მოთხოვნებს ყურადღება არ ექცეოდა და ორმხრივი კავშირები მათთან ძირითადად ბლოკირებული იყო. ამან დაძაბულობის ესკალაცია გამოიწვია და პოლიტიკური უთანხმოება შეტაკებებში გადაიზარდა. საქართვლოს ხელისუფლებამ ვერ გაიაზრა, თუ რატომ ემუქრებოდა, აფხაზეთისა და ოსეთის ელიტებისა და საზოგადოების ნაწილის აზრით, საქართველოს დამოუკიდებლობა მათ თვითშეგნებას. შესაბამისად, დაიკარგა უფრო მჭიდრო, ზე–ეთნიკური, ეროვნულ–სახელმწიფოებრივი თვითშეგნების ჩამოყალიბების პირველი შანსი დამოუკიდებელ საქართველოში.[16]

რასაკვირველია, გარკვეულ დონეზე გამსახურდიასდროინდელ ანტი–რუსულ რიტორიკას პრაქტიკული პოლიტიკური განზომილებაც გააჩნდა. გარე მტრის შიში ხელისუფლების კონსოლიდაციისა და საზოგადოებრივი თვითშეგნების განმტკიცების ერთ–ერთი გზაა. თუმცა მტრის ხატის შექმნა არ აღმოჩნდა საკმარისი ქვეყნის განვითარების უზრუნველსაყოფად. ამგვარად, დამოუკიდებლობის პირველ წლებში საქართველოს საზოგადოება იმაზე შეთანხმდა თუ საით სურდა მოძრაობა, ანუ მიაღწია იმას, რასაც კია ნოდია „ეროვნულ პროექტს" უწოდებს. საქართველოს სურდა გახდარიყო ევროპული ლიბერალური დემოკრატიის პრინციპებზე დამყარებული ეროვნული სახელმწიფო. სამწუხაროდ, „ეროვნული პროექტი" მხოლოდ იმას წყვეტდა თუ რა სურდა საზოგადოებას და არა იმას თუ როგორ აპირებდა ის ამ მიზნის მიღწევას.[17] სხვაგვარად რომ ვთქვათ, ქართული ელიტა იმდენად აღმოჩნდა კონცენტრირებული „წინააღმდეგობის თვითშეგნებაზე" რომ ვერ შეძლო მანუელ კასტელსის თქმით

[15] საბჭოთა ელიტის საქართველოს მთავრობისაგან გაუცხოების შედეგებზე იხილე: *Jaba Devdariani.* Georgia: Rise and Fall of Façade Democracy. – *Демократизация*, т. 12, № 1 (зима 2003 г.), стр. 87–91.

[16] იხ. გია ნოდიას ავტორობით ამ კრებულში გამოქვეყნებული თავი.

[17] იხ. გია ნოდიას ავტორობით ამ კრებულში გამოქვეყნებული თავი.

„საპროექტო თვითშეგნების" ჩამოყალიბება, ანუ ვერ დასახა „მომავალი ცხოვრების გეგმა, დაფუძნებული დაჩაგრულ თვითშეგნებაზე, მაგრამ მიმართული საზოგადოების ტრანსფორმაციისაკენ."[18] საქართველოს გააჩნდა ღირებულებებზე დამყარებული, ინსტინქტური სწრაფვა ევროპული სივრცისაკენ, მაგრამ მას სამწუხაროდ არ გააჩნდა დემოკრატიულ, საბაზრო სისტემაზე დამყარებულ საზოგადოებაში ცხოვრების პრაქტიკული გამოცდილება, რომელსაც შეეძლო კონკრეტული გეგმის ხასიათი მიეცა „ეროვნული პროექტისათვის." 1918–1921 წლების დემოკრატიული რესპუბლიკისაგან დამოუკიდებელ საქართველოს 1991 წელს მემკვიდრეობად ევროპისაკენ სწრაფვა ერგო და არა ამგვარ საზოგადოებაში ცხოვრების სოციალური, კულტურული და პოლიტიკური გამოცდილება. დამოუკიდებელი სამწლიანი არსებობა მეოცე საუკუნის დასაწყისში საკმარისი არ იყო დემოკრატიის მოქმედი ინსტიტუტების ჩამოყალიბებისათვის.[19]

გამსახურდიას შემცვლელმა პრეზიდენტის პოსტზე, ედუარდ შევარდნაძემ ასევე ვერ შეძლო საქართველოს განვითარების პოპულარული პროექტის შემუშავება. ისიც ხშირად იყენებდა რუსეთის ფაქტორს საკუთარი მთავრობის შეცდომებისა და არაეფექტურობის შესანიღბად.[20] გამსახურდიასაგან განსხვავებით, შევარდნაძე საქართველოში პრო–რუსულ პოლიტიკოსად ითვლებოდა. იგი ხელისუფლებაში 1992 წელს რუსეთთან ურთიერთობების გაუმჯობესების დევიზით მოვიდა. აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტის განმავლობაში შევარდნაძე „ორი რუსეთის" პოლიტიკას ატარებდა. მისი თქმით არსებობდა „იმპერიული რუსეთი" რომელსაც სამხედროები წარმოადგენდნენ და „დემოკრატიული რუსეთი" პრეზიდენტ ელცინისა და მისი გუნდის მეთაურობით. 90–იანი წლების ბოლოს,

[18] *Castells.* The Power of Identity, p. 8.

[19] ბალტიის სახელმწიფოებში, რომლებსაც საქართველო დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ბაძავდა, ვითარება სხვაგვარი იყო. 1918–დან 1939 წლამდე მათ სრულფასოვნად მოქმედი სახელმწიფოები ჩამოაყალიბეს და დემოკრატიული ინსტიტუტების მეხსიერება შენარჩუნდა. თაობა, რომელიც ცხოვრობდა დამოუკიდებლობის პერიოდში ჯერ კიდევ ცოცხალი იყო 90–იან წლებში.

[20] *Tarkhan-Mouravi.* The Georgian–Abkhazian Conflict in a Regional Context, pp. 90–112.

მაშინ როდესაც მისი პოპულარობა დრამატულად შემცირდა, შევარდნაძე სულ უფრო ხშირად აბრალებდა რუსეთს საკუთარ შეცდომებს. სინამდვილეში, საქართველოს სისუსტემ, მდგრადი, საზოგადოებრივი მხრდაჭერის მქონე ინსტიტუტების ჩამოუყალიბებლობამ გამოიწვია ეკონომიკური კატასტროფა, ისევე როგორც ორი სისხლიანი შიდა კონფლიქტი რომელიც ქვეყნის 15%–ზე კონტროლის დაკარგვით დასრულდა.

90–იან წლებში რუსეთის მიერ კავკასიაში გატარებული პოლიტიკის მიზეზების ახსნა ბევრად უფრო რთულია. საქართველოში გავრცელებული აზრით, რუსეთი ხელს უშლიდა საქართვლოსა და აზერბაიჯანში ეროვნული ხელისუფლებების ჩამოყალიბებას, ეხმარებოდა რა პოლიტიკურ (და ხშირად შეიარაღებულ) ოპოზიციას დიპლომატიური და სამხედრო საშუალებებით. თუმცა ძალიან რთულია იმის დარწმუნებით მტკიცება, რომ ყოფილი კომუნისტური ლიდერების ჰეიდარ ალიევისა და ედუარდ შევარდნაძის დაბრუნება ბაქოსა და თბილისში კრემლში დაიგეგმა. ორივე ქვეყანაში დამოუკიდებლობის შემდეგ მოსული ეროვნული ხელისუფლების დამხობა იმავე წარმატებით შეიძლება აიხსნას ქვეყნის შიდა პრობლემებითაც. გამსახურდიას წინააღმდეგ მებრძოლი შეიარაღებული ოპოზიცია იარაღს საბჭოთა არმიის არსენალებიდან იღებდა, რამაც ბევრი დარწმუნა რომ რეჟიმის შეცვლა რუსეთის გეგმის ნაწილი იყო. არც ისაა გამორიხული რომ 1991 წელს საბჭოთა კავშირის დაშლის შედეგად პოლიტიკურ მმართველ რგოლს მოწყვეტილი რუსი სახედროები საკუთარი ანგარებით მოქმედებდნენ.

დადასტურებულია, რომ აფხაზეთში რუსი სამხედროები აწვდიდნენ იარაღს, აღჭურვილობას და სადაზვრვო მონაცემებს აფხაზ აჯანყებულებს, ზოგჯერ კი პირდაპირაც ეხმარებოდნენ ბრძოლებში. იყო ეს კრემლის შეგნებული ნაბიჯი თუ რუსეთში არსებული ზოგადი პოლიტიკური არეულობის გვერდითი შედეგი? ამ კითხვაზე გადამწყვეტი პასუხის გაცემა ჯერ კიდევ შეუძლებელია. შესაძლოა იმაზე მსჯელობა, რას შეეძლო გამოეწვია რუსი სამხედროების მოქმედება საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ და რატომ არ გააკეთა არაფერი რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მათ შესაკავებლად. როგორც ადრევე ვთქვით, რუსეთის დასავლეთისადმი სიმპატიით განწყობილ ლიბერალიზმს წმინდად ეკონომიკური სახე

ჰქონდა. პრივატიზაცია საერთაშორისო სავალუტო ფონდთან და მსოფლიო ბანკთან თანამშრომლობით განხორციელდა. საგარეო პოლიტიკაში რუსეთის ჯარებმა დატოვეს აღმოსავლეთ ევროპა და ცნეს ბალტიის სახელმწიფოების დამოუკიდებლობა. ამ ნაბიჯებს სერიოზული შიდა წინააღმდეგობა მოჰყვა რუსეთის შიგნით, თვითშეგნების კრიზისი პირობებში, როცა ბევრი ცდილობდა სახელმწიფოსათვის დერჟავნიკული შინაარსის დაბრუნებას. ჯერ კიდევ 1992 წელს რუსეთის საგარეო მინისტრმა ანდრეი კოზირევმა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენციას ე.წ. „გამაფრთხილებელი გამოსვლით" მიმართა. მან გაახმოვანა რუსი რადიკალების პოპულარული პოზიცია, რომ ყოფილი საბჭოთა კავშირი პოსტ–იმპერიულ სივრცეს წარმოადგენს და მასში რუსეთს საკუთარი ინტერესების ნებისმიერი მეთოდებით დაცვის უფლება უნდა მიეცეს.[21] კოზირევმა მოგვიანებით ახსნა, რომ მისი გამოსვლა მხოლოდ პოლიტიკური რადიკალიზმის საფრთხის თაობაზე საერთაშორისო თანამეგობრობის გასაფრთხილებლად გაკეთდა, მაგრამ უკვე 1993 წელს რუსეთის უსაფრთხოებისა და საგარეოპოლიტიკური დოქტრინები „ახლო საზღვარგარეთის" კონცეფციას შეიცავდა. ეს კონცეფცია სწორედ კოზირევის მიერ ნავარაუდევ პოლიტიკურ ხაზს წააგავდა.[22]

რასაკვირველია, ამ ეტაპზე რუსეთს აღარ შეეძლო პოსტ–საბჭოთა სივრცეზე იმპერიული ძალაუფლების სრულფასოვანი აღდგენა. „ისტორიული როლისადმი" ემოციური სწრაფვა სუსტი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაზე ჰეგემონური გავლენის მოპოვებას ისახავდა მიზნად.[23] 90–იანი წლების შუახანებისათვის

---

[21] *Roland Dannreuther* Russian Perceptions of the Atlantic Alliance: Final Report for the NATO Fellowship (Brussels and Edinburgh: 1997), p. 11, http://www.nato.int/acad/fellow/95-97/dannreut.pdf.

[22] *John J. Maresca.* Russia's 'Near Abroad'—A Dilemma for the West, in *Hans-Georg Ehrhart, Anna Kreikemeyer, and Andrei V. Zagorski, eds.* Crisis Management in the CIS: Whither Russia? (Baden Baden: Nomos Verlagsgesellschaft, 1995), pp. 192–193; *Yuri E. Fedorov.* Foreign Policy-Making in the Russian Federation and Local Conflicts in the CIS, in *Ehrhart, Kreikemeyer, and Zagorski.* Crisis Management in the CIS, p. 122 è pp. 126–127.

[23] *Rajan Menon.* The Security Environment in the South Caucasus and Central Asia, in *Rajan Menon, Yuri E. Fedorov, and Ghia Nodia, eds.* Russia, the Caucasus, and Central Asia, The 21st Century Security Environment (New York: East West Institute, M.E. Shape Inc., 1999), p. 9.

გამოიკვეთა „ახლო საზღვარგარეთის" კონცეფციის პრაქტიკული შინაარსი, თუმცა მისი თეორიული არსი კვლავაც ბოლომდე განუმარტავი დარჩა. ამ კონცეფციის მიხედვით რუსეთი ახალი, პოსტ საბჭოთა სახელმწიფოების დამოუკიდებლობას კი აღიარებდა, მაგრამ მათ მაინც წარმოსახვითი „დერჟავის," როგორც პოლიტიკულ–კულტურული სივრცის შემადგენელ ნაწილებად აღიქვამდა. „ახლო საზღვარგარეთი" რუსეთში სხვადასხვა ადამიანებისათვის სხვადასხვა შინაარსით იყო შევსებული, შესაბამისად ვერ გამოიკვეთა კონკრეტული, თანმიმდევრული პოლიტიკაც. იმ პირობებში, როდესაც რუსეთის ახალ საზღვრებთან ახლოს სწორედ ძალოვანი უწყებების შედარებით აგრესიული წარმომადგენლები იყვნენ ყველაზე ახლოს, იმარჯვებდა „ახლო საზღვარგარეთის" მათეული ინტერპრეტაცია. სწორედ მათ ჰქონდათ უდიდესი გავლენა სამხრეთ კავკასიის პოლიტიკის შემუშავებაზე ელცინის მმართველობის განმავლობაში.

ის, რომ რუსეთის წარმომადგენლებად სამხრეთ კავკასიაში სამხედროები იქცნენ შესაძლოა დაუგეგმავი, მაგრამ სავსებით ლოგიკური მოვლენა იყო. კავკასიის სამხედროებისათვის მინდობა რუსეთის იმპერიის დროიდან მოყოლებული პოლიტიკა იყო. პრაქტიკული თვალსაზრისით, ტრანსკავკასიის სამხედრო ოლქი (შემდგომში ტრანსკავკასიაში რუსეთის ჯარების ჯგუფად წოდებული) კავკასიაში რუსეთის უდიდესი ბიუროკრატიული ინტიტუტი იყო, რომელიც საბჭოთა კავშირის დაშლას გადაურჩა. რუს სამხედროებს ხშირად ახლო ურთიერთობა აკავშირებდათ ადგილობრივ ხელისუფლებთან.[24] ასე რომ, საქართველოში მიმდინარე კონფლიქტებისა და სომხეთ–აზერბაიჯანის დაპირისპირების დროს რუსი სამხედროები მოლაპარაკებებზე რუსულ სახელმწიფოს წარმოადგენდნენ და ხშირად დაპირისპირებულ მხარეებს შორის შუამავლებად გამოდიოდნენ. რუსი გენერლები ასევე ხშირად აკეთებდნენ პოლიტიკურ განცხადებებს რუსეთის სახელით. რუსეთის თავდაცვის მინისტრმა, პავლე გრაჩოვმა პირადად შეუწყო ხელი რამოდენიმე შეთანხმებას მხარეებს შორის აფხაზეთისა და მთიანი ყარაბაღის კონფლიქტებისას, როგორც

[24] *Dmitri Trenin.* Russia's Security Policies and Interests in the Caucasus Region, in *Bruno Coppieters, ed.* Contested Borders in the Caucasus (Brussels: VUB University Press, 1996), p. 98.

ელცინის პირადმა წარმომადგენელმა. ასე რომ სამხედროებს როგროც პრაქტიკული, ისე სიმბოლური წონა გააჩნდათ კავკასიურ საქმეებში. ზოგი მკვლევარი იმასაც ამტკიცებს, რომ ისტორიულად, რუსეთში სამხედროები განსაღვრავდნენ სახელმწიფოს რაობას და, შესაბამისად, მაშინ როცა სამოქალაქო ხელისუფლება კრიზისშია, სამხედროთა როლი ავტომატურად იზრდება.[25] რუსული სახელმწიფოებრივი თვითშეგნების დამცველად სამხედროებს თავად რუსული საზოგადოებაც აღიქვამს, რომლის შეხედულებითაც არმია „ძირითადი, სამაგალითო ინსტიტუტია", რომელიც დისციპლინასა და ვერტიკალურ იერარქიას განასახიერებს.[26]

რუსეთის მიერ შუამავალ ინსტიტუტად სამხედროების დანიშვნამ საქართველოში მეტად უარყოფით გამოძახილი იპოვა, კიდევ უფრო განამტკიცა რა რუსეთის მილიტარისული ზეწოლის შიში. ვითარებას ისიც აუარესებდა, რომ რუსი სამხედროები ინარჩუნებდნენ აგრესიულ, შეურიგებელ ტონს, რაც იმპერიული და საბჭოთა ქედმაღლობის გადმონაშთად აღიქმებოდა საქართველოში. საბჭოთა სისტემის რღვევას სამხედროებზე პოლიტიკური კონტროლის შესუსტება მოჰყვა და რუსეთის მეთაურებიც საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგავდნენ შეიარაღებას, მათ შორის რეგიონული კონფლიქტებისას. პოლიტიკურის გარდა მათ, ბუნებრივია, ფინანსური მოტივაციაც ამოძრავებდათ, რადგან იარაღით ვაჭრობა საკმაოდ სარფიანი ბიზნესი აღმოჩნდა კავკასიაში.[27]

90–იანი წლების პირველ ნახევარში საფრთხე თვით რუსეთის ტერიტორიულ მთლიანობასაც დაემუქრა და, პირველ რიგში, ჩრდილო კავკასიაში. კრემლი შიდაეთნიკური და რესპუბლიკათაშორისი დაპირისპირების წინაშე აღმოჩნდა ჩეჩნეთში, დაღესტანში, ინგუშეთსა და ჩრდილო ოსეთში. ეთნიკურად რუსულ რეგიონებში პრობლემატური გახდა მემარჯვენე, ნაციონალისტურად განწყობილი რადიკალების, მათ შორის კაზაკების, გაკონტროლება, რომელთაც

[25] *Alexander Golts.* Main Obstacle to Military Reform—Russian Militarism. – *Pro et Contra,* vol. 8, no. 3 (2004), p. 56.

[26] *Dubin.* Counterweight, p. 30.

[27] ჩეჩენი მებრძოლებისათვის იარაღის ჩრდილოკავკასიის სამხედრო არსენალებიდან მიყიდვაზე საუბრობდნენ როგორც ჟურნალისტები, ისე რუსეთის ოფიციალური პირები.

სერიოზული მხარდამჭერები გამოუჩნდათ რუსეთის პარლამენტში. ელცინის რეჟიმი ცდილობდა ბალანსის მოძიებას, და ეს ბალანსი ხშირად საქართველოსათვის არასასურველი მეთოდებით მიიღწეოდა. მაგალითად, რუსი მოხალისეები – როგორც სეპრატისტი ჩეჩნები, ისე დერჟავნიკი კაზაკები – მონაწილეობდნენ აფხაზეთის კონფლიქტში საქართველოს წინააღმდეგ. მათი მონაწილეობა რუსეთს საფრთხეს არ უქმნიდა. პირიქით, ამით მოხერხდა „ორთქლის გამოშვება" ჩრდილო კავკასიიდან და პოტენციურად დამანგრეველი იმპულსის რუსეთის მიღმა მიმართვა.[28]

ამ პერიოდში რუს პოლიტიკურ მოთამაშეებს კავკასიაში თითქმის არავინ აბალანსებდა. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში მიმდინარე კონფლიქტები პრაქტიკულად დასავლეთის ყურადღების მიღმა დარჩა. საქართველოს ხელისუფლება ერიდებოდა რადიკალურ მოქმედებებს. მიუხედავად საქართველოს პარლამენტის ეპიზოდური მკაცრი განცხადებებისა, აღმასრულებელი ხელისუფლება ოფიციალურად მხოლოდ სუსტად აკრიტიკებდა რუსეთის მონაწილეობას აფხაზეთის კონფლიქტში და დაეთანხმა რუსეთის მშვიდობისმყოფელ როლს. როდესაც სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში კონფლიქტების სამხედრო ფაზა დასრულდა, დასავლეთმა თავი შეიკავა ამ რეგიონებში სამშვიდობო ოპერაციების წარმოებისაგან და რუსეთის სამშვიდობო როლი უალტერნატივოდ იქცა. აქედან მოყოლებული, რუსეთი ყოველი საშუალებით იცავს თავის სამშვიდობო მანდატს და ცდილობს არ დაუშვას საერთაშორისო ინსტიტუტების პირდაპირი და ქმედითი მონაწილეობა კონფლიქტების მოგვარებაში, გარდა იმ შედარებით შეზღუდული სადამკვირვებლო როლისა რაც გაეროს

[28] ჩეჩენი და ერქეზი დაქირავებულების, აგრეთვი მემარჯვენე კაზაკების აფხაზეთის კონფლიქტში მონაწილეობა „კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციის" ფარგლებში ხდებოდა და ფართოდ დასტურდება. (იხ. "Доклад организации "Хьюман райтс уотч": Грузия в 1995 году", http://www.hrw.org/reports/1995/Georgia2.htm). ანგარიშში ნათქვამია, რომ ამ მონაწილეობის წყალობით მოხერხდა ჩეჩნურ–რუსული შეტაკებების აცილება 90–იანი წლების დასაწყისში. ამავე დროს, დაქირავებულების კონფლიქტში მონაწილეობა პოპულარული იყო რუს პოლიტიკოსებსა და რადიკალურად განწყობილ სამხედროებს შორის. მათმა მონაწილეობამ შეამცირა ზეწოლა ელცინის ხელისუფლებაზე. დამატებითი მითითებები ამ საკითხებზე იხილეთ: *Tarkhan-Mouravi.* Georgians and Abkhazians: The Search for a Peace Settlement, pp. 90–112.

გააჩნია აფხაზეთში და ეუთოს სამხრეთ ოსეთში. რუსეთი იმგვარი ვითარების შექმნას ესწრაფვოდა, როდესაც „არცერთ საერთაშორისო ინსტიტუტს, გარდა დსთ–სი, არ შეუძლია ეფექტური სამშვიდობო ოპერაციების წარმოება დსთ–ს შიგნით და ნებისმიერი მცდელობა წარუმატებელია რუსეთის მონაწილეობის გარეშე."[29]

აფხაზეთში დამარცხების შემდეგ, ქართული სახელმწიფო დაშლის რეალური საფრთხის წინაშე იდგა. ბევრი ქართველის აზრით, რუსეთმა ჯერ გააღვივა, მერე კი მხარი დაუჭირა სეპარატისტულ კონფლიქტებს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში. ედუარდ შევარდნაძემ გაახმოვანა ეს ვერსია სოხუმის დაცემის შემდეგ, როდესაც მან განაცხადა რომ „საქართველო რუსეთმა დააჩოქა."[30] საქართველოს ხელისუფლები მიიჩნევდნენ, რომ ქვეყანას არ გაჩნდა სხვა არჩევანი, გარდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში რუსული სამშვიდობო ჯარების მიღებისა. სინამდვილეში, ამ ჯარების მთავარ ფუნქციად, საქართველოსგან ჩამოშორებული პროვინციების საზღვრების დაცვა, ანუ მათი დამოუკიდებლობის უზრუნველყოფა იქცა. თუმცა, ამავე პერიოდში, რუსეთის ახალი დიდების ოცნებები ჩრდილო კავკასიაში დაიმსხვრა. ძლიერების ზრდის ნაცვლად, რუსეთი ჩეჩნეთის კონფლიქტში ჩაეფლო. მეტიც, სამხრეთ კავკასიაში მიმდინარე კონფლიქტების შედეგად რუსეთის სამხრეთ საზღვარი დაუცველი აღმოჩნდა მიგრაციული ნაკადების, არაპროგნოზირებადი სეპარატისტული რეჟიმების და კრიმინალური ჯგუფების წინაშე.

უსაფრთხოების ძიებაში

ჩეჩნეთის პირველი ომის პირობებში, რომელიც არაპოპულარული იყო ქვეყნის შიგნით და მის გარეთ, უსაფრთხოების საკითხებს რუსეთში უპირველესი ყურადღება ექცეოდა. ამ კონფლიქტმა ხაზი გადაუსვა ევროპაში სწრაფი ინტეგრაციის იმედებს და რუსეთისა და

[29] *Emilia Krivchikova.* Peacekeeping Operations on the Territory of the Former Soviet Union, in *Ehrhart, Kreikemeyer, and Zagorski.* Crisis Management in the CIS, p. 162.

[30] ეს ციტატა ფართოდაა ცნობილი და საქართველოს ტელევიზიით გაკეთდა. ის მოიხსენიება შემდეგ წყაროში: http://www.philipjohnston.com/centraleurope/chron/fsu/1993sep.htm.

ევროპის ღირებულებებს შორის არსებული უფსკრული წარმოაჩინა. ომმა შეასუსტა რუსეთის ცენტრალური მთავრობა და გააძლიერა როგორც ბიზნეს–ოლიგარქები, ისე რეგიონული ლიდერები. საქართველო ამ დროს კვლავაც ქაოსში რჩებოდა. შეიარაღებული ბანდები აკონტროლებდნენ ბიზნესსა და პოლიტიკას. ქვეყნის რესურსები იყიდებოდა და იძარცვებოდა. როგორც სახელმწიფო, ასევე უბრალო მოქალაქეებიც დღიდან დღემდე გადარჩენისათვის იბრძოდნენ. ენერგოკრიზისმა – გაზისა და ელექტროენერგიის ნაკლებობამ – პურის დეფიციტიც კი წარმოქმნა. ორივე ქვეყანაში კრიზისი ეროვნულ თვითშეგნებას საფუძვლიანად დაემუქრა. ბუნებრივია, მაშინ როდესაც ორივე სახელმწიფო გადარჩენისათვის იბრძოდა, უსაფრთხოებამ უპირველესი მნიშვნელობა შეიძინა.

საქართველო, უსაფრთხოების თვალსაზრისით, ორ ძირთად ამოცანას წყვეტდა. უპირველესად, საჭირო იყო ქვეყნის დაშლის ტენდენციის შეჩერება. მეორეს მხრივ აუცილებელი იყო პირველადი საგარეო საფრთხის – რუსეთის დაბალანსება. პირველი მიზნის მისაღწევად საქართველო მანამდე წარმოუდგენელ დათმობებზე წავიდა რუსეთის მიმართ: ქვეყანა შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას; პრეზიდენტმა შევარდნაძემ პოლიტიკური მხარდაჭერა გამოხატა რუსეთის ჩეჩნური კამპანისადმი; რუსეთის არმიის მოქმედი ოფიცერი, ვარდიკო ნადიბაიძე ქვეყნის თავდაცვის მინისტრად დაინიშნა; რუსეთისადმი ლოიალურად განწყობილი კადრები გამოჩნდა ძალოვან სამინისტროებში. ამასთან, შიდა სტაბილურობის დასამყარებლად, პრეზიდენტი შევარდნაძე დაუპირისპირდა შეიარაღებულ ბანდებს, რაც „მხედრიონის" გაუქმებითა და მისი ლიდერის ჯაბა იოსელიანისა და გვარდიის ყოფილი მეთაურის თენგიზ კიტოვანის დაპატიმრებით დასრულდა. პოლიციისა და, განსაკუთრებით, უშიშროების სამინისტროს გაძლიერებას მოჰყვა გახმაურებული სამხედრო–პოლიციური ოპერაციების სერია ქვეყნის რეგიონებში. ზვიად გამსახურდიას მომხრეთა მოძრაობა ძალისმიერად ჩაახშეს დასავლეთ საქართველოში. 1995 წელს ედუარდ შევარდნაძემ შექმნა „საქართველოს მოქალაქეთა კავშირი", რომელიც 1996 წლის არჩევნების შედეგად მმართველი პარტია გახდა. ზურაბ ჟვანიას მეთაურობით ამ პარტიაში შექმნილმა „ახალგაზრდა რეფორმატორთა" არაფორმალურმა ჯგუფმა დასავ-

ლელ პარტნიორებში გააღვივა ქვეყნის დემოკრატიზაციის იმედები. ახალი ეროვნული ვალუტა, ლარი, მიმოქცევაში შემოვიდა 1996 წელს და გაცვლითი კურსის სტაბილურობის შენარჩუნება მოახერხა. ეს რადიკალური ცვლილება იყო 1993 წლის ინფლაციის სამნიშნა ციფრებთან შედარებით. რამოდენიმეწლიანი დრამატული ვარდნის შემდეგ, 1996–97 წლებში ერთობრივი შიდა პროდუქტის წლიური ზრდა ორნიშნა ციფრებში აღირიცხა.

საგარეო–პოლიტიკურ არენაზე, შევარდნაძე ცდილობდა დასავლეთისაგან მიეღო უსაფრთხოების გარანტიები, რაც მხოლოდ კასპიის ნავთობის მიმართ ინტერესის ზრდის პარალელურად მოხერხდა. კასპიის აუზში მოძიებულმა ნავთობისა და გაზის რეზერვებმა დასავლეთის სახელმწიფოების დიდი ინტერესი გამოიწვია. 1998 წლისავის კასპიის რეგიონის ნავთობსაბადოებზე უკვე ათზე მეტი დასავლური კომპანია მუშაობდა. მხოლოდ აზერბაიჯანში მათ 28 მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების კონტრაქტები მოიპოვეს.[31] სამხრეთ კავკასია მნიშვნელოვანი გახდა შეერთებული შტატებისათვის, რამდენადაც მისი ინფრასტრუქტურა აუცილებელი აღმოჩნდა აზერბაიჯანული (და, პოტენციურად, შუააზიური) ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირებისათვის. აშშ მონაწილეობითა და მხარდაჭერით დაიწყო ნავთობსადენის ორი – მცირე, ბაქო–სუფსისა და დიდი, ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის – პროექტის განხორციელება. შევარდნაძემ და მისმა აზერბაიჯანელმა კოლეგა ალიევმა მხარი დაუჭირეს „აბრეშუმის გზის" პროექტს რაც აზიასა და ევროპას შორის სატრანსპორტო კორიდორის აღორძინებას ისახავდა მიზნად. აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტებმა გადაჭრა საქართველოს რუსეთთან დამაკავშირებელი სატრანსპორტო არტერიები. შედეგად, ქვეყნის უდიდეს სავაჭრო პარტნიორად თურქეთი იქცა.

რუსეთი სამხრეთ კავკასიას საკუთარი შიდა და საგარეო უსაფრთხოების პრობლემების პრიზმაში აღიქვამდა. მრავალი რუსი ანალიტიკოსი დაეთანხმებოდა დიმიტრი ტრენინს, რომლის აზრითაც „ტრანსკავკასია განუყოფლადაა დაკავშირებული ჩრდილო კავკასიას-

[31] *Glen E. Howard.* NATO and the Caucasus: The Caspian Axis, in *Stephen J. Blank, ed.* NATO after Enlargement: New Challenges, New Missions, New Forces (Carlisle, PA: Strategic Studies Institute, U.S. Army War College, 1998), p. 157.

თან, რომელიც რუსეთის ფედერაციის ნაწილია."[32] მართლაც, სამხრეთ კავკასიის ქვეყნების დამოუკიდებლობამ რუსეთის უსაფრთხოებას დამატებითი პრობლემები შეუქმნა. ახალი სახელმწიფო საზღვარი, რომელსაც საბჭოთა კავშირში მხოლოდ ადმინისტრაციული სტატუსი ჰქონდა, დაუცველი და გაუკონტროლებელი აღმოჩნდა. უპირველეს ყოვლისა, ამან რუსეთი ლტოლვილების ნაკადის წინაშე დააყენა.

უმთავრესი მაინც ის იყო, რომ თუკი 1995 წლამდე რუსეთის გავლენას სამხრეთ კავკასიაში მხოლოდ ჩეჩნეთში მიმდინარე კონფლიქტი და ადმინისტრირების ზოგადი არაეფექტურობა ზღუდავდა. 1995 წლის შემდეგ, რუსეთს რეგიონში კონკურენტები გამოუჩნდა დასავლეთის სახელმწიფოების სახით. დასავლელი მომომხილველები სულ უფრო ხშირად იყენებდნენ მე–19 საუკუნის „დიდი თამაშის" ანალოგიას კასპიისა და კავკასიის რეგიონებში მიმდინარე მოვლენების აღსაწერად. ბრიტანული „გარდიანის" 2001 წლის ნომერში ვკითხულობთ „ესაა რეგიონი რომელზეც თვალი აღმოსავლეთსაც უჭირავს და დასავლეთსაც."[33] როგორც რუსი, ისე დასავლელი ანალიტიკოსებისა და ჟურნალისტების მსჯელობაში გაბატონდა კავკასიაში გაჩაღებული სტრატეგიული მეტოქეობის აზრი. ის გავლენას ახდენდა პოლიტიკურ მომოხილვებსა და პოლიტიკოსების გადაწყვეტილებებზე. გლენ ჰოვარდი 1998 წერდა: „ცივი ომის დასასრულთან ერთად კავკასია კვლავაც მსოფლიო გეოპოლიტიკის წინა პლანზეა, რადგან კასპიის ნავთობი ნატოს აღმოსავლეთ ფლანგს სწრაფად უცვლის სახეს."[34] რთულია იმის დაზუსტებით თქმა, სრულად იზიარებდა თუ არა ამ აზრს ოფიციალური ბრუსელი თუ ვაშინგტონი, მაგრამ ის კარგად ასახავს ე.წ. „რეალური პოლიტიკისათვის" დამახასიათებელ ლოგიკას, რომლის მიხედვითაც ენერგორესურსებზე კონტროლი უშუალოდ უკავშირდება პოლიტიკური გავლენისათვის ბრძოლას.

რუსეთი, თავის მხრივ, ცივი ომის წესებით შეეცადა საერთაშორისო ურთიერთობების გაგრძელებას. დასრულდა რუსული

[32] *Trenin.* Russia's Security Policies and Interests in the Caucasus Region, p. 91.
[33] *Richard Norton-Taylor.* The New Great Game. – *The Guardian*, March 5, 2001, http://www.guardian.co.uk/Archive/Article/0,4273,4146099,00.html.
[34] *Howard.* NATO and the Caucasus, p. 152.

საგარეო პოლიტიკის ბავშვობის ხანა, რომელიც „ცივილიზებული ერების ოჯახში" რე–ინტეგრირებისაკენ ისწრაფვოდა. დასავლეთის და, განსაკუთრებით, აშშ–ს „დაბალანსების" პოლიტიკა ჯერ კიდევ საგარეო მინისტრ კოზირევის მოღვაწეობისას აღორძინდა. ჩამოყალიბებული სახე მან უსაფრთხოების ცივი ომისდროინდელი სპეციალისტის, ევგენი პრიმაკოვის საგარეო მინისტრის პოსტზე 1996 წლის იანვარში დანიშვნის შემდეგ მიიღო. რუსეთის ახალი საგარეო პოლიტიკის ამოცანად აშშ–ს სტრატეგიული გავლენის გაფართოების შეკავება და უნიპოლარული მსოფლიო წესრიგის ნაცვლად მულტიპოლარული წესრიგის იდეის დაცვა იქცა. ოფიციალური მოსკოვი აშშ–ს მტრის ნაცვლად „პარტნიორად" იხსენიებდა. ეს პარტნიორობა, რუსეთის აზრით არ გამორიცხავდა აშშ–სთან მეტოქეობას საერთაშორისო გავლენის მოსაპოვებლად. სინამდვილეში, ერთის მხრივ ბევრი რუსი სამხედრო აშშ–ს კვლავაც მტრად აღიქვამდა, მეორეს მხრივ კი თვით აშშ უკვე აღარ ცნობდა რუსეთს თანასწორ მეტოქედ.

ამისდა მიუხედავად, ელცინის ადმინისტრაცია ცდილობდა დსთ–ს სამხედრო–პოლიტიკური ალიანსის გაძლიერებას. მოსკოვი ასევე ემხრობოდა უსაფრთხოების კომპონენტის გაფართოებას ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთოს) ფარგლებში, რადგან ეუთოში რუსეთს ფაქტიურად ვეტოს უფლება გააჩნია. იყო ნატოსა და აშშ–ს მოქმედებების დაბალანსების მცდელობა ბალკანეთის კონფლიქტებში, პრიმაკოვის მეთაურობით კი რუსეთი შეეცადა შუამავლის როლი ეთამაშა აშშ–სა და ე.წ. „გარიყულ რეჟიმებს" (ერაყი, ჩრდილო კორეა, ირანი) შორის.[35] თუმცა, ირანთან გაფართოებულმა თანამშრომლობამ უსაფრთხოებისა და კასპიის საკითხებში აშშ–ს გაღიზიანება გამოიწვია.[36]

სამხრეთ კავკასია ამ დიდი პოლიტიკური მანევრების ერთ–ერთი, შედარებით მცირე შემადგენელი ნაწილი იყო, ხოლი საქართველო მხოლოდ ერთი ელემენტი ამ გლობალურ შეჯიბრში. აშშ–ს 1998 წლის ეროვნული უსაფრთხოების სტრატეგია მიზნად დსთ–ს ძირითადი

[35] *Allen C. Lynch*. The Realism of Russia's Foreign Policy. – *Europe–Asia Studies*, vol. 53, no. 1 (2001), pp. 15–23.
[36] *Patrick G. Moore*. Russia to Sell Iran More Arms. – *RFE/RL Newsline*, March 13, 2001, http://www.rferl.org/newsline/ 2001/03/130301.asp.

ნაწილების დასავლურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ სტრუქტურებში სრულ ინტეგრაციას ისახავდა.[37] ამის საპირისპიროდ, რუსეთის 2000 წლის საგარეო პოლიტიკის კონცეფციის თანახმად პრიორიტეტულია „დსთ–ს წევრი ქვეყნების ორ– და მრავალმხრივი თანამშრომლობი შეთავსებადობის უზრუნველყოფა [რუსეთის] ეროვნული უსაფრთხოების ამოცანებთან."[38] რუსეთი საკუთარ გავლენაზე შეტევად აღიქვამდა ნატოს გაფართოებას, ისევე როგორც ამ ორგანიზაციის პროგრამას „პარტნიორობა მშვიდობისათვის", რომელიც დსთ–ს ქვეყნებიც მონაწილეობენ. ამგვარად, კრემლის თვალსაზრისით საქართველოს აქტიური თანამშროლობა ნატოსთან პროგრამის „პარტიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში, ეკონომიკური თანამშრომლობა თურქეთთან და ევროგაერთიანებასთან დასავლეთის მცდელობის ნაწილი იყო მტრული სამხედრო და ეკონომიკური ალიანსებით ალყა შემოერტყა რუსეთისათვის.

1999 წელს რუსეთის საგარეო მინისტრმა იგორ ივანოვმა რუსეთის პოლიტიკის აღსაწერად ცივი ომისდროინდელი ტერმინოლოგია გამოიყენა. ამ პერიოდში რუსეთის მცდელობა შეერთებულ შტატებთან უსაფრთხოების დარგში პარიტეტისათვის მიეღწია უკვე უიმედოდ გამოიყურებოდა. ივანოვი რუსეთის შიშზე საუბრობს:

„მოსკოვში ხშირად ისმის კითხვა: არის თუ არა კოსოვო და ჩეჩნეთი ერთი ჯაჭვის რგოლები, რომლის მიზანიც ერთგანზომილებიანი, ნატოზე კონცენტრირებული მსოფლიოს შექმნაა? იქნებ ჩეჩნეთი მხოლოდ საფარია ნატოსათვის მსოფლიო პოლიციელის როლის მისანიჭებლად, სტრატეგიული სტაბილურობის საფუძვლისმიერი კომპონენტების ძირგამოსათხრელად და განიარაღების პროცესის შესაჩერებლად? ჩეჩნეთთან დაკავშირებული ანტი–რუსული კამპანია რუსეთის კავკასიიდან და შემდეგ შუა აზიიდან გასაძევებლად ხომ არ აგორდა? ეს მხოლოდ რამდენიმე კითხვაა,

[37] *William J. Clinton*. A National Security Strategy for a New Century (Washington, DC: The White House, October 1998), pp. 37–40.

[38] *Концепция российской внешней политики*. Министерство иностранных дел России в онлайновом режиме, http://www.ln.mid.ru/ns-osndoc.nsf/0e9272befa34209743256c630042d1aa/fd86620b371b0cf7432569fb004872a7. ამ დოკუმენტს ხელი ვლადიმირ პუტინმა მოაწერა 2000 წლის 28 ივნისს.

რომელიც რუსეთის საზოგადოებას დასავლეთის მოქმედების, ზოგჯერ კი უმოქმედობის, შემხედვარეს უჩნდება."[39]

90–იანი წლების დასასრულისათვის უკვე ნათელი გახდა, რომ რუსეთის მიერ ამ წლებში დასახული სტრატეგიული მიზნების მიღწევა შეუძლებელი იყო. რუსეთმა ხელი ვერ შეუშალა 1999 წელს ნატოს გაფართოებას. მეტიც, დაიგეგმა ნატოს შემდგომი გაფართოება, ახლა უკვე ბალტიის ქვეყნების ხარჯზეც. ამავე წელს რუსეთის მხრიდან აშშ–ს დაბალანსების პოლიტიკამ კრახი კოსოვოში განიცადა. ამასთან, ერაყში ამერიკის პირველმა სამხედრო კამპანიამ ძირი გამოუთხარა ამ რეგიონში რუსეთის გავლენას. ეკონომიკური კოლაფსისა და მუდმივი შიდაომების პირობებში, დსთ ვერ იქცა სსრკ–ს შესადარ პოლიტიკური და სამხედრო ალიანსად.

საქართველოსა და სამხრეთ კავკასიაში რუსეთის საქმეები ცოტა უკეთ მიდიოდა. აქ მოხერხდა სტრატეგიული უპირატესობის შენარჩუნება. 1994 წლისათვის, კრემლს ხელში ეკავა „გაყინული" ეთნიკური კონფლიქტების გასაღებები და რეგიონში „რუსული მშვიდობა" დამყარდა. დომინირების გასამყარებლად, რუსეთი ცდილობდა შეეზღუდა სხვა სახელმწიფოების მონაწილეობა მთიანი ყარაბაღის დასარეგულირებელი ეუთოს მინსკის ჯგუფის ფარგლებში.[40] აფხაზეთის კონფლიქტში, რუსეთი ცდილობდა ეუთოსა და გაეროს სამშვიდობო მონაწილეობა დამკვირვებელთა მისიის შეზღუდულ მანდატს არ გასცილებოდა.[41] ამისდა მიუხედავად, დასავლეთის მონაწილეობა კავკასიაში იზრდებოდა. 1999 წლს გაიხსნა ბაქო–სუფსას ნავთობსადენი, საქართველო კი თავის „ეროვნული პროექტთან" ერთი ნაბიჯით დაახლოვდ და ევროპის საბჭოს წევრი გახდა.

კავკასიაში რუსეთის გავლენის შესუსტების ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორი ჩეჩნეთში განცდილი მარცხი იყო. ნარუმატებლობამ

---

[39] *Igor Ivanov.* West's Hypocrisy over Chechnya. – *Financial Times*, November 16, 1999, p. 19.

[40] *Maresca.* Russia's 'Near Abroad', p. 194.

[41] არსებული მონაცემებით, რუსეთმა თავისი მხარდაჭერა ჰაიტიში აშშ ჩარევისათვის აშშ–ს მიერ აფხაზეთში საერთაშორისო დამკვირვებლების განთავსების წინააღმდეგ მიცემულ ხმაში გაცვალა. (იხ. *Maresca.* Russia's 'Near Abroad', p. 197).

გამოააშკარავა რუსული სამხედრო მანქანისა და ადმინისტრაციის სისუსტე. შიდა კრიზისის მოუხეშავმა და სასტიკმა მართვამ ნათელი გახადა რომ რუსული სახელმწიფოს რესურსები არ იყო საკმარისი სამხრეთის არასტაბილური რესპუბლიკების სამართავად. დასავლელი ანალიტიკოსები თვლიდნენ, რომ რუსეთი შეეცდებოდა ჯერ შიდა პრობლემებისათვის მიეხედა და ამდენად სამხრეთ კავკასიიდან „სტრატეგიულ უკანდახევას" განახორციელებდა.[42] მართლაც, 1999 წლის ნოემბერში, სტამბოლში, ელცინის დასუსტებული და მრავალი ეკონომიკური, პოლიტიკური და სახედრო მარცხით დემორალიზებული ადმინისტრაცია დაჰყვა აშშ–ს ზეწოლას და დათანხმდა საქართველოდან ჯარების გაყვანას.[43] ეუთოს სტამბოლის შეხვედრაზე რუსეთმა ვალდებულება აიღო დაეხურა ორი სამხედრო ბაზა საქართველოში და ეწარმოებინა მოლაპარაკებები დარჩენილი ორი ბაზის დასახურად. ამავე წელს დასრულდა რუსი მესაზღვრეების გაყვანა საქართველოდან, და ამდენად რუსეთმა დატოვა ყოფილი საბჭოთა საზღვარი ნატოსთან – თურქეთთან.

როგორც უკვე ვთქვით, 1994–99 წლებში საქართველომ შეძლო ქვეყნის დაშლის ტენდენციის შეჩერება და გარკვეული ეკონომიკური ზრდაც დაიბევა. შევარდნაძემ საოცარ წარმატებას მიაღწია 90–იანი წლების დასაწყისში გაბატონებული ქაოსის აღმოფხვრაში. ამავე ხანებში ნათელი გახდა, რომ პარლამენტის მიერ გატარებულ პრო–დასავლურ პოლიტიკას საქართველოში პატრონ–კლიენტელისტური, კორუმპირებული ჯგუფები აფერხებდნენ და რომ სწორედ ამ ჯგუფებს გააჩნდათ ძალაუფლება პოლიტიკურ, უშიშროებისა და პოლიციის მაღალჩინოსნებს შორის. ეკონომიკის აღმავლობა უკვე 1998 წლისათვის შეფერხდა. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებზე მოლაპარაკებები ჩიხში შევიდა. მეტიც, აჭარა კვაზი–დამოუკიდებელ სამთავროდ გადაიქცა, რომლის ლიდერიც ღიად უპირისპირდებოდა ქვეყნის ხელისუფლებას. შევარდნაძის ადმინის-

[42] *Pavel K. Baev.* Challenges and Options in the Caucasus and Central Asia (Carlisle, PA: Strategic Studies Institute, U.S. Army War College, April 22, 1997), p. 17, http://www.carlisle.army.mil/ssi/pdffiles/00111.pdf.

[43] *Stephen J. Blank.* U.S. Military Engagement with Transcaucasia and Central Asia (Carlisle, PA: Strategic Studies Institute, U.S. Army War College, June 2000), p. 6, http://www.milnet.com/pentagon/Russia-2000-assessment-SSI.pdf.

ტრაციის დევიზი „სტაბილურობა უპირველეს ყოვლისა" კარგავდა პოპულარობას, რადგან სოციალური და ეკონომიკური პრობლემები სულ უფრო ღრმავდებოდა.

პრეზიდენტ შევარდნაძის განცხადება 1999 წელს, რომ საქართველო რამოდენიმე წელიწადში „ნატოს კარებზე მიაკაკუნებს" ქართველ ამომრჩეველზე უფრო იყო გათვლილი და რეალისტურ პოლიტიკურ გეგმას ნაკლებად ასახავდა.[44] ამავე წელს, ნატოს ორმოცდამეათე იუბილეს ფარგლებში, საქართველომ, უკრაინამ, აზერბაიჯანმა და მოლდოვამ შექმნეს სუამის ალიანსი, მაგრამ დაბადებიდანვე ამ ორგანიზაციის წევრების შესაძლებლობები მოკრძალებულად გამოიყურებოდა გრძელვადიანი სამხედრო–პოლიტიკური თანამშრომლობის თვალსაზრისით. თუმცა, თავად სუამის შექმნა საკმარისი აღმოჩნდა რუსი პოლიტიკოსების გასაღიზიანებლად, რომლებმაც ეს ალიანსი თავიდანმე ნატოს ინსპირირებულ ანტი–რუსულ ორგანიზაციად აღიქვეს.

საუბედუროდ, პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ რუსეთის რეგიონული (თურქეთი) და საერთაშორისო (ნატო და აშშ) ძალების მიერ დაბალანსების პოლიტიკას პერიოდულად ეთავსებოდა გაუგებარი დათმობები და მორჩილი დამოკიდებულება კრემლის მიმართ. ამ ორსახოვანმა პოლიტიკამ შევარდნაძის მიმართ უნდობლობა რუსეთში კიდევ უფრო გაამძაფრა. იგი ისედაც ნდობის დეფიციტს განიცდიდა რუსეთში, სადაც დასავლეთთან დამეგობრებული საბჭოთა საგარეო მინისტრის საქმიანობა მრავალი პოლიტიკოსის, და განსაკუთრებით სამხედროს მხრიდან ღალატად აღიქმებოდა.[45] დაახლოებით 1995 წლიდან მოყოლებული, პრეზიდენტ შევარდნაძეს ძალიან ცუდი პირადი ურთიერთობები ჩამოუყალიბდა თავის რუს კოლეგასთან, რამაც გამორიცხა რეალური თანამშრომლობა ქვეყნებს შორის.

---

[44] World News: Georgia Plans to Seek NATO Membership FT Interview: Eduard Shevardnadze. – *Financial Times*, October 25, 1999, http://globalarchive.ft.com/globalarchive/articles.html?id=991025016635&query=shevardnadze#docAnchor991025016635.

[45] ეს წლები საბჭოთა კავშირისადმი ნოსტალგიით გამოირჩეოდა. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვებში სტალინი მე–4–ე ადგილზე იყო „ყველა დროისა დაერის გამოჩენილ ადამიანებს" შორის. საბჭოთა მოღვაწეებიდან სტალინს მხოლოდ მეორე ადგილზე მყოფმა ლენინმა გაუსწრო. იხ. *Dubin*. Counterweight, p. 26.

90–იანი წლების დასასრულისათვის, საქართველომ შეძლო, მძიმე დანაკარგების ფასად, თვისი „ეროვნული პროექტის" გადარჩენა. დასავლური დემოკრატიის აშენების სურვილი იმ უზარმაზარ საზოგადოებრივ მხარდაჭერაში გამოიხატა რაც საქართველოს ევროპის საბჭოში გაწევრიანებას მოჰყვა. ამავე დროს, შევარდნაძის მთავრობის მიმართ უკმაყოფილება კრიტიკულ ნიშნულამდე გაიზარდა, რისი ძირითადი მიზეზიც მოსახლეობის ელემენტარული ეკონომიკური მოთხოვნილებების დაუკმაყოფილებლობა და ევროპული კურსიდან გადახვევად აღქმული კორუმპირებული სახელმწიფო ინსტიტუტები იყო. საქართველოს ევროპულ მისწრაფებასა და რეალობას შორის არსებულმა უფსკრულმა ხელი შეუწყო ფუნდამენტალისტური ორგანიზაციებისა და მოძრაობების ჩამოყალიბებას, რომლებიც უარყოფდნენ ევროპულ ეროვნულ პროექტს და მხარს „უნიკალურ ქართულ" განვითარების გზას უჭერდნენ. ამ მოსაზრების ავტორების აზრით, ქართული ღირებულებები მართლმადიდებლობას და თვითმყოფადობას ემყარება და ამდენად წინააღმდეგობაშია ევროპულ ღირებულებებთან. რაც საინტერესოა, რუსეთისაგან განსხვავებით, საქართველოში საბჭოთა ნოსტალგიამ ფეხი ვერ მოიკიდა. ქართველები წარსულისაკენ დაბრუნებას მიუღებლად თვლიდნენ, რადგან მხარს უჭერდნენ დამოუკიდებლობას. ამავე დროს კი შიდა არეულობისა და დრამატული ცვლილებების გადატანის შემდეგ აცნობიერებდნენ რომ უკან დაბრუნება უბრალოდ შეუძლებელიც იყო.

პრაგმატიზმის ძიებაში

მას შემდეგ, რაც 2000 წელს რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი გახდა, რუსეთმა განაგრძო საერთაშორისო როლის გაძლიერებისაკენ სწრაფვა, მაგრამ თავისი პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო შესაძლებლობების უკვე უფრო რეალისტურ შეფასებას დაეყრდნო. დასავლეთის „დაბალანსების" იდეა საბოლოოდ შეცვალა მასთან თანაცხოვრებისა და ურთიერთქმედების მისაღები ფორმის გამონახვის სურვილმა, თუმცა დასავლურ ინსტიტუტებში ინტეგრაციის გარეშე. ეს ცვლილება არ ყოფილა მეყსეული. რუსეთის ახალი

ლიდერები პერიოდულად ცდიდნენ საერთაშორისო მოთმინების დონეს, განსაკუთრებით რუსეთის მეზობელ რეგიონებში განხორციელებული პოლიტიკის მეშვეობით. მისი უშიშროების საბჭოს მდივნობისა და პრემიერ–მინისტრობის პერიოდში პუტინის უშუალო ხელმძღვანელობით შემუშავებული საგარეო და უსაფრთხოების დოქტრინები რუსეთს ჯერ კიდევ გლობალურ მოთამაშედ აღიქვამდა, რომლის მიზანი „აშშ–ს გავლენისადმი წინააღმდეგობა" იყო.[46] თუმცაღა, პრეზიდენტად გახდომის შემდეგ პუტინმა შეარბილა ეს ხისტი მიდგომა, რაც განსაკუთრებით ნათელი 2001 წლის შემდეგ გახდა. აშშ–სთან გლობალურ შეჯიბრს რუსეთმა სხვადასხვა დასავლელ პარტნიორთან მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონში განსხვავებული მიდგომის შემუშავება ამჯობინა. მეტოქეობის არეალად კი რუსეთის უშუალო სამეზობლო იქცა.

ელცინის დროინდელი სტრატეგიული უკანდახევის შემდეგ, ბევრი მიმომხილვლი თვლიდა, რომ რუსეთის ახალგაზრდა და ენერგიული ლიდერი თავისი ქვეყნის გავლენას ეკონომიკურ და ნავთობსადენების პროექტებში მონაწილეობით გააძლიერებდა.[47] მათი პროგნოზი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. პუტინმა საბჭოური და იმპერიული სიმბოლოების ეკლექტური ნაზავი კიდევ უფრო გაამძაფრა, მაგრამ საგარეო მეტოქეების ძიებას მან შიდა მტრებთან ბრძოლა ამჯობინა. მან ზედმეტად გაძლიერებული რეგიონული ლიდერები მოთოკა და მანამდე გავლენიანი ფედერაციის საბჭო, პარლამენტის ზედა პალატა, პრეზიდენტის მორჩილ ინსტრუმენტად აქცია. ხელისუფლების კონსოლიდირების პროცესში მან უშიშროების სამსახურის ერთგული კადრები საკვანძო პოლიტიკურ და ადმინისტრაციულ თანამდებობებზე დააწინაურა. გავლენიანი ფინანსური და პოლიტიკური ფიგურები, ანუ „ოლიგარქები" იძულებული იყვნენ ან პუტინის ადმინისტრაციისადმი მორჩილება აერჩიათ, ანდა დაეტოვებინათ ქვეყანა. ოლიგარქებთან დაკავშირებული კერძო მას-მედია დაითრგუნა და ხშირ შემთხვევაში, კრემლის კონტროლს

[46] *Ariel Cohen.* The Russia Bush Faces. – *The Heritage Foundation Online*, March 12, 2001, http://www.heritage.org/Press/Commentary/ed031201.cfm; *Ariel Cohen.* Russia and Eurasia. – *Issues 2000* (Washington, D.C.: Heritage Foundation, 2000), p. 703.
[47] *Baev.* Challenges and Options in the Caucasus and Central Asia, p. 5.

ქვეშ აღმოჩნდა. კრემლის ყოფილმა ან მიმდინარე ბიუროკრატებმა ხელში ჩაიგდეს უდიდესი ენერგო კომპანიების – გაზპრომის, იტერას (გაზპრომის შვილობილი კომპანია რომელიც დსთ–ში მის აქტივებს აკონტროლებს), და გაერთიანებული ენერგოსისტემების საკონტოლო პაკეტი და მართვა, რითაც მტკიცე კონტროლი დააწესეს ფინანსურ ნაკადებზე. საგარეო მტრის სახესაც შიდა დანიშნულება გააჩნდა – ისლამურ ტერორიზმთან ბრძოლის ბაირაღით პუტინმა ჩეჩნურ სეპარატიზმთან შეურიგებელ ბრძოლას საერთაშორისო დასაბუთება მოუძებნა. ჩეჩნეთში განახლებულმა ომმა პუტინს რუსეთის შიგნით უდიდესი მხარდაჭერა მოუტანა და გადაფარა ომის წინააღმდეგ გამომსვლელთა ხმები. ნიუ–იორკში 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შედეგ შემცირდა ჩეჩნეთის ომის საერთაშორისო კრიტიკაც.

შედეგად, პუტინმა სახელმწიფო რუსი ხალხის თვითშეგნებისათვის ბევრად უფრო მისაღები გახადა. ელცინის სუსტი მთავრობის ნაცვლად, ქვეყანას ძლიერი, ზოგჯერ სასტიკი მაგრამ ძირითადად „გულისხმიერი" ხელმწიფე მართავს; უშიშროებისა და სამხედროთა ესტაბლიშმენტი აკონტროლებს ქვეყნის მართვას, ქვეყანა კი განაგრძობს „ჩამორჩენილი" კავკასიის დასამორჩილებლად ბრძოლას. საგარეო მოხმარებისათვის ჩამოყალიბდა რუსეთის პოლიტიკის აგრესიული ელემენტების გამართლების დასავლეთისათვის გასაგები ფრაზეოლოგია – ჩეჩნეთის ომში პუტინმა „ისლამური ტერორიზმის" საფრთხე გამოიყენა თავის პოლიტიკის გასამართლებლად.[48] საქართველოს შემთხვევაში, კრემლთან დაახლოებული რუსი ანალიტიკოსები „არშემდგარი სახელმწიფოს" ტერმინოლოგიას დაეყრდნენ მის საქმეებში ჩარევის ასახსნელად.[49]

---

[48] *Dmitri Trenin.* The Forgotten War: Chechnya and Russia's Future. Policy Brief no. 28 (Washington, DC: Carnegie Endowment for International Peace, November 2003), http://www.ceip.org/files/pdf/Policybrief28.pdf.

[49] რუსმა მიმომხილველმა ალექსეი მალაშენკომ აღნიშნა, რომ მოსკოვმა მხედველობაშიც კი არ უნდა მიიღოს „შუა აზიისა და ტრანსკავკასიის დემოკრატიზაციის ჰიპოთეტური შესაძლებლობაც კი." მისი თქმით, ამ რეგიონის „დემოდერნიზაციის" შეჩერება მხოლოდ რუსეთის კულტურული გავლენის გაძლიერებით შეიძლება, რომელიც ისტორიულად „[შუა აზიისა და კავკასიის სახელმწიფოების] მოდერნიზაციას უწყობდა ხელს ევროპულ კულტურასთან მათი ზიარების გზით." იხ. *Aleksei Malashenko.* Post-Soviet States of the South and the Interests of Moscow. – *Pro et Contra,* vol. 5, no. 3 (2000), p. 43.

პუტინის რუსეთი არ არის და არც ესწრაფვის გახდეს ევროპული სახელმწიფო ან გაიზიაროს საჯარო ინსტიტუტების, სამოქალაქო უფლებების, კანონის უზენაესობის ევროპული გაგება. პუტინი ცდილობს რუსეთი ძლიერ და მართვად სახელმწიფოდ წარმოადგინოს, რომელსაც შეუძლია დასავლური წესების გაგება და მათ მიხედვით მოქმედება და რომელიც მზადაა გაიზიაროს დასავლეთთან თანამშრომლობით მოტანილი ეკონომიკური მოგება. საბჭოეთის სიმბოლურ გლობალურ ამბიციაზე მან უარი თქვა – მიატოვა საბჭოეთის შორეული ავანპოსტები – სამხედრო ბაზები კუბაზე (ლურდესი) და ვიეტნამში (კამრანი); რუსულმა სამშვიდობო კონტინგენტმა 2003 წლისათვის მთლიანად დატოვა კოსოვო და ბოსნია–ჰერცეგოვინა. ურთიერთობები შესუსტდა ლიბიის, სირიის და კუბის რეჟიმებთან. ამასთან, პუტინი მიესალმა აშშ–სთან სამხედრო თანამშრომლობას ავღანეთში.

სტივენ ბლანკი ამ პოლიტიკას „დასავლეთთან კონფრონტაციის... მნიშვნელოვან დასავლურ კლუბებში (როგორიცაა ‚დიდი რვიანი’) გაწევრიანების სურვილთან პარადოქსულ შეთავსებას” უწოდებს.[50] სინამდვილეში, ეს პარადოქსი მხოლოდ ილუზიაა. უბრალოდ, დასავლეთთან კონფრონტაციამ რუსეთის საზღვრებთან ახლოს გადმოიწია, მათ შორის სამხრეთ კავკასიაში. აქაც კი, პუტინმა თავიდან აიცილა დასავლეთთან შეჯახება და არჩია თვით კავკასიის სახელმწიფოების შიდა სისუსტეების თავის სასარგებლოდ გამოყენება. დროდადრო რუსეთის ოფიციალური პირები კიდევ ახსენებენ „ახლო საზღვარგარეთში” იმპერიული გავლენის „უფლებას.” თუმცა, სულ უფრო ხშირად რუსეთი საჯაროდ აღიარებს მხარდაჭერას ზოგადი პრინციპებისადმი, როგორიცაა მაგალითად საზღვრების ურღვეობა, მაგრამ შემდეგ უფრო მოქნილი მეთოდებით ახდენს გავლენას სამხრეთ მეზობელ ქვეყნებზე ამ პრინციპების საწინააღმდეგოდ. პუტინმა შეინარჩუნა და იყენებს 90–იან წლებში მიღწეულ ტაქტიკურ უპირატესობას, რაც რეგიონში გაყინული კონფლიქტების – საქართველოს შემთხვევაში, აფხაზეთისა და სამხრეთო ოსეთის – ერთპიროვნულ კონტროლში გამოიხატება. ამ კონტროლით იქმნება რეგიონული წესრიგი, რომელიც ზედაპირზე კი შეესაბამება საერთაშორისო ტენდენციებსა და სტანდარტებს, მაგრამ სინამდვილეში

[50] *Blank.* U.S. Military Engagement with Transcaucasia and Central Asia, p. 6.

პოსტ–საბჭოთა პერიოდში შექმნილი ვითარების რუსეთის სასარგებლოდ გამოყენებას გულისხმობს. რუსეთის ძველი დერჟავნიკული პოლიტიკა, რომელიც „ახლო საზღვარეთის" ჰეგემონურ კონტროლს გულისხმობს შერბილდა და დასავლურ ტერმინოლოგიაში გაეხვა, რითაც საბუთდება რუსეთის ლიდერობის აუცილებლობა მეზობელი „არშემდგარი სახელმწიფოების" პრობლემების გადასაჭრელად და სტაბილურობის უზრუნველსაყოფად.

საქართველოს საკითხი რუსეთის პოლიტიკაში არაა გადამწყვეტი მნიშვნლობისა, მაგრამ მას საკმაოდ ხშირად იხილავენ. ნაწილობრივ იმიტომ, რომ ნათელია პარალელი საქართველოს პრობლემებსა და რუსეთის ჩეჩნურ პრობლემას შორის. ერთი შეხედვით, ამ მსგავსებას შეეძლო ორ ქვეყანას შორის თანამშრომლობა განევითარებინა. პრეზიდენტი შევარდნაძე ხშირად ცდილობა რუსი კოლეგები თანამშრომლობისაკენ წაექეზებინა, მაგრამ წარუმატებლად. საქართველოს საკითხში რუს პოლიტიკოსბს რამოდენიმე არჩევანი ჰქონდათ: 1) დახმარებოდნენ საქართველოს გაძლიერებაში; 2) ეიძულებინათ საქართველოს მთავრობა დამორჩილებოდა რუსეთის სურვილებს და 3) გაენაწილებინათ რეგიონში სტაბილურობის შენარჩუნების ამოცანა საქართველოს მთავრობასა და საერთაშორისო ინსტიტუტებთან. სამწუხაროდ, საქართველოს ხელისუფლებისა და სახელმწიფოს სისუსტემ, ისევე როგორც შევარდნაძის პოლიტიკის არასაიმედოობამ, რუსეთი მეორე ვარიანტის უპირატესობაში დაარწმუნა.

ოფიციალურმა რუსეთმა საქართველოს მოსთხოვა მისი ტერიტორიის გამოყენება ჩეჩნეთზე შეტევების განსახორციელებლად და ქვეყანის იმ ნაწილში რუსული სპეცდანიშნულების ნაწილების განთავსება ითხოვა, სადაც ჩეჩნეთიდან ლტოლვილებმა იპოვეს თავშესაფარი.[51] ამავე პერიოდში დაიწყო რუსეთის ავიაციის მიერ საქართველოს საჰაერო სივრცის დარღვევები, რაც ჩეჩნებთან საბრძოლველად და ველების დასანაღმად გამოიყენებოდა.[52]

---

[51] *Валерий Рокотов.* Еще один фактор влияния. – *Независимая газета*, 16 ÿí âàðÿ 2001 ãî äà, http://ng.ru/cis/2001-01-16/5_factor.html.

[52] *Liz Fuller.* Unknown Fighters Again Violate Georgian Air Space. – *RFE/RL Newsline*, August 23, 1999, http://www.rferl.org/newsline/1999/08/2-TCA/tca-230899.asp.

2000 წლის ნოემბერში, რუსეთის ზეწოლამ პიკს მიაღწია. საქართველო დსთ-ს პირველი ქვეყანა გახდა, რომლის მიმართაც რუსეთმა სავიზო რეჟიმი შემოიღო. მეტიც, „გამარტივებული" – თავისი არსით უვიზო – რეჟიმი დაწესდა საქართველოს სეპარატისტულ პროვინციებთან.[53] ამავე წლიდან მოყოლებული რუსეთმა მასიურად დაიწყო აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისათვის რუსეთის მოქალაქეობის მინიჭება, რითაც კიდევ უფრო განამტკიცა მათთან კავშირი.[54] 2000 წლის ზამთარში რუსეთიდან გაზის მიწოდება რამოდენიმეჯერ შეწყდა, რაც საერთაშორისო მედიამ ენერგეტიკული ზეწოლის პოლიტიკურ ინსტრუმენტად გამოყენებად აღიქვა.[55] ამ ვერსიას ოფიციალური სახე მიეცა 2001 წლის 19 იანვარს, როდესაც ევროგაერთიანების საგარეო საქმეთა კომისარმა რუსეთი ღიად გააკრიტიკა გაზის მიწოდების პოლიტიკური ზეწოლისათვის გამოყენებისათვის.[56]

საქართველო–რუსეთს შორის ინციდენტები ამ პერიოდში მეტად ხშირად ხდებოდა. პაველ ბაევი თვლის, რომ ეს ტაქტიკა შესაძლოა „არ უკავშირდებოდა რუსეთის მხრიდან საქართველოს დათრგუნვას." მისი აზრით გაზისა და ელექტროენერგიის მიწოდების შეწყვეტა შესაძლოა გაზპრომსა და იტერას შორის შიდა დაპირისპირების შედეგი შეიძლებოდა ყოფილიყო, რამაც საბაზრო ფასებსა და მოგებაზე გაამახვილა მათი ყურადღება.[57] ამ ინციდენტებში რუსეთის პასუხისმგებლობის დონის განსაზღვრა განსაკუთრებით რთულია იმ პერიოდში პრეზიდენტ შევარდნაძის მიერ განხორციელებული

---

[53] *Армен Ханбабян.* Введение визового режима неизбежно. – *Независимая газета*, 10 í î ÿáðÿ 2000 ãî äà, http://ng.ru/cis/2000-11-10/1_vises.html.

[54] ეს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის დარღვევას ნიშნავდა. ოფიციალურად, რუსეთი აღნიშნავდა, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებნი მოქალაქეობის გარეშე დარჩნენ და რუსეთმა მათ მოქალაქეობა მიანიჭა, როგორც საბჭოთა კავშირის სამართალმემკვიდრემ. თუმცაღა პოლიტიკური ქვეტექსტი ცხადია: მაგალითად კრასნოდარის რაიონში მართლაც მოქალაქეობის გარეშე ათწლეულების განმავლობაში მცხოვრებ მესხეთელ თურქებს უარი ეთქვათ რუსეთის მოქალაქეობაზე.

[55] *Michael Lelyveld.* Western Press Accuses Moscow of Using Energy as a Cudgel. – *RFE/RL Newsline*, January 1, 2001, http://www.rferl.org/nca/features/2001/01/05012001104106.asp.

[56] *Andrew Jack.* Russia Warned over Attitude to Georgia. – *Financial Times*, January 19, 2001.

[57] *Pavel Baev.* Russia Refocuses Its Policies in the Southern Caucasus (Cambridge, MA: Harvard University Caspian Studies Program, 2001), p. 11.

არათანმიმდევრული პოლიტიკის გამო. შევრდნაძის ძალაუფლებას მაშინ გაძლიერებული ოპოზიცია ემუქრებოდა და ისიც რუსეთის საფრთხეს იყენებდა თავისი მდგომარეობის გასამყარებლად. შევარდნაძის მომხრეები მას რუსეთისაგან ერთადერთ ხსნად წარმოადგენდნენ, იხსენებდნენ რა 90–იანი წლების ტრავმატულ გამოცდილებას. ისინი აცხადებდნენ, რომ საქართველო რუსეთის საფრთხის წინაშე უნდა გაერთიანდეს (შევარდნაძის გარშემო) და რომ მხოლოდ პრეზიდენტს შეუძლია ევროპისა და აშშ–ს დარწმუნება, რათა მათ დაიცვან საქართველო რუსეთისაგან. სინამდვილეში, საქართველოს მთავრობის შესაძლებლობები ამ პერიოდში სულ უფრო შეიზღუდა. 2000 წლის არჩევნები საერთაშორისო დამკვირვებლებმა დემოკრატიის თვალსაზრისით უკანგადადგმულ ნაბიჯად შეაფასეს. ხელისუფლებისადმი საზოგადოების მხარდაჭერა სარეკორდოდ დაბალ დონეზე იყო, საპროტესტო ელექტორატი კი სიღარიბის გაფართოებასთან ერთად იზრდებოდა. თვით მმართველ მოქალაქეთა კავშირში გახშირდა კონფლიქტები.

ყველაფრისდა მიუხედავად, შევარდნაძის ტაქტიკამ, რუსული საფრთხის გამო შეენარუნებინა დასავლური მხარდაჭერა, ნაწილობრივ მაინც გაამართლა. ხედავდნენ რა საქართველოს სისუსტეს, დასავლეთის ქვეყნებმა გააფრთხილეს რუსეთი, თავი შეეკავებინა ავანტურებისაგან და ამით დაიცვეს საკუთარი ეკონომიკური ინტერესები რეგიონში. პრეზიდენტ ჯორჯ ბუშის ადმინისტრაციამ ღიად გააკრიტიკა „ახლო საზღვარგარეთის" პოლიტიკა. 2001 წლის მარტში, აშშ სახელმწიფო მინისტრმა კოლინ პაუელმა დაარწმუნა საქართველოს საგარეო მინისტრი, რომ აშშ განაგრძობს საქართველოს მხარდაჭერას და საჯაროდ დაგმო რუსეთის მხრიდან განხორციელებული ზეწოლა.[58] ამავე დროს, საქართველომ ნატოს შტაბ–ბინაში ჯერ პირველი პოლიტიკური კონსულტაციები გამართა, 2001 წლის ივნისში კი პროგრამის „პარტნიორობა მშვიდობისათვის" ფარგლებში ნატოს სამხედრო მანევრებს უმასპინძლა.[59]

[58] *Liz Fuller.* U.S. Assures Georgia of Support. – *RFE/RL Newsline*, March 21, 2001, http://www.rferl.org/newsline/2001/03/210301.asp.

[59] *Liz Fuller.* Georgia Consults NATO, EU. – *RFE/RL Newsline*, April 2, 2001, http://www.rferl.org/newsline/2001/04/020401.asp.

პანკისი: სასინჯი ქვა

პანკისის ხეობის ჩეჩნეთის ომთან კავშირის საკითხი 1999 წლიდან მოყოლებული მნიშვნელოვანწილად განსაზღვრავდა რუსეთთან საქართველოს ურთიერთობას. ეს კონფლიქტი ორი ქვეყნის ძირეული ეროვნული ინტერესების დაპირისპირების კარგი მაგალითია. მიუხედავად იმისა, რომ პანკისის გარშემო დაძაბულობა კინაღამ სახიფათო და ღია ესკალაციაში გადაიზარდა, საერთაშორისო ძალების ჩარევამ პრაგმატული შედეგი მოიტანა. კრიზისი 1999 წელს დაიწყო და 2001 წლისათვის პიკს მიაღწია. მანვე განაპირობა საქართველოს პოლიტიკის ტაქტიკური ცვლილება და შესაძლოა საფუძველი დაუდო პრეზიდენტ შევარდნაძის ადმინისტრაციის დამხობას.

რუსი სამხედროები ჩეჩნეთის საზღვრის საქართველოს მონაკვეთის გაკონტროლებას 1999 წლის ბოლოდან აქტიურად ცდილობდნენ. 1999 წლის აგვისტოში, როდესაც ჩეჩნეთის კონფლიქტი დაღესტანში გავრცელდა, პრეზიდენტმა ელცინმა ედუარდ შევარდნაძეს საქართველოში მდებარე რუსული ბაზების გამოყენება სთხოვა ჩეჩნეთის ტერიტორიის დასაბომბად. შევარდნაძემ უარი განაცხადა. მეორე ჩეჩნური კამპანიის პირველივე თვეებში, საქართველოს საზღვარი

რუქა 3. პანკისის ხეობა

Central Intelligence Agency map, courtesy of the Central Intelligence Agency, The World Factbook 2005, http://www.cia.gov/cia/publications/factbook/geos/gg.html.

შვიდ ათასამდე ჩეჩენმა ლტოლვილმა გადმოკვეთა. ისინი რუსეთის ფედერალური ჯარების შეტევას გაურბონენ. საქართველომ, მისი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად (1951 წლის გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ და მისი 1967 წლის პროტოკოლი) ჩეჩენ ლტოლვილებს მასიურად, ანუ ინდივიდუალური შემოწმების გარეშე, მიანიჭა ლტოლვილის სტატუსი. თითქმის დაუყოვნებლივ, რუსეთმა მასიური დიპლომატიური და მედია კამპანია წამოიწყო, რომლის მიხედვით საქართველოს თავი ათასობით ჩეჩენმა მებრძოლმა შეაფარა და „ტერორისტთა" საწვრთნელი ბანაკები შექმნა, რომლებიც ახალი აჯანყებულების მოსამზადებლად და ჩეჩნეთში გასაგზავნად გამოიყენებოდა.

თავდაპირველად, საქართველოს მთავრობამ მტკიცედ უარყო ეს ბრალდებები და ყურადღება ლტოლვილების დაცვის საერთაშორისო ვალდებულებაზე გაამახვილა. მალე საქართველოში გახშირდა დანაშაულისა და ადამიანის გატაცებების შემთხვევები, რაც პანკისს უკავშირდებოდა. ამან რუსეთის განცხადებებს მეტი წონა შესძინა. სინამდვილეში, საქართველოს ხელსუფლების სისუსტემ პანკისი ყველა ჯურის დამნაშავის, მათ შორის ყოფილი ჩეჩენი აჯანყებულების, თავშესაფრად აქცია. ოფიციალური თბილისი ხეობას ჯერ კიდევ ჩეჩენი ლტოლვილების იქ ჩასვლამდე ვერ აკონტროლებდა. პანკისის რთული ეთნიკური შემადგენლობისა და ისტორიის გამო, აქ ტრადიციული სათემო სამართალი ყოველთვის უფრო გავრცელებული იყო ვიდრე ოფიციალური სამართალდამცავი საქმიანობა.[60] სამართალდამცავი სტრუქტურების სისუსტემ კი ეს რაიონი დამნაშავეებისათვის ოაზისად აქცია.

ჩეჩენი ლტოლვილების მოსვლამ უბრალოდ საერთაშორისო მნიშვნელობა მიანიჭა პანკისს და ნათლად გამოავლინა უკანონობა რომელიც აქ ბატონობდა. საქართველოსთვის, პანკისი მტკივნეულ პოლიტიკურ დილემად იქცა. მთავრობაცა და საზოგადოებაც მიიჩნევდა, რომ შეიარაღებული ესკალაცია პანკისში სასიკვდილო შეიძლებოდა გამხდარიყო სეპრატიზმით, ეკონომიკური კრიზისითა

[60] *Jaba Devdariani and Blanka Hancilova.* Georgia's Pankisi Gorge: Russian, U.S., and European Connections. CEPS Policy Brief no. 23 (Brussels: Centre for European Policy Studies, June 2002).

და პოლიტიკური არასტაბილურობით ისედაც დასუსტებული ქვეყნისათვის. საქართველოს შეიარაღებული ძალების სისუსტე მათ ეფექტურ გამოყენებას გამორიხავდა. შედეგად, მთავრობა მხოლოდ სიმბოლურად შეეცადა პანკისის ხეობის ჩაკეტვას. პოლიციის ერთადერთი ბლოკ–პოსტი მის შესასვლელში არა თუ დანაშაულის შემაკავებელ ბარიერად არ იქცა, არამედ ჟურნალისტური გამოძიებებისა და შემდგომი ოფიციალური გამოძიების თანახმად, თვითონ გახდა ნარკოვაჭრობის ცენტრი.

რუსეთი სულ უფრო დაჟინებით იყენებდა პოლიტიკურ და სამხედრო ზეწოლას, ცდილობდა რა საქართველო ეიძულებინა აქტიური მოქმედება დაეწყო პანკისში. ეს ზეწოლა ტალღისებურად განვითარდა და პიკს 2000 წელს, ლტოლვილების შემოსვლის პერიოდში, 2001 წლის დასაწყისში, 2001 წლის შემოდგომაზე და 2002 წლის ზაფხულში მიაღწია. ლოგიკა ამ ზეწოლის მიღმა მარტივი იყო: რუსეთის თავდაცვის მინისტრის სერგეი ივანოვისა და გენშტაბის უფროსის ანატოლი კვაშნინის თქმით, რაკი საქართველოს არ შეეძლო პანკისში წესრიგის დამყარება, „ტერორიზმის ბუდის" განადგურება რუსეთის სამხედრო ძალების ჩარევით უნდა მომხდარიყო.[61] ქართული საზოგადოება ზიზღით მოეკიდა ზეწოლის ამ სამხედრო შინაარსს. რადიო „თავისუფლების" სამხედრო მიმომხილველის, კობა ლიკლიკაძის მონაცემებით 1999 წლის შემოდგომიდან 2002 წლის აგვისტომდე რუსეთმა 25–ჯერ მაინც დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და, ერთის გარდა, ყველა შემთხვევაში უარყო დარღვევა.[62] მეორეს მხრივ, პრეზიდენტ შევარდნაძის უცნაური გამოსვლები – ხან ჩეჩენი მებრძოლების პანკისში ყოფნის უარყოფამ, ხან მათი ლიდერის „ნორმალურ, განათლებულ ადამიანად" დახასიათებამ, შემდეგ კი ტერორისტების განადგურების მოთხოვნამ – დაარწმუნა მისდამი უკვე სკეპტიკურად განწყობილი ქართული საზოგადოება, რომ ხელისუფლებას მართლაც ჰქონდა რაღაც დასამალი პანკისში.

ყოველივე ამის მიუხედავად, საქართველოში გაბატონებულ შეხედულებას, რომ რუსეთი პანკისს საქართველოზე პოლიტიკური

[61] *Ian Traynor.* Russia Angry at U.S. War Plan for Georgia. – *The Guardian*, February 22, 2002, http://www.guardian.co.uk/international/story0,3604,654020,00.html.

[62] კობა ლიკლიკაზე, ინტერვიუ „რუსთავი–2" ეთერში, 2002 წლის 29 აგვისტო.

ზეწოლისათვის უსამართლოდ იყენებდა გააჩნია რეალური საფუძ-ველი. ლოგიკას არაა მოკლებული ოფიციალური თბილისის აზრიც, რომ საქართველოში სამხედრო ჩარევა რუსეთის ჩეჩნურ პრობლემას კი არ გადაწყვეტდა არამედ პირიქით, გააუარესებდა. ნათელია, რომ რუსი პოლიტიკოსები აზვიადებდნენ პანკისის პრობლემის რეალურ მასშტაბს. თვით რამოდენიმე რუსი ექსპერტის აზრითაც, პანკისი ჩეჩნეთში მიმდინარე მოვლენების შედეგია და არა მიზეზი.[63] ყოველივე ამის მიუხედავად, პანკისის პრობლემის ესკალაციის განმავლობაში არაფერი მიუთითებდა იმაზე, რომ თბილისის ძალა შესწევდა გადაეწყვიტა პანკისის პრობლემა.

დაუყოვნებელი მოქმედების აუცილებლობა კი დღესავით ნათელი ნიუ–იორკზე 11 სექტემბერს განხორციელებული შეტევის შემდეგ გახდა, რამაც პანკისს გლობალური განზომილება მიანიჭა. რუსეთი აშშ–ზე ტერორისტული შეტევის გამოყენებას შეეცადა ჩეჩნეთში თავისი მოქმედებების გასამართლებლად და, შესაძლოა, საქართ-ველოში ინტერვენციისათვის. 11 სექტემბერზე რეაგირებისას პრესიდენტმა ვლადიმირ პუტინმა განაცხადა, რომ მისი სახელმწიფო გაანადგურებს „ტერორისტთა სამალავებს" რუსეთის სახელმწიფოს მახლობლად. ამით, მიმომხილველების შეფასებით, პუტინი ნართაუ-ლად სთხოვდა აშშ–ს პანკისში ჩარევის უფლებას.

საქართველოს ისედაც არაპოპულარულ მთავრობას ახლა უკვე საერთაშორისო თანამეგობრობაც მკაცრად სთხოვდა აღმოეფხვრა ქვეყანაში ტერორისტული საფრთხის წარმოშობის შესაძლებლობა. 2001 წლის ოქტომბერში, საქართველომ ოფიციალურად აღიარა ჩეჩენი მებრძოლების ყოფნა პანკისში. მიმომხილველების ცნობით, ეს მას შემდეგ მოხდა რაც აშშ–ში ვიზიტისას შევარდნაძეს მტკიცედ ურჩიეს ტერორიზმის წინააღმდეგ შეურიგებლობის პოლიტიკის გატარება.[64]

პანკისის საკითხში მოუხეშაობამ თითქმის ნულოვან დონემდე დასცა შევარდნაძის პოპულარობა. 2001 წლის აგვისტოში მის

[63] რადიო „თავისუფლების" მიმომხილველი ოლეგ კუსოვი, რადიო „ეხო მოსკვისათვის" მიცემულ ინტერვიუში. 2002 წლის 26 აგვისტო, http://www.echo.msk.ru/guests/5754/.

[64] *Zeyno Baran.* Georgia Update, March 4, 2002, p. 3, http://www.csis.org/ruseura/georgia/gaupdate_0203.htm.

პოლიტიკას, გამოკითხვების მიხედვით, მხარს მოქალაქეთა მხოლოდ 6% უჭერდა. დამოუკიდებელ ტელევიზიაზე ზეწოლით გამოწვეული სახალხო საპროტესტო გამოსვლების ფონზე, შევარდნაძემ 2001 წლის ოქტომბერში დაითხოვა მთავრობა. მოქალაქეთა კავშირი გარდაუვალი დაშლისაკენ მიექანებოდა. ამ პირობებში, საქართველოს პოლიტიკური ელიტა შიშობდა რომ შევარდნაძე რადიკალურად შეცვლიდა კურსს და რუსეთთან სერიოზულ დათმობებზე წავიდოდა, მათ შორის პანკისის საკითხშიც.

ამდენად, საქართველოს მთავრობის სისუსტე რუსეთთან ურთიერთობებში გაურკვევლობისა და დაძაბულობის შენარჩუნების ერთ–ერთი მიზეზი იყო. რუსეთის ლიდერების შეხედულებით, საქართველოს თავისუფლად შეეძლო ჩეჩენი მებრძოლების შეფარება თუნდაც მათი რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლისადმი სიმპატიის მიზეზით. მეორეს მხრივ რუსეთს აშფოთებდა, რომ თუკი მოვლენები ცუდად განვითარდებოდა, საქართველო უბრალოდ ვერ შეძლებდა კრიზისის აღმოფხვრას პოლიციისა და არმიის ღონემიხდილობის გამო. დასავლელ ლიდერებსაც ცუდად ენიშნათ შევარდნაძის არაპროგნოზირებადი პოლიტიკური ნახტომები და შინაგან საქმეთა, თავდაცვის და უშიშროების სამინისტროების წინააღმდეგობრივი განცხადებები ჩეჩენ მებრძოლებთან დაკავშირებით. ქართულ მედიაში გავრცელდა მოსაზრება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო იდგა ჩეჩენი მებრძოლების პანკისიდან აფხაზეთში გადასროლის ავანტურის უკან, რაც 2000 წელს განხორციელდა.[65] ამან კიდევ უფრო გაამძაფრა როგორც რუსეთის, ისე დასავლეთის შიშები.

ყველა მხრიდან ზეწოლის ფონზე, საქართველოს პოლიტიკურ ელიტაში მაინც რუსეთისადმი უნდობლობამ იძალა. მათი აზრით, დასავლეთი (და განსაკუთრებით აშშ) საქართველოში ჩეჩნური კონფლიქტის გადმოდინების შესაჩერებლად ერთადერთი იმედი იყო. საქართველომ რუსეთ–აშშ–ს შორის წინააღმდეგობაზე ითამაშა. ჯერ კიდევ 1999 წლიდან, რუსეთ–საქართველოს საზღვრის ჩეჩნეთის

[65] ამ განცხადებებს, როგორც ჩანს რეალური საფუძველი გააჩნდა. 2004 წლის ივნისში პრეზიდენტ სააკაშვილის მთავრობამ განკარგულება გასცა გამოეძიებინათ ჩეჩენი მებრძოლების აფხაზეთში, 2000 წელს გადასროლის ამბავი. ამასთან, სახელმწიფო მინისტრმა გიორგი ხაინდრავამ დაადასტურა, რომ ამ მოვლენებში გარკვეული როლი შევარდნაძის ადმინისტრაციამ ითამაშა.

მონაკვეთზე ეუთოს დამკვირვებლები იყვნენ განთავსებული. ისინი ადასტურებდნენ, რომ ჩეჩნეთსა და საქართველოს შორის მებრძოლთა აქტიური მიმოსვლა არ ხდებოდა, რაც დასავლეთის ყურს მალამოდ ეცხებოდა. საერთაშორისო კონტექსტი მეყსეულად, 2002 წლის თებერვალში შეიცვალა როდესაც აშშ ელჩის მოვალეობის შემსრულებელმა, ფილიპ რემლერმა განაცხადა რომ პანკისში შესაძლოა „ალ–ყაიდასთან დაკავშირებული პირები" იმალებოდნენ. ეს განცხადება მეორე დღესვე აშშ გაზეთების პირველ გვერდებზე მოხვდა და ამას თითქმის მაშინვე მოჰყვა აშშ–ს მხრიდან საქართველოსადმი გაწეული სამხედრო დახმარების დრამატული ზრდა. გამოცხადდა 64 მილიონი აშშ დოლარის ღირებულების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, რომელიც გაღატაკებულ ქართულ არმიაში ანტი–ტერორისტული შესაძლებლობების განვითარებას ისახავდა მიზნად. ამ პროგრამის ფარგლებში საქართველოში 200–მდე ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორი ჩამოვიდა, ხოლო პროგრამის ფარგლებში საველე წვრთნები უკვე 2002 წლის მარტში დაიწყო.

იურგენ შმიტის მოსაზრებით, პროგრამის დაწყების დროს თუ დავაკვირდებით, ნათელია რომ აშშ–ს გადაწყვეტილება არ დაყრდნობა ალ–ყაიდასთან დაკავშირებული პირების პანკისში ყოფნის შესახებ მიღებულ რაიმე ახალ ინფორმაციას. უფრო სავარაუდოა, რომ სამხედრო დახმარების პროგრამის დაუყოვნებელი დაწყება აუცილებელი იყო რუსეთის მხრიდან გარდაუვალი ესკალაციის, შესაძლოა შეიარაღებული ჩარევის, თავიდან ასაცილებლად.[66] როგორც ჩანს, აშშ–ს პანკისში სისასტიკით განთქმული რუსი გენერლების ჩარევის კი ეშინოდა, მაგრამ საქართველოს სამხედრო სისუსტეც არწმუნებდა რომ პანკისი კიდევ დიდი ხანი შეიძლებოდა დარჩენილიკო კრიმინალური, მათ შორის ტერორისტული, ელემენტების თავშესაფრად.

აშშ სამხედროების საქართველოში გამოჩენას რუსეთის პოლიტიკური წრეების აღშფოთება მოჰყვა. მრავალი რუსი პოლიტიკოსი აცხადებდა, რომ აშშ–ს მიზანი სამხრეთ კავკასიიდან რუსეთის გაძევება იყო. ნეზავისიმაია გაზეტას სამხედრო დანართი უფრო შორს

[66] *Juergen Schmid*. Krieg gegen den Terrorismus im Südkaukasus? Die USA entsenden Militärberater nach Georgien. – *SWP Brennpunkte*, http://old.swpberlin.org/produkte/bparchiv/zentralasien6druck.htm.

წავიდა და თავის მკითხველებს არწმუნებდა, რომ აშშ ჩეჩნეთში შეჭრას გეგმავდა.[67] პრეზიდენტ პუტინის ოფიციალური პასუხი ბევრად უფრო გამოზომილი აღმოჩნდა. უცნობია, გაუზიარა თუ არა ვაშინგტონმა პუტინს თავისი გეგმები საქართველოსათვის დახმარების პროგრამის დაწყებამდე. ამისდა მიუხედავად, პუტინის განცხადებით, თუკი აშშ ჩარევა რუსეთის უსაფრთხოებას განამტკიცებს, მოსკოვს არაფერი აქვს მისი საწინააღმდეგო.

როგორც აღმოჩნდა, პანკისის საკითხი ამით არ ამოიწურა. აშშ სამხედრო დახმარება უშუალოდ პანკისში ვითარებაზე მეყსეულ გავლენას არ ახდენდა. რუსეთის საქართველოზე ზეწოლა კი უფრო აგრესიული გახდა. ყველაფერი პოლიტიკური დემარშებით დაიწყო. 2002 წლის 8 აგვისტოს, რუსეთის დელეგაცია არ გამოცხადდა საქართველოსთან ჩარჩო–ხელშეკრულების მოსამზადებელი კომისიის სხდომაზე. ოფიციალური ვერსიით, რუსეთი „მზად არ იყო" ხელშეკრულების განსახილველად. საქართველოს ოფიციალური პირები აცხადებდნენ, რომ შეთანხმების ბლოკირების მოხსნის საფასურად რუსეთი პანკისში „ერთობლივი პოლიციური აქციის" ჩატარებას მოითხოვდა. ჩარჩო–ხელშეკრულება შევარდნაძის საგარეო პოლიტიკის ერთ–ერთი ძირითადი მიზანი იყო, რაც იმ პერიოდში საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანასა და რუსეთში მომუშავე საქართველოს მოქალაქეების დაცვას უკავშირდებოდა.

ამავე დროს, რუსეთის სამხედო ზეწოლა სულ უფრო სახიფათო ხდებოდა. 2002 წლის აპრილში, რუსეთისა და საქართველოს შეიარაღებული ძალები შეტაკების ზღვარზე იყვნენ აფხაზეთის კოდორის ხეობაში. ქართული ფორმირებების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე იქ მოულოდნელად რუსი მედესანტეები გადმოსხდნენ.[68] 2002 წლის 29 ივლისიდან ამავე წლის აგვისტოს განმავლობაში საქართველოს საჰაერო სივრცე რუსეთის ძალებმა ხუთჯერ დაარღვიეს ჩეჩნეთისა და აფხაზეთის მონაკვეთებზე. სამ შემთხვევაში რუსულმა ავიაციამ ცეცხლი გახსნა. 22 აგვისტოს, სამხრეთ ოსეთის რეგიონში რუსეთის სამშვიდობო ძალების მეთაურმა, გენერალ–

[67] *Вадим Соловьев*. Джи Ай идут на Кавказ. – *Независимое военное обозрение*, 30 августа 2002 года.
[68] *Civil Georgia*, August 8, 2002, http://www.civil.ge.

მაიორმა ვასილი პრიზემლინმა ერთპიროვნულად დაარღვია პასუხისმგებლობის ზონის საზღვრები და გორის რაიონში სანგრების გათხრა დაიწყო.[69] ერთი დღის შემდეგ, რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ჩეჩნეთის მოსაზღვრე საქართველოს ტერიტორია დაბომბეს, რასაც ერთი სამოქალაქო პირის დაღუპვა და შვიდამდე ადამიანის დაჭრა მოჰყვა.[70] საქართველოსა და ეუთოს დამკვირვებლების პროტესტის მიუხედავად, რუსეთმა უარყო თავისი მონაწილეობა. თავდაცვის მინისტრმა განაცხადა რომ დაბომბვა საქართველოს ძალებმა მოახდინეს და ინციდენტს „სწორი მიმართულებით გადადგმული ნაბიჯი" უწოდა ჩეჩენი მებრძოლების შევიწროების საქმეში.[71] ვითარება თითქოს სამხედრო შეჯახების ზღვრამდე მივიდა.

ამ კრიტიკულ მომენტში მოხერხდა ვითარების კრიზისიდან გამოყვანა. პანკისში უკანონობით შეშფოთებული აშშ–სა და რუსეთის ერთდროული ზეწოლის წინაშე საქართველოს მთავრობა იძულებული გახდა 2002 წლის 25 აგვისტოს პანკისში ანტი–კრიმინალური ოპერაცია დაეწყო. შინაგან საქმეთა და უშიშროების სამინისტროს 1000–მდე მოსამსახურე უშუალოდ ხეობაში შევიდა. წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა სწორედ ამ დროს გადავიდა მესამე, უშუალოდ საველე წვრთნის ეტაპზე და ამერიკულ ფორმებში გამოწყობილი 1500–მდე სამხედრო საჩვენებელი მანევრებით ზურგს უმაგრებდა პანკისის ოპერაციას. ბრძოლისუნარიანი შეიარაღებული ძალების უდიდესი ნაწილის ერთ ოპერაციაზე გადასროლა სარისკო გადაწყვეტილება იყო. თუმცა, ანტი–კრიმინალური ოპერაციის შედარებით წარმატებას შეეძლო საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუმჯობესება – აშშ–სთან დაახლოების გაგრძელება და რუსეთის შიშების ნაწილობრივი გაქარვება.

2002 წლის აგვისტო–სექტემბრის ოპერაცია ათზე მეტი კრიმინალის დაკავებით დასრულდა. რაც უფრო მნიშვნელოვანია, აღდგა პოლიციის კონტროლი პანკისის ხეობის ყველა სოფელსა და დასახლებულ პუნქტში, გაიხსნა შინაგანი ჯარების ათამდე საკონტროლო–გამშვები პუნქტი. მოსკოვის აგრესიულობამ ჩეჩენი ლტოლვილები და ადგილობრივი ქისტები საქართველოს ძალების

[69] *Civil Georgia*, April 12, 2002, http://www.civil.ge.
[70] *Civil Georgia*, August 22, 2002, http://www.civil.ge.
[71] *Civil Georgia*, August 23, 2002, http://www.civil.ge.

ოპერაციისადმი ლოიალურად განაწყო, რადგან მათთვის საძულველი რუსეთის ჯარების მიერ ოპერაციების პანკისში ჩატარება აბსოლუტურად მიუღებელი და საშიში იქნებოდა. უშიშროების იმდროინდელმა მინისტრმა, ვალერი ხაბურძანიამ მოგვიანებით, 2003 წლის იანვარში, განაცხადა, რომ უშიშროების ქართველმა აგენტებმა „დაარწმუნეს" ჩეჩენი საველე მეთაურები მშვიდობიანად დაეტოვებინათ ხეობა.[72] ლოგიკური ჩანს, რომ ჩეჩენ მებრძოლებს მათი ოჯახებისა და ნათესავების უსაფრთხოება საქართველოში და შემდგომი ემიგრაციის პერსპექტივა ხეობის დატოვებად უღირდათ.

პანკისის წარმატებული ოპერაციის შედეგად, საქართველოს მოსახლეობამ აღიდგინა საკუთრი შეიარაღებული ძალების რწმენა, ნაწილობრივ აშშ–ს დახმარებით. შეიარაღებული ჩეჩნების დიდმა ნაწილმა დატოვა ხეობა. პრო–დასავლური განწყობა საქართველოში კიდევ უფრო გაძლიერდა და წარსულში რუსეთისადმი სიმპათიით განწყობილი პოლიტიკურმა პარტიებმაც კი რუსეთისადმი უფრო მკაცრ პოლიტიკას დაუჭირეს მხარი. პარლამენტმა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობიდან გასვლა და საქართველოდან რუსეთის ჯარების გაყვანა მოითხოვა. პრო–რუსული პოზიციის დაკავება ნებისმიერი პარტიისათვის პოლიტიკურ თვითმკვლელობას უდრიდა.

პანკისზე კონტროლის ფაქტიურად სისხლისღვრისა და ადგილობრივი მოსახლეობის პროტესტის გარეშე აღდგენა საქართველოს მთავრობის უდიდეს წარმატებად იქცა. რუსეთი ამან არ დააკმაყოფილა და ყველა იმ ჩეჩენის დაკავება მოითხოვა, ვინც რუსეთისთვის პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენდა.[73] 2002 წლის სექტემბერში პუტინი შეეცადა მიებაძა აშშ–ს პოლიტიკისთვის. ნიუ–იორკზე შეტევების წლისთავზე მან გენერალურ შტაბს მოსთხოვა პანკისზე პრევენციული საჰაერო და სახმელეთო დარტყმების გეგმის მომზადება „ტერორისტების" გასანადგურებლად. პუტიმა მოსთხოვა გაეროს ეცნო რუსეთის თავდაცვის უფლება ტერორისტული საფრთ-

[72] *Valeri Khaburdzania.* Georgia's Key Security Concerns: Pankisi and Abkhazia. Discussion at the Nixon Center, Washington DC, January 30, 2003, http://www.civil.ge/eng/article.php?id=3163.

[73] *Jaba Devdariani.* Georgian Security Operation Proceeds in Pankisi Gorge. – *Eurasia Insight*, September 3, 2002, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav090302a.shtml.

ხის წინაშე, გაეროს უშიშროების საბჭოს 1378 რეზოლუციისა და გაეროს ქარტიის 51 მუხლის შესაბამისად.

ამ მუქარას საქართველოშიც და მის ფარგლებს გარეშეც ყურადღებით მოეკიდნენ, მაგრამ რუსი მიმომხილველები დააფიქრა პუტინის მოქმედებამ. ზოგიერთმა ეს უბრალოდ ვითარების არასწორი შეფასებით ახსნა. მათი თქმით პუტინი მოელოდა, რომ პრეზიდენტი ბუში ნიუ–იორკზე შეტევის წლისთავზე გაეროს ტერორიზმის წინააღმდეგ პრევენციული მოქმედების უფლების აღიარების მოთხოვნით მიმართავდა. სამხედრო მიმომხილველმა პაველ ფელგენჰაუერმა აღნიშნა, რომ რუსეთი უბრალოდ ბლეფს მიმართავდა. სხვები თვლიდნენ, რომ რუსეთი უბრალოდ უკიდურეს გაღიზიანებას გამოხატავდა საქართველოს მიმართ კასპიის ნავთობსადენის მშენებლობის შესაფერხებლად, ანდა ჩეჩნეთში წარუმატებლობისაგან ყურადღების გადასატანად.

რუსეთის აგრესიული განცხადება კავკასიის რეგიონისადმი საერთაშორისო ყურადღებისა და საქართველოზე სამხედრო დარტყმის მიმართ დასავლეთის შესაძლო რეაქციის შემოწმებად იქცა. აშშ ადმინისტრაცია პასუხად ანტი–ტერორისტულ კოალიციაში საქართველოს მონაწილეობას მიესალმა. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა, ევროკავშირმა და ეუთომ შეშფოთება გამოთქვეს ჩეჩნეთის კონფლიქტის საქართველოზე გავრცელების შესაძლებლობის გამო. 2001 წელს რუსეთთან დაპირისპირების შემდეგ, საქართველო დარწმუნდა, რომ პანკისის პრობლემის მოგვარება მას საკუთარი ძალებით შეუძლია. ამავე დროს, აშშ–მ თანმიმდევრულად დაიცვა საქართველოს უფლება თვითონ გადაეწყვიტა ეს კონკრეტული პრობლემა და პირდაპირი დახმარებაც გაუწია ოფიციალურ თბილისს სამხედრო შესაძლებლობების გასაუმჯობესებლად.[74] ისიც ცხადი გახდა, რომ რუსეთს არ მოეცემოდა უფლება აშშ–ს პრევენციული დარტყმების დოქტრინის კოპირება განეხორციელებინა კავკასიაში.

აშშ დახმარებითა და პანკისის პრობლემის მოგვარებით გათამამებული საქართველო რუსეთთან ამ კონკრეტულ კონფლიქტში გამარჯვებული გამოვიდა. თუმცა აშშ–ს „უფროს ძმად" გამოყენებამ რუსეთის წინააღმდეგ კიდევ უფრო განამტკიცა უნდობლობის

[74] *Statement of the White House Press Secretary*, August 24, 2002.

სტერეოტიპები. რუსეთი დარწმუნდა რომ საქართველო სუსტი, არაპროგნოზირებადი მეზობელია და ამასთან „მოღალატეც" რომელიც მზადაა რეგიონი რუსეთის მტრებს (გინდ ჩეჩნებსა და გინდაც ამერიკელებს) გაუხსნას. საქართველოსათვის რუსეთი კიდევ ერთხელ წარმოჩინდა როგორც აგრესიული ძალა ჰეგემონისტური ამბიციებით. ბევრი ქართველი შეაშფოთა რუსეთის რადიო „ეხო მოსკვის" გამოკითხვამ 2002 წლის 26 აგვისტოს, რომლის მიხედვითაც გამოკითხულთა 58%–მა განაცხადა რომ რუსეთმა ბოდიში არ უნდა მოიხადოს საქართველოს წინაშე, მაშინაც კი თუ მან მართლაც დაბომბა საქართველოს ტერიტორია. განსაკუთრებით შემაშფოთებელი ისაა, რომ „ეხო მოსკვის" აუდიტორიად ძირითადად ლიბერალური, პროდემოკრატიული მოსკოველები ითვლებიან.

პანკისის კრიზისმა საქართველოს მიერ რუსეთის აშშ–თი დაბალანსების პოლიტიკის სისუსტეებიც ნათელი გახადა. ცხადი გახდა, რომ საქართველოს სისუსტის პირობებში, აშშ–ს დახმარებას მხოლოდ დროებით შეუძლია რუსეთის ზეწოლის შესუსტება. ამ პოლიტიკით ვერ მოხერხდება ორ ქვეყანას შორის ურთიერთობების გრძელვადიანი და ყოვლისმომცველი მოწესრიგება. პანკისის შემთხვევაში, საერთაშორისო თანამეგობრობისა და აშშ მონაწილეობამ შეაკავა რუსეთი უკიდურესად აგრესიული სამხედრო ავანტურისაგან პანკისში. თუმცა ამავე დროს, რუსეთმა განავრცო აფხაზეთისა და სამხრეთო ოსეთის მოსახლეობისათვის მოქალაქეობის მინიჭება, 2001 წლის ზამთარში კი აღადგინა სარკინიგზო კავშირი აფხაზეთთან, რითაც ახალი და რთული პრობლემები შეუქმნა საქართველოს ხელისუფლებას, რომელთა გადაწყვეტაც მხოლოდ რუსეთთან თანამშრომლობით შეიძლება.

2003 წლის ნოემბერში შევარდნაძის ხელისუფლება მხოლოდ გაყალბებული არჩევნების გამო არ დამხობილა. ოპოზიციამ უპასუხა საზოგადოებრივ მოთხოვნას ენახა უფრო ძლიერი და საკუთარ თავში დარწმუნებული საქართველო. მეტიც, „ეროვნული პროექტის" ერთგული ქართველები თვლიდნენ რომ უსისხლო, პრო–დემოკრატიული „ვარდების რევოლუცია" პოლიტიკური კრიზისის ევროპულად, ცივილიზებული გზით გადაჭრის მაგალითი იყო.[75] მოსკოვი

[75] ეს შესაძლოა სადაო განცხადებაა, მაგრამ სავსებით გასაგებია თბილისში 1991 წლის ზამთარში მომხდარი სისხლიანი აჯანყების ფონზე.

თითქოს დაეთანხმა აზრს რომ უფრო ძლიერი საქართველო მათსავე ინტერესებში შედიოდა. ბევრის აზრით საგარეო მინისტრ იგორ ივანოვის როლი, რომელმაც ხელი შეუწყო შევარდნაძის გადადგომას, სწორედ ამას მიანიშნებდა.[76]

მიხეილ სააკაშვილმა 2004 წლის იანვარში უდიდესი უპირატესობით გაიმარჯვა საპრეზიდენტო არჩევნებში და დაუყოვნებლივ გამოთქვა რუსეთთან ურთიერთობის გალღობის სურვილი. თავის საინაუგურაციო სიტყვაში სააკაშვილმა განაცხადა, რომ ის „მეგობრობის ხელს უწვდის რუსეთს" და რომ მისი პოლიტიკა „არც პრო–რუსულია და არც პრო–ამერიკული, არამედ პრო–ქართულია." პრეზიდენტმა სააკაშვილმა, ამავე დროს, ხაზი გაუსვა რომ მისი მთავრობა მტკიცედ მოითხოვს ორი რუსული სამხედრო ბაზის დახურვას ბათუმსა და ახალქალაქში. ამასთან მან მიანიშნა, რომ მზადაა ბაზების საკითხი ცალკე განიხილოს და არა ყველა სხვა წინააღმდეგობრივ პრობლემასთან კავშირში. „ჩვენ ვაღიარებთ რუსეთის ინტერესებს ამ რეგიონში," განაცხადა პრეზიდენტმა სააკაშვილმა „მაგრამ ამ ინტერესების განხორციელება ბაზებზე უკეთესი მეთოდებით შეიძლება."[77] პრეზიდენტმა აგრეთვე აღნიშნა რომ კარი ღიაა რუსული ინვესტიციებისავის ენერგეტიკის სექტორსა და საპორტო ინფრასტრუქტურაში, და ანტი–ტერორისტული ცენტრის გახსნა შესთავაზა რუსეთს ბაზების ნაცვლად.

პირველ ეტაპზე რუსეთმა საქართველოს ხელისუფლების მიმართ მოლოდინის პოლიტიკა აირჩია. მოსკოვი სკეპტიკურადაა განწყობილი სააკაშვილის მიმართ და არ სწამს, რომ ახალგაზრდა პრეზიდენტს შეუძლია საქართველოს პრობლემების გადაწყვეტა და მმართველობის გაჯანსაღება. შევარდნაძის ადმინისტრაცია სუსტი და არასაიმედი პარტნიორი იყო, რომელსაც თავისივე სისუსტე აშინებდა. როცა პრეზიდენტი სააკაშვილი აჭარის მმართველს, ასლან აბაშიძეს დაუპირისპირდა 2004 წლის აპრილში, რუსეთმა თავდაპირველად (თუმცა საკმაოდ უგულოდ) მხარი დაუჭირა აბაშიძეს. თუმცა, როგორც კი სააკაშვილის გამარჯვება გარდაუვალი გახდა, რუსეთმა გენშტაბის

[76] თუმცა, ივანოვი უარყოფს, რომ მან იცოდა შევარდნაძის სურვილზე გადამდგარიყო.
[77] მიხეილ სააკაშვილის საინაუგურაციო სიტყვა, 2004 წლის 25 იანვარი.

მაღალი რანგის გენერალი გაგზავნა ბათუმში, რათა იქ დისლოცირებული, აბაშიძისადმი სიმპათიით განწყობილი რუსი სამხედროები კონფლიქტში არ ჩარეულიყვნენ. ბოლოს, ისევ იგორ ივანოვი დაეხმარა აბაშიძეს მოსკოვში გაქცევაში, მას შემდეგ რაც აჭარის ლიდერმა სააკაშვილისაგან უსაფრთხოების გარანტიები მიიღო. ამ ეპიზოდიდან ცხადია, რომ როდესაც საქართველომ ინიციატივა გამოიჩინა, რუსეთმა მას წინააღმდეგობა არ გაუწია. აქედან შეიძლება დავასკვნათ, რომ თუკი საქართველო შეინარჩუნებს რეფორმების ტემპს და მის მთავრობას კვლავაც ექნება სახალხო მხარდაჭერა, რუსეთი უფრო გამოზომილად მოექცევა საქართველოს.

ორ ქვეყანას შორის უნდობლობის გადასალახად უფრო მეტია საჭირო – რუსეთმა პოლიტიკა ძირეულად უნდა შეცვალოს, საქართველომ კი საკუთარი ძალების რწმენა გაიმყაროს. ანალიტიკოსები ვერ თანხმდებიან სურს და შეუძლია თუ არა პრეზიდენტ პუტინს საქართველოსადმი პოლიტიკის ერთპიროვნულად შეცვლა. 2003 წლის დეკემბრის საპარლამენტო არჩევნებში პუტინის მომხრეებმა ქვედა პალატაზე, დუმაზე, სრული კონტროლი მოიპოვეს, რითაც თითქოს ხელი გაუხსნეს პუტინს საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. მაგრამ ნაციონალისტურად განწყობილი პოლიტიკოსები – ვლადიმერ ჟირინოვსკის ლიბერალ–დემოკრატები, კომუნისტები, პარტია „როდინა" – კვლვაც ისტერიულ ტონს აძლევენ რუსეთის პოლიტიკას და რეალურად განსაზღვრავენ საზოგადოებრივ აზრს რუსეთში. ასე, რომ პუტინის მხრიდან პოლიტიკის ცვლილება შესაძლოა არც ისე ადვილი ამოცანა იყოს, რადგან ამით პოლიტიკური სპექტრისა და საზოგადოების დიდი ნაწილი გაირიყება.[78]

მიმომხილველების აზრი განსხვავებულია პუტინის ადმინისტრაციის პოლიტიკაზე საქართველოს ახალი ხელისუფლების მიმარ. არიელ კოენი, ეყრდნობა რა მაღალი რანგის ამერიკელ დიპლომატს მოსკოვში, ამბობს რომ „იმპერიული ნოსტალგიის მარაგი" რუსეთში „უფრო ძალისმიერ მიდგომას" გამოიწვევს" შუა აზიისა და კავკასიის

[78] *Ariel Cohen.* U.S. Officials Warily Monitor Russian Policy Debate on Caucasus. – *Eurasia Insight*, January 9, 2004, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav010904b_pr.shtml.

მიმართ.[79] კარნეგის მოსკოვის ცენტრის მკვლევარი ალექსეი მალაშენკო თვლის, რომ კრემლის „პოზიციის ორი მესამედი თანამშრომლობის სურვილზეა დამყარებული" ხოლო „ერთი მესამედი...იმპერიულ დამოკიდებულებას ეყრდნობა."[80] საგარეო და თავდაცვის პოლიტიკის საბჭოს ხელმძღვანელი სერგეი კარაგანოვი ამტკიცებს, რომ „რუსეთმა საქართველოს ფუნთუშა უნდა შესთავაზოს. თუკი საჭირო გახდება, მათრახისაკენ მიბრუნება ძნელი არაა."[81] საკითხავი ისაა შეუძლია თუ არა რუსეთს იმ „ფუნთუშის" მოძიება, რომელსაც საქართველო ითხოვს – კერძოდ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა.

წარსული ლიდერების გამოცდილება კარნახობს რუს პოლიტიკოსებს, რომ მათრახი ფუნთუშას სჯობია. თანამშრომლობაზე დამყარებული საგარეო ურთიერთობების კულტურის შესწავლას დრო სჭირდება. ამასთან, უფრო პრაგმატულ ქართულ–რუსულ თანამშრომლობას მნიშვნელოვანი და რთულად გადასაჭრელი პრობლემები უშლის ხელს – უპირველეს ყოვლისა რუსი მშვიდობისმყოფელების საქმიანობა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში და რუსული ბაზების გაყვანა საქართველოდან.

პანკისის, შევარდნაძისა და აბაშიძის განდევნის გამოცდილებამ ასწავლა საქართველოს ახალ ხელისუფლებას, რომ რუსეთს თავისივე მუქარის შესასრულებლად ხშირად რეალური რესურსები არ ყოფნის. ამ გაკვეთილს შეიძლება შეცდმოები მოჰყვეს, რაც ნათლად გამოჩნდა 2004 წლის სექტემბერში, როდესაც სააკაშვილის ადმინისტრაცია შეეცადა ერთი ხელის დარტყმით გადაეჭრა სამხრეთ ოსეთის პრობლემა სეპარატისტულ მთავრობაზე ჰუმანიტარული, პოლიტიკური და სამხედრო ზეწოლის მეშვეობით. შედეგად, რუსეთიდან სამხრეთ ოსეთისაკენ მოხალისეებისა და სამხედრო დახმარების ნაკადი წამოვიდა, რასაც შეიარაღებული შეტკებები და მსხვერპლი მოჰყვა. საქართველოს ხელისუფლებამ უკან დაიხია და თავიდან

[79] *Cohen.* U.S. Officials Warily Monitor Russian Policy Debate on Caucasus.

[80] *Igor Torbakov.* Russian Policy Makers Struggle to Respond to Political Changes in Georgia. – *Eurasia Insight,* January 8, 2004, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav010804_pr.shtml.

[81] *Torbakov.* Russian Policy Makers Struggle to Respond to Political Changes in Georgia.

აირიდა სრულმასშტაბიანი კონფლიქტი, გადაერთო რა პოლიტიკური გამოსავლის ძიებაზე.

შევარდნაძისაგან განსხვავებით, პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს პირველი სვლა თვითონ გააკეთოს და შემდგომი არჩევანი რუსეთს მიანდოს. პუტინის ადმინისტრაციის მხარდაჭერა თვით რუსეთში შემცირდა. დასავლეთიც სკეპტიკურად უყურებს იუკოსის რენაციონალიზაციას და ავტორიტარიზმისაკენ გადადგმულ ნაბიჯებს. სააკაშვილი იმედოვნებს, რომ პუტინი შეცდომებს დაუშვებს და ზედმეტად აგრესულ უპასუხებს საქართველოს. თუკი მისი ადმინისტრაცია დასავლური ღირებულებებისა და პოლიტიკური სტილის მიმდევრად დარჩება, ოფიციალური თბილისი თვლის რომ შეუძლია დასავლური მხარდაჭერის გაძლიერება ბაზების, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში.

რუსეთის შეიარაღებული ძალები საქართველოში

საქართველოს ახალი ხელისუფლება ცდილობს გამოძებნოს ისეთი საკითხები, რომლებზეც შესაძლებელია რუსეთთან პრაგმატული მოლაპარაკება. ის ასევე ცდილობს გაარკვიოს, რომელ მოლაპარაკებებზე წამოვა რუსეთი ნებაყოფლობით და რა მიმართულებით იქნება აუცილებელი საერთაშორისო პოლიტიკური ზეწოლა. ამგვარი ახალი მიდგომა ყველაზე უფრო ნათლად გამოჩნდა რუსეთის სამხედრო ბაზებზე მოლაპარაკებებში.

რუსი სამხედროები საქართველოში ორი ძირითადი ფორმით არიან განლაგებული: სამხედრო ბაზები, რომლებიც საბჭოთა კავშირის დროიდან შემორჩა და სამშვიდობო ძალები, რომლებიც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების დასრულების შემდეგ განლაგდა დაპირისპირებული მხარეების დასაშორიშორებლად. საქართველო დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის ბაზების გაყვანას მისი ტერიტორიიდან, ხოლო სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით მისი პოზიცია ბევრად უფრო არათანმიმდევრული იყო.

თავდაპირველად, როდესაც სააკაშვილი ხელისუფლებაში მოვიდა, იგი შეეცადა გაენელებინა ბაზების საკითხის სიმძაფრე. მისი

განცხადებით, ბაზებს პრაქტიკულზე უფრო სიმბოლური დატვირთვა გაჩნდათ. თუმცაღა, 2004 წლის ბოლოსა და 2005 წლის განმავლობაში ბაზების საკითხმა საქართველო–რუსეთის ურთიერთობებში კვლავ პირველ პლანზე გადმოიწია იმის ნიშნად, რომ თბილისის პირველი მცდელობები ნებაყოფლობით თანამშრომლობაზე დაეყოლიებინა რუსეთი უშედეგოდ დასრულდა.

საქართველოს ტერიტორიიდან რუსეთის სამხედრო ბაზების გაყვანამ განსაკუთრებული მნიშვნელობა ეუთოს 1999 წლის სტამბოლის სამიტის შემდეგ შეიძინა. ამ შეხვედრაზე ელცინის მთავრობა დათანხმდა ორი – ვაზიანისა და გუდაუთის – ბაზის გაყვანას 2001 წლის ივლისამდე და აიღო ვალდებულება ეწარმოებინა მოლაპარაკებები დანარჩენი ორი ბაზის – ბათუმსა და ახალქალაქში – გაყვანის შესახებ. ვაზიანის ბაზა, თბილისის მახლობლად, 2001 წლის 1 ივლისისათვის დაიხურა. 2001 წლის 9 ნოემბერს რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გუდაუთის ბაზის დახურვის შესახებ განაცხადა. გუდაუთის ბაზა, რომელიც აფხაზეთშია განლაგებული, სხვადასხვა წყაროს მიერ იხსენიებოდა აფხაზეთისა და რუსეთის ძალების საქართველოს წინააღმდეგ სამოქმედო ძირითად ცენტრად 1992–94 წლების კონფლიქტის განმავლობაში. ბაზის დახურვაზე დასაკვირვებლად არ დაუშვეს საერთაშორისო ექსპერტები და, ქართული მხარის მტკიცებით, ბაზის 1100–მდე მოსამსახურიდან 2001 წელს ის მხოლოდ 300–მდე სამხედრომ დატოვა.[82] ხოლო დანარჩენები, ისევე როგორც ბაზის ფიზიკური ინფრასტრუქტურა, იქ განლაგებული რუსი სამშვიდობოების განკარგულებაში გადავიდა.[83] ანუ, ბაზას უბრალოდ სახელი გადაერქვა. 2002 წლის ივნისში ეუთოს სამხედრო ექსპერტები დაუშვეს გუდაუთის ბაზაზე და მათ დაადასტურეს რუსეთის შეიარაღებისა და პერსონალის გასვლა.[84] თუმცა საქართველო ბაზის მუდმივ საერთაშორისო კონტროლს მოითხოვს.

---

[82] *საქართველოს საგარეო სამინისტროს განცხადება, 2001 წლის 21 ნოემბერი,* http://www.bits.de/NRANEU/docs/ GeorgiaMFA211101.htm.

[83] Russian–Georgian Contradictions Worsen. – *Russian Military Analysis*, issue 68 (June 2001), http://www.wps.ru/en/products/pp/military/2001/06/15.html.

[84] *Liz Fuller.* OSCE Says Russian Withdrawal from Georgian Base Complete. – *RFE/RL News Digest*, June 17, 2002, http://www.eurasianet.org/resource/georgia/hypermail/200206/0036.shtml.

2004 წლის იანვრისათვის ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების გაყვანაზე მიმდინარე მოლაპარაკებებმა წინ ვერ წაიწია, შეხვედრების რვა რაუნდის მიუხედავად. რუსეთი გაყვანისათვის 11 წელსა და, საგარეო მინისტრ თედო ჯაფარიძის თქმით, 500 მილიონ დოლარს მოითხოვდა.[85] ბაზები ოფიციალური თბილისის შეშფოთებას არა მხოლო სიმბოლური, არამედ სავსებით პრაქტიკული მიზეზებითაც იწვევდა. სიმბოლურად, ბაზები საბჭოთა სივრცეში საქართველოს ყოფნაზე მიუთითებდა, პრაქტიკულად კი ისინი ორ პოტენციულად მტკივნეულ გეოგრაფიულ რეგიონში – აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკასა და სომხური მოსახლეობის კომპაქტური დასახლების რაიონშია განლაგებული. ახალქალაქის ბაზაზე ადგილობრივი მოსახლეობის დიდი ნაწილია დასაქმებული და ისინი ეწინააღმდეგებიან ბაზის გაყვანას არა მხოლოდ სამუშაოს დაკარგვის შიშით, არამედ მეზობელი თურქეთისადმი სომეხი მოსახლეობის ტრადიციული უნდობლობის გამო. ქართველებისა და საქართველოს ხელისუფლებისაგან განსხვავებით, ახალქალაქის მოსახლეობა შიშით უყურებს თურქეთისა და თუნდაც ნატოს გავლენის გაძლიერებას რეგიონში. ბათუმში განლაგებული ბაზა კი ადგილობრივ ლიდერს ასლან აბაშიძეს ავტორიტარული რეჟიმის განმტკიცებაში დაეხმარა.

საქართველოს ახალი ლიდერები, მათი წინამორბედების მსგავსად, თვლიდნენ, რომ სანამ რუსეთი ინარჩუნებს ბაზებს, მას ხელთ უპყრია პოტენციურად რთულ რეგიონებში არეულობის ხელშეწყობის შესაძლებლობა. 2004 წლის იანვარში ჟურნალ „ტაიმისათვის" მიცემულ ინტერვიუში პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა რომ ბაზები „იმპერიული ამბიციის განმტკიცებას უფრო ემსახურება ვიდრე რუსეთის უსაფრთხოებას. მან ასევე თქვა, რომ „რუსეთს აინტერესებს სამხრეთი საზღვრის დაცვა, მათ შორის ტერორისტებისაგან. აქ ჩვენი ინტერესები ერთმანეთს ემთხვევა."[86] რუსეთის ინტერესების საპასუხოდ, საქართველოს საგარეო მინისტრმა სალომე ზურაბი-

[85] *Giorgi Sepashvili*. U.S. Backs Georgia in Hard Talks Concerning Russian Military Bases. – *Civil Georgia*, January 15, 2004, http://www.civil.ge/eng/print.php?id=6023. Джапаридзе заявил об этом в январе 2004 года.

[86] *Paul Quinn-Judge*. 10 Questions for Mikheil Saakashvili. – *Time*, January 19, 2004, p. 19.

შვილმა მოსკოვს ერთობლივი ანტი–ტერორისტული ცენტრის შექმნა შესთავაზა ბაზების გაყვანის სანაცვლოდ.[87]

ბაზებზე მოლაპარაკება 2004 წლის ივნისში განახლდა, მაგრამ მნიშვნელოვანი ცვლილებები არ მომხდაა. რუსეთის სახედრო უწყება ადასტურებდა, რომ პრინციპში ბაზების გაყვანა გადაწყვეტილი იყო, მაგრამ ხაზს უსვამდა, რომ ჯერ აუცილებელია ბაზების პერსონალისა და ტექნიკის მისაღებად რუსეთის ტერიტორიაზე ინფრასტრუქტურის მომზადება. თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა განაცხადა, რომ ის „არ აპირებს სამხედროებისა და ტექნიკის ველზე დაყრას," როგორც ეს აღმოსავლეთ გერმანიიდან გამოყვანილ ჯარებს მოუვიდა.[88] რუსი ანალიტიკოსის პაველ ფელგენგაუერის აზრით ეს პოზიციას უსაფუძვლო იყო, რადგან ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების მოსამსახურეთა უდიდესი ნაწილი საქართველოს მცხოვრები იყო, ასე რომ მათი გაყვანა მხოლოდ ოფიცერთა რამოდენიმე ოჯახისა და ტექნიკის გატანას უტოლდება, რისი გაკეთებაც რამოდენიმე თვეშია შესაძლებელი.[89]

თბილისში თვლიდნენ, რომ რუსეთი ბაზების საკითხს პოსტ–საბჭოთა სივრცეზე თავისი სამართლებრივი გავლენის გასაძლიერებლად იყენებდა. რუსეთი შესაძლოა არ აპირებს საბჭოთა კავშირის აღორძინებას, მაგრამ მას სურს საკუთარი ეკონომიკური და პოლიტიკური ინტერსებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნა. ამ თამაშში, პუტინი მზადაა გვერდი აუაროს ელცინის დროს აღებული ვალდებულებების ნაწილს.[90] ეუთოს 2003 წლის დეკემბრის სამიტზე, მაასტრიხტში, რუსეთმა განაცხადა რომ მას არ აუღია საქართველოსა და მოლდოვიდან ჯარების გაყვანის იურიდიული ვალდებულობა. აშშ–სა და ევროპის ზეწოლის საპასუხოდ, რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ განაცხადა, რომ 1999 წლის დოკუმენტი ამბობს, რომ რუსეთი მხოლოდ „აპირებს" გაიყვანოს ბაზები თუკი შესრულდება დაუკონკრეტებელი „აუცილებელი პირობები." ეუთოს პორტოს

[87] Russia, Georgia Discussed Joint Anti-Terrorism Center. – *Civil Georgia*, June 24, 2004, http://www.civil.ge/eng/article.php?id=7195.
[88] *Sepashvili*. U.S. Backs Georgia in Hard Talks Concerning Russian Military Bases.
[89] *Pavel Felgenhauer.* Motives in Georgia are Base. – *The Moscow Times*, January 13, 2004.
[90] *Trenin*. Identity and Integration: Russia and the West in the 21st Century, p. 17

შეხვედრაზე, 2002 წლის ბოლოს, აშშ ცდილობდა რუსეთის დახმარება მიეღო ერაყის საკითხში და ამიტომაც წინააღმდეგობა არ გაუწია ამგვარ ინტერპრეტაციას, როდესაც ის პირველად გაისმა. ევროკავშირი არ იყო დაინტერესებული საკითხით და არც მას დაუკავებია აქტიური პოზიცია რუსეთის მიმართ.[91] ნატოს 2004 წლის ივნისის სამიტის წინ, რუსეთის დუმამ (პარლამენტის ქვედა პალატამ) მოახდინა ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულების რატიფიკაცია, ხოლო საგარეო მინისტრმა სერგეი ივანოვმა კიდევ ერთხელ განაცხადა, რომ ამ ხელშეკრულებასა და საქართველოსა და მოლდოვიდან ჯარების გაყვანას შორის კავშირი არ არსებობს.[92] თავის მხივ, ნატოს გენერალურმა მდივანმა იაპ დე ჰუუპ სხეფერმა აღნიშნა, რომ ეს ორი საკითხი ერთმანეთს უკავშირდება. ნატოს ახალი წევრები, მათ შორის ბალტიის ქვეყნები, მხოლოდ მას შემდეგ აპირებენ ჩვეულებრივი შეიარაღების ხელშეკრულებასთან შეერთებას, თუ რუსეთი 1999 წლის ვალდებულებებს შეასრულებს.[93] ამ ქვეყნების ხელშეკრულების გარეთ დარჩენა ნიშნავს, რომ მათ თავისუფლად შეუძლიათ თავის ტერიტორიაზე ნატოს ძალების შეუზღუდავი რაოდენობის განლაგება.

2005 წლისათვის, საქართველოს თითქმის გადაეწურა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზების იმედი. რუსეთმა არ შეამცირა სეპარატისტული პროვინციების მხარდაჭერა, მეტიც, მან ხელი არ შეუშალა მოხალისეებისა და იარაღის რუსეთის ტერიტორიიდან სამხრეთ ოსეთში გადადინებას 2004 წლის ზაფხულში კონფლიქტის ესკალაციისას. მოსკოვი უხეშად ჩაერია აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში და შეეცადა თავისი პროტეჟე გაეყვანა პრეზიდენტის პოსტზე. 2004 წლის დეკემბერში, რუსეთის ვეტოს გამო შეწყდა საქართველო–რუსეთის საზღვრის ჩეჩნეთის მონაკვეთის მონიტორინგი ეუთოს დამკვირვებლების მიერ. რუსეთი კვლავაც განაგრძობდა მტკიცებას, რომ ჩეჩენი მებრძოლები თავს პანკისს

[91] *Vladimir Socor.* OSCE, R.I.P. – *IASPS Policy Briefings: Geostrategic Perspectives on Eurasia* no. 47 (Washington, DC: Institute for Advanced Strategic and Political Studies, January 1, 2004), p. 5.

[92] *Геннадий Сысоев.* Министр отработал на высшем уровне. – *Коммерсантъ*, 30 июня 2004 года.

[93] Press Conference by NATO Secretary-General after the NATO-Russia Council. – *NATO News Release*, June 28, 2004, http://www.nato.int/docu/speech/2004/s040628i.htm.

აფარებენ. რუსულმა კომპანიებმა საქართველოში მიმდინარე პრივატიზაციის პროცესში რამოდენიმე მსხვილი კონტრაქტი გააფორმეს, მაგრამ ეკონომიკური ურთიერთობების გაუმჯობესებას პოლიტიკური დათბობა არ მოუტანია.

შედეგად, 2005 წლის იანვარში ჩაიშალა ბაზებზე მოლაპარაკებების ერთ–ერთი დაგეგმილი რაუნდი.[94] მას შემდეგ, რაც თებერვალში რუსეთის საგარეო მინისტრ სერგეი ლავროვის ვიზიტმაც ვერ მოიტანა შედეგი, საქართველო ვითარების გამწვავებაზე წავიდა. საქართველოს პარლამენტმა – საგარეო სამინისტროს მხარდაჭერით – მიიღო დადგენილება, რომლის ძალითაც მთავრობას დაევალა რუსული ბაზები კანონგარეშედ გამოეცხადებინა და მიეღო ზომები მათი იძულების წესით გასაყვანად 2006 წლის იანვრამდე, თუკი ვერ მოხერხდებოდა მოლაპარაკებებში პროგრესის მიღწევა 2005 წლის მაისის შუა რიცხვებამდე.

საქართველოს საგარეო მინისტრმა სალომე ზურაბიშვილმა რუსულ სააგენტოებთან საუბარში საქართველოს ახალი, უფრო მტკიცე პოლიტიკა ჩამოაყალიბა.[95] ზურაბიშვილი ამტკიცებს, რომ საქართველო მტკიცედ მიჰყვება ადამიანის უფლებებისა და სახელმწიფოს მოქმედების ევროპულ სტანდარტებს და რუსეთი-საგანაც იგივეს მოელის.

ოფიციალური თბილისის პოზიცია ნათლად გამოჩნდა – თუკი რუსეთი დათანხმდება თამაშის საერთაშორისო წესებს და უარს იტყვის საქართველოზე განსაკუთრებული გავლენის შენარჩუნებაზე, საქართველო მზადაა გაითვალისწინოს რუსეთის რეალური ინტერესები. განსხვავებით შევარდნაძის ადმინისტრაციისაგან, საქართველო არ აპირებს კულისებს მიღმა გარიგებას. თუკი რუსეთის მხრიდან ზეწოლა გაგრძელდება, საქართველო საერთაშორისო სამართლის ყველა შესაძლებლობას გამოიყენებს და ყველა საერთაშორისო ფორუმზე მოითხოვს რუსეთის აგრესიულ სახელმწიფოდ წარმოჩინებას.

---

[94] Russian Foreign Minister Visits Georgia. – *Civil Georgia*, February 17, 2005, http://www.civil.ge/eng/article.php?id=9106.

[95] Россия перед выбором. – *Агентство новостей "Регнум"*, 25 декабря 2004 года, http://www.regnum.ru/news/382323.html.

სწორედ ამ პოლიტიკის გამოძახილი იყო საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 10 მარტის დადგენილება, რომელმაც საქართველოს მთავრობას დაავალა განეხორციელებინა რუსეთის ბაზების ბლოკადა და შეეწყვიტა მათი კომუნალური მომსახურება, თუკი რუსეთი ბაზების გაყვანის „რეალისტურ" გეგმას არ დაეთანხმებოდა.[96] ამ გადაწყვეტილებით, საქართველო შეეცადა აგრეთვე გვერდი აეარა რუსეთის მცდელობისათვის ეჭვის ქვეშ დაეყენებინა 1999 წელს აღებული ვალდებულებები. თუკი პარლამენტის გადაწყვეტილება განხორციელდებოდა, ეს მოხდებოდა არა სტამბოლის შეთანხმების შეუსრულებლობის საბაბით, არამედ დაეყრდნობოდა საქართველოს სუვერენულ უფლებას უარი განაცხადოს უცხო ქვეყნის სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მის მიწაზე განთავსებაზე. ნათელია, რომ ბაზების საკითხი რუსეთთან უმაღლეს დონეზე დააყენეს აშშ და ევროპელმა ლიდერებმაც.

საქართველოს გამკაცრებულმა პოზიციამ რეალური შედეგები მოიტანა. პარლამენტის დადგენილება ჯერ კიდევ განიხილებოდა, როდესაც რუსეთის გენშტაბის უფროსმა თითქმის ორგზის შეამცირა ბაზების გაყვანისათვის რუსეთის აზრით აუცილებელი დროის ინტერვალი – მხოლოდ ერთი თვის წინ რუსეთის დელეგაციის მიერ მოთხოვნილი თერთმეტიდან სამ-ოთხ წლამდე. ამ განცხადებამ ვერ შეაჩერა პარლამენტის გადაწყვეტილების მიღება. საპარლამენტო რეზოლუციის შემდეგ, მოლაპარაკებების ორი რაუნდი შედგა 2005 წლის მარტსა და აპრილში, რომელთა განმავლობაშიც რუსეთმა ოფიციალურად დაადასტურა ბაზების სამ-ოთხწლიან ვადაში გაყვანის შესაძლებლობა. ამ რაუნდებმა მაინც ვერ მოიტანა საბოლოო შეთანხმება, რადგან საქართველო მოითხოვდა, რომ არ მომხდარიყო ბაზების ახალი ძალებით შევსება გაყვანის პერიოდში.[97] პესიმისტური პროგნოზებისდა მიუხედავად, უკანასკნელ წამს, 30 მაისს საქართველოსა და რუსეთის საგარეო მინისტრებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რითაც რუსეთმა დარჩენილი ბაზების გაყვანის ვალდებულება აიღო 2008 წლის ბოლომდე, ანუ ძირითადად დაეთანხ-

[96] Parliament Sets a Deadline for Withdrawal of the Russian Military Bases. – *Civil Georgia*, March 10, 2005, http://www.civil.ge/eng/article.php?id=9310.
[97] *Civil Georgia*, April 18, 2005, http://www.civil.ge.

მა საქართველოს მოთხოვნებს.[98] თავის მხრივ, რუსეთმა საქართველოს მოსთხოვა არ განეთავსებინა ნატოს ჯარები.

ბაზების საკითხის წინ წამოწევა ნათლად მიუთითებს, რომ სააკაშვილის ადმინისტრაცია იმედგაცრუებულია რუსეთის პოზიციით. თბილისი კარგავს მოთმინებას, რადგან ნებაყოფლობითი თანამშრომლობის გზების ძიება გადაულახავ ბიუროკრატიულ და იდეოლოგიურ ბარიერებს ეჩეხება. შესაბამისად, ზეწოლის გზა რუსეთთან ურთიერთქმედების ერთადერთ შესაძლებლობად მოჩანს. პუტინის ადმინისტრაცია, თავის მხრივ, გაღიზიანებულია ამგვარი ზეწოლით და გააჩნია კონტრშეტევის წამოწყების ცდუნება. ერთადერთი რაც რუსეთს აკავებს, საერთაშორისო კონტექსტში ღიად აგრესიული მოქმედებების გამართლების სირთულეა.

დაახლოების შესაძლებლობა: ეკონომიკური თანამშრომლობა

90–იან წლებში რუსეთის ეკონომიკური პროექტები საქართველოში პოლიტიკოსების შეშფოთებას ორი მიზეზის გამო იწვევდა. ერთის მხრივ, თბილისში შიშობდნენ რომ რუსეთი ეკონომიკურ გავლენას პოლიტიკური ზეწოლისათვის გამოიყენებდა. მეორეს მხრივ, ოპოზიციური პოლიტიკური ძალები თვლიდნენ, რომ დასუსტებული შევარდნაძე თავისი ხელისუფლების გადასარჩენად რუსეთთან ფარულ და როგორც ეკონომიკურად, ისე პოლიტიკურად წამგებიან გარიგებებზე წავიდოდა. რუსეთსა და დასავლეთს შორის დაბალანსების პოლიტიკა დამოკიდებული იყო აშშ–ს მიერ მხარდაჭერილ ენერგეტიკულ პროექტზე – ბაქო–თბილისი–ჯეიჰანის ნავთობსადენს საქართველოს ენერგეტიკული უსაფრთხოება უნდა განემტკიცებინა, რუსეთის ენერგომატარებლებზე დამოკდებულების შემცირების გზით. 1992 წლიდან მოყოლებული საქართველოს მთავრობა ვერ ახერხებდა მოსახლეობის გზითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფას. შუქის ხშირი გათიშვები მოსახლეობას მთავრობის წინააღმდეგ განაწყობდა, განსაკუთრებით მას

[98] Совместная декларация министров иностранных дел Российской Федерации и Грузии, 30 мая 2005 года, http://www.civil.ge/eng/detail.php?id=10009.

შემდეგ, რაც ცხადი გახდა რომ ენერგეტიკის გასაუჯობესებლად მიმართული მილიონობით დოლარის დასავლური დახმარება განიავდა ანდა კორუმპირებული ჩინოვნიკების ჯიბეში აღმოჩნა.

2003 წელს, შევარდნაძისათვის უმნიშვნელოვანესი საპარლამენტო არჩევნების წინ, ხელი ორ კონტრაქტს მოეწერა. 11 აგვისტოს საქართველოს მთავრობამ ოფიციალურად განახადა, რომ რუსეთის „გაერთიანებულმა ენერგოსისტემებმა" ამერიკული ეი–ი–ესისაგან გამოისყიდა თბილისის ენერგოგამანაწილებელი ქსელის 75%, 600 მეგავატის წარმადობის ორი ენერგობლოკი, თურქეთთან და სომხეთთან დამაკავშირებელი გადამცემი ხაზები და ორი ჰიდროელექტროსადგურის მართვის უფლება. ეს უდიდესი პოლიტიკური მნიშვნელობის გარიგებაც იყო, რადგან ეი–ი–ესი საქართველოში უდიდეს ამერიკულ ინვესტორს წარმოადგენდა, რომელმაც 240 მილიონ დოლარამდე ჩადო ენერგეტიკის რეაბილიტაციაში. ამ ხელმოწერამდე რაოდენიმე დღის წინ, შევარდნაძემ რუსულ „გაზპრომთან" ხელი „სტრატეგიული თანამშრომლობის" ხელშეკრულებას მოაწერა, რის ძალითაც რუსული კომპანია ვალდებულებას იღებდა მრავალმილიონიანი დაბანდება განეხორციელებინა სომხეთისა და თურქეთისაკენ მიმავალი გაზსადენების შეკეთებაში. ამ გაზსადენებით მთავრობა ვარაუდობდა ქართული ეკონომიკის გამოცოცხლებას და შედარებით იაფი რუსული გაზის მიწოდების გაზრდას უშუალოდ საპარლამენტო არჩევნების წინ.

პრეზიდენტ ბუშის ადმინისტრაცია ეჭვით მოეკიდა გაზპრომთან დადებულ ხელშეკრულებას. სტივენ მანი, ბუშის მრჩეველი კასპიის აუზის ენერგეტიკულ დიპლომატიაში, დაუყოვნებლივ ეწვია თბილისს და გააფრთხილა საქართველოს მთავრობა, რომ გაზპრომთან დადებულ შეთანხმებას შეეძლო „საქართველოს გავლენის მნიშვნელოვნად შემცირება აღმოსავლეთ–დასავლეთის ენერგეტიკულ გზატკეცილზე." ვაშინგტონი შიშობდა, რომ „გაზპრომის" პროექტი კონკურენციას გაუწევდა ანგლო–ამერიკული „ბრიტიშ პეტროლეუმისა" და ნორვეგიული „სტატოილის" მიერ მხარდაჭერილ გაზსადენს, რომელიც აზერბაიჯანის შაჰ–დენიზის საბადოს თურქეთთან დააკავშირებდა.[99]

[99] *Jaba Devdariani*. Potential Deal with Russian Gas Conglomerate Sparks Controversy in Georgia. – *Eurasia Insight*, June 6, 2003, http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav060603.shtml.

პრეზიდენტ შევარდნაძის თქმით, დადებული ხელშეკრულებები, განსაკუთრებით კონტრაქტი ეი–ი–ესსა და „გაერთიანებულ ენერგოსისტემებს" შორის სუფთა ეკონომიკური გათვლებით იყო ნაკარნახევი. იგი აცხადებდა, რომ თბილისის ენერგოგამანაწილებელი ქსელის გაყიდვა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც ამერიკულმა კომპანიამ განაახლა ქსელი და შექმნა [ეკონომიკური] შესაძლებლობა რუსული კომპანიის [საქართველოში] შემოსასვლელად." თუმცაღა, როგორც პოლიტიკური ოპოზიცია, ისე სტივენ მანი ამტკიცებნენ, რომ კონტრაქტები „არასაკმარისად გამჭვირვალე" იყო.[100] ამდენად, აშშ ეწინააღმდეგებოდა არა საქართველოს მიერ რუსული გაზისა და ელექტროენერგიის შესყიდვას, არამედ სტრატეგიული გაზსადენებისა და ელექტროქსელების რუსული კონტროლის ქვეშ აღმოჩენას, რაც შემდგომში ამერიკულ პროექტებს შეუშლიდა ხელს.[101] ქართული ოპოზიციაც და ბუშის ადმინისტრაციაც დარწუნდნენ, რომ შევარდნაძის სუსტი და კორუმპირებული მთავრობა კულისებს მიღმა გარიგებებზე მიდიოდა რუსეთთან არჩევნებზე გავლენის მოსახდენად.

საქართველოში რუსული ენერგოკომპანიების მიმართ უნდობლობა ემყარებოდა რწმენას, რომ „გაზპრომის" შვილობილი „იტერა" წარსულში პოლიტიკური გავლენის მოსახდენად უთიშავდა გაზს საქართველოს. კრემლის მზარდი გავლენა ენერგეტიკულ კომპანიებზე მხოლოდ ამძაფრებდა თბილისის შიშებს. „გაზპრომი" კრემლის გავლენის ქვეშ მყარად იმყოფებოდა და ხშირად მისი გავლენის იარაღს წარმოადგენდა თვით რუსეთის შიგნითაც. გაერთიანებული ენერგოსისტემების ხელმძღვანელი, ანატოლი ჩუბაისი „ლიბერალური იმპერიის" კონცეფციის მიმდევარია, რომლის თანახმადაც რუსეთი დსთს „ბუნებრივი და ერთადერთი ლიდერია" და მან უნდა „განამტ-

[100] *Zeyno Baran.* Deals Give Russian Companies Influence over Georgia's Energy Infrastructure. – *Eurasia Insight*, August 18, 2003, http://www.eurasianet.org/departments/business/articles/eav081803.shtml.

[101] ერთადერთი დღეს არსებული ალტერნატიული გაზსადენი, რომელიც ირანიდან აზერბაიჯანის გავლით გადის, საბჭოთა დროიდან არ გამოიყენება და კაპიტალურ რემონტს საჭიროებს. ამასთან, ირანში მოპოვებული გაზის ფასი ბევრად აღემატება რუსული გაზის ფასს.

კიცოს, განავრცოს და გააძლიეროს გავლენა მსოფლიოს ამ ნაწილში."[102] რუსული იმპერიული გავლენის სხვა თეორეტიკოსებისაგან განსხვავებით, ჩუბაისის აზრით რუსეთი ევრაზიაში ლიბერალიზაციის მებაირახტრე უნდა გამხდარიყო. თუმცა თავად ის, რომ რუსეთის ბიზნესმენებიც კი იმპერიის, თუნდაც ლიბერალურის, ჩამოყალიბებაზე ფიქრობენ საქართველოში გაღიზიანებას იწვევს და ამ კომპანიებისადმი უნდობლობას კიდევ უფრო აძლიერებს.

საქართველოს ახალი მთავრობა აცნობიერებს ქვეყნის ბაზრის საერთაშორისო კომპანიებისათვის გახსნის აუცილებლობას. შავი ბაზრის უდიდესი წილის გათვალისწინებითაც კი, საქართველოს ეკონომიკური დაღმასვლის ტემპი უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში კატასტროფული იყო. მაღალი რისკების პირობებში რუსული კომპანიები ინვესტიციისა და მომსახურების თვალსაზრისით ალბათ უალტერნატივოა. მიუხედავად ამისა, რუსეთისათვის გაზის მიწოდების სფეროში მყარი მონოპოლიის მინიჭება კვლავაც სახიფათოა როგორ პოლიტიკური, ისე ეკონომიკური თვალსაზრისით, რადგან ამგვარი უპირატესობის შემთხვევაში, რუსეთს შეეძლება კონკურენტებისათვის ბაზრის ჩაკეტვა. მაშასადამე, საქართველოს მხრიდან ენერგომატარებლების წყაროების გამრავალფეროვნების სურვილი სავსებით ლოგიკურია.

ეკონომიკის მხივ, სააკაშვილის მთავრობამ განაცხადა რომ მას სურს გადასახადების შემცირება და კაპიტალდაბანდებებისათვის ხელშემწყობი სხვა ღონისძიებების განხორციელება. რუსული კომპანიები განსაკუთრებულად მოიწვიეს ახალ საინვესტიციო პროექტებში მონაწილეობის მისაღებად. მთავრობამ ასევე გამოთქვა სურვილი იმ ობიექტების პრივატიზება განეხორციელებინა, რომლებიც მანამდე „სტრატეგიულ ობიექტებად" ითვლებოდა და, შესაბამისად, გასაყიდად არ გამოჰქონდათ. მათ შორისაა ჰიდროელექტროსადგურები და ბათუმისა და ფოთის პორტების აქციები. თბილისმა საგანგებო კონფერენცია მოაწყო კრემლთან დაახლოებული რუსი ბიზნესმენებისათვის, რომელთა დელეგაციასაც რუსეთის ეკონომიკის მინისტრი, გერმან გრეფი

[102] *Igor Torbakov.* Russian Policymakers Air Notion of 'Liberal Empire' in Caucasus, Central Asia. – *Eurasia Insight*, October 27, 2003, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav102703.shtml.

ხელმძღვანელობდა. ამ მცდელობამ შედეგი მოიტანა: რუსეთის ევრაზ-ჰოლდინგმა მოიგო საპრივატიზიო გარიგება 2005 წლის იანვარში, რომლითაც ჭიათურის მარგანეცის ქარხანა შეიძინა 132 მილიონ დოლარად.[103] იანვარშივე, რუსეთის სახელმწიფო ვნეშტორგბანკმა გაერთიანებული ქართული ბანკის აქციების 51% შეიძინა, რითაც ქართულ ბაზარზე ყოფნით გრძელვადიანი დაინტერესება გამოხატა.[104]

მიმომხილველებმა პრეზიდენტ სააკაშვილის მიერ ეკონომიკის მინისტრად ქართული წარმოშობის ცნობილი რუსი ბიზნესმენის კახა ბენდუქიძის დანიშვნა ეკონომიკური გახსნილობის ამ ახალი პოლიტიკის გამოძახილად აღიქვეს. ბენდუქიძე ლიბერალური ეკონომიკური პოლიტიკის თანმიმდევრული დამცველია და სახელმწიფო კომპანიების სრული პრივატიზაციის მომხრედ გამოდის.[105] ზოგიერთმა დამკვირვებელმა ბენდუქიძის დანიშვნა მხოლოდ რუსეთის ბიზნესისადმი გახსნილობის ჟესტად აღიქვა, თუმცა სავარაუდოა, რომ რუსული ბიზნეს პრაქტიკის კარგად მცოდნე ბენდუქიძის ერთ-ერთი ფუნქცია საქართველოს ეკონომიკური ინტერესების დაცვაცაა რუსული გიგანტი კომპანიების წინაშე.

საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც დროებით ან მუდმივად მუშაობენ რუსეთში ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთობის კიდევ ერთი მხარეა. საქართველოს სტტისტიკური დეპარტამენტის 2002 წლის ოქტომბრის მონაცემებით რუსეთში საქართველოს 205 ათასი მოქალაქე მუშაობდა. არაოფიციალური მონაცემებით, მათი რიცხვი 500 ათასი მაინცაა და უმრავლესობა არალეგლურადაა დასაქმებული, შესაბამისად ყოველგვარი სოციალური დაცვის გარეშე და უმცირესი გასამრჯელოს საფასურად. მუშახელის სეზონური გადინება საქართველოდან უდიდესია რუსეთის მიმართულებით, თუმცა საქართველოს მოქალაქეები აგრეთვე მიემგზავრებიან აშშ–ში, საბერძნეთსა და გერმანიაში. ფულადი გზავნილები ქვეყნის გარეთ მომუშავეთაგან წელიწადში 480–დან 500 მილიონ დოლარამდეა შეფასებული, რაც

[103] *Civil Georgia*, January 19, 2005, http://www.civil.ge/eng/article.php?id=8833.
[104] *Civil Georgia*, January 18, 2005, http://www.civil.ge/eng/article.php?id=8830.
[105] 2004 წლის დეკემბერში ბენდუქიძე სტუქტურული რეფორმების საკითხში სახელმწიფო მინისტრი გახდა, თუმცა შეინარჩუნა გავლენა ეკონომიკურ პოლიტიკაზე.

საქართველოს ერთობლივი შიდა პროდუქტის 20%–ს შეადგენს და საქართველოში ოჯახების შემოსავლის დიდი ნაწილია.[106] შესაბამისად, რუსეთთან ეკონომიკური კავშირები ფრიად მნიშვნელოვანია საქართველოსათვის. ქართველი მუშახელის საქმიანობის ლეგალიზაცია რუსეთში დაეხმარებოდა საქართველოს მთავრობას უკეთ დაეცვა მათი ინტერესები რუსეთში და უკეთ გაეკონტროლებინა ფინანსური ნაკადები.

ამგვარად, ეკონომიკური სფერო ორი ქვეყნის თანამშრომლობის ყველაზე მომგებიანი დარგია, თუმცა ამისათვის აუცილებელია გადაილახოს ეჭვები, რომ რუსეთი ეკონომიკურ კავშირებს პოლიტიკური მიზნებისათვის გამოიყენებს. ეს კი ადვილი არ იქნება. საქართველოს ახალი ლიდერები ამტკიცებენ რომ მათ შეჯიბრის თანაბარი და გამჭვირვალე შესაძლებლობების შექმნა სურთ, მაშინ როცა რუსეთი განსაკუთრებულ უფლებებს ითხოვს. პუტინის ადმინისტრაცია უკანასკნელ ხანებში ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციის (ევრაზესი) განვითარებითაა დაკავებული და მის ფარგლებში თავისუფალი ვაჭრობის ზონის შექმნას აპირებს, რაც თავისი არსით, რუსეთის გავლენის ქვეშ მყოფი ეკონომიკური სივრცის ჩამოყალიბებას უტოლდება. საქართველო არ აპირებს ამ სივრცეში შესვლას და, რუსეთისაგან განსხვავებით, ის უკვე მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის წევრიცაა, რის ძალითაც მან მაქსიმალური ეკონომიკური ხელშეწყობის რეჟიმი უნდა გაავრცელოს ორგანიზაციის ყველა წევრზე. ეს საქართველოს ხელისუფლება მანევრის თავისუფლებას აძლევს რუსეთთან ურთიერთობაში საერთაშორისო სავაჭრო ნორმების შემოღების თვალსაზრისით. ამასვე ემსახურება ქართული კანონმდებლობის ევროკავშირის სტანდარტებთან მიახლოება. საბოლოო ჯამში, საქართველოს სწრაფვა, გააცხოველოს სავაჭრო ურთიერთობები რუსეთთან, მაგრამ თავიდან აიცილოს რუსული კომპანიების მონოპოლური გავლენა, დამოკიდებულია იმაზე თუ რამდენად აქტიური იქნებიან ინვესტორები სხვა ქვეყნებიდან. ეს კი საქართველოში კორუფციის აღმოფხვრას, ინფრასტრუქტურის განვითარებას და კანონმდებლობის გაუმჯობესებას მოითხოვს.

---

[106] *Labour Migration from Georgia* (Tbilisi: International Organization for Migration/ Association for Economic Education, 2003). ამ გამოკვლევაში 630 ოჯახი მონაწილეობდა, რომელთა ოჯახის წევრები რუსეთში მუშაობენ. კვლევა საქართველოს ოთხ რეგიონში განხორციელდა.

სამომავლო პერსპექტივები

რუსეთ–საქართველოს ურთიერთობებს უკვე დიდი ხანია უნდობლობა აფერხებს, რის გაღვივებაშიც ორივე მხარის წვლილია შეტანილი. შევარდნაძისდროინდელი საქართველოსათვის რუსეთთან ურთიერთობა ერთგვარ მოჯადოებულ წრეს წარმოადგენდა: აუცილებელი იყო ქვეყნის გაძლიერება რუსეთის ზეწოლასთან გასამკლავებლად და რუსეთთანავე უფრო საიმედო პარტნიორობის ჩამოსაყალიბებლად. ამავე დროს, საქართველოში ბევრი თვლიდა რომ ქვეყნის გაძლიერება შეუძლებელია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემების გადაჭრის გარეშე, რაშიც აუცილებელია რუსეთის მონაწილეობა.

ამგვარი ლოგიკა ერგვარად გაუკუღმართებულიც კია: მისი მიხედვით რუსეთია საქართველოს სისუსტის მთავარი მიზეზიც და მისი მთავარი მხსნელიც. ამგვარად, საქართველოს მთავრობა და მოსახლეობა თავს არიდებდნენ საკუთარ პასუხისმგებლობას საკუთარივე პრობლემების გადაჭრის საქმეში. ამავე ლოგიკით, აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი, რუსეთის ბაზები და რუსეთთან ეკონომიკური თანამშრომლობა ერთი გიგანტური პრობლემაა, რომელიც ერთი დაკვრით უნდა გადაიჭრას. პრეზიდენტი სააკაშვილი, ჩანს, მზადაა გაარღვიოს ეს მოჯადოებული წრე და დაახარისხოს საკითხები რომელთა გადაწყვეტა საქართველოს ძალებში შედის, საკითხები, რომლებზე კომპრომისის მოძებნა შესაძლებელია და საკითხები, რომლებიც არაა მოლაპარაკებების საგანი.

მაგალითისთვის, სააკაშვილის ადმინისტრაცია ამტკიცებს, რომ ბათუმისა და ახალქალაქის ბაზები უნდა დაიხუროს და ამ საკითხზე თბილისი უკანდახევას არ აპირებს. ბაზების გაყვანის შემდეგ, შესაძლოა რუსეთთან მოლაპარაკება ერთობლივი ანტი–ტერორისტული ცენტრების ჩამოყალიბების შესახებ. მოლაპარაკებები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე გამოყოფილია ერთმანეთისაგან და, ამავე დროს, არ განიხილება სამხედრო ბაზებთან კავშირში. ოფიციალური თბილისი ასევე ცდილობს რეგულარული პირადი ურთიერთობების დამყარებას რუსეთის უშიშროების საბჭოსთან, პრეზიდენტის ადმინისტრაციასთან და ცალკეულ სამინისტროებთან. საკაშვილი იმედოვნებს, რომ ამ გზით შეიქმნება ნდობის კუნძულები რუს კოლეგებთან და ეტაპობრივად მოხერხდება დაგროვილი პრობლემების გადაჭრა.

ურთიერთგაგების საფუძვლად ოფიციალური თბილისი მოიაზრებს იმ გაგებას რომ კავკასიაში არსებული პრობლემები – სეპარატიზმი, არასტაბილური მთავრობები, გაუმჭვირვალე პოლიტიკური პროცესი – საფრთხეს უქმნის რეგიონის სტაბილურობას და თანაბრად სახიფათოა როგორც რუსეთის, ისე საქართველოსათვის.

ამგვარი მიდგომა შესაძლოა პროდუქტიული აღმოჩნდეს და შესაძლებლობა მისცეს რუსეთს გამოიყენოს შედარებითი უპირატესობა კავკასიაში – მას გააჩნია რეგიონის უკეთესი გაგება ვიდრე დასავლელ პარტნიორებს და შეუძლია ამ გავლენის გამოყენება საქართველოს სტაბილურობის განსამტკიცებლად. თუმცა ჯერჯერობით, საქართველო და რუსეთი ვერ თანხმდებიან ურთიერთქმედების წესებზე. საქართველო მცირე სახელმწიფოა და ბუნებრივია ის ეძიებს საგარეო გარანტიებს რუსეთის შეუდარებლად დიდი ეკონომიკური რესურსებისა და პოლიტიკური გავლენის დასაბალანსებლად. ამის გამო, საქართველო რუსეთთან ევროპის ნორმატიული სივრცის ფარგლებში ურთიერთობას ამჯობინებს. რუსეთი, თავის მხრივ, უპირატესობას ორმხრივ ურთიერთობებს ანიჭებს დსთ–ს ფარგლებში არსებული ნორმატიული რეჟიმის ფარგლებში, რომელიც შესამჩნევად ჩამორება ევროპულ სტანდარტებს როგორც ადამიანის უფლებათა, ისე სავაჭრო დარგში. სამწუხაროდ, ამ სივრცის ფარგლებში საქართველო თავს აბსოლუტურად დაუცველად გრძნობს.

უკანასკნელ ხანებში რუსეთსა და საქართველოს შორის დაძაბულობა სამხედრო ბაზებისა და სამხრეთ ოსეთის საკითხებში სწორედ ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ. სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში, საქართველოს განცხადებითის საერთაშორისო ნორმების ფარგლებში მოქმედებდა. სააკაშვილის ადმინისტრაციის მტკიცებით, ქვეყნის ვალდებულებაა სუვერენული კონტროლი განახორციელოს მისსავე საზღვრებზე. მოსკოვის ხედვით, უმჯობესია დსთ–ს ფარგლებში ჩამოყალიბებული არსებული ვითარების შენარჩუნება სამხრეთ ოსეთში, რაც რუსეთის ინტერესებს უკეთ პასუხობს.

ამდენად, შენარჩუნებულია მანკიერი წრე: პრეზიდენტი სააკაშვილი ცდილობს შინაგანად გააძლიეროს საქართველო და, რაღაც დონეზე, რუსეთს ურჩევნია ძლიერ საქართველოსთან ჰქონდეს საქმე. თუმცა კრემლის დღევანდელი დამოკიდებულება საქართველოს სეპარატისტულ რეგიონებთან ხელს უშლის საქართველოს გაძლიე-

რებას, რადგან მისი საზღვრები დაუცველია კრიმინალების წინაშე. მეტიც, რუსეთის მხარდაჭერით გულმიცემული სეპარატისტი ლიდერები ვერ ხედავენ საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებების წარმოების აზრს. შედეგად, შენარჩუნებულია საქართველოს შემდგომი დასუსტების რისკი, რაც, პარადოქსულად, მას რუსეთისათვის არასაიმედო პარტნიორად აქცევს.

ვითარებას ცოტა უფრო ფართოდ რომ შევხედოთ, რუსეთი კარგავს გავლენის ზოგიერთ ბერკეტს. სააკაშვილი და მისი ახალგაზრდა კოლეგები არ არიან დაკავშირებული ყოფილ საბჭოთა პოლიტიკურ ქსელთან არც განათლებითა და არც გამოცდილებით. პრეზიდენტი სააკაშვილი თავის ამომრჩეველს ემყარება და არ ცდილობს მოკოვის მხარდაჭერით გაიმყაროს პოზიცია. საქართველოს პოლიტიკოსების ახალი თაობის გავლენის საფუძველი ქვეყნის შიგნითაა. ისინი შესაძლოა განიხილავდნენ კარიერის გაგრძელების შესაძლებლობას საქართველოში, ანდა, ვთქვათ ბრუსელში, მაგრამ არა მოსკოვში. საქართველოს საზოგადოება მიესწრაფვის დასავლეთის ეკონომიკურ, პოლიტიკურ და უსაფრთხოების მექანიზმებში გაწევრიანებისაკენ, რადგან სწორედ ეს სფერო ითვლება კეთილდღეობის გარანტიად. 1994 წელს პრეზიდენტი შევარდნაძე ამომრჩევლებს პარლამენტის ტრიბუნიდან არწმუნებდა, რომ დსთ–ში გაწევრიანება ქვეყანას „ხორბალსა და კვერცხს" მოუტანდა. ათწლეულის შემდეგ უკვე ყველასათვის ნათელია, რომ საქართველოს ბაზარზე ძირითადი პროდუქტები დსთ–ში ყოფნა–არყოფნის მიუხედავად შემოვა.

აღარც ისაა თავისთავად ცხადი, რომ პოსტ–საბჭოთა ეკონომიკური დაღმასვლითა და კორუმპირებული პოლიტიკური კლასით იმედგაცრუებული ამომრჩევლები საბჭოთა კავშირს ნოსტალგიით უცქერენ, ანუ ხმას პრო–რუსულ პოლიტიკურ კურსს მისცემენ. მოლდოვას მაგალითი გვარწმუნებს, რომ მიუხედავად კომუნისტური პარტიის წარმატებისა 2001 წელს, ქვეყნის პრო–დასავლური კურსის არ შეიცვალა.[107] მოლდოვას კომუნისტმა პრეზიდენტმა ვლადიმირ ვორონინმა პრო–რუსული საგარეო მინისტრი გადააყენა და ახალი მინისტრი დანიშნა, რომლის აზრითაც „ევროპასთან ინტეგრაციას

[107] *Dan Wisniewski and Zsolt-Istvan Mato.* Moldovan Communists Win Absolute Majority. – *RFE/RL Newsline*, February 26, 2001, http://www.rferl.org/newsline/2001/02/260201.asp.

ალტერნატივა არ გააჩნია."[108] მან უკანასკნელი არჩევნები ერთმნიშვნელოვნად ანტი–რუსულ მოტივებზე წარმოებული კამპანიით მოიგო და კურსი საქართველოსა და უკრაინასთან პრო–ევროპული ალიანსის გაძლიერებისაკენ აიღო.

საქართველოს ახალი მთავრობის მიმართ მოლოდინის პოლიტიკა რუსეთის მხრიდან არაა პროდუქტიული. ის მხოლოდ ძველი პოლიტიკის ინერციაა, რომლის მიხედვითაც შევრდნაძე ან შეცდომას დაუშვებდა ანდა გაცნობიერებულად მისცემდა საშუალებას რუსეთს ქულები ჩაეწერა აშშ–სთან დაპირისპირებაში. საქარველოს დესტაბილიზაცია მავნეა რუსეთის უსაფრთხოებისათვის. ბევრად უფრო სასარგებლო იქნებოდა თუკი რუსეთი საქართველოს ახალ პოლიტიკაში პოზიტიურ როლს დაიბევებდა და გრძელვადიან პერსპექტივაში უნდობლობის აღმოფხვრას შეუწყობდა ხელს.

დასავლეთს რაც შეეხება, შევარდნაძის მერყევმა პოლიტიკამ აშშ–სა და რუსეთს შორის საქართველოს მოსახლეობის „ნაციონალური პროექტისდა" მიუხედავად, შეაფერხა ქვეყნის ინტეგრაცია დასავლურ ინსტიტუტებში – ნატოსა და ევროკავშირში. დღეისათვის საქართველო წინმსწრები ტემპით ცდილობს რეალური მნიშვნელობით დატვირთოს არსებული ხელშეკრულებები, როგორიცაა ნატოს „პარტნიორობა მშვიდობისათვის" და ევროკავშირთან პარტნიორობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება. ევროკავშირთან დაახლოება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია და ამ პროექტს რუსეთის მხრიდან, სავარაუდოდ, ნატოში შესვლასთან შედარებით ნაკლები წინააღმდეგობა შეხვდება. ერთ–ერთი დამაიმედებელი ნაბიჯი ევროკავშირის მხრიდან სამხრეთ კავკასიაზე „ევროპის სამეზობლო ინიციატივის" გავრცელება იყო. თუმცა საქართველოს მხრიდან რუსეთის რთული გადაწყვეტილებებისაკენ იძულება შესაძლოა სახიფათოც აღმოჩნდეს – ამის დასტურად 2004 წელს სამხრეთ ოსეთში ვითარების ესკალაციაც გამოდგება.

შეძლებენ კი საქართველოსა და რუსეთის ლიდერები ახლებური ურთიერთობების დამყარებას? ამ კითხვაზე პასუხი დიდწილად

[108] *Наталья Приходько.* Кишинев избавляется от пророссийски настроенных министров. – *Независимая газета*, 6 февраля 2004 года, http://www.ng.ru/cis/2004-02-06/5_kishinev.html.

საქართველოში რეფორმების წარმატებაზეა დამოკიდებული. ახალი მთავრობა რუსეთთან ურთიერთობას უფრო ტაქტიკური თვალსაზრისით უდგება, ვიდრე სტრატეგიულით და ამით ცდილობს შეხების წერტილების მოძიებას. სტრატეგიული თვალსაზრისით, საქართველოს მთავარი ამოცანა პოლიტიკური სისტემის გაჯანსაღება და ეკონომიკის გაძლიერებაა. ეს საშუალებას მისცემს საქართველოს უფრო სერიოზული როლი ითამაშოს პოსტ–საბჭოთა სივრცის პოლიტიკასა და ეკონომიკაში.

რუსეთში ჯერ კიდევ არ დასრულებულა ახალი თვითშეგნების მშენებლობა. ნაციონალისტური ძალების სიძლიერე ზღუდავს პრეზიდენტ პუტინის მოქნილობას ქართულ–რუსული ურთიერთობების სფეროში. ამდენად, საქართველოს მთავრობამ უნდა გაჰყოს ის პრობლემები, რომლებზეც ალბათ შესაძლებელია რუსეთთან ორმხრივი კომპრომისის ძიება და ის საკითხები სადაც მას რუსეთის დასარწმუნებლად საერთაშორისო მხარდაჭერის მობილიზება დასჭირდენა. სამხედრო ბაზებისა და შემდეგში, სამშვიდობო ოპერაციების მოდერნიზების შეცვლის საკითხები ალბათ ამ უკანასკნელ კატეგორიაში შევა. ვაშინგტონის პოზიცია ბაზებთან დაკავშირებით, რომელიც ერთის მხრივ მოუწოდებდა რუსეთს გაეყვანა ჯარები და, მეორეს მხრივ მას ფინანსურ მხარდაჭერას სთავაზობდა გაყვანის დასაჩქარებლად, ალბათ ყველაზე რეალისტური მიდგომაა. სამწუხაროდ, ბესლანის 2004 წლის ტრაგედიამ პუტინის მთავრობის აგრესიულობა გაზარდა. პუტინმა პირადად გააააქტიურა კავშირები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიერებთან და შეხვდა კიდევ მათ 2005 წლის 5 აპრილს. ზოგიერთი მიმომხილველის ინფორმაციით, მან ევროკავშირის საგარეო საქმეთა კომისარი ხავიერ სოლანაც კი შეახვედრა სეპარატისტ ლიდერებს.[109] ზოგმა ეს შეხვედრა რუსეთის მხრიდან უფრო კონსტრუქციული პოზიციის ნიშნად აღიქვა, ზოგმა კი პირიქით. სიმართლეს მომავალი გამოავლენს.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ვითარების გასაუმჯობესებლად საქართველოს მთავრობას ამ მხარეების ფაქტობრივ ლიდერებთან

[109] *Vladimir Socor.* EU Policy in Disarray in Georgia and Moldova. – *Eurasia Daily Monitor*, April 15, 2005, http://jamestown.org/edm/article.php?volume_id=407&issue_id=3301&article_id=236959.

პირდაპირი ურთიერთობების გააქტიურება მოუწევს. მათი გვერდის ავლით მოსკოვთან შეთანხმების მიღწევის მცდელობა არაეფექტური ჩანს. ამავე დროს, კონკრეტულ საკითხებში შესაძლოა თანამშრომლობაც – მაგალითისთვის, მოსკოვს სურს სარკინიგზო მიმოსვლა აღადგინოს საქართველოსთან აფხაზეთის გავლით და ამ შესაძლებლობის გამოყენება ნდობის აღსადგენად სავსებით შესაძლებელია. სამშვიდობო ჯარების საკითხის მოგვარება ალბათ ევროკავშირთან თანამშრომლობას გულისხმობს. ამ ორგანიზაციის გამოცდილება პოლიციური დახმარების მისიის ფარგლებში ბოსნიასა და ჰერცეგოვინაში ზედგამოჭრილია აფხაზეთის გალის რაიონში დაბრუნებული დევნილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

დასკვნის სახით, ურთიერთობების უმძიმესი ათწლეულის შემდეგ, კლავაც არსეობს რუსეთ–საქართველოს ურთიერთობების კონსტუქციული განვითარების შესაძლებლობა. ამის მიღწევა კი მხოლოდ მაშინ შეიძლება, თუკი საქართველო კარგად გაიცნობიერებს თავის პასუხისმგებლობას შიდა სისუსტეების აღმოფხვრის საქმეში და წარმატებით განახორციელებს რეფორმებს.

გაყინული გაურკვევლობა: რუსეთი და კონფლიქტი აფხაზეთის ირგვლივ

ოქსანა ანტონენკო

საბჭოთა კავშირის დაშლამ გამოიწვია რეგიონულ კონფლიქტების სერია, რომელიც ძალადობის საწყისი ფაზის შემდეგ პოლიტიკურ ჩიხში აღმოჩნდა და ათწლეულზე მეტი ხნის განმავლობაში გადაუჭრელი რჩება.ორი ასეთი კონფლიქტი – აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში – წარმოიშვა საქართველოში, ყოფილ საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკაში მისი ახალ, დამოუკიდებელ სახელმწიფოდ არცთუ იოლი ტრანსფორმაციის დროს. კონფლიქტი აფხაზეთში 1992-1993 წლებში, პოსტსაბჭოთა კონფლიქტებიდან იყო ერთ-ერთი ყველაზე სისხლიანი, ათასობით მსხვერპლითა და დაახლოებით 250 000 გადაადგილებული ადამიანით (უმრავლესობა ეთნიკური ქართველი)[1]. მან გაანადგურა

[1] ციფრი 250 000 ხშირად გამოიყენება ექსპერტებისა და პოლიტიკოსების მიერ,მაგრამ ეს რაოდენობა საკამათოა. ოფიციალურად საქართველოს ჰყავს რეგისტრირებული 262 217 შიდა გადაადგილებული პირი, საიდანაც 11 987 სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონიდანაა, დანარჩენები კი — აფხაზეთიდან. დამკვირვებელთა უმრავლესობა ეჭვქვეშ აყენებს ამ ციფრებს. ბევრმა, ვინც თავიდან საქართველოში ჩავიდა, შემდეგ დატოვა იგი. 2002 წლის მოსახლეობის აღწერამ აჩვენა, რომ ბოლო ათწლეულში ქვეყანამ დაკარგა დაახლოებით მილიონი ადამიანი ემიგრანტების სახით და შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მათ შორის არიან აფხაზეთიდან ლტოლვილებიც. საქართველოს ახალმა პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ერთნაირად გააოცა მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც ცოტა ხნის წინ გაკეთებული განცხადებით იმის შესახებ, რომ მას სურს 1992-1993 წლების აფხაზეთის ომის შედეგად გადაადგილებული ადამიანების სრული აღრიცხვა. 2004 წლის 5 აპრილს მინისტრთა კაბინეტის სხდომაზე სააკაშვილმა თქვა, რომ "ლტოლვილთა დღევანდელი რიცხვი – 260 000 – ძალიან გაბერილია". ("Georgia's Refugee Recount," IWPR Report, April 28, 2004). 2004 წლის აგვისტოში ლტოლვილთა და ინტეგრაციის სამინისტრომ შიდა გადაადგილებული პირებისათვის გამოუშვა 216 947 პირადობის მოწმობა. მაგრამ ეს ციფრი მოიცავს მხოლოდ შიდა გადაადგილებულ პირებს და არა ემიგრირებულებს.

შავი ზღვის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი საკურორტო რეგიონის ეკონომიკური პერსპექტივები. 1994 წლის 19 მაისის შეთანხმებამ ცეცხლის შეწყვეტის შესახებ მხარეები აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის გადაწყვეტამდე ვერ მიიყვანა; სანაცვლოდ თბილისის კონტროლს გარეთ აღმოჩნდა აფხაზეთი, როგორც დე ფაქტო სახელმწიფო, თუმცა საერთაშორისო საზოგადოებრიობისა და რუსეთის მიერ ფორმალურად მაინც აღიარებული, როგორც საქართველოს ნაწილი.

საერთოდ, პოსტსაბჭოთა საქართველოში სახელმწიფო მშენებლობის საწყისი ეტაპი ნაციონალისტური იყო თავისი რიტორიკითა და იდეოლოგიით, უკანონო — თავისი ხერხებით, მაგრამ ხშირად გამართლებული ისტორიული წყენითა და მითებით.[2] ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დაწყებაში ყველა ეს ფაქტორი განსაკუთრებულ როლს თამაშობდა, რამაც ეკონომიკური და გეოპოლიტიკური ლოგიკის საწინააღმდეგოდ, ეთნოპოლიტიკურ კონფლიქტამდე მიიყვანა და ორ ბანაკად გაყო მრავალეროვანი ომამდელი აფხაზეთი. მობილიზაცია ხორციელდებოდა ეთნიკური კუთვნილების საფუძველზე, ამასთან ეთნიკური უმცირესობების უმრავლესობა (რუსები, სომხები და ბერძნები) იბრძოდა აფხაზების მხარეზე.

ამ კონფლიქტს ქართველები ძლიერი, გაერთიანებული და სიცოცხლისუნარიანი ქართული სახელმწიფოს მშენებლობის გზაზე ერთ-ერთ ძირითად დაბრკოლებად მიიჩნევენ. ასე იყო ზვიად გამსახურდიას — საქართველოს პირველი პრეზიდენტის — დროს. ასე იყო მისი მემკვიდრის, ედუარდ შევარდნაძის დროსაც, რომლის ხელმძღვანელობის პერიოდში მოხდა ომი და მთავრობამ ვერ შეძლო სამხედრო საშუალებებით აფხაზეთზე კონტროლის აღდგენა. საქართველოს დღევანდელი პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი თავისი პრეზიდენტობის ერთ-ერთ პრიორიტეტად ქართული მიწების გაერთიანებას თვლის. ისევე როგორც მისი წინამორბედები, პრეზიდენტი სააკაშვილი მზად არის, მისცეს აფხაზეთს ფართო ავტონომია, მაგრამ არა — საერთაშორისო სუვერენიტეტი. აფხა-

[2] ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში ისტორიული მითების როლის ანალიზის შესახებ. *Виктор Шнирельман*, Войны памяти: Мифы идентичности и политика в Закавказье // Москва: Академкнига, 2003, с. 259-461.

ზებისათვის კონფლიქტი ეროვნული გადარჩენისათვის ბრძოლის სიმბოლო და ეროვნული იდენტურობის შენარჩუნების იმპერატივია. საბჭოთა კავშირის ნგრევასა და ქართული ნაციონალიზმის ზრდაში აფხაზური ელიტა ხედავდა როგორც საკუთარი ერისა და სახელმწიფოს შექმნის ისტორიულ შანსს, ისე თვითმყოფადობის საფრთხეს. ომი ქართული ჯარის გამოყვანით და აფხაზეთის ქართული მოსახლეობის მასობრივი გამოდევნით (45 პროცენტი)[3] დასრულდა. დღემდე არც ერთმა სახელმწიფომ არ აღიარა აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის დამოუკიდებელ სუბიექტად. მისი მოსახლეობა – რომლის შემადგენლობაში, აფხაზების გარდა, ახლაც შედიან ქართველები, რუსები, ბერძნები და სომხები – ეკონომიკურად იზოლირებულია და გადარჩენის მიზნით ძირითადად ნატურალურ მეურნეობას ეყრდნობა. მიუხედავად ამისა, აფხაზეთმა შეძლო დე ფაქტო სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნა, მათ შორის პარლამენტის, პრეზიდენტისა და სამხედრო ძალების. 1999 წელს, დამოუკიდებლობის რეფერენდუმის შემდეგ, ხელისუფლებამ იმის მტკიცება დაიწყო, რომ სუვერენული სახელმწიფოს აშენება აქვს განზრახული და მისი დამოუკიდებლობის აღიარება მხოლოდ დროის საქმეა.

გამომდინარე იქიდან, რომ ქართული და აფხაზური მხარეების პოზიციები დიამეტრულ წინააღმდეგობაში რჩება, პოლიტიკური დარეგულირება კი ჩიხშია მომწყვდეული, ყურადღება უფრო მესამე მხარის როლზე მახვილდება. ამ მხრივ განსაკუთრებით მნიშვნელოვანია რუსეთი. კონფლიქტის ყველა ეტაპზე ის დომინირებულ და ხშირად წინააღმდეგობრივ როლს თამაშობდა. ქართველები რუსეთს კონფლიქტის დაწყების პროვოცირებაში სდებენ ბრალს, შემდეგ — მის "გაყინვაში", დაბოლოს, აფხაზური სეპარატისტული მისწრაფებების ყველა საშუალებით ღია მხარდაჭერაში, ფორმალური

[3] 1989 წელს, ბოლო საბჭოთა აღწერის მიხედვით, აფხაზეთის მოსახლეობა შეადგენდა 525 000, საიდანაც 45 პროცენტი, ანუ 239 000 ადამიანი ეთნიკური ქართველი იყო. როდესაც 1993 წლის ოქტომბრისათვის დამთავრდა ომი, თითქმის ყველა ქართველს დაატოვებინეს აფხაზეთი. მათ შორის ათეულათასობით გადასახლდა დროებით საცხოვრებლად საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში. იხ. http://www.reliefweb.int/rw/RWB.NSF/db900SID/ACOS-64D87Q?OpenDocument.

აღიარების გარდა. თბილისი აფხაზეთში განლაგებული სამშვიდობო ძალების ინტერნაციონალიზაციას ცდილობს მათ რიგებში სხვა ქვეყნების სამხედროების ჩართვით და მოითხოვს, უფრო მკაფიოდ განისაზღვროს მოსკოვის, როგორც მედიატორის, პოლიტიკური როლი გაეროს მოლაპარაკების პროცესში.

აფხაზებსაც აქვთ პრეტენზიები რუსეთის მიმართ კონფლიქტის საწყის ეტაპზე საქართველოს სამხედრო მხარდაჭერის გამო; მაგრამ ახლა ისინი რუსეთს უყურებენ, როგორც მათი უსაფრთხოების მთავარ გარანტს. 1999 წლიდან აფხაზეთის პარლამენტმა რამდენიმეჯერ მიმართა მოსკოვს, რათა აფხაზეთსა და რუსეთს შორის დამყარებულიყო ასოცირებული ურთიერთობები აფხაზეთის, როგორც "თავისუფალი ასოცირებული წევრის", რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში ჩართვის გზით. ამ სტატუსით აფხაზეთი სუვერენიტეტს შეინარჩუნებდა. საბოლოო ჯამში, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო საზოგადოებრიობა დაიღალა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის დიპლომატიის სულ უფრო ცალმხრივი ძალისხმევით და თბილისთან მისი რთული ურთიერთობებით, მას კვლავინდებურად მიაჩნია, რომ რუსეთის მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში მტკიცე მშვიდობისა და პოლიტიკური დარეგულირების მისაღწევად საჭიროა.

როგორია რუსეთის პოზიცია აფხაზეთის კონფლიქტში? რამდენად პრიორიტეტული ადგილი უკავია მას რუსეთის პოლიტიკაში? აქვს თუ არა რუსეთს სტრატეგია ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში, თუ ის უბრალოდ რეაგირებს მოვლენებზე ამ რეგიონში? რა დონეზე მანიპულირებს აფხაზეთით, როგორც მარიონეტით? რა დოზითაა რუსეთის აფხაზეთთან თანამშრომლობა მოსკოვის თბილისთან ურთიერთობებით განპირობებული? რას წარმოადგენენ ძირითად ინტერესთა ჯგუფები, რომლებიც აყალიბებენ რუსეთის პოლიტიკას და როგორ შეიცვალა მათი გავლენა პრეზიდენტ პუტინის დროს?

ამ თავში შემოთავაზებულია აღნიშნულ კითხვებზე პასუხები იმ ძირითადი ფაქტორების ანალიზის გზით, რომლებიც განსაზღვრავს რუსეთის პოლიტიკას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ. განსაკუთრებით ყურადღება გამახვილებულია 2000-2004 წლებზე — პუტინის პრეზიდენტობის ერთ მონაკვეთზე. ავტორს სამმხრივი მიზანი აქვს: პირველი, რუსეთის პოლიტიკის ევოლუციის აღწერა;

მეორე, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისა და განხორციელების სირთულეების გაშუქება, რუსეთის შიგნით სხვადასხვა მძლავრი გავლენის ჯგუფზე აქცენტის გაკეთება, იმაზე — თუ რომელი მოთამაშეები აყალიბებენ რუსეთის პოლიტიკის პირველად მოტივებს და რომლები სწევენ დაბლა მის ეფექტურობას. მესამე მიზანი კი იმაში მდგომარეობს, რომ აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკა განხილულ იქნას კონფლიქტის დარეგულირების პროცესში სხვა ძლიერ მოთამაშეებთან მისი დამოკიდებულების კონტექსტში. ეს სამი განზომილება მოწოდებულია ახსნას, თუ რომელი მიმართულებით შეიძლება განვითარდეს რუსეთის პოლიტიკა, როდესაც იგი კონფრონტაციაში შედის საქართველოსა და აფხაზეთში ხელმძღვანელობის შეცვლის ორმაგ გამოწვევასთან.

რუსეთის ჩართვა კონფლიქტში

1994 წლის მაისში ცეცხლის შეწყვეტაზე შეთანხმებიდან და დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სამშვიდობო ძალების განლაგებიდან ათი წლის შემდეგ გამოქვეყნებულ არც ერთ პუბლიკაციაში, რომელიც კი არსებობს რუსეთის როლზე ქართულ-აფხაზურ სამხედრო კონფლიქტთან დაკავშირებით, სრულყოფილად არ არის გაანალიზებული რუსეთის არქივები ან წამყვან მონაწილეთა მოგონებები. თუმცა ზოგიერთ გამოქვეყნებულ მოხსენებაში ნათქვამია, რომ 1992-1994 წლებში რუსეთის შეიარაღებული ძალები და უშიშროების სამსახურები ახორციელებდნენ პირდაპირ თუ ირიბ პოლიტიკურ და, რაც უფრო მნიშვნელოვანია, სამხედრო დახმარებას როგორც ქართულ, ისე აფხაზურ მხარეზე.[4] ზოგიერთი ქართული წყარო უფრო შორს მიდის და ამტკიცებს, რომ რუსეთის სპეციალურმა

[4] რუსეთის კონფლიქტში ჩართვაზე ანალიზის შესახებ. Станислав Лакоба, *Абхазия де факто или Грузия де юре?* (Саппоро, Япония: Центр славянских исследований, Университет Хоккайдо, 2001 г.), http://src-h.slav.hokudai.ac.jp/publictn/lakova/lakova-contents.html ; Alexei Zverev, “Ethnic Conflicts in the Caucasus,” in Bruno Coppieters ed., *Contested Borders in the Caucasus* (Brussels: VUB Press, 1996), pp. 51–60, http://poli.vub.ac.be./publi/ContBorders/eng/; Светлана Червонная, *Абхазия 1992: Посткоммунистическая Вандея* (Москва: Мосгорпечать, 1992 г.).

სამსახურებმა დაგეგმეს ყველა სეპარატისტული კონფლიქტი კავკასიაში, მათ შორის ქართულ-აფხაზურიც და შემდეგ მათი პროვოცირება მოახდინეს ქართული სახელმწიფოებრიობის შექმნის პერსპექტივის აღმოფხვრის მიზნით.[5] თავის მხრივ, აფხაზი კომენტატორები არ აზვიადებენ რუსეთის ჩართვას და აქცენტი გადააქვთ მოხალისეების როლზე, აკრიტიკებენ რუსეთის მიერ ყოფილი საბჭოთა სამხედრო ტექნიკის ქართულ ეროვნულ გვარდიაზე გადაცემას 1992 წლის 14 აგვისტოს აფხაზეთზე მისი პირველი თავდასხმის წინ. როგორც წესი, რუსული წყაროები გვერდს უვლიან ომის მსვლელობის დაწვრილებით გადმოცემას, სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის ნგრევის დროს რუსეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში არსებულ უწესრიგობას ხაზს უსვამენ, ბრალს სდებენ ადგილობრივ სამხედრო მეთაურებს ამ ომში მათი ფინანსურად მოტივირებული როლის გამო.[6] საბოლოო ჯამში, რთულია მსჯელობა იმის შესახებ, იყო თუ არა რუსეთის მონაწილეობა აფხაზეთში 1992-1993 წლებში კრემლის შეგნებული პოლიტიკის სტრატეგიის ნაწილი, მაგრამ საკამათო არ არის ის, რომ შემდგომ ქართულ-აფხაზური კონფლიქტი გახდა და დღემდე რჩება მისი პოლიტიკის მნიშვნელოვან ინსტრუმენტად.

რუსეთის როლი 1992-1993 წლების ომში როგორც რეალურად, ისე პოპულარულ მითებში საქართველოსა და რუსეთს შორის ნორმალური ურთიერთობების ძირითადი ბარიერი გახდა. რუსეთის, როგორც აფხაზეთში ომის წაგების აშკარა მიზეზად აღქმამ ქართველი პოლიტიკოსებისა და მოქალაქეების მთელი თაობა ჩამოაყალიბა. აფხაზი ექსპერტი იური ანჩაბაძე წერს: "საქართველოში ჯერ კიდევ დომინირებს აზრი, რომ ყველა პოლიტიკური შოკი, რომლებიც რესპუბლიკამ ბოლო წლებში გადაიტანა, აფხაზეთში კონფლიქტის

[5] იხ. მაგალითად, Gia Tarkhan-Mouravi, "The Georgian–Abkhazian Conflict in a Regional Context," in Bruno Coppieters, Ghia Nodia, and Yuri Anchabadze eds., *Georgians and Abkhazians: The Search for a Peace Settlement,* (Köln: Bundesinstitut für Ostwissenschaftliche und Internationale Studien, 1998), pp. 90–112, აგრეთვე http://poli.vub.ac.be/ ; ან ნახეთ Svetlana Chervonnaya, *Conflict in the Caucasus: Georgia, Abkhazia and the Russian Shadow* (Glastonbury: Gothic Image Publications, 1994).

[6] იხ. Dmitrii Danilov, "Russia's Role," *Accord,* issue 7 (September 1999), pp. 42–49, http://www.c-r.org/accord/geor-ab/accord7/index.shtml.

ჩათვლით, ინსპირირებული იყო მესამე ძალის მიერ". მესამე ძალაში ყოველთვის იგულისხმება რუსეთი.[7]

დღესაც კი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ისტორია უწინდებურად დაღს ასვამს იმას, თუ როგორ განსაზღვრავს რუსეთი თავის ინტერესებსა და სტრატეგიას და აფხაზებისა და ქართველების მიერ როგორ არის მისი როლი აღქმული. ამასთან დაკავშირებით თანამედროვე პოლიტიკაზე ისტორიის გავლენის რამდენიმე ასპექტს გამოვყოფთ:

პირველი, კონფლიქტი იმდენად სასტიკი იყო და თავად რუსეთზე, განსაკუთრებით კი მის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონზე, ისეთი ზემოქმედება მოახდინა, რომ 1994 წელს, ომის შეწყვეტის შეთანხმებაზე ხელმოწერის შემდეგ, მისი პოლიტიკა, უპირველეს ყოვლისა, ფოკუსირებული იყო კონფლიქტის განახლების რაიმე პერსპექტივის პრევენციაზე. უდავოა, რომ ახალი ომის შიშით რუსეთი ორივე მხარეზე მკაცრი ზეწოლისაგან თავს იკავებდა, უშუალოდ კი კონფლიქტის შემდგომ პერიოდში, როდესაც უფრო შეიძლებოდა მეტი პოლიტიკური პროგრესისათვის მიეღწია.

მეორე, კონფლიქტის ორივე მხარეს რუსეთის ჩართვამ ძირი გამოუთხარა ქართველებისა და ნაწილობრივ აფხაზების ნდობას რუსეთის, როგორც მიუკერძოებელი და სანდო მედიატორის, მიმართ. რუსეთი იყო და არის აღქმული, როგორც კონფლიქტის მონაწილე. უფრო მეტიც, რუსეთის დახმარებამ ორივე მხარის მიმართ უფრო გააძლიერა საქართველოსა და აფხაზეთში გავრცელებული აზრი, რომ კონფლიქტი ან მოსკოვის მიერ დაიგეგმა, ან განხორციელდა რუსეთის ინტერესებში. ეს განსაკუთრებით ნათლად ჩანს საქართველოში, სადაც რუსეთის ჩართვა აღიქმება "აფხაზეთის დაკარგვის" მთავარ მიზეზად. ედუარდ შევარდნაძე ამტკიცებდა კიდეც, რომ კონფლიქტის დროს რუსეთის მიერ აფხაზეთის მხარდაჭერა მთელი ათწლეულის მანძილზე ქართულ-რუსული ურთიერთობების გაფუჭების მთავარ მიზეზად გადაიქცა. აფხაზები, რომლებიც იძულებულნი არიან დაეყრდნონ რუსების დახმარებას, ასევე იჩენენ რუსეთის პატრონაჟისადმი უნდობლობას (სამხრეთ ოსებისაგან განსხვავებით),

[7] Yuri Anchabadze, "Georgia and Abkhazia: The Hard Road to Agreement," in Coppieters, Nodia, and Anchabadze, eds., *Georgians and Abkhazians*, pp. 80–89, also on http://poli.vub.ac.be/.

რუსეთთან მხოლოდ ასოცირებულ ურთიერთობებს ეძებენ და არა სრულ ინტეგრაციას და მასზე სუბორდინაციას.

მესამე, აფხაზეთის კონფლიქტში ჩრდილოეთ კავკასიიდან მოხალისეების, რუსი სამხედროებისა და პოლიტიკოსების მონაწილეობამ, უფრო მეტად, ვიდრე სხვა პოსტსაბჭოთა სივრცის სეპარატისტულმა კონფლიქტებმა, იგი შიდა რუსული პოლიტიკის იმ მნიშვნელოვან პრობლემად გადააქცია, რომელიც დღემდე გადაუჭრელად რჩება. მეტიც, 1991-1992 წლებში და უფრო გვიან, თვით აფხაზეთის კონფლიქტის დროს, აფხაზურ და ჩეჩნურ ელიტას შორის კავშირების გამო რუსეთის პოლიტიკა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ჩეჩნეთში რუსეთის მიერ გატარებული პოლიტიკის ძლიერი გავლენის ქვეშ იმყოფებოდა.

ამ ფაქტორების გათვალისწინებით, აუცილებელია აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთის ოფიციალური პოლიტიკის ევოლუციის ანალიზი და მისი სახელით მოქმედი სხვადასხვა ჯგუფის ქმედებების მოკლე მიმოხილვა. რუსეთის მონაწილეობის ღრმა განხილვა კონფლიქტის პირველი დღეებიდან იმის გამოა მიზანშეწონილი, რომ 1991-1993 წლებში მოსკოვს არ ჰქონდა თანმიმდევრული პოლიტიკა მთლიანად კავკასიისა და, კერძოდ, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ.[8] მისი პოლიტიკა ყალიბდებოდა ბევრი ჯგუფის მიერ, რომლებიც უფრო გვიან, პოსტ-კონფლიქტურ პერიოდში, მნიშვნელოვანი პოლიტიკური აქტორები გახდნენ.

დასაწყისში რუსეთმა გამოიჩინა ლოიალობა კონფლიქტში მონაწილე ორივე მხარის მიმართ. რუსული პოლიტიკური ელიტის ნაწილი გაერთიანებული საქართველოს მომხრე იყო, ნაწილი კი მხარს უჭერდა დე ფაქტო დამოუკიდებელ, პრომოსკოვურ აფხაზეთს. კონფლიქტის დროს ეს ლოიალობა უცვლელი არ რჩებოდა; საბრძოლო მოქმედებების განახლებისას ყველანი აფხაზებს ემხრობოდნენ.

თავდაპირველად ერთიანი საქართველოს მხარდამჭერთა ჯგუფში შედიოდნენ რუსეთის მთავრობის ის წარმომადგენლები, ვინც პირადი კონტაქტები დაამყარა ედუარდ შევარდნაძესთან, მისი საბჭოთა

[8] რუსულ პოლიტიკაზე კავკასიაში იხ. Dmitri Trenin, “Russia’s Security Interests and Policies in the Caucasus Region,” in Coppieters ed., *Contested Borders in the Caucasus*, pp. 91–102, http://poli.vub.ac.be/.

კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად ყოფნის დროს და ისინიც ვინც ეწინააღმდეგებოდა აფხაზურ სეპარატისტულ მისწრაფებას იმის შიშით, რომ იგი თვით რუსეთის ტერიტორიული ერთიანობის საფრთხეს გამოიწვევდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ ჯგუფში შედიოდნენ რუსეთის პრეზიდენტი ბორის ელცინი და საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი, ასევე საგარეო საქმეთა სამინისტროს სხვა მაღალჩინოსნებიც. ზოგიერთი აფხაზური წყარო იმასაც ამტკიცებს, რომ აფხაზეთის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესახებ შევარდნაძის გეგმის პოლიტიკური მხარდაჭერა უზრუნველყო ელცინმა.[9] აფხაზეთში კონფლიქტის დაწყების შემდეგ 1992 წლის აგვისტოში რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ წერილი გაუგზავნა საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, რომელშიც გამოთქმული იყო თანადგომა საქართველოსადმი "ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლის" საქმეში. ეს ნაბიჯი ნაკარნახევი იყო რუსეთის მზარდი პრობლემებით ჩეჩნეთში.

რაც შეეხება რუსეთის სამხედრო ისტებლიშმენტს, მას აფხაზეთის კონფლიქტის მიმართ არაერთგვაროვანი დამოკიდებულება ჰქონდა. მოსკოვში თავდაცვის სამინისტროს ჩინოსნებმა თავდაპირველად მხარი დაუჭირეს საქართველოს მოქმედებებს, მაშინ, როდესაც სამხედროები, რომლებიც სამსახურს აფხაზეთში გადიოდნენ, კონფლიქტის თითქმის დასაწყისიდან აფხაზებისკენ გადაიხარნენ, ან პასიურად იყვნენ — შეინარჩუნეს ნეიტრალიტეტი; მოგვიანებით კი მათაც აფხაზური ძალების აქტიური დახმარება დაიწყეს.

1992 წლის მაისიდან 1993 წლის მაისამდე რუსეთის თავდაცვის მინისტრი პაველ გრაჩოვი საქართველოს თავდაცვის მინისტრისა და ეროვნული გვარდიის მთავარსარდლის, გენერალ თენგიზ კიტოვანის ახლო მეგობრად რჩებოდა. 1992 წლის აგვისტოში, ომის დაწყების წინ, გრაჩოვი ეხმარებოდა საქართველოს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქში არსებული საბჭოთა მოწყობილობებისა და მძიმე შეიარაღების ქართულ შეიარაღებულ ძალებზე გადაცემაში, რამაც უდავო

[9] სტანისლავ ლაკობა ამტკიცებს, რომ 1992 წლის 24 ივნისის დაგომისის სამიტზე საქართველოს სახელმწიფო საბჭოს მეთაურმა ედუარდ შევარდნაძემ ხელი მოაწერა "შეთანხმებას ქართულ-ოსური კონფლიქტის დარეგულირების პრინციპებზე" და მიიღო პრეზიდენტ ელცინის მხარდაჭერა აფხაზეთის წინააღმდეგ საქართველოს სამხედრო მოქმედების თაობაზე. იხ. ლაკობა, გვ. 10.

სამხედრო უპირატესობა მოუტანა მათ. ქართულმა საჯარისო ნაწილებმა მიიღეს ტანკები, საარტილერიო სისტემები, შვეულ-მფრენები და მსუბუქი შეიარაღება.[10] 1992 წლის 14 აგვისტოს ქართული ჯარი 2 000-დან 5 000-მდე ჯარისკაცის შემადგენლობით შევიდა აფხაზეთში და დაიკავა სოხუმი; დამატებით 1 000-კაციანი რაზმი დადგა გაგრაში და გადაკეტა აფხაზეთის საზღვარი რუსეთთან. თავიდან გრაჩოვმა სცადა, შეეკავებინა რუსეთის სამხედრო საველე მეთაურები, რომ აფხაზებს არ დახმარებოდნენ. ზოგიერთი აფხაზური წყარო მიუთითებს კიდევაც იმაზე, რომ რუსებმა ქართველებს ფარული დახმარება აღმოუჩინეს, თუმცა ასეთი განცხადებების გადამოწმება შეუძლებელია.[11]

საბრძოლო მოქმედებების პირველი ეტაპიდან, კონფლიქტთან დაკავშირებით მოსკოვის პოზიციის ჯერ კიდევ შეცვლამდე, ჩრდილოეთ კავკასიის მოხალისეებისაგან აფხაზურმა მხარემ მნიშვნელოვანი მხარდაჭერა მიიღო, მათ შორის აფხაზებთან ეთნიკურად ახლოს მდგომი ისეთი ჯგუფებისაგან, როგორებიც არიან ადიღელები და ჩერქეზები. ამ მიზნით 1992 წლის სექტემბრის ბოლოს 1 000-მდე მოხალისე ჩრდილოეთ კავკასიიდან ჩავიდა სოხუმში[12]. კავკასიის მთიელ ხალხთა კონფედერაციამ (მოგვიანებით კავკასიის ხალხთა კონფედერაცია), რომელიც ჩრდილოეთ კავკასიის რეს-პუბლიკების სუვერენიტეტისათვის იბრძოდა, აფხაზეთში საბრძოლ-ველად ათასობით მოხალისის მობილიზაციის საქმეში მთავარი როლი ითამაშა. რეგიონული ელიტა, რომელიც თავიდან ეწინააღმდეგებოდა ასეთ მობილიზაციას, იძულებული გახდა შერიგებოდა, რომ არ გარიყულიყო იმ პოლიტიკური პროცესისაგან, რომელშიც 1991-1993 წლებში ეთნიკური აღორძინება და მობილიზაცია დომინირებდა.

[10] 1993 წლის მარტში, კონფლიქტის დროს, რუსმა სამხედროებმა საქართველოს გადასცეს სამოცდაოთხი სამხედრო ნაწილი თავისი მოწყობილობით. იხ. ზვერევი, გვ. 53.

[11] აფხაზური წყაროების მიხედვით, თავდაპირველად აფხაზეთზე თავდასხმაში მონაწილეობას იღებდნენ რუსული ნაწილები. მაგალითად, ქალაქ გაგრაში განლაგების დროს ქართული ჯარები იყენებდნენ რუსულ გემებს. იხ. ლაკობა, გვ. 35.

[12] Pavel Baev, Jan Koehler, Christoph Zürcher, *Internal Violence in the Caucasus: Study Prepared for The World Bank Development Economic Research Group (DECRG)* (Washington, DC: The World Bank, 2002).

ქართველი და რუსი ანალიტიკოსები ამტკიცებენ, რომ აფხაზურ-ქართულ კონფლიქტში მონაწილეობისათვის რუსეთის სპეცსამსახურებისა და სამხედროების ნაწილი კრებდა და ავარჯიშებდა ჩრდილოეთ კავკასიის მებრძოლებს, შამილ ბასაევის ჩათვლით.[13] მოგვიანებით ბასაევი აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა.

რუსეთის სამხედროებმაც არსებითი მხარდაჭერა გაუწიეს აფხაზურ მხარეს. ძირითადად ეს კეთდებოდა რეგიონულ ან ამიერ-კავკასიის სამხედრო ოლქის სამხედრო მეთაურების დონეზე. არსებობს მოსაზრებები, თუმცა — მტკიცებულებების გარეშე, რომ ასეთი ბრძანება მოსკოვიდან მოდიოდა. აფხაზეთში მყოფი ადგილობრივი ქვედანაყოფები მებრძოლებს დახმარების სხვადასხვა ფორმას სთავაზობდნენ, პერსონალის, შეიარაღების, ინფორმაციის და სხვა მომსახურების ჩათვლით; მაგრამ საკითხი, თუ ვინ მფარველობდა ასეთ ქმედებას, საკამათო რჩება. ალექსეი ზვერევის მიხედვით, გრაჩოვმა აკრძალა კონფლიქტის რომელიმე მხარეს დადგომა.[14] სხვები ამტკიცებენ, რომ იმ დროს საველე სამხედრო მეთაურები დამოუკიდებლად, ბრძანებების გარეშე მოქმედებდნენ და ხშირად ფინანსური მოგებით ან კონფლიქტის დროს ჩამოყალიბებული პირადი სიმპათიებით იყვნენ მოტივირებულნი.[15] გენერალ ალექსანდრე ლებედის მიხედვით, ბევრი ბრძანება გაიცემოდა ტელეფონის ზარებით, მაღალ პოლიტიკურ დონეზე პასუხისმგებლობის თავიდან აცილების მიზნით.[16]

1992 წლის სექტემბრისთვის, როდესაც აშკარა გახდა, რომ *ბლიცკრიგის* ქართული გეგმები ჩავარდა და კონფლიქტი გაჭიანუ-

---

[13] 1994 წლის შემდეგ შამილ ბასაევი გახდა რუსეთის ჯარის წინააღმდეგ ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მებრძოლი ჩეჩნეთში. პოლკოვნიკ სტანისლავ ლუნევის მიხედვით, "1992-1992 წლებში, აფხაზეთის ომის დროს, ბასაევმა გაიარა სპეციალური მომზადება და "ჩეჩნეთის ბატალიონის" მეთაური გახდა". Colonel Stanislav Lunev, "Chechen Terrorists in Dagestan—Made in Russia," August 26, 1999, http://www.newsmax.com.

[14] Zverev, p. 53.

[15] ევგენი პრიმაკოვი წერს თავის მოგონებებში: "მე ვიცი, რომ რუსეთის ხელმძღვანელობა, უპირველეს ყოვლისა — პრეზიდენტი, არასდროს აძლევდა სანქციას რუსეთის სამხედრო ჩარევაზე – პირდაპირ ან არაპირდაპირ – კონფლიქტის რომელიმე მხარის მიმართ.

[16] Александр Гольц, «Армия России: 11 Потенциальных лет» (Москва: Захаров, 2004), с. 151.

რებულ, სასტიკ ომში გადაიზარდა, რუსეთის პოლიტიკაც შეიცვალა და აფხაზურმა ჯარმა რუსეთის სამხედრო დახმარება უფრო დიდი ოდენობით მიიღო.[17] ასეთი ცვლილება შეიძლება აიხსნას იმ ფაქტით, რომ დინამიკურად განვითარებად კონფლიქტში მოსკოველმა პოლიტიკურმა ძალებმა დაკარგეს კონტროლი სიტუაციაზე, მაშინ, როდესაც აფხაზეთში მყოფი რუსეთის სამხედრო ძალები და მოხალისეები გადაიქცნენ ძირითად მოთამაშეებად და თავიანთი ქმედებებით განსაზღვრავდნენ რუსეთის პოლიტიკას. აფხაზეთის მებრძოლები იარაღს გუდაუთაში განლაგებული რუსეთის 643-ე საზენიტო-სარაკეტო პოლკიდან და მომარაგების ნაწილიდან იღებდნენ. ომამდე რუსეთის ამ ნაწილების შეიარაღება შედგებოდა ათასი ავტომატის, 18 ტყვიამფრქვევის, ნახევარი მილიონი ვაზნისა და რამდენიმე ჯავშანმანქანისაგან.[18] უცნობი რჩება, თუ რამდენი გაიყიდა აქედან ან გადაეცა აფხაზურ მხარეს. უფრო მეტიც, არსებობს აზრთა სხვაობა იმის თაობაზე, გუდაუთაში დისლოცირებული რუსული ნაწილები როდის ასრულებდნენ პირდაპირ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ბრძანებებს და როდის მოქმედებდნენ დამოუკიდებლად.[19]

ნებისმიერ შემთხვევაში, დახმარება მნიშვნელოვანი იყო. ზვერევის თანახმად, ის ფაქტი, რომ კონფლიქტის ზონაში გამოიყენეს 100 000 ნაღმი, მაშინ, როდესაც ომამდე აფხაზეთში ნაღმების საწყობები არ ყოფილა, მიუთითებს რუსეთის დახმარების მასშტაბებზე. მიხეილ დემიანოვმა საქართველოს ტელევიზიისათვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ იარაღი აფხაზურ მხარეს უფასოდ გადაეცემოდა.[20] აფხაზი ისტორიკოსი სტანისლავ ლაკობა,

---

[17] Lakoba, p. 21.

[18] Evgeny Kozhokin, "Georgia–Abkhazia" in Jeremy R. Azrael and Emil A. Payin eds., *U.S. and Russian Policymaking with Respect to the Use of Force* (Santa Monica, CA: Rand Corporation, 1996), ციტირებულია რობერტ სილის მიერ წიგნში *Russo–Chechen Conflict 1800–2000: A Deadly Embrace* (London: Frank Cass, 2001), p. 192.

[19]საერთაშორისო ორგანიზაცია *ზე ხიუმან რაიტს უოტჩი* თავის მოხსენებაში "ომი თუ მშვიდობა? ადამიანის უფლებები და რუსეთის ჩარევა "ახლო საზღვარგარეთში" აკეთებს შემდეგ შეფასებას: "რთულია იმის განსაზღვრა, თუ რა დონეზე გაიცემოდა ნებართვები თუ ბრძანებები... აშკარა კი ის არის, რომ რუსეთის მთავრობამ არ გამოიძია, არაფერი რომ არ ითქვას სისხლის სამართლის დევნაზე, კრიმინალური ფაქტებია, რომლებიც გულისხმობდა მაღალი დონის თანამონაწილეობას". იხილეთ: http://www.hrw.org/reports/1993/russia/.

თავის მხრივ, ამტკიცებს, რომ აფხაზებმა კი არ მიიღეს, არამედ იყიდეს რუსეთის სამხედროებისაგან ნაღმების დიდი ნაწილი, მსუბუქი იარაღი და მძიმე შეიარაღებაც. 1993 წლის თებერვალში რუსეთის სამხედრო თვითმფრინავებმა დაბომბეს ქართული პოზიციები. 1993 წლის 19 მარტს ქართულმა ძალებმა ჩამოაგდეს ავიაგამანადგურებელი "სუ-27", რომელსაც მართავდა რუსეთის პილოტი. ეს ეპიზოდი დაადასტურეს გაეროს სამხედრო დამკვირვებლებმა და მოგვიანებით აღიარა რუსეთის მხარემაც. მისი მტკიცებით, ამ ფრენის მიზანი რუსეთის სტრატეგიული ობიექტების დაცვა იყო.[21] 1993 წლის მარტში გაზეთმა "იზვესტიამ" პირველად დაადასტურა, რომ აფხაზეთმა რუსეთის სამხედრო მრჩევლებისაგან აქტიური დახმარება მიიღო და აფხაზებისათვის გადაცემული შეიარაღების ჩამონათვალი გამოაქვეყნა.[22]

როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, აფხაზურ ძალებს საკმაოდ დიდი სამხედრო დახმარება გაუწია კავკასიის ხალხთა კონფედერაციის მიერ ორგანიზებულმა, ჩრდილო კავკასიიდან ჩასულმა ათასობით მოხალისემ და დაქირავებულმა. ჩრდილოეთ კავკასიის მოხალისეების მონაწილეობა, რომლებიც, აფხაზური წყაროების მიხედვით, შეადგენდნენ მთელი აფხაზური ძალების დაახლოებით 10 პროცენტს, უფრო მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო აფხაზური მხარისათვის, ვიდრე რუსეთის სამხედრო—ტექნიკური დახმარება.[23] სწორედ ამიტომ მიიღეს მათ, შტაბის უფროსის, თავდაცვის მინისტრის მოადგილისა და სამხედრო-საზღვაო შტაბის უფროსის საკვანძო თანამდებობები აფხაზურ ძალებში.

ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის სამხედრო მონაწილეობის ხასიათის მიუხედავად, არ არსებობს ისეთი მტკიცებულებები, რომელთა საფუძველზეც შეიძლება ითქვას, რომ კონფლიქტი დაგეგმა და განახორციელა მოსკოვმა. ასეთი განცხადებები კი ხშირად გაისმის

[20] "ომი თუ მშვიდობა?", გვ. 5.

[21] Красная Звезда, 23 марта 1993 г., с. 1.

[22] «Абхазские войска штурмуют Сухуми: Шеварднадзе обвиняет Россию в агрессии», Известия, 17 марта 1993 г., ციტირებულია *Seely*-ს მიხედვით, გვ. 193. სიაში შედიოდა 72 ტანკი, რუსეთის სადესანტო ბატალიონი, 20 ჯავშანმანქანა, "გრადის" სარაკეტო დანადგარები, "ურაგანის" სარაკეტო დანადგარები და 12 საარტილერიო ერთეული რუსეთის ოფიცრებთან ერთად, რომლებიც იყვნენ 10-კაციანი ქვედანაყოფების მეთაურები.

[23] Lakoba, p. 19.

ქართული პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლების მხრიდან. არდა ამისა, გადაუჭრელი რჩება საკითხი, მოახდინა თუ არა გადამწყვეტი გავლენა რუსეთის მონაწილეობამ კონფლიქტის დინამიკაზე.[24] საქართველოს დამარცხების ასეთი რუსოცენტრისტული ინტერპრეტაციის შემდეგ ყურადღებას არ აქცევენ აფხაზეთის მოსახლეობის უპრეცედენტო მობილიზაციას, რომელიც შიშობდა ეროვნული გადარჩენის თაობაზე და ამის გამო ბრძოლის უფრო ძლიერი მოტივაცია გააჩნდა, ვიდრე ქართველი მეომრების უმრავლესობას. გაზვიადებულია აფხაზების გამარჯვებისათვის საჭირო გარე მხარდაჭერის დონეც, თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ მიუხედავად ომამდე რუსეთის რეგიონული სარდლობისგან მიღებული დახმარებისა, ქართული ძალები არაორგანიზებული, უდისციპლინო და გაუწვრთნელი იყვნენ. ამასთან, ისინი, ვინც კონფლიქტში ბრალს სდებენ რუსეთს, მიდრეკილი არიან, უარყონ ადგილობრივი აფხაზური ძალების არსებობა, მათი ინტერესები და მოტივაციები. 1996 წელს გია ნოდია წერდა, რომ აფხაზებს "უყურებდნენ არა, როგორც საკუთარი უფლებებისათვის მებრძოლებს, არამედ, როგორც "მათთან", რუსებთან მიმხრობილებს "ჩვენ", ქართველების წინააღმდეგ".[25] იური ანჩაბაძე შენიშნავს, რომ "ქართული მხარის დაჟინებული ძალისხმევა, გამოიყვანოს რუსეთი ერთადერთ დამნაშავედ, ომში მათი დამარცხების გამართლების სურვილს ნიღბავს და ქართველების მიერ იმ საკუთარი როლისა და შეცდომების ადეკვატური შეფასების შესაძლებლობას ამცირებს, რომელმაც საქმე 1992-1993 წლების ტრაგიკული მოვლენების ესკალაციამდე მიიყვანა".[26]

---

[24] თუმცა, ზოგიერთი ქართული წყარო ამტკიცებს, რომ შესაძლებელია რუსეთის მონაწილეობა გადამწყვეტიც ყოფილიყო. ავტორთან საუბრისას ჯაბა დევდარიანი ციტირებდა ქართულ მტკიცებულებებს იმის შესახებ, რომ აფხაზურმა ძალებმა განაახლეს შეტევა სოხუმზე სოჭის შეთანხმების შემდეგ, იყენებდნენ რა მძიმე არტილერიას, რომელიც, წესით, გამოყვანილი უნდა ყოფილიყო ცეცხლის ხაზიდან და მისი საკეტები "*ზატვორები*" შესანახად ჩაბარებოდა რუსეთის სარდლობის მეთვალყურეობის ქვეშ. თუ ვივარაუდებთ, რომ სოხუმის შტურმის წინ რუსმა მეთაურებმა დააბრუნეს არტილერია, მაშინ მათ შეეძლოთ გადამწყვეტი გავლენა მოხდენათ ომის ერთ-ერთ საბედისწერო ეპიზოდზე.

[25] Ghia Nodia, "Political Turmoil in Georgia and the Ethnic Policies of Zviad Gamsakhurdia," in Coppieters, ed., *Contested Borders in the Caucasus*, p. 84.

[26] Anchabadze, pp. 86-87.

სამხედრო კონფლიქტის დასასრული და შიდა დებატები რუსეთში

კონფლიქტში რუსეთის მთავარ პოლიტიკურ წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს 1993 წლის 27 ივლისს ქართული და აფხაზური მხარეების მიერ ქ. სოჭში ხელმოწერილი შეთანხმება, რომელიც ცეცხლის შეწყვეტას და აფხაზეთის დემილიტარიზაციას გულისხმობდა. სოჭის შეთანხმების შესაბამისად, ქართულმა მხარემ დაიწყო თავისი ძალების გამოყვანა და შიდა გადაადგილებული პირების ნაწილი სახლებში დააბრუნა. კონფლიქტის ორივე მხარის განიარაღების მიზნით რუსეთის თავდაცვის მინისტრმა გრაჩოვმა აფხაზეთში ორი რუსული სამხედრო ბრიგადის განლაგების წინადადება წამოაყენა, მაგრამ საქართველომ უარი თქვა ამ წინდადებაზე და, როგორც ევგენი პრიმაკოვმა აღნიშნა, მოგვიანებით ინანა ასეთი გადაწყვეტილების მიღება.[27] ქართველი ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი კი, რომელიც ესწრებოდა რუსეთის წარმომადგენლის სერგეი შოიგუს მედიატორობით ჩატარებულ მოლაპარაკებებს სოჭში, ბიჭვინთასა და გუდაუთაში, ამტკიცებს, რომ რუსეთის მხარე ყოველთვის აშკარად პროაფხაზურ პოზიციაზე იდგა და ქართულ მხარეზე ძლიერ ზეწოლას ახდენდა.[28] შოიგუ ითხოვდა სოხუმსა და სხვა დიდ ქალაქებში რუსეთის სამხედრო ხელისუფლების (*კომენდატურების*) განლაგებას, მაგრამ საქართველოს წარმომადგენელმა ჟიული შარტავამ უარი განაცხადა ამ წინადადებაზე.[29]

1993 წლის 27 სექტემბერს აფხაზეთის ძალებმა სოხუმი ქართული ჯარისაგან "გაათავისუფლეს". რამდენიმე საათით ადრე, ვიდრე

---

[27] Primakov, p. 417.

[28] შოიგუს კავშირები აფხაზეთის ოფიციალურ პირებთან გრძელდებოდა კონფლიქტის შემდეგაც. მან ნოდარ ხაშბა, რომელიც წარმოადგენდა აფხაზურ მხარეს სოჭის მოლაპარაკებებში დანიშნა მაღალ თანამდებობაზე თავის საგანგებო სიტუაციების სამინისტროში, სადაც ხაშბა მსახურობდა 2004 წლამდე. შემდეგ იგი გააგზავნეს უკან, აფხაზეთში რუსეთის ინტერესების წარმოსადგენად 2004 წლის საკამათო არჩევნების დროს აფხაზეთის დროებითი პრემიერ-მინისტრის რანგში.

[29] პაატა ზაქარეიშვილი. "იყო თუ არა იარაღი ფქვილის ტომრებში?" — "რეზონანსი", 9 ოქტომბერი, 2004 წ.

აფხაზები ქალაქზე კონტროლს დააწესებდნენ, სოხუმიდან თავად შევარდნაძის ევაკუაცია გახდა საჭირო. საქართველოს პრეზიდენტმა მოსკოვს პროტესტი განუცხადა აფხაზური ძალების მიერ სოჭის შეთანხმების დარღვევის გამო, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. ფაქტობრივად, სოხუმის მოვლენები დაემთხვა დიდ პოლიტიკურ კრიზისს მოსკოვში – წინააღმდეგობას პრეზიდენტ ელცინსა და უზენაეს საბჭოს შორის, როდესაც მთავრობამ ძალა გამოიყენა რუსეთის "თეთრ სახლში" დარჩენილი ოპოზიციურად განწყობილი პარლამენტარების ნაწილის წინააღმდეგ.

შედეგად, სოხუმისათვის ბოლო ბრძოლის დროს ქართველების რუსეთისადმი მიმართვა დახმარების თაობაზე უპასუხოდ დარჩა. ერთადერთი პასუხი მოსკოვიდან 20 სექტემბერს მოვიდა, როცა მოსკოვმა აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები შემოიღო.

ქართული წყაროები ამტკიცებენ, რომ რუსეთის ჯარები აფხაზებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ სოხუმის იერიშზე. ზოგიერთები კი დარწმუნებული არიან, რომ რუსულმა ნაწილებმა სოხუმზე იერიში აფხაზურ ჯარებზე წინ მიიტანეს. აფხაზური მონაცემების მიხედვით კი, რუსეთის დახმარება მხოლოდ იმით შემოიფარგლა, რომ გრაჩოვმა უარი განაცხადა აფხაზების შეტევის შესაჩერებლად რუსეთის ჯარის გამოყენებაზე.[30] ლაკობა თვლის, რომ ამ შემთხვევაში საომარი მოქმედებები დაიწყებოდა რუსეთსა და აფხაზეთს შორის (ჩრდილოეთ კავკასიის მოხალისეების მონაწილეობით) და ნაკლებად სავარაუდოა, მათ მოსკოვის ჩარევითაც კი უკან დაეხიათ.[31] ქართული სამხედრო ძალებისა და სამოქალაქო პირების გაქცევის შემდეგ, 30 სექტემბრისათვის, აფხაზური ძალები აფხაზეთისა და საქართველოს რეგიონის —სამეგრელოს გამყოფ მდინარე ენგურამდე ჩავიდნენ.

საქართველო დამარცხებით შოკირებული იყო და იმედოვნებდა, რომ მოსკოვისა და საერთაშორისო საზოგადოებისადმი მიმართვით შეცვლიდა ომის შედეგებს. მოსკოვის მხრიდან მრავალთვიანი ზეწოლის შედეგად, 1993 წლის 9 ოქტომბერს, საქართველო, ბოლოს და ბოლოს, შეუერთდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანა-

[30] Zverev, p. 54.
[31] Lakoba, p. 31.

მეგობრობას (დსთ-ს), ხედავდა რა მასში რუსეთის დახმარებით აფხაზეთში სტატუს—კვოს აღდგენის შესაძლებლობას. მაგრამ მოსკოვი დაეხმარა შევარდნაძეს საქართველოს სამოქალაქო ომში მხოლოდ ზვიად გამსახურდიას და არა — აფხაზეთის წინააღმდეგ. ჩეჩნეთიდან საქართველოში გამსახურდიას დაბრუნების შემდეგ ზვიადისტებმა თანდათანობით დაიკავეს დასავლეთ საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი, იმუქრებოდნენ რა თბილისზე შეტევით და გამსახურდიას სახელმწიფოს მეთაურის პოსტზე დაბრუნებით. დსთ-ის ოქტომბრის შეთანხმების თანახმად, რუსეთის ძალებმა დაამყარეს კონტროლი ცენტრალურ მაგისტრალებზე და შევარდნაძის მომხრეებს აჯანყების ჩახშობაში გადამწყვეტი დახმარება გაუწიეს. თვითონ გამსახურდია დასავლეთ საქართველოში 1993 წლის 31 დეკემბერს გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

ამავე დროს აფხაზეთის პრობლემის გადაჭრის საქმეში არანაირი პროგრესი არ იყო. 1993 წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოსკოვი ზეწოლას ახდენდა აფხაზეთსა და საქართველოზე, რათა ისინი კონფლიქტის განახლებისაგან გადაერწმუნებინა. ჟენევასა და მოსკოვში შეხვედრების შემდეგ პოლიტიკური დიალოგი ჩიხში მოექცა. 1994 წლის 4 აპრილს მოსკოვში გარკვეული გარღვევა მოხდა. ორივე მხარემ — როგორც აფხაზეთის, ისევე საქართველოს წარმომადგენლებმა რუსეთისა და ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენციის (ეუთკ) ოფიციალური პირების და აგრეთვე გაეროს გენერალური მდივნის წარმომადგენლების თანდასწრებით, ბოლოს და ბოლოს, ხელი მოაწერა დეკლარაციას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური დარეგულირების შესახებ. აგრეთვე გაფორმდა შეთანხმება ლტოლვილებისა და შიდა გადაადგილებული პირების ნებაყოფლობითი დაბრუნების თაობაზე, იმათი გამოკლებით, ვინც სამხედრო დანაშაულობებში იყო ჩარეული.[32]

სანამ რუსი მედიატორები მოსკოვის შეთანხმებაზე მუშაობდნენ, პრეზიდენტი ელცინი და მისი სამხედროები ცდილობდნენ რუსეთის სტრატეგიული ინტერესების განხორციელებას უშუალოდ შევარდ-

[32] ორივე დოკუმენტი გამოქვეყნებულია ნაშრომში: Jonathan Cohen, ed.,“ A Question of Sovereignty: The Georgia–Abkhazia Peace Process,” *Accord*, issue 7 (September 1999), pp. 66–69, http://www.c-r.org/accord/geor-ab/accord7/index.shtml.

ნაძის მთავრობასთან, რომელიც მნიშვნელოვნად შესუსტებული იყო აფხაზეთში დამარცხების გამო. 1994 წლის 3 თებერვალს ელცინი ჩავიდა თბილისში და ხელი მოაწერა ხელშეკრულებას საქართველოსთან მეგობრობის, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ. თავდაცვის მინისტრმა პაველ გრაჩოვმა და საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ოთარ ფაცაციამ კი ხელი მოაწერეს ოქმს, რომელიც რუსეთს 25 წლის ვადით საქართველოში სამი სამხედრო ბაზის შექმნის უფლებას აძლევდა.[33] მათი განლაგება გათვალისწინებლი იყო ვაზიანში, ახალქალაქსა და ბათუმში, გუდაუთისა და სოხუმის განყოფილებებთან ერთად. სამაგიეროდ, მოსკოვი დათანხმდა საქართველოს გაეწია სამხედრო-ტექნიკური დახმარება და დაადასტურა რომ რუსეთი მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ ერთიანობას.

1994 წლის 17 თებერვალს სახელმწიფო დუმის დსთ-ის საქმეთა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტმა ამ ორ შეთანხმებასთან დაკავშირებით ჩაატარა სპეციალური მოსმენა, სადაც ელცინი გააკრიტიკა იმის გამო, რომ ხელი მოაწერა შეთანხმებას ჯერ კიდევ მიმდინარე კონფლიქტის ერთ მხარესთან. მოსმენაზე გაირკვა, თუ რატომ იყვნენ უკმაყოფილონი კანონმდებლები. ისინი ეწინააღმდეგებოდნენ იმას, რომ რუსეთმა საქართველოს ტერიტორიული ერთიანობა აღიარა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის რაიმე გარანტიების გარეშე და ამტკიცებდნენ, რომ ასეთმა ცალმხრივმა მიდგომამ შეიძლება საქმე იქამდე მიიყვანოს, რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი დაკარგავენ ნდობას რუსეთის მიმართ და შეარყევენ მის, როგორც შუამავლის, როლს, რაც კონფლიქტის ორივე მხარისათვის მისაღებია.

დეპუტატები განსაკუთრებით აღაშფოთა შეთანხმების მე-3 მუხლმა, რომელიც გულისხმობდა რუსეთის დახმარებას საქართველოს შეიარაღებული ძალების შექმნაში, მათ შორის — ტექნიკისა და შეიარაღების მიწოდებაში. სახელმწიფო დუმის დსთ-ის საქმეთა კომიტეტის 1994 წლის 3 თებერვლის (ხელშეკრულების ხელმოწერის დღე) სპეციალურ განცხადებაში ნათქვამია, რომ ამ მუხლმა "შეიძლება სახიფათო დესტაბილიზაცია გამოიწვიოს კავკასიასა და

[33] *Zverev*, p. 9.

თვით რუსეთში". იქვე აღნიშნულია, რომ საქართველოსთვის იარაღის გადაცემა შეიძლება იყოს მიჩნეული, როგორც რუსეთის მხრიდან საქართველოს ხელისუფლების მიერ ძალის გამოყენების წახალისება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე კონტროლის აღდგენის მიზნით. კანონმდებლებმა აგრეთვე სადავო გახადეს თავდაცვის სამინისტროს მტკიცება იმის შესახებ, რომ რუსეთის სამხედრო დახმარება და მომზადება გააძლიერებს რუსეთის სამხედრო გავლენას საქართველოში. დაბოლოს, მათ გამოთქვეს შიში, რომ საქართველო სუსტ და დაცალკევებულ მდგომარეობაში იმის გარანტიას ვერ უზრუნველყოფს, რომ რუსეთის შეიარაღება და ტექნიკა არ ჩავარდება მესამე ძალის ხელში და მაგალითად მთიანი ყარაბახი მოიყვანეს.

მათი შემოდავება ამით არ ამოწურულა. რუსეთის ნაკისრ ვალდებულებაში — დახუროს თავისი საზღვრები, რათა სამხედრო მოქმედებების განახლების შემთხვევაში არ დაუშვას ჩრდილოეთ კავკასიიდან მოხალისეების შეღწევა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ისინი აფხაზეთის მიმართ საქართველოს მიერ ძალის გამოყენების წახალისებას ხედავდნენ. მათ გააკრიტიკეს აფხაზურ კონფლიქტში გაეროს მზარდი როლი, რადგან დსთ-ის ფუნქციის შესუსტება შენიშნეს. გამოითქვა შიში საქართველოში რუსეთის სამხედრო ბაზების შესახებ გრაჩოვისა და ფაცაციას მიერ ხელმოწერილი ოქმის გარშემო, აგრეთვე საქართველოს მიერ არაკონტროლირებად ტერიტორიაზე — აფხაზეთში რუსეთის ბაზების ფუნქციონირების უზრუნველყოფის უნარის გამო.

აფხაზეთის მიმართ პოლიტიკასთან დაკავშირებით 1994 წლის თებერვალში გაკეთებული დუმის განცხადებები წარმოადგენდა გარდატეხის წერტილს რუსეთის შიდა პოლიტიკურ დებატებში. 1994 წლამდე საქართველოსა და აფხაზეთში რუსეთის მთავრობას შეეძლო თავისი პოლიტიკის გატარება პოლიტიკური ოპოზიციის გარეშე, მიუხედავად ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონული ელიტის პროტესტებისა, რომლის გავლენა უმნიშვნელო იყო. ამიტომ აფხაზეთის ომის დროს დომინირებდნენ ძირითადად პროქართული პოლიტიკური ელიტა მოსკოვში, მათ შორის თვით ელცინი და განხეთქილებაში მყოფი სამხედროები, რომლებიც როგორც საქართველოს, ისე აფხაზეთსაც ეხმარებოდნენ. 1994 წლის შემდეგ მთავრობა აღმოჩნდა აფხაზური ინტერესების დამცველი სახელმწიფო დუმის ზეწოლის ქვეშ. 90-იან

წლებში დუმა ინარჩუნებდა ამ როლს, იმისდა მიხედვით, თუ როგორ კარგავდა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მიმართ ინტერესს მთავრობა. მაშასადამე, პარლამენტი იყო მთავარი ძალა, რომელიც აყალიბებდა საზოგადოებრივ და რუსეთის ელიტის აზრს კონფლიქტის შესახებ. შედეგად, საზოგადოებრივი აზრი იხრებოდა აფხაზეთთან ახლო ურთიერთობების სასარგებლოდ და "არამეგობრული" საქართველოს საწინააღმდეგოდ.

დუმის ოპოზიციასთან შეჯახებისას ელცინმა გადაწყვიტა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტების დარეგულირებამდე მეგობრობის, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შესახებ ხელშეკრულება სარატიფიკაციოდ არ გადაეცა. შესაბამისად, ეს ხელშეკრულება არც ყოფილა რატიფიცირებული სახელმწიფო დუმის მიერ. ეს რომ 1994 წელს მომხდარიყო, მას შეეძლო რუსულ-ქართული ურთიერთობების ხასიათი და აფხაზეთში მოვლენათა დასასრული შეეცვალა.

სამართლებრივი ჩარჩოების არარსებობისას რუსეთის მთავრობა მაინც შეუდგა საქართველოს ტერიტორიაზე სამხედრო ბაზების შექმნას, რაც ხუთი წლის შემდეგ რუსულ-ქართული ურთიერთობების დაძაბულობის მთავარ წყაროდ იქცა. გაურკვეველი რჩება, შეასრულა თუ არა მოსკოვმა საქართველოს წინაშე ვალდებულებები სამხედრო დახმარებასთან დაკავშირებით, თუმცა სამხედრო ტექნიკის მიწოდებას ადგილი ჰქონდა, ქართველი ოფიცრების მცირე ნაწილის მომზადებასთან ერთად. დუმის რეკომენდაციების მიუხედავად, რუსეთის მთავრობა დათანხმდა გაეროს შუამავლის როლზე და კონფლიქტის ზონაში გაეროს დამკვირვებელთა მისიის განლაგებაზე; მაგრამ მოსკოვი შეეცადა გაეროს შევიწროებას, მის უკანა პლანზე დაყენებას (მარგინალიზაცია) და თბილისსა და სოხუმს შორის მთავარ მედიატორად ყოფნას. ამის განსახორციელებლად ის დსთ-ის მანდატის ქვეშ რუსეთის სამშვიდობოების ყოფნას და სოხუმთან განსაკუთრებულ ურთიერთობებს ეყრდნობოდა. ეს ურთიერთობები, ფორმალური ემბარგოს მიუხედავად, განვითარდა, რადგან რუსეთის გავლენიანი ჯგუფები სიტუაციაში — "არც ომი და არც მშვიდობა" — ნაყოფიერ ნიადაგს ხედავდნენ აფხაზეთში თავიანთი ეკონომიკური ინტერესებისა და პოლიტიკური ამბიციების რეალიზაციისათვის.

რუსეთის სამშვიდობოეები და გაერო

1994 წლის 14 მაისს საქართველომ და აფხაზეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას ცეცხლის შეწყვეტისა და მოწინააღმდეგე მხარეების გამიჯვნის შესახებ.[34] შეთანხმება გაეროს ეგიდითა და რუსეთის ფედერაციის ხელშეწყობით დაიდო. მის შესრულებაზე დაკვირვებისათვის იგი ითვალისწინებდა დსთ-ის ძალების განლაგებას.[35] 1994 წლის 9 ივნისს პრეზიდენტმა ელცინმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციებში რუსეთის შეიარაღებული ძალების მონაწილეობის შესახებ. 21 ივნისს რუსეთის სამშვიდობო ძალები (ერთადერთი სამშვიდობო ძალები, რომლებიც ახორციელებენ დსთ-ის მანდატს კონფლიქტის ზონაში) განლაგდნენ უსაფრთხოების "ჩრდილო" (კოდორის ხეობის ქვედა ნაწილი) და "სამხრეთ" (მდინარე ენგურზე) ზონებში.

ამავე დროს საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა (სგდმ), რომელიც 1993 წლის აგვისტოდან იმყოფებოდა კონფლიქტის ზონაში ცეცხლის დროებითი შეწყვეტის შესახებ ხელშეკრულების შესრულების კონტროლის მიზნით, დავალებული ჰქონდა მოსკოვის შეთანხმების შესრულებაზე დაკვირვება და დსთ-ის სამშვიდობო ძალებზე მონიტორინგი. 1994-2004 წლებში ამ ძალების შემადგენლობაში შედიოდა 30 ათასზე მეტი სამხედრო მოსამსახურე. მათგან მოვალეობის შესრულების დროს დაიღუპა 97 და დაიჭრა 251. დღეს დსთ-ის სამშვიდობო ძალების რუსეთის კონტინგენტი შეადგენს 1700 სამხედრო მოსამსახურეს. 2004 წელს საქართველოს გაეროს დამკვირვებელთა მისიის შემადგენლობაში შედიოდა 114 სამხედრო დამკვირვებელი 23 ქვეყნიდან.[36]

---

[34] Cohen, ed., pp. 69–70.

[35] 1994 წლიდან, დსთ-ის მანდატით, მხოლოდ რუსეთის ძალები წარმოადგენდნენ ამ სამშვიდობო ძალის ნაწილს.

[36] იხ. http://www.unomig.org; 2003 წლის ოქტომბრისათვის საქართველოს გაეროს დამკვირვებელთა მისიის ოპერაციების საერთო ღირებულება შეადგენდა 1,5 მილიარდ აშშ დოლარს. *Report of the Secretary-General toSecurity Council*, 17/10/03, S/2003/1019, p. 7. 2003 წლისათვის დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციების ღირებულება შეადგენდა 490 მილიონ აშშ დოლარს. იხ. *The Military Balance, 2003–2004* (London: The International Institute for Strategic Studies, 2003).

დსთ-ის სამშვიდობო ძალების ზონები სიგრძეში 85 და სიგანეში 24 კილომეტრია და ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორივე მხარეზეა გაშლილი. მასში შედის 22 სადამკვირვებლო და 4 საკონტროლო პოსტი. გარდა ამისა, რუსეთის სამშვიდობოები გაეროს დამკვირვებლებთან ერთად რეგულარულად პატრულირებენ კოდორის ხეობის ქვედა ნაწილში, ჰაერიდან აკვირდებიან კოდორის ხეობის ზედა ნაწილს და აკონტროლებენ დემილიტარიზებულ ზონაში მძიმე შეიარაღების ნებისმიერ გადაადგილებას. რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატი, რომელიც, ქართული მხარის მუდმივი კრიტიკის მიუხედავად, 1994 წლიდან არ შეცვლილა, ითვალისწინებს ცეცხლის შეწყვეტის რეალიზაციას და შეიარაღებული კონფლიქტის განახლების აღკვეთას. მართალია, სამშვიდობოების ნაწილი განლაგებულია გალის რაიონში, მაგრამ მათ იქ პოლიტიკური ოპერაციების ჩატარების პირდაპირი მანდატი არ გააჩნიათ.

1994 წლის ზაფხულში რუსეთის ოფიციალური პირები შეეცადნენ, აფხაზური მხარე დაეთანხმებინათ აფხაზეთში, ძირითადად კი გალის რაიონში, შიდა გადაადგილებული პირების დიდი ჯგუფების დაბრუნებაზე. სამშვიდობოები მზად იყვნენ, მათთვის უსაფრთხოების გარანტია მიეცათ, მაგრამ აფხაზური მხარე ამტკიცებდა, რომ ეს მათ მანდატში არ შედიოდა და დაჟინებით მოითხოვდა ლტოლვილთა ეტაპობრივ დაბრუნებას. აფხაზეთის ხელისუფლება იმუქრებოდა, რომ წინააღმდეგობას გაუწევდა რუსეთის სამშვიდობოებს, თუკი ისინი ხელს შეუწყობდნენ ქართველთა დიდი ჯგუფების დაბრუნებას. 1994 წლის 14 სექტემბერს აფხაზური ძალები უსაფრთხოების ზონაში შევიდნენ და რუსეთის სამშვიდობოები აიძულეს უკან დაეხიათ.[37] მაშინ, როდესაც აფხაზები თვლიდნენ, რომ საკითხი მათ სასიცოცხლო ინტერესებს ეხებოდა, მსგავსი ინციდენტები მოსკოვის მიერ აფხაზეთის პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის შესაძლებლობის შეზღუდულობის დემონსტრირებას ახდენდა. უთანხმოება ლტოლვილების დაბრუნების ვადებსა და მასშტაბებზე მოსკოვსა და სოხუმს შორის დაძაბულობას იწვევდა. ცხადია, რომ მოსკოვს ძალის გამოყენებით დამუქრება შეეძლო, მაგრამ ეს ცალსახად კონფლიქტის განახლებასა და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ 1993 წლის სექტემბრის

[37] Lakoba, p. 37.

შეთანხმებასთან დაკავშირებით რუსეთის მთავრობის უდავო პრიორიტეტის დარღვევას მოასწავებდა.

ამდენად, დსთ-ის სამშვიდობო ძალების განლაგების შემდეგ საქართველოს მთავრობა მივიდა დასკვნამდე, რომ რუსეთის ხელისუფლება არ აპირებდა აფხაზურ მხარეზე ისეთ ზეწოლას, რომელიც აიძულებდა შიდა გადაადგილებული პირების შესახებ აპრილის შეთანხმებების დაცვას. პირიქით – რუსეთის სამშვიდობოების როლმა სწრაფი ტრანსფორმაცია განიცადა: ქართული და აფხაზური მოსახლეობის თანდათანობითი რეინტეგრაციის ნაცვლად, მათ შორის გათიშულობა უფრო გაღრმავდა.[38] ეს გახდა მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველო მუდმივად ეძებდა მშვიდობის შენარჩუნებისათვის ძალისხმევის ინტერნაციონალიზაციის გზებს, თუმცა ეს ცდები წარუმატებელი აღმოჩნდა. აფხაზეთში რუსეთის სამშვიდობო ძალების განლაგებიდან რამდენიმე თვის შემდეგ პრეზიდენტ ელცინის კურთხევით რუსმა სამხედროებმა ჩეჩნეთში ჯოხარ დუდაევის წინააღმდეგ სამხედრო მოქმედებები დაიწყეს და რუსეთი მოულოდნელად გაჭიანურებულ სისხლიან კონფლიქტში ჩააბეს, რისთვისაც ის მოუმზადებელი აღმოჩნდა. ომმა ჩეჩნეთში რუს პოლიტიკოსებს სულ უფრო გაურთულა მეზობელი ქვეყნების სეპარატისტული რეჟიმების მხარდაჭერა. ამ პირველი ჩეჩნური ომის მოვლენებმა დააახლოვა საქართველოსა და რუსეთის ეროვნული ინტერესები. ახსოვდა რა ომში აფხაზური ჯარის მხარეზე ჩეჩენთა აქტიური მონაწილეობა, პრეზიდენტმა შევარდნაძემ მხარი დაუჭირა რუსეთის სამხედრო კამპანიას ჩეჩნეთის სეპარატიზმის წინააღმდეგ. მოსკოვი, თავის მხრივ, დაეთანხმა ქართველების მოთხოვნას, დაეწესებინა აფხაზეთის უფრო მასშტაბური ბლოკადა მას შემდეგ, რაც 1993 წლის დეკემბერში შემოღებული თავდაპირველი ბლოკადა მოიხსნა მდინარე ფსოუს სასაზღვრო საგუშაგოზე შეზღუდული გასასვლელის გახსნის გამო.

1994 წლის დეკემბერში რუსეთმა კვლავ დაკეტა თავისი საზღვარი მდინარე ფსოუზე, აფხაზეთის მოსახლეობის ერთადერთი სახმელეთო კავშირი გარე სამყაროსთან. სახმელეთო და საზღვაო ბლოკადასთან ერთად რუსეთმა აფხაზეთს სატელეფონო კავშირიც შეუწყვიტა და უარი

[38] Dov Lynch, “Managing Separatist States: A Eurasian Case Study,” *EU-ISS Occasional Papers*, no. 32, (November 2001), p. 17.

თქვა აფხაზურ ენაზე გაფორმებული საბჭოთა პასპორტების ცნობაზე.[39] მოგვიანებით მან მხარი დაუჭირა დსთ-ის ქვეყნების მეთაურების მიერ 1996 წლის 31 იანვარს მიღებულ გადაწყვეტილებას აფხაზეთის წინააღმდეგ ეკონომიკური ემბარგოს შემოღებისა და იარაღის მიწოდების აკრძალვის შესახებ.[40] აფხაზეთის იზოლაციის ეს პოლიტიკა 1999 წლამდე გაგრძელდა. 1999 წელს კი მოსკოვმა გახსნა საზღვარი და ამით ვაჭრობა და საზღვრის გადაკვეთა გაადვილა. სანქციების პოლიტიკამ აფხაზეთის მთავრობას დათმობებისაკენ არ უბიძგა. ბლოკადამ ვერ აიძულა სოხუმი თბილისთან უფრო მჭიდრო კონტაქტები მოეძია და ვერ შეცვალა მისი პოზიცია პოლიტიკური სტატუსის შესახებ; მეტიც, მან აფხაზეთის პოზიციის გამკაცრებას შეუწყო ხელი.

კონფლიქტის დასაწყისიდან აფხაზურსა და ქართულ ხელმძღვანელობას შორის პოლიტიკური დიალოგის ხელშეწყობის მიზნით რუსეთი ყოველ ღონეს ხმარობდა და დღესაც განაგრძობს ძალისხმევას. პროცესი, რომელსაც გაერო ხელმძღვანელობს, ამ დიალოგის მთავარი ღერძი გახდა. რუსეთის მხარდაჭერითა და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თავმჯდომარეობით 1997 წელს შეიქმნა საკოორდინაციო საბჭო. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო) და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი (რომლის შემადგენლობაში შედიან საფრანგეთი, გერმანია, შეერთებული შტატები, გაერთიანებული სამეფო და რუსეთი) ჩართულები იყვნენ როგორც დამკვირვებლები. საკოორდინაციო საბჭომ შექმნა სამი სამუშაო ჯგუფი: უსაფრთხოებასა და სამხედრო მოქმედებების განუახლებლობის, შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნებისა და ეკონომიკურ და სოციალურ საკითხებზე. არდა ამისა, 1997–1999 წლებში რუსეთმა მოაწყო რამდენიმე შეხვედრა პრეზიდენტ შევარდნაძისა და აფხაზეთის პრეზიდენტ ვლადისლავ

[39] Lakoba, p. 38.

[40] იმის გამო, რომ არ არსებობს დამოუკიდებელი შეფასება, რთულია იმის თქმა, სრულდებოდა თუ არა ეს სანქციები. ცალკეული მონაცემების მიხედვით, სანქციების რეჟიმის ჩაშლას ხელს უწყობდა ვაჭრობა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე, როგორც ზღვით (თურქეთისა და რუსეთის გემების დახმარებით), განსაკუთრებით – თვით საქართველოსთან სასაზღვრო ვაჭრობით, რომელშიც მონაწილეობას იღებდნენ თავდაცვის აფხაზური რაზმებიც და ზუგდიდის რაიონიდან ეგრეთ წოდებული ქართველი პარტიზანებიც კი.

არძინბას შორის, ასევე შეხვედრები ორივე მხრიდან მაღალჩინოსანი წარმომადგენლების მონაწილეობით. მოსკოვი ფიქრობდა, რომ მსგავსი პირდაპირი მოლაპარაკებები ხელს შეუწყობდა ჩიხიდან გამოსვლას. ამ მიზნით თბილისს ფედერალურ მოდელზე დათანხმებას სთავაზობდა და აფხაზეთისათვის ასიმეტრიულ ფედერაციაში განსაკუთრებული სტატუსის შეთავაზებას ითხოვდა. ამავე დროს მოსკოვი აშკარად აგრძნობინებდა სოხუმს, რომ მას დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ან რუსეთის ფედერაციის წევრად გახდომის რაიმე პერსპექტივა არ ჰქონდა. მაგრამ პროგრესის მიღწევამდე, სულ მალე, პროცესი ახალმა კრიზისმა შეწყვიტა.

1998 წლის მაისში გალის რაიონში, სადაც ბევრი ქართველი დაბრუნდა და სადაც მდინარე ენგურის გასწვრივ რუსი სამშვიდობოები მხარეებს შორის გამყოფ ხაზს პატრულირებდნენ, ბრძოლებმა იფეთქა. ეს ბრძოლები პროვოცირებული იყო ქართველი გასამხედროებული ფორმირებების მიერ, რომლებმაც ცეცხლის შეწყვეტის ხაზი გადაკვეთეს და ასევე აფხაზური ძალების მიერ, რომლებმაც უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით ქართველების წინააღმდეგ ოპერაცია წამოიწყეს. ევგენი პრიმაკოვი თავის მემუარებში ამტკიცებს, რომ შევარდნაძე აქციის მზადების შესახებ ინფორმირებული არ იყო, თუმცა ამ კამპანიებში მონაწილე გასამხედროებული დაჯგუფებები "თეთრი ლეგიონი" და "ტყის ძმები" დახმარებას ქართული სახელმწიფო სტრუქტურებისგან იღებდნენ.[41] ასობით ადამიანი იქნა მოკლული, 20 000-ზე მეტი ქართველი, რომლებიც ცოტა ხნის წინ თავიანთ სახლებს დაუბრუნდნენ, კვლავ გადაადგილებული გახდა, 1500 სახლზე მეტი კი, რომელთა დიდი ნაწილი გაეროს პროგრამის მიხედვით იქნა აღდგენილი, დაანგრიეს. რუსეთის სამშვიდობოებმა ვერ უზრუნველყვეს ქართული მოსახლეობის სათანადო დაცვა, მაგრამ უსაფრთხოების ზონაში ორივე მხრიდან მძიმე შეიარაღების შემოყვანას ხელი შეუშალეს. რუსეთის ამ ნაბიჯმა ხელი შეუწყო ძალადობის ლოკალიზებას და ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების რეჟიმთან დაბრუნებას.[42]

[41] *Примаков*. Годы в большой политике, с. 414. იმ დროს პრიმაკოვი იყო რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი.
[42] *Примаков*. Годы в большой политике, с. 413.

აფხაზეთში ძალადობის გამოყენებაზე რუსეთის რეაქცია არ ითვალისწინებდა იძულებით ზომებს. რუსეთის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, თვლიდა რა მთავარ ამოცანად კონფლიქტის განუახლებლობას, ყოველგვარი რისკის თავიდან ასაცილებლად, თავის სამშვიდობოებს ჩარევის უფლება არ მისცა. უფრო მეტიც, რუსეთის თავშეკავება და სამშვიდობო მანდატის პოლიციურზე ან სხვა ფორმაზე შეცვლის სურვილის უქონლობა პრიმაკოვმა იმით ახსნა, რომ ასეთი მანდატი გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ უნდა ყოფილიყო დამტკიცებული. დსთ-ს კი ამის გაკეთება არ შეეძლო. იგი ამბობს, რომ მანდატის მსგავსი შეცვლა ალბათ რუსეთის სამშვიდობოების უფრო მეტ მსხვერპლს გამოიწვევდა (1998 წლის მოვლენების დროს რუსეთის ჯარებმა დაკარგეს 60 ადამიანი).[43] პრიმაკოვი აშკარად მიგვანიშნებს, რომ მანდატის ნებისმიერი შეცვლა რუსეთის ხელმძღვანელობისა და საზოგადოებრივი აზრისათვის პოლიტიკურად მიუღებელი იქნებოდა.

1998 წლის გალის რაიონის მოვლენების შემდეგ რუსი სამშვიდობოების მიერ ქართული მოსახლეობის დაცვის სურვილის არქონით აღშფოთებულმა საქართველოს მთავრობამ დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატის გაფართოების მოთხოვნები განაახლა შიდა გადაადგილებული პირების უსაფრთხო დაბრუნების მიზნით და არა მხოლოდ გალის რაიონში. საქართველომ აგრეთვე განაცხადა, რომ, თუ რუსეთი უარს იტყვის მანდატის გაფართოებაზე, მაშინ მისი ჯარები მრავალეროვანი სამშვიდობო ძალებით უნდა შეიცვალოს. უკრაინამ მზადყოფნა გამოთქვა მონაწილეობის მიღებაზე, მაგრამ მხოლოდ გაეროს უშიშროების საბჭოს მანდატით და გარედან დაფინანსების პირობით.[44] რუსეთის წინააღმდეგობის გათვალისწინებით, გაერომ და ეუთომ გადაწყვიტეს არ განიხილონ კონფლიქტის ზონაში ალტერნატიული სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესაძლებლობა. 2003 წლის 16 ივლისს საქართველოს პარლამენტმა დაავალა მთავრობას, მიმართოს უშიშროების საბჭოს, რომ აფხაზეთის წინააღმდეგ გაეროს წესდების მე-7 მუხლის გამოყენების ნება

[43] იხ. *Dmitry Danilov*. Role of Russia in *Cohen, ed.*, p. 55.

[44] "The Georgian Ambassador Suggests Internationalizing the Abkhazia Peacekeeping Operation," *Interfax Military News Bulletin*, July 15, 2003, http://www.interfax.com.

დართოს.[45] საქართველოს ხელმძღვანელობას ესმოდა, რომ გაერო ამას არ დაამტკიცებდა, ეს დავალება არშეასრულა.

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის თავდაჯერებულმა პოლიტიკამ, მისმა თანამშრომლობამ აფხაზეთთან, განსაკუთრებით ადგილობრივი ელიტის დონეზე და აფხაზეთში შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნების სურვილის არქონამ, თბილისში სულ უფრო დიდი იმედგაცრუება გამოიწვია. მეტიც, შევარდნაძემ მოსკოვი დაადანაშაულა ორჯერ მისი სიცოცხლის ხელყოფის ორგანიზებაში.[46] თავის მხრივ, 1998 წლის ივლისში გალის სექტორში ხუთი რუსი სამშვიდობოს ნაღმზე აფეთქებას რუსეთის სასტიკი რეაქცია მოჰყვა. ქართველმა პოლიტიკოსებმა კი ეს შემთხვევა იმისათვის გამოიყენეს, რომ სამშვიდობოები ორი თვით ადრე გალის რაიონში ქართველი მოქალაქეების დაღუპვისას გამოჩენილ გულგრილობაში დაედანაშაულებინათ. საქართველომ გამოაცხადა თავისი განზრახვა დსთ-ის კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან გამოსვლის თაობაზე და წამოაყენა რუსეთის სამხედრო ბაზების დახურვის მოთხოვნა. ფართო საერთაშორისო მხარდაჭერით, 1999 წელს თბილისმა მოსკოვისაგან ბაზების დახურვის ვალდებულებას მიაღწია, როგორც ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღებული ძალების შესახებ ხელშეკრულების მოდიფიკაციის წინასწარ პირობას, რის მიღწევასაც რუსეთი ნატოს გაფართოების შემდეგ დაბეჯითებით ცდილობდა. ოქტომბერში სტამბულში, ეუთოს სამიტზე, რუსეთ-საქართველოს ერთობლივ განცხადებას ბაზების დახურვის შესახებ ხელი მოაწერეს.

საქართველოს სულ უფრო მჭიდრო კავშირები შეერთებულ შტატებთან და ნატოსთან, მოსკოვში აღქმული იყო როგორც რუსეთის გაგდების ცდა სამხრეთ კავკასიიდან – რუსეთის გავლენის ტრადიციული სფეროდან. შედეგად, რუსეთის პრესის კომენტარები და რუსეთის პარლამენტის განცხადებები საქართველოს მიმართ სულ უფრო მტრული ხდებოდა.

---

[45] "Georgian Parliament Wants UN to Use Force in Abkhazia," *Interfax Military News Bulletin*, July 16, 2003, www.interfax.com.

[46] See http://encarta.msn.com/encyclopedia_761574966/Shevardnadze_Eduard_A.html.

ელცინის მემკვიდრეობა: ინტერესთა ჯგუფების მეტოქეობა

1996 წელს ელცინი მისი ხელახალი არჩევისა და ჩეჩნეთში პირველი ომის დამთავრების შემდეგ დიდხანს ავადმყოფობდა და უმოქმედოდ იყო. იგი ყურადღებას არ აქცევდა აფხაზეთის კონფლიქტს. საინტერესოა, რომ თავის მემუარებში, რომლებიც მოიცავს 1997-2000 წლებს, ბევრს ლაპარაკობს დსთ-ზე, მაგრამ აფხაზეთს არ ახსენებს.[47] როგორც ჩანს, რუსეთის პოლიტიკა მიმართული იყო სტატუს-კვოს "გაყინვაზე"—"არც ომი და არც მშვიდობა" ფორმულის შესაბამისად. მოსკოვი ისევ მხარს უჭერდა საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, განაგრძობდა რა აქტიურ ურთიერთობას აფხაზეთის არაღიარებულ ხელისუფლებასთან.

1997-1999 წლებში მოსკოვის პოლიტიკა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში გამოირჩეოდა უკიდურესი შეუთანხმებლობით. პოლიტიკური კომპეტენციები დელეგირებული იყო სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფებზე და თითოეულ მათგანს საკუთარი ხაზი ჰქონდა. ფორმალურად საგარეო საქმეთა სამინისტრო ხელმძღვანელობდა პოლიტიკურ პროცესს, მაგრამ 1998 წელს ბორის ბერეზოვსკიმ, გავლენიანმა ოლიგარქმა, რომელიც მოგვიანებით რუსეთის უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი და დსთ-ის მდივანი გახდა, იკისრა შუამავლის როლი. სწორედ ბერეზოვსკიმ მოაწყო შევარდნაძისა და არძინბას შეხვედრა თბილისში 1997 წლის აგვისტოში. მისი სტრატეგია გულისხმობდა რუსეთისათვის ხელსაყრელ ეკონომიკურ პოლიტიკას, რომელიც ერთდროულად "ხელს შეუწყობდა კონფლიქტის მხარეებს შორის ნდობის აღდგენას". ერეზოვსკიმ მათ აფხაზეთის გავლით ნავთობსადენის გაყვანა, ვაჭრობის ინტერესებიდან გამომდინარე, რკინიგზის მოძრაობის აღდგენა და მდინარე ფსოუზე სასაზღვრო-გამშვები პუნქტის გახსნა შესთავაზა. აფხაზი ლიდერები ამით

[47] არ ეხება 1998 წლის გალის მოვლენებსაც კი, რომლებმაც ომი თითქმის განახლებამდე მიიყვანა. იხ. *Борис Ельцин*. Президентский марафон // Москва: издательство АСТ, 2000. ელცინი აფხაზეთს მხოლოდ ერთხელ ახსენებს, ისიც აფხაზეთის ტრაგედიის შევარდნაძისეულ აღქმასთან არის დაკავშირებული. იგი წერს: "შევარდნაძე ყოველთვის ატარებს საკუთარ თავში აფხაზური ტრაგედიის ტკივილს". გვ. 190.

დაინტერესდნენ, მაგრამ ქართულმა მხარემ უარი თქვა ეკონომიკურ საკითხებზე ეწარმოებინათ მოლაპარაკებები, თუ ისინი შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნების შესახებ შეთანხმებასთან არ იქნებოდა დაკავშირებული. რუსეთის ალტერნატიული წინადადება შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნების მექანიზმის შემუშავების თაობაზე თბილისმა არ მიიღო. შედეგად, არც ერთი ეკონომიკური პროექტი არ განხორციელებულა.

მაშასადამე, პოლიტიკური პროცესით რუსულმა საქმიანმა ლობიმ ვერ იხეირა, ძირითადად იმიტომ, რომ ნებისმიერ მსხვილ პროექტს ორივე მხარის თანხმობა სჭირდება. და მაინც, რუსული რეგიონული ელიტა აფხაზეთში სულ უფრო შესამჩნევ როლს თამაშობდა, განსაკუთრებით ეკონომიკის სფეროში. მათ მიეკუთვნებოდნენ მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი, თათრეთის რესპუბლიკის ლიდერები, რეგიონული ჩინოსნები ჩრდილოეთ კავკასიიდან და სხვა ნაციონალური ამბიციების მქონე მოღვაწეები. იგნორირებას უკეთებდნენ რა ეკონომიკური სანქციების რეჟიმს, რომელმაც 1998 წლისათვის უკვე მნიშვნელოვანწილად ზიანი მიაყენა სასაზღვრო ვაჭრობას, ისინი აქტიურად ამყარებდნენ კავშირებს აფხაზეთთან. მაგალითად, აფხაზეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებებს ადიღეის, ყაბარდო-ბალყარეთის, თათრეთის რესპუბლიკებთან, კრასნოდარის ოლქთან, როსტოვის ოლქთან და ჩრდილოეთ ოსეთ-ალანიის რესპუბლიკასთან. თუმცა ეს შეთანხმებები არ გულისხმობდა აფხაზური სახელმწიფოებრიობის ფორმალურ პოლიტიკურ ან სამართლებრივ აღიარებას, მიუხედავად ამისა, ისინი აფხაზეთს დსთ-ის ბლოკადის გვერდის ავლასა და იზოლაციიდან გამოსვლაში დაეხმარნენ. აფხაზეთის პარტნიორები იყვნენ რეგიონები და რესპუბლიკები რეალური ეკონომიკური ინტერესებით აფხაზეთში და მათი ხელმძღვანელობის პოლიტიკამ საზოგადოების ფართო მხარდაჭერა მოიპოვა.

რეგიონული მთავრობების გარდა, ემბარგოს წინააღმდეგ მნიშვნელოვან როლს ის პოლიტიკური ელიტა თამაშობდა, რომელსაც აფხაზეთში ძლიერი კავშირები ჰქონდა. დსთ-ის საქმეთა და დუმის თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტის 1997 წლის ყოველწლიური ანგარიში რუსული თემების კონგრესის აფხაზეთის განყოფილებასთან (რუსეთის გავლენიან პოლიტიკურ ორგანიზაციასთან) სხვადასხვა შეთანხმების შესახებ, რასაც ხელს აწერდა დუმის მიერ დაფინანსებული თანამემამულეთა საბჭოს მდივანი ლ. ნ. სმირნოვი, ფართო ინფორმაციას

შეიცავს. შეთანხმებები ეხებოდა აფხაზეთიდან რუსეთში მინერალური სასუქების, ციტრუსებისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის ექსპორტს. მოხსენებაში აგრეთვე არის მითითება რუსეთის მთავრობის სპეციალურ ბრძანებულებაზე (1397) აფხაზეთიდან რუსეთის ფედერაციაში ციტრუსების ტრანსპორტირების ნებართვის შესახებ. მიუხედავად იმისა, რომ ეს კავშირები შეზღუდული იყო და მცირე გავლენა მოახდინა აფხაზეთის მოსახლეობის ცხოვრებაზე, რომელიც ეკონომიკური ბლოკადის პირობებში გადარჩენას ცდილობდა, მათ პროაფხაზური პოლიტიკური ლობის გაძლიერება შეძლეს რუსეთის მთავრობასა და კერძო დაინტერესებულ ჯგუფებს შორის, რომლებიც უკანონო, მაგრამ სარფიან ვაჭრობას ეწეოდნენ გავლენიან აფხაზურ ჯგუფებთან თანამშრომლობით. ეს აშკარად ჩანდა სახელმწიფო დუმის დსთ-ის საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარის მიერ რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროში გაგზავნილი წერილიდან, რომელშიც ის მოუწოდებდა მთავრობას, მხარი დაეჭირა აფხაზეთის მოსახლეობისთვის, მათ შორის — რუსეთის მოქალაქეებისათვის, ვაჭრობასა და რუსეთ-აფხაზეთის საზღვარზე გადაადგილების შეზღუდვების შერბილების მეშვეობით. ამავე დროს ეს წერილი აფხაზეთის ხელისუფლებას უბიძგებდა რუსეთის მოქალაქეებისათვის აფხაზეთში უძრავი ქონების შეძენისა და ეკონომიკაში კაპიტალდაბანდებების ხელშემწყობი პირობების შექმნისაკენ.

მაშასადამე, მეზობელი რუსული რეგიონების გარდა, რუსეთის დუმაც ცდილობდა შეენარჩუნებინა მინიმალური თანამშრომლობა აფხაზეთთან, მაშინ, როდესაც ოფიციალური მოსკოვი ჩეჩნეთის ომში პირველი დამარცხების შემდეგ კავკასიის მიმართ ნაკლებ ინტერესს იჩენდა. 1996-1999 წლებში ასეთი პოლიტიკური როლის თამაშის შესაძლებლობა სახელმწიფო დუმას მთავრობისა და თვით პრეზიდენტის სისუსტის გამო ჰქონდა. დუმა იმ ადგილად რჩებოდა, სადაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესახებ ძირითადი პოლიტიკური დებატები ტარდებოდა. 1997 წლის 8 აპრილს დსთ-ის საქმეთა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტმა ჩაატარა ამიერკავკასიის რეგიონში რუსეთის პოლიტიკისადმი მიძღვნილი დახურული მოსმენა, რომელსაც საკვანძო სამინისტროების წარმომადგენლები ესწრებოდნენ, მათ შორის საგარეო საქმეთა, თავდაცვისა და ეკონომიკის უწყებებიდან. ამ თათბირის

შედეგებიდან თვალნათლივ ჩანდა, თუ რა დილემის წინაშე აღმოჩნდა რუსეთი. კომიტეტის განცხადება ხაზს უსვამდა რუსეთის ეროვნული უშიშროებისა და ეკონომიკის ინტერესებისათვის მოცემული რეგიონის მნიშვნელობას და აღიარებდა, რომ აფხაზეთში სამხრეთ ოსეთსა და მთიან ყარაბახში კონფლიქტების დარეგულირების გარეშე მშვიდობა შეუძლებელია და რუსეთის გრძელვადიანი ინტერესების რეალიზება არ მოხდება. მაშასადამე, რუსეთმა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის გადაწყვეტის საქმეში მთავარი როლი უნდა ითამაშოს. მაგრამ განცხადებაში კონსტატირებული იყო, რომ ამის მიღწევა რთულია, როდესაც ორივე მხარე სულ უფრო ხშირად ბრალს სდებს რუსეთს სიტუაციის ჩიხში მოქცევის გამო და აქტიურად ეძებს სხვა გარე მოთამაშეების, მათ შორის ნატოს მხარდაჭერას.

თავის განცხადებაში დუმის კომიტეტმა მოითხოვა, რომ რუსეთის მთავრობას გამოეჩინა უფრო მეტი ძალისხმევა მოლაპარაკებების მიმართ და გააფრთხილა, რომ, თუ ახლო მომავალში რუსეთი ვერ აღმოფხვრის კრიზისს, მაშინ დაზარალდება კონფლიქტის მხარეებს შორის მისი, როგორც მთავარი შუამავლის, როლი. განცხადებაში აისახა დილემა, რომელიც დღესაც აქტუალური რჩება. თუ რუსეთი ხელს შეუწყობს კონფლიქტის დარეგულირებას, მაშინ ის დაკარგავს გეოპოლიტიკურ მონოპოლიას აფხაზეთში, მაგრამ, თუ არ იქნება მიღწეული პროგრესი და რუსეთი ჩაითვლება სუსტ სახელმწიფოდ, რომელიც ცდილობს შეინარჩუნოს სტატუს-კვო, ბოლოს და ბოლოს, უფრო ენერგიული მოთამაშეები, რომლებიც მზად არიან შეავსონ შექმნილი ვაკუუმი, მას ჩრდილში დააყენებენ.

როგორ უნდა იმოქმედოს რუსეთმა? დუმის კომიტეტი აცხადებს, რომ რუსმა მედიატორებმა მოლაპარაკებები უნდა წარმართონ ორივე მხარის თანასწორობის საფუძველზე, გადადონ რა აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის რთული პრობლემა და ყურადღება გაამახვილონ, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური კავშირების განახლებაზე. აფხაზეთსა და რუსეთს შორის სასაზღვრო ვაჭრობის შეზღუდვა უნდა მოიხსნას იმ შემთხვევაში, თუ აფხაზეთის ხელისუფლება ხელს შეუწყობს ლტოლვილების დაბრუნებას. ამავე განცხადებით რუსი სამშვიდობოების (დსთ-ის სამშვიდობო ძალები) მხრიდან ლტოლვილების მიმართ ნებისმიერი გარანტიები უნდა უკავშირ-დებოდეს სარკინიგზო მიმოსვლის განახლებასა და საქართველოსა და აფხაზეთს შორის სასაზღვრო შეზღუდვების შერბილებას. 90-იანი წლების

ბოლოდან 2003 წლის მარტში სოჭის შეთანხმებამდე ეს პრინციპები რუსეთის პოლიტიკის საფუძველი გახდა. მაშასადამე, ელცინის ხელისუფლებაში მეორე ვადით ყოფნის დროს სახელმწიფო დუმა იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომელიც გავლენას ახდენდა საზოგადოებრივ აზრზე და იმ წინადადებებს შეიმუშავებდა, რომლებიც ამ მშფოთვარე რეგიონში მთავრობის პოლიტიკას ედო საფუძვლად.

პუტინის პოლიტიკა: ომი ჩეჩნეთში და აფხაზეთთან თანამშრომლობის განახლება

1999 წლის 9 აგვისტოს ელცინმა პუტინი რუსეთის პრემიერ-მინისტრად დანიშნა. პუტინმა დაუყოვნებლივ დაიკავა მკაცრი პოზიცია ჩეჩნეთის მიმართ. 2000 წლის აგვისტოში, მოსკოვსა და ვოლგოდონსკში საცხოვრებელი სახლების აფეთქებების სერიისა და აგრეთვე მეზობელ დაღესტნის რესპუბლიკაში ჩეჩენი მებრძოლების შეიარაღებული შეჭრის შემდეგ, რუსეთმა ჩეჩნეთში მეორე ომი დაიწყო.

პირველი ომისაგან განსხვავებით, რომელმაც რუსეთისა და საქართველოს პოზიციები ერთმანეთთან დააახლოვა აფხაზეთის სეპარატიზმთან დამოკიდებულებით, მეორე ომმა მათ ორმხრივ ურთიერთობებში არსებული კრიზისი გააღრმავა. მიზეზი იყო ის, რომ საქართველოს მთავრობა, სავარაუდოდ, მოსკოვის მიმართ ფართოდ გავრცელებული მტრობით ხელმძღვანელობდა, არა მხოლოდ ეწინააღმდეგებოდა რუსეთის სამხედრო ძალის გამოყენებას ჩეჩნეთში, არამედ, მოსკოვის აზრით, შეგნებულად აძლევდა თავშესაფარს ჩეჩენ მებრძოლებს. ამან ერთბაშად შეცვალა რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთის მიმართ.

1999 წლის სექტემბერ-დეკემბერში ათასობით ლტოლვილმა, ჩეჩნეთში მძიმე ბრძოლების გამო დატოვა თავიანთი სახლები და მთის ბილიკებით გადავიდა საქართველოში, პანკისის ხეობაში – ქისტებით (ჩეჩნებთან მონათესავე ეთნიკური ჯგუფი) დასახლებულ რეგიონში. მოსკოვი ამტკიცებდა, რომ, ბავშვებისა და ქალების გარდა, საზღვარი მებრძოლებმაც გადაკვეთეს და მათ პანკისის ხეობაში სავარჯიშო ბაზები შექმნეს. შიშობდა რა, რომ ჩეჩნეთის კონფლიქტი გავრცელდებოდა მის ტერიტორიაზე, საქართველომ უარი განაცხადა

მოსკოვის მოთხოვნაზე, უფლება მიეცა რუსეთის ჯარისათვის ამ რეგიონში ჩეჩნეთის ჯარის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციები განეხორციელებინა. უფრო მეტიც, საქართველოს ხელმძღვანელობამ უარი თქვა იმ ცამეტი ჩეჩნის ექსტრადიციაზე, რომელთაც რუსეთი 2002 წლის ოქტომბრის ბოლოს ითხოვდა. საპასუხოდ, რუსეთმა საქართველოს საჰაერო სივრცე მრავალჯერ დაარღვია.[48] 2002 წლის სექტემბერში კი პუტინი დაემუქრა საქართველოში მყოფ ჩეჩნებზე პრევენციული საჰაერო დარტყმის შესაძლო მიყენებით, რასაც თავდაცვის უფლებით ამართლებდა.[49]

რუსეთ-საქართველოს ურთიერთობების გაუარესებამ აფხაზეთში რუსეთის პოლიტიკური ორიენტაციის შეცვლა გამოიწვია. მრავალწლიანი შეზღუდული კავშირების შემდეგ პუტინმა აფხაზეთთან ურთიერთობები განაახლა. მოსკოვმა საპრეზიდენტო არჩევნებისა და რეფერენდუმის ჩატარებას უსიტყვოდ დაუჭირა მხარი, რასაც 1999 წლის ოქტომბერში აფხაზეთის დამოუკიდებლობის გამოცხადება მოჰყვა. ამ ნაბიჯმა თბილისსა და სოხუმს შორის ფედერალური მოდელის თაობაზე პოლიტიკურ მოლაპარაკებებს კარი მიუხურა. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვმა ღიად ვერ აღიარა 1999 წლის რეფერენდუმის შედეგები და ოფიციალურად საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას განაგრძობდა, სოხუმთან ოფიციალური ურთიერთობები უფრო გააფართოვა.

1999 წელს რუსეთმა გახსნა საზღვარი აფხაზეთთან და ამით მის მიერ ადრე შემოღებული ბლოკადა მოხსნა. 2000 წლის დეკემბერში, გამოთქვა რა წუხილი ჩეჩენი მებრძოლების მიერ საზღვრის გადაკვეთის გამო, რუსეთმა ქართველი მოქალაქეებისათვის შემოიღო სავიზო რეჟიმი, მაგრამ შეგნებულად დაუშვა გამონაკლისი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მცხოვრებლებისათვის.საქართველომ ეს აქციები ქართული ტერიტორიის ფაქტობრივ ანექსიად აღიქვა.[50]

---

[48] მიუხედავად იმისა, რომ რუსეთის თავდაცვის სამინისტრო ამ ფაქტებს უარყოფდა, ისინი დადასტურდა ეუთოს დამკვირვებელთა მიერ. OSCE Press Release, August 2, 2002, http://www.osce.org/news/show_news.php?id=2636.

[49] OSCE Press Release, September 13, 2002, http://www.osce.org/news/show_news.php?id=2724.

[50] CSCE Hearing, September 24, 2002, http://www.csce.gov/witness.cfm?briefing_id=232&testimony_id=326.

რუსულ-ქართული ურთიერთობების კიდევ უფრო დაიძაბა, როდესაც საქართველოს უშიშროების ძალები კოდორის ხეობის აფხაზურ ნაწილში შეიჭრნენ. 2001 წლის სექტემბერში ჩეჩენი მებრძოლები, რუსლან გელაევის მეთაურობით, რომელიც მანამდე კარგა ხანს იმყოფებოდა პანკისის ხეობაში, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაწილეობით გადაისროლეს კოდორის ხეობაში, საქართველო-აფხაზეთის საზღვარზე. გელაევს აფხაზეთის გავლით ჩეჩნეთში შესვლა ჰქონდა განზრახული, თუმცა ეს ორი რეგიონი ერთმანეთს არ ემიჯნება და, მაშასადამე, შემოვლითი გზა აფხაზეთის გავლით, როგორც ჩანს, წინასწარ დაგეგმილი იყო და არა შემთხვევითი მარშრუტი. შესაძ-ლებელია, რომ საქართველოს ხელისუფლებას განზრახული ჰქონდა აფხაზეთში სიტუაციის დესტაბილიზაცია. გელაევმა (რიგი ცნობების მიხედვით – ქართული გასამხედროებული ფორმირებების მხარდაჭერით) რამდენიმე თავდასხმა განახორციელა კოდორში. ამ ინციდენტებმა მკვეთრად დაძაბა ურთიერთობა საქართველოსა და აფხაზეთს შორის და ახალი ომის დაწყების მუქარა გაისმა. რუსეთმა მხარი დაუჭირა აფხაზების მოთხოვნას კოდორის ხეობიდან ქართული ჯარის გაყვანის თაობაზე (გაეროს დამკვირვებლებმა დაადასტურეს, რომ კოდორის ხეობაში 350 ქართველი სამხედრო იყო განლაგებული). გარდა ამისა, შიშობდა რა გელაევის ჯგუფის რუსეთის ტერიტორიაზე შეღწევის გამო, რუსეთი აფხაზეთს ამ თავდასხმების მოგერიებაში დაეხმარა. რუსეთის თვითმფრინავმა "სუ-25"-მა დაარღვია საქართველოს საჰაერო სივრცე და ის ადგილები დაბომბა, სადაც გელაევის რაზმთან ბრძოლები მიმდინარეობდა. კოდორში რუსეთმა განალაგა კიდეც მცირერიცხოვანი ჯარი (იგი 2002 წლის აპრილში გაიყვანა). კრიზისი გაგრძელდა რამდენიმე თვე – 2002 წლის თებერვლამდე, როდესაც ქართულმა ჯარმა დატოვა კოდორი. ამის შემდეგ ქვედა კოდორში განახლდა რუსი სამშვი-დობოებისა და გაეროს სამხედრო დამკვირვებლების ერთობლივი პატრულირება.

მოვლენებმა პანკისსა და კოდორში საკვანძო როლი ითამაშეს კონფლიქტის მიმართ რუსეთის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში. პუტინის პრეზიდენტობის პირველ წლებში რუსეთის პოლიტიკის პრიორიტეტებში საქართველოსთან და აფხაზეთთან ურთიერთობები ბევრად უფრო მნიშვნელოვანი გახდა. იმ დროს, როდესაც საქართველოსთან ურ-თიერთობები კრიზისიდან კრიზისამდე ვითარდებოდა და არცთუ

იშვიათად ღია კონფლიქტის ზღვრამდე მიდიოდა, აფხაზეთთან მოსკოვი აქტიური ურთიერთთანამშრომლობის პოლიტიკას ატარებდა. აფხაზეთის მხარდაჭერა ჩეჩნეთის მეორე ომში რუსეთის მიერ გამოცხადებული "გამარჯვების" შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა, თუმცა სამხედრო კამპანიამ საყოველთაო პოლიტიკურ გადაწყვეტილებამდე ვერ მიიყვანა და რუსეთისაგან ჩეჩნეთის წარმატებული გამოყოფის პერსპექტივა შემცირდა. შედეგად, რუსეთს უკვე აღარ აშინებდა ის, რომ მის მიერ სხვა ადგილებში სეპარატისტული რეჟიმებისადმი მხარდაჭერას თვით რუსეთში ექოსავით გამოეხმაურებოდნენ. 2003 წლის დეკემბერში ქართულ-აფხაზულ კონფლიქტში რუსეთის პოლიტიკაზე პუტინმა გააკეთა შემდეგი განცხადება:

ცოტა ხნის წინ რუსეთის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნება ერთ-ერთ ყველაზე მთავარ, მწვავე და პრიორიტეტულ ამოცანას წარმოადგენდა, მაგრამ ახლა ეს პრობლემა ძირითადად გადაჭრილია. თუ ამ პრინციპებით მივუდგებით, არ შეგვიძლია უარი ვუთხრათ ჩვენს მეზობლებს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების უფლებაზე. ტერიტორიული კონფლიქტების გადაწყვეტით დაინტერესებული მხარეები უნდა შეთანხმდნენ, რუსეთი კი ამ შეთანხმებების გარანტად გამოვა. ჩვენ ყურადღებით ვადევნებთ თვალს სიტუაციებს სეპარატისტულ რესპუბლიკებში, მხარს ვუჭერთ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და ისეთ გადაწყვეტილებებს მივიღებთ, რომ ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანების ინტერესები არ დაზარალდეს.[51]

პუტინის განცხადებაში აღნიშნულია მიზნების სამი ჯგუფი, რომლებიც დღემდე აქტუალურია: პირველი, აფხაზეთის მიმართ საკუთარი უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, მოსკოვი, უპირველეს ყოვლისა, ჩრდილოეთ კავკასიაში თავის პოლიტიკას აფუძნებს. შესაბამისად, მთავარ ამოცანად აფხაზეთში კონფლიქტის განუახლებლობა რჩება. ამის შუქზე, აფხაზეთთან ეკონომიკური კავშირების აღდგენა და მოსახლეობის ცხოვრების შემსუბუქება განიხილება, როგორც რეგიონში სტაბილურობის გარანტი. მეორე, ოფიციალურად რუსეთი განაგრძობს საქართველოს ტერიტორიული

[51] RosBusinessConsulting Information Agency, December 18, 2003, http://top.rbc.ru/arc.shtml?2003/12/18.

მთლიანობის მხარდაჭერას იმ პირობით, რომ ქართულ-აფხაზურ დიალოგში მოსკოვი მთავარი შუამავლის როლს იკისრებს და შეთანხმების მიღწევის შემთხვევაში რუსეთი მისი გარანტი იქნება. მესამე, რუსეთი არ ხედავს წინააღმდეგობას მის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის იდეის მხარდაჭერასა და აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან განვითარებად ეკონომიკურ და პოლიტიკურ ურთიერთობას შორის.

რუსეთის პოლიტიკის სტრატეგიულ დასაბუთებაში, პოლიტიკური და ეკონომიკური მოტივების გარდა, უმნიშვნელოვანეს როლს გეოპოლიტიკური მოსაზრებები თამაშობს. პუტინის პრეზიდენტობის დროს სამხრეთ კავკასიაში მზარდი ამერიკული და მოგვიანებით – ევროპული დასწრების გამო შეშფოთება მკვეთრად გაიზარდა. მიუხედავად იმისა, რომ თვითონ თავს იკავებდა აფხაზეთის მიმართ უფრო ფართო გეოპოლიტიკურ მოსაზრებებთან რუსეთის პოლიტიკის დაკავშირებისგან, რუსეთის პოლიტიკური ელიტა, მათ შორის პარლამენტარები და თავდაცვისა და უშიშროების უწყებების თანამდებობის პირები, ხშირად განიხილავდნენ აფხაზეთს თავისებურ ბუფერულ ზონად რუსეთსა და დასავლეთზე სულ უფრო ღიად ორიენტირებულ საქართველოს შორის.[52] მეტიც, ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესების ფონზე, აფხაზეთი და სამხრეთი ოსეთი აღქმული იყვნენ როგორც პოტენციური მოკავშირეები; რაიონები, სადაც რუსეთს ევროპის ან შეერთებული შტატების მხრიდან კონკურენციასთან შეჯახება არ უწევს.

[52] რუსეთის სახელმწიფო დუმის უშიშროების კომიტეტის მრჩეველი გ. კ. ყოლბაია წერდა: "გეოპოლიტიკური რეალობა ისეთია, რომ საქართველო, რომელიც სარგებლობს საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერით, ახორციელებს თანმიმდევრულ ანტირუსულ პოლიტიკას... ამ რთულ გარემოებებში რუსეთს არა აქვს დიდი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს სიტუაციაზე საქართველოში, ამიტომ აფხაზეთზე ქართული კონტროლის არარსებობასაკმაოდ ხელსაყრელია... აფხაზეთი უკვე თამაშობს ბუფერული ზონის როლს, რომელიც რუსეთს მტრული საქართველოსაგან აცალკევებს. ეს კოდორის ხეობაში ქართულ-ჩეჩნური გასამხედროებული ფორმირების განადგურებამ აჩვენა. აფხაზეთის ამ როლის გაძლიერება რუსეთის ინტერესებშია". იხ. "Безопасность России: абхазский рубеж" в: *G.N. Osipov, ed.* Reforming Russia: Realities and Prospects, http://www.duma.gov.ru/search/kmpage/80200016/arc3/public/92.html.

დასავლეთის სამხედრო დახმარება

საქართველოში აშშ-ის სამხედრო ინსტრუქტორების გამოჩენის შემდეგ რუსეთის გეოპოლიტიკური სიფრთხილე გაიზარდა. რეაგირებდა რა ქართულ-რუსული ურთიერთობების გაუარესებაზე და სულ უფრო მეტად შიშობდა, რომ "ალ-ქაიდა" პანკისის ხეობაში ახალ თავშესაფარს იპოვიდა, შეერთებულმა შტატებმა ქართული ჯარისათვის პირდაპირი სამხედრო დახმარება იკისრა. ამერიკელი სამხედრო ინსტრუქტორების განლაგებამ საქართველოში საქართველოს შეიარაღებული ძალების წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის მიხედვით (GTEP), რომლის მიზანი იყო 2 ათასზე მეტი ქართველი სამხედრო მოსამსახურის მომზადება, რისთვისაც გამოიყო 64 მილიონი აშშ დოლარი, რუსეთის სხვადასხვა ნაციონალისტური ძალებისა და საგარეო პოლიტიკური ექსპერტების – "realpolitik" მრისხანე რეაქცია გამოიწვია.[53] GTEP აღქმული იყო როგორც პირდაპირი საფრთხე რუსეთისათვის — კავკასიაში რუსეთის გავლენის შემცირების სიმბოლო; ზოგიერთებმა კი მასში ჩეჩნეთში დასავლეთის ინტერვენციისათვისგადადგმული პირველი ნაბიჯებიც შენიშნეს.

პუტინს, რომელიც ცოტა ხნის წინ ცენტრალურ აზიაში აშშ-ის სამხედრო ბაზების განლაგებას დაეთანხმა, ხელახლა მოუწია ამ რეაქციის შერბილება. ის ისეთი მოუფიქრებელი პასუხის თავიდან აცილებისაკენ მიისწრაფოდა, რომელიც 11 სექტემბრის შემდეგ ჩამოყალიბებულ რუსეთისა და შეერთებული შტატების ანტიტერორისტულ კოალიციას დაემუქრებოდა. ყაზახეთში ვიზიტის დროს პუტინმა გააკეთა განცხადება, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ "GTEP ტრაგედია არ არის და არც შეიძლება, რომ იყოს... რატომ არ შეიძლება ამერიკული ძალები ცენტრალურ აზიაში იყვნენ, საქართველოში კი – არა?" და დაამატა: "ნებისმიერ სახელმწიფოს, კერძოდ კი, საქართველოს, უფლება აქვს იმოქმედოს საკუთარი უსაფრთხოების დაცვის მიზნით. რუსეთი აღიარებს ამ უფლებას".[54]

---

[53] იმ დროს რუსეთის "realpolitik"-ის მომხრეები სხვა იდეოლოგიურ სკოლებს ჭარბობდნენ და სახელმწიფოს მიერ კონტროლირებად მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და პრესაზე განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობდნენ.

[54] "Putin: U.S. Deployment 'No Tragedy,'" *CNN News*, March 1, 2002, http://www.cnn.com/2002/WORLD/europe/03/01/georgia.putin/.

GTEP-ზე რუსეთის რეაქციაში აშკარად იგრძნობოდა გეოპოლიტიკური შეშფოთება, თუმცა კანონზომიერმა შეკითხვებმაც წამოიწიეს ამ პროგრამის პოტენციური ზეგავლენის თაობაზე საქართველოსა და მის სეპარატისტულ რეგიონებს შორის სამხედრო ბალანსზე. აშშ-ისა და საქართველოს ხელმძღვანელობის პირდაპირი დადასტურების მიუხედავად, არ არსებობდა იმის გარანტია, რომ აფხაზეთში ჩიხში შესული პოლიტიკური პროცესის პირობებში, საქართველოს გაზრდილი თავდაჯერებულობა და სამხედრო ძლიერება ძალისმიერი გადაწყვეტილების ახალ მცდელობებად არ გადაიქცეოდა. 2002 წლის მარტში აფხაზეთის პრეზიდენტმა ვლადისლავ არძინბამ მოწოდებით მიმართა შეერთებულ შტატებსა და დასავლეთის ქვეყნებს, აღიარონ, რომ საქართველოსათვის სამხედრო დახმარების გაწევას შეუძლია გაუთვალისწინებელი შედეგების მქონე კონფლიქტის ესკალაციის გამოწვევა. 2003 წლის 11 აპრილს რუსეთის სახელმწიფო დუმამ დაამტკიცა (351 ხმის უმრავლესობით და 1 წინააღმდეგ) რეზოლუცია, რომელიც გმობდა აშშ-სა და საქართველოს შორის შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმებას და გამოთქვა წუხილი იმაზე, რომ აშშ-ის ხელმძღვანელობით მომზადებული სამხედრო ნაწილები შეიძლება გამოიყენონ აფხაზეთის წინააღმდეგ სამხედრო ოპერაციებში.

კრემლი მაინც განაგრძობდა იმის ხაზგასმას, რომ საქართველოსთვის ამერიკის სამხედრო დახმარება რუსეთის ურთიერთობებს ვაშინგტონთან არ გააფუჭებდა. ბუშის ადმინისტრაცია უარს კი ამბობდა GTEP შეჩერების მოსკოვის ნებისმიერ მოთხოვნაზე, თუმცა აცხადებდა იმასაც, რომ ამერიკამ წინასწარ აცნობა რუსეთს ამ პროგრამის შესახებ და სამხრეთ კავკასიის პრობლემა 2002 წლის მაისში მოსკოვში შემდგარ სამიტზე პრეზიდენტების — ბუშისა და პუტინის დღის წესრიგში იყო ჩართული. ამ სამიტზე ორივე პრეზიდენტმა ტრადიციულად დაადასტურა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა და ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში თანამშრომლობის გაგრძელებისათვის მზადყოფნა გამოხატა. გასაკვირი არ არის, რომ სამხრეთ კავკასიაში სტაბილურობით საერთო დაინტერესება კონფლიქტის მიმართ ერთიან მიდგომად არ გადაიქცა. ცხადია, რომ არც შეერთებულმა შტატებმა და არც რუსეთმა მათ ორმხრივ ურთიერთობებში ქართულ-აფხაზური კონფლიქტი კრიტიკულად არ ჩათვალეს.

კამათი სამშვიდობო ძალების შესახებ

პანკისისა და კოდორის მოვლენების შემდეგ ქართულ-რუსულ ურთიერთობებში მზარდმა დაძაბულობამ რუსეთის სამშვიდობო მანდატის გაფართოების თაობაზე ახალი უთანხმოებები გამოიწვია. 2002 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო რეზოლუცია რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შესახებ. სულ მალე, გაეროსა და გენერალური მდივნის "მეგობართა ჯგუფთან" კონსულტაციების შემდეგ, საქართველოში მიხვდნენ, რომ რეალურად თუ იმსჯელებდნენ, არ იყო მოსალოდნელი რუსი სამშვიდობოების ჩანაცვლება საერთაშორისო ძალებით, განსაკუთრებით 11 სექტემბრის შემდეგ, როდესაც უცხოეთის ჯარების სიმცირე აშკარად იგრძნობოდა.[55] შევარდნაძე განუწყვეტლივ ჩიოდა, რომ არსებული სამშვიდობო ოპერაცია ხელს არ უწყობდა კონფლიქტის მოგვარებას, მაგრამ დასავლეთის მთავრობებმა და საერთაშორისო ინსტიტუტებმა 1994 წლის შემდეგ არსებული დსთ-ის სამშვიდობო ოპერაციის სტატუსის ცალმხრივი შეცვლის მცდელობა ერთსულოვნად გადაათქმევინეს.[56] უფრო მეტიც, გაერომ განაცხადა კიდევაც, რომ დსთ-ის სამშვიდობოების გაყვანას მისი საკუთარი დამკვირვებლების გაყვანა მოჰყვება.[57]

მაშასადამე, დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატის ყოველი ნახევარწლიანი გაგრძელება ახლა უკვე სერიოზულად ართულებდა

---

[55] 2002 წლის იანვარში საქართველოს რადიოსადმი მიცემულ ინტერვიუში შევარდნაძემ განაცხადა, რომ 11 სექტემბრის ტერორისტული თავდასხმების შემდეგ ყველა იმ ქვეყანამ, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ აფხაზური კონფლიქტის დარეგულირებაში, მათ შორის შეერთებულმა შტატებმა, რუსეთმა, გერმანიამ, საფრანგეთმა და გაერთიანებულმა სამეფომ გაუმართლებლად ჩათვალეს რაიმე მოთხოვნები რუსი სამშვიდობო ძალების აფხაზეთიდან გაყვანის თაობაზე. იხ. http://www.sakartvelo.info.

[56] 2003 წლის 3 თებერვალს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე იძულებული იყო ეღიარებინა, რომ "რუსი სამშვიდობოები ვერ უმკლავდებიან თავიანთ მოვალეობებს და, სამწუხაროდ, გაეროს უშიშროების საბჭო არ აქცევს ამ ფაქტს სათანადო ყურადღებას." იხ. http://www.una.org.ge.

[57] 30 იანვრის გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციაში, რომელმაც გააგრძელა კონფლიქტის ზონაში გაეროს დამკვირვებელთა მანდატი, ნათქვამია, რომ გადაწყვეტილება მანდატის შეცვლის თაობაზე უნდა იყოს გადასინჯული, თუ დსთ-ის სამშვიდობოების მანდატის შესახებ გადაწყვეტილება არ იქნება მიღებული 2003 წლის 15 თებერვლამდე. იხ. "Abkhazia Situation Fragile," http://una.org.ge.

ქართულ-რუსულ ურთიერთობებს. რუსეთი აცხადებდა, რომ მისი სამშვიდობო ძალები სამართლებრივ ვაკუუმში მოექცნენ. 2001 და 2002 წლების დეკემბერში, როდესაც მანდატის ვადა იწურებოდა, ქართულ მხარეს კვირები და თვეებიც კი დასჭირდა იმისათვის, რომ მისი გაგრძელების თანხმობა მიეცა. მაშინ, როდესაც ქართული მხარე მანდატის შეცვლისათვის იბრძოდა, აფხაზურს მისი შენარჩუნება მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი და იმუქრებოდა, რომ მის გარეშე მიღებულ ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე უარს იტყოდა. დსთ-ის სამშვიდობოების ყოფნა აფხაზეთის ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობის სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. დსთ-ის სამშვიდობო ძალების მანდატი არსებით ზეწოლას არ ახდენდა აფხაზურ მხარეზე ქართველი შიდა გადაადგილებული პირების ფართომასშტაბიან დაბრუნებაზე დათანხმებაში, რასაც რესპუბლიკის შიგნით როგორც დემოგრაფიული, ისე პოლიტიკური წონასწორობის შეცვლა შეეძლო. ყველა ამ მიზეზის გამო აფხაზეთის ხელისუფალნი ხაზს უსვამდნენ, რომ სტატუს-კვოს შეცვლა მძიმე შედეგებს გამოიწვევდა და ამტკიცებდნენ, სამშვიდობო ძალების გაყვანა კონფლიქტს განახლების გარდაუვალობამდე მიიყვანდა.[58]

რუსეთი ღიად არასდროს ეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო საზოგადოებისადმი საქართველოს მოწოდებებს დსთ-ის სამშვიდობო ძალებთან დაკავშირებით, მაგრამ არც არასდროს აცხადებდა, რომ მზად არის სერიოზულად განიხილოს საკუთარი სამშვიდობოების

[58] 2001 წლის დეკემბერში აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრი სერგეი შამბა ითხოვდა მანდატის გაგრძელებას, უსვამდა რა ხაზს, რომ აფხაზური მხარე ფორმატის შეცვლისა და მშვიდობის შენარჩუნების ოპერაციის ინტერნაციონალიზაციის წინააღმდეგ გამოდის. იხ. "Абхазия просит продлить мандат российских миротворцев", http://www.gazeta.ru. 2002 წლის დეკემბერში აფხაზეთის თავდაცვის სამინისტრომ გააფრთხილა, რომ, თუ რუსეთის სამშვიდობოები იძულებული გახდებიან დატოვონ აფხაზეთი, მაშინ აფხაზური ძალები მდინარე ენგურისაკენ წაიწევენ (გარი კუბალბას, აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილის განცხადება). 2003 წლის დეკემბერში აფხაზეთის პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ განაცხადა, რომ რუსეთის სამშვიდობო ძალებს ალტერნატივა არა აქვს და რომ ისინი უნდა დარჩნენ კონფლიქტის ზონაში საქართველოსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობების სრულ ნორმალიზაციამდე. იხ. http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/619609.

გაყვანის საკითხი ან მათ ინტერნაციონალიზაციაზე დათანხმდეს.[59] ასეთი ნაბიჯი რუსეთის გეოპოლიტიკურ ამბიციებს შეასუსტებდა და იმის შიშს გააძლიერებდა, რომ ამან შეიძლება ხელი შეუწყოს ნატოს გამოჩენას რეგიონში (თუმცა ნატო არასდროს გამოხატავდა დსთ-ის სამშვიდობო ძალების ჩანაცვლებისთვის მზადყოფნას). უფრო მეტიც, რუსეთი ფიქრობდა, რომ მისი სამშვიდობო ძალების ყოფნა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში საკუთარ უსაფრთხოებასაც ემსახურებოდა.[60] და ბოლოს, ის რუსი ანალიტიკოსებიც კი, რომლებიც მზად იყვნენ რეგიონში მშვიდობის შენარჩუნების ალტერნატიული ვარიანტები განეხილათ (მაგალითად, ალექსანდრე ნიკიტინი, პოლიტიკური და საერთაშორისო კვლევების ცენტრის ხელმ-ძღვანელი), ამტკიცებდნენ, რომ ახლო მომავალში რუსეთი რეალურად დარჩება კონფლიქტის ზონაში მშვიდობის შენარჩუნების ერთადერთ წყაროდ. ნამდვილად, გაეროს ეგიდით ცალკეული სამშვიდობო ძალების ჩამოყალიბების სურვილი გაეროს წევრებმა არ გამოხატეს და არანაირი პერსპექტივა არ იყო, რომ ეუთო ან – რაც კიდევ უფრო დაუჯერებელია – ესა თუ ის სპეციალურად შექმნილი რეგიონულ ორგანიზაცია (როგორიცაა ГУУАМ) რუსეთის ძალების მიერ გატა-რებული ოპერაციის ალტერნატივის წამოყენებას შეძლებდა.[61]

---

[59] თუმცა 2003 წლის ივლისში რუსეთის ელჩმა საქართველოში, ვლადიმერ ჩხიკვიშვილმა თავის ერთ-ერთ ინტერვიუში განაცხადა, რომ "რუსეთი მზად არის გამოიყვანოს თავისი ძალები ნებისმიერი მხარის პირველივე მოთხოვ-ნისთანავე და ასეთი გამოყვანის გეგმა უკვე მზად არის". იხ. "Абхазский тупик". – *Время новостей*, 27 июля 2003 года.

[60] 2004 წლის ივნისში სახელმწიფო დუმის თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე გენადი გუდკოვმა განაცხადა, რომ "აფხაზეთში 97 რუსი სამხედრო მოსამსახურის დაღუპვის ფასად 10 წლის განმავლობაში შენარჩუნებულია მშვიდობა. ის, რომ აქ [კონფლიქტის ზონაში] მეფობს მშვიდობა - ეს რუსეთისა და რუსული სამშვიდობო კონტინგენტის წყალობითაა. ეს არის ამავე დროს მშვიდობა რუსეთშიც, რადგან ახალი ომი აფხაზეთში ნიშნავს სიტუაციის გამწვავებას თვით რუსეთში". http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/677572.html.

[61] იხ. "Втягивание России в военное решение абхазской проблемы остается наиболее вероятным", http://www.abkhezati.ru/pages/3/315.html.

აფხაზეთის მიმართ რუსეთის პოლიტიკის ახალი ორგანიზაციული ფორმები

ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტობის პირველი ვადის პერიოდში რუსეთის პოლიტიკა მთლიანად დსთ-ის, კერძოდ კი, აფხაზეთის მიმართ, უფრო თანმიმდევრული გახდა, ვიდრე ელცინის დროს. რუსეთში აღმასრულებელი ხელისუფლების ცენტრალიზაციის აღდგენასთან ერთად აფხაზეთის პოლიტიკასთან მიმართებაში დუმის გავლენა საგრძნობლად შემცირდა. საგარეო საქმეთა სამინისტროს გაზრდილ როლთან ერთად პასუხისმგებლობა ისევ სამხედრო უწყებასა და უშიშროების სამსახურებს დაეკისრა.

რუსეთის პოლიტიკურმა და სამხედრო ხელმძღვანელობამ პასუხისმგებლობა გაინაწილეს რუსეთის უსაფრთხოებაზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის შესაძლო გავლენის გამო, განსაკუთრებით ჩრდილოეთ კავკასიასა და ჩეჩნეთთან დაკავშირებით. რადგანაც პუტინის მმართველობისას, განსაკუთრებით კი მისი პრეზიდენტობის მეორე ვადაში, რუსულ-ქართულ ურთიერთობებში უსაფრთხოების პრობლემები დომინირებდა, თავდაცვის მინისტრმა სერგეი ივანოვმა უფრო ხშირად დაიწყო საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის ჩამოყალიბება. პანკისისა და კოდორის კრიზისების დროს საქართველოზე ზეწოლისას პუტინმა რუს სამხედროებს სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. როგორც ზემოთ აღინიშნა, ის პანკისში ჩეჩენი მებრძოლების მიმართ სამხედრო ძალის პრევენციული გამოყენებითაც იმუქრებოდა.

და მაინც, რუს სამხედროებს უკვე აღარ ჰქონდათ აფხაზეთში მოქმედების ისეთი თავისუფლება, როგორიც ელცინის ეპოქაში, აფხაზეთის ომის დროს და უშუალოდ მის შემდეგ. ხანდახან ისინი იძულებული იყვნენ ისეთი გადაწყვეტილებები შეესრულებინათ, რომლებსაც აშკარად არ ეთანხმდებოდნენ; მაგალითად, ეს ეხებოდა 2001 წლის ივლისში ეუთოს სტამბულის შეთანხმებების მიხედვით გუდაუთის სამხედრო ბაზიდან (აფხაზეთი) ჯარისა და შეიარაღების გაყვანას. ანალოგიურად, სამხედროები იძულებულნი იყვნენ საქართველოსთან ამერიკის სამხედრო თანამშრომლობაზე თავიანთი რეაქცია შეერბილებინათ. მაგალითად, 2003 წლის 11 ივლისს, მას შემდეგ, რაც საქართველოს მთავრობამ შეერთებული შტატების

“ავაქსის” ტიპის თვითმფრინავებს საკუთარ საჰაერო სივრცეში ფრენის უფლება მისცა. ამან კი რუსეთში მკვეთრი კრიტიკა გამოიწვია. რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ საჭიროდ ჩათვალა იმ ბრალდებების უარყოფა, რომ ის საპასუხო ზომის სახით აფხაზეთში საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის “C-300”-ის განლაგებას აპირებდა.[62]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ რუსი სამხედროები დამოუკიდებლად ვეღარ მოქმედებენ, ისინი მაინც გავლენიან ძალად რჩებიან. ამ რაიონში დსთ-ის სამშვიდობო ძალებში და გუდაუთის სამხედრო ბაზის დაცვაზე 1700-ზე მეტი რუსი ჯარისკაცი და ოფიცერი მსახურობს. ბევრმა სამხედრო მეთაურმა იქ ქონება შეიძინა და მჭიდრო პირადი ურთიერთობები დაამყარა ადგილობრივ ხელისუფლებასთან. 2004 წლის ივნისში ბაიკალის მხარის სამხედრო ოლქის მეთაურის ყოფილი მოადგილე გენერალი ანატოლი ზაიცევი აფხაზეთის თავდაცვის მინისტრის მოადგილედ დაინიშნა. არსებული ინფორმაციით, რუსი სამხედროები მონაწილეობას იღებენ აფხაზეთის ძალების სამხედრო მომზადებაშიც.

რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს როლი კონფლიქტში პუტინის პრეზიდენტობის დროს გაიზარდა. გარდა იმისა, რომ ის დსთ-ის პოლიტიკაზე აქტიურ გავლენას ახდენს, პუტინის სტრატეგიული საგარეო-პოლიტიკური გადაწყვეტილებების რეალობაში გატარების მთავარი საყრდენიცაა. მოცემული სიტუაცია მკვეთრ კონტრასტშია ელცინის პერიოდთან, როდესაც საგარეო საქმეთა სამინისტრო გავლენისათვის სხვა მოთამაშეებს, მათ შორის ეკონომიკურ ელიტას და თავდაცვის სამინისტროს ებრძოდა. ეს განსაკუთრებით ცხადად იგრძნობოდა რუსეთის პოლიტიკასთან დაკავშირებით დსთ-ის ქვეყნებში. მაშინ საგარეო საქმეთა სამინისტრო ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში უფრო ნეიტრალური იყო, ვიდრე თავდაცვის სამინისტრო ან ეკონომიკური ელიტა, ვინაიდან მის თანამშრომლებს მსგავსი უწყებრივი და პირადი ინტერესები აფხაზეთში არ გააჩნდათ.

2002 წლის აპრილში პრეზიდენტმა პუტინმა საგარეო საქმეთა მინისტრის მაშინდელი მოადგილე ვალერი ლოშჩინინი ქართულ-

[62] “Russia Not Planning to Deploy Air Defence Missile Systems in Abkhazia - Defence Ministry,” *Interfax Military Information Bulletin*, July 15, 2003, http://www.interfax.com.

აფხაზურ კონფლიქტში პრეზიდენტის სპეციალურ წარმომადგენლად დანიშნა. საგარეო საქმეთა სამინისტრო პრეზიდენტთან ერთად რუსული ინიციატივების დაგეგმვასა და განხორციელებასთან ერთად ისეთი საერთაშორისო ინსტიტუტების მოქმედებების კოორდინაციაში თამაშობდა საკვანძო როლს, როგორებიცაა გაერო, ეუთო და "მეგობართა ჯგუფი". ამ ახალმა საორგანიზაციო ფორმამ უფრო ზუსტად შეთანხმებული პოლიტიკის განხორციელების საშუალება მისცა, რის გამოც უფრო იოლი გახდა ოფიციალური პოლიტიკის გამოყოფა ამა თუ იმ პირების ინიციატივებისაგან, რომლებიც საკუთარ კერძო ინტერესებს იცავდნენ. საგარეო საქმეთა სამინისტროს არც ერთი წარმომადგენელი არ ესწრებოდა 1992-1993 წლების ომში აფხაზების გამარჯვების მე-10 წლისთავის ზეიმს, თუმცა რუსი გუბერნატორებისა და დუმის დეპუტატების ნაწილმა ამ დღესასწაულში მონაწილეობა მიიღო.

შესამჩნევია ახალი ტენდენციაც, რომელიც რუსულ პოლიტიკას ახალ ფერებს აძლევს. თუმცა ამაზე გარკვევით ლაპარაკი ნაადრევია, მაგრამ ისე ჩანს, რომ პრეზიდენტი პუტინი ინტერესს იჩენს რუსეთის ნატოსთან თანამშრომლობისა და აგრეთვე სხვა საერთაშორისო ღონისძიებებში, მაგალითად, სამხედრო-საზღვაო თანამშრომლობის შავი ზღვის ჯგუფში (BLACKSEAFOR) მონაწილეობის მიმართ, ეს კი ქმნის შთაბეჭდილებას, რუსი სამხედროების პოზიციების თანდათანობით შეცვლაზე. უფრო მეტიც, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონიდან გაეროს დამკვირვებლები, რომელთა უმეტესობაც ნატოს ქვეყნების სამხედრო მოსამსახურეები არიან, იტყობინებიან, რომ გაეროს სამხედრო დამკვირვებლებსა და დსთ-ის სამშვიდობო ძალებს შორის თანამშრომლობა თანდათანობით წესრიგდება.

ბოდენის ინიციატივა

ხელისუფლებაში პუტინის ყოფნის პირველ წლებში აფხაზეთის მიმართ რუსული პოლიტიკის გაზრდილი თანმიმდევრობითობის მიუხედავად, კონფლიქტის მხარეთა შორის პოლიტიკური დიალოგის აღდგენაში მხოლოდ უმნიშვნელო პროგრესს მიაღწიეს. პირიქით,

2001 წლის კოდორის კრიზისმა პრაქტიკულად შეაჩერა გაეროს ეგიდით წამოწყებული ქართულ-აფხაზური პოლიტიკური დიალოგი და ნდობის განმტკიცებაზე გამიზნული ღონისძიებების რეალიზაცია. რამდენიმე თვის შემდეგ, 2002 წლის ივლისში, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა დიტერ ბოდენმა განსახილველად გამოაქვეყნა მოხსენება სათაურით "თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციების გამიჯვნის ძირითადი პრინციპები" (ხშირად "ბოდენის დოკუმენტად" მოხსენიებული). მისი ძირითადი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთმა უნდა მიიღოს ყველაზე ფართო ავტონომია და საქართველოს შემადგენლობაში "დამოუკიდებელ სუბიექტად" აღიარებაც კი, მაგრამ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნების პირობით.[63] აფხაზეთის ხელისუფლებამ კი უარი განაცხადა რაიმე დოკუმენტის საფუძველზე მოლაპარაკებების წარმოებაზე, რომელშიც მათი დამოუკიდებლობის გზა არ არის შემოთავაზებული. რუსეთმა არ გამოიჩინა ენთუზიაზმი ბოდენის დოკუმენტის მიმართ და ის მხოლოდ გაეროსა და "მეგობართა ჯგუფის" დასავლელი წევრების დაჟინებული დიპლომატიური ძალდატანების გამო მიიღო.[64] ასეთი პოზიცია შეიძლება აიხსნას იმ სიძნელეებით, რომლებსაც რუსეთი დოკუმენტის აფხაზური მხარისათვის შეთავაზების დროს წააწყდებოდა.

ფორმალურად დაუჭირა რა მხარი დოკუმენტს, მოსკოვმა განაცხადა, რომ რამდენიმეჯერ სცადა აფხაზური მხარის დარწმუნება იმაში, რომ ეს ინიციატივა საქართველოს მთავრობასთან მოლაპარაკებების საფუძვლად გაეხადა. ამ მცდელობებში აფხაზეთის თანამდებობის პირებთან მაღალ დონეზე შეხვედრებიც იყო

[63] ბოდენის დოკუმენტის რუსულენოვანი ვერსია გამოქვეყნებული იყო მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიიის ინსტიტუტის საიტზე: http://www.cipdd.org. ამ დოკუმენტში შემოთავაზებული ფედერაციული მოდელის ანალიზი იხ. Bruno Coppieters, "The Georgian–Abkhaz Conflict," in Bruno Coppieters et al., *Europeanization and Conflict Resolution: Case Studies from the European Periphery* (Ghent: Academia Press, 2004), pp. 203–208; აგრეთვე გამოქვეყნებულია ელექტრონულ ჟურნალში *Journal on Ethnopolitics and Minority Issues in Europe*, http://www.ecmi.de/jemie/.

[64] Coppieters, "The Georgian–Abkhaz Conflict," pp. 203–208

ჩართული.[65] დასავლეთის დიპლომატები და საქართველოს ლიდერები ამტკიცებდნენ, რომ მოსკოვი დიდად არ ცდილობდა აფხაზურ მხარეზე ზეწოლის მოხდენას. ამის პასუხად რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს თანამდებობის პირებმა მოსკოვის შესაძლებლობების შეზღუდულობას გაუსვეს ხაზი. ბოდენის დოკუმენტის მიღება ნებისმიერი აფხაზი პოლიტიკოსისათვის პოლიტიკური თვითმკვლელობა იქნებოდა. მაშასადამე, ბოდენის ინიციატივა, რომელიც მოწოდებული იყო მოლაპარაკებების სტიმულირებისათვის, საბოლოოდ დაბრკოლებად გადაიქცა და არა პოლიტიკური გადაწყვეტილებისაკენ წინსვლის საშუალებად.[66] რთულია რუსეთის როლის განსაზღვრა ბოდენის დოკუმენტის ჩავარდნაში: თუ ის ნამდვილად ზეწოლას ახდენდა აფხაზურ მხარეზე, მაშინ ეს მარცხი იმას ნიშნავს, რომ რუსეთის გავლენა აფხაზურ მხარეზე გაზვიადებული იყო

[65] 2002 წლის 25 მაისს რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი იგორ ივანოვი მოსკოვში შეხვდა აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრ ანრი ჯერგენიას და საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას, რათა აფხაზური მხარე დარეგულირების პროცესში წინსვლის აუცილებლობაში დაერწმუნებინა. იხ. See *Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia,* July 10, 2002, http://www.un.org/Docs/sc/reports/2002/sgrep02.htm. ივნისში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საქმეში — ვალერი ლოშჩინინი სოხუმში აფხაზეთის დე ფაქტო მთავრობის წარმომადგენლებთან შეხვედრაზე გაემგზავრა. 2002 წლის ოქტომბერში რუსეთის მხარემ შესთავაზა გაეროს წარმომადგენლებთან აფხაზეთის პრემიერ-მინისტრის ანრი ჯერგენიას შეხვედრის მოწყობა, რომლის დროს აფხაზურ მხარეს გააცნობდნენ სადისკუსიო დოკუმენტის არსს და მნიშვნელობას. შეხვედრა დაინიშნა 5 ოქტომბერს, მაგრამ შემდეგ გაუქმდა იმის გამო, რომ ბატონმა ჯერგენიამ უარყო დოკუმენტი და მასში დიტერ ბოდენის შემცვლელის, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის მონაწილეობის წინააღმდეგ გამოვიდა. იხ. *Report of the Secretary-General on the Situation in Abkhazia, Georgia* October 14, 2002, http://www.un.org/Docs/sc/reports/2002/sgrep02.htm. 2002 წლის 14 ოქტომბერს რუსეთის მხარე ხელახლა შეეცადა აფხაზურ მხარესთან "მეგობართა ჯგუფისა" და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მოსკოვში შეხვედრა მოეწყო კომპეტენციების გამიჯვნის შესახებ სადისკუსიო დოკუმენტის ფუძემდებლურ პრინციპებზე აზრთა გაცვლის მიზნით. გაეროს შეხვედრა ისევ აფხაზური მხარის უარის თქმის გამო გაუქმდა.

[66] Jonathan Cohen, "Overview of the South Caucasus," presentation to the conference "The South Caucasus—A Challenge for Europe?" Heinrich Boell Foundation, Berlin, May 8–9, 2003.

საქართველოსა და საერთაშორისო საზოგადოების მიერ. ამავე დროს, თუ ის დოკუმენტის წინ წაწევას არცთუ ისე ძალიან ცდილობდა, ეს იმას ნიშნავს, რომ პუტინის მთავრობა დაინტერესებული იყო კონფლიქტის მხოლოდ ისეთი მოგვარებით, რომელშიც საკვანძო როლს თავად ითამაშებდა. შესაძლებელია აგრეთვე ისიც, რომ რუსეთი პოლიტიკური დარეგულირების სწრაფი წინსვლით არ იყო დაინტერესებული, კონფლიქტის შესაძლო განახლების შიშისა და ჩრდილოეთ კავკასიაში დესტაბილიზაციის ან სამხრეთ კავკასიაში გავლენის დაკარგვის გამო. სანამ გაეროს ეგიდით პოლიტიკური პროცესი შეფერხდა ბოდენის დოკუმენტის განხილვაზე აფხაზური მხარის უარის თქმის გამო, რუსეთმა თავისი ურთიერთობა აფხაზეთთან გააააქტიურა. 2002 წლის აპრილში, რუსეთის პარლამენტის მიერ მოქალაქეობის შესახებ ახალი კანონის დამტკიცების შემდეგ, რუსეთის ხელისუფლებამ კრასნოდარის მხარეში რუსეთის მოქალაქეობის მსურველი აფხაზების განცხადებების მიღება დაიწყო, რასაც აფხაზეთის ხელისუფლებამ მხარი დაუჭირა. 2002 წლის ბოლოს აფხაზეთში მცხოვრებმა 50 ათასზე მეტმა ადამიანმა რუსეთის პასპორტები ან ძველ საბჭოთა პასპორტებში რუსეთის შტამპები (შემდგომში ეს პასპორტები ოფიციალური რუსულით გამოცვალეს) მიიღო. 2002 წლის 25 დეკემბერს რუსეთმა სოჭსა და სოხუმს შორის რკინიგზის მიმოსვლის გახსნის გეგმების შესახებ განაცხადა. საქართველოს პროტესტის საპასუხოდ მოსკოვმა აღნიშნა, რომ ეს გზა კერძო სექტორის ნაწილია და სახელმწიფოს მასთან კავშირი არა აქვს.

2003 წლის 28 იანვარს კიევში, დსთ-ის სამიტზე, პუტინმა შესთავაზა შევარდნაძეს აფხაზეთის გავლით სოჭსა და თბილისს შორის რკინიგზის მიმოსვლის აღდგენა. შევარდნაძე ამ წინადადების განხილვას მხოლოდ იმ პირობით დათანხმდა, თუ მას დაემატებოდა ქართველი შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნება აფხაზეთში, მეტადრე კი — გალის რაიონში.[67] ამ გარემოებაში საქართველოს ხელისუფლებამ დიპლომატიური მოლაპარაკებების განახლება რუსეთთან დასავლეთის დახმარების გარეშე გადაწყვიტა. ამ ახალ ორმხრივ ჩარჩოში აფხაზეთი, როგორც თანასწორუფლებიანი პარტნიორი, არ ჩააბეს. ის რუსეთის

[67] *Report of the Secretary-General on the Situation in Abkhazia,* Georgia, April 9, 2003, http://www.un.org/Docs/sc/reports/2002/sgrep02.htm.

მხარდაჭერას უნდა დაყრდნობოდა და, როდესაც მისი წარმომადგენლების დასწრება უხერხული ხდებოდა, მოსკოვი მათ არ იწვევდა. ეს ახალი ჩარჩო 2003 წლის 6-7 მარტს სოჭში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტების შეხვედრაზე იქნა ფორმულირებული. შეხვედრაში მონაწილეობისთვის მოწვეული იყო აფხაზეთის პრემიერ-მინისტრი გენადი გაგულია. საქართველო და რუსეთი საქართველოსა და აფხაზეთის სამსახურში მყოფი მდინარე ენგურის ჰიდროელექტროსადგურის მოდერნიზაციის ჩატარებაზე შეთანხმდნენ, ასევე — ენერგეტიკულ პროექტებზე (მათ შორის ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენაზე), ლტოლვილებისა და შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე, აგრეთვე სოჭსა და თბილისს შორის სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე. ადრე მიღებული გადაწყვეტილებების რეალიზაციისათვის შეიქმნა სამი სამუშაო ჯგუფი.[68] ფორმალურად სამუშაო ჯგუფები ორმხრივი უნდა ყოფილიყო, რაც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას ხაზს უსვამდა. აფხაზური მხარე მაინც ჩართეს ორმხრივ კომისიაში. გაეროს წარმომადგენლებიც მიიწვიეს ზოგიერთ შეხვედრაში, როგორც დამკვირვებლები და არა თანასწორუფლებიანი პარტნიორები.

სოჭის სამიტზე ქართული მხარე დათანხმდა რთული და პოლიტიკურად მოუქნელი პროცედურის შეცვლას, რომელიც ყოველ ორ წელიწადში სამშვიდობო მანდატის განახლებას ითვალისწინებდა, სამშვიდობოების მანდატის უვადო გაგრძელების შეთანხმებით ან იმ მომენტამდე, სანამ კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე უკან არ გაიწვევდა თავის თანხმობას; მაგრამ მანდატის დასრულების პროცედურა გაურკვეველი რჩება. მას შემდეგ კი, როდესაც კონფლიქტის ერთ-ერთი მხარე ამას მოითხოვს, საბოლოო გადაწყვეტილება უნდა მოიწონოს დსთ-ის საბჭომ.

სოჭის შეხვედრა წარმატებული იყო რუსული დიპლომატიისათვის. ის აფხაზეთსა და საქართველოს შორის პოლიტიკური დიალოგის აღდგენას დაეხმარა, განამტკიცა მოსკოვის, როგორც მთავარი შუამავლის, როლი, შექმნა ბაზა რუსეთის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისათვის როგორც საქართველოში, ისე აფხაზეთში და

[68] *Report of the Secretary-General on the Situation in Abkhazia*, Georgia, April 9, 2003, http://www.un.org/Docs/sc/reports/2002/sgrep02.htm.

აფხაზეთთან რუსეთის ურთიერთობის ახალი პოლიტიკა ლეგიტიმური გახადა. დასკვნით პრესკონფერენციაზე პუტინმა გაიმეორა, რომ რუსეთის პოლიტიკა "საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შენარჩუნებასა და მრავალეროვანი აფხაზეთის ინტერესების კანონიერი უფლებების უზრუნველყოფას" ეფუძნება.[69] ასევე აღნიშნა, რომ "ურთიერთხელსაყრელი საქმიანი ინიციატივებისა და პროექტების რეალიზაცია ამცირებს კონფრონტაციას, მუშაობს მთლიანად რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაზე, ემსახურება იქ მცხოვრები ადამიანების ინტერესებს".

უფრო რთულია იმის მტკიცება, რომ სოჭის შეხვედრამ ქართულ დიპლომატიას წარმატება მოუტანა. პრეზიდენტი შევარდნაძე რუსეთის სამშვიდობო ძალების მანდატის უვადო გაგრძელებას უსაფრთხოების გარანტიების გარეშე დათანხმდა, მაგრამ გადაადგილებული პირების დაბრუნების დასტური ვერ მიიღო.

აფხაზური მხარისათვის წინა მოლაპარაკების ფორმატთან შედარებით, რომელშიც ის თანასწორ როლს თამაშობდა, სოჭის პროცესი უკან გადადგმული ნაბიჯი იყო. სოჭის ჩარჩოებმა რუსეთი მიუკერძოებელ შუამავლად კი არ აქცია, არამედ მოლაპარაკებების იმ მხარედ, რომელიც როგორც საკუთარ, ისე აფხაზური მხარის ინტერესებსაც წარმოადგენდა, განსაკუთრებით ეკონომიკურ პროექტებში. ამავე დროს აფხაზეთმა შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნების ნებისმიერ გადაწყვეტილებაზე ვეტოს უფლება შეინარჩუნა.

მიუხედავად იმისა, რომ გაეროს გენერალური მდივანი ოფიციალურად მიესალმებოდა სოჭის შეთანხმებებს, ბევრმა დამკვირვებელმა და ოფიციალურმა პირმა ამ შეთანხმებებში, "მეგობართა ჯგუფის" ხელმძღვანელობით, ჟენევის პროცესის საქმიანობის შერყევა დაინახა.[70] ნამდვილად, სოჭის ორმხრივი სამუშაო ჯგუფები,

[69] პრეზიდენტი ვლადიმერ პუტინი, პრესკონფერენცია სოჭში შეხვედრის შემდეგ, 2003 წლის 7 მარტი.

[70] თავის მოხსენებაში უშიშროების საბჭოს სახელზე აფხაზეთში სიტუაციის შესახებ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალურმა წარმომადგენელმა განაცხადა, რომ "მეგობართა ჯგუფის" ახალმა წინადადებებმა, აგრეთვე ორმხრივმა შეთანხმებებმა პრეზიდენტ პუტინსა და პრეზიდენტ შევარდნაძეს შორის სამშვიდობო პროცესის რეაქტივაციის ცდებს ახალი იმპულსი მისცა". იხ. *Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia*, Georgia, April 9, 2003.

რომლებიც ჟენევაში სოჭის შეხვედრამდე ერთი კვირით ადრე შეიქმნა, დუბლირებდნენ გაეროს სამ კომისიას (უსაფრთხოების პრობ-ლემებზე, შიდა გადაადგილებულ პირებსა და ეკონომიკურ საკით-ხებზე). წლების განმავლობაში გაერო და რუსეთი ერთმანეთს მეტოქეობას უწევდნენ მოლაპარაკების პროცესში ლიდერობისათვის და სოჭის შეხვედრამ განამტკიცა რუსეთის, როგორც მეთაურის, როლი.

სოჭის შეთანხმებების ხელმოწერის შემდეგ დასავლეთის დიპლომატებმა და საქართველოს მთავრობამ სერიოზული ცდა წამოიწყეს, რუსეთის ხელმძღვანელობითა და გაეროს ეგიდით სოჭის პროცესის, ჟენევის პროცესთან დასაკავშირებლად. აფხაზური მხარე შეეცადა სოჭის შეხვედრის გამოყენებას საკოორდინაციო საბჭოს ფარგლებში უსაფრთხოებაზე შეჩერებული დიალოგის განახლების ლობირებისათვის.[71] ფორმალურ დონეზე რუსეთი უხალისოდ აკავ-შირებდა სოჭის პროცესს ჟენევის პროცესთან და ასევე უხალისოდ ეკიდებოდა ახალი ფორმატით "მეგობართა ჯგუფის" სოჭის ან მომავალ შეხვედრებში ჩართვას. რუსეთი დათანხმდა გაეროს ჩართვაზე და შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნებაზე სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობის მისაღებად საქართველოში გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისიისა და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სამმართველოს წარმომადგენლები მიიწვია.

მაშინ, როდესაც რუსეთმა იკისრა წამყვანი როლი ეკონომიკური ინიციატივების რეალიზაციასა და შიდა გადაადგილებული პირების პრობლემის გადაჭრაში, გაეროსა და "მეგობართა ჯგუფს" უნდა მოეგვარებინა უსაფრთხოებისა და პოლიტიკური პროცესის განახ-ლების საკითხები, განესაზღვრა მათ შორის ყველაზე რთული – აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსი. აფხაზური მხარე უწინდებურად

[71] აფხაზეთის დე ფაქტო პრემიერ-მინისტრმა რაულ ხაჯიმბამ შენიშნა, რომ სოჭის შეხვედრამ "დადებითი გავლენა მოახდინა ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დარეგულირების საერთო ატმოსფეროზე და ხელი შეუწყო თბილისსა და სოხუმს შორის დაძაბულობის შენელებას. ამ პირობებში გაჩნდა ქართულ-აფხაზური საკოორდინაციო საბჭოს შეხვედრის განახლების შესაძლებლობა". იხ. http//www.mid.ru , სადაც შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში კონსულტაციების შესახებ, 2003 წლის 7 მაისი.

უარს ამბობდა მოლაპარაკების პროცესის საფუძვლად ბოდენის დოკუმენტის მიღებაზე, მაგრამ სოჭის შეხვედრას ქართულ-აფხაზური დიალოგის ნაწილობრივი განახლება მაინც მოჰყვა. 2003 წლის მარტიდან 12 თვის განმავლობაში სხვადასხვა ფორმატით რამდენიმე შეხვედრა შედგა.[72] საქართველოსა და აფხაზეთის წარმომადგენლების ორი შეხვედრა გალში, გაეროს სპეციალური წარმომადგენლის ჰაიდი ტალიავინის თავმჯდომარეობით, ჩატარდა. პირველი 2003 წლის ოქტომბერში შედგა, უშუალოდ "ვარდების რევოლუციის" წინ, მეორე კი – 2004 წლის იანვარში. აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრ სერგეი შამბას სიტყვებით, ოქტომბრის შეხვედრის შემდეგ სიტუაცია გალის რაიონში გაუმჯობესდა და 2004 წლის იანვარში, სააკაშვილის პრეზიდენტად არჩევის შემდეგ, გაუარესდა.[73] გაეროს გენერალური მდივნის მოხსენებები კი ამ შეფასებას არ ადასტურებს. მათში მითითებულია, რომ უსაფრთხოების პრობლემებს ადგილი ჰქონდა ოქტომბერში, ნოემბერსა და დეკემბერში. მდგომარეობა მხოლოდ ზაფხულში გაუმჯობესდა.[74] საქართველოს მთავრობამ ამას იმით შეუწყო ხელი, რომ 2004 წლის თებერვალში ზუგდიდში მსხვილი ანტიკრიმინალური ოპერაცია ჩაატარა და ენგურის მეორე მხარესა და კოდორში მოქმედ უკანონო პარტიზანულ დაჯგუფებებს მხარი არ დაუჭირა.

სულ მალე რუსეთის დიდი მოლოდინი შეიცვალა იმედგაცრუებით, რომელიც რუსმა ექსპერტებმა განმარტეს, როგორც "საქართველოს ცდები გადახედოს ან თუნდაც ზიანი მიაყენოს სოჭის შეთანხმებების

[72] 15 ივლისს, გათიშულობის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ, გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის თავმჯდომარეობით, სოხუმში ერთობლივი ქართულ-აფხაზური შეხვედრა შედგა. მასზე განიხილეს უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც კონფლიქტის განუახლებლობას უზრუნველყოფდა. უსაფრთხოების გარანტიები მნიშვნელოვანი იყო ეკონომიკური პროექტების რეალიზაციისა და შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნებისათვის. 2003 წლის 21-22 ივლისს ჟენევაში სპეციალური შეხვედრა შედგა ქართული და აფხაზური მხარეების, "მეგობართა ჯგუფისა" და გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის მონაწილეობით.

[73] «Предварительные итоги грузино-абхазской встречи по вопросам безопасности», http://www.kavkaz.memo.ru/news/id/625957.html.

[74] *Report of the Secretary-General on the situation in Abkhazia, Georgia,* July 14, 2004, http://www.un.org/Docs/sc/sgrep04.html.

რეალიზაციას".[75] თავის მხრივ, საქართველომ ბრალი წაუყენა რუსეთს შიდა გადაადგილებული პირების საკითხში პროგრესის უქონლობის გამო, ამტკიცებდა რა, რომ რუსეთის წარმომადგენლებმა ვერ დაარწმუნეს აფხაზეთის ხელისუფლება ლტოლვილების დაბრუნების ქართული მხარის მოთხოვნის მიღების შესახებ. აფხაზები დაჟინებით მოითხოვდნენ მხარეებისგან გალში დაბრუნებულების დარეგისტრირებას. მით უმეტეს, რომ საქართველომ აფხაზეთთან დამაკავშირებელი რკინიგზის პროექტის ირგვლივ ახალი ეჭვები გამოთქვა. თავის მხრივ, აფხაზები ადანაშაულებდნენ თბილისს ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენის დაყოვნების გამო.

პრეზიდენტი შევარდნაძე ამტკიცებდა, რომ სოჭში ისინი პრეზიდენტ პუტინთან ერთად განიხილავდნენ გალის რაიონში ერთობლივი ქართულ-აფხაზური ადმინისტრაციის შექმნის საკითხს, მაგრამ, რუსული წყაროების მიხედვით, კონკრეტული გადაწყვეტილება არ მიუღიათ. შეხვედრის შემდეგაც საქართველოს ხელისუფლება მტკიცედ მოითხოვდა საერთაშორისო დაკვირვების ქვეშ "დროებითი გარდამავალი ხელისუფლებების" დაფუძნებას ჯერ — გალის, შემდგომ აფხაზეთის სხვა რაიონებში და ეწინააღმდეგებოდა როგორც გალში, ისე აფხაზეთის სხვა რაიონებში შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნებამდე თბილისი-სოხუმი- სოჭის მარშრუტით სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის განხილვას. კამათის დროს ნათელი გახდა, რომ სოჭში მიღებული ვალდებულებების არსის შესახებ შეთანხმებები, როგორც გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი იმედოვნებდა, პოლიტიკურ დიალოგს ბიძგს არ მისცემდა, მაგრამ ხელსაყრელ ინსტრუმენტად გადაიქცეოდა რუსეთსა და აფხაზეთს შორის სამომავლო ეკონომიკური კავშირების გასამართლებლად, რომლებიც, სავარაუდოდ, საქართველოს თანხმობით განხორციელდებოდა.

საქართველოში პრეზიდენტი შევარდნაძე სოჭის შეთანხმებების ხელმოწერის გამო გააკრიტიკეს. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ახალი ქართული ხელისუფლება შორს დადგა ამ პროცესისაგან და

[75] См. Alexander Chepurin, "How to Strengthen Stability and Security in the Caucasus," *Journal of Social and Political Studies,* http://www.ca-c.org/online/2004/journal_eng/cac-02/07.cheeng.shtml.

მიანიშნა, რომ არ აპირებს მათში ჩადებულ ორმხრივ სტანდარტზე დათანხმებას. მაგრამ 2004 წელს სოჭის სამიტის ჩარჩოებში მუშაობას მაინც აგრძელებდა რამდენიმე სამუშაო ჯგუფი, უპირველეს ყოვლისა, სამუშაო ჯგუფი ლტოლვილებისა და შიდა გადაადგილებული პირების შესახებ გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენლის, გაეროს ლტოლვილთა საქმეების უმაღლესი კომისარიატისა და დსთ-ის სამშვიდობო ძალების მთავარი სარდლის მონაწილეობით. ეკონომიკის სფეროში რუსეთმა ცალმხრივად დაიწყო ბევრი პროექტის განხორციელება, რომელთა ლეგიტიმიზაციას ის სოჭის პროცესის მეშვეობით შეეცადა, მათ შორის სოჭსა და სოხუმს შორის სარკინიგზო მიმოსვლის გახსნითა და სასაზღვრო ვაჭრობის გაფართოებით.

ეკონომიკური ინტერესები: ვაჭრობა და იზოლაცია

რუსეთის საზღვრისპირა წვრილი ვაჭრობა, რომელიც მდინარე ფსოუზე გამშვები პუნქტის მეშვეობით ხორციელდებოდა, სოხუმის ბაზრებს საქონლით ამარაგებდა და აფხაზ "მოძრავ ვაჭრებს" შემოსავლით უზრუნველყოფდა. ეს აფხაზეთში მცხოვრები ათასობით ადამიანისათვის გადარჩენის ერთადერთი საშუალება იყო. დოვ ლინჩის მიხედვით, აფხაზეთის დე ფაქტო რესპუბლიკა შავ ზღვაზე და რუსეთის საზღვართან მომგებიანი ეკონომიკური ადგილმდებარეობის წყალობით არსებობს.[76]

თითქმის მთელი 90-იანი წლების განმავლობაში აფხაზეთი რუსეთისათვის განსაკუთრებულ ეკონომიკურ ინტერესს არ წარმოადგენდა. 1996 წელს დსთ-ის ქვეყნების მეთაურების მიერ აფხაზეთის მიმართ შემოღებული სანქციები არც ისე შეეხო რუსეთის ეკონომიკურ ინტერესებს. 90-იან წლებში ეკონომიკური ურთიერთობები შეინარჩუნეს მხოლოდ კერძო პირებმა, მათ შორის — მოქმედმა ან გადამდგარმა ოფიცრებმა და რუსეთის მეზობელი რეგიონების იმ რეგიონულმა ჩინოვნიკებმა, რომლებმაც აფხაზეთში

[76] Lynch, p. 17.

ქონება შეიძინეს. აღნიშნული პირებიდან ზოგიერთები, უპირველეს ყოვლისა, ციტრუსებითა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციით წვრილ სასაზღვრო ვაჭრობას ეწეოდნენ. რუსეთის ზოგიერთმა საწარმომ და სახელმწიფო დაწესებულებამ, რომლებსაც ომამდე "საუწყებო" კურორტები ჰქონდათ აფხაზეთში (თავდაცვის სამინისტრო, ატომური ენერგიის სამინისტრო), ომის შემდეგ აფხაზური ხელისუფლებისაგან ისინი იჯარით აიღეს, რათა თავიანთი მოსამსახურეებისათვის იაფი საგზურები მიეცათ. როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, რუსეთის რამდენიმე სამხრეთ რეგიონმა ტურიზმისა (ისინი აგრეთვე იჯარით იღებდნენ კურორტებს) და ვაჭრობის (თამბაქო, ღვინო, ციტრუსები, თხილი და ა. შ.) სფეროებში აფხაზეთთან ეკონომიკურ თანამშრომლობაზე ხელშეკრულებები დადო. ისინი აფხაზეთში ხეტყის დამზადებისა და მშენებლობის მცირე პროექტებსაც ახორციელებდნენ. მაგალითად, როსტოვის ოლქმა დადო ხელშეკრულება აფხაზეთის გემთშემკეთებელი საწარმოების გამოყენების შესახებ. დაბოლოს, (რუსული, აფხაზური და ქართული), კრიმინალური დაჯგუფებები აფხაზეთის გავლით ფართომასშტაბიან კონტრაბანდას ეწეოდნენ. ზოგიერთი კვლევის მიხედვით, აფხაზეთი გადაიქცა უკანონო ვაჭრობის, იარაღისა და ნარკოტიკების გადატანის მნიშვნელოვან მარშრუტად, თუმცა კონტრაბანდის ნამდვილი მოცულობა უცნობია. ალბათ ის არ აღემატებოდა სამხრეთ ოსეთის, აზერბაიჯანისა და დაღესტნის გავლით უკანონო ტვირთების ნაკადებს.[77]

აფხაზეთი შეეცადა, ეკონომიკური სარგებლობის პერსპექტივა გამოეყენებინა ისეთი რუსი პოლიტიკოსების მხარდაჭერის მოსაპოვებლად, როგორებიც არიან მოსკოვის მერი ლუჟკოვი, სამხრეთ ოლქების რიგი გუბერნატორები და სახელმწიფო დუმის პატრიოტული ძალები, თუმცა ეს მოღვაწეები ისედაც იჩენდნენ ასეთ მიდრეკილებას. მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მათი გავლენა აფხაზეთის მიმართ მკვეთრად შემცირდა მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პუტინმა არსებითად შეზღუდა ოლიგარქების, გუბერ-

[77] Alexander Kukhianidze, *Organized Crime and Smuggling through Abkhazia and its Impact on Georgian-Abkhazian Conflict Resolution* (Tbilisi: Transnational Crime and Corruption Center, American University, Georgia Office, 2003).

ნატორებისა და პარლამენტის ძალაუფლება და მათი გავლენა რუსეთის პოლიტიკაზე. მიუხედავად ამისა, რუსეთის ეკონომიკური ლობი აგრძელებდა მნიშვნელოვანი როლის თამაშს 2004 წელს, აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნების დროს.

საქართველოს მთავრობა ცდილობდა, გამოეყენებინა ეკონომიკური ინტერესები, როგორც აფხაზეთის მიმართ მოსკოვის პოლიტიკაზე გავლენის საშუალება, მაგრამ ამას შესამჩნევი წარმატებები არ მოჰყოლია. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ სააკაშვილის მთავრობამ რუსეთს ოფიციალურად შესთავაზა აფხაზეთის გავლით ნავთობსადენის გაყვანის საკითხის განხილვა (ბერეზოვსკი ამ წინადადებას აყენებდა ადრე, მისი უშიშროების საბჭოს მდივნად ყოფნის დროს). თავის მხრივ, აფხაზები ჩაეჭიდნენ რუსეთის დაინტერესებას სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენაზე, გზების მშენებლობის დაჩქარებას რუსი მუშახელის მიზიდვის პირობით. სააკაშვილი ნეგატიური ზეწოლის მოხდენასაც შეეცადა, დაემუქრა რა იმ ქონების კონფისკაციით, რომელიც აფხაზეთში საქართველოს ხელისუფლების ნებართვის გარეშე რუსეთის მოქალაქეებმა შეიძინეს. სწორედ ასე მოიქცა აჭარაში ასლან აბაშიძის რეჟიმის დაცემის შემდეგ საქართველოს მთავრობა რუსეთის საკუთრების მიმართ. მაგრამ საქართველოს მხრიდან არც ეკონომიკურმა დაინტერესებამ და არც ზეწოლამ რუსეთის პოზიციაზე შესამჩნევი გავლენა ვერ მოახდინა.

ბოლო წლებში რუსეთი არაერთხელ აცხადებდა, რომ ეკონომიკური სანქციები აფხაზეთის მიმართ კონტრპროდუქტიულია და აფხაზებში მხოლოდ საკუთარი თავის, როგორც ალყაშემორტყმული ციხე-სიმაგრის პატიმრებად აღქმას აღვიძებს, საკუთარ ძალებზე დაყრდნობის სწრაფვას და "მათთვის თავსმოხვეულ" მოლაპარაკებებზე წინააღმდეგობის გაწევის სურვილს აძლიერებს.[78] სანქციებმა ვერ აიძულა აფხაზეთის ხელისუფლება, შეერბილებინა დამოუკიდებლობის მოთხოვნა და რეგიონში სტაბილურობა და უსაფრთხოება ვერ გააძლიერა. პირიქით, ამან აფხაზეთის ეკონომიკური გაღატაკება, იზოლაცია და კრიმინალური ვითარება გაამძაფრა.

[78] ასეთი აზრის მიმდევარია ზოგიერთი გარე დამკვირვებელიც. იხ. Cohen, "Overview of the South Caucasus."

შევარდნაძის დროს საქართველო უარს ამბობდა აფხაზეთზე დადებული სანქციების მოხსნის განხილვაზე, მათ შორის სარკინიგზო მიმოსვლის გახსნაზე, თუ არ იქნებოდა მიღწეული პროგრესი ისეთ პოლიტიკურ საკითხზე, როგორიცაა შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნება. შევარდნაძემ 2003 წლის ივლისში პუტინისადმი გაგზავნილ ღია წერილში გააკრიტიკა მოსკოვი 1996 წლის დსთ-ის მოვალეობების იგნორირების გამო. ისინი "ნებისმიერ ცალმხრივ პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტაქტებს აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლებასთან ქართული მხარის თანხმობის გარეშე კრძალავდა".[79] "ვარდების რევოლუციის" შემდეგ მოსკოვს მეტი იმედი ჰქონდა, რომ თბილისი სანქციებთან დაკავშირებით პოზიციებს შეცვლიდა. 2004 წლის იანვარში "როსსიისკაია გაზეტა"-სთვის მიცემულ ინტერვიუში ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა ვალერი ლოშჩინინმა აღნიშნა, რომ ეკონომიკური სანქციების მოხსნა "შექმნიდა კონფლიქტის დარეგულირების ხელსაყრელ პირობებს". მან ხაზი გაუსვა სააკაშვილის განცხადებას იმის შესახებ, რომ თბილისი არ მიისწრაფვის აფხაზეთის იზოლაციისაკენ[80] და მოვლენათა მსგავსი განვითარება იმედს იძლევა, რომ საქართველოს ახალი მთავრობა მზადაა გადახედოს საკითხს სანქციების შესახებ. ლოშჩინინის თანახმად, აფხაზეთთან სახელმწიფო, ეკონომიკური და სხვა კავშირების აკრძალვის მოხსნის საკითხზე ურთიერთგაგებას სოჭში 2003 წლის მარტში მიაღწიეს, მაგრამ, მისი აზრით, შემდგომში საქართველოს მთავრობამ უკან დაიხია.[81]

უდავოა, რომ აფხაზეთის წინააღმდეგ 1996 წლის სანქციები მხოლოდ ქაღალდზე არსებობს. 1990-იანი წლების ბოლოს რუსეთის მთავრობა გადაადგილების, ტურიზმისა და ვაჭრობის სფეროში შეზღუდვების შესუსტებას ლოიალურად უყურებდა. 2000-2003

[79] http://www.globalsecurity.org/military/library/news/2003/07/mil-030721-rfel-121604.htm.

[80] "Russia Wants to Lift Sanctions on Abkhazia," http://www.civil.ge/eng/article.php?id=6138.

[81] ინტერვიუ "როსსიისკაია გაზეტა"-დან, 2005 წლის 29 იანვარი, http://www.rg.ru/2004/01/29/loshinin.html. რაიმე შეთანხმება თბილისში ახალ მთავრობასთან მიღწეული არ ყოფილა.

წლებში რუსეთის მთავარი წვლილი აფხაზეთის ეკონომიკაში იყო არა ვაჭრობა, არამედ იმ რუსი ტურისტების რაოდენობა, რომლებიც აფხაზეთის კურორტებზე რუსეთის ხელისუფლების მხრიდან შეზღუდვის გარეშე ჩადიოდნენ. 2003 წლის ზაფხულში მათმა რიცხვმა 300 ათასს მიაღწია.[82] პრეზიდენტი სააკაშვილი მკვეთრად აპროტესტებდა რუსეთსა და აფხაზეთს შორის ასეთი ეკონომიკური კავშირების განმტკიცებას. 2004 წლის აგვისტოში მან რუსი ტურისტები გააფრთხილა, რომ აფხაზეთში გამგზავრებისაგან თავი შეეკავებინათ და რუსეთის გემებს, რომლებსაც სოჭიდან სოხუმში ტურისტები გადაჰყავდა, ცეცხლის გახსნით დაემუქრა.[83] ამ მუქარამ ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში საკმაოდ მწვავე კრიზისის პროვოცირება გამოიწვია, რამაც დიდი გავლენა მოახდინა რუსეთის საზოგადოებისა და მისი პოლიტიკური ელიტის მიერ პრეზიდენტ სააკაშვილის აღქმაზე. რადგან რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ თავისი მოქალაქეების (მართალია, არ წამოსცდენიათ, რომ აფხაზეთის მოსახლეობის უმრავლესობა ასევე რუსეთის მოქალაქეა) დაცვა იკისრა, რუსი ტურისტების ნაკადი არ წყდებოდა მთელი ზაფხულის განმავლობაში.

ზაფხულის ამ ინციდენტების შემდეგ პრეზიდენტმა სააკაშვილმა მტკიცე პოზიცია დაიკავა სანქციების მოხსნის საკითხზე. 2004 წლის სექტემბერში დსთ-ის სამიტზე, ასტანაში, მან ისევ დაადასტურა აფხაზეთის მიმართ დსთ-ის გადაწყვეტილებების შესრულების აუცილებლობა, მათ შორის 1996 წელს მიღებული გადაწყვეტილების – სეპარატისტულ რესპუბლიკასთან რაიმე ეკონომიკური ან პოლიტიკური ურთიერთობების მხარდაჭერაზე უარის თქმა. ასტანაში, პრეს-კონფერენციაზე, პრეზიდენტმა სააკაშვილმა პრეზიდენტ პუტინისაგან მოითხოვა იმის გარანტიები, რომ რუსეთი ამ გადა-

[82] 2003 წელს აფხაზეთს 300 ათასი ტურისტი ეწვია და, მიუხედავად იმისა, რომ ეს რიცხვი ომამდელ 3 მილიონზე ბევრად უფრო დაბალია, ფულის უმეტესი წილი ბრუნდება რუსეთში (თითქმის ყველა სასტუმრო არის რუსების საკუთრებაში), ეს მაინც ქმნის სეზონურ სამუშაო ადგილებს. იხ. ევროპული კომისიის მოხსენება “Humanitarian Aid for the Most Vulnerable People of Georgia,” http://europa.eu.int/comm/echo/pdf_files/ decisions/2004/dec_georgia_01000_en.pdf.

[83] “Georgian President Promises to Sink Russian Ships,” *The Russia Journal*, August 4, 2004, http://www.russiajournal.com/news/cnews-article.shtml?nd=44913.

წყვეტილებებს დაიცავს, მნიშვნელოვანწილად იმიტომაც, რომ სარკინიგზო მიმოსვლა სოჭსა და სოხუმს შორის დსთ-ის სამიტამდე ზუსტად ერთი კვირით ადრე გაიხსნა.[84]

სავაჭრო სანქციების მიუხედავად, 2004 წლის დასაწყისში აფხაზეთის საგარეო ვაჭრობის ბრუნვაში ძირითადად რუსეთიდან იმპორტის წილმა 75 პროცენტი შეადგინა.[85] მაგრამ რუსეთი არ არის აფხაზეთის ერთადერთი სავაჭრო პარტნიორი. თურქეთის გემები რეგულარულად შედიან აფხაზეთის პორტებში. დღეს თურქეთი აფხაზური ხეტყის იმპორტიორთა შორის პირველ ადგილზე დგას, თუმცა რუსეთი აფხაზეთის სოფლის მეურნეობის პროდუქციის მთავარ ბაზრად რჩება. ზოგიერთი შეფასებებით, აფხაზეთს ყველაზე დიდ შემოსავალს ექსპორტიდან ხეტყითა და ჯართით ვაჭრობა აძლევს. მხოლოდ ხეტყე ბიუჯეტის 80 პროცენტს შეადგენს.[86] 90-იანი წლების ბოლოს რუსეთმა ვაჭრობაში დომინირებული პოზიციების დაკარგვა დაიწყო.

პრეზიდენტ პუტინის დროს აფხაზეთის ეკონომიკური მნიშვნელობა ძირითადად იმიტომ გაიზარდა, რომ დსთ-ის მთელ რეგიონში ეკონომიკური ინტერესები აღმოჩდა რუსეთის სტრატეგიის ცენტრში. ამ თვალსაზრისით აფხაზეთში რუსეთის ეკონომიკური ინტერესები ასე გამოიყურება: პირველი, აფხაზეთის გავლით რუსეთის საქონლის სარკინიგზო ტრანზიტის აღდგენის იმედი სომხეთში, ირანში, თურქეთსა და თვით საქართველოში; მეორე, აფხაზეთის გავლით საექსპორტო ნავთობსადენის მშენებლობის შესაძლებლობების შესწავლა ბაქო-ჯეიჰანი-თბილისის ნავთობსადენთან შეერთების მიზნით, ბოსფორის სრუტის გვერდის ავლით; მესამე, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის აღდგენა და იქ წარმოებული ჭარბი ელექტროენერგიის ექსპორტი რუსეთში, რომლის სამხრეთი რეგიონები ამჟამად მხოლოდ ნაწილობრივ მარაგდება ამ ელექტროენერგიით; მეოთხე, სოხუმის პორტის გამოყენება შავი ზღვით

[84] Giorgi Sepashvili, “CIS Summit Reveals Rift in Russo–Georgian Relations,” http://www.civil.ge/eng/print.php?id=7852.

[85] “Государственный таможенный комитет Республики Абхазия подвел итоги своей работы за первое полугодие”, 15 июля 2004 года, http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/684112.html.

[86] Kukhianidze, p. 5.

გადაზიდვებისათვის (საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ შავ ზღვაზე რუსეთს დარჩა მხოლოდ ერთი მსხვილი პორტი – ნოვოროსიისკი); დაბოლოს, რუსული კაპიტალდაბანდებებისათვის შავი ზღვის საკურორტო ზონის გაფართოება. რაც შეეხება ამ ბოლო პუნქტს, აფხაზეთის ხელისუფლებას იქ ჯერ არ ჩაუტარებია ფართომასშტაბიანი პრივატიზაცია და, ამდენად, უცხოელები ლეგალურად ვერ შეიძენენ საკუთრებას. აფხაზეთში რუსეთის წარმოებების უმეტესობას კურორტები იჯარით აქვთ აღებული, მაგრამ ეს საშუალებას არ აძლევთ ინფრასტრუქტურაში მსხვილი კაპიტალდაბანდებები მოიზიდონ.

აფხაზეთის დაურეგულირებელი პოლიტიკური სტატუსი და გაურკვევლობა ქონებრივ უფლებებთან დაკავშირებით რუსეთის ეკონომიკური ინტერესების რეალიზაციისთვის ძირითად დაბრკოლებას წარმოადგენს. მიუხედავად იმისა, რომ მოსკოვს თეორიულად პროექტების არცთუ ისე მცირე რიცხვის განვითარებაზე აფხაზეთის ან საქართველოს ხელისუფლებასთან შეთანხმებების მიღწევა შეუძლია, მათი უმრავლესობის განხორციელება საქართველოსა და აფხაზეთის მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია.

გრძელვადიან პერსპექტივაში მაინც საჭიროა აფხაზეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის გახსნის შესახებ საკითხის გადაწყვეტა. რკინიგზა უკიდურესად მნიშვნელოვანია რუსეთის ექსპორტის ღირებულების შემცირებისა და სომხეთში, რომელიც დღემდე აზერბაიჯანულ-თურქული ბლოკადის გამო იზოლირებულია, მისი ეკონომიკური ინტერესების შენარჩუნებისათვის. რკინიგზას აგრეთვე შეუძლია სომხეთში განლაგებული რუსეთის ჯარის მომარაგების ღირებულების შემცირება. გარდა ამისა, რუსული კომპანიები დაინტერესებულები არიან საქართველოსა და აფხაზეთის რკინიგზის პრივატიზაციით.[87] აფხაზების მიერ გზის აღდგენის საქმეში რუსული სარკინიგზო სამხედრო ნაწილების დახმარების გამოყენების შესაძლებლობის განხილვამ ქართულ მხარეს, რომელსაც კონფლიქტის ზონაში დამატებითი რუსული ჯარების ყოფნა არ სურს,

[87] ინტერვიუ ვლადიმირ იაკუნინთან, შპს "როსსიისკიე ჟელეზნიე დოროგი"-ს ვიცე-პრეზიდენტთან. იხ.: ОАО "РЖД" хочет приватизировать железные дороги Грузии, 16 июня 2004 года, http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/675512.html.

საზრუნავი გაუჩინა.[88] სომხეთის მთავრობამ პროექტის დასაფინანსებლად მზადყოფნა გამოხატა და ქართველებისათვის მის უპირატესობაზე მიუთითა. სომხეთის ტრანსპორტის მინისტრმა ანდრანიკ მანუკიანმა აღნიშნა, რომ რუსეთში ქართული ტვირთების ამჟამინდელი სარკინიგზო მარშრუტი აზერბაიჯანის ტერიტორიაზე გადის, რაც აფხაზეთის მარშრუტთან შედარებით 700 კილომეტრით მეტია. დუმის დეპუტატ ალექსანდრე გუსტოვის შეფასებით, გზის ამ მონაკვეთის ბლოკირების გამო საქართველო ყოველწლიურად თითქმის 300 მილიონ ამერიკულ დოლარს კარგავს.[89]

მსგავსმა ეკონომიკურმა არგუმენტებმა თბილისი პროექტის მხარდაჭერაში ვერ დაარწმუნა. ქართველი შიდა გადაადგილებული პირების დაბრუნებასთან დაკავშირებულ რუსეთთან მოლაპარაკების დროს საქართველო რკინიგზის ამ მონაკვეთს, როგორც მნიშვნელოვან კოზირს, ისე განიხილავს. თავდაპირველად, 2004 წლის თებერვალში, სააკაშვილის მოსკოვში ვიზიტის დროს, შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ საქართველოს მთავრობა შეიძლება დათანხმებოდა სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას, განიხილავდა რა ამას როგორც ნაბიჯს ნდობისაკენ და არა როგორც დარეგულირების წინაპირობას. მაგრამ რამდენიმე კვირის შემდეგ საქართველოს პრეზიდენტი დაუბრუნდა თავის საწყის პოზიციას. მოგვიანებით ქართული მხარე კიდევაც შეეცადა დაეკავშირებინა სარკინიგზო პროექტის პერსპექტივა აფხაზეთის სტატუსის განსაზღვრის საერთო პროგრესთან.

2004 წლის შუა პერიოდში რუსეთის ენთუზიაზმი სარკინიგზო პროექტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანწილად შენელდა.[90] მსგავს მდგომარეობაში იყო აფხაზური მხარეც, 2004 წლის ზაფხულში საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის ახალი სამხედრო კონფ-

---

[88] Абхазия предложила российским войскам восстановить железную дорогу. – *Интерфакс*, 22 декабря 2003 года.

[89] "Грузия не считает целесообразным передачу абхазского участка Закавказской железной дороги в концессию Армении", 29 мая 2004, http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/669692.html.

[90] ცნობილი რუსი ექსპერტი სერგეი კარაგანოვი წერს: "საქართველომ ფაქტობრივად უარყო აფხაზეთის, საქართველოსა და სომხეთის გავლით სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენის იდეა, რომლითაც მისი ერთიანი ეკონომიკური სივრცის აღდგენა დაიწყებოდა". იხ. *Сергей Караганов*. Прощание с Грузией? – *Российская газета,* 20 августа 2004 года.

რონტაციით წარმოშობილი დაძაბულობის ესკალაციის გამო. 2004 წლის 10 სექტემბერს რუსეთმა და აფხაზეთმა სარკინიგზო მიმოსვლა სოჭსა და სოხუმს შორის მაინც განაახლეს. გზის ეს მონაკვეთი ეკონომიკური კავშირებისა და ტურიზმის განვითარებაში საკვანძო როლს თამაშობს და, საბოლოო ჯამში, რუსეთისა და აფხაზეთის ინტეგრაციის გაძლიერების ინსტრუმენტს წარმოადგენს. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და საერთაშორისო საზოგადოების ზოგიერთმა წევრმა ეს ნაბიჯი გააკრიტიკეს და, როგორც რუსეთის მიერ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობაზე ვალდებულებების დარღვევა, ისე შეაფასეს. მაგრამ ჰუმანიტარული თვალსაზრისით, რკინიგზა სასიცოცხლო მნიშვნელობისაა ათწლეულზე მეტხანს იზოლაციაში მყოფი აფხაზეთის მოსახლეობისათვის. საქართველოს მიერ ამიერკავკასიის რკინიგზის გაფართოებულ ვარიანტზე სერიოზულ მოლაპარაკებებზე უარის თქმა აფხაზეთის მიმართ მისი ჰუმანიტარული განზრახვის დემონსტრირების შესაძლებლობის ხელიდან გაშვებას ნიშნავდა. მოკლედ, საქართველომ ვერ გამოიყენა სარკინიგზო პროექტი კონფლიქტის გადაჭრის ინსტრუმენტად.

აფხაზეთთან რუსეთის ეკონომიკური კავშირები სოხუმისთვის როგორც წახალისების, ისე ზეწოლის საშუალებაც იყო. ზეწოლის დემონსტრირება განსაკუთრებით აშკარა გახდა 2004 წლის ბოლოს, აფხაზეთში რთული საპრეზიდენტო არჩევნების დროს. პირველ არჩევნებში გამარჯვებული სერგეი ბაღაფშისათვის მისი უფლებამოსილებების შემზღუდავი რუსეთის მიერ შემოთავაზებული კომპრომისების მიღებაზე იძულების მიზნით, მოსკოვმა აფხაზი ვაჭრებისათვის საზღვრის გადაკეტვითა და სატრანსპორტო კომუნიკაციების შეწყვეტით ეკონომიკური ზეწოლის მოხდენა დაიწყო. იუხედავად ამისა, 2005 წლის იანვარში, მეორე არჩევნების შემდეგ, ბაღაფშმა მოსკოვში ჩასვლით რუსეთთან ეკონომიკის სფეროში კიდევ უფრო მჭიდრო თანამშრომლობის განზრახვა დაადასტურა. მან მოუწოდა რუსული ინვესტიციების გაზრდისაკენ, ტურიზმის განვითარებისა და აფხაზურ-რუსული ეკონომიკური კანონმდებლობის უფრო მჭიდრო კოორდინაციისაკენ. მისი ინიციატივები აჩვენებს, რომ რუსეთი, გადადგმული ნაბიჯების მიუხედავად, ახლო მომავალში აფხაზეთის მთავარ ეკონომიკურ პარტნიორად დარჩება.

და მაინც, რუსეთსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური კავშირები შეზღუდული იქნება.პოლიტიკური და ეკონომიკური გარანტიების უქონლობა რუსეთის ინვესტორებისათვის იმას ნიშნავს, რომ საეჭვოა აფხაზეთმა ისეთი რუსული ინვესტიციების მოზიდვა შეძლოს, როგორიც საქართველომ, რომელმაც 2004 წლის ბოლოსათვის საპრივატიზაციო ტენდერები გამოაცხადა. რამდენადაც საქართველოში მსხვილი რუსული ბიზნესი ფართოვდება, ეკონომიკური ინტერესების ბალანსი რუსულ ელიტაში შესაძლოა შეიცვალოს. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა თუ გაუმჯობესდება, რუსეთის ბიზნესწრეების გარკვეულ ნაწილს აფხაზეთის ეკონომიკისადმი ინტერესი შესაძლოა შეუმცირდეს. მაგრამ იმ ეკონომიკურ ჯგუფებს, რომლებიც აფხაზეთთან მსხვილი კაპიტალდაბანდებებით უკვე დაკავშირებული არიან (რეგიონულ ელიტა და წვრილი მოვაჭრეები, საქონლის განსაზღვრულ სახეობაზე სპეციალიზებულები), უწინდებურად კრემლის პოლიტიკაზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა აქვთ, რაც არჩევნებში რუსეთის მაღალ დონეზე ჩარევამ დაამტკიცა.

შეჯამებისას შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად რუსული ეკონომიკური ინტერესების პოტენციური მნიშვნელობისა აფხაზეთში, საეჭვოა მათი რეალიზება, თუ საქართველოსა და აფხაზეთს შორის არსებული კონფლიქტი არ დარეგულირდა. რუსეთის ინტერესები სოჭის რაიონსა და ალაგ-ალაგ ჩრდილოეთ კავკასიაში შეზღუდული და უმაღლეს დონეზე პერსონიფიცირებული რჩება. როგორც ასეთი, დღესდღეობით მოსკოვის ქართულ-აფხაზურ კონფლიქტთან მიდგომის ფორმირებაში ისინი გადამწყვეტ როლს არ თამაშობენ. თუმცა მომავალში შესაძლოა, აფხაზეთმა, მიუხედავად მისი სტატუსისა, მნიშვნელოვანი ადგილი დაიკავოს რუსეთის უფრო ფართო ეკონომიკურ ანგარიშებში. აფხაზებისათვის რუსეთი საკვანძო ეკონომიკურ პარტნიორად და მისი ეკონომიკური გადარჩენის გარანტად რჩება.

აფხაზეთი რუსეთის საშინაო პოლიტიკაში

ეკონომიკური პოლიტიკისგან განსხვავებით, რუსეთის პოლიტიკის ფორმირებაში აფხაზეთთან და მთლიანად ქართულ-აფხაზურ

კონფლიქტთან მიმარტებით სულ მცირე, 6 ფაქტორი თამაშობს აშკარა როლს.პირველი, რუსეთის ნაციონალისტურმა და პოლიტიკურმა ძალებმა წამოწიეს "აფხაზეთის დაცვის" ლოზუნგი, როგორც ერთ-ერთი თავიანთი პოლიტიკური პრიორიტეტებიდან. ბოლო ათწლეულის განმავლობაში რუსეთის სახელმწიფო დუმის წარმომადგენლები ხმამაღლა მხოლოდ აფხაზეთზე ლაპარაკობდნენ. ვლადიმერ ჟირინოვსკის ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, ბოლო დროს კი პარტია "როდინაც" აქტიურად უჭერდნენ მხარს აფხაზეთის დამოუკიდებლობას და სხვებზე ხშირად ჩადიოდნენ ამ რეგიონში. 2004 წლის აგვისტოში, მაშინ, როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ძალის გამოყენებით იმუქრებოდა, რათა დაებრკოლებინა ტურისტების აფხაზეთში გამგზავრება, ჟირინოვსკი სოხუმში მიიჭრა და თქვა, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი არასოდეს იქნება.პარტია "როდინას" ლიდერმა და დუმის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე დიმიტრი როგოზინმა აქტიურად დაუჭირა მხარი აფხაზეთის მოსახლეობის რუსეთის მოქალაქეებად რეგისტრაციას, ასევე რუსეთის პენსიებით მათი უზრუნველყოფის კამპანიას და განაცხადა, რომ მისი ფრაქცია აფხაზეთის სრული საერთაშორისო აღიარების მომხრეა.[91] 2004 წლის მაისში კი სახელმწიფო დუმის კომუნისტურმა ფრაქციამ პრეზიდენტ პუტინს მოუწოდა, "აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეებისათვის აშკარა და არაორაზროვანი თანადგომის, უსაფრთხოების მტკიცე გარანტიების" დემონსტრირება მოეხდინა.

ასევე რუსეთის პოლიტიკურმა პარტიებმა აფხაზეთის საკითხი გამოიყენეს, როგორც თავიანთი საარჩევნო კამპანიების გამაერთიანებელი ლოზუნგი, მეტადრე იმის გათვალისწინებით, რომ აფხაზეთის ბევრმა მცხოვრებმა რუსეთის მოქალაქეობა მიიღო. მაგალითად, 2003 წლის დუმის არჩევნებზე რუსეთის სახალხო პარტიამ თავის პარტიულ სიაში შეიყვანა რუსეთის მოქალაქე, აფხაზეთის სახალხო პარტიის ლიდერი, რომელმაც ხმების 21 პროცენტი დააგროვა, თუმცა ქვეყნის სხვა რეგიონებში პარლამენტში გასასვლელად აუცილებელი 5-პროცენტიანი ბარიერი ვერ გადალახა.

[91] "Дмитрий Рогозин: фракция 'Родина' будет содействовать международному признанию Абхазии", http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/674872.html.

ხშირად ცალკეული რუსი პარლამენტარების განცხადებები ქართული ელიტისა და საზოგადოებრიობის მრისხანე რეაქციას იწვევს. სახელმწიფო დუმის მიერ მიღებული ოფიციალური განცხადებები, როგორც წესი, რადიკალურ წინადადებებს არ შეიცავს. მაგალითად, საქართველოში ამერიკული სამხედრო დასწრების საპასუხოდ 2002 წლის მარტში დეპუტატების ერთმა ნაწილმა აფხაზეთის სუვერენიტეტის აღიარების წინადადება შემოიტანა, მაგრამ ამ იდეამ ხმათა უმრავლესობა ვერ დააგროვა. 2004 წლის მაისში დუმის საერთაშორისო საქმეების კომიტეტის თავმჯდომარე კონსტანტინე კოსაჩევმა დაადასტურა, რომ რუსეთი საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს და მას აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მშვიდობიანი მეთოდების გამოყენებით კონფლიქტის დარეგულირებისაკენ მოუწოდა.

მეორე, რუსეთის შიდა პოლიტიკაში ანარეკლი პოვა აფხაზეთის მხრიდან გამეორებულმა მოწოდებებმა რუსეთის შემადგენლობაში ასოცირებული სტატუსის მიცემის შესახებ. საერთაშორისო აღიარების ერთობ ბუნდოვანი პერსპექტივისა და საქართველოს მთავრობის "ნებისმიერი საშუალებებით" კვლავ გაერთიანების დაჟინებული მოთხოვნების პირობებში აფხაზეთის ელიტა დამოუკიდებლობის შენარჩუნების ძირითად გარანტიას რუსეთის პროტექტორატის მიღებაში ხედავს.[92] ხშირად კომენტატორები რუსულ-აფხაზურ ურთიერთობებს შეერთებულ შტატებსა და ტაივანს შორის არსებულ ურთიერთობებს ადარებენ. ასეთი ასოციაცია არ ნიშნავს, რომ აფხაზეთს (სამხრეთ ოსეთისაგან განსხვავებით) რუსეთის ფედერაციაში, როგორც შემადგენელ ნაწილს, ისე უნდა შესვლა. აფხაზური ვერსიის ასოციაცია, როგორც საგარეო საქმეთა ყოფილმა მინისტრმა იგორ ახბამ განმარტა, მხოლოდ "მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს თავდაცვის პოლიტიკის სფეროში, სასაზღვრო საკითხში, საბაჟო კავშირსა და ვალუტაში".[93]

---

[92] აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტმა ვალერი არშბამ განაცხადა: "ჩვენ გვინდა, რომ კვლავ, როგორც ეს 1810 წელს იყო, რუსეთის პროტექტორატის ქვეშ აღმოვჩნდეთ, რათა მან აფხაზეთის ხალხების ეთნიკური უფლებების შენარჩუნება შეძლოს და ომი არ დაუშვას". იხ. *Интерфакс*, 15 июня 2004 года, http://www.interfax.com.

[93] "Юрий Лужков прибыл в Абхазию", 5 августа 2004 года, *РосБизнес_Консалтинг*, http://top.rbc.ru/index.shtml?/news/daythemes/2004/08/05/ 05151418_bod.shtml.

სახელმწიფო დუმის ვიცე-სპიკერმა ვლადიმერ ჟირინოვსკიმ გამოთქვა აზრი რუსეთისა და ბელორუსიის კავშირში აფხაზეთის შესვლის თაობაზე, რომელიც თეორიულად იქნება კონფედერაცია, სადაც ყოველი ქვეყანა სუვერენიტეტს შეინარჩუნებს, მაგრამ ბოლომდე ცხადი არ არის, რომ ასეთი კავშირი ოდესმე რეალობა გახდება. ყველა შემთხვევაში, პრეზიდენტი პუტინი აფხაზეთისათვის ასოცირებული სტატუსის მინიჭებას იმ საფრთხის გამოც არ დათანხმდება, რომ მსგავსი მოთხოვნები ისეთი დე ფაქტო სახელმწიფოებისგანაც წამოვა, როგორებიცაა სამხრეთ ოსეთი და დნესტრისპირეთი. მეტიც, ასეთი დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციის სუბიექტებისათვის — "განსაკუთრებული" სტატუსის ლიკვიდირება — გაართულებს მის პოლიტიკას ცენტრსა და რეგიონს შორის ურთიერთობის ჰარმონიზაციის საქმეში. 2005 წლის 11 მარტს სახელმწიფო დუმამ უარყო ფრაქცია "როდინას" მიერ შემოტანილი ის რეზოლუცია, რომელშიც სეპარატისტულ რეგიონებს დსთ-ის ასოცირებულ წევრობას სთავაზობდნენ. წინადადება არ გასულა, მაგრამ მან ხმების მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღო და ეს მაშინ, როდესაც მსგავსი რეზოლუცია პირველად იქნა კენჭისყრაზე დაყენებული.

მესამე გზა, რომლითაც აფხაზეთის პრობლემები რუსეთის შიდა პოლიტიკაში აღწევს, მოქალაქეობის საკითხთანაა დაკავშირებული. რუსეთის კანონის შესაბამისად, 1991-2001 წლებში საბჭოთა პასპორტის ნებისმიერი მფლობელი რუსეთის მოქალაქეობას ავტომატურად იღებდა. 2001 წლის ოქტომბერში მიღებულმა ახალმა კანონმა, მიუხედავად კომუნისტური პარტიის დეპუტატების მძაფრი შეკამათებისა, რომლებიც არაღიარებული რესპუბლიკების, პირველ რიგში კი, აფხაზეთის მცხოვრებლებისათვის მოქალაქეობის საყოველთაო მიცემას უჭერდნენ მხარს, ეს პროცესი მნიშვნელოვნად გაართულა. პუტინმა უარი თქვა და ხაზი გაუსვა იმას, რომ რუსეთს სხვის კონფლიქტებში ჩარევა განზრახული არა აქვს და არც ისეთ ნაბიჯებს გადადგამს, რაც მეზობელი ქვეყნის სუვერენიტეტს დარღვევს.[94]

[94] "Закон о гражданстве: ужесточение правил на фоне войны в Абхазии", 18 октября 2001 года, http://www.kavkaz.memo.ru/news/id/424551.html.

როდესაც ახალმა კანონმა მოქალაქეობის მიღების მსურველი იმ აფხაზების აღშფოთება გამოიწვია, რომლებმაც უარი განაცხადეს ქართული პასპორტების მიღებაზე და საზღვარგარეთ გასვლა არ შეეძლოთ, რუსეთი მათ კეთილმოსურნედ გამოეხმაურა და მოქალაქეობა მისცა.[95] ამ კამპანიას აფხაზეთის რუსული თემების კონგრესი და აფხაზი კაზაკების საზოგადოება ხელმძღვანელობდნენ. ეს უკანასკნელი შეკრული იყო კრასნოდარის მხარის კაზაკების ორგანიზაციასთან. 2004 წლის აგვისტოსთვის, აფხაზეთის ვიცე-პრეზიდენტ ვალერი არშბას სიტყვებით, აფხაზეთში მცხოვრები 320 ათასი ადამიანიდან 170 ათასი რუსეთის მოქალაქე გახდა, 70 ათასი კი ამ სტატუსს ელოდება. როგორიც უნდა იყოს ზუსტი ციფრი, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა უკვე რუსეთის მოქალაქეა.[96]

აფხაზეთის მცხოვრებთათვის მოქალაქეობის მიცემით დაწყებულმა ფაციფუცმა არა მხოლოდ საქართველოს აღშფოთება, არამედ რუსეთის დამკვირვებლების კრიტიკაც გამოიწვია. 2004 წლის აგვისტოში, მაშინ, როდესაც საქართველოს ახალ მთავრობასა და სამხრეთ ოსეთს შორის დაძაბულობამ საქართველოს კონფლიქტების პრობლემა რუსეთის ყოველდღიური გაზეთების პირველ გვერდებზე კვლავ გამოიტანა, ევროპის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე

ვალენტინ ფეოდოროვმა მოსკოვი საქართველოს მიმართ გატარებული ისეთი პოლიტიკის გამო გააკრიტიკა, როგორსაც ის საკუთარ

---

[95] აფხაზმა პოლიტიკოსებმა გაეროს მოუწოდეს, ამ ხალხს გაეროს დროებითი სამგზავრო საბუთები მისცეს (მაგალითად, კოსოვოსა და ჩრდილოეთ თიმორში გაცემული საბუთების მსგავსად). აფხაზეთის პარლამენტის წევრის ციზა გუმბას სიტყვებით, რომელმაც ამ წინადადებით ÑÏÃÑÎÎÍ-ს მიმართა, ასეთი საბუთების გაცემით თავიდან აიცილებდნენ რუსეთის მოქალაქეობის მიღების მსურველთა მასობრივ განცხადებებს. იხ. "ООН может выдать гражданам Абхазии временные документы", 16 января 2004 года, http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/625275.html. მაგრამ გაერომ ვერ შეძლო ამ თხოვნას კეთილგანწყობით შეხვედროდა. კოსოვოსა და ჩრდილოეთ თიმორის ფორმალური სტატუსი აფხაზურისაგან ერთობ განსხვავდება. ცხადია, რომ რუსეთის მოქალაქეობის ბევრი პრეტენდენტი ასევე პრაქტიკული ეკონომიკური მოსაზრებებიდან გამომდინარეობდა: მაშინ მათ დაუწესდებათ რუსეთის პენსია, რომელიც გაცილებით მეტია იმაზე, რასაც საქართველოს მოქალაქეები და აფხაზეთის მცხოვრებლები იღებენ.

[96] *C.J. Chivers*. The Threat of Civil War is Turning the Abkhaz into Russians. – *New York Times*, August 15, 2004 (http://www.sakartvelo.ru, в русском переводе).

მოქალაქეებთან მიმართებაში არ მოითმენდა. "როგორ მოიქცეოდა რუსეთი, — კითხულობდა ის, — თუ კურილის კუნძულების (ტერიტორია, რომელზეც რუსეთის სუვერენიტეტის ცნობაზე ტოკიო უარს აცხადებს) მოსახლეობის უმრავლესობას იაპონია პასპორტებს მისცემდა?".[97] მაგრამ საქართველოს ახალი პრეზიდენტი თითქოს მზად იყო მოქალაქეობის საკითხის სიმწვავე შეემცირებინა. ცნობილია, რომ რიგ შემთხვევაში მან ორმაგი მოქალაქეობა დაუშვა, ეს კი შექმნილი ჩიხიდან გამოსვლის საშუალებას იძლეოდა.

მეოთხე პრობლემა, რომელიც შიდა პოლიტიკის შეფერადებას ახდენს, ესაა რუსი პოლიტიკოსების, ექსპერტებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებების წარმომადგენლების მიერ აფხაზეთის საკითხის გეოპოლიტიკურ ჭრილში მიწოდება. ის, რომ რუსეთი კავკასიაზე გავლენას კარგავს და მის ნაცვლად შეერთებული შტატები და ნატო შევლენ და რომ რუსეთის კავკასიიდან გამოძევების პროცესში უმნიშვნელოვანეს როლს საქართველო თამაშობს — პრაქტიკულად, რუსეთის პოლიტიკური ელიტის საყოველთაო მრწამსი გახდა. გეოპოლიტიკური ხედვა ამაღლებს იმ არაღიარებული რესპუბლიკების მნიშვნელობას, რომლებიც, აფხაზეთის ჩათვლით, თავიანთი სტრატეგიული მიზნების რეალიზაციისას მხოლოდ რუსეთზე აგრძელებენ დაყრდნობას. ვლადიმერ ჟირინოვსკი გამონაკლისი არ გახლავთ, როცა ამბობს: "ჩვენთვის აფხაზეთი იმით არის საინტერესო, რომ მას ჩვენთან ყოფნა უნდა" და ამატებს: "რაც უფრო ჩქარა შევა საქართველო ნატოში, მით უფრო ჩქარა იქნება აფხაზეთი რუსეთში".[98] ნაციონალური სტრატეგიის ინსტიტუტის პრეზიდენტი სტანისლავ ბელკოვსკი არაღიარებულ სახელმწიფოებს იმ საყრდენებს უწოდებს, რომელთა გარეშეც რუსეთი უკვე დიდი ხნის წინ იქნებოდა კავკასიიდან განდევნილი.[99] ხშირად უფრო ზომიერი დამკვირვებლებიც კი აფხაზეთს რუსეთსა და პროდასავლურად განწყობილ საქართველოს შორის არსებულ

[97] "Вместо решения проблем Грузии Россия должна не допустить собственного распада", 11 августа 2004 года, http://www.sakartvelo.info.

[98] "Чем быстрее Грузия будет в НАТО, тем быстрее Абхазия – в России", http://www.sakartvelo.info/result_ar.php?key=58420.

[99] Radio Russia, "Are We Going to See War in Georgia?", August 12, 2004.

"ბუფერულ სახელმწიფოდ" განიხილავენ.[100] აფხაზეთის ოფიციალური პირები, რომლებმაც მოსკოვის ელიტის "სუსტი წერტილები" იციან, იმისათვის, რომ რუსეთის მხრიდან დათმობებს მიაღწიონ, არცთუ იშვიათად გეოპოლიტიკურ არგუმენტებსაც იყენებენ.

მოსკოვში იმ ექსპერტების შეზღუდული წრეც არსებობს, რომლებიც ყურადღებით ადევნებენ თვალს საქართველოს ამბებს, აფხაზეთთან მიმართებაში კი მოსკოვის პოლიტიკას აკრიტიკებენ.[101] კავკასიის საკითხებში ექსპერტთა უმრავლესობა მაინც მკაფიოდ გამოხატულ ანტიქართულ პოზიციებზე დგას და ისეთი პოლიტიკოსების მსგავსად, როგორებიც არიან დიმიტრი როგოზინი და კონსტანტინე ზატულინი, მტკიცე ნაციონალისტებს წარმოადგენენ და მოსკოვს ყველგან თანამემამულეების ინტერესების დაცვისკენ მოუწოდებენ.

რუსეთის შიდა პოლიტიკასთან აფხაზეთის კიდევ ერთი შეხების წერტილი რეგიონულ პოლიტიკურ ელიტას უკავშირდება. თავიანთი პოლიტიკური სტატუსის ასამაღლებლად ბევრი ადგილობრივი ლიდერი

---

[100] *Караганов*. Прощание с Грузией? კარაგანოვი წერს: "რუსეთს დასჭირდება ბუფერული სახელმწიფოები. თუკი საქართველო დღევანდელი პოლიტიკით განაგრძობს ცხოვრებას, თვითნგრევისთვის იქნება განწირული. ამავე დროს აფხაზეთის მზარდი დემოკრატიული ძალები უარყოფენ იდეას იმის შესახებ, რომ მათ დასავლურ ღირებულებებზე უარი უნდა თქვან, რათა რუსეთი დახმარებაზე დაითანხმონ".

[101] 2004 წლის ზაფხულში, მოსკოვსა და თბილისს შორის დაძაბული ურთიერთობების მომენტში, ვლადისლავ ინოზემცევმა (პოსტინდუსტრიული საზოგადოების გამოკვლევების ცენტრი) რუსეთი იმაში დაადანაშაულა, რომ ის საქართველოს შიდა კონფლიქტში ერთ მხარეს ეხმარება და შეცდომად ჩაუთვალა აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში გატარებული "მართვადი არასტაბილურობის" პოლიტიკა. აღნიშნა, რომ რუსეთმა პირიქით, თბილისსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის ფედერაციული მოლაპარაკების გარანტია უნდა უზრუნველყოს. იხ. *Владислав Иноземцев*. Саакашвили следует заключить федеративный договор с мятежными лидерами – при гарантиях со стороны России. – *Независимая газета*, 16 августа 2004 года. მეორე კრიტიკოსი ბორის ვოლხონსკი რუსეთის ელიტას ნაციონალისტური კოზირის გათამაშებისათვის გმობს, რაც კონტრაბანდისთვის შავ ხვრელებს ქმნის. ამბობს, რომ იგი ფარულად ეხმარება დაქირავებულებს და საქართველოსთან დამოკიდებულებაში პატრიოტულ ლოზუნგებს წამოსწევს, ყველა ამ ქმედებით კი რუსეთს საერთაშორისო იზოლაციისკენ უბიძგებს. იხ. *Борис Волхонский*. Цена вопроса: тональность заявлений, раздающихся в Москве, вызывает недоумение. *Коммерсантъ*, 20 августа 2004 года.

აფხაზეთთან მჭიდრო კავშირებს ამყარებს. ეს ქმედებები ძირითადად განეკუთვნება 90-იანი წლების შუა პერიოდს, როდესაც, როგორც უკვე ითქვა, ზოგიერთმა რეგიონმა აფხაზეთთან თანამშრომლობისა და ვაჭრობის ხელშეკრულებები დადო. მას შემდეგ, რაც პრეზიდენტმა პუტინმა რეგიონულ გუბერნატორების უფლებამოსილებები შეზღუდა, მათ "საკუთარი" საგარეო პოლიტიკის გატარების შესაძლებლობები ჩამოერთვათ. ამიტომაა, რომ მათი მცირე ნაწილი უწინდებურად საჯაროდ ლაპარაკობს აფხაზეთის მხარდაჭერაზე. მათ შორის, ვინც, ამას ემხრობა, არიან კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ტკაჩოვი და მოსკოვის მერი იური ლუჟკოვი.

ლუჟკოვის ინიციატივით, მოსკოვი უწინდებურად თანხებს აბანდებს (თუმცა — მცირეოდენს) აფხაზეთში. ის ასევე მნიშვნელოვანწილად სიმბოლურ ჰუმანიტარულ დახმარებასაც უწევს. კრასნოდარის მხარე კი, რომელიც აფხაზეთს ესაზღვრება, ინტენსიურ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს ინარჩუნებს, მათ შორის ტრანსსასაზღვრო ვაჭრობისა და ელექტროენერგიის მიწოდების სახით. კრასნოდარის მთავრობა განზრახ პოლიტიკურ ჟესტებსაც კი აკეთებდა. ამის მაგალითია 2004 წლის 24 მაისს სოხუმში ორგანიზებული აღლუმი, რომელშიც 500 კაზაკი მონაწილეობდა.

აფხაზები ასევე მეგობრულ ურთიერთობას ინარჩუნებენ ჩრდილოეთ კავკასიის რიგ ეთნიკურად ახლო ხალხებთან, განსაკუთრებით კი ადიღელებთან. 1996 წელს ადიღეის რესპუბლიკამ და აფხაზეთმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას თანამშრომლობაზე.[102] რუსეთის ხელისუფლება არ აკეთებს მსგავსი პოლიტიკური კავშირების წახალისებას აფხაზებსა და ადიღელებს შორის ან აფხაზურ დიასპორასთან თურქეთსა და ახლო აღმოსავლეთის სხვა ნაწილებში, რადგან მიაჩნია, რომ დიასპორებთან კონტაქტი ჩრდილოეთ კავკასიას "იმპორტირებული" ისლამიზაციის საფრთხით ემუქრება. მაშინ, როდესაც აფხაზური მხარე უფრო მჭიდრო კავშირებს ეძებს რუსეთთან, რუსეთის მთავრობა საგონებელშია ჩავარდნილი იმის გამო, რომ ჩრდილოეთ კავკასიის ეთნიკური რესპუბლიკების ნაციონალურ-ტერიტორიული ავტონომია არ გაძლიერდეს და ამით

[102] Президент Адыгеи и мэр Москвы отправились в Абхазию. – *Regnum*, 5 августа 2004 года, http://www.regnum.ru/forprint/303693.html.

საფრთხის ქვეშ არ დააყენოს ამ რესპუბლიკების რუსული მოსახლეობა. ჩნდება სხვადასხვა წინადადება, მათ შორის რუსეთის ფედერაციული სისტემის ეთნოტერიტორიული დაყოფის გადასინჯვის შესახებ. ამ მიმართულებით მოძრაობა გარდაუვალი აღმოჩნდება აფხაზეთთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკის განვითარებაში.

დაბოლოს, მთლიანი სურათის ნაწილს რუსეთის საზოგადოებრივი აზრის განხეთქილება წარმოადგენს. 2004 წლის ივლისში სამხრეთ ოსეთში განვითარებული მოვლენების გამო, რამაც გამოიწვია რუსულ-ქართული ურთიერთობების დაძაბვა, რუსეთის მოქალაქეების 47 პროცენტი თვლიდა, რომ რუსეთი უნდა ჩაერიოს, თუ საქართველო ძალას გამოიყენებს აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ, 38 პროცენტს კი მიაჩნდა, რომ რუსეთმა ეს არ უნდა გააკეთოს, 14 პროცენტი დარწმუნებული იყო, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილი უნდა იყოს, 32 პროცენტი ფიქრობდა, რომ ის რუსეთს უნდა მიუერთდეს, 29 პროცენტი — რომ უნდა იყოს დამოუკიდებელი. სამხრეთ ოსეთისათვის ეს ციფრები შეადგენს შესაბამისად 12, 34 და 30 პროცენტს.[103]

2002 წლის აგვისტოში რუსეთის მოქალაქეების მხოლოდ 26 პროცენტი განეწყო საქართველოსადმი დადებითად, 28 — ნეიტრალურად და 39 — უარყოფითად. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ეს მაჩვენებლები დროებით გაუმჯობესდა და მკვეთრად შეიცვალა. 2004 წლის იანვარში 41 პროცენტმა პოზიტიური დამოკიდებულება გამოხატა, 42 პროცენტმა — ნეიტრალური და მხოლოდ 10 პროცენტმა — ნეგატიური. 2004 წლის ივლისისათვის, სამხრეთ ოსეთის მოვლენების შემდეგ, ეს ციფრები 2002 წლის დონეს დაუბრუნდა: 29 პროცენტმა პოზიტიური შეფასება მისცა, 40 პროცენტმა — ნეიტრალური, 22 პროცენტმა კი — ნეგატიური.[104]

2004 წლის თებერვლიდან ივლისის ჩათვლით რუსეთის იმ მოქალაქეების რიცხვი, რომლებსაც მიაჩნდათ, რომ საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის დროს რუსულ-ქართული ურთიერთობები

[103] Россияне о конфликтах между Грузией, Южной Осетией и Абхазией. – *Левада_Центр*, 30 июля 2004 года, http://www.levada.ru/press/2004073004.html.

[104] Вокруг абхазского конфликта. – *База Данных Фом*, 10 августа 2002 года, http://bd.fom.ru/report/map/gg021707.

გაუმჯობესდებოდა, 30-დან 13 პროცენტამდე შემცირდა. იმ ხალხის რიცხვი, ვინც თვლიდა, რომ პრეზიდენტი სააკაშვილი საქართველოში სიტუაციის მნიშვნელოვნად შეცვლას ვერ მოახერხებდა, 1-დან 32 პროცენტამდე გაიზარდა.[105]

ეს 6 მაგალითი შიდა პოლიტიკის ზემოქმედებისა რუსეთის პოლიტიკაზე საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტთან დამოკიდებულებაში მნიშვნელოვანია, მაგრამ არა ცალსახა. რუსეთის შიდა პოლიტიკაში აფხაზეთი უფრო არსებით როლს თამაშობს, ვიდრე ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიის ნებისმიერი სხვა "არაღიარებული რესპუბლიკა". ხშირად რუსეთის პოლიტიკა აფხაზეთთან მიმართებაში რუსეთის შიდა პოლიტიკის პრიორიტეტებთან მკვეთრ წინააღმდეგობაში მოდის. 2000-2003 წლებში აფხაზეთში რუსეთის კავშირების გამყარებასთან ერთად პრეზიდენტი პუტინი იმ ძალების ჩახშობასაც ცდილობდა, რომლებიც ამ პოლიტიკის ძირითადი გამტარებლები იყვნენ. მან ქვეყნის შიგნით ნაციონალური ძალების ზეგავლენის შემცირებისათვის ნაბიჯი გადადგა, შეეცადა, რეგიონულ ლიდერების დამოუკიდებელი ქმედებებისთვის ბოლო მოეღო და რუსეთის პოლიტიკური ისტებლიშმენტის ტრადიციული გეოპოლიტიკური პარანოია დასავლეთთან პრაგმატული დამოკიდებულების სასარგებლოდ გადაწყვიტა. ასევე ხელი შეუშალა ჩრდილოეთ კავკასიაში ეთნიკურ მობილიზაციას, ძალოვნების — შინაგან საქმეთა, თავდაცვისა და უსაფრთხოების სამინისტროების წარმომადგენლების — ეთნიკურ რესპუბლიკებში უფლებამოსილ თანამდებობებზე დანიშვნას, იმავდროულად დსთ-ის ქვეყნებში რუსეთის მოქალაქეების მტკიცედ "დაცვის" მოწოდებების უარყოფას.

საპრეზიდენტო არჩევნები აფხაზეთში: რუსული გავლენის ზღვარი

რუსეთის პოლიტიკის შეზღუდვები და წინააღმდეგობები აფხაზეთში მკაფიოდ გამოჩნდა 2004 წლის 3 ოქტომბერს და 2005 წლის 12

[105] Всероссийский центр изучения общественного мнения (ВЦИОМ), пресс-выпуск № 105, "Россияне о Грузии и ситуации в Южной Осетии".

იანვარს ორ ეტაპად ჩატარებულ საკამათო საპრეზიდენტო არჩევნების მსვლელობისას. ამ თარიღებს შორის გათამაშებული კრიზისის დროს რუსეთი გამოდიოდა, როგორც მთავარი გარეშე ძალა,

რომელიც აფხაზეთში ძალთა შიდა განაწილებაზე ზეგავლენას ახდენდა. რუსეთის აქტიური ჩარევა თავიდან სიტუაციის დესტაბილიზაციას უწყობდა ხელს, მაგრამ ბოლოს სახიფათოდ ორად გაყოფილ აფხაზურ საზოგადოებაში შერიგების პროცესის დაწყებით პრეზიდენტობის ორ ძირითად კანდიდატს პოლიტიკური კომპრომისის მიღწევაში დაეხმარა. არჩევნებში რუსულმა პოლიტიკამ იმის დემონსტრირება გააკეთა, თუ რამდენად შორსგამიზნულია რუსეთის ქმედებები აფხაზეთში თავისი ინტერესების შესანარჩუნებლად. ამავე დროს რეგიონში ეფექტური პოლიტიკის გატარებისას მან თავისი შესაძლებლობების რეალური შეზღუდულობა გამოავლინა.

აფხაზეთში ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნები არც საქართველომ და არც საერთაშორისო საზოგადოებრიობამ, მათ შორის გაერომ და ეუთომ, კანონიერად არ ცნეს.[106] რუსეთმა, როგორც სამშვიდობო პროცესის შუამავალმა, გაეროს 1255 რეზოლუციის დებულების დაცვის პასუხისმგებლობა, რომელიც მსგავს არჩევნებს არალეგიტიმურს უწოდებს, თავის თავზე აიღო, რითაც მეტისმეტად დიდი ინტერესი დადო სასწორზე. რუსი პოლიტიკოსები ხაზს უსვამდნენ არა მხოლოდ ამ არჩევნების მნიშვნელობას, არამედ აქტიურად ცდილობდნენ, ზემოქმედება მოეხდინათ მის დასასრულზე. არჩევნები მართლაც მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ რომ აფხაზეთის ომის შემდგომი პირველი პრეზიდენტის ვლადისლავ არძინბას ძალაუფლების გადაცემის პრობლემა წყდებოდა ახალ ლიდერზე, რომელსაც უახლოესი 4 წლის განმავლობაში უნდა

[106] გაეროს პოზიცია ჩამოყალიბებული იყო გაეროს გენერალური მდივნის 2004 წლის 18 ოქტომბრის მოხსენებაში. 1255 რეზოლუციაში (1999წ.) უშიშროების საბჭომ აფხაზეთში ე. წ. არჩევნების ჩატარება მიუღებლად და უკანონოდ მიიჩნია მოსახლეობის უმეტესი ნაწილის დაუსწრებლობისა და ტერიტორიის დაურეგულირებელი პოლიტიკური სტატუსის გამო. საქართველოში გაეროს დამკვირვებელთა მისიამ მხარი დაუჭირა ამ პოზიციას. 2004 წლის 14 ოქტომბრის საქართველოს შესახებ ევროპარლამენტის (P6_TA(2004)0023) რეზოლუციამ "აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩევნები, როგორც უკანონო", უარყო და კომისიასა და საბჭოს გაეროს ხელმძღვანელობით ქართულ-აფხაზური კონფლიქტის მოლაპარაკებათა პროცესის ინტენსიფიკაციის მხარდაჭერისაკენ მოუწოდა".

ეხელმძღვანელა აფხაზეთში ცვლილებებისთვის და გამოეხატა საქართველოსთან, რუსეთთან და გარე სამყაროსთან თავისი დამოკიდებულება.

პრეზიდენტი არძინბა საქართველოსთან მისი უკომპრომისო დამოკიდებულებისა (1992-1993 წწ. ომში მისი პირადი მონაწილეობის გავლენით ჩამოყალიბებული) და მოსკოვთან დიდი ხნის ურთიერთობის, ასევე ევგენი პრიმაკოვთან ადრინდელი კავშირების გამო მოსკოვისათვის ხელსაყრელი ლიდერი იყო. არძინბა წლების განმავლობაში ავადმყოფობამ მწყობრიდან გამოიყვანა, ამან კი კორუფციისათვის კარი გააღო თვით აფხაზეთში და კულისებს მიღმა მანევრებისათვის როგორც რუსეთის პოლიტიკოსების, ისე მისი ბიზნესელიტისათვის.

ნათელი გახდა, რომ არძინბას მემკვიდრეს საეჭვო იყო ასეთივე კავშირები ჰქონოდა მოსკოვში, ამიტომაც ის შეიძლებოდა გაუთვალისწინებელი გამხდარიყო. როგორც რუსეთის, ისე საქართველოსთვისაც. აი, რატომ იყო რუსეთის პოლიტიკური ელიტა სიმტკიცით აღსავსე, ხელისუფლებაში მოსკოვთან აშკარად ლოიალური მემკვიდრის მოსვლა უზრუნველეყო, რომელიც არ იმოქმედებდა რუსეთის ეკონომიკური ინტერესების წინააღმდეგ (როგორც კანონიერად, ისე უკანონოდ ან სულაც კრიმინალიზებულ სტრუქტურებთან შეკვრით). რუსმა პოლიტიკურმა მრჩევლებმა მაინც ვერ შეძლეს იმის გაგება, რომ არძინბამ და მისმა გარემოცვამ, მიუხედავად ქვეყნის აშენებაში შეტანილი წვლილისა, დიდი ხანია, რაც აფხაზეთის გაღატაკებული მოსახლეობის მხარდაჭერა დაკარგეს. ხალხი არჩევნებისაგან აფხაზეთის შიგნით კარდინალურ ცვლილებებს მოელოდა, კორუფციასთან, კრიმინალთან, კლანებთან, კლანურ სტრუქტურებთან ბრძოლის ჩათვლით. არძინბას საქმის შენარჩუნების გეგმას პრაქტიკულად წარმატების შანსი არ ჰქონდა, არჩევნები რომ არსებითი მანიპულაციების გარეშე ჩატარებულიყო.

რუსეთის სტრატეგია, ძალაუფლება გადაეცა ახალ პრომოსკოვური ლიდერისთვის, გამჭრიახობით არ გამოირჩეოდა. ფაქტობრივად მან ელექტორალურ პროცესში, ყველა მის სტადიაზე, უპრეცედენტო საგარეო ჩარევის სახე მიიღო. ეს პოლიტიკა შეიძლება შევადაროთ საკუთრივ რუსეთში გუბერნატორების არჩევნებს, რომელთა შედეგი ხშირად მოსკოვში მიღებულ გადაწყვეტილებებზე

იყო დამოკიდებული და არჩევნების მეშვეობით უბრალოდ "რატიფიცირდებოდა". მსგავს სტრატეგიას აფხაზეთშიც მიმართეს, მაგრამ ამას მოულოდნელი შედეგები მოჰყვა. პრეზიდენტობის კანდიდატმა სერგეი ბაღაფშმა განმარტა: "ამჯერად აფხაზეთში პირველად ჩატარდა ნამდვილად ალტერნატიული არჩევნები. აფხაზ ხალხს თვითონ უნდოდა თავისი რესპუბლიკის ბედის გადაწყვეტა. ამომრჩევლები არძინბას ხელისუფლების უხეში ზეწოლის, ინფორმაციული ბლოკადისა და რუსეთის პრესაში შავი პიარის წინააღმდეგ გამოვიდნენ."[107]

ჯერ კიდევ ოფიციალური საარჩევნო კამპანიის დაწყებამდეც რუსეთის პოლიტიკოსები არ მალავდნენ იმას, რომ მხარს უჭერდნენ რაულ ხაჯიმბას, რომელსაც არძინბას დროს პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ეკავა. მრავალი წლის განმავლობაში უშიშროების ორგანოებში ნამუშევარი არძინბას ახლო მეგობარი და თანამებრძოლი ხაჯიმბა, ცნებას — "აფხაზი პუტინი" ყველაზე მეტად შეესაბამებოდა. იგი ითვლებოდა იმ პოლიტიკოსად, რომელიც მოსკოვზე დამოკიდებული იქნებოდა. მანპრემიერმინისტრობისას მჭიდრო კონტაქტები დაამყარა მოსკოვთან და ვარაუდობდნენ, რომ არძინბას მიერ რუსეთთან დამყარებულ ეკონომიკურ და პოლიტიკურ კავშირებს შეინარჩუნებდა. ხაჯიმბასა და არძინბას შორის სიახლოვე იმას ნიშნავდა, რომ პირველს არასაკმარისი მხარდაჭერა ექნებოდა აფხაზეთის მოსახლეობაში. საზოგადოებისათვის არჩევნები რუსეთთან ან საქართველოსთან დამოკიდებულის პოლიტიკაზე რეფერენდუმი კი არ იყო (კანდიდატებმა მოსკოვზე დაყრდნობით აფხაზეთის დამოუკიდებლობას დაუჭირეს მხარი), არამედ არძინბას მემკვიდრეობისათვის თავისი დამოკიდებულების გამოთქმის შანსი. მაგრამ მოსკოვმა ან ვერ შეძლო ამის გაგება, ან ამ ფაქტს იგნორირება განზრახ გაუკეთა. მეტიც, მოსკოველმა პოლიტიკურმა მრჩევლებმა ჯეროვნად ვერ შეაფასეს აფხაზეთის საზოგადოების (ასევე გალის რაიონში დაბრუნებული, ქართველი შიდა გადაადგილებული პირების) მობილიზაცია ალტერნატიული კანდიდატის ირგვლივ. ასეთი ალტერ-

[107] ციტატა პრეზიდენტობის კანდიდატ სერგეი ბაღაფშის "ნეზავისიმაია გაზეტა"-სთვის მიცემული ინტერვიუდან. იხ. Самопровозглашенный фальстарт. — *Независимая газета*, 5 октября 2004 года.

ნატივა გახდა რეგიონული ელექტროკომპანიის — "ჩერნომორენერგოს" ხელმძღვანელი სერგეი ბაღაფში.

ბაღაფში არ მოუწოდებდა მთავრობას რუსეთთან მჭიდრო კავშირების არსებითი შეცვლისკენ, არც საქართველოსთან ხელახალ შეერთებაზე საკითხის გადასინჯვას სთავაზობდა; მაგრამ ფართო სახალხო მხარდაჭერის გამო ის აღქმული იქნა, როგორც გაცილებით უფრო დამოუკიდებელი ლიდერი, რომელსაც აფხაზი ხალხის ინტერესების დაცვა არა მხოლოდ საქართველოს, არამედ რუსეთის წინაშეც შეეძლო. ასევე, ამ არჩევნებზე ბაღაფში გაერთიანდა ალექსანდრე ანქვაბთან — მტკიცე პოლიტიკოსთან, რომელიც მოსკოვისა და რუსეთის ინტერესებისათვის სერიოზულ საშიშროებას წარმოადგენდა, იმდენად, რამდენადაც ცნობილი იყო, როგორც კორუფციასა და დამნაშავეობასთან უკომპრომისო მებრძოლი. რუსეთის პოლიტიკურმა ელიტამ ბაღაფშისა და ანქვაბის კავშირში საშიშროება დაინახა და ხაჯიმბას გამარჯვების უზრუნველყოფა გადაწყვიტა.

არჩევნების წინ სოჭში პრეზიდენტი პუტინი პირადად შეხვდა ხაჯიმბას. შეხვედრაზე, რომელიც ერთობ ტლანქად, როგორც მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებთან შეხვედრა, ისე დაფიქსირდა, პირდაპირი მხარდაჭერის შესახებ სიტყვები არ გაჟღერებულა, ღონისძიების სიმბოლურ მნიშვნელობაში კი ეჭვი არავის შეპარვია. ხაჯიმბასადმი მხარდაჭერა მხოლოდ მაღალი ოფიციალური დონით არ შემოფარგლულა. მოსკოვმა თავისი ეკონომიკური ძლიერება და აფხაზეთისათვის გარე სამყაროსკენ ერთადერთი ფანჯრის როლი გამოიყენა — თავისი კანდიდატის არჩევის შემთხვევაში საზოგადოებას პრაქტიკული სარგებლობა შესთავაზა. მან არა მხოლოდ სოჭი—სოხუმის რკინიგზაზე აღადგინა მოძრაობა, არამედ 23 სექტემბრიდან ამ ქალაქებს შორის რეგულარული საავტობუსო მიმოსვლა განაახლა. რუსეთის მთავრობამ განაცხადა, რომ აფხაზეთთან სარკინიგზო და საავტობუსო კავშირის განახლებით არც ერთი საერთაშორისო შეთანხმება არ დაურღვევია, მაგრამ საქართველოს წარმომადგენელმა გაეროში, რევაზ ადამიამ უშიშროების საბჭოში გააგზავნა ოფიციალური წერილი, სადაც სარკინიგზო მიმოსვლის აღდგენას "საქართველოს სუვერენიტეტისა და საერთაშორისო სამართლის დარღვევა" უწოდა. "პუტინის "დარღვეულმა ვალდებულებამ", შიდა გადაადგილებულ პირთა დაბრუნებასთან ერთად ეკონომიკური პროექტების სინქრონიზება მომხ-

დარიყო, — თქვა ადამიამ, — გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესებს ზარალი მიაყენა".[108]

ხაჯიმბას კანდიდატურას რუსეთში ტრადიციულად პროაფხაზური გავლენის ჯგუფებმა დაუჭირეს მხარი, მათ შორის ნაციონალისტმა პოლიტიკოსებმა, ბიზნესის წარმომადგენლებმა, ჩრდილოეთ კავკასიის საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და რუსეთის სამხრეთის ზოგიერთმა რეგიონულმა პოლიტიკოსმა. არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე "მოსკოველი აქტივისტების" ჯგუფმა — ვლადიმერ ჟირინოვსკიმ, გენერალური პროკურორის მოადგილე ვლადიმერ კოლესნიკოვმა, რუსეთის სახელმწიფო დუმის ვიცესპიკერმა არტურ ცილინგაროვმა, ასევე რუსეთის პოპულარულმა მომღერლებმა და მსახიობებმა სოხუმი მოინახულეს და ხაჯიმბას სასარგებლოდ გამართულ მასობრივ მიტინგებზე აქტიური აგიტაციით გამოვიდნენ. თუკი მოსკოვისათვის სასურველი კანდიდატი არ იქნებოდა არჩეული, მათი განცხადებები აფხაზეთთან ეკონომიკური კავშირების გაწყვეტის პირდაპირ მუქარას შეიცავდა.[109]

საჯარო ზეწოლამ მოსალოდნელის საწინააღმდეგო ეფექტი მოახდინა. ხაჯიმბას პოზიციების გამაგრების ნაცვლად, მის მეტოქეს, რომელიც არძინბას რეჟიმის ნეგატიურ მემკვიდრეობასთან დაკავშირებული არ იყო და უფრო დამოუკიდებელ პოლიტიკოსად მიიჩნეოდა, ხმების მნიშვნელოვანი რიცხვი შემატა. შედეგად, 3 ოქტომბერს ჩატარებულ არჩევნებში ამომრჩეველთა 50 პროცენტზე მეტმა (ბევრი მათგანი ეთნიკური ქართველი გალის რაიონიდან) ბაღაფშს მისცა ხმა.[110] ხაჯიმბამ უარი განაცხადა არჩევნების შედეგების

---

[108] "Georgian Ambassador's Letter to the UN Security Council over Abkhazia", http://www.civil.ge/eng/detail.php?id=8202. რუსეთის პოზიცია "Организовано движение электропоездов из Сочи" – შეიძლება მოიძებნოს მისამართზე: http://www.kavkazweb.net/news/news.cgi?action=view&nid=01&yy=2004&mm=9&dd= 13&message_id=1095100970154196zbrjYiB7KCpmZ.

[109] "Самопровозглашенный фальстарт"

[110] 11 ოქტომბერს აფხაზეთის ცესკო-მ გამოაცხადა, რომ ხმების 50,08 პროცენტის დაგროვებით ბაღაფშმა გაიმარჯვა. 28 ოქტომბერს აფხაზეთის უზენაესმა სასამართლომ არჩევნების შედეგები დაამტკიცა, მაგრამ მეორე დღეს ხაჯიმბას მომხრეების ზეწოლის გამო იძულებული გახდა გადაწყვეტილება შეეცვალა. 12 ნოემბერს ბაღაფშის მომხრეებმა შტურმით აიღეს სამთავრობო შენობები და 15 ნოემბრამდე დაკავებული ჰქონდათ.

აღიარებაზე. ამას მოჰყვა არასტაბილურობის ხანგრძლივი პერიოდი დროდადრო ძალადობრივ მოქმედებებში გადაზრდის საშიშროებით. იმ პირობებში, როცა ყველა მსხვილმა საერთაშორისო ორგანიზაციამ და საზღვარგარეთის ქვეყნებმა არჩევნები უკანონოდ აღიარეს, რუსეთი კვლავ შუამავლის როლში გამოვიდა. ის მაინც საკუთარი მიზნებისათვის იღვწოდა, ცდილობდა ბაღაფშის გამარჯვების დელეგიტიმიზაციას და ახალი არჩევნების ორგანიზებას, რომელშიც შეიძლებოდა ხაჯიმბას გამარჯვებისათვის მიეღწია. რუსეთის მაღალი თანამდებობის პირებმა ორივე კანდიდატი მოსკოვში მიიწვიეს და ახალი არჩევნების ჩატარება დაჟინებით მოსთხოვეს, რაზეც ბაღაფშმა და მისმა მომხრეებმა უარი განაცხადეს; ამტკიცებდნენ, რომ არჩევნებში გამარჯვება მოიპოვეს და ეს გამარჯვება აფხაზეთის პარლამენტმა, ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ და უზენაესმა სასამართლომ აღიარეს. ისინი დეკემბრის დასაწყისში აპირებდნენ ბაღაფშის ინაუგურაციის ჩატარებას. მაშინ მოსკოვმა სოხუმში მიავლინა აფხაზეთის მკვიდრი ნოდარ ხაშბა, რომელიც რუსეთის საგანგებო სიტუაციების სამინისტროში სერგეი შოიგუსთან მუშაობდა. არძინბამ ის პრემიერ-მინისტრად დანიშნა და მის წინაშე ელექტორალური ჩიხის გადალახვის ამოცანა დააყენა. ხაშბას დანიშვნამ, რომელიც რესპუბლიკის ფარგლებს გარეთ დიდი ხნის განმავლობაში ცხოვრობდა და აფხაზეთში სახალხო მხარდაჭერით არ სარგებლობდა, აფხაზეთის ელიტაში ახალი ანტირუსული პროტესტი გამოიწვია.

რუსეთმა ეკონომიკურ ზემოქმედებასაც მიმართა. თავდაპირველად კრასნოდარის მხარის გუბერნატორი ალექსანდრე ტკაჩოვი გამოვიდა განცხადებით, სადაც მოუწოდებდა, რომ აფხაზეთსა და რუსეთს შორის საზღვარი ჩაეკეტათ "სასაზღვრო ზოლში რუსეთის ნაციონალური უსაფრთხოების პირდაპირი საშიშროების გამო," მისი რეგიონის ჩათვლით.[111] ტკაჩოვმა ხაზი გაუსვა იმას, რომ საზღვრის დაკეტვა პირდაპირ აისახება აფხაზურ ეკონომიკაზე, "ტურისტული ინდუსტრიის შეჩერების გამოწვევით და საზღვართან სოფლის მეურნეობის პროდუქტებით ვაჭრობის შეფერხების შედეგად

[111] კრასნოდარის მხარის გუბერნატორის განცხადებამ ადგილობრივი ოპოზიცია საგონებელში ჩააგდო. _ *Regnum.ru, 2004 წლის 24 ნოემბერი.*

აფხაზეთის ათასობით მოქალაქე შემოსავლის გარეშე დარჩება".[112] ტკაჩოვის გადაწყვეტილებამ ბაღაფშის მომხრეებში აღშფოთება და შიში გამოიწვია. 19 ნოემბერს, როდესაც საზღვრის გადაკვეთის შეზღუდვები რეალურად შემოიღეს, ხალხს თავზარი დაეცა. გავრცელდა ხმები იმის შესახებაც, რომ რუსეთი აფხაზეთში ჯარის გამოგზავნას აპირებდა, მაგრამ ეს, ცხადია, უსაფუძვლო ჭორი გამოდგა.

მის ნაცვლად პუტინმა ორი მაღალჩინოსანი ძალოვანი — რუსეთის გენერალური პროკურორის მოადგილე ვლადიმერ კოლესნიკოვი, რომელიც ადრე აფხაზეთში ცხოვრობდა და იქ კარგად იყო ცნობილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს პირველი მოადგილე ალექსანდრე ჩეკალინი — ხაჯიმბასა და ბაღაფშს შორის შუამავლის სახით გაგზავნა. ორივე მათგანთან პირველი შეხვედრის შემდეგ კომპრომისზე წასვლის მინიშნებაც კი არ წარმოშობილა. ამჯერად ამას რუსეთის პრემიერ-მინისტრ გენადი ბუკაევისაგან საზღვრის დაკეტვის მუქარა მოჰყვა.[113] სწორედ ბუკაევი დაემუქრა აფხაზებს: "თუ ბაღაფში თავის არაკონსტიტუციურ ქმედებებს განაგრძობს (სხვა სიტყვებით, ინაუგურაციას ჩაატარებს), რუსეთსა და აფხაზეთს შორის საზღვარი ჩაიკეტება".[114] რუსეთის მთავრობამ ასევე დროებით შეაჩერა აფხაზეთსა და სოჭს შორის სარკინიგზო მიმოსვლა. ყველა ეს ზომა დესტაბილიზაციის პოტენციური საფრთხისაგან "რუსეთის მოქალაქეების დაცვით" იყო გამართლებული.[115] საინტერესოა იმის აღნიშვნა, რომ ამ გადაწყვეტილებამ სრული იგნორირება გაუკეთა აფხაზეთში მცხოვრები რუსეთის მოქალაქეების ინტერესებს, რომელთა დაცვასაც რუსეთის მთავრობა არაერთგზის კისრულობდა.

---

[112] "კრასნოდარის მხარის გუბერნატორის განცხადებამ ადგილობრივი ოპოზიცია საგონებელში ჩააგდო".

[113] ანატოლი გუდენკო. აფხაზეთს გადასახადების სპეციალისტებმა მოჰკიდეს ხელი. – *Независимая газета, 2004 წლის 24 ნოემბერი.*

[114] Russia Blockades Abkhazia. – *Alternatives*, December 1, 2004, http://www.alternatives.ca/article1568.html.

[115] სახელმწიფო დუმაში მთავრობის წარმომადგენლის ანდრეი ლოგუნოვის განცხადება. შემდეგ მან აღნიშნა: "რუსეთს არ სურს, რომ აფხაზეთში, სადაც პოლიტიკური კრიზისი შესაძლოა სისხლიან კონფლიქტში გადაიზარდოს, მისი მოქალაქეები იყვნენ". იხ. "Грузия выступает против вмешательства России вдела Абхазии", 3 декабря 2004 года, http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/736646.html

4-5 დეკემბერს, ბაღაფშის მიერ დაგეგმილ ინაუგურაციამდე, მოლაპარაკებების ბოლო რაუნდი ჩატარდა.[116] ამჯერად კომპრომისს მიაღწიეს. შეთანხმება ითვალისწინებდა იმას, რომ ახალი არჩევნები 13 იანვრამდე ჩატარდებოდა, ბაღაფში პრეზიდენტობაზე იყრიდა კენჭს, ხაჯიმბა კი — ვიცე- პრეზიდენტობაზე. ამ კომპრომისმა ბაღაფშისა და ხაჯიმბას მომხრეებად მკვეთრად გაყოფილი აფხაზეთის საზოგადოება შეაძრწუნა. მაგრამ ის დაძაბულობის მოხსნასა და 12 იანვარს მშვიდობიანი კენჭისყრის ჩატარების უზრუნველყოფაში დაეხმარა. ბაღაფშმა 90%-ზე მეტი ხმით დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა.[117]

ბაღაფშმა რეალური ძალაუფლება მიიღო, ხაჯიმბამ კი მნიშვნელოვან ხარისხად — სიმბოლური თანამდებობა. მიუხედავად ადრინდელი იმედებისა, ბაღაფშმა უარყო ცნობები იმის შესახებ, რომ უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხს კურირებას ხაჯიმბა გაუწევდა. თქვა, რომ ყველა სტრატეგიულ გადაწყვეტილებას პრეზიდენტი მიიღებდა, ვიცე-პრეზიდენტი კი მხოლოდ ოპერატიულ საკითხებზე გასცემდა პასუხს. მეტიც, როდესაც ბაღაფშმა, მოსკოვის შედავებისმიუხედავად, ნოდარ ხაშბა გადააყენა და პრემიერ-მინისტრად ალექსანდრე ანქვაბი დანიშნა, ამით თავისი ძალაუფლების კონსოლიდაცია მოახდინა. კავშირი ბაღაფშსა და არძინბას კლანის წარმომადგენელ ხაჯიმბას შორის, შესაძლოა, წინააღმდეგობათა წყარო მომავალშიც გახდეს, რადგან ეს ორი ადამიანი ინტერესების სხვადასხვა ჯგუფს წარმოადგენს და საეჭვოა ნამდვილი მოკავშირეობა შეძლონ. მათ შორის შემდგომმა დაძაბულობამ აფხაზეთი შეიძლება არასტაბილურობის გაგრძელებამდე მიიყვანოს და შიდა რეფორმების განხორციელების, თავისი დე ფაქტო ინსტიტუტების გაძლიერებისა და

[116] ამ მოლაპარაკებებში მონაწილეობდნენ ბაღაფში, ხაჯიმბა, ხაშბა ასევე კოლესნიკოვი და რუსეთის სახელმწიფო დუმის სპიკერის მოადგილე სერგეი ბაბურინი. მხარეები "აფხაზეთის რესპუბლიკაში ნაციონალური ერთობის მიღწევის ზომებზე" შეთანხმდნენ. მას ხელი მოაწერა არძინბამ, როგორც პრეზიდენტმა.

[117] ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის ბათალ ტაბაღუას მოხსენებით მთავარ და დამატებით სიებში შეიყვანეს 129 298 ამომრჩეველი, კენჭის ყრაში მონაწილეობა 75 691 ადამიანმა მიიღო, ანუ 90,1 პროცენტმა ბაღაფშს მისცა ხმა. 3 467 ადამიანმა, ანუ 4,5 პროცენტმა კი — პრეზიდენტობის ალტერნატიულ კანდიდატ იაკუბ ლაკობას.

საქართველოსთან კონფლიქტის დარეგულირების საშუალება არ მისცეს.

ამ პერიოდში რუსეთის მოქმედებებიდან შემდეგი დასკვნების გაკეთება შეიძლება. როგორც ბევრი რუსი პოლიტიკოსი განმარტავდა, საარჩევნო პროცესში რუსეთის აქტიური ჩარევა

სამმა ფაქტორმა განაპირობა: პირველი, აფხაზეთში არასტაბილურობა ან ძალადობა შესაძლო იყო რუსეთის ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში გადასულიყო; მეორე, აფხაზეთის მცხოვრებთა უმეტესობა ოფიციალურად რუსეთის მოქალაქე იყო; მესამე, რუსეთის მოქალაქეებსა და კომპანიებს ამ რეგიონში არსებითი ეკონომიკური ინტერესები გააჩნდათ. ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორები შეიძლება არჩევნების შედეგებისადმი რუსეთის ინტერესის ერთგვარი გამართლება იყოს, მეტადრე კერძო პირებსა და მეწარმეებს შორის. საარჩევნო პროცესში რუსეთის მთავრობის აქტიური ჩარევა გაეროს ეგიდით მიმდინარე ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესში მისი, როგორც შუამავლის, ერთ-ერთი მთავარი როლის გამო შეუთავსებელია. იმ პერიოდის მოვლენებმა ცხადად აჩვენა, რომ რუსეთის პოლიტიკის მამოძრავებელ შიდა იმპულსებსა და იმ საერთაშორისო ვალდებულებებს შორის, რომლებიც მან თავის თავზე აიღო, წინააღმდეგობა არსებობს. და მაინც, რუსეთის მიერ აფხაზეთის არჩევნების დროს წამოწყებულმა მოქმედებებმა მნიშვნელოვანი გავლენა ვერ მოახდინა საერთაშორისო საზოგადოების მიერ ქართულ-აფხაზურ სამშვიდობო პროცესში მისი ერთ-ერთ ძირითად შუამავალ პირად აღქმაზე, ალბათ უფრო იმ მიზეზითაც, რომ რუსეთი აფხაზურ მხარეზე ერთადერთი ზემოქმედების რეალური ბერკეტების შენარჩუნებას განაგრძობს.

მაგრამ რუსეთის გავლენა გარკვეულ ფარგლებს არ სცილდება და ამაშია აფხაზური არჩევნების მეორე აშკარა შედეგი. საარჩევნო პროცესში რუსეთის ჩარევა სიტუაციის სტაბილიზაციის ჩარჩოებიდან გამოვიდა და გადაიქცა დაჟინებულ მცდელობად, პირდაპირ განესაზღვრა არჩევნების შედეგები. მიუხედავად რუსეთსა და აფხაზეთის საზოგადოებას შორის მრავალწლიანი მჭიდრო ურთიერთობებისა, მოსკოვმა ხელისუფლებაში ხაჯიმბას მოყვანა მაინც ვერ შეძლო.

რუსეთის გავლენის ფარგლები არ შეიძლება მხოლოდ გეოპოლიტიკით აიხსნას. 2004 წლის ნოემბერ-დეკემბერში უკრაინაში ჩატარებული არჩევნებისაგან განსხვავებით, რუსეთი ერთადერთი

გარეშე პირი იყო, რომელიც აფხაზეთში არჩევნების საბოლოო შედეგებზე ზემოქმედებას ცდილობდა.

არ შეიძლება ეს ფარგლები რესურსების უკმარისობით აიხსნას. მათი მიზეზი უფრო იმათ არაკომპეტენტურობაში იმალება, ვინც რუსეთის სტრატეგიას შეიმუშავებდა და ცხოვრებაში ატარებდა. ამ ხალხს აფხაზი ერის გაგება, მათი და მათივე მისწრაფებების პატივისცემა აშკარად აკლდა. თუმცა ძნელი კია აფხაზეთის საპრეზიდენტო არჩევნებში რუსეთის პოლიტიკის არქიტექტორის ზუსტი დასახელება. რუსეთის გაზეთები ამტკიცებენ რომ ხაჯიმბას მხარდაჭერის სტრატეგია პრეზიდენტის ადმინისტრაციის საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილებაში შეიმუშავეს.[118] მათ შორის, ვისაც მოგვიანებით "ზარალის აღმოფხვრისაკენ" მოუწოდეს, ნაციონალისტი პოლიტიკოსებისა და ძალოვნებისაგან შემდგარი პირების ის ჩვეულებრივი კომბინაცია იყო, რომლებიც რუსეთის აფხაზეთთან დამოკიდებულებას განსაზღვრავენ.

როგორც ასეთი, შუამავლობას ახორციელებდნენ სერგეი ბაბურინი, ცნობილი იმით, რომ დუმაში დიდხანს თანმიმდევრობით იცავდა აფხაზების ინტერესებს და ძალოვნები — ვლადიმერ კოლესნკოვი და ალექსანდრე ჩეკალინი. კრასნოდარის გუბერნატორმა ტკაჩოვმა, რომელიც საზღვრის დაკეტვით იმუქრებოდა, ასევე მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. თუმცა პრეზიდენტი პუტინი მათი საქმისგან დისტანცირებას შეეცადა, იმის მტკიცებით, რომ ისინი დამოუკიდებლად მოქმედებდნენ. ცხადი გახდა, რომ მათ რუსეთის ინტერესების იმ დამცველებად აღიქვამდნენ, ვიც ქვეყნის გავლენის შენარჩუნებასა და გამყარებას ცდილობდა.

მოსკოვში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას ერთგვარი შიში გაჩნდა, შესაბამისად, ვერ მოხერხდა მათი კოორდინირება.

---

[118] *Независимая газета იუწყებოდა, რომ აფხაზეთში არჩევნებთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკაზე პრეზიდენტის ადმინისტრაციაში საერთაშორისო პოლიტიკის განყოფილება იყო პასუხისმგებელი. ამ განყოფილების დსთ-ის ქვეყნებთან ურთიერთობების ქვედანაყოფის ხელმძღვანელმა ალექსეი სიტნინმა დიდი დრო გაატარა აფხაზეთში. ასევე იტყობინებოდა, რომ რუსეთის ძალოვნები რუსეთის პოლიტიკაზე სერიოზულ გავლენას ახდენდნენ. Анатолий Гордиенко и Наталия Мельнико_ва*. Самопровозглашенный фальстарт. – *Независимая газета*, 5 октября 2004 года.

საგარეო საქმეთა სამინისტრო წინააღმდეგობრივ განცხადებებს აკეთებდა, ჯერ ამტკიცებდა, რომ რუსეთი აფხაზეთში თავის ინტერესებს დაიცავდა, შემდეგ კი მთავრობის მუქარა სანქციების გამოყენების შესახებ აღკვეთა.[119]

საგარეო საქმეთა სამინისტრო, რომელიც საჯაროდ უჭერდა მხარს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და სოხუმის გაცხარებული კრიზისის დროს ჟენევის შეხვედრებში მონაწილეობდა, ძალოვნებმა კვლავ გვერდზე გადასწიეს. გაეროს ეგიდით მიმდინარე სამშვიდობო პროცესის ჩარჩოებში რუსეთის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებების იგნორირებით ძალოვნებს აფხაზეთში მკაცრი ხაზის გატარება სურდათ. მიუხედავად ამისა, არ შეიძლება პოზიტიურად არ ვაღიაროთ ის, რომ არჩევნების შედეგების გამო უთანხმოება მსხვილმასშტაბიან ძალადობაში არ გადაიზარდა და რუსეთის მეტად არასტაბილურ ჩრდილოეთ კავკასიის რეგიონებში არ გავრცელდა. ამასთან, რუსეთის მონაწილეობა სამხედრო ზეწოლის გარეშე იყო განხორციელებული. იმ მოკლე პერიოდს თუ არ ჩავთვლით, როდესაც საზღვარი დაკეტილი იყო, თუმცა რუსეთსა და აფხაზეთს შორის ეკონომიკური ურთიერთობები არ შეწყვეტილა.

დაბოლოს, საარჩევნო პროცესში რუსეთის ჩარევა აფხაზეთის მოსახლეობისა და პოლიტიკური ელიტის ფართო კრიტიკის საგანი გახდა. ორივე მიხვდა, რომ რუსეთთან ნებისმიერი არსებითი ინტეგრაცია პოლიტიკური თავისუფლების, ასევე სასურველი ლიდერების არჩევის უფლების, სამოქალაქო საზოგადოებისა და თავისუფალი პრესის განვითარების შემცირების ნიშანი იქნება. თუმცა აფხაზეთის საზოგადოების დიდი ნაწილი ჯერ კიდევ არ არის დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი; აფხაზეთის, როგორც "არაღიარებული" ქვეყნის, მძიმე ცხოვრებამ მას ერთობის გრძნობა გაუმძაფრა. ამით განსხვავდება აფხაზეთი მეზობელი რუსეთის ბევრი სხვა რეგიონისაგან, რომლებიც უწინდებურად ფედერალურ ცენტრზე

[119] საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ალექსანდრე იაკოვენკომ განაცხადა, რომ რუსეთი თავის ინტერესებს დაიცავს აფხაზეთში (*Независимая газета*, 2 декабря 2004 года). საგარეო საქმეთა სამინისტროს ინფორმაციული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე მიხეილ ტროიანსკიმ დაადასტურა, რომ აფხაზეთთან საზღვრის დაკეტვის საკითხი საგარეო საქმეთა სამინისტროში არ განხილულა (*Независимая газета*, 2 декабря 2004 года).

არიან დამოკიდებული და მზად არიან ეკონომიკური სუბსიდიების სანაცვლოდ თავიანთი პოლიტიკური ავტონომიის შეზღუდვას დათანხმდნენ. ბაღაფში, რომელმაც შიდა კანონმდებლობის ჰარმონიზაციით რუსეთთან ეკონომიკურ კავშირებზე მზადყოფნა გააცხადა, როცა საქმე პოლიტიკურ კავშირებს ეხება, თავშეკავებული ხდება.[120] ამავე დროს არჩევნების შემდეგ რუსეთის პასპორტებთან ერთად შიდა, აფხაზური პასპორტების გაცემით აფხაზეთის პოლიტიკური დამოუკიდებლობის სიმბოლოების გამყარება დაიწყო.[121]

ჯერჯერობით კი პუტინის შიდა პოლიტიკაში მზარდი ავტორიტარული ტენდენციები აფხაზეთის შიგნით მიმდინარე პროცესებს სულ უფრო ემიჯნება.არჩევნებმა აჩვენა, რომ აფხაზეთის სამოქალაქო საზოგადოება კორუმპირებული ლიდერების წინააღმდეგ, რანაირ პატრიოტულ დროშებსაც არ უნდა აფრიალებდნენ ისინი, საპროტესტო გამოსვლებისათვის მზადაა. თუ ეს ტენდენციები გაგრძელდა, შესაძლოა რუსეთთან დაახლოება აღქმულ იქნას, როგორც აფხაზების ნაციონალური მისწრაფებების თანდათან დასამარება.

მაგრამ ეს მაინც არ ნიშნავს იმას, რომ აფხაზურ-რუსულ ურთიერთობებს დიდი ცვლილებები ელის. აფხაზეთის საერთაშორისო აღიარებისა და ქართულ-აფხაზურ ურთიერთობებში უახლოეს დროში არსებითი გაუმჯობესების უპერსპექტივობისა, რუსეთი აფხაზეთისათვის კვლავ პოლიტიკური და ეკონომიკური მხარდაჭერის მთავარ წყაროდ რჩება.

უკრაინის "ნარინჯისფერი რევოლუციისგან" განსხვავებით, სადაც საერთაშორისო საზოგადოება იმ დემოკრატიულ ძალებს უჭერდა მხარს, არჩევნების ფალსიფიკაციის წინააღმდეგ პროტესტს რომ აცხადებდნენ, აფხაზეთში საერთაშორისო მონაწილეობის არქონა

[120] Независимая газета-სთვის მიცემულ ინტერვიუში სერგეი ბაღაფშმა განაცხადა: "აფხაზეთის ხალხი ჩამოყალიბდა იმაში, რომ ჩვენ დამოუკიდებელი სახელმწიფო გვაქვს. ამიტომ რუსეთთან დაახლოებას ჯერ მხოლოდ ეკონომიკით დავიწყებთ". Независимая газета, 21 января 2005 года, http://www.ng.ru/printed/courier/2005!01!24/9_georgia.html.

[121] ბაღაფშის სიტყვებით, აფხაზეთი შიდა პასპორტების გაცემის დაწყებას 2005 წლის მარტი-აპრილისათვის გეგმავდა. იხ . "Весной этого года в Абхазии начнется введение внутренних паспортов",http://www.kavkaz.memo.ru/newstext/news/id/760564.html.

როგორც შიგნიდან, ისე გარედან არჩევნებით ღია მანიპულირების შესაძლებლობას იძლევა. მეტიც, საქართველოს ახალი ხელმძღვანელობის კონსტრუქციული სტრატეგიის უქონლობა აფხაზეთის საერთაშორისო იზოლაციასთან დაკავშირებით, აფხაზური ელიტის იმ ფენებისათვის, რომლებიც რუსეთის მხრიდან ზეწოლის გამო უკმაყოფილონი იყვნენ, მანევრირების ვიწრო არეს ტოვებს.

კრემლის ქმედებებმა რუსეთის პოლიტიკურ ელიტში მწვავე დებატები წარმოშვა. რეგიონული პრობლემების ექსპერტებმა (სერგეი არუთინოვი, ალექსეი მალაშენკო და ალა იაზკოვა), ლიბერალურმა პოლიტიკოსებმა (ირინა ხაკამადა და ვალერი გორეგლიადი) და ტრადიციულად პროკრემლურმა ანალიტიკოსებმა (სერგეი მაკაროვი და სტანისლავ ბელკოვსკი) აფხაზეთის არჩევნებში მოსკოვის ტაქტიკა მწვავედ გააკრიტიკეს.[122] ამ კრიტიკის მიუხედავად, 2004 წლის შემოდგომაზე, უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნების დროს, რუსეთის ლიდერებმა იმ შეცდომებიდან კვლავ ბევრი გაიმეორეს.

რუსეთის პოლიტიკური კონტროლიდან აფხაზეთის გამოსვლა მხოლოდ იმ შემთხვევაში მოხდება, თუ საქართველო აფხაზი საზოგადოებისათვის იმის დემონსტრირებას შეძლებს, რომ ის აფხაზეთის ნაციონალურ გადარჩენას უკვე საფრთხეს არ უქმნის. პრეზიდენტმა სააკაშვილმა და საქართველოს მთავრობამ ეს ჯერჯერობით ვერ გააკეთეს, თუმცა აფხაზეთის არჩევნების დროს მოსკოვში დაშვებული შეცდომები თბილისში ზედმიწევნით ფიქსირდებოდა. როგორც ბევრი ქართველი კომენტატორი აღნიშნავდა, რუსეთის კონტროლი აფხაზეთზე — რაც აქამდე ბევრს სწორი მიაჩნდა, მეტწილად მითი აღმოჩნდა. პრობლემა ისაა, რომ ქართველმა ლიდერებმა ჯერ ვერ მიაგნეს რუსეთის სისუსტეებიდან საქართველოსთვის სარგებლობის მიღების ხერხს — სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გაიხსნას გზა სოხუმთან ახალი, კონსტრუქციული დიალოგისთვის.[123]

---

[122] ამ მისამართის შესაბამისად: http://grani.ru/Politics/World/Europe/Georgia/p.81031.html; http://www.ng.ru/printed/cis/2004!12!07/_abkhazia.html; ასევე http://www.ng.ru/politics/ 2004!10!18/2_abhazia. html.

[123] პაატა ზაქარეიშვილი, "ახალი შვიდი დღე", 8-14 ოქტომბერი, 2004 წ.

ნაბიჯი წინ: სტატუს-კვო-დან გამოსვლა?

საქართველოსა და აფხაზეთს შორის შეიარაღებული კონფლიქტის შემდეგ დამყარებულ სტატუს-კვოს შენარჩუნებას "გაყინული გაურკვევლობის" ათ წელზე მეტი ხნის რუსული სტრატეგია დაეხმარა. ამ როლმა შეაძლებინა რუსეთს არა მხოლოდ შეენარჩუნებინა რეგიონში ყოფნა და გავლენა, არამედ ხელი შეეწყო აფხაზეთის ფაქტობრივი სახელმწიფოებრიობის განმტკიცებისთვის. თუმცა რუსეთის პოლიტიკამ პრაქტიკულად კონფლიქტი ვერ დაარეგულირა, მაგრამ უბრალო აფხაზებს დაცულობის გრძნობა შეუქმნა და ეკონომიკურად გადარჩენის საშუალება მისცა. ასევე თავიდან აიცილა შესაძლო დესტაბილიზაცია ჩრდილოეთ კავკასიაში.

ამავე დროს რუსეთის პოლიტიკა ქართული სუვერენიტეტის განვითარების არსებითი დაბრკოლება გახდა. საქართველო წლების განმავლობაში იძულებული იყო, თავის საშინაო საქმეებში რუსეთის ჩარევას შერიგებოდა და დროებით ადგილნაცვალი პირების დახმარების ტვირთი ეტარებინა. პოლიტიკურ მოლაპარაკებებში პროგრესის არარსებობის მიუხედავად, საქართველოში, აფხაზეთსა და რუსეთში დიდი ცვლილებები მოხდა. პრეზიდენტი სააკაშვილი ჩიხიდან გამოსავლის პოვნის მტკიცე იმედითაა აღსავსე. ასევე აფხაზეთი უფრო გაწაფულ სტრატეგიას ატარებს, რუსეთზე ნაკლებ დამოკიდებული ხდება და თავისი ნაციონალური მიზნებისათვის იღვწის.

რუსეთის პოლიტიკამ საქართველოსთან მიმართებაში მძიმე გამოცდა უკვე გაიარა 2004 წლის გაზაფხულსა და ზაფხულში, აჭარისა და სამხრეთ ოსეთის მოვლენების დროს. უფრო მნიშვნელოვანია ის, რომ რუსეთის ქმედებებმა 2004 წლის შემოდგომაზე, აფხაზური არჩევნების დროს, გამოააშკარავა მისი ძალაუფლების შეზღუდულობა და მარჯვედ კოორდინირებული პოლიტიკის გატარების უუნარობა. შედეგად, რუსეთმა აფხაზური ელიტის ნდობა დაკარგა, რომელიც ახლა უფრო უხალისოდ მიდის მოსკოვთან პოლიტიკურ დაახლოებაზე. რუსეთის გავლენა აფხაზეთზე ეკონომიკურ ხასიათს ატარებს და ასე დარჩება მანამ, სანამ საქართველო და საერთაშორისო საზოგადოებრიობა არ გადაწყვეტენ უარი თქვან აფხაზეთის იზოლაციის მცდელობაზე და არ შეიმუშავებენ ახალ სტრატეგიას,

რომლითაც ამ რეგიონისთვის უფრო ფართო ეკონომიკურ შესაძ-ლებლობებს გახსნიან იმ იმედით, რომ ასეთი სახით შერიგებისკენ მიმავალი პოლიტიკური დიალოგისთვის უფრო მყარი საძირკველი ჩაიყრება. მართლაც, შემობრუნების მსგავსი ნიშნები შეიძლება აფხაზეთის ეკონომიკის აღდგენაში ევროსაბჭოს მზარდ წვლილში დაინახო და ქართული არასამთავრობო ორგანიზაციების ხმებშიც საქართველოს მთავრობის მხრიდან ნდობის ცალმხრივი ზომების მოწოდება გაისმის. რუსეთი უწინდებურად მხოლოდ სამშვიდობო პროცესის საკითხებზე რეაგირებს, ძირითადად მოქმედი პირების რთული ნაკრების გამო და ხშირად საწინააღმდეგოა შეხედულებები მის სტრატეგიულ ინტერესებზე. არსებული ტენდენციის შენარ-ჩუნების შემთხვევაში რუსეთი შესაძლოა უფრო მეტად მარგინალური გახდეს, თუ საერთაშორისო საზოგადოება კავკასიის "გაყინული კონფლიქტების" დარეგულირებაში უფრო აქტიური როლის თამაშს გადაწყვეტს.

საქართველოს უსაფრთხოება და დასავლეთის როლი

დამიენ ელი და გიორგი გოგია

დასავლეთი მიესალმა მიხეილ სააკაშვილის, როგორც რეფორმებზე ორიენტირებული დემოკრატის, პრეზიდენტად არჩევას 2004 წლის იანვარში იმ იმედით, რომ მიუხედავად უამრავი პოლიტიკური სირთულისა, ის შეძლებდა თავისი ქვეყნის წარმართვას სტაბილურობის, უსაფრთხოებისა და განვითარების გზით. რამდენიმე თვის შემდეგ მისმა ძალადობრივმა აქციამ სამხრეთ ოსეთში ცხადყო, რომ დასავლეთის იმედები რამდენადმე გადაჭარბებული იყო. სააკაშვილის რევოლუციური წარმატება არ ნიშნავდა, რომ ის აუცილებლად შეძლებდა იმავე წარმატებით ქვეყნის ინსტიტუტების რეფორმირებას. ახალ ელიტას მემკვიდრეობით ერგო სუსტი სახელმწიფო, სადაც კორუფციას ღრმად ჰქონდა ფესვები გადგმული. დასავლეთმა სათანადოდ ვერ შეაფასა ეს პრობლემები. მისი ინტერესები რეგიონში დიდი ხნის მანძილზე ძალიან ვიწროდ იყო განსაზღვრული. ყოველივე ამან გამოიწვია სიტუაციის არასწორი და გაურკვეველი შეფასება, როგორც გარეშე სუბიექტებს შორის, ისე – საქართველოს ხელისუფლების შიგნით.

პირველი გაუგებრობა შეეხებოდა დასავლეთის ინტერესის ინტენსივობას. მიუხედავად საქართველოსა და ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობისა, არც ერთია შეერთებული შტატებისა და ევროკავშირისთვის პირველხარისხოვანი ინტერესის საგანი.[1] დასავლეთის პოლიტიკა რეგიონში *სტატუს-კვოს* შენარ-

[1] Fiona Hill, "A Not-So-Grand Strategy: United States Policy in the Caucasus and Central Asia since 1991," http://www.brook.edu/dybdocroot/views/articles/fhill/2001politique.htm. This paper is the English version of a contribution to *Politique étrangère*, no. 1 (February 2001), pp. 95–108.

ჩუნებისა და ახალი კონფლიქტების აცილებისკენ იყო მიმართული. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ მათ ბოლომდე ვერც მშვიდობის შენარჩუნება და ვერც ამიერკავკასიისთვის უსაფრთხოების ერთიანი ჩარჩოს შექმნა შეძლეს.[2]

საქართველოს ურთიერთობები აშშ-სა და ევროკავშირთან, ასევე, ემყარებოდა სხვა არასწორ ინტერპრეტაციებს. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ როგორც დასავლეთი, ისევე საქართველო, ცდილობდა საერთო ენის გამონახვას ურთიერთინტერესის გამოსახატავად. ისეთ სფეროებში, როგორიცაა ჰუმანიტარული და ფინანსური დახმარება, მათ, ნაწილობრივ, მიაღწიეს წარმატებას. თუმცა, სხვა მნიშვნელოვან სფეროებში კომუნიკაცია და ურთიერთ-გაგების ხარისხი დაბალი იყო. ამ ტენდენციის ახსნა რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით შეიძლება.

პირველი, ქართული ელიტა მოკლევადიანი სარგებლით იყო დაინტერესებული, როდესაც დასავლეთი, განსაკუთრებით კი, ევროკავშირი, ცდილობდა გრძელვადიანი, მდგრადი პროგრამების განხორციელებას. შევარდნაძის პრეზიდენტობისას, პოლიტიკური და სამთავრობო სტაბილურობის ნაკლებობა კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეებს უმოკლეს ხანში მაქსიმალური სარგებლის ძიებისკენ უბიძგებდა. უსაფრთხოების პრობლემები და ძალადობა, აგრეთვე, ჩეჩნეთის კონფლიქტთან დაკავშირებით რუსეთის პოლიტიკური ზეწოლა, ზრდიდა პოლიტიკურ დესტაბილიზაციას და აქეზებდა ვიწრო, თვითგამორჩენისკენ მიმართულ ქმედებებს. შედეგად, დასავლეთი აღმოჩნდა ისეთ რთულ სიტუაციაში, როდესაც ძნელი იყო გრძელვადიანი გადაწყვეტილებების ლობირება, თუ ქართული სახელმწიფო მოხელეები მოკლევადიან პირადულ სარგებელს ვერ მოიპოვებდნენ.

[2] ევროკავშირისა და აშშ-ს პოლიტიკა ხანდახან განსხვავებულიცაა საქართველოში. მაგალითად, 1999 წელს ევროკავშირი მკაცრად ეწინააღმდეგებოდა აშშ-ისა და მსოფლიო ბანკის გეგმებს სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ფოთის პორტის პრივატიზაციის შესახებ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ, როგორც წესი, ევროპა და ამერიკა ცდილობდა ამიერკავკასიაში პოლიტიკის კოორდინაციასა და პასუხისმგებლობის ტვირთის გადანაწილებას, ორმხრივი და მრავალმხრივი პოლიტიკის კომბინაციის გზით.

მეორე, ვერც შეერთებული შტატები და ვერც დასავლეთ ევროპა ვერ დაეყრდნობოდა საქართველოსთან ახლო ურთიერთობის ისტორიულ გამოცდილებას. ზოგიერთი დასავლური სახელმწიფო მოკლე ხნით იყო დაინტერესებული საქართველოთი 1921 წლის საბჭოთა ანექსიამდე.[3] ამ საერთო ისტორიული გამოცდილების ნაკლებობის გამო დასავლეთი და საქართველო, მიმდინარე პოლიტიკის განსაზღვრისას, ვერ იყენებენ წარსულ გამოცდილებას. ამას თან ერთვის დასავლურ ქვეყნებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებში გადაწყვეტილების მიღების რთული მექანიზმები. ეს, განსაკუთრებით, ევროკავშირს შეეხება. ქართველები, რომლებიც საბჭოთა ცენტრალიზებულ პოლიტიკას არიან ჩვეულნი, და ნაკლებად იცნობენ ევროპული ინტეგრაციის ხანგრძლივ პროცესს, იმედგაცრუებით აღიქვამენ, თუ როგორ მიიღება (ან არ მიიღება) გადაწყვეტილებები ევროკავშირში.

მესამე, კანონის უზენაესობა საკმაოდ სუსტადაა საქართველოში განვითარებული. ტრადიციები და არაფორმალური ურთიერთობები, გაცილებით, უფრო მნიშვნელოვან როლს თამაშობს, ვიდრე კანონით გათვალისწინებული პროცედურები. ამას გარკვეული პრობლემები მოჰყვება საერთაშორისო დახმარებისა და სხვა დასავლელ პარტნიორებთან თანამშრომლობის პროექტების ყოველდღიურ განხორციელებაში. სააკაშვილის მთავრობა ცდილობს ამ პრობლემის მოგვარებას, მაგრამ ამ პრაქტიკის სწრაფად აღმოფხვრა ადვილი არ იქნება. დასავლეთში განათლებამიღებული ახალგაზრდა ლიდერების, რომელთაც უკეთ უწყიან კანონის უზენაესობის პატივისცემის პრინციპები, მოსვლას ხელისუფლებაში, შესაძლოა, მოჰყვეს, ამ მხრივ, სიტუაციის გამოსწორება. თუმცა, უნდა აღიშნოს, რომ ხშირად ეს ახალი ელიტა დასავლურ და ადგილობრივ აუდიტორიას განსხვავებულად ესაუბრება. მაგალითად, სააკაშვილი, გაცილებით, უფრო ნაციონალისტურ და პოპულისტურ რიტორიკას იყენებს, როცა ის

[3] S. Neil MacFarlane, “Caucasus and Central Asia: Towards a Non-Strategy,” Geneva Center for Security Policy Occasional Paper Series no. 37 (Geneva: Geneva Center for Security Policy, 2002), http://www.gcsp.ch/e/publications/Occ-papers/2002/37-MacFarlane.pdf; Musa Gasimli, “The Role of the United States in the South Caucasus 1917–1918,” *Caspian CrossroadsMagazine*, vol. 6, no. 3 (2003), http://www.usazerbaijancouncil.org/caspiancrossroads/current.html#4.

ადგილობრივ აუდიტორიას მიმართავს, ვიდრე, როცა ის საერთაშორისო მსმენელს ესაუბრება.[4]

საქართველოსა და დასავლეთს შორის არსებული მეოთხე გაურკვევლობა უკავშირდება ორივე მხარის მიერ გადაჭარბებულ მოლოდინებს. ესაუბრებიან რა თავიანთ კავკასიელ კოლეგებს ამიერკავკასიის სტრატეგიულ გეოპოლიტიკურ მნიშვნელობაზე, დასავლეთი პოლიტიკური და სამხედრო დახმარების არარეალისტური მოლოდინების წარმოშობას უწყობს ხელს. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში სამხედრო მარცხის განცდის შემდეგ ქართველები დიდ იმედებს ამყარებენ დასავლეთის მიერ შიდა უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებაზე, რისი გადაწყვეტაც თავად ვერ შეძლეს. აშკარაა, რომ საქართველო მოუგვარებელი შიდა კონფლიქტებითა და უკონტროლო ტერიტორიებით ვერ იქნება მზად ჩრდილო-ატლანტიკურ ალიანსში გასაწევრიანებლად. მაგრამ, მიუხედავად იმისა, რომ თბილისმა 2002 წელს შეიტანა ნატოში გაწევრიანების ოფიციალური მოთხოვნა, არც ამ ორგანიზაციის მიერ ხდება მკაფიოდ განსაზღვრა, თუ რა გრძელვადიანი პერსპექტივები შეიძლება ჰქონდეს საქართველოს. თუმცა, 2004 წლის შემოდგომაზე ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმის (IPAP) მიღება, ერთგვარად, იმედისმომცემია.

რაც შეეხება ევროკავშირს, მას წევრობა, რა თქმა უნდა, არ შეუთავაზებია და რომ არა 2003 წლის ნოემბრის მოვლენები, საქართველო "ახალ სამეზობლო პოლიტიკაშიც" ვერ მოხვდებოდა.[5] თუმცა, წევრობის პერსპექტივა ძირითადი ბერკეტია, რომელიც ბრიუსელს გააჩნია საქართველოში ინსტიტუციონალური რე-

[4] მაგალითად, აფხაზეთის საკითხთან დაკავშირებით, პრეზიდენტი სააკაშვილი საერთაშორისო საზოგადოების წინაშე ინგლისურად გამოსვლისას ცალსახად კონფლიქტის მშვიდობიან გადაჭრას უჭერს მხარს. საქართველოში ქართული აუდიტორიისადმი მიმართვისას კი ის უფრო აგრესიულია ამ საკითხთან დაკავშირებით, რაც ხშირად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს მშვიდობიანი მეთოდების უალტერნატივობას.

[5] ევროკავშირის ეს პოლიტიკური ჩარჩო 2003 წელს იქნა შემუშავებული და მოიცავდა გაზრდილი ევროკავშირის ყველა გეოგრაფიულად მოსაზღვრე ქვეყანას (გარდა თურქეთისა და ბალკანეთის იმ სახელმწიფოებისა, რომლებიც ევროკავშირის წევრობის კანდიდატები არიან და, შესაბამისად, ევროკავშირის პოლიტიკის არსებულ ჩარჩოში ხვდებიან).

ფორმების სტიმულირებისათვის. ახალი სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირი უფრო მჭიდრო თანამშრომლობის პერსპექტივებს სთავაზობს იმ ქვეყნებს, რომლებიც ევროკავშირის მიზნების შესაბამის პოლიტიკას განახორციელებენ. თუმცა, საეჭვოა, არის თუ არა საკმარისი ასეთი ზოგადი პერსპექტივები ქართული პოლიტიკური ელიტისთვის არაპოპულარული რეფორმების განსახორციელებლად.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა ენერგოპროექტების მხარდაჭერით საქართველოში დიდი იმედების წარმოშობას შეუწყო ხელი, მაგრამ არ არსებობს გარანტია, რომ მხოლოდ ნავთობისა და გაზის პროექტები იქნება საკმარისი საქართველოს კეთილდღეობისთვის. ეს პროექტები, თავისთავად, ვერ შეძლებს სხვა უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, სანამ არ მოხდება სხვა მნიშვნელოვანი პირობების დაკმაყოფილება, როგორიცაა სამართლებრივი და ეკონომიკური რეფორმები, ან შიდა ტერიტორიული კონფლიქტების მოგვარება. ვაშინგტონი განსაკუთრებულად უსვამს ხაზს საქართველოს მნიშვნელობას რეგიონში და (სიტყვიერად მაინც) გამოდის მის დასაცავად, როცა რუსთიდან მომავალი ზეწოლა აუტანელი ხდება. თუმცა, ამასთან ერთად, აშშ საქართველოს რუსეთთან ურთიერთობისას უფრო დრეკადი პოლიტიკისკენ მოუწოდებს. ამერიკული ხედვით, საქართველო მუდმივად იქნება დამოკიდებული რუსეთზე მრავალ სფეროში და მას სხვა გზა არ აქვს, თუ არა ძლიერ მეზობელთან კონსტრუქციული თანამშრომლობა. მოკლედ, საქართველოს ხელისუფლებას, როგორც ჩანს, სჯერა, რომ დასავლეთის ძირითადი მიზანია საქართველოს ევრო-ატლანტიკურ სივრცეში გაწევრიანების ხელშეწყობა, მაშინ, როცა დასავლეთის პრიორიტეტია საქართველოს მიერ შიდაპოლიტიკური პრობლემების მოგვარება და რუსეთთან და სხვა მეზობელ სახელმწიფოებთან თანამშრომლობით ქვეყნის შიდა და რეგიონალური სტაბილურობის მიღწევა.

1990-იანი წლების განმავლობაში დასავლეთის უსაფრთხოების პოლიტიკა საქართველოში სამი ძირითადი მიზნის მიღწევას ემსახურებოდა: ენერგოგადაზიდვების უსაფრთხოება, შიდაკონფლიქტების მოგვარებით რეგიონალური სტაბილურობისა და ინტეგრაციის მიღწევა და ქართული სახელმწიფოს გაძლიერება. ეს უსაფრთხოების ამოცანები მჭიდრო ურთიერთკავშირშია. ყველა ამ

საკითხის განხილვა ხდება მრავალმხრივი და ორმხრივი ფორუმების ჩარჩოებში, სადაც საქართველოს უსაფრთხოების პრობლემების მოსაგვარებლად კონკრეტული წინადადებები განიხილება, როგორც ენერგო დამოუკიდებლობისა და რეგიონალური ინტეგრაციის, ისე – სახელმწიფო რეფორმების საკითხებშიც.[6] წინამდებარე თავში ჩვენ შევეცდებით, განვიხილოთ ყველა ამ მიზნის მნიშვნელობა საქართველოს მიმართ დასავლეთის უსაფრთხოების პოლიტიკის კონტექსტში.

საქართველოს დასავლელი პარტნიორები

საქართველოს ძირითად "დასავლელ პარტნიორებად" შეიძლება ევროკავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები ჩაითვალოს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო საქართველოს მიმართ თანმიმდევრული და ყოვლისმომცველი პოლიტიკის შემუშავება. პოლიტიკა არის სხვადასხვა სუბიექტის, ინსტიტუტისა და სახელმწიფოს მუშაობის შედეგი. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მათი გადაწყვეტილება საქართველოში აღიქმება, როგორც გაურკვეველი და შეუთანხმებელი.[7]

ევროკავშირის საგარეო პოლიტიკა დამოკიდებულია ე.წ. ინსტიტუციონალურ სამკუთხედს – საბჭოს, კომისიასა და პარლამენტს –

[6] Stephen J. Blank, *U.S. Military Engagement with Transcaucasia and CentralAsia* (Carlisle, PA: Strategic Studies Institute, 2000), http://www.carlisle.army.mil/pdffiles/PubID=113/

[7] Jan Zielonka, "Transatlantic Relations: Beyond the CFSP," in Hall Gardner and Radoslava Stefanova, eds., *Russia and China: The Risks of Uncoordinated Transatlantic Strategies* (Aldershot, UK: Ashgate, 2001), pp. 65–80. ამიერკავკასიაში დასავლეთის პოლიტიკაზე იხილეთ, S. Neil MacFarlane, *Western Engagement in the Caucasus and Central Asia* (London: Royal Institute of International Affairs, 1999), ხოლო დასავლეთის პოლიტიკის შესახებ აფხაზეთის კონფლიქტთან მიმართებაში იხილეთ, Bruno Coppieters, "Western Security Policies and the Georgian–Abkhaz Conflict," in Bruno Coppieters, David Darchiashvili, Natella Akaba, eds., *Federal Practice: Exploring Alternatives for Georgia and Abkhazia* (Brussels: VUB Press, 2000), pp. 21–58. (ამ სტატიის რუსული თარგმანი დაიბეჭდა, როგორც: *Бруно Коппитерс*. Политика Запада в области безопасности и грузино-абхазский конфликт // *Бруно Коппитерс, Давид Дарчиашвили, Нателла Акаба* (ред.). Практика федерализма. Поиски альтернатив для Грузии и Абхазии. М.: Весь Мир, 1999. С. 18-71, также по адресу: http://poli.vub.ac.be.)

შორის შიდა ურთიერთობებზე. ევროპული საბჭოს როლი განისაზღვრება წევრ-სახელმწიფოებს შორის პოლიტიკური თანამშრომლობით, როცა ისინი ცდილობენ ერთიანი საგარეო პოლიტიკის შემუშავებას. ზოგიერთი წევრი სახელმწიფო ცდილობს თავი აარიდოს ამიერკავკასიის პრობლემებში ღრმა ჩარევას.[8] ევრო კომისია, რომელიც ხშირად უფრო ერთიანი პოლიტიკის მომხრეა, ვერ გადის იმ ფარგლებს გარეთ, რომელსაც საბჭო აწესებს. თუმცა, ამას ხელი არ შეუშლია მისთვის ხანდახან გაბედული საგარეო ინიციატივებით გამოსვლაში.[9] რაც შეეხება ევროპის პარლამენტს, მართალია, ის ხანდახან სხვადასხვა ლობის გავლენის ქვეშ ექცევა ხოლმე (მაგალითად, სომხური ლობი), ის, ძირითადად, მაინც ამიერკავკასიაში ევროკავშირის უფრო აქტიური როლის მომხრეა და ცდილობს საბჭოს ამ გზისკენ ბიძგებას, მიუხედავად იმისა, რომ ევროპულ საზოგადოებას არ აქვს დიდი ინტერესი ევროპის ამ პერიფერიული რეგიონის მიმართ. ევროპელთა უმრავლესობის წარმოდგენით, ამიერკავკასია შორეულ მთებს მიღმა მიმალული ტერიტორიაა, ხოლო გადატანითი მნიშვნელობით, პრობლემების მთებს მიღმა მდებარეობს.[10] ჯერ-ჯერობით, ევროკავშირი საკმაოდ სუსტი მოთამაშეა ამიერკავკასიაში, უთმობს რა პირველობას ცალკეულ წევრ-სახელმ-

[8] ევროპელები ამიერკავკასიას სხვადასხვა თვალთახედვით შესცქერიან. ერთნი ყურადღებას ამახვილებენ რუსულ და საბჭოთა მემკვიდრეობაზე, მეორენი – ეთნო-ლინგვისტურ ფაქტორებზე; ზოგი კავკასიას ევროპის ნაწილად მიიჩნევს, სხვები უპირატესობას მის ფართო კასპიის ზღვის აუზში ჩართვას ანიჭებენ. ამ მიდგომათა უფრო დეტალური ანალიზი იხილეთ, Damien Helly, “The Role of the EU in the Security of the South Caucasus: A Compromised Specificity?” *Connections*, vol. 1, no. 3 (July 2002), pp. 67–76, http://pfpconsortium.org/parser.cgi?file=/infopages/pubs_en.htm.

[9] ევროპის კომისიის, როგორც საერთაშორისო აქტორისა და მისი საგარეო პოლიტიკის კომპეტენციების შესახებ (სხვა კვლევებს შორის), იხილეთ, Charlotte Bretherton and John Vogler, *The European Union as a Global Actor* (London: Routledge, 1999).

[10] მანამ, სანამ თურქეთის გაწევრიანება გადაუწყვეტელი რჩება, ამიერკავკასია არ იქნება პრიორიტეტული საკითხი ევროკავშირისათვის. მაგრამ, მას შემდეგ, რაც თურქეთი ევროკავშირის წევრი ქვეყანა გახდება, ის ამიერკავკასიასთან პირდაპირ საზღვარს შეიძენს. იხილეთ, Christopher Hill, “The Geopolitical Implications of Enlargement,” EUI Working Paper no. 30 (Florence: European University Institute, 2000).

წიფოებს, როგორიცაა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და გერმანია.[11]

აშშ-ში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღებისას, სახელმწიფო დეპარტამენტს, თავისი მრავალრიცხოვანი სამმართველოებითურთ, თეთრ სახლს, ეროვნული უსაფრთხოების საბჭოსა და თავდაცვის სამინისტროს – ყველას თავისი ხედვა გააჩნია ამიერკავკასიასთან მიმართებაში, მაშინ როცა, კონგრესი ნავთობისა თუ ეროვნული ლობის ზეგავლენით, ხშირად კიდევ სხვა გადაწყვეტილებების მიღებას ცდილობს. სხვადახვა პრეზიდენტის ადმინისტრაციები ამერიკაში განსხვავებულ პრიორიტეტებს შეიმუშავებდა.[12] 1990-იანი წლების ბოლომდე აშშ-ის პოლიტიკა განსაკუთრებულად გაურკვეველი იყო, რაც ინსტიტუციონალურ გაურკვევლობას და გადაწყვეტილების მიღების პროცესის შეუთანხმებლობას უკავშირდებოდა. მხოლოდ ბილ კლინტონის მეორე საპრეზიდენტო ვადის ბოლოს მოხდა "კასპიის პოლიტიკის" შემუშავება. გარდა ამისა, 2001 წლის 11 სექტემბრის ტერორისტული აქტების შემდეგ საგრძნობლად შეიცვალა აშშ-ის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები. საქართველო დღეს "დიდი ახლო აღმოსავლეთის" ნაწილად მოიაზრება – პოტენციური ტერორისტული საფრთხის მთავარი რეგიონი. საქართველოს როლი, როგორც ცენტრალური აზიის კარიბჭისა, ზედმიწევნით გაიზარდა ავღანეთისა და ერაყის საომარი კამპანიების შედეგად. სეპარატისტული რეგიონები საქართველოში განსაკუთრებული შეშფოთების საგანი გახდა, ვინაიდან ევროპელებიც და ამერიკელებიც აქ ტერორისტების პოტენციურ თავშესაფარს ხედავენ. ამ ტერორისტული საფრთხის გადაჭრა საქართველოს ერთიანი სახელმწიფო რეფორმის ფარგლებში უნდა მომხდარიყო.

---

[11] Dov Lynch, ed., The South Caucasus: A Challenge for the EU, Chaillot Papers no. 65 (Paris: Institute for Security Studies, European Union, December 2003), http://www.iss-eu.org/public/content/chaile.html. გერმანია და პატარა წევრი სახელწიფოები უფრო აქტიურად უჭერენ მხარს ევროკავშირის ერთიან პოლიტიკას, ვიდრე –დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი (ის რუსეთთან და აშშ-სთან ერთად ე.წ. მინსკის ჯგუფის წევრია, რომელსაც მთიანი ყარაბახის კონფლიქტში შუამავლის როლი აკისრია).

[12] Hill, "A Not-So-Grand Strategy." აგრეთვე იხილეთ, Simon Serfaty, "Les Etats-Unis, l'Europe et la France," *Revue française de géoéconomie*, no. 7 (1998), pp. 125–143; and Michael Brenner, "La diplomatie américaine et la sécurité en Europe," *Le Trimestre du Monde*, vol. 30 (1995), pp. 57–69.

ენერგოუსაფრთხოება

კლინტონის ადმინისტრაციიდან მოყოლებული, ვაშინგტონის მიდგომა კასპიის ზღვის ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების განვითარებისადმი უფრო მეტად გეოპოლიტიკურ გათვლებს ემყარებოდა — ვიდრე წმინდა კომერციულს.[13] 1990-იანი წლების მეორე ნახევარში შეერთებულმა შტატებმა, ეროვნული უშიშროების საბჭოს ინიციატივით, აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთის ნავთობსადენს, სხვა მარშრუტებთან შედარებით, ორი ძირითადი მიზეზის გამო მიანიჭა უპირატესობა: პირველი, რუსეთის ტერიტორიის გვერდის ავლა, რათა მოსკოვის ზეგავლენა შემცირებულიყო მის სამხრეთელ მეზობლებზე და მეორე, ვაშინგტონის გადაწყვეტილება – ხელი შეეშალა ირანისთვის, კასპიის ენერგორესურსების ტრანზიტით სარგებლობაში.[14] ამ ორი მიზეზის გარდა, აშშ-ის ოფიციალური პირები მოქმედებდნენ იმ გათვლით, რომ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანი (ბთჯ) ხელს შეუწყობდა რეგიონში სიტუაციის სტაბილიზაციას, კონფლიქტების შემცირების და არა სტიმულირების ხარჯზე. მილსადენის ეს პროექტი, აგრეთვე, ერთგვარი კომპენსაცია იყო თურქეთისათვის აშშ-ისგან, 1991 წლის სპარსეთის ყურეში საომარი მოქმედებების მხარდაჭერისთვის და ამ ომის შედეგად გარკვეული ფინანსური დანაკლისისთვის.[15] გარდა ამისა, კლინტონის ადმი-

[13] ემი ჯეფის შენიშვნით, კლინტონის "კასპიის პოლიტიკა" 1994 წლიდან არსებობდა, მაგრამ მისი მნიშვნელობა გაძლიერდა 1998 წელს რეგიონში სპეც. წარმომადგენლის დანიშვნით. იხილეთ, Amy Jaffe, "U.S. Policy towards the Caspian: Can the Wish-list be Realized?" in Gennady Chufrin, ed., *The Security of the Caspian Sea Region* (Oxford: Oxford University Press, 2001), pp. 136–150.

[14] Hill, "A Not-So-Grand Strategy." ჰილის განმარტებით, "1996 წლის აგვისტოში ირანისა და ლიბიის წინააღმდეგ სანქციების გადაწყვეტილების მიღებით, რომელიც აწესებდა ჯარიმებს ირანის ნავთობისა და გაზის ინდუსტრიის მსხვილი ინვესტორებისთვის, აშშ მკაფიოდ გადავიდა სპარსეთის ყურეში და სხვა რეგიონებში, კასპიის ჩათვლით, ირანის იზოლიაციის პოლიტიკაზე. შედეგად, 1995-96 წლებში [ეროვნული უშიშროების საბჭოს] ანალიტიკოსები გახდნენ აშშ-ის პოლიტიკის არქიტექტორები, რომელიც ითვალისწინებდა რამდენიმე მილსადენის მშენებლობას კასპიის ნავთობპოდუქტების ექსპორტისათვის, რაც კავკასიასა და ცენტრალურ აზიას დააკავშირებდა გლობალურ ბაზართან და ირანთან კავშირი მინიმუმამდე იქნებოდა დაყვანილი."

[15] Hill, "A Not-So-Grand Strategy."

ნისტრაცია ამ წამოწყებას შეერთებულ შტატებში ენერგორეს-ურსების მიწოდების დივერსიფიკაციის საჭიროებით ასაბუთებდა, მიუხედავად იმისა, რომ კასპიის ნავთობი მსოფლიო მარაგის 5%-ზე ნაკლებს შეადგენს.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის განხორ-ციელება რთულად მიმდინარეობდა. ბევრი მსხვილი ნავთობკომპანია თავიდან ეწინააღმდეგებოდა კავკასიურ მილსადენს, მიაჩნდათ რა, რომ ნავთობსადენი ეკონომიურად ყველაზე მომგებიანი ირანის ან რუსეთის ტერიტორიის გავლით იქნებოდა.[16] "ექსონ მობილი" (ExxonMobile), მოწინავე ამერიკული კომპანია აზერბაიჯანსა და ყაზახეთში, საბოლოოდ მაინც არ შეუერთდა პროექტს. თვით "BP"-იც კი, რომელიც დღეს ბთჯ-ის წამყვანი ძალაა, დიდხანს ეწინააღმდეგებოდა ამ პროექტს, მაგრამ საბოლოოდ დასთანხმდა, შეერთებული შტატების მნიშვნელოვანი ზეწოლის შედეგად. 2000 წელსაც კი, BP-ი შირაქის ველიდან მომავალი ბაქო-სუფსა მილსადენის გამტარუნარიანობის გაორმაგებას ანიჭებდა უპირატესობას, ვიდრე ბთჯ-ის გაყვანას.[17]

ეს პროექტი არც ევროკავშირის ბევრი ქვეყნისთვის იყო ოპტიმალური. რაც შეეხება ახალ წევრებს, უფრო ლოგიკური იქნებოდა კასპიის ნავთობის პირდაპირ შავი ზღვით – რუმინეთის, ბულგარეთის, ან საბერძნეთის გავლით – იმპორტი სამხრეთ ევრო-პაში, ვიდრე თურქეთისა და ხმელთაშუა ზღვის საშუალებით. მაგრამ ევროკავშირის ერთიანი ნავთობპოლიტიკის არარსებობის გამო ბრიუსელმა ვერ შეძლო გადაწყვეტილების მიღებაზე შესაბამისი ზემოქმედების მოხდენა. ვინაიდან ევროკავშირის ზოგიერთი წევრი ქვეყანა (როგორიცაა, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და იტალია), თავიანთ ნაციონალურ ნავთობკომპანიებთან ერთად (შესაბამისად, "BP", "TotalFinaElf"-ი და "ENI"), სარგებელს ხედავდა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტისა და სხვა კასპიური ინვეს-ტიციებიდან, მათ ნაკლები ინტერესი ჰქონდათ ერთიანი ენერგო-გეოპოლიტიკის შესამუშავებლად.[18] ასეთი პოლიტიკის არსებობა მათ

[16] Jaffe, "U.S. Policy towards the Caspian."

[17] Jaffe, "U.S. Policy towards the Caspian."

[18] საქართველოსა და ამიერკავკასიაში დიპლომატიური წარმომადგენლობის მქონე ევროკავშირის სხვა ქვეყნების ინტერესები, როგორიცაა გერმანია და საბერძნეთი, ნაკლებად მოექცნენ ნავთობინტერესების გავლენის ქვეშ.

ევროპელ კონკურენტებს რეგიონში ახალი შესაძლებლობების საშუალებას მისცემდა. "BP"-ს თავდაპირველი თავშეკავების მიუხედავად, ევროპული სახელმწიფოებიდან, საბოლოოდ, დიდი ბრიტანეთი იყო ბთჯ-ის ნავთობსადენის ერთ-ერთი ყველაზე დიდი მხარდამჭერი, პროექტის წინააღმდეგ მიმართული ბრიტანული არასამთავრობო ორგანიზაციების საპროტესტო კამპანიის მიუხედავად.

აზერბაიჯანის, საქართველოსა და თურქეთის ხელმძღვანელობა აქტიურად უჭერდა მხარს ბთჯ-ის ნავთობსადენს, მაშინ, როცა უმრავლესობა საერთაშორისო საქმიანი წრეებისა პროექტს კომერციულად არამომგებიანად მიიჩნევდა. აზერბაიჯანის პრეზიდენტი ჰეიდარ ალიევი და ნავთობკონსორციუმი "აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციული კორპორაცია" დაეხმარა პროექტს, ჩართო რა მის განხორციელებაში აშშ-ის ნავთობ-ბიზნესის მნიშვნელოვანი წარმომადგენლები ამერიკულ-აზერბაიჯანული სამრეწველო პალატიდან. თურქეთის პრეზიდენტი სულეიმან დემირელი ამტკიცებდა, რომ ბთჯ დადებითად იმოქმედებდა თურქეთში ეკოლოგიურ სიტუაციაზე, ვინაიდან ის საშიშად გადატვირთულ ბოსფორის სრუტეს აუვლიდა გვერდს. ხოლო საქართველოს პრეზიდენტი ედუარდ შევარდნაძე ირწმუნებოდა, რომ ბთჯ საქართველოს დაეხმარებოდა რეგიონში ენერგეტიკული ხიდის როლის შესრულებაში.

აშშ-ისა და ევროკავშირის სახემლწიფოებრივი ინტერესები ამიერკავკასიაში უკავშირდება კომერციულ ინტერესებს მსხვილი ნავთობკომპანიებისა, რომლებიც ქმნიან ძირითად კასპიის ენერგო კონსორციუმებს. კასპიის აუზში, თავიანთი ინვესტიციების უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველსაყოფად, ამ კომპანიებმა გამონახეს თანამზრახველები აშშ-ის გეოპოლიტიკურ-სტრატეგიული თეორიის მიმდევრებში, რომლებიც მხარს უჭერენ ამერიკის მზარდ როლს რუსეთის მეზობელ ქვეყნებში.[19]

აშშ-ის ყოფილი მაღალჩინოსნები, როგორებიც არიან: ზბიგნევ ბჟეზინსკი, ბრენტ სკოუკროფტი, ჯონ სუნუნუ, ჯეიმს ბეიკერი და რიჩარდ ჩეინი (როდესაც ის "ჰოლიბერტონ"-ს ხელმძღვანელობდა),

[19] Jaffe, "U.S. Policy towards the Caspian."

სხვადასხვა დროს ესტუმრნენ ბაქოსა და კასპიის რეგიონს და ლობირებდნენ ნავთობკომპანიების ინტერესებს.[20]

ვინაიდან რუსეთი (არაუსაფუძვლოდ) ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში ხედავდა მცდელობებს მისი ზეგავლენის შემცირებისა და აზერბაიჯანისა და საქართველოს ენერგო ბაზრებიდან მისი გაძევებისა, ის მაინც არ მოლბა პროექტის იდეისადმი მას შემდეგაც კი, როცა რუსეთის ნავთობკომპანია ლუკოილი პრინციპულად დასთანხმდა პროექტში მონაწილეობას. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ლუკოილის მონაწილეობა გაგრძელდა მხოლოდ 2002 წლამდე, როცა იგი, დღემდე უცნობი მიზეზების გამო, პროექტიდან გავიდა.

ბთჯ-ის პროექტმა მკაცრი კრიტიკა გამოიწვია სხვადასხვა დასავლური თუ ქართული არასამთავრობო ორგანიზაციის მხრიდანაც, რომელნიც მისი შესაძლო ეკოლოგიური შედეგებით არიან შეშფოთებულნი.[21] პროექტის დამგეგმავები თვით საქართველოშიც კი, შეეჯახნენ ღია პროტესტს, რომელიც უკავშირდებოდა მილსადენის, როგორც თავიდან იგეგმებოდა, ბორჯომის ნაკრძალში გავლას და მინერალურ წყალზე ზეგავლენის სავარაუდო შედეგებს. ანტი-ბთჯ-ის კამპანია 2004 წელსაც გაგრძელდა, მაგრამ კლებადი სიხშირით და ძალებით.

ვაშინგტონის ძალისხმევა რომ არა, ალბათ, ბთჯ-ის მილსადენის გაყვანა შეუძლებელი იქნებოდა. ამ პროექტში მონაწილე კომპანიები საჭიროებდნენ აშშ-ის ჩარევას, რათა ადგილობრივ ხელისუფალთა მხარდაჭერა მოეპოვებინათ და მიეღოთ სახსრები საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებიდან. აშშ-ის მხარდაჭერით, საერთაშორისო საფინანსო კორპორაციამ (სსკ) – მსოფლიო ბანკის სტრუქტურა, რომელიც კერძო სექტორთან მუშაობს – 2003 წლის ნოემბერში

[20] Svante E. Cornell, Small Nations and Great Powers: A Study of Ethnopolitical Conflict in the Caucasus (Richmond, UK: Curzon, 2001), p. 373.

[21] ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის პროექტის არასამთავრობოთა კრიტიკის შესახებ, იხილეთ, United Kingdom Parliament, House of Commons, Session 2002–03, *International Development Committee Publications, International Development—Written Evidence, Annex 1,* November 6, 2003, http://www.parliament.the-stationeryoffice.co.uk/pa/cm200203/cmselect/cmintdev/1266/1266we15.htm. ბაქო-ჯეიჰანის კამპანიის შესახებ, იხილეთ, http://www.bakuceyhan.org.uk.

თანხმობა განაცხადა ბთჯ-ის პროექტში მონაწილეობაზე.[22] გარკვეული თავდაპირველი უთანხმოებები ნავთობსადენის საკითხებზე, ერთის მხრივ, აშშ-სა და, მეორეს მხრივ, ევროპულ სახელმწიფოებს შორის თანდათანობით გაქრა და 2004 წლისთვის ბთჯ-ის პროექტი უკვე რეალობად იქცა. დღესდღეობით, ბთჯ-ის ნავთობსადენი, სავარაუდოდ, 2005 წელს შევა ექსპლოატაციაში და 2010 წლისთვის მიაღწევს სრულ დატვირთვას, როცა ის დღეში, დაახლოებით, ერთ მილიონ ბარელ ნავთობპროდუქტს გაატარებს.[23]

ერთიანი ენერგოპოლიტიკის არარსებობის მიუხედავად, ევროკავშირში ყოველთვის ესმოდათ, რომ საქართველო ნავთობისა და გაზის ევროპაში გადაზიდვის ძირითად ტრანზიტად იქცეოდა და ამიტომ ჩართეს იგი 1997 წელს თავიანთ შავი ზღვის აუზის სტრატეგიაში, რომლის ერთ-ერთი კომპონენტი ხაზს უსვამდა ტრანსევროპული ქსელების კავკასიის ინფრასტრუქტურასთან მიერთების საჭიროებას. ამ მიზნებმა ასახვა ჰპოვა ევროკომისიის 2001 წლის "Green Paper"-ში, რომელიც ენერგო მომარაგების უსაფრთხოებას შეეხებოდა და ენერგორესურსების ალტერნატიული წყაროების აღმოჩენაზე ამახვილებდა ყურადღებას.[24] ევროკავშირი, ასევე, განსაკუთრებით, დაინტერესდა აზერბაიჯანული გაზის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში საქართველოს გავლით ექსპორტით. ბაქო-

[22] "სსკ-ს ინვესტიციები ბთჯ-ის მილსადენში შეადგენს 125 მილიონ აშშ დოლარის სესხს საკუთარი სახსრებიდან და 125 მილიონი აშშ დოლარის სესხს კომერციული სინდიკაციის სახით. ბთჯ-ის პროექტის საერთო ღირებულება შეადგენს 3,6 მილიარდ აშშ დოლარს." იხილეთ, http://www.ifc.org/btc.

[23] იხილეთ, http://www.caspiandevelopmentandexport.com/ASP/BTC.asp.

[24] ევროპის კომისიის კომუნიკაცია Regional Cooperation in the Black Sea Area: State of Play, Perspectives for EU Action Encouraging Its Further Development, November 14, 1997. შავი ზღვის პროექტ "პეტრა"-ს შესახებ იხილეთ, www.bs-petra.org. ევროკომისიის შავი ზღვის პოლიტიკის ძირითად მიღწევად, რომელიც მიმართული იყო ევროკავშირის შემდგომი გაფართოების მომზადებაზე, გახლდათ შავი ზღვის ირგვლივ სატრანსპორტო ქსელების შექმნა და ევროკავშირს გარეთ არსებული ზღვისპირა სახელწიფოების მზარდი ეკონომიკური ინტეგრაცია. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ შავი ზღვის პოლიტიკა მაინც ვერ იქცა ევროკავშირისთვის პრიორიტეტად. აგრეთვე, იხილეთ, ევროკავშირის "მწვანე ანგარიში", Towards a European Strategy for the Security of Energy Supply (2001), http://europa.eu.int/comm/energy_transport/en/lpi_lv_en1.html. ეს დოკუმენტი ევროკომისიის მიერ იქნა მიღებული 2000 წლის 29 ნოემბერს.

თბილისი-ერზრუმის პროექტის დანიშნულების პუნქტად თურქეთი შეირჩა, რომელმაც, საბერძნეთის გავლით, უნდა მოახდინოს ევროკავშირის ქვეყნებში გაზის ტრანსპორტირება და, სავარაუდოდ, მისი გაყვანა 2006 წელს უნდა დასრულდეს.[25]

ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების "გადაუწყვეტლობა" ერთიანი ენერგოპოლიტიკის შემუშავებაში, 1999 წლამდე, მაინც, გარკვეულწილად, ბალანსირდებოდა ევროკომისიის მცდელობით, ტრანსპორტისა და ენერგოსაკითხებში ერთიანი მიდგომა ჰქონოდათ.[26] მანამ, სანამ ამიერკავკასიაში მიმდინარეობდა ექსპორტის მარშრუტების შემუშავება და იგეგმებოდა მილსადენების მშენებლობა, ევროკავშირი საკუთარი ინიციატივის განხორციელებას შეუდგა. მან აამუშავა ალტერნატიული, დროებითი სისტემა ნავთობის რკინიგზით გადაზიდვისა, აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, ევროპა-კავკასია-აზიის სტრანსპორტო კორიდორის (TRACECA) დაკავშირებით.[27] მრავალმხრივი ტექნიკური შეთანხმებების შედეგად, ეს სისტემა შემუშავდა ევროპის სატრანსპორტო ქსელების ცენტრალურ აზიასა და კავკასიასთან დასაკავშირებლად და ჭარბი კასპიური ნავთობის, რომელიც მილსადენით არ მიედინება, ევროპაში გასატანად. ამავდროულად, ევროპაში გაზისა და ნავთობის ტრანსპორტირების სამთავრობოთაშორისო პროგრამის (INOGATE) ფარგლებში, ევროკავშირი ცდილობდა რეგიონში გაზისა და ნავთობის ინფრასტრუქტურის სექტორში ერთიანი ნორმატიული ბაზის შექმნას.

დასავლური ქვეყნების ინტერესმა, ენერგორესურსების ტრანსპორტირების ხაზების მიმართ, აიძულა ისინი უფრო აქტიური როლი ეთამაშათ კავკასიაში არსებული კონფლიქტების მოგვარებაში.

---

[25] Jean-Christophe Peuch, "Smell of Russian Gas Hangs over Georgian Election Campaign," *RFE/RL*, June 14, 2003, http://www.rferl.org/features/2003/06/13062003144514.asp.

[26] Peter Bachrach and Morton S. Baratz, "Decisions and Nondecisions: An Analytical Framework," *American Political Science Review*, vol. 57, no. 3 (1963), pp. 632–642. ეს კონცეფცია იქნა გამოყენებული: Damien Helly, "L'action extérieure de l'Union européenne dans le Caucase du Sud," Ph.D. diss., Institut d'Etudes Politiques de Paris, 2003.

[27] TRACECA-ს შესახებ იხილეთ, Damien Helly, "Un corridor de transport Asie-Europe: Traceca, l'Union européenne et sa Route de la Soie," *Courrier des Pays de l'Est*, no. 1019 (2001), pp. 52–64.

საზღვრის კონტროლი, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა, მდგრადი საგადასახადო სისტემა და ეფექტური სამართალდამცავი მექანიზმი უმნიშვნელოვანესია არა მარტო საქართველოსთვის, არამედ — მთელი რეგიონისთვის, ვინაიდან საქართველო რჩება ძირითად სატრანზიტო ტერიტორიად. ის არის სატრანსპორტო კვანძი, რომლის საშუალებითაც სომხური და აზერბაიჯანული საქონელი აღწევს თურქეთის, რუსეთის, ირანისა და მსოფლიოს სხვა ბაზრებზე. აქედან გამომდინარე, ურთიერთდამოკიდებულება წარმოიშვა ენერგოუსაფრთხოებას, სტაბილურობასა და კავკასიაში კონფლიქტების მოგვარებას შორის, რამდენადაც რთული არ უნდა ყოფილიყო ამის მიღწევა. შემთხვევითი არაა, რომ კავშირი ნავთობსა და მთიანი ყარაბახის კონფლიქტს შორის აშშ-ს ადმინისტრაციის ყურადღების ცენტრში მოექცა 1990-იანი წლების მეორე ნახევარში, დაახლოებით, მაშინ, როცა კლინტონის ადმინისტრაცია აქტიურად ჩაერთო ბთჯ-ის ნავთობსადენის პროექტში.

კონფლიქტების მოგვარება

საქართველოს მიღწევები კონფლიქტების მოგვარების საკითხებში საკმაოდ მწირია: არც აფხაზეთის და არც სამხრეთ ოსეთის კონფლიქტი არ აღმოფხვრილა და რამდენჯერმე მოხდა კონფლიქტის ზონებში სიტუაციის მძაფრი ესკალაცია, რაც 1998 და 2004 წლებში ღრმა კრიზისებშიც გადაიზარდა. ვერც აშშ-მა და ვერც ევროპამ შეძლო ამ წამოჭრილი კრიზისების თავიდან აცილება. სამშვიდობო პროცესებში მათი მონაწილეობა არ აღმოჩნდა წარმატებული სხვა მედიატორებთან, ძირითადად, რუსეთთან შეუთანხმობლობის გამო. საქართველო იქცა რუსეთისა და აშშ-ის ბრძოლის ველად, სადაც ცივი ომი კვლავ გრძელდება, ძირითადად, "არც ომი, არც მშვიდობის" პრინციპით და გაყინული სტატუს კვო-თი. არაღიარებული რესპუბლიკები დესტრუქციულ როლს თამაშობენ მოლაპარაკებებში, ძირითადად, მოსკოვის პირდაპირი მითითებების წყალობით.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამიერკავკასია მუდმივად დესტაბილიზირებულია და ამ არეულობის ევროპასა თუ ახლო აღმოსავლეთში გავრეცელების საშიშროება რეალურია.[28] ევროპის

ენერგოინტერესების დასაცავად აუცილებელია აზერბაიჯანსა და საქართველოზე გამავალი სატრანსპორტო კორიდორის სტაბილიზაცია.[29] "ევროპა – როგორც ამას ერთ-ერთი ანალიტიკოსი აღნიშნავს – ვერ იქნება სრულიად უსაფრთხო, თუ კავკასია დარჩება ევროპული უსაფრთხოების [ჩარჩოს] მიღმა."[30] ვინაიდან ამიერკავკასიაში უსაფრთხოება მოიცავს პრობლემათა ფართო წრესა და მრავალ სახელმწიფოს, გამოსავალი მხოლოდ მოლაპარაკებათა მრავალმხრივ ჩარჩოებში უნდა გამოიძებნოს, რადგანაც მხოლოდ კოლექტიურმა გადაწყვეტილებებმა შეიძლება მოგვცეს პრაქტიკული შედეგები. რეგიონის სტაბილურობა ყველა ჩართული მხარის შეთანხმებას მოითხოვს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მარგინალიზირებული ან პროცესებიდან ჩამოშორებული ძალები შეიძლება მოგვევლინონ ხელის შემშლელებად. მხარეთა შუამავლებს შორის კონკურენციამ ადვილად შეიძლება მიგვიყვანოს ჩიხამდე. რუსეთი წინააღმდეგი გამოვიდა მთელი რიგი დასავლური ინიციატივებისა მთიანი ყარაბახისა და აფხაზეთის კონფლიქტებთან მიმართებაში, ისევე, როგორც, დასავლეთი უშლიდა ხელს რუსეთის მცდელობებს ყოფილიყო ერთადერთი მედიატორი საქართველოს შიდა კონფლიქტებში.

კავკასიის რეგიონალური სტაბილურობა და ამიერკავკასიის ქვეყნებში შიდა სტაბილურობა დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ შეძლებენ შიდა და გარე ძალები უსაფრთხოების პრობლემათა კომპლექსთან გამკლავებას, სადაც თითოეული შემადგენელი ელემენტი დამოკიდებულია ყველა დანარჩენ ელემენტზე.[31] შესა-

---

[28] ამიერკავკასიის გეოპოლიტიკური მნიშვნელობის შესახებ იხილეთ, Ronald D. Asmus and Kenneth M. Pollack, "The New Transatlantic Project: A Response to Robert Kagan," *Policy Review*, no. 115 (2002), pp. 3–18, http://www.policyreview.org/OCT02/asmus.html; Bruno Coppieters, ed., *Contested Borders in the Caucasus* (Brussels: VUB Press, 1996); and Edmund Herzig, *The New Caucasus: Armenia, Azerbaijan, and Georgia* (London: Royal Institute of International Affairs, 1999). (*Бруно Коппитерс (ред.)*. Спорные границы на Кавказе. М.: Весь Мир, 1996, также по адресу: http://poli.vub.ac.be.)

[29] William E. Odom, "U.S. Policy toward Central Asia and the South Caucasus," *Caspian Crossroads Magazine*, vol. 3, no 1 (1997); Graham Fuller, "Geopolitical Dynamics of the Caspian Region," *Caspian Crossroads Magazine*, vol. 3, no. 2 (1997), http://www.usazerbaijancouncil.org/caspiancrossroads/archive/archive.htm.

[30] Blank, *U.S. Military Engagement with Transcaucasia and Central Asia*, p. 8.

[31] Cornell, Small Nations and Great Powers.

ბამისად, საქართველოს უსაფრთხოება მჭიდროდ უკავშირდება მის ურთიერთობებს მეზობელ სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი – რუსეთთან. ამგვარად, საქართველოსთან ურთიერთობისას დასავლეთს სხვა გზა არა აქვს, თუ არა გაითვალისწინოს რუსეთის ისტორიული, გეოგრაფიული, სამხედრო და ეკონომიკური წონა. დასავლეთისთვის საქართველოს პრობლემათა გადაწყვეტა ნიშნავს არა მარტო შუამავლის როლის შესრულებას დაპირისპირებულ მხარეებს შორის, არამედ რუსეთთან, თურქეთთან და ირანთან მოლაპარაკებებსაც, ვინაიდან თითოეულ მათგანს უშუალოდ ეხება საქართველოში კონფლიქტების მოგვარების მცდელობათა შედეგები. აუცილებელია, აგრეთვე, მრავალმხრივი უსაფრთხოების ჩარჩოთა გათვალისწინება, როგორებიცაა ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ) და ჩრდილო ატლანტიკური ალიანსი (ნატო). გარდა ამისა, საქართველო შავი ზღვის სანაპიროს ყველა სახელმწიფოს მეზობელია და ამიერკავკასიის სამივე სახელმწიფო შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის (ბისეკ-ის) წევრია.[32]

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონის უსაფრთხოების პოლიტიკაში მრავალმხრივობა არ არის ყველაზე თვალში საცემი ნიშანი და გარე ძალები ხანდახან ერთმანეთს უპირისპირდება ამიერკავკასიაში. მაგალითად, ნატოსა და ევროკავშირის გაფართოებასთან ერთად, ზოგიერთი დასავლელი ანალიტიკოსი მიიჩნევს, რომ ამიერკავკასიის სამი სახელმწიფო უნდა განიხილებოდეს, როგორც "დასვლეთის უშუალო სამეზობლო" და არა როგორც მოსკოვის "უახლოესი საზღვარგარეთი."[33]

[32] მიუხედავად იმისა, რომ სომხეთს არ გააჩნია ზღვაზე გასასვლელი, ის მაინც ერთ-ერთია ბისეკ-ის თერთმეტ წევრთაგან, სადაც წევრობა რეგიონალური და არა მკაცრად გეოგრაფიული პრიციპების მიხედვითაა. ამ ორგანიზაციის შესახებ უფრო დაწვრილებით შეგიძლიათ იხილოთ თომას დე ვაალის თავი ამავე წიგნში.

[33] ეს ახალი ცივი ომის არგუმენტი წამოწიეს ისეთმა ცნობილმა ამერიკელმა პოლიტიკოსებმა, როგორებიცაა: ზბიგნევ ბჟეზინსკი და ბრუს ჯექსონი. აგრეთვე, იხილეთ, Vladimir Socor, "Better For All than Alexander the Great," *The Wall Street Journal Europe*, January 10, 2003. სოკორი წერს: "ნატომ უკვე მიიღო შავი ზღვისპირეთის დასავლეთი ნაწილი რუმინეთსა და ბულგარეთში, რითაც გაამყარა კავშირი თურქეთის სამხრეთის სანაპიროსთან. ბალკანეთის აღმოსავლეთ სანაპიროზე კი ის სტრატეგიულად მდებარეობს საქართველოსა და ენერგორესურსებით მდიდარ კასპიის აუზთან, რომლებიც დასავლეთის ახალი სამეზობლო ინიციატივის წევრები გახდნენ."

ამავდროულად, რუსეთის კონსერვატიული ძალები დარწმუნებულნი არიან, რომ მოსკოვის მდგომარეობის გადარჩენა მხოლოდ სამხედრო ძალაუფლებისა და იმპერიული რუსეთის აღდგენით შეიძლება, ამიეკავკასიაშიც კი. ამგვარად, საქართველოს წილად ერგო საეჭვო პრივილეგია, იყოს ერთ-ერთი იმ მცირეოდენ ქვეყნებს შორის, სადაც დასავლეთი და რუსეთი პირდაპირ უპირისპირდება ერთმანეთს.

საქართველოს მოუგვარებელი კონფლიქტები აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში სერიოზულად აბრკოლებს ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ განვითარებას და მის სტაბილურობას. ორგანიზებული დანაშაული და ჩრდილოვანი ეკონომიკა ყვავის სეპარატისტულ ტერიტორიებზე და ვრცელდება რა ქვეყნის სხვა ნაწილებში, სერიოზულ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, როგორც შიდა, ისე – გარე ეროვნულ უსაფრთხოებას. ამ კონფლიქტებმა განსაკუთრებულად დაძაბეს საქართველო-რუსეთის ურთიერთობები, გამოიწვიეს ასეული ათასობით ადამიანთა იძულებითი გადაადგილება და მთელი მოსახლეობის ტრავმირება, აგრეთვე, შიდასაზოგადოებრივი დაპირისპირებები. საქართველოს ეროვნული უსაფრთხოება წარმოუდგენელია ამ კონფლიქტების მოგვარების გარეშე.

მრავალი დიპლომატიური ინიციატივა იქნა წამოწყებული აფხაზეთის კონფლიქტის მოსაგვარებლად, სადაც ომის შედეგები განსაკუთრებულად მძიმე იყო. ამ პროცესში მონაწილე ყველა საგარეო, თუ შიდა ძალა მიდის იმ დასკვნამდე, რომ, თუ ოდესმე გამოიძებნება გადაწყვეტის გზა, იგი, პრობლემის ხასიათიდან გამომდინარე, აუცილებლად მოითხოვს მრავალმხრივ მიდგომას. გაერო არის ის ორგანიზაცია, რომლის ჩარჩოშიც შეიძლება ჩამოყალიბდეს ასეთი მრავალმხრივი მიდგომა.

აფხაზეთში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საქმიანობა სხვადასხვა ფორმით ვლინდებოდა — ე.წ. "მსუბუქი ზომებიდან" (როგორიცაა, 1992 წელს პირველი კვლევითი მისია) სამხედრო სადამკვირვებლო მისიამდე. გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოში 1993 წლის აგვისტოში გაიხსნა, რათა განეხორციელებინა 1993 წლის ივლისში თბილისსა და სოხუმს შორის გაფორმებული ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების მო-

ნიტორინგი.[34] 1994 წლამდე დასავლეთი ითვალისწინებდა რა რუსეთის ინტერესებს რეგიონში, ცდილობდა დასავლეთის გავლენათა შეჭრის გამო დაძაბულობის თავის არიდებას. ამ მიზეზით, გაერომ მხოლოდ სადამკვირვებლო მისია გახსნა საქართველოში და არა სრული სამშვიდობო ოპერაცია.[35]

საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ფარგლებში, დაახლოებით, 100 სამხედრო დამკვირვებელი მსახურობს აფხაზეთში. მათი მთავარი მისიაა მონიტორინგი გაუწიოს და თვალყური ადევნოს 1994 წლის 14 მაისს მოსკოვში მიღწეული ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ შეთანხმების განხორციელებას.[36] მისი მანდატი მოიცავს: (1) "უსაფრთხოების ზონის" (სადაც დაუშვებელია სამხედრო ძალების ყოფნა) და "შეზღუდული ზონის" (სადაც აკრძალულია მძიმე ტექნიკის განთავსება) მეთვალყურეობას ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორივე მხარეს, ენგურის ხიდის გასწვრივ; (2) კოდორის ხეობის[37] პატრულირება და (3) დსთ-ის სამშვიდობო

[34] 1993 წლის 27 ივლისს გუდაუთაში საქართველომ და აფხაზეთმა ხელი მოაწერა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებას. გაეროს სამხედრო დამკვირვებლები ახორციელებდნენ, თავდაპირველად, შეთანხმების მონიტორინგს. მაგრამ 1993 წლის სექტემბერში შეთანხმება დაარღვიეს აფხაზებმა ოჩამჩირესა და სოხუმზე თავდასხმით. ახალი შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ დაიდო 1994 წელს მოსკოვში. მხარეები შეთანხმდნენ დსთ-ის სამშვიდობო კონტინგენტის განთავსებაზე, ხოლო გაეროს მისიას საქართველოში უნდა განეხორციელებინა შეთანხმებისა და დსთ-ის სამშვიდობოების ქმედებათა მონიტორინგი. უფრო დეტალურად, იხილეთ, Oliver Paye and Eric Remacle, "UN and CSCE Policies in Transcaucasia," in Coppieters, *Contested Borders in the Caucasus*, pp.105–110. (*Оливье Пэ и Эрик Ремакль.* Политика ООН и СБСЕ в Закавказье // *Бруно Коппитерс (ред.).* Спорные границы на Кавказе. С. 118-128.) აგრეთვე იხილეთ, Rick Fawn and Sally N. Cummings, "Interests over Norms in Western Policy toward the Caucasus: How Abkhazia Is No One's Kosovo," *European Security*, vol. 10, no. 3 (autumn 2001), pp. 84–108.

[35] S. Neil MacFarlane, "The Role of the UN," *Accord*, issue 7 (September 1999), p. 36, http://www.c-r.org/accord/geor-ab/accord7/unrole.shtml; (*С. Нил Макфарлейн.* Роль ООН // *Джонатан Коэн (ред.)* Проблема суверенитета. *Accord*, выпуск 7. Консилиэйшн Рисорсиз. Лондон, 1999 – М.: Глобус, 2000. С. 44, также по адресу: http://www.c-r.org/accord/series.shtml.) და Pierre Binette, "La crise en Abkhazie, acteurs et dynamique," *Revue Etudes Internationales*, vol. 29, no. 4 (1998), pp. 831–865.

[36] იხილეთ, საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ინტერნეტ-გვერდი: http://www.un.org/Depts/dpko/missions/unomig/.

[37] კოდორის ხეობა არის მაღთალმთიანი ტერიტორია აფხაზეთში. ხეობის ზედა ნაწილი საქართველოს იურისდიქციის ქვეშაა.

ძალების ქმედებათა მონიტორინგი მოსკოვის ხელშეკრულების შესრულების ფარგლებში.[38] საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია პასუხისმგებელია, აგრეთვე, კონფლიქტის ორივე მხარესთან მჭიდრო კონტაქტით, დსთ-ის სამშვიდობო ძალებთან ურთიერთობით და კონფლიქტის ზონაში მისი ყოფნით, ხელი შეუწყოს დევნილთა და ლტოლვილთა უსაფრთხო და ორგანიზებულ დაბრუნებას. გაეროს დამკვირვებელთა სამხედრო კონტინგენტი, ძირითადად, ევროპული ქვეყნებისგან შედგება. ისინი შეუიარაღებელნი არიან და მათი პოლიტიკური თუ ფიზიკური უსაფრთხოება საკმაოდ მყიფეა.[39] მაგალითად, გაეროს სადამკვირვებლო მისია საქართველოში იძულებული იყო შეეწყვიტა ზედა კოდორის ხეობის მონიტორინგი მას შემდეგ, რაც მისი დამკვირვებლები გაიტაცეს 2003 წლის ივნისში.

სრულმასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირების მისაღწევად საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიამ შეიმუშავა რთული, მრავალმიმართულებიანი სამშვიდობო მოლაპარაკებების მექანიზმი, როგორც მას ხშირად უწოდებენ "ჟენევის პროცესი".[40] ჟენევის პროცესს გაერო თავმჯდომარეობს. რუსეთი ითვლება, რომ ფასილიტატორის როლს ასრულებს, რაც საკმაოდ ამბიციური ფუნქციაა, მაგრამ აშკარაა, რომ არსებობს მოლოდინი რუსეთის მიერ სრულმასშტაბიანი დარეგულირების ხელისშეწყობის. ეუთოსა და გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფს – რომელშიც შედიან აშშ, გერმანია, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი და რუსეთი – აქვთ დამკვირვებლის სტატუსი ამ პროცესში. ჟენევის მოლაპარაკებათა დღის წესრიგი საკმაოდ ფართოა და მოიცავს, როგორც პოლიტიკურ, ჰუმანიტარულ, აგრეთვე, უსაფრთხოებისა და ეკონომიკურ საკითხებს. 1997 წელს ჟენევის მოლაპარაკებათა ფართო ჩარჩოში შეიქმნა უფრო კომპლექსური მექანიზმი, რომელიც შედგება საკოორდინაციო საბჭოსა და სამი თემატური სამუშაო ჯგუფისგან. ეს ჯგუფები მუშაობენ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა უსაფრთხოება და ძალადობის განუახლებლობა, დევნილთა და ლტოლვილთა დაბრუნება და

[38] იხილეთ, http://www.unomig.org.

[39] Fawn and Cummings, "Interests over Norms in Western Policy toward the Caucasus," pp. 84–108.

[40] მხარეთა შორის მოლაპარაკებათა პირველი რაუნდი გაიმართა ჟენევაში, 1993 წლის ნოემბერ-დეკემბერში.

ეკონომიკური თანამშრომლობა. ამავდროულად, გაერომ განავითარა ნდობის აღდგენისკენ მიმართული ფორუმი, რათა ხელი შეეწყოს არაფორმალურ გარემოში ორმხრივი კონტაქტების გაზრდას.[41] 1993-დან 1997 წლამდე გაეროს გენ. მდივნის სპეციალური ელჩი ხშირად სტუმრობდა ხოლმე საქართველოსა და აფხაზეთს, მაგრამ კონფლიქტის ზონაში მუდმივად არ იმყოფებოდა. 1997 წლის ივლისში დანიშნული გაეროს გენ. მდივნის სპეციალური წარმომადგენელი დღეს ჟენევის პროცესს თავმჯდომარეობს და საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიას ხელმძღვანელობს.

აშშ, გერმანია, რუსეთი, დიდი ბრიტანეთი და საფრანგეთი საქართველოს საკითხებში გაეროს გენ. მდივნის მეგობართა ჯგუფში მონაწილეობენ. ეს ინიციატივა, თავდაპირველად, ფრანგებს ეკუთვნოდათ და ითვალისწინებდა მდორედ მიმდინარე სრულმასშტაბიანი შეთანხმების მოლაპარაკებების პროცესის გამოცოცხლებას და ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში რუსეთის დომინანტური როლის დაბალანსებას. მეგობართა ჯგუფი უკავშირდება გაეროს სამშვიდობო ოპერაციას და ჟენევის მოლაპარაკებათა ფორმატს. მიუხედავად რუსეთის წევრობისა, აფხაზები მეგობართა ჯგუფს აღიქვამენ, როგორც მიკერძოებულ ძალას, რომელიც დასავლეთის ეკონომიკურ და გეოსტრატეგიულ ინტერესებს იცავს.[42] ეს აღქმა მთლიანად საფუძველს მოკლებული არაა. განსაკუთრებით საფრანგეთი არასდროს მალავდა თავის პრო-ქართულ პოზიციას და რამდენჯერმე პირდაპირ აქვს ეს აფხაზებისთვის გაცხადებული. დიდი ბრიტანეთი და გერმანია უფრო ფრთხილად მოქმედებენ, ერთის მხრივ, აქტიურად მონაწილეობენ მეგობართა ჯგუფის საქმიანობაში, ხოლო მეორე მხრივ, აფინანსებენ კონფლიქტის მოგვარებისკენ მიმართულ არასამთავრობო ორგანიზაციების პროგრამებს.[43]

---

[41] სამი მაღალი დონის შეხვედრა იქნა ჩატარებული ნდობის აღდგენის ზომების ფარგლებში: ათენში (1998 წლის ოქტომბერი), სტამბოლში (1999 წლის ივნისი) და იალტაში (2001 წლის მარტი).

[42] Fawn and Cummings, “Interests over Norms in Western Policy toward the Caucasus,” p. 94.

[43] საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველო გერმანიისათვის პრიორიტეტულად მნიშვნელოვანი იყო. შევარდნაძის მმართველობის პერიოდში, სხვა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან შედარებით, საქართველოში გერმანიის დიპლომატიური აქტიურობა და ფინანსური დახმარება განსაკუთრებულად მაღალი იყო. დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ, Helly, “Un corridor de transport Asie-Europe.”

აფხაზეთში გაეროს დამკვირვებელთა და რუსეთის სამშვიდობოების არსებობამ ხელი შეუწყო, ზოგადად, სტაბილურობას და გამოიწვია გალის რაიონში დევნილთა სპონტანური დაბრუნება. 1998 წლის დასაწყისში, გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატის მონაცემებით, სულ ცოტა 50 ათასი დევნილი დაბრუნდა გალის რაიონში. აღმოჩნდნენ რა ამ ფაქტის წინაშე, საერთაშორისო საზოგადოებამ აფხაზეთში ჰუმანიტარული დახმარება გაზარდა, რაც განსაკუთრებით სკოლებისა და სახლების აღდგენისკენ იყო მიმართული. მაგრამ 1998 წლის მაისში ბრძოლები განახლდა მას შემდეგ, რაც აფხაზურმა შეიარაღებულმა ძალებმა წამოიწყეს ფართომასშტაბიანი სამხედრო ოპერაცია ქართული არალეგალური შეიარაღებული დაჯგუფებების რეგიონიდან გამოსადევნად. ამ ქმედებებმა გამოიწვია 30-40 ათასი ადგილობრივი მცხოვრების ხელახალი განდევნა. 5 დღის განმავლობაში რამდენიმე მილიონიანი უცხოური დახმარება წყალში ჩაიყარა. საერთაშორისო დონორები ამ ძვირადღირებული გამოცდილების შემდეგ თავს იკავებენ აფხაზეთში სხვა პროგრამების განხორციელებისგან. ამ მოვლენებმა ნათლად აჩვენეს დევნილთა ორგანიზებულად დაბრუნების საჭიროება. ფაქტიურად, 1998 წლის შემოდგომაზე მხარეებმა, გაეროს შუამდგომლობით, მოამზადეს დოკუმენტის პროექტი, რომელიც ითვალისწინებდა დევნილთა ორგანიზებულ დაბრუნებას და გალის რაიონის ეკონომიკურ რეაბილიტაციას, მაგრამ ქართველი და აფხაზი ლიდერები – ედუარდ შევარდნაძე და ვლადისლავ არძინბა – , საბოლოოდ, მაინც არ შეხვდნენ ერთმანეთს დოკუმენტზე ხელმოსაწერად.[44]

ზოგირთი ქართველი პოლიტიკოსი და სახელმწიფო მოხელე განაგრძობდა აფხაზეთში პარტიზანული დაჯგუფებების მხარდაჭერას, ხოლო შევარდნაძის მთავრობა დასავლეთში ეძებდა თანადგომას "ბოსნიური მოდელის" განსახორციელებლად, 1995 წელს

[44] MacFarlane, "The Role of the UN," p. 40. (*С. Нил Макфарлейн.* Роль ООН // *Джонатан Коэн (ред.)* Проблема суверенитета. *Accord*, выпуск 7. Консилиэйшн Рисорсиз. Лондон, 1999 – М.: Глобус, 2000. С. 49, также по адресу: http://www.c-r.org/accord/series.shtml.) (*Бруно Коппитерс*. Грузино-абхазский конфликт // *Бруно Коппитерс и др.* Европеизация и разрешение конфликтов: конкретные исследования европейской периферии. М.: Весь Мир, 2005. С.207, http://poli.vub.ac.be/).

საერთაშორისო საზოგადოების მიერ ბოსნიაში კონსტიტუციური მოწყობის ძალით დამკვიდრების მსგავსად. იგი, ასევე, ითხოვდა აფხაზეთში მშვიდობის მხარდამჭერი ოპერაციის – "მშვიდობის დამყარების" ოპერაციით ჩანაცვლებას, რაც, სავარაუდოდ, დევნილთა უსაფრთხო დაბრუნებას შეუწყობოდა ხელს.[45] რამდენიმე წლის შემდეგ, 1999 წლის კოსოვოს კრიზისში იუგოსლავიის წინააღმდეგ ნატოს საჰაერო კამპანიის დროს, თბილისი იმედოვნებდა, რომ "კოსოვოს მოდელი" საქართველოშიც განხორციელდებოდა და იხსენებდა აფხაზეთში მცხოვრები ქართველების წინააღმდეგ ჩადენილ "ეთნიკურ წმენდას" იმ მიზნით, რათა კონფლიქტის ძალისმიერი გადაწყვეტა მომხდარიყო. ამის პასუხად, აშშ-მა აშკარად განაცხადა, რომ ამიერკავკასიაში "კოსოვოს სცენარი" არ გამეორდებოდა.

1998 წლის კრიზისმა აფხაზეთში ნათლად აჩვენა არსებული მექანიზმების უუნარობა, თავიდან აეცილებინა ძალადობის განახლება. იმის მაგივრად, რომ კონფლიქტის სრულმასშტაბიან მოგვარებაზე ემსჯელა, საკოორდინაციო საბჭო და მისი ქვესტრუქტურები შემოიფარგლებოდნენ ძალადობის არგანახლების, ტყვეთა გაცვლის და დევნილთა დასაბრუნებლად უსაფრთხოების ზომების გაძლიერების განხილვით.[46] 1999 წელს გაეროს გენ. მდივნის სპეც. წარმომადგენელი ლივიუ ბოტა შეეცადა პოლიტიკური დიალოგის ახალი ძალისხმევით განახლებას. მეგობართა ჯგუფთან კონსულტაციის შემდეგ ბოტას შემცვლელმა, გერმანელმა დიპლომატმა დიტერ ბოდენმა შეიმუშავა "თბილისსა და სოხუმს შორის კომპეტენციათა გადანაწილების ძირითადი პრინციპები", რომელიც "ბოდენის დოკუმენტის" სახელითაა ცნობილი. ეს დოკუმენტი მეგობართა ჯგუფში რუსეთსა და დასავლურ ქვეყნებს შორის მოლაპარაკებათა შედეგი იყო და არ წარმოადგენდა კონფლიქტის მხარეთა შორის რაიმე სახის კომპრომისს.[47] აფხაზურმა მხარემ უარი განაცხადა დოკუმენტის განხილვაზე, ძირითადად, იმ მიზეზით,

[45] Liana Kvarchelia, "An Abkhaz Perspective," *Accord*, issue 7 (September 1999), p. 31, http://www.c-r.org/accord/geor-ab/accord7/unrole.shtml.

[46] Ketevan Tsikhelashvili, "The Case Studies of Abkhazia and South Ossetia," working paper prepared for the Carnegie Project on Complex Power-Sharing and Self-Determination, September 30, 2001, http://www.ecmi.de/cps/download/Abkhazia_SouthOssetia.pdf.

რომ დოკუმენტი აფხაზეთს საქართველოს შემადგენლობაში დატოვებას სთავაზობდა, თუმცა სუვერენულ წარმონაქმნად, რომელიც "კანონის უზენაესობის პრინციპის" საფუძველზე იარსებებდა. მეგობართა ჯგუფის დასავლურმა წევრმა სახელმწიფოებმა ვერ შეძლეს რუსეთის დარწმუნება, სათანადო ზეწოლა მოეხდინა აფხაზეთის დე-ფაქტო ხელისუფლებაზე, რათა ამ დოკუმენტის ბაზაზე დაწყებულიყო მოლაპარაკებები.

მოლაპარაკებებში რეალური პროგრესის არარსებობის მიუხედავად, საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისია აგრძელებდა თავის საქმიანობას, მაგრამ სიტუაცია, უსაფრთხოების მხრივ, სათანადოდ არ გაუმჯობესებულა, რათა მომხდარიყო გალის რაიონში დევნილთა უსაფრთხო დაბრუნება.[48] უფრო მეტიც, კონფლიქტი ფაქტიურად რამდენჯერმე გადაიზარდა ღია დაპირისპირებაში. მზარდი კრიმინალური საქმიანობა საქართველო-აფხაზეთის საზღვრის ორივე მხარეს საქართველოში გაეროს სადამკვირვებლო მისიის ეფექტურობას უშლიდა ხელს. აფხაზებსა და ქართველებს შორის ვერ იქნა მიღწეული შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ორივე მხარეს გაეროს სამოქალაქო პოლიციელების განთავსებაზე. 2004 წლის გაზაფხულზე სამოქალაქო პოლიციელები უსაფრთხოების ზონის მხოლოდ ზუგდიდის მხარეს იყვნენ განთავსებულნი იქ, სადაც საქართველოს იურისდიქცია ვრცელდება. ნდობის აღდგენისკენ მიმართული ღონისძიებები ქართულ და აფხაზურ არასამთავრობო ორგანიზაციებს შორის გრძელდებოდა, მაგრამ შეზღუდული ეფექტით, ვინაიდან ისინი მხოლოდ კონფლიქტის ორივე მხარის მოსახლეობის მცირე ნაწილს მოიცავდა.

მიუხედავად იმისა, რომ რუსეთიც არის მეგობართა ჯგუფის წევრი, ის ხშირად თავშეკავებულ და დესტრუქციულ პოზიციას იკავებდა აფხაზეთთან მიმართებაში, მოუწოდებდა რა ჯგუფს არ ჩარეულიყო კონფლიქტის მოგვარების მის პირად ინიციატივებში. ორგანიზაციის

[47] Bruno Coppieters, "The Georgian–Abkhaz Conflict," in Bruno Coppieters, et al., *Europeanization and Conflict Resolution: Case Studies from the European Periphery* (Ghent: Academia Press, 2004), pp. 203–208, also published in the electronic *Journal on Ethnopolitics and Minority Issues in Europe*, issue 1 (2004), http://www.ecmi.de/jemie/.
[48] Domitilla Sagramoso, "The UN, the OSCE and NATO," in Lynch, *The South Caucasus*, pp. 63–89.

შიგნით, ამ განსხვავებების გამო, გასაკვირი არ არის, რომ მან ვერ შეძლო რეალური შედეგების მიღწევა კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარების საკითხებში. გაეროს მოლაპარაკებათა ჩარჩოს პარალელურად, რუსეთმა წამოიწყო რამდენიმე დამოუკიდებელი ინიციატივა. 2003 წლის მარტში რუსეთისა და საქართველოს პრეზიდენტები პუტინი და შევარდნაძე შეხვდნენ შავი ზღვის კურორტ სოჭში და ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც სტატუს-კვოს გაუმჯობესებას ისახავდა მიზნად. სოჭის ხელშეკრულება გალის რაიონში ქართველი დევნილების დაბრუნებას ითვალისწინებდა, აფხაზეთის გავლით, რუსეთისა და სომხეთის დამაკავშირებელი რკინიგზის აღდგენის პარალელურად, და, აგრეთვე, ენგურის ჰიდროელექტროსადგურის რეკონსტრუქციას.[49] ზოგიერთი მკვლევრის აზრით, შევარდნაძის ეს ქმედება გამოწვეული იყო, გაეროს ეგიდით, მოლაპარაკებათა ნელი ტემპის გამო იმედგაცრუებით და გამოხატავდა მის მზადყოფნას რუსეთისთვის გადაეცა შუამდგომლობის უფრო დიდი როლი, მაგრამ გაეროს ჟენევის პროცესის გაგრძელების პარალელურად.[50]

ეუთოს მანდატი ქართულ-აფხაზურ მოლაპარაკებებში საკმაოდ შეზღუდულია. მისი მთავარი მიზანია ეუთოს ცენტრალური ოფისის მუდმივი ინფორმირება, გაეროს ადგილობრივ ოფისთან მუდმივი კავშირის გზით, აგრეთვე, გაეროს მიერ წარმოებული სამშვიდობო მოლაპარაკების ხელისშეწყობა და დაკვირვება.[51] ადამიანის უფლებათა დაცვის ოფიცრის საშუალებით ეუთო ინარჩუნებს წარმომადგენლობას სოხუმში, სადაც მისი ძირითადი მიზანია ნდობის აღდგენის ხელ-

[49] ენგურის ჰიდროელექტროსადგურის შესახებ ინფორმაციის წყარო არის ავტორთა მიერ აფხაზეთში აღებული ინტერვიუები, 2004 წლის გაზაფხულზე.

[50] Coppieters, "The Georgian–Abkhaz Conflict." (*Бруно Коппитерс*. Грузино-абхазский конфликт // *Бруно Коппитерс и др.* Европеизация и разрешение конфликтов: конкретные исследования европейской периферии. М.: Весь Мир, 2005. С. 197-236, http://poli.vub.ac.be/).

[51] 1993 წელს გაერო და ეუთკ (მოგვიანებით, ეუთო) შეთანხმდნენ, რომ გაერო ითავებდა საერთაშორისო მედიატორის როლს აფხაზეთის, ხოლო ეუთო – სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში. იხილეთ, MacFarlane, "The Role of the UN," p. 36. (*С. Нил Макфарлейн.* Роль ООН // *Джонатан Коэн (ред.)* Проблема суверенитета. *Accord*, выпуск 7. Консилиэйшн Рисорсиз. Лондон, 1999 – М.: Глобус, 2000. С. 44, также по адресу: http://www.c-r.org/accord/series.shtml).

შეწყობა, სამოქალაქო საზოგადოების გაძლიერების გზით. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ეუთოს საკმაოდ უარყოფითი იმიჯი აქვს აფხაზეთში, ვინაიდან ის აფხაზებს ქართველთა "ეთნიკურ წმენდაში" ადანაშაულებს ეუთოს სამიტის რამდენიმე დეკლარაციაში.[52]

ქართულ და აფხაზურ სამოქალაქო საზოგადოებებს შორის ნდობის აღდგენისკენ მიმართული ინიციატივებს ხელს უწყობს ისეთი ორგანიზაციები, როგორიცაა საერთაშორისო განგაში (International Alert), ლინქსი (LINKS), შერიგების რესურსები (Conciliation Resourcs), აგრეთვე, კალიფორნიის უნივერსიტეტისა და ბრიუსელის თავისუფალი უნივერსიტეტის მეცნიერები. მათი დაფინანსებით არაერთი შეხვედრა შედგა ნეიტრალურ ტერიტორიაზე, რაც საშუალებას აძლევს ორივე მხარის აქტივისტებს, დაამყარონ ურთიერთობები და განაგრძონ დიალოგი.[53] მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებს არ გამოუწვევიათ რაიმე გარღვევა მოლაპარაკებათა პროცესში, ისინი დადებითად მოქმედებენ სამოქალაქო საზოგადოების განვითარებაზე კონფლიქტის ორივე მხარეს, ვინაიდან ისინი საშუალებას აძლევენ ადგილობრივ ლიდერებს იმოგზაურონ, შეიტყონ მეტი გარე სამყაროს შესახებ და ესაუბრონ თავიანთ კოლეგებს.[54]

მიუხედავად ზემოთ ხსენებული მცდელობებისა, უნდობლობა და აფხაზეთის მომავალ სატატუსსა თუ დევნილთა დაბრუნებაზე ღრმა უთანხმოება გრძელდება. ნდობის აღდგენისკენ მიმართულ მცდელობათა გარდა, დასავლური სახსრები ჩაიდო, აგრეთვე, ჰუმა-

---

[52] იხილეთ, ეუთოს ბუდაპეშტის (1993 წ.), ლისაბონისა (1994 წ.) და სტამბოლის (1999 წ.) დეკლარაციები.

[53] Susan Allen Nan, "Civil Initiatives", *Accord,* issue 7 (September 1999), p.50. (*Сьюзен Аллен Нэн*. Гражданские инициативы // *Джонатан Коэн (ред.)* Проблема суверенитета. *Accord*, выпуск 7. Консилиэйшн Рисорсиз. Лондон, 1999 – М.: Глобус, 2000. С. 62-71, также по адресу: http://www.c-r.org/accord/series.shtml). "საერთასორისო განგაშის" (International Alert) შესახებ ინფორმაცია იხილეთ: http://www.international-alert.org/. "ლინქსის" (LINKS) შესახებ – http://www.links-london.org/. ხოლო "შერიგების რესურსების" (Conciliation Resources) შესახებ დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ იხილოთ: http://www.c-r.org/.

[54] აფხაზურმა სამოქალაქო საზოგადოებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა შარშანდელ საპრეზიდენტო არჩევნებში, როცა არასამთავრობო ორგანიზაციათა კოალიციამ აწარმოა არჩევნების მონიტორინგი და გამარჯვებული კანდიდატის დასაცავად გაერთიანდა.

ნიტარულ პროექტებში აფხაზეთში, როგორიცაა Halo Trust (განაღ-მვითი სამუშაოები), Accion Contra el Hambre (სახლების რეაბილიტაცია), "საერთაშორისო წითელი ჯვარი" (სურსათი უმწეოთათვის), "ექიმები საზღვრებს გარეშე" (სამედიცინო დახმარება).

ამგვარად, როგორც ჩანს, დასავლურმა და გაეროს ეგიდით წარმოებულმა სამშვიდობო ინიციატივებმა არ მიგვიყვანა კონფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტამდე. ყველა დასავლური ინიციატივა – 1997 წლის პროგრესული მიდგომა, საკოორდინაციო საბჭოს შექმნით, ასევე, 2000 წლის უფრო სრულმასშტაბიანი მიდგომა, რომელიც აფხაზეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხსაც მოიცავდა – უშედეგო აღმოჩნდა. უფრო მეტიც, რუსეთმა, მოლაპარაკებათა არხების გაფართოებით, მთელი პროცესის აღრევა გამოიწვია.

რაც შეეხება სამხრეთ ოსეთის დაურეგულირებელ კონფლიქტს, დასავლეთმა 1992 წელს კონფლიქტის დაარსებიდან სამოქმედო არეალი რუსეთსა და ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონ-ფერენციას (ეუთკ, დღესდღეობით – ეუთო) დაუთმო. როგორც ეს აფხაზეთის კონფლიქტთან დაკავშირებით იყო, დასავლეთი თავიდანვე საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერდა მხარს. ეუთკ-მ თავისი პირველი მისია საქართველოში 1992 წელს დააარსა, როგორც გამოხმაურება საქართველოს თხოვნაზე, დახმარება გაეწია ქართულ-ოსური და ქართულ-აფხაზური კონფლიქტების დარეგულირებაში. დღეს, ეუთო, გაეროს დევნილთა უმაღლესი კომისარიატი და ევროკავშირი, რუსეთთან, საქართველოსა და სამხრეთ ოსეთთან ერთად მუშაობენ მოლაპარაკებათა და მშვიდობისმყოფელთა მრავალმხრივ მექანიზმში, რომელსაც შერეული საკონტროლო კომისია ეწოდება.

ეუთოს მანდატი სამხრეთ ოსეთში მოიცავს ისეთ მიზნებს, როგორიცაა ფართო პოლიტიკური ჩარჩოს შექმნა, სადაც შესაძ-ლებელი იქნება კონფლიქტის ფართომასშტაბიანი პოლიტიკური დარეგულირება; საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის აქტიური მოლაპარაკებების ხელშეწყობა; მასვე აქტიური როლი აკისრია, შერეული საკონტროლო კომისიის საშუალებით, კონფლიქტის გადაწ-ყვეტის გზების გამონახვაში.[55] ეუთო აწარმოებს შერეული სამშვი-დობო ძალების მონიტორინგსაც, მის რუსულ ხელმძღვანელობასთან

[55] იხილეთ: http://www.osce.org/georgia/mandate/.

მუდმივი კავშირის გზით.[56] სამშვიდობო ძალები (რუსული, ქართული და ოსური შემადგენლობით) თანამშრომლობენ დასავლეთთან მრავალმხრივი მექანიზმის ფარგლებში. თავდაპირველად გაერო ხელმძღვანელობდა აღდგენით სამუშაოებს, თუმცა 2001 წლიდან მნიშვნელოვანი როლის შესრულება ითავა ამ მხრივ ევროკომისიამ და როგორც დახმარების პროექტების ერთ-ერთმა ყველაზე მნიშვნელოვანმა დამფინანსებელმა შერეულ საკონტროლო კომისიაშიც დაიმკვიდრა ადგილი.[57]

ეუთოს მცდელობათა მიუხედავად – შერეული საკონტროლო კომისიის ფარგლებში განევითარებინა ნდობის აღდგენის მექანიზმები (როგორიცაა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია, განიარაღება და კრიმინალის წინააღმდეგ ბრძოლა) – ის მაინც მხარეთა მიერ მზარდი კრიტიკის საგანი ხდებოდა. წლების განმავლობაში ქართული მხარე ამტკიცებდა, რომ ეუთოს მისიის არსებობა კონფლიქტის ზონაში, სამხრეთ ოსეთის არსებობის ლეგიტიმიზაციას უწყობდა ხელს, ვინაიდან მან ვერ შეძლო კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარება. 2004 წელს განახლებულ ძალადობასთან ერთად, ქართულმა მხარემ პოზიცია შეიცვალა. ახლა ისინი ეუთოს მანდატის გაფართოებას უჭერდნენ მხარს და მოითხოვდნენ მისგან საქართველო-რუსეთის საზღვრის, განსაკუთრებით, როკის გვირაბის ტვირთბრუნვის გაკონტროლებას. ეს, თავის მხრივ, რუსეთის წინააღმდეგობის მიზეზი გახდა.

შარშან დეკემბრამდე, ეუთო ახორციელებდა რუსეთ-საქართველოს (ჩეჩნეთის, ინგუშეთისა და დაღესტნის მონაკვეთებზე) საზღვრის მონიტორინგის ოპერაციასაც, რითაც ხელს უშლიდა

[56] 1992 წლის ივნის-ივლისის რუსეთ-საქართველოს შორის დაგომისის ხელშეკრულებისა და სოჭის ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმების თანახმად, შერეული სამშვიდობო ძალები, რუსული, ქართული და ოსური შემადგენლობით, განლაგდნენ კონფლიქტის ზონაში.

[57] დამატებითი ინფორმაცია სამხრეთ ოსეთში ევროპული ქვეყნების მიერ წარმოებული პოლიტიკის შესახებ, იხილეთ, Damien Helly, "L'action extérieure de l'Union européenne dans le Caucase du Sud," pp. 343–349. ოფიციალურად სამშვიდობო კონტინგენტი სამხრეთ ოსეთში სამმხრივია: ქართული, რუსული და ოსური. თუმცა, ოსური კონტინგენტი დროთა განმავლობაში, თითქმის, მთლიანად სამხრეთ-ოსური შემადგენლობით დაკომპლექტდა, ჩრდილოეთ-ოსური სარდლობით.

ჩეჩნეთის კონფლიქტის საქართველოში გავრცელებას და ეხმარებოდა რუსი და ქართველი მესაზღვრეების თანამშრომლობას. 2004 წლის 31 დეკემბერს საზღვრის მონიტორინგის მისიის მანდატი დასრულდა, ხოლო რუსეთმა მის გაგრძელებას ვეტო დაადო. მიუხედავად ამისა, ქართული ოფიციოზი განაგრძობდა უცხო დამკვირვებლების საქართველო-რუსეთის საზღვართან განთავსების ლობირებას. 2005 წლის 14 აპრილს ეუთოს მუდმივმოქმედმა საბჭომ დაამტკიცა ეუთოს მესაზღვრეთა წვრთნის პროგრამა, რომელიც საზღვრის მონიტორინგის პროგრამის ბაზაზე უნდა შექმნილიყო. გარდა ამისა, აპრილის დასაწყისში ევროკავშირის მიერ სამი პირისგან შემდგარი მისია იქნა მივლინებული საქართველოში სამი თვით, რათა შეესწავლათ საზღვარზე არსებული საფრთხე და შეეფასებინათ საქართველოს საჭიროებები და არსებული შესაძლებლობები.[58]

მიუხედავად იმისა, რომ ვერ იქნა მიღწეული სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის სრულმასშტაბიანი მოგვარება, სიტუაცია, ბოლო დრომდე, კონტროლს ექვემდებორებოდა და მისი გძელვადიანი გადაწყვეტა შესაძლებელი ჩანდა. თუმცა, 2004 წლის ივნის-აგვისტოს მოვლენებმა, როცა შეიარაღებულ დაპირისპირებას კონფლიქტის ზონაში მსხვერპლი მოჰვა, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირთა შორის, ცხადყო, რომ არსებული სტატუს კვო მეტად მყოფე იყო. საქართველოს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ თბილისის პოლიტიკური გავლენის ქვეშ აჭარის წარმატებულ რეინტეგრაციას მოჰყვა მცდელობა მსგავსი შედეგების მიღწევისა სამხრეთ ოსეთშიც. ისევე, როგორც აჭარის შემთხვევაში, საქართველოს ხელისუფლება მოქმედებდა იმ პრეზუმფციით, რომ სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო ხელისუფლებას არ ჰქონდა აგდილობრივ მცხოვრებთა შორის დიდი მხარდაჭერა. ფაქტიურად, თბილისმა ვერ შეძლო ცხინვალის რეჟიმის მიმართ რეალური უკმაყოფილების გამოყენება და განახლებულ შეიარაღებულ დაპირისპირებას მოჰყვა აჭარის საპირისპირო შედეგები – მხარდაჭერის კონსოლიდაცია სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტ კოკოითს ირგვლივ.[59] მას შემდეგ, რაც განახ-

[58] "ევროკავშირის სამი ექსპერტი დააკვირდება რუსეთ-საქართველოს საზღვარს", *სივილ ჯორჯია,* 2005 წლის 8 აპრილი, http://www.civil.ge/eng/article.php?id=9557.

[59] International Crisis Group, "Georgia: Avoiding War in South Ossetia", Europe Report no.159, November 26, 2004.

ლებული შეიარაღებული დაპირისპირება რეგიონში რეალობად იქცა, დასავლეთმა მკაცრად გააფრთხილა სააკაშვილი, რომ საქართველო მარტო დარჩებოდა, თუ სამხრეთ ოსეთში კონფლიქტი განახლდებოდა.[60] 19 აგვისტოს განახლდა ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმება და თბილისმა გაიყვანა არასანქცირებული შეიარაღებული ძალები კონფლიქტის ზონიდან. მიუხედავად ამ უარყოფითი შედეგებისა, თბილისმა მოახერხა ქართულ-ოსური კონფლიქტის "გალღობა". ამ პროცესში საქართველო დასავლეთის უფრო აქტიურ მონაწილეობას ღიად უჭერდა მხარს და კონფლიქტის სრულმასშტაბიანი გადაწყვეტისთვის მოითხოვდა საერთაშორისო კონფერენციის მოწვევას.[61]

2003 წელს ევროკავშირმა ფინელი დიპლომატი ჰეიკი ტალვიტიე დანიშნა თავის სპეციალურ წარმომადგენლად ამიერკავკასიაში. მისი მანდატი, რომელიც მოიცავს კონფლიქტების გადაწყვეტისკენ მიმართული მცდელობების ხელის შეწყობას, ზოგი ანალიტიკოსის კრიტიკის ობიექტი გახდა, როგორც მეტად შეზღუდული, ვინაიდან მას არ ჰქონდა უფლება პირდაპირ ეშუამდგომლა ან ჩარეულიყო კონფლიქტების მოგვარებაში. მიუხედავად შეზღუდული მანდატისა, ტალვიტიემ მაინც შეძლო სწრაფად აეწია ევროკავშირის პოლიტიკური პროფილი რეგიონში და მან ეს მოახერხა დიდი წევრი სახელმწიფოების – საფრანგეთისა და დიდი ბრიტანეთის – გაბრაზების გარეშე. აქ აისახა ევროკავშირის უფრო ამბიციური პოლიტიკა, მიუხედავად წევრ სახელმწიფოებს შორის რეგიონისადმი ერთიანი მიდგომის არ არსებობისა.

ვინაიდან საქართველოს სრული ყურადღება შიდა კონფლიქტების მოგვარებაზეა გადატანილი აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში,

---

[60] ავტორთა ინტერვიუები დასავლელ დიპლომატებთან, თბილისი, 2004 წლის აგვისტო-სექტემბერი.

[61] 2005 წლის იანვარში, ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წინაშე გამოსვლისას პრეზიდენტმა სააკაშვილმა გააჟღერა "საქართველოს მთავრობის ინიციატივა სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებასთან დაკავშირებით." ინიციატივები, ძირითადად, სამხრეთ ოსეთის მომავალ სტატუსს ეხება საქართველოს შემადგენლობაში, მაგრამ საეჭვოა მათ მოჰყვეს კონკრეტული შედეგები, თუ ჯერ ნდობის აღდგენისკენ მიმართული ნაბიჯები არ იქნა გადადგმული. იხილეთ, International Crisis Group Policy Briefing no. 38, "Georgia-South Ossetia: Refugee Return the Path to Peace", April 19, 2005, http://crisisgroup.org/home/index.cfm?id=3380&l=1.

დასავლეთის მიერ წამოწეული სხვა საკითხები ხშირად სათანადო ყურადღების გარეშე რჩება. აშშ და ევროპა მოუწოდებდა საქართველოს უფრო აქტიური რეგიონალური თანამშრომლობისკენ მის უშუალო მეზობელ სახელმწიფოებთან. სხვადასხვა პროგრამა იქნა შემუშავებული, რომელთაც ხელი უნდა შეეწყო ამიერკავკასიაში საბაჟო, ტრანსპორტირებისა და გარემოს დაცვის საკითხებში უფრო მეტი თანამშრომლობისთვის. მაგრამ პროგრესი, ალბათ, ძალიან ნელა მიიღწევა, თუ საქართველოს მთელი ყურადღება სეპარატისტულ რეგიონებზე გავლენის აღდგენისკენ (ან, სულ მცირე, რაიმე სახის ეროვნული შერიგების მიღწევისკენ) იქნება მიმართული.

სახელმწიფო რეფორმები

ქვეყნის შიდა უსაფრთხოება თავიდანვე იყო დასავლეთის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი საქართველოში, ხოლო ორმხრივი თუ მრავალმხრივი საგარეო დახმარება ერთ-ერთი ძირითადი მექანიზმი იყო ამ მიზნის მისაღწევად. ეს პოლიტიკა ადრეული 1990-იანი წლების სუფთა ჰუმანიტარული დახმარებიდან სამოქალაქო საზოგადოებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების განვითარებისკენ მიმართული დახმარებით შეიცვალა.

ერთ სულ მოსახლეზე გაანგარიშებით, საქართველოს მეორე ადგილი უკავია აშშ-ის დახმარების მიმღებ ქვეყნებს შორის[62] და ამ დახმარების დიდი ნაწილი მიმართულია ქვეყნის შიდა უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებისკენ, როგორიცაა საქართველოს სასაზღვრო ჯარები და საბაჟო კონტროლი.[63] 2001 წლიდან მოყოლებული,

[62] აშშ-ის მთლიანი დახმარება საქართველოსადმი 1992-2000 წლებში შეადგენდა 778 მილიონ აშშ დოლარს, რაც ხუთჯერ აღემატება აზერბაიჯანის მიერ მიღებულ დახმარებას. ამასთანავე, 1996 წლიდან მოყოლებული საქართველომ აშშ-ის საერთაშორისო დახმარების სააგენტოდან დამატებით მიიღო 375 მილიონი დოლარი. იხილეთ, "Country Report: Georgia", *The Economist Intelligence Unit*, November 2003.

[63] Office of the Secretary of State, *Congressional Budget Justification*, 2003. See also Ekaterine Metreveli and Ester Hakobyan, "The Political Underpinnings of U.S. Bilateral Aid to the Countries of Transcaucasus," *Demokratizatsia*, vol. 9, no. 3 (summer 2001), pp. 367–381.

აშშ განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში დახმარებას.[64] გარდა ამისა, აშშ-ის შეშფოთება საქართველოს შიდა უსაფრთხოების მდგომარეობით მხოლოდ გაძლიერდა მას შემდეგ, რაც 2001 წლის ზაფხულში შინაგან საქმეთა სამინისტროს ჩაეშალა გილაევის წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია კოდორის ხეობაში, როცა ჩეჩენი ბოვიკების გარკვეული ჯგუფი, ქართული ელემენტების დახმარებით, შეეცადა აფხაზეთში სიტუაციის დესტაბილიზაციას. ჩეჩენი ბოევიკების ასეთმა თავშეყრამ კიდევ უფრო გააძლიერა აშშ-ის შეშფოთება და ყურადღება პანკისის ხეობისკენ იქნა გადატანილი, რომელიც შესაძლოა გლობალური ტერორიზმის ბუდედ გადაქცეულიყო.[65] ამ საფრთხის თავიდან ასაცილებლად და ამასთან, საქართველო მოიაზრებოდა ტერორიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში სტრატეგიულ პარტნიორად, 2002 წლის აპრილში შეერთებულმა შტატებმა დაიწყეს საქართველოს შეიარაღებული ძალების "წვრთნისა და აღჭურვის" პროგრამის განხორციელება, რომელიც ითვალისწინებდა ქართული არმიის სპეცდანაყოფების მომზადებას ტერორიზმის საფრთხის წინააღმდეგ საბრძოლველად და, აგრეთვე, ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მილსადენის დასაცავად.[66] ანტიტერორისტულ კოალიციასთან საქართველოს მიერთებისა და ერაყის კოალიციის ძალებში მონაწილეობის გაზრდის შედეგად, შეერთებულმა შტატებმა ახალი სამხედრო დახმარების პროგრამის შესახებ გააკეთეს განცხადება, რათა ქართული საჯარისო დანაყოფები სამშვიდობო ოპერაციებისთვის მოემზადებინათ.[67]

---

[64] იხილეთ, Brenda Shaffer, "U.S. Policy," in Lynch, *The South Caucasus*, pp. 53–62.

[65] კოდორის ხეობაში განხორციელებული ამ ოპერაციის შესახებ უფრო დეტალურად იხილეთ სხვა თავები ამავე გამოცემაში, ოქსანა ანტონენკოსა და ჯაბა დევდარიანის ავტორობით. პანკისის ხეობის შესახებ დამატებითი დეტალები იხილეთ დევდარიანის ქვეთავში.

[66] იხილეთ, დავით დარჩიაშვილის ქვეთავი ამავე გამოცემაში.

[67] "U.S. Announces New Military Assistance Program for Georgia," *Civil Georgia*,November 5, 2004, http://www.civil.ge/eng/article.php?id=8271. "შენარჩუნებისა და სტაბილურობის" პროგრამის შედეგად, 558 ქართველი სამხედრო გაიგზავნება ერაყში ტერორიზმის წინააღმდეგ გლობალური ბრძოლის მხარდასაჭერად და ჩაენაცვლებიან "ოპერაცია ერაყის თავისუფლების" ფარგლებში მომსახურე სხვა ქართველ ჯარისკაცებს. იხილეთ, "U.S. Announces New Military Assistance Program for Georgia."

“შენარჩუნებისა და სტაბილურობის” პროგრამა ოფიციალურად 2005 წლის აპრილში დაიწყო. ის ითვალისწინებს ქართული შეიარაღებული ძალების წრთვნასა და სხვა სახის დახმარების გაწევას, რათა საქართველომ შეძლოს ერაყში კოალიციურ ძალებში მონაწილეობის გაგრძელება.[68]

ნატო, “პარტნიორობა მშვიდობისათვის” პროგრამის ფარგლებში და სხვა მისი წევრი სახელმწიფოების (კერძოდ, აშშ, დიდი ბრიტანეთი, თურქეთი და გერმანია) საშუალებით, მონაწილეობს სახალმწიფო რეფორმის გამხორციელებაში, განსაკუთრებით, საჯარისო და თავდაცვის სისტემის რეფორმირებაში. ნატომ ორგანიზება გაუწია შავი ზღვის რაიონში სამშვიდობო ძალების წვრთნას, რომელშიც აქტიურად მონაწილეობდა გერმანიის, დიდი ბრიტანეთისა და სხვა ევროპული ქვეყნების (მათ შორის საქართველოს) საჯარისო ქვედანაყოფები.[69] გარდა ამისა, საქართველო, თურქეთის მეთაურობით, მონაწილეობდა კოსოვოს სამშვიდობო ოპერაციებში და მასპინძლობდა სამხედრო წვრთნებს. თუმცა, აღსანიშნავია, რომ საქართველოში თავდაცვის რეფორმას სერიოზულად აფერხებდნენ ეკონომიკური ფაქტორები და არსებული კორუფცია. თბილისი არაერთხელ ითხოვდა ნატოს უფრო აქტიურ მონაწილეობას საქართველოს უსაფრთხოების პრობლემების გადაწყვეტაში. ამ მოთხოვნათაგან ზოგიერთი რუსეთის ამიერკავკასიაში არსებობის დაბალანსებას ითვალისწინებდა, ხოლო სხვა მოთხოვნები რუსეთთან თანამშრომლობის

[68] “Sustainment and Stability Operations Program (SSOP) Formally Begins,” http://georgia.usembassy.gov/events/event20050423SSOPOpen.html.

[69] 2004 წლის 6 აპრილს, ბრიუსელში ვიზიტისას, პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა ხაზგასმით აღნიშნა საქართველოს ნატოში გაწევრიანებისკენ სწრაფვა და განაცხადა, რომ 2004 წლის ივნისის ნატოს სტამბოლის სამიტის დროს საქართველო გეგმავდა ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის ხელშეკრულების გაფორმებას. (*RFE/RL Newsline,* 7 აპრილი, 2004 წ.). 2001-2002 წლებში საქართველო მონაწილეობდა ნატოს “პარტნიორობა მშვიდობისათვის” ცხრა წვრთნასა და, აგრეთვე, რვა “პარტნიორობა მშვიდობისათვის” მსგავსი სულისკვეთების წვრთნაში. ნატოსადმი მიმართულ საქართველოს პოლიტიკის შესახებ იხილეთ, *NATO's New Role in the NIS Area, Interim Project Report: NATO and its Partners in Eastern Europe and the Southern Caucasus* (Warsaw: Osrodek Stuiow Wschodnich Centre for Eastern Studies, December 2003), at pp. 42–46, http://www.osw.waw.pl/en/epub/NATO/raport_en.pdf.

გზებს ეძებდა. მაგალითად, პრეზიდენტმა სააკაშვილმა ოფიციალურად შესთავაზა რუსეთს, შექმნილიყო ერთობლივი რუსულ-ქართული ანტიტერორისტული ცენტრი საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის სანაცვლოდ.[70] 2004 წლის ივნისში, სტამბოლში გამართულ სამიტზე ნატომ მიიღო გადაწყვეტილება კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში სპეციალური წარმომადგენელი დაენიშნა. 15 სექტემბერს ნატოს გენერალური მდივნის მეორე მოადგილე რობერტ სიმონსი ოფიციალურად შეუდგა სპეციალური წარმომადგენლის უფლებამოსილების შესრულებას და თავისი მუდმივი წარმომადგენელი დანიშნა კავკასიაში, რომელიც თბილისში იქნა მოვლინებული.[71] 2004 წლის ოქტომბრის ბოლოს, ნატოს წევრი ქვეყნების მიერ დამკიცებულ იქნა საქართველოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა (IPAP), ხოლო მისი განხორციელების პირველადი შეფასება შედგა 2005 წლის გაზაფხულზე. საქართველო-ნატოს ურთიერთობების გააქტიურება, სავარაუდოდ, დადებითად იმოქმედებს სახელმწიფო რეფორმების განხორციელებაზე, მესამე ქვეყნების დახმარებით, რომელთა ნაწილი უკვე გაერთიანებულია "საქართველოს ახალ მეგობართა" ჯგუფში. ეს ჯგუფი, რომლის შემადგენლობაშიც შედიან ესტონეთი, ლატვია, ლიტვა, პოლონეთი, რუმინეთი და ბულგარეთი, აშკარად გამოხატავს ევროკავშირის ზოგი ახალი წევრი სახელმწიფოს მზარდ ინტერესებს რეგიონში. ის უკვე არსებული "მეგობართა ჯგუფის" ერთგვარი დამატებაა და ყურადღებას საქართველოს ნატოსთან და ევროკავშირთან ურთიერთობასა და სახელმწიფო რეფორმების განხორციელებაზე გაამახვილებს.[72]

2003 წლის ნოემბრის "ვარდების რევოლუციამდე" შერთებული შტატებისა და ევროპისთვის აშკარა გახდა, რომ შევარდნაძის მთავრობამ ვერ შეძლო ხალხის ნდობით აღჭურვილი სახელმწიფოს მშენებლობა, ეკონომიკური განვითარება და სტაბილურობის მიღწევა. მთავრობის უუნარობამ მნიშვნელოვანი რეფორმის განსახორ-

[70] "Georgia Proposes New 'Mechanics' for Relations with Russia," *Civil Georgia*, September 22, 2004, http://www.civil.ge/eng/article.php?id=7891.

[71] "NATO to Dispatch Liaison Officer to Georgia," *Civil Georgia*, September 9, 2004, http://www.civil.ge/eng/article.php?id=7846.

[72] Vladimir Socor, "New Group of Georgia's Friends Founded," *Eurasia Daily Monitor*, February 7, 2005.

ციელებლად, გამოიწვია დონორთა დიდი იმედგაცრუება.[73] 2003 წლის დასაწყისში მსოფლიო ბანკმა შეაჩერა ენერგეტიკული და სოციალური პროგრამები ყოვლისმომცველი კორუფციის გამო, ხოლო 2003 წლის სექტემბერში აშშ-მა განაცხადა, რომ 2004 წლიდან შეამცირებდა საქართველოსადმი გაწეული დახმარების მასშტაბებს.[74] დასავლეთის მხრიდან გაძლიერებულმა კრიტიკამ შევარდნაძეს რუსეთთან დაახლოებისკენ უბიძგა, რაც ენერგოსფეროში სტრატეგიული ხელშეკრულებების გაფორმებით გამოიკვეთა.[75] ამ ხელშეკრულებებმა კიდევ უფრო გააღრმავა შეერთებული შტატების შეშფოთება. ელჩმა სტივენ მანმა, აშშ-ის პრეზიდენტის მრჩეველმა კასპიის ენერგოსაკითხებში, საჯაროდ გამოხატა შეშფოთება მსგავსი ხელშეკრულებების თაობაზე რუსეთთან, რადგან ამან შეიძლება შეაფერხოს ამიერ-კავკასიის გაზსადენის პროექტი, რომელიც 2006 წელს უნდა დაიწყოს და უნდა მოახდინოს გაზის ტრანსპორტირება აზერბაიჯანის შაჰ-დენიზის საბადოდან თურქეთში, საქართველოს გავლით.[76]

შეერთებულმა შტატებმა (ან, მინიმუმ, ზოგიერთმა ამერიკულმა მოღვაწემ) დაიწყეს საქართველოს პოლიტიკური ოპოზიციაში ღია ინვესტირება და მათი როლი "ვარდების რევოლუციაში" მნიშვნელოვანი აღმოჩნდა. აშშ-ის მთავრობის მიერ დაფინანსებული ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი მონაწილეობდა ოპოზიციის ლიდერების ტრენინგში, მომზადებასა და გაერთიანებაში. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, საარჩევნო სისტემების საერთა-

[73] "Country Report: Georgia," *The Economist Intelligence Unit*, November 2003.

[74] Natalia Antelava, "United States Cuts Development Aid to Georgia," *Eurasia Insight*, September 29, 2003, http://www.eurasianet.org/departments/insight/articles/eav092903.shtml.

[75] 2003 წლის ივლისში საქართველომ 25-წლიანი თანამშრომლობის შეთანხმებას მოაწერა ხელი რუსეთის გაზის გიგანტ გაზპრომთან. ხელშეკრულება ითვალისწინებდა საქართველოს გაზით მომარაგებას და მისი ინფრასტუქტურის სატრანზიტოდ გამოყენებას. იხილეთ, *RFE/RL Newsline*, July 28, 2003, http://www.rferl.org/newsline/2003/07/2-TCA/tca-280703.asp.

[76] *RFE/RL Newsline*, July 28, 2003, http://www.rferl.org/newsline/2003/07/2-TCA/tca-280703.asp. აშშ-მა განაცხადა, საქართველოს ენერგოსისტემისთვის გაწეული დახმარების შემცირების შესახებ 30 მილიონი აშშ დოლარიდან 14 მილიონამდე. "Country Report: Georgia," *The Economist Intelligence Unit*, November 2003. უფრო დეტალურად გაზპრომთან გაფორმებული ამ ხელშეკრულების შესახებ, იხილეთ, ჯაბა დევდარიანის ქვეთავი ამავე გამოცემაში.

შორისო ფონდთან (IFES) ერთად, მუშაობდნენ ინტენსიურად თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ხელშესაწყობად. ქართული სადამკვირვებლო ორგანიზაციები, განსაკუთრებით, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, მზადდებოდა და ფინანსდებოდა ამერიკელი ექსპერტების მიერ. ამ პოლიტიკურმა გამოცდილებამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა არასამთავრობო ორგანიზაციათა სექტორის პოლიტიზირებაში და დემოკრატიული ოპოზიციის მხარდაჭერაში.

გადადგომის შემდეგ შევარდნაძემ პირდაპირ დაადანაშაულა ვაშინგტონი საქართველოს შიდა საქმეებში ღიად ჩარევაში, ხოლო ამერიკელი ფილანტროპი ჯორჯ სოროსი – ოპოზიციის მხარდაჭერაში. ზოგიერთი ქართველი ჟურნალისტი ხაზს უსვამდა იმ ფაქტს, რომ აშშ-ის ელჩი საქართველოში რიჩარდ მაილსი იყო დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელი აზერბაიჯანსა და სერბეთში, როცა პრეზიდენტების აბულფაზ ელჩიბეისა და სლობოდან მილოშევიჩის განდევნა მოხდა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამერიკის ელჩი და სხვა დასავლელი დიპლომატები უშუალო კონტაქტში იმყოფებოდნენ ქართულ ოპოზიციასთან 2003 წლის ნოემბრის რევოლუციის გადამწყვეტ მომენტებში. თუმცა, ეს არანაირად ნიშნავს იმას, რომ მათ მოახდინეს შევარდნაძის გადაყენების ინსპირირება.

შეერთებულმა შტატებმა სრული მხარდაჭერა გამოუცხადა საქართველოს ახალ ხელისუფლებას. 2004 წლის იანვარში სახელმწიფო მდივანი კოლინ პაუელი პირადად ესწრებოდა სააკაშვილის ინაუგურაციის ცერემონიას, სადაც განაცხადება გააკეთა 2004 წელს 166-მილიონ დოლარიანი დახმარების თაობაზე. 2004 წლის მაისში ვაშინგტონმა საქართველო ჩართო "ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამაში.[77] ამ გეგმის მიხედვით, თბილისმა სამი წლის განმავლობაში უნდა მიიღოს 500 მილიონი აშშ დოლარი. გრანტები "ათასწლეულის გამოწვევის" პროგრამის ჩარჩოში ეძლევათ მთავრობებს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და კერძო სტრუქტურებს ეფექტური მმართველობის, ეკონომიკური რეფორმების, კორუფციასთან ბრძოლის, მეწარმეობისა და კერძო სექტორის განვი-

[77] Millennium Challenge Corporation, Press Release, http://www.mca.gov/public_affairs/press_releases/PR_Eligible.pdf.

თარების, სოფლის მეურნეობის ნაყოფიერებისა და ჯანმრთელობის, აგრეთვე, განათლების დონის ამაღლების მხარდასაჭერად.[78] და ბოლოს, აღსანიშნავია პრეზიდენტ ბუშის საქართველოში ვიზიტი მეორე მსოფლიო ომის დასრულების 60 წლისთავის აღსანიშნავი მოგზაურობის ფარგლებში. ის საქართველოში რუსეთიდან ჩამოვიდა 2005 წლის 10 მაისს, რითაც ხაზი გაუსვა საქართველოში დემოკრატიის, ისტორიული მნიშვნელობის რეფორმების და კონფლიქტების მშვიდობიანად გადაჭრის მნიშვნელობას.[79]

ხოლო რაც შეეხება ევროპის კავშირს, ის ყოველთვის მნიშვნელოვან დახმარებას უწევდა საქართველოს, მიუხედავად პროგრამების არშესრულებისა და განვითარების პერსპექტივის არარსებობისა იმ პერიოდში, როდესაც მთავრობაში იმყოფებოდა შევარდნაძის კორუმპირებული გუნდი. ევროკომისია ახორციელებს პროგრამებს ჰუმანიტარული და საკვები პროდუქტებით დახმარების, კანონის უზენაესობის, ეკონომიკური და სამართლებრივი რეფორმების, და ენერგოპოლიტიკის სფეროში.აშშ-თან შედარებით ნაკლებად, მაგრამ ზოგიერთმა ევროპულმა ქვეყნამ, განსაკუთრებით, დიდმა ბრიტანეთმა, გერმანიამ, საბერძნეთმა და საფრანგეთმა, ასევე, განავითარეს ორმხრივი თანამშრომლობა საქართველოს ხელისუფლებასთან, განსაკუთრებით, სამხედრო, საბაჟო და სამართალდამცავ ორგანოებთან. 2003 წლის ნოემბრიდან მოყოლებული ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს საქართველოსადმი და, როგორც ჩანს, დიდ იმედებს ამყარებს ახალ ხელისუფლებაზე, კანონის უზენაესობის გარკვეული პრობლემების მიუხედავად. 2004 წლის ივნისში დონორების კონფერენციაზე ბრიუსელში, ევროკომისიამ და მსოფლიო ბანკმა, 31 ქვეყანასთან და 12 საერთაშორისო ორგანიზაციასთან ერთად, თითქმის 1 მილიარდი აშშ დოლარის დახმარებას დაჰპირდა ახალ ხელისუფლებას.[80] ეს დახმარება განკუთვნილია რეფორმებისთვის ენერგეტიკის, მმართვე-

[78] "U.S. to Grant Georgia $500 ml in Frames of MCA," *Civil Georgia*, May 28, 2004, http://www.civil.ge/eng/article.php?id=7021.

[79] "President Bush to Travel to Georgia," http://georgia.usembassy.gov/events/event20050325BushVisit.html.

[80] Joint Press Release by the European Commission and the World Bank, June 16, 2004, http://www.seerecon.org/Georgia/press_release.pdf.

ლობის, სიღარიბის დაძლევის, ბავშვთა სოციალური დაცვის, ინფრასტრუქტურისა და სოფლის მეურნეობის განვითარების ხელშესაწყობად 2004-2006 წლებში.

2003 წლის დეკემბერში, ევროპის პალმანენტმა რეკომენდაცია გაუწია ამიერკავკასიის ქვეყნებს – სომხეთს, აზერბაიჯანსა და საქართველოს – ევროპის ახალი სამეზობლო პოლიტიკის ნაწილი გამხდარიყვნენ, ხოლო 2004 წლის მაისში ეს წინადადება ევროკომისიის მიერ იქნა დამტკიცებული. ანალიტიკოსები ვარაუდობენ, რომ ეს ნაწილობრივ დაგვიანებული გადაწყვეტილება – ამიერკავკასიის ქვეყნების ევროპის სამეზობლო ინიციატივაში ჩართვის შესახებ, დიდად იქნა განპირობებული საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური ცვლილებებით.[81] 2005 წლის მარტში ევროკომისიამ მიიღო გადაწყვეტილება საქართველოსთან ურთიერთობების ინტენსიფიკაციის შესახებ, რაც სამეზობლო ინიციატივის ფარგლებში სამოქმედო გეგმის შემუშავებას გულისხმობდა. ეს რეკომენდაცია ეყრდნობოდა ევროკომისიის მიერ გაკეთებულ ანგარიშს, რომელიც დეტალურ და სიღრმისეულ ანალიზს იძლევა საქართველოში არსებული პოლიტიკური და ეკონომიკური სიტუაციის შესახებ და ასახავს დღემდე არსებულ ორმხრივ ურთიერთობებს ევროკავშირთანაც.[82]

---

[81] Jaba Devdariani, "Europe Remains Ambiguous in its South Caucasus Neighborhood," Central Asia–Caucasus Analyst, July 14, 2004.

[82] The European Commission's Delegation to Georgia and Armenia, http://www.delgeo.cec.eu.int/en/press/5_mart_ge_2005.htm. სამოქმედო გეგმის ძირითადი ელემენტები უნდა მოიცავდეს: კანონის უზენაესობის დაცვას, დემოკრატიის ინსტიტუტებისა და პლურალიზმის გაძლიერებას, ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებას, საგადასახადო და საბაჟო ადმინისტრაციის რეფორმას, სიღარიბის დაძლევას, კონფლიქტების მოგვარებასა და მზარდ რეგიონალური თანამშრომლობას. "ვარდების რევოლუციის" შემდეგ ევროკავშირი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა ქვეყანაში კანონის უზენაესობის დამცველი ინსტიტუტების გაძლიერებაზე. 2004 წლის ზაფხულში ევროკავშირმა საქართველოში გახსნა პირველი კანონის უზენაესობის მისია (EUJUST THEMIS), რათა დახმარება გაეწია სამართლებრივი სისტემის რეფორმირებაში. შესაბამის სამინისტროებში რვა უცხოელი ექსპერტის განთავსებით, მისია საქართველოს ხელისუფლებას ეხმარება, ზოგადად, რეფორმების კოორდინაციაში. იხილეთ, "EU Launches 'Rule of Law' Mission, Amid Human Rights Concerns", *Civil Georgia*, July 17, 2004, http://www.civil.ge/eng/article.php?id-7439.

რა უნდა მოიმოქმედოს დასავლეთმა?

დასავლეთმა საქართველოს უსაფრთხოების დღის წესრიგში უპირველეს ამოცანად უნდა განსაზღვროს ქვეყნის განვითარების პრობლემები და სახელმწიფო რეფორმები. აქედან გამომდინარე, კარგია, რომ შევარდნაძის მმართველობის ბოლო რამდენიმე წლის "დონორთა იმედგაცრუება" დახმარების გაწევის ხელახალმა მზადყოფნამ შეცვალა, მას შემდეგ, რაც საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა გააძლიერა და სახელწიფო რეფორმებში წინსვლა აღინიშნა. ასეთ ვითარებაში დასავლეთმა უნდა გააგრძელოს სახელმწიფო რეფორმის მრავლისმომცველი სტრატეგია, რომლის განხორციელებაც შესაძლებელია სააკაშვილის პრეზიდენტობის პირველი ვადის ამოწურვამდე. უმთავრესი ორიენტირები საქართველომ თავად უნდა განსაზღვროს, მაგრამ ისინი უნდა შეესაბამებოდეს ევროკავშირის სტანდარტებსა და ევროატლანტიკურ გამოცდილებას. მთავარი პრინციპები უკვე ჩადებულია ისეთ, საქართველოს წინა ხელისუფლების მიერ ხელმოწერილ ან მიმდინარე, დოკუმენტებში, როგორიცაა ევროკავშირისა და საქართველოს პარტნიორობისა და თანამშრომლობის შეთანხმება, ახალი სამეზობლო ინიციატივა (ევროკავშირისა და საქართველოს სამოქმედო გეგმა) და ნატოსთან ინდივიდუალური პარტნიორობის სამოქმედო გეგმა.

მაგრამ დასავლეთის სტრატეგია უნდა იყოს გაწონასწორებული – აუცილებელია, ფუნდამენტური პრობლემების გადაჭრა (კორუფციასთან ბრძოლის ჩათვლით), მაგრამ, იმავდროულად, რეფორმების პერიოდში უყურადღებოდ არ უნდა დარჩეს პოლიტიკური სტაბილურობის შენარჩუნება. მაგალითად, საზოგადოების ფართო უკმაყოფილება შეიძლება გამოიწვიოს სახელმწიფო მოხელეების სამსახურიდან მასიურმა დათხოვნამ. გარდა ამისა, ასეთმა ნაბიჯმა შეიძლება გამოააშკარაოს კვალიფიციური კადრების ნაკლებობა საქართველოს მთავრობაში, განსაკუთრებით მაშინ, როცა არ არსებობს ადეკვატური საკადრო პოლიტიკა. ეს პრობლემები უდავოდ წარმოჩინდება პროცესის დასაწყისშივე, მაგრამ ისინი დიდი ხნის განმავლობაში იარსებებენ, თუ დასავლეთი არაფერს იღონებს მათ გადაჭრაში დასახმარებლად. 2004 წლის მარტში, საქართველოს

მთავრობამ პირობა დადო, რომ დათხოვნილ საჯარო მოხელეებს შესაბამისი კომპენსაციით და ახალი სამუშაო შესაძლებლობებით უზრუნველყოფდა.[83] მან, აგრეთვე, შეიმუშავა ყველა სხვა საზოგადოებრივი სექტორის რეფორმირების უაღრესად ამბიციური გეგმა 2004-2009 წლებისათვის. ეს გეგმა ითვალისწინებს დემოკრატიული მმართველობის გაძლიერებას, სახელმწიფო ინსტიტუტების ჩამოყალიბებას, საჯარო სამსახურისა და განათლების სისტემების განახლებას, კულტურული ინსტიტუტების განვითარებას, სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას, ეროვნული უსაფრთხოების გარანტიების შექმნასა და ეკონომიკური განვითარების მიღწევას. აშკარაა, რომ ახალმა ხელისუფლებამ მკაფიოდ უნდა განსაზრვროს ამ რეფორმათა შორის პრიორიტეტები, წინააღმდეგ შემთხვევაში, მათი რეალიზაცია ნაკლებსავარაუდოა.

უკვე აშკარაა დახმარების საჭიროება. აუცილებელია სპეციალური პროგრამების განხორციელება დასავლეთის ქვეყნებში, რომელიც მოიზიდავს ევროპაში განათლებულ და გამოცდილ ახალგაზრდა სპეციალისტებს. ეს პროგრამები დაეხმარება მთავრობას ადმინისტრაციული აპარატის შექმნაში, რომელიც კომპეტენციაზე, გამოცდილებასა და კეთილსინდისიერებაზე იქნება დამყარებული. ამავე მიმართულების ჩარჩოებში ხელისუფლებამ უნდა ჩამოაყალიბოს და დაიცვას ქცევის კოდექსი საჯარო მოხელეებისთვის. გარდა ამისა, ხელისუფლებას მართებს ფრთხილი საკადრო პოლიტიკის გატარება, როცა საქმე ეხება საჯარო მოხელეთა მასიურ შემცირებებს. იმისდა მიუხედავად, რომ შევარდნაძის პრეზიდენტობისას კორუფცია ფართოდ იყო გავრცელებული, არსებობდნენ მოხელეები, რომლებიც ახერხებდნენ, არ გარეულიყვნენ მასში. ეს თანამდებობის პირები და მათი ოჯახის წევრები, შესაძლებელია, ადმინისტრაციული წმენდის მსხვერპლნი აღმოჩნდნენ. მეტი ეფექტურობისთვის საჭიროა, რომ რეფორმები და ახალი კადრების აყვანა ადეკვატური და დროული ხელფასების გაცემის პარალელურად მოხდეს. თუ ეს არ მოხდება, კორუფცია კვლავ იჩენს თავს.

[83] Georgian Ministry of Finance, “Strengthening and Uniting Georgia through Economic Growth, European Integration, and Long-Term Stability: Reform and Development Programme for the Government of Georgia 2004–2009.”

სპეციალური ფონდი საჯარო მოხელეების ხელფასებისთვის იქნა შექმნილი და სხვადასხვა დონორის მიერ დაფინანსებული. სოროსისა და სხვა ამერიკულმა ფონდებმა, აგრეთვე, გაეროს განვითარების ფონდმა შეიტანეს თავიანთი წვლილი ამ სპეციალურ ფონდში.[84]

გარდა ამისა, საჭირო თანხების სახელმწიფო ბიუჯეტში მობილიზაციისთვის აუცილებელია საბაჟო წესებისა და მმართველობის რეფორმა, უკვე არსებული დასავლური პროგრამების შენარჩუნებასთან ერთად. საბაჟო გადასახადების ამოღება დამოკიდებული იქნება ისეთი სტრატეგიული ტერიტორიების გაკონტროლებაზე, როგორიცაა სამხრეთ ოსეთისა და სამეგრელოს რეგიონის კონტროლი კონტრაბანდაზე.ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია ცენტრალური ხელისუფლების პოლიტიკური კონტროლის გაძლიერება. საბაჟო რეფორმა უშუალოდაა დაკავშირებული ქვეყნის ერთიანობასა და ტერიტორიულ მთლიანობაზე. 2004 წლის ივნისში სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის ზონასთან მდებარე ერგნეთის ბაზრობის გაუქმება აუცილებელი იყო ზოგიერთი კრიმინალური დაჯგუფების საქმიანობის აღსაკვეთად. მაგრამ ასეთი ტიპის ბაზრობები ადგილობრივი მოსახლეობისთვის შემოსავლის წყაროცაა. ამდენად, ასეთ პოლიტიკას აუცილებლად უნდა ახლდეს თან ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები.

პოლიციის რეფორმამ უნდა აღადგინოს ნდობა მოქალაქეებსა და სახელმწიფოს შორის. საერთაშორისო დონორების მიერ დაფი-

[84] 2004 წელს პრეზიდენტი, პრემიერ მინისტრი, პარლამენტის თავმჯდომარე და უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე იღებდა 1500 აშშ დოლარს ამ ფონდიდან, თავიანთი ოფიციალური ხელფასის დანამატად. თხუთმეტი მინისტრი და ოთხი სახელმწიფო მინისტრი, აგრეთვე, უშიშროების საბჭოს მდივანი და პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელი იღებდა 1200 დოლარს. ეკონომიკური საბჭოს თავმჯდომარე, შინაგანი ჯარების სარდალი, გენშტაბის უფროსი, სატრანსპორტო პოლიციის ხელმძღვანელი, სახელმწიფო დაცვის სამსახურის უფროსი, საგადასახადო ინსპექციის ხელმძღვანელი და ფინანსური პოლიციის უფროსი იღებდა 1000 დოლარს. სამოცი მინისტრის მოადგილე იღებდა 700 დოლარს. უშიშროების საბჭოს წევრები იღებდნენ 500 დოლარს. ყველა სატრანსპორტო პოლიციელი იღებდა 150 დოლარს. მომავალში ეს დანამატები ხელფასებზე დაგეგმილია სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაიცეს. დაახლოებით 5000-მდე საჯარო მოხელე მიიღებს დამატებით ხელფასს. იხილეთ, *რეზონანსი*, 25 მარტი, 2004 წ., გვ. 2.

ნანსებული სპეციალური წვრთნის პროგრამები აუცილებელია პოლიციის მუშაობის ეფექტურობის ასამაღლებლად, ისევე როგორც, რეკომენდაციები, საბჭოთა პოლიციური სისტემის რეფორმირებისათვის. საქართველომ პოლიციის რეფორმა დაიწყო საგზაო პოლიციის ათასობით თანამშრომლის დათხოვნით. იმის მიუხედავად, რომ საგზაო პოლიცია უაღრესად კორუმპირებულ სტრუქტურას წარმოადგენდა და საზოგადოების მინიმალური მხარდაჭერით სარგებლობდა, ათასობით ადამიანის სამსახურიდან დათხოვნა, ახალი პერსპექტივებისა და სოციალური გარანტიების გარეშე, საეჭვოა ქვეყანაში ზოგადად არსებული კრიმინალური სიტუაციის გაუმჯობესებას ემსახურებოდეს. საქართველოსპოლიციის საგამოძიებო სტრუქტურების რეფორმაც უნდა იყოს პრიორიტეტი, ვინაიდან ადამიანის უფლებათა დარღვევები კვლავ მრავლადაა, ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად. კვლავ ხშირია საჩივრები თვითნებური დაკავების, ნარკოტიკებისა და იარაღის ჩაგდების, საგამოძიებო და წინასწარი დაკავების საკნებში წამების შესახებ.

შედეგიანი დიალოგი თბილისსა და სეპარატისტულ ტერიტორიებს შორის შესაძლებელი იქნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დასავლეთი დაეხმარება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთს განავითაროს და უფრო ღია გახადოს საკუთარი პოლიტიკური სისტემები. უფრო მეტიც, დასავლური დახმარება ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციებისა და სოციალურად დაუცველი ჯგუფებისადმი უნდა ემსახურებოდეს ნდობის აღდგენას ორივე მხარეს შორის. თუ გაიზრდება ნდობა, ხოლო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მოსახლეობა დაიჯერებს იმას, რომ დასავლეთი (და შესაბამისად საქართველოც) ყურადღებას იჩენს მათი მომავლისადმი და იზიარებენ მათ ლეგიტიმურ მისწრაფებას, არ იქნენ ასიმილირებულნი დომინანტურ ქართულ კულტურაში, ისევ წარმოიშვება შესაძლებლობა წარმატებული პოლიტიკური დიალოგის განახლებისა. მაგრამ, სანამ დასავლეთი განაგრძობს აფხაზებისა და ოსების პრობლემების უგულვებელყოფას, ისინი არსებული საფრთხის ნაწილად მოიაზრებიან ამ რეგიონებში და სეპარატისტულ წარმონაქმნებს რუსეთთან კიდევ უფრო მჭიდრო კავშირისკენ უბიძგებს.

თუ საერთაშორისო თანამეგობრობას სურს საქართველოს სტაბილურობის მიღწევა, აუცილებელია მათი შეთანხმებული

მოქმედება. პირველ ნაბიჯად საჭიროა, გადაიხედოს დსთ-ის (რუსეთის) მშვიდობისმყოფელთა და გაეროს წარმომადგენლობის მანდატი. რუსული ჯარები უფრო მეტად უნდა იყვნენ ჩართული ადგილობრივი მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფაში. თუ რუსი მშვიდობისმყოფელები ვერ შეძლებენ უსაფრთხო გარემოს შექმნას, მაშინ გაერომ სერიოზულად უნდა განიხილოს საერთაშორისო სამშვიდობო ძალების გაგზავნის შესაძლებლობის საკითხი. რაც შეეხება გაეროს მისიას საქართველოში, მას შეუძლია ითავოს გაეროს ჰუმანიტარული და განვითარებითი პროგრამების კოორდინაცია, რაც ქართველებსა და აფხაზებს შორის დაძაბულობის განმუხტვას უნდა ემსახურებოდეს. გაეროს მიერ დაფინანსებული ქართველებით დასახლებულ გალის რაიონში სამოქალაქო პოლიციის პროექტი შეიძლება იქცეს ასეთ შანსად.

სამხრეთ ოსეთში საჭიროა ძალისხმევის გააქტიურება რეგიონში ეკონომიკური თანამშრომლობის წასახალისებლად, განსაკუთრებით, ადგილობრივი სავაჭრო და საბანკო სისტემის დახმარების გზით. ევროკავშირის წინადადებები ერთობლივი საბაჟო თუ ტვირთის მაკონტროლებელი მექანიზმების შემუშავების შესახებ, რომელიც მხარეების მიერ იქნა უარყოფილი, კვლავ უნდა გახდეს განხილვის საგანი. ეს შეიძლება ნდობის აღდგენის უმნიშვნელოვანეს მექანიზმად იქცეს. საერთაშორისო საზოგადოებამ, ასევე, უნდა გააძლიეროს ზეწოლა საქართველოზე, რათა მიღებულ იქნას კონფლიქტის დროს იძულებით გაქცეული, დაახლოებით 60 ათასი ოსი დევნილის დაბრუნებისა და ქონების რესტიტუციის იურიდიული ჩარჩოები. დონორებმა ფინანსური დახმარება უნდა გაუწიონ საქართველოს, განსაკუთრებით, კომპენსაციის ვალდებულებათა შესასრულებლად.

რეგიონალური თანამშრომლობის განვითარების ყველა მცდელობა უშედეგო გამოდგა, ნაწილობრივ, აზერბაიჯან-სომხეთს შორის არსებული მთიანი ყარაბახის კონფლიქტის გამო. ასეთ შემთხვევაში, იმის მაგივრად, რომ გააგრძელოს უნაყოფო მცდელობები საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანს შორის სამმხრივი თანამშრომლობის განვითარებისა, დასავლეთისთვის უფრო მიზანშეწონილი იქნება, მხარი დაუჭიროს რეალურ ფორმას ორმხრივი თამანშრომლობისა საქართველოსა და ორ სხვა ამიერკავკასიურ ქვეყანას შორის. სასარგებლო პროექტები შეიძლება განხორციელდეს მრავალი

განხრით, როგორიცაა სატრანსპორტო ტრანზიტი, თანამშრომლობა უსაფრთხოების სფეროში, საბაჟო, საზღვრის დაცვა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა.

ეკონომიკური განვითარებისა და დასავლური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რაც ოფიციალურ ინსტიტუციონალურ მხარდაჭერას საჭიროებს, (ასევე ევროპულ და არაევროპულ ეკონომიკურ სუბიექტებს შორის კონტაქტების მხარდაჭერის მიზნით), ევროკავშირმა უნდა განიხილოს კავკასიური ბანკისა და ევროკავშირის მიერ დაფინანსებული სავაჭრო პალატის შექმნის შესაძლებლობა. ის არაა ვალდებული (და არც უნდა იყოს) მხოლოდ საქართველოთი შემოფარგლოს; მისი საქმიანობა შეიძლება გავრცელდეს, ასევე, რუსეთზე, ირანსა და თურქეთზე.

აშშ-ის მონაწილეობა საქართველოს საქმეებში საგრძნობლად გაიზარდა ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. მაგალითად, საქართველო იქცა ტრანზიტულ პუნქტად აშშ-ის სამხედრო ავიაციისთვის, ავღანეთში მიმდინარე ოპერაციებისას. საქართველო ცდილობდა შეერთებულ შტატებთან დაემყარებინა უფრო ახლო ურთიერთობები, მათ შორის ნატოს ფარგლებს მიღმაც. 2003 წლის აგვისტოში საქართველომ გაგზავნა 70 კაციანი სპეციალური დანიშნულების დანაყოფი ერაყში, ხოლო მომდევნო წლის აპრილში, მშვიდობისმყოფელთა რიცხვი 155 კაცამდე გაზარდა.[85] აქედან გამომდინარე, საქართველოს ანტიტერორისტულ კოალიციაში მონაწილეობით გაფართოვდა აშშ-ის სამხედრო გავლენა რეგიონში, რომელსაც რუსეთი ტრადიციულად საკუთარი გავლენის სფეროდ მიიჩნევდა, რასაც შესაძლოა აშშ-რუსეთის ურთიერთობების დაძაბვა მოჰყვეს.

შეერთებული შტატების ასეთმა გააქტიურებამ გამოიწვია რუსეთის შეშფოთება იმის გამო, რომ ვაშინგტონი ცდილობდა ამიერკავკასიიდან მის გამოძევებას. ეს შეშფოთება ძლიერდება, როცა აშშ ცდილობს მოსკოვზე ზეწოლას, რათა ამ უკანასკნელმა შეასრულოს სტამბოლის 1999 წლის სამიტზე ნაკისრი ვალდებულებები და გაიყვანოს თავისი ბაზები საქართველოდან. განსაკუთრებით მწვავედ ეს საკითხი გამოაშკარავდა ეუთოს 2003 წლის

[85] "Georgian Peacekeeping Troops to Deploy in Iraq," *RFE/RL Newsline*.

დეკემბრის სამიტზე მაასტრიხტში, როცა სახელმწიფო მდივანმა კოლინ პაუელმა გააკრიტიკა რუსეთი სტამბოლის ვალდებულებების არშესრულების გამო და გააფრთხილა მოსკოვი, არ დაეჭირა მხარი სეპარატისტული რეჟიმებისთვის ამიერკავკასიაში. აშშ-მა მზადყოფნა გამოთქვა საქართველოში დარჩენილი ორი, ახალქალაქისა და ბათუმის, ბაზის გასაყვანად რუსეთისთვის ფინანსური დახმარების გაწევის თაობაზე. მიუხედავად იმისა, თუ როგორ შეეცდება აშშ მისი საქართველოში მზარდი როლის შერბილებას, ეს მაინც საკმაოდ მწარე აბი შეიძლება აღმოჩნდეს რუსეთის ნაციონალისტური და კონსერვატიული ძალებისთვის გადასაყლაპად და ემოციური რეაქცია გარდაუვალია. გავლენის დაკარგვისადმი ფსიქოლოგიური შეგუების პრობლემების გარდა, ძალზე განსხვავებული ძალები რუსეთში შეშფოთებას გამოხატავენ იმის შესაძლებლობაზე, რომ დარჩენილი რუსული ბაზების გასვლის შემდეგ, მათ ადგილს ამერიკის ან ნატოს ძალები დაიკავებენ.

რისკის მინიმუმამდე დასაყვანად, რათა არ მოხდეს რუსეთის ან საქართველოს შეცდომაში შეყვანა, აშშ-მა მკაფიოდ უნდა განსაზღვროს საქართველოს როლი მის უსაფრთხოების გეგმებში. თუ ვაშინგტონს იმედი აქვს, გააძლიეროს საქართველოს როლი პლატფორმის სახით, თავისი მომავალი სამხედრო ოპერაციების განსახორციელებლად, მან უნდა ერთმნიშვნელოვნად განუცხადოს ამის თაობაზე საქართველოსაც და რუსეთსაც. ხოლო ნატომ, თავის მხრივ, მკაფიოდ უნდა განსაზღვროს პირობები და დაახლოებითი ვადები, რომლის ჩარჩოებშიც საქართველო შეძლებს გააძლიეროს თავისი ურთიერთობები ალიანსთან. აუცილებელია ნატოს კანდიდატი წევრების მსგავსი ყოვლისმომცველი სამოქმედო გეგმის საქართველოსთვის ოფიციალურად შეთავაზება. ნატოს მიზნები საქართველოსთან მიმართებაში მკაფიოდ უნდა განემარტოს რუსეთს და უნდა გადაიდგას შესაბამისი ნაბიჯები, რათა ამ მიზნების არასწორი გაგების რისკი შემცირდეს. ოქსანა ანტონენკოს წინადადება, რუსეთის ბათუმის სამხედრო ბაზა გარდაიქმნას ნატო-რუსეთის სასწავლო ცენტრად კავკასიის ან შავი ზღვის რეგიონისთვის, შეიძლება იქცეს ერთ-ერთ ასეთ ნაბიჯად.[86] ბოლოს და ბოლოს,

[86] ოქსანა ანტონენკო, სტრატეგიული კვლევის საერთაშორისო ინსტიტუტის უფროსი მკვლევარი, ინტერვიუ ავტორთან, 27 მარტი, 2004 წ.

სტაბილური საქართველო რუსეთის გრძელვადიან ინტერესებში უნდა შედიოდეს. ხოლო უფრო უსაფრთხო საქართველო რუსული ბიზნეს ინტერესებისთვის დამატებით შესაძლებლობებს წარმოადგენს. შიდა კრიზისებისგან თავისუფალი საქართველო კიდევ ერთი ფაქტორია რუსეთისთვის, რათა ეს უკანასკნელი ფინანსურ და ეკონომიკურ ბერკეტებს დაეყრდნოს და არა სამხედრო ძალას და კიდევ ერთი მიზეზი, რათა მოხდეს ადრინდელი ტაქტიკის შეცვლა, რომელიც გავლენათა გასაძლიერებლად პრობლემათა ექსპლოატაციას ითვალისწინებდა. დრო გვაჩვენებს, შეძლებს თუ არა ახალი ქართული ხელისუფლება ამ მიმართულებით უბიძგოს რუსეთს და, იმავდროულად, დასავლეთიც დაარწმუნოს, რომ ის ღირსეული პარტნიორია.

დასკვნა

შეერთებული შტატებისა და ევროპის წვლილი საქართველოს უსაფრთხოებაში დიდი ხანია შემცირდა ურთიერთგაგებისა და საერთო ენის სიმცირის გამო, როცა საქმე ეხება თვით საქართველოს პასუხისმგებლობას საკუთარ სტაბილურობაზე თუ დასავლეთის მზადყოფნას რუსეთს დაუპირისპირდეს ისეთ მგრძნობიარე საკითხებზე, როგორიცაა ტერიტორიული კონფლიქტები. ნაკლებად სავარაუდოა, რომ დაძაბულობა რუსეთსა და დასავლეთს შორის საქართველოს უსაფრთხოების პრობლემების გამო მალე დასრულდეს.

ეკონომიკური და გეოპოლიტიკური თვალსაზრისით, დასავლეთი დაინტერესებულია ევროპისა და ახლო აღმოსავლეთის პერიფერიაზე სტაბილურობით, ხოლო საქართველო კავკასიაში სტაბილურობის მნიშვნელოვანი ფაქტორია. მაგრამ იმისათვის, რომ საქართველომ სტაბილურობისკენ მიმართული გავლენა იქონიოს კავკასიაში, აუცილებელია მისი საკუთარი უსაფრთხოების პრობლემების გადაჭრა.

აშშ აქტიურად ახორციელებს ენერგეტიკული და გეოპოლიტიკური პოლიტიკის აღრევას, რათა ამიერკავკასიაში ყოვლისმომცველი რეგიონალური სტაბილურობა დამკვიდრდეს. ევროკავშირი ნაკლებად აქტიური იყო ნავთობისა და გაზის პროექტების განხორციელებაში და სარბიელს კერძო სექტორს უთმობდა, ხოლო თვითონ პრიორიტეტებს რეგიონალურ თანამშრომლობას ანიჭებდა. კონფლიქტების

მოგვარების სფეროში ევროპამ და ამერიკამ ვერ შეძლო რაიმე კონკრეტული და გრძელვადიანი შედეგის მიღწევა, მიუხედავად ხანგრძლივი მცდელობებისა ეუთოსა და გაეროს ფორმატებში.

დასავლეთის მიერ დაფინანსებულ სახელმწიფო რეფორმებს, განსაკუთრებით შევარდნაძის დროს, უმნიშვნელო შედეგი მოჰყვა. დასავლეთის ყველაზე წარმატებული საქმიანობა, ალბათ, თვით 2003 წლის "ვარდების რევოლუციაა", რაც დასტურია იმისა, რომ სამოქალაქო საზოგადოების განვითარების, ადამიანის უფლებების დაცვისა და დემოკრატიული ოპოზიციის მხარდაჭერის ხანგრძლივი მცდელობები აუცილებლად გამოიღებს ნაყოფს. ახალმა ქართულმა ხელისუფლებამ, ალბათ, ხანრძლივი შრომა უნდა გასწიოს, რომ ყველა მიმართულებით მიაღწიოს წარმატებებს, მაგრამ მან არანაირად არ უნდა დაუშვას ქვეყანაში არსებული უსაფრთხოების სიტუაციის კიდევ უფრო გამძაფრება.

უახლოეს მომავალში საქართველოს ახალმა ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ მას ძალუძს ისეთი რეფორმების წარმართვა, რაც ქვეყანას აღმავლობისკენ და სტაბილურობისკენ მიიყვანს. ეს გულისხმობს სახელმწიფო სტრუქტურების მნიშვნელოვან მოდერნიზაციას, კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, სამხედრო ძალების სრულ კონტროლსა და რაციონალიზაციას, აგრეთვე, კორუფციის აღმოფხვრასა და ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლას. ამ მიზნების მისაღწევად აუცილებელია მებაჟეების, პოლიციელებისა და სამხედროების გაწვრთნა და, დასავლური სტანდარტების შესაბამისად, ორგანიზება, რასაც სააკაშვილი ხშირად აფიქსირებს საჯაროდ, როცა საქართველოს ევრო-ატლანტიკურ ოჯახში გაწევრიანების მისწრაფებებზე საუბრობს.

დასავლეთს შეუძლია დაეხმაროს საქართველოს არადემოკრატიული ტრადიციების აღმოფხვრაზე აქცენტების გაკეთებით; აგრეთვე, ქართული ნაციონალიზმის ენობრივი, ეთნიკური და რელიგიური განზომილებების შერბილებაზე; ეთნიკური უმცირესობების ცივილიზებულ მოპყრობაზე; და ცენტრსა და სეპარატისტულ რეგიონებს შორის არსებული უნდობლობის შერბილების გზების გამონახვაზე. თუ პროგრესი იქნება მიღწეული ამ მიმართულებებით, საქართველოსა და ფართო კავკასიის რეგიონის უსაფრთხოება, უდავოდ გაიზრდება.

საქართველო და მისი შორეული მეზობლები

თომას დე ვაალი

1919 წლის ბოლოს საქართველო, ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, მრავალ პრობლემას წააწყდა ყველა ფრონტზე: სომხეთთან სასაზღვრო დავა გადასაწყვეტი რჩებოდა; არსებობდა მცირე, მაგრამ მეტად რთული ორაზროვანი საკითხები აზერბაიჯანთან ურთიერთობაში; თბილისის მთავრობა დაჟინებით ასაბუთებდა თავის სადავო მოთხოვნებს ბათუმის რეგიონის მიმართ, რომელიც, ის-ის იყო, უნდა დაეტოვებინათ ბრიტანელებს. ამ ქაოსში საქართველოს მრავალნაცადი საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი კვლავ ცდილობდა საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ფართო ტრანსკავკასიური კონფედერაციის ჩამოყალიბებას. გეგეჭკორი იყო ორგანიზატორი მრავალი კონფერენციისა, რომელიც მიმართული იყო ამ სამ რესპუბლიკას შორის ერთი წლის წინ გაუარესებული კავშირების აღდგენისაკენ. თუმცა ბრიტანელი ჟურნალისტი, ს.ი. ბეჩჰოფერი, რომელიც გეგეჭკორს შეხვდა 1919 წელს, გაოცებული იყო იმით, თუ როგორი მოუმზადებლები შეხვდნენ ქართველები მეზობლებთან კომპრომისზე წასვლას და იმით, თუ როგორი გაუარესებული იყო მთლიანად რეგიონული გარემო. ის წერს:

> "რაც მან [გეგეჭკორმა] არ მითხრა და რაც ისედაც ცხადი იყო ყველასთვის, ვინც რამდენადმე ერკვეოდა ტრანსკავკასიურ სიტუაციაში, იყო ის, რომ საქართველოს არ უნდა ჰქონოდა აზერბაიჯანის მხარდაჭერის იმედი თურქეთის ან პროთურქული ძალის კავკასიაში შემოჭრის შემთხვევაში. თათრულ-სომხური [აზერბაიჯანულ-სომხური] ხელშეკრულება, როგორც დრომ

> გვიჩვენა, იმ ქაღალდის ფასიც არ იყო, რომელზედაც ის ეწერა".[1]

ბეჩჰოფერი იქვე აღნიშნავს, რომ ის, რასაც "ცოტა ხნის წინანდელ საქართველო-სომხეთის კინკლაობას" უწოდებს, შეიძლება 1918 წლის დეკემბერს თბილისის დაპყრობით დამთავრებულიყო, ქართველები ბრიტანელებს რომ არ დაეცვათ.[2] ამ ეპიზოდის შესახებ ქართველ ისტორიკოსებს განსხვავებული შეხედულება აქვთ: ისინი ამტკიცებენ, რომ ბრიტანეთის ჯარმა ხელი შეუშალა ქართველთა შეტევას. ყოველ შემთხვევაში, ეს იყო ძალა, რომელმაც გადამწყვეტი როლი ითამაშა 1918 წლის შიდაკავკასიური ბრძოლის შეწყვეტაში.

ოთხი გარეშე ძალა – რუსეთი, თურქეთი, გერმანია და დიდი ბრიტანეთი — ამ პერიოდში დიდი პოლიტიკური მოთამაშე იყო სამხრეთ კავკასიაში. ყოველი მათგანი სხვადასხვა დროს იცავდა სამ კავკასიურ სახელმწიფოს: რუსეთი იცავდა სომხეთს, თურქეთი — აზერბაიჯანს და, შესაბამისად, დიდი ბრიტანეთი და გერმანია — საქართველოს. კავკასიის სახელმწიფოებს შორის მუდმივმა შუღლმა ნათელი გახადა ის, რომ მსხვილი სამხედრო ძალების მხრიდან დაცვის დაპირებამ მთლიანად გადაწონა რეგიონული სოლიდარობა და ლოიალობა. მართლაც, სადავო საზღვრების მქონე რეგიონში გავლენიანი ძალის მხარდაჭერა (ეს 1919 წელს მცირე ხნით ბრიტანეთი იყო) შეიძლებოდა გამოყენებულიყო ეფექტურად, რომ უპირატესობა მოეპოვებინათ ისეთ სადავო საკითხებში, როგორიც იყო ბათუმის საკითხი. რაც შეეხება სომხეთს, საქართველოს მიერ მოკავშირეების სიფრთხილით არჩევა ერთმანეთისგან გამიჯნავდა თვითგადარჩენასა და სრულ განადგურებას .

2005 წელსაც, როდესაც ცდილობენ უსაფრთხოების პრობლემის მოგვარებას, რაც განამტკიცებს მათ დამოუკიდებლობასა და საზღვრებს, კავკასიის პოსტკომუნისტურ ახალ დამოუკიდებელ სამ პატარა სახელმწიფოს კვლავ ამოძრავებს მსგავსი მოსაზრებანი საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის წარმართვისას. სომხეთი კვლავ ეყრდნობა რუსეთს, როგორც მთავარ სტრატეგიულ მოკავ-

[1] C.E. Bachhofer, *In Denikin's Russia and the Caucasus, 1919-1920* (London: Collins, 1921), p.54.
[2] Bachhofer, *In Denikin's Russia and the Caucasus, p.54.*

შირეს, საქართველოს მზერა მიპყრობილია შეერთებული შტატებისაკენ, აზერბაიჯანის უახლოესი მოკავშირე კი თურქეთია. ეს პროტექციონისტური შეთანხმებანი მიმართულია სრულიად კავკასიური თანამშრომლობის წინააღმდეგ. კავკასიურ სახელმწიფოთა მიერ უსაფრთხოების მოპოვების აუცილებლობა დიდი გარეშე ძალის მხრიდან კიდევ ერთხელ აჩვენებს, რომ ამგვარი გარეშე ძალები, ისევე, როგორც სხვა მოთამაშენი – მაგალითად, ნავთობის საერთაშორისო კომპანიები და ირანის ისლამური რესპუბლიკა, არღვევენ სამხრეთ კავკასიის რეგიონის უსაფრთხოებას.

ურთიერთსაწინააღმდეგო ინტერესებით გათიშულმა სამხრეთ კავკასიამ და მისმა ახლო მეზობლებმა ვერ შეძლეს, ჩამოეყალიბებინათ ზუსტად გამოკვეთილი "რეგიონი" იმგვარად, როგორც ეს მოხდა ბალტიის ან ბენელუქსის ქვეყნებში. "სამხრეთ კავკასიას" უფრო გზაჯვარედინის ან განსხვავებულ კულტურათა შეხვედრის ადგილის მეტაფორად იყენებენ, ვიდრე რეგიონის სახელწოდებად. 1918 წლიდან 1920 წლამდე გეგეჭკორი იყო ერთ-ერთი იმ მცირე პირთაგან, ვინც ცდილობდა რეგიონული თანამშრომლობის გაადვილებას სამხრეთ კავკასიაში. ბოლო დროს საქართველო ნაკლებ ინტერესს ამჟღავნებდა მეზობელ ქვეყნებთან ახლო თანამშრომლობის მიმართ. თანამედროვე საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია, საქართველოს წარმოაჩენდა, როგორც განსაკუთრებულ ევროპულ ქვეყანას, რომელსაც დაუყოვნებლივ უნდა გაეწყვიტა კავშირი რუსეთთან და მის საბჭოურ წარსულთან. ეს კი წლების განმავლობაში გამოიწვევდა საქართველოს ისეთ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებას, როგორიც ავსტრია და შვეიცარიაა. მისი ექსცენტრული იდეები იმის შესახებ, რომ კავკასიელ ხალხს საერთო ეთნიკური და კულტურული ბაზისი აქვს და რომ ქართული ეთნოსი იბერიულ-კავკასიური ეთნოკულტურული ცივილიზაციის ნაწილი იყო, ხელს უშლიდა რეგიონულ ინტეგრაციას. საბოლოოდ, მან მიაღწია თავისი ქვეყნის იზოლაციას რუსეთის, დასავლეთისა და სამხრეთ კავკასიელი მეზობლებისაგან. გამსახურდიას შემდგომმა პრეზიდენტმა, ედუარდ შევარდნაძემ, თავისი საგარეო პოლიტიკა მიზანმიმართულად წაიყვანა რუსეთისაგან ჩამოცილებისა და შეერთებული შტატების მხარდაჭერის მოპოვების გზით; ამავე დროს, მისი ევროკავშირისა და საქართველოს უშუალო მეზობლებისგან ჩამოშო-

რებისკენ. მან არ გამოამჟღავნა არავითარი ინტერესი საქართველოს მეზობელ ქვეყნებთან პოლიტიკური და ეკონომიური ინტეგრაციის გაფართოებაში. თვით მისი აზერბაიჯანთან კარგი ურთიერთობა უფრო მეტად ემყარებოდა მაღალი დონის სტრატეგიულ და ენერგოგათვლებს, ვიდრე კომერციულ კავშირებს. საქართველოს პოლიტიკური ლიდერები გამოხატავდნენ მხოლოდ სიტყვიერ მხარდაჭერას სომხეთის თუ აზერბაიჯანის ლიდერების მიმართ ან ხელს აწერდნენ ახალ ინიციატივებს. ეს უკანასკნელნი კი სინამდვილეში წარმოშობდნენ ვალდებულებებს ფურცელზე და არაფერი კეთდებოდა იმისათვის, რომ ერთიანი რეგიონი შემდგარიყო.

ამ თავში ჩემი მსჯელობის არსი არის ის, რომ საქართველოს მდგომარეობა როგორც სამხრეთ კავკასიაში, ისე მის საზღვრებს მიღმა არის არა უსაფრთხოება, არამედ პირიქით – არასტაბილურობა და აგრეთვე ის, რომ სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ხელმოცარულობა თავიანთი თავის რეგიონად მიჩნევაში უარყოფით გავლენას ახდენს მათ წინსვლაზე. ამაში ნაწილობრივ ბრალი საქართველოს მთავრობას მიუძღვის და მისი ელიტის ამბიციებს, ხოლო ნაწილობრივ კი ეს განპირობებულიაღრმა ისტორიულ-გეოგრაფიული ფაქტორებით (მაგალითად, მოსკოვის როლი და რეგიონის დანაწევრების ისტორიის განსხვავებულობა), რამაც ჩამოაყალიბა პოლიტიკური არჩევანი სამხრეთ კავკასიაში. საბოლოოდ, საქართველო უსაფრთხოების მოგვარების საკითხში რჩება სრულიად მარტო. საქართველოს გავლით ყბადაღებულ ნავთობსადენ მილსადენსაც კი ნეგატიური გავლენა ჰქონდა და მანაც ვერაფერი შემატა ფართო რეგიონულ უსაფრთხოებას.

2003 წლის ნოემბერში საქართველოში ძალაუფლება ხელში ახალმა პრეზიდენტმა, მიხეილ სააკაშვილმა აიღო. ამან ბევრი რამ შეცვალა, თუმცა რეგიონული უსაფრთხოების ღრმად ფესვგადგმული სტრუქტურა, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს მომავალში, უცვლელი დარჩა. სააკაშვილის ბრძოლა შავი ბაზრისა და კორუფციის წინააღმდეგ იმედს იძლევა (თუკი გაამართლებს), რომ საზღვრებს შორის განხორციელებულ ვაჭრობას გამჭვირვალეს გახდის. მისეული გაწონასწორებული საგარეო პოლიტიკა იძლევა იმის შანსს, რომ საქართველო ნაკლებად მოექცეს ვაშინგტონის ან მოსკოვის გავლენის ქვეშ. რამდენადაც სააკაშვილი კონცენტრირებულია საქართველოს

საშინაო პრობლემებზე, რთული პრობლემები რაიონში გადაუჭრელი რჩება, შესაბამისად, სამხრეთ კავკასიაში წინსვლას დიდი დრო დასჭირდება.

უსაფრთხოება სამხრეთ კავკასიაში

ტერმინი "სამხრეთ კავკასია" გეოგრაფიული მნიშვნელობით 1990-იანი წლების შუახნიდან გამოიყენება. ჩრდილოეთიდან შემოსაზღვრული კავკასიის ქედით საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის ტერიტორიები თავდაპირველად რუსულ ენაზე "იმიერ-კავკასიად" ("*ზაკავკაზიე*") იწოდებოდნენ; დამოუკიდებლობის მიღებამ ამ სამ ქვეყანას საშუალება მისცა, გამოეყენებინა უფრო ნეიტრალური ტერმინი — "სამხრეთ კავკასია". მაშინ, როცა მთები წარმოქმნის მკვეთრ ბარიერს ჩრდილოეთისკენ (თუმცა ზუსტ საზღვრებზე შეიძლება იდავონ აფხაზებმა, ოსებმა და ლეკებმა), რეგიონის სამხრეთის საზღვრები ბოლომდე ზუსტად დადგენილი არაა. ზოგადად რომ ითქვას, პირველად რეგიონის სამხრეთის საზღვარი გავლებული იყო რუსეთის იმპერიული მმართველობის, მეფის დროს, შემდეგ კი საბჭოთა კავშირის ეპოქაში. მისი ზუსტი საზღვრები ისტორიული უფრო იყო, ვიდრე გეოგრაფიული. ის, რომ სამხრეთ კავკასიაში შედის ბათუმი, მაგრამ არ შედის ყარსი, ისტორიული საკითხია (რომელიც გაჩნდა 1915-1921 წლებში), რამაც ბათუმი პოლიტიკურად მოსკოვთან უფრო დააახლოვბა, ვიდრე მეზობლად მდებარე თურქეთის პორტთან ტრაპიზონში. ამრიგად, საბჭოთა მემკვიდრეობა კვლავ განსაზღვრავს ამ რეგიონის თანამედროვე იდენტურობას მრავალი ფაქტორით.[3]

უსაფრთხოების თვალსაზრისით რეგიონის ისტორიის უბრალო თვალის გადავლებაც ქმნის შთაბეჭდილებას, რომ გამოთქმა "კავკასიის უსაფრთხოება" სინამდვილეში წარმოადგენს ორი

[3] რეგიონის გეოგრაფიული ტერმინოლოგიის დეტალური განხილვისთვის იხ. Tamaz V. Makrelidze, "Transcaucasia" or South Caucasus"? Towards a More Exact Geopolitical Nomenclature," *Marco Polo Magazine*, vol. 4-5 (1999), http://www.traceca.org/marcopolo/mp40.pdf.

ურთიერთგამომრიცხავი ცნების ნაერთს. საუკუნეების განმავლობაში სამხრეთ კავკასია იყო იმპერიათა ბრძოლის ველი ადგილობრივ მოხალისეთა ან იძულებით ომში ჩაბმულთა მონაწილეობით, რასაც ბოლო არ უჩანდა. იძულებითი თანაცხოვრების დიდ სახელმწიფოთა შორის ომებში მონაწილეობის ეს იმპერიული მემკვიდრეობა არასოდეს უზრუნველყოფდა რეგიონის უსაფრთხოების სტაბილურ სისტემას, გარდა გარედან თავსმოხვეულისა.

საქართველო თავის დედაქალაქ ტიფლის/თბილისით ხშირად აღიარებული იყო რეგიონის ცენტრად. ტიფლისი იყო რეგიონის ადმინისტრაციული ცენტრი, როცა ის რუსეთის იმპერიის ნაწილს წარმოადგენდა და, აგრეთვე, მცირე ხნით, 1918 წელს ამიერკავკასიის ფედერაციის დროს. სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის მთიანი ყარაბაღის დავის გამო, ჩაკეტილი საზღვრის პირობებში, რომელიც უგრძესია სამხრეთ კავკასიაში, საქართველო კვლავ (შეცდომით) რეგიონულ ცენტრად ითვლება საერთაშორისო ორგანიზაციების, ბიზნესისა და არასამთავრობო ორგანიზაციებისათვის, რომლებსაც სურთ, კავშირი ჰქონდეთ სამივე სახელმწიფოსთან.

ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ ქართველები თავს არ დებდნენ წამყვანის როლზე სამხრეთ კავკასიაში და საქართველოს, როგორც ასეთს, არა აქვს რეგიონში დომინირების ტრადიცია. დედაქალაქის სტატუსი ტიფლის/თბილისს მინიჭებული ჰქონდა რუსეთის მიერ მეფის დროს, მაგრამ არც სომხები და არც აზერბაიჯანელები არ თვლიან მას კავკასიის დედაქალაქად. ბოლო საუკუნის განმავლობაში სახელმწიფოებრივი შენება საქართველოში ყოველთვის ეჯახებოდა ეთნიკურ უმცირესობათა ამბიციებს, რომლებიც მფარველობას ეძებდნენ არა თბილისში, არამედ მოსკოვში (აფხაზები, ოსები), ბაქოში (აზერბაიჯანელები) ან ერევანში (სომხები). ამავე დროს სამხრეთ კავკასიის დანარჩენ ტერიტორიაზე არ არის ქართული დიასპორა, რომელიც შეძლებდა თბილისისთვის თავის მოქალაქეთა მფარველის სტატუსის მინიჭებას საქართველოს საზღვრებს გარეთ. შეიძლება ითქვას, რომ კავკასიურ ოჯახში საქართველო იყო ერთ-ერთი მოქიშპე ბავშვი, მაგრამ არა მშობელი. მართლაც, პრობლემა შეიძლება განისაზღვროს, როგორც ოჯახი, რომელშიც მშობლები არ არიან. არიან მხოლოდ ხელისშემშლელი ბიძები და დედინაცვლები.

კავკასიისთვის ტრადიციულად დედინაცვალი იყო მოსკოვი. საბჭოთა კავშირის დროს რეგიონის ვაჭრობის 50% მოდიოდა რუსეთთან ვაჭრობაზე (რუსეთის ფედერაციული რესპუბლიკა) და კავკასიის სამი რესპუბლიკის ეკონომიკური ურთიერთობა სუსტად ვითარდებოდა. რესურსებისა და შეღავათების შესახებ მოლაპარაკებები ძირითადად მიმდინარეობდა მოსკოვში, მასში ნაკლებად მონაწილეობდნენ ბაქოელი ან ერევნელი მეგობრები.

საქართველოს როლი (ან მისი არქონა) მთიანი ყარაბაღის დავაში გვიჩვენებს მის არაფუნქციურ რეგიონულდინამიკას. როცა პირველად 1988 წელს მთიანი ყარაბაღის კონფლიქტი დაიწყო, საქართველო საბჭოთა რესპუბლიკა იყო და არ შეეძლო შუამავლის როლში გამოსვლა. 1988 წლის თებერვალში, როცა მთიან ყარაბაღში გაჩნდა არეულობის პირველი ნიშნები, პოლიტბიურომ საქართველოდან იქ გადაისროლა შინაგან საქმეთა სამინისტროს 160-კაციანი მოტორიზებული ბატალიონი წესრიგის დასამყარებლად. ჯერ კიდევ კონფლიქტის ასეთ ადრეულ ეტაპზე რეგიონში უკვე სარისკოდ იყო მიჩნეული სომხეთიდან ბატალიონის აზერბაიჯანისკენ გადაყვანა. თუმცა პირველ ბატალიონში, რომელიც მთიან ყარაბაღში გაგზავნეს, ჯარისკაცთა უმეტესობა ქართველი იყო, ისიც შესაძლოა ვივარაუდოთ, რომ ხელმძღვანელი ოფიცერი სლავური წარმოშობის იყო.

პოლიტბიუროს ოქმები (გამოიცა 1992 წელს) გვიჩვენებს, რომ პოლიტბიუროს ერთადერთი წევრი, რომელმაც კონფლიქტის გადასაწყვეტად წამოაყენა წინადადება, იყო ედუარდ შევარდნაძე. ის სთავაზობდა, მთიანი ყარაბაღის სტატუსი ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსამდე აეყვანათ, მაგრამ მისი რჩევა ყურად არ იღეს და მისი ჩარევა, როგორც ჩანს, ამით ამოიწურა. შევარდნაძის წინადადებას მოგვიანებით, 1998 წლის ბოლოს მიუბრუნდნენ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ მიუკერძოებელ დამკვირვებელს შეეძლო იმედი ჰქონოდა, რომ ახალი დამოუკიდებელი საქართველო 1991 წელს, როცა ყარაბაღის კონფლიქტი კვლავ გამწვავდა და სახელმწიფოთა შორის ომად იქცა, სასარგებლო იქნებოდა სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის, როგორც შუამავალი. მაგრამ რუსეთის პრეზიდენტმა ბორის ელცინმა და მისმა ყაზახმა

კოლეგამ ნურსულთან ნაზარბაევმა წამოიწყეს მაღალი პროფილის სამშვიდობო ინიციატივა იმ წელს, როცა ორივე ეწვია სტეფანაკერტს — მთიანი ყარაბაღის რეგიონულ დედაქალაქს.

საქართველომ რომ ვერ შეასრულა შუამავლის როლი ორ მეომარ მეზობელს შორის, გამოწვეული იყო ნაწილობრივ იმ ფაქტით, რომ ის ჩაფლული იყო საკუთარ გაჭირვებაში 1991 წლიდან 1994 წლებამდე და აღარ გააჩნდა პოლიტიკური ნება, გადაეწყვიტა ვისიმე პრობლემები. უფრო მნიშვნელოვანი იყო ის ფაქტი, რომ მას შემდეგ, რაც საქართველო შეეჯახა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის რეგიონების გამოყოფის მცდელობებს, ყარაბაღის თაობაზე დავაში მხარს უჭერდა აზერბაიჯანის პრინციპულ პოზიციას, სახელდობრ: შენარჩუნებული უნდა ყოფილიყო ახალი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოების ტერიტორიული მთლიანობა და სეპარატიზმი უნდა აღკვეთილიყო. ამგვარი მხარდაჭერის ერთ-ერთი მიზეზი იყო ისიც, რომ შევარდნაძემ ახლო სტრატეგიული ურთიერთობა დაამყარა აზერბაიჯანის პრეზიდენტ ჰეიდარ ალიევთან.

სამხრეთ კავკასიის ქვეყნებს და მათ უშუალო მეზობლებს შორის რთული ურთიერთობის ხილვისას იქმნება აზრი, რომ პრიორიტეტების დადგენისას რთული რეალისტური გათვლები უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე კულტურული ან ისტორიულად განსაზღვრული ფაქტორები. მაგალითად, მიუხედავად მდიდარი კულტურული და ისტორიული ურთიერთკავშირისა ორი საუკუნის განმავლობაში, საქართველოს ახლანდელი ურთიერთობა რუსეთთან ძალიან დაძაბულია. ამას შეიძლება დაემატოს ის, რომ უმეტესად მუსულმანურ აზერბაიჯანთან საქართველოს ურთიერთობის რთულმა ისტორიამ ხელი ვერ შეუშალა ამ ორი ქვეყნის ურთიერთობის კეთილ განვითარებას ბოლო ათი წლის განმავლობაში. თუმცა რუსეთსა და სომხეთს ცამდე აჰყავთ თავიანთი საუკუნოვანი კავშირი, რაც, სავარაუდოდ, საფუძვლად უდევს მათ კავშირს, მსგავსი მსჯელობანი ვერ ახსნის, რატომ აქვს სომხეთს (რომლის მოსახლეობის 98% ქრისტიანია) სტრატეგიული პარტნიორობა ირანის ისლამურ რესპუბლიკასთან; პრაგმატული მოსაზრებანი განსაზღვრავს საქართველოს სომხეთთან ურთიერთობას, თუმცა ამ ორი სახელმწიფოს, რომლებსაც აქვთ ძველი ქრისტიანული ფესვები, საგარეო პოლიტიკა მაინც არაა განპირობებული საერთო ისტო-

რიული გამოცდილებით. საზღვარგარეთიდან იმპორტის გამო ხმელეთზე ჩაკეტილი სომხეთი დამოკიდებულია საქართველოს შავი ზღვის პორტებზე – ფოთსა და ბათუმზე.[4] საქართველოს გავლით მიდის რუსეთის გაზი და ხორციელდება ნავთობის ექსპორტი სომხეთში. მაგრამ ეს კავშირი არ მყარდება ფართო პოლიტიკური და ეკონომიკური თანამშრომლობით საქართველოსა და სომხეთს შორის. მთავარი გზა სომხეთის საზღვრიდან ჯავახეთამდე საქართველოს ტერიტორიაზე ერთ-ერთი ყველაზე ცუდია კავკასიაში. ამჟამად თბილისსა და ერევანს შორის არ ხორციელდება კომერციული ავიარეისები.

საქართველოსა და სომხეთს შორის 1918 წლის დეკემბრის კონფლიქტი ლორესა და ახალქალაქის გამო სულ ორი კვირა გრძელდებოდა, თუმცა კვლავ დაძაბული მდგომარეობაა ჯავახეთის რეგიონში, განსაკუთრებით ქალაქ ახალქალაქის გარშემო. სომხები საქართველოს მოსახლეობის 5-6%-ს შეადგენენ, ხოლო ჯავახეთში ეს ციფრი 90%-მდეა. ჯავახელი სომხების უკმაყოფილება თბილისით მწვავე პრობლემაა, თუმცა მნიშვნელოვან ზიანს არ აყენებს საქართველო-სომხეთს, როგორც სახელმწიფოთა შორის ურთიერთობას, მაგრამ ქართულ საზოგადოებაში ზემოხსენებული პრობლემა შიშს მაინც ბადებს.

სტრატეგიულად სომხეთისა და საქართველოს მზერა მიმართულია სხვადასხვა მხარეს — მოსკოვისა და ვაშინგტონისკენ. 1995 წელს სომხეთმა ხელი მოაწერა შეთანხმებას, რომელიც ნებას რთავს რუსეთის ჯარს, დარჩეს გუმრის ბაზაზე ოცდახუთ წელზე მეტ ხანს. ორი წლის შემდეგ ამ შეთანხმებას დაემატა უფრო ფართო, "მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების" შეთანხმება. სომხეთისა და რუსეთის ჯარების წვრთნა ერთად მიმდინარეობს და ისინი მჭიდროდ თანამშრომლობენ ეკონომიკურ დონეზეც: რუსეთი თანდათანობით შთანთქავს სომხეთის უმნიშვნელოვანეს ქონებას,

[4] *Evgeny Polyakov*. Changing Trade Patterns after Conflict Resolution in the South Caucasus (Washington, DC: World Bank Poverty Reduction and Economic Management Sector Unit, Europe and Central Asia Region, 2000), p. 33, http://Inweb18.worldbank.org/eca/eca.nsf/0/23ac8865ee0dc520852568fc005ba956/$FILE/ATT00ZE9/Trade+flows3.pdf.

ინდუსტრიულ ქარხნებს, ატომური ელექტროსადგურის ჩათვლით. სომხეთისგან განსხვავებით, საქართველოს ლიდერები მტკიცედ აცხადებენ, რომ მათ სურთ ჩრდილოატლანტიკურ ბლოკში (NATO) გაწევრიანება და პრიორიტეტად გამოაცხადეს რუსეთის დარჩენილი სამხედრო ბაზების დახურვა საქართველოში. სომხეთის სტრატეგიულ ინტერესს წარმოადგენს საქართველოში ბათუმისა და ახალქალაქის ბაზების შენარჩუნება, რადგან ეს ბაზები რუსეთის სამხედრო ძალას საშუალებას აძლევს, მოამარაგოს რუსული ბაზა გუმრიში (სომხეთი). საქართველო-სომხეთის საზღვრის გავლით რუს სამხედროებს ინტენსიურად გადაჰყავთ ხალხი და ტექნიკა (თუმცა 2000 წელს რუსეთ-საქართველოს შორის სავიზო რეჟიმის შემოღების შემდეგ გადაზიდვების მოცულობა შემცირდა). გარდა ამისა, ახალქალაქის ბაზა, ფაქტობრივად, ამ რაიონში ადგილობრივი სომხების დასაქმების ერთადერთი საშუალებაა და მისი დახურვა შეიძლება კატასტროფულად აისახოს ადგილობრივ ეკონომიკაზე.

გაცილებით უკეთესია საქართველოს ურთიერთობა აზერბაიჯანთან. მიუხედავად იმისა, რომ ამ ორ ქვეყანას დავა ჰქონდა ზაქათალას რაიონის გამო, ბოლო დროს ეს საკითხი არ განახლებულა. ორივე ქვეყანამ განაცხადა, რომ სტრატეგიული ორიენტაცია აიღეს დასავლეთისკენ, რაც გამოიხატა მეტისმეტად პოლიტიზებულ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობის პროექტში მონაწილეობით (პროექტს ქვემოთ დაწვრილებით განვიხილავთ). გარდა ამისა, ორმა ხანგრძლივად მოქმედმა პრეზიდენტმა — შევარდნაძემ და ალიევმა 1990-იან წლებში ღიად შეკრა კავშირი, მიუხედავად იმისა, რომ 1980-იან წლებში, მიხეილ გორბაჩოვის დროს პოლიტბიუროში ყოფნისას ისინი წარმოადგენდნენ ერთმანეთის იდეოლოგიურ მოწინააღმდეგეებს. ალიევმა აზერბაიჯანის ნავთობსადენის სატრანზიტო გადასახადი აჩუქა საქართველოს იმ დროს, როცა პროექტთან დაკავშირებით პრობლემები წარმოიქმნა.

მიუხედავად ამისა, საქართველო-აზერბაიჯანის პარტნიორობა ისე მჭიდრო არაა როგორც ერთი შეხედვით ჩანს. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის გრანდიოზული ინფრასტრუქტურულ პროექტში თანამონაწილეობა ვერ იქცა ფართო ეკონომიკურ თანამშრომლობად. სამხრეთ კავკასიის განსაკუთრებული ტრადიციების თანახმად, აზერბაიჯანისა და საქართველოს სტრატეგიული პრიორიტეტები

განსხვავებულია. რუსეთის პრეზიდენტად პუტინის გახდომის შემდეგ აზერბაიჯანისა და რუსეთის ურთიერთობა გაუმჯობესდა. "სუკ"-ის ორმა ყოფილმა ოფიცერმა შეძლო, ახალი იმპულსი მიეცა კარგი ურთიერთობებისთვის, რაც ძლიერ განსხვავდებოდა პუტინისა და შევარდნაძის დაძაბული ურთიერთობისაგან. 2000 წელს რუსეთმა დემონსტრაციულად შემოიღო სავიზო რეჟიმი საქართველოსთვის, რაც აზერბაიჯანის მიმართ არ განუხორციელებია. მოსკოვის მყისიერი და თბილი მილოცვა ილჰამ ალიევისადმი 2003 წლის ოქტომბერში აზერბაიჯანში მღელვარე საპრეზიდენტო არჩევნებში მისი გამარჯვების შემდეგ მკვეთრად განსხვავდებოდა რუსეთის ათდღიანი მდუმარებისაგან 2004 წლის იანვარში სააკაშვილის პრეზიდენტად ერთხმად არჩევის შემდეგ . აზერბაიჯანისა და საქართველოს განსხვავებული ურთიერთობა რუსეთთან იმაზე მიუთითებს, რომ ბაქო და თბილისი ერთნაირად არ უყურებენ ყველა სტრატეგიულ საკითხს.

ომისშემდგომი ევროპის გამოცდილება გვიჩვენებს, რომ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა და ქვეყნებს შორის ღია საზღვრები წარმოადგენს წინაპირობას მტკიცე სტრატეგიული კავშირისათვის. ამ კრიტერიუმების საწინააღმდეგოდ, კავკასიის სამი სახელმწიფო მტკივნეულად არის გაუცხოებული ერთმანეთის მიმართ. მართლაც, საქართველოს ნახევრად იზოლაცია ორი სამხრეთკავკასიური სახელმწიფოსაგან უაღრესად შესამჩნევია ქვეყნის საზღვრებზე: ყოფილი საბჭოთა კავშირის ერთი რესპუბლიკიდან მეორის საზღვარზე გადასასვლელად შეიძლება დაიკარგოს რამდენიმე საათი; კომერციული გადაზიდვებისათვის იხდიან მაღალ გადასახადსაც და ქრთამსაც; მძღოლებს ერთი ქვეყნის ნომრით არ სურთ საზღვრის გადალახვა და მეორე ქვეყანაში შესვლა, რადგან ეშინიათ ადგილობრივი საგზაო პოლიციის მხრიდან ფულის გამოძალვისა.

შედეგად, საქართველოსა და მის მეზობელ ქვეყნებს შორის ნებადართული ვაჭრობა შემოიფარგლება ძირითადად ხე-ტყით, ხორბლითა და ნავთობ-პროდუქტებით. საერთო საწარმოთა შექმნაზე რომ არაფერი ვთქვათ, კავკასიის საერთო ბაზრის გაფართოებას უდიდესი დაბრკოლებები ეღობება. მეტიც, ასეთი მდგომარეობა არ არის გრანდიოზული გეგმების ხელმძღვანელ კორუმპირებულ ადგილობრივ მოხელეთა საბოტაჟის შედეგი. ასეთი იზოლაცია

წარმოგვიდგება, როგორც სამხრეთ კავკასიის პოლიტიკური და ეკონომიკური სტრუქტურისათვის დამახასიათებელი ნიშანი. ეს პრობლემები წარმოიქმნება არა მარტო ბიუროკრატიული ბარიერებით, რომლებიც გაუქმებისთანავე გამოათავისუფლებენ დაგუბებულ მწარმოებლურ ენერგიას — ესაა ეკონომიკის ღრმად ფესვგადგმული პოლიტიკური პროდუქტები, როცა მოკლევადიანი პოლიტიკური ინტერესები ეწინააღმდეგება გრძელვადიან ეკონომიკურ პროგრესს.

სამხრეთ კავკასიის ეკონომიკა განაწილებული აქვს რამდენიმე პოლიტიკურ მოთამაშეს, რომლებიც ესწრაფვიან სტაბილურ მონოპოლიას, რათა შეინარჩუნონ პოლიტიკური უსაფრთხოება და დაფინანსება ძალაუფლების შესანარჩუნებლად. საქართველოში შეიქმნა ისეთი სიტუაცია, როცა მასობრივი სიღარიბის, არაფორმალურად პრივატიზებული ეკონომიკის, სუსტი და კორუმპირებული სამართალდამცავი ორგანოების წყალობით ჩრდილოვანმა ეკონომიკამ ყველგან შეაღწია, რაც საფრთხეს უქმნის სათანადოდ დაფინანსებული და ფუნქციონირებადი სახელმწიფოს აღშენების ყოველგვარ ცდას. საქართველოს აწგარდაცვლილი პრემიერ-მინისტრი, ზურაბ ჟვანია, ამბობდა, რომ 2003 წელს კონტრაბანდისა და გადასახადების გადაუხდელობის გამო საქართველოს მთავრობამ დაკარგა 60 მილიონი ლარი (29 მლნ აშშ დოლარი) მხოლოდ თამბაქოს ნაწარმის შემოსავლიდან და თითქმის 200 მლნ აშშ დოლარი ნავთობპროდუქტების გადასახადების დამალვის გამო.[5] ერთ-ერთი ამერიკელი სპეციალისტი საკითხს უფრო მწვავედ აყენებს და ამტკიცებს, რომ "[საქართველოს მთავრობას] შეეძლო ბიუჯეტის დეფიციტის აღმოფხვრა, თუ შემოსავლებს აკრეფდა პროდუქციის ორი სახეობიდან: იმპორტირებული ბენზინიდან და სიგარეტიდან".[6] ორგანიზებული დანაშაულის ქართველი სპეციალისტის, გიორგი ღლონტის შეფასებით, "საქართველოს ეკონომიკა 60-70 პროცენტით დამოკიდებულია შავ ბაზარზე, რომელიც უმთავრესად ვაჭრობს კონტრაბანდული საქონ-

[5] *Shorena Ratiani*. Georgia: Corruption Crackdown Makes Waves. – *IWPR Caucasus Reporting Service* no. 231, March 4, 2004, http://www.iwpr.net/index.pl?archive/cau/cau_200403_221_1_eng.txt.

[6] *Craig MacPhee*. Expert on Georgia Explores 'Can Saakashvili Outdo Shevardnadze?'. – *Newswise*, January 5, 2004.

ლით, როგორიცაა ალკოჰოლური სასმელები, სიგარეტი და სხვა სამრეწველო საქონელი".[7]

ხშირად განსხვავება ლეგალურსა და არალეგალურს შორის ნაკლებად არის გამოკვეთილი. ტონი ვო აღნიშნავს: "მიუხედავად იმისა, ქვეყანა თითქოს დაშლის პროცესში მყოფი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოა, საქართველოში რეალურად აღორძინებულია თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა. პრობლემა არის ის, რომ ამ ეკონომიკის რეგულირება დამოკიდებულია არა სახელმწიფოს რაციონალურ ქმედებაზე, არამედ კლანური და კრიმინალური სისტემის გავლენაზე."[8] ალბათ, უფრო სწორი იქნება ითქვას, რომ ბაზარი სულაც არ არის "თავისუფალი", ის რეგულირდება რამდენიმე პიროვნების (მათ შორის არიან სახელმწიფო მოხელენიც) ვიწრო პოლიტიკური მოსაზრებებით, რომლებსაც არ აინტერესებთ სახელმწიფოს, როგორც მთლიანის, გრძელვადიანი ეკონომიკური განვითარება.

იმ რეგიონში, სადაც სუსტია მართლწესრიგი, ძალიან ძნელია, დადგინდეს ზოგიერთი ეკონომიკური მოღვაწეობის ლეგალურობის საკითხი. ხალხს, რომელიც აკონტროლებს ხე-ტყეს ჩრდილოეთ სომხეთში ან დასავლეთ საქართველოში, თხილს ან სიგარეტს - აჭარაში, ყველა სახის ნავთობპროდუქტს - აზერბაიჯანში ან ჯართს - მთელ საქართველოში, სრული საფუძველი აქვს, ეშინოდეს თავისუფალი ვაჭრობის. იმის გამო, რომ საქართველოს აქვს პრეტენზია გახდეს სატრანსპორტო დერეფანი, ის კრიმინალებისთვის მიმზიდველი მარშრუტი გახდა, მაგალითად, ქვეყანა იქცა სატრანზიტო ზონად ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობისათვის. ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრის მკვლევარი ლუიზ შელი წერს: "ინტერპოლის ანალიზის თანახმად, 1990 წელს ნარკოტიკების გადატანის მარშრუტი [სამხრეთ კავკასიის გავლით] ახლა ატარებს ავღანეთიდან ევროპის ბაზრებისაკენ ნარკოტიკების 10 პროცენტს, რაც არ ხდებოდა საბჭოთა კავშირის დაშლამდე."[9]

---

[7] *Giorgi Glonti*. Problems Associated with Organized Crime in Georgia, http://www.traccc.cdn.ge/publications/publication2.html.

[8] *Tony Vaux*. Strategic Conflict Assessment, Georgia (Timbertop, UK: Humanitarian Initiatives, 2003), p. 6.

[9] *Louise Shelley*. Organized Crime in the Former Soviet Union: The Distinctiveness of Georgia, http://www.traccc.cdn.ge/publications/publication1.html.

ავღანეთის არალეგალური ნარკოტიკები – ჰეროინი და ნედლი ოპიუმი გადააქვთ ირანიდან სამხრეთ კავკასიაში, ვიდრე ბალკანეთს მიაღწევდეს. სხვა სახის ნარკოტიკები უცილობლად გზას იკვლევენ თურქმენეთის გავლით, გადაკვეთენ კასპიის ზღვას, თუმცა თურქმენეთში ზეგასაიდუმლოებული ვითარების გამო მოპოვებული მონაცემები ძნელი დასაჯერებელია. სვანტე კორნელი აღნიშნავს, რომ საქართველო განსაკუთრებით ზარალობს არა მხოლოდ იმიტომ, რომ "საქართველოს უშიშროების სამსახური ცუდად არის აღჭურვილი საიმისოდ, პრობლემას თავი გაართვას, არამედ, როგორც ჩანს, იმიტომ, რომ მათ შორის კონტრაბანდის ქსელის წარმომადგენელი გაცილებით მეტია, ვიდრე აზერბაიჯანში."[10]

იმის გამო, რომ საქართველოს საზღვრები ხშირად ჩაკეტილია ღარიბი, მაგრამ პატიოსანი ბიზნესმენებისთვის და შემაშფოთებლად ღიაა ორგანიზებული დანაშაულისათვის, სახელმწიფოს ხელმძღვანელობა მუდმივი პანიკის მდგომარეობაშია. პანკისის ხეობაში 2001 წლიდან 2002 წლამდე რამდენიმე ათეული "მუჯაჰედის" (ზოგი მათგანი დაკავშირებული იყო ალ-ქაედასთან) ყოფნა, სავარაუდოდ, შეიძლება აიხსნას საქართველოს უშიშროებისა და სასაზღვრო სამსახურის სისუსტითა და კორუმპირებულობით. საქართველო გარკვეული ხნის განმავლობაში გახდა საერთაშორისო ტერორიზმის თავშესაფარი, ხოლო პანკისის ხეობა გადაიქცა გილაევის მეთაურობით ჩეჩენ მოლაშქრეთა გასასვლელ გზად მათი უნაყოფო ექსპედიციისას კოდორის ხეობაში (აფხაზეთი), რამაც სერიოზულად შეაფერხა ქართულ-აფხაზური სამშვიდობო პროცესი.[11] ეს იყო გადამდები კორუფციის ყბადაღებული პრეცედენტი, რაც ძირს უთხრიდა ქვეყნის სახელმწიფოებრიობას.

კორუფცია და სასაზღვრო საკითხები, შევარდნაძის რეჟიმთან დაკავშირებულ გავლენიან პირთა დაპატიმრება, ალბათ, განე-

[10] *Svante Cornell*. The Growing Threat of Transnational Crime, in *Dov Lynch, ed*. The South Caucasus: A Challenge for the EU, Chaillot Papers no. 65 (December 2003), p. 83, http://www.iss-eu.org/public/content/chaile.html.

[11] უფრო დეტალურად გილაევის მიერ განხორციელებულ ექსპედიციაზე კოდორის ხეობაში იხილეთ წინამდებარე წიგნის ქვეთავი ოქსანა ანტონენკოს ავტორობით. პანკისის ხეობასთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ ქვეთავი ჯაბა დევდარიანის ავტორობით.

კუთვნება იმ ძნელად მოსაგვარებელ საკითხებს, რომელთა გადაჭრასაც სააკაშვილი აპირებდა. კორუფციაში მონაწილეობის გამო საბაჟო სამსახურის წმენდა საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე და აჭარაში კონტრაბანდასთან ბრძოლა — ყოველივე ეს იმაზე მიუთითებს, რომ პრეზიდენტს პრობლემების მასშტაბურობა მაინც ესმის, თუ არ იცის მათი გადაწყვეტის აუცილებელი ბრძოლის მეთოდები. სამხრეთ ოსეთში სიტუაცია ნათელს ჰფენს იმ დილემას, რასაც წააწყდა სააკაშვილი; არც ერთი საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება იზოლირებულად, მაგრამ საქართველოს მთავრობას არ გააჩნია რესურსები, რომ ყველა პრობლემა ერთდროულად დაძლიოს. 2004 წლის ივლისში საქართველოს "ანტიკონტრაბანდისტული ოპერაცია" სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ გადაიზარდა ამ ათი წლის მანძილზე ყველაზე მწვავე პოლიტიკურ დაპირისპირებაში თბილისსა და ცხინვალს შორის.

1990-იანი წლების კონფლიქტების მოგვარების უუნარობა თბილისისათვის არის თავსატეხის არა მარტო მთავარი მიზეზი, არამედ, რა თქმა უნდა, ისიც, რომ სამხრეთ კავკასიაში იგი ხელს უშლის შედარებით უფრო ჯანმრთელი ეკონომიკური სიტუაციის ფორმირებას. მთიანი ყარაბაღის, აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მოლაპარაკების გზით დარეგულირება ძირს უთხრის მრავალ გავლენიან კარტელს რეგიონში. შეიძლება დავასახელოთ სამი მაგალითი:

1) სომხეთის სამხედროები, რომლებიც აკონტროლებენ სომხეთის ეკონომიკის უმეტეს ნაწილს, აგრეთვე სომხეთსა და სომხების კონტროლირებად მთიან ყარაბაღს შორის ერთადერთ გზაზე ტვირთების გადატანას, წააგებდნენ, რომ გახსნილიყო 1990 წელს დაკეტილი საზღვარი აზერბაიჯანთან;

2) სამეგრელოს რეგიონის ხელისუფლება და სპეცსამსახურები, რომლებიც მონაწილეობენ ბენზინის, სიგარეტისა და თხილის კონტრაბანდაში დასავლეთ საქართელოსა და აფხაზეთის საზღვრის გავლით, ძალიან ბევრს დაკარგავდნენ, თუ ეს საზღვარი გაიხსნებოდა საავტომობილო და სარკინიგზო ტრანსპორტისათვის;

3) თუ ჩრდილოეთ-სამხრეთის სარკინიგზო მარშრუტი (რუსეთიდან საქართველოსა და სომხეთში აფხაზეთის გავლით) კვლავ გაიხსნება

საქართველოსა და აფხაზეთს შორის მოლაპარაკების შედეგად, ეს იქნებოდა სერიოზული დარტყმა იმათთვის, ვინც ყოველწლიურად ღებულობს მილიონობით დოლარის შემოსავალს ნახევრადლეგალური ვაჭრობით ოსეთის ტერიტორიის გასწვრივ.

სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, გავლენიან კრიმინალთა ინტერესები ეწინააღმდეგება საერთოკავკასიური ბაზრის განვითარებას. ენერგომატარებლების ორი მილსადენი აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით წარმოადგენს ერთადერთ მსხვილ საერთოკავკასიურ პროექტს, რომელიც ახლა რეალიზდება. ეს პროექტები ფინანსდება დასავლეთის ნავთობკომპანიების მიერ და ამიტომ ძირითადად არ განიცდის წვრილმანი ადგილობრივი ეკონომიკური ინტერესების გავლენას. მაგრამ (ამ ნავთობსადენის სტრატეგიულ მნიშვნელობას განვიხილავთ ქვემოთ) მათი პოტენციური როლი რეგიონული ვაჭრობის შეუქცევადი განვითარებისათვის უკეთეს შემთხვევაში არაერთგვაროვანია. როცა ნავთობსადენის შენება დამთავრდება და მიწის მესაკუთრეებს აზერბაიჯანსა და საქართველოში გადაუხდიან კომპენსაციას, ვერავინ მიიღებს განსაკუთრებულ ეკონომიკურ სარგებელს. მოიგებენ ნავთობის კომპანიები და მთავრობები ბაქოში, თბილისში, ანკარასა და დასავლეთში.

ამავე დროს, არსებობს იმის რეალური საფრთხე, რომ ნავთობსადენის პროექტი გამოიწვევს სრულიად კავკასიური ეკონომიკის დეფორმაციას. ეს მოხდება "ჰოლანდიური ავადმყოფობის" სინდრომის გამო. როცა მსჯელობენ აზერბაიჯანისთვის პოტენციურ რისკზე, სამი სპეციალისტი ამ სინდრომს შემდეგნაირად განმარტავს:

ჰოლანდიური დაავადება თავს იჩენს, როცა დიდი რაოდენობის უცხოური ვალუტა გამომუშავებული რაიმე საქონლის გაყიდვით (მაგალითად, ნავთობი) გაიცვლება ადგილობრივ ვალუტაზე. ეს გაზრდის მოთხოვნას ადგილობრივ ვალუტაზე, რაც გამოიწვევს გაცვლითი კურსის ამაღლებას. შედეგად, იმპორტი გაიაფდება, ხოლო ექსპორტი — გაძვირდება. ღირებულების კურსის დაწევა ასუსტებს შრომატევად სამრეწველო სექტორს.[12]

[12] *Sabit Bagirov, Ingilab Akhmedov, and Svetlana Tsalik*. State Oil Fund of the Azerbaijan Republic, in *Svetlana Tsalik, ed*. Caspian Oil Windfalls: Who Will Benefit? (New York: Caspian Revenue Watch, Open Society Institute, 2003), p. 94.

2001 წელს აზერბაიჯანის ნავთობის სექტორზე მოდიოდა სამრეწველო წარმოების 67,5%. პროდუქციის გამოშვება, რომელიც ნავთობთან არ იყო დაკავშირებული, მკვეთრად დაეცა, ხოლო საქონლის ექსპორტი რუსეთში, რომელიც ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო 1997-2001 წლებში, ორჯერ შემცირდა. ეს ტენდენცია შეიძლება უფრო გაძლიერდეს იმის მიხედვით, თუ რა რაოდენობით შემოვა უახლოეს წლებში აზერბაიჯანში უცხოური ვალუტის მძლავრი ნაკადი.აზერბაიჯანის ეკონომიკის ის დარგები, რომლებიც ნავთობთანაა დაკავშირებული, შეიძლება მთლიანად დაინგრეს. ასეთი სცენარის მისადაგება საქართველოს მიმართ ფრიად ბუნდოვანია: ამან შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს ექსპორტის ზრდა აზერბაიჯანში, თუმცა საქართველოს მრეწველობის დონე ჯერ კიდევ ისეთი დაბალია, რომ მსგავსი ვარიანტი ნაკლებად სავარაუდოა. უფრო მნიშვნელოვანია შემდეგი: ენერგეტიკულ სექტორში მკვეთრ ზრდას შეიძლება ჰქონდეს მნიშვნელოვანი (არა აუცილებლად დადებითი) შედეგები სამხრეთ კავკასიის ქვეყნების ეკონომიკისათვის. ისეთ გარემოში, სადაც ენერგოსაქონლიდან დიდი შემოსავალი იქნება, სადაც ეკონომიკაში კარტელი დომინირებს და ხდება საზღვრებზე შეფერხება, უახლოეს პერიოდში თავისუფალი ვაჭრობა ვერ განვითარდება.

ნავთობსადენები, შესაძლებლობები და საშიშროება

2005-2006 წლებში ორი ახალი ენერგოსადენი ხაზი მთლიანად შეცვლის ენერგეტიკულ პროფილსა და სტრატეგიულ სურათს სამხრეთ კავკასიაში. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის გაყვანა უნდა დამთავრდეს 2005 წლის დასაწყისში და დაგეგმილია, რომ ერთი წლის შემდეგ ამას მოჰყვეს ბაქო-თბილისი-ერზრუმის (სამხრეთ კავკასია) გაზსადენის გაყვანა, რომელიც ნავთობსადენის პარალელური იქნება აზერბაიჯანისა და საქართველოს გავლით, რის შემდეგაც ეს ენერგოგამტარები გაიყოფიან თურქეთში. აღნიშნული პროექტები საქართველოს მდგომარეობას მსოფლიო არენაზე ეკონომიკურად თუ არა, სტრატეგიულად მაინც შეცვლის, საქართ-

ველოს მტკიცედ დაუკავშირებს თურქეთსა და დასავლეთს, ამავე დროს, ეს პროექტები მეტად დააინტერესებს დასავლეთის ქვეყნებს, უზრუნველყონ სტაბილურობა საქართველოში, რომლის გავლითაც უსაფრთხო პირობებში მათ ბაზრებზე მოხვდება ნავთობი და გაზი. მაგრამ ასეთი მნიშვნელოვანი პროექტი უცილობლად შეიცავს რისკს უსაფრთხოების თვალსაზრისით და საქართველო, შეიძლება, უყურადღებოდ ტოვებს სერიოზულ გრძელვადიან პრობლემებს უსაფრთხოების სფეროში, რომლებსაც ეს რისკი შექმნის.

წმინდა ეკონომიკური თვალსაზრისით ამ ნავთობსადენს არ ექნება მნიშვნელოვანი შედეგი საქართველოსთვის. სხვაგვარადაა საქმე აზერბაიჯანში, რომელიც უთუოდ მოგებული დარჩება: ახლანდელი შეფასებით, თუ ბარელი ნავთობი ღირება 25 აშშ დოლარი, 2010 წელს აზერბაიჯანი მიიღებს 17 მილიარდ დოლარს ნავთობის წარმოებისა და ტრანსპორტირების შედეგად. თუ შენარჩუნდა ამჟამინდელი მაღალი ფასები, შემოსავალი უფრო მეტი იქნება. საქართველო მიიღებს უფრო ნაკლებს – მან შეიძლება მიიღოს მხოლოდ 50 მილიონი დოლარი წელიწადში სატარიფო გადასახადის სახით, მარშრუტის შედარებით მცირე მონაკვეთის გამო. ამასთან დაკავშირებით შევარდნაძეს საყვედურობდნენ, მათ შორის, მისი მემკვიდრე სააკაშვილიც, რომ მან "გადაჭარბებით შეაფასა" ნავთობსადენის მნიშვნელობა ქართველი მოსახლეობისთვის.

გაზსადენი ბაქო-ერზრუმი უთუოდ მეტ პირდაპირ სარგებელს მოუტანს საქართველოს, რამდენადაც იგი უზრუნველყოფს კასპიის გაზით ქვეყნის რაიონების საიმედო მომარაგებას. ეს ადრე დამოკიდებული იყო რუსეთიდან გაზის არასტაბილურ მოწოდებაზე ან სრულ გადაკეტვაზე. გაზსადენის ბედი დამოკიდებულია იმაზე, შეუშლის თუ არა ხელს გაზსადენის მშენებლობას შევარდნაძის მთავრობის მიერ 2003 წელს რუსეთის "გაზპრომთან" დადებული ენერგოხელშეკრულება (რომლით გამოწვეული შესაძლო სირთულეები ჯერ გაურკვეველია). გარდა ამისა, რადგანაც სომხეთი იმედებს ამყარებს საქართველოს გავლით ტრანსპორტირებულ რუსეთის გაზზე და, ამავე დროს, ირანთან აწარმოებდა მოლაპარაკებას ირან-სომხეთს შორის გაზსადენის მშენებლობის თაობაზე, საქართველო აღმოჩნდა ორი გაზსადენის შუაში, რომელიც დაგეგმილია ორი ურთიერთ-

საწინააღმდეგო ბლოკების მიერ, ესენია: აზერბაიჯანი-საქართველო-თურქეთი და რუსეთი-საქართველო-სომხეთი-ირანი.

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის განხორციელების ორი ვარიანტი არსებობდა. პირველი პროექტი წამოყენებული იქნა თურქეთის მიერ და გულისხმობდა სარგებლის მიღებას იქიდან, რომ მისი საბოლოო პუნქტი გახდებოდა ხმელთაშუა ზღვის პორტი ჯეიჰანი. ამ მარშრუტით მცირდებოდა ნავთობის ტანკერების მიერ შექმნილი მუდმივი ეკოლოგიური საშიშროება, რადგანაც ტანკერები გაივლიდნენ შავი ზღვის პორტებიდან — ნოვოროსიისკიდან და ფოთიდან ბოსფორის სრუტის გავლით სტამბოლის ახლოს. ამ იდეამ რეალურად ხორცშესხმა დაიწყო 1997-1998 წლებში, როცა მას მხარი დაუჭირა კლინტონის ადმინისტრაციამ. იმ წლებში ისეთმა მაღალ-ჩინოსანმა ამერიკელები, როგორებიც არიან სტივ სესტანოვიჩი, რიჩარდ მორნინსტარი, ფედერიკო პენია და ბილ რიჩარდსონი, კონგრესში გამოსვლისას განაცხადეს, რომ ემხრობოდნენ პროექტს, რომელიც ზრდიდა აშშ-ს ენერგეტიკულ უსაფრთხოებას და თანაც ეხმარებოდა აზერბაიჯანსა და საქართველოს.

დასაწყისში ბევრს აწუხებდა ის, რომ ნავთობსადენი თავდა-პირველად ინიცირებული იყო პოლიტიკური ინტერესებით და წარ-მოადგენდა "ვაჭრობის წამყვან დროშას". ვუეინ მერიმ, პენტაგონისა და სახელმწიფო დეპარტამენტის ყოფილი თანამშრომელი, ვინც ესწრებოდა ნავთობსადენის შესახებ გამართულ დისკუსიებს, დასაწყისშივე განაცხადა, პროექტზე ფიქრი უაღრესად ბუნდო-ვანიაო. მერის თანახმად, საწყისი მოტივაცია იყო კომპენსაცია თურქეთის იმ შემოსავლებისა, რასაც ის კარგავდა ერაყის წინააღმდეგ შემოღებული სანქციების გამო 1991 წელს სპარსეთის ყურის ომის შემდგომ:

> მოგვიანებით დაიწყეს სხვა საკითხების, სხვა პიროვნულისა და ინსტიტუციონალური მოსაზრებების გათვალისწინება. ნავთობის კომპანიებს ყოველთვის სჭირდებოდა სამხრეთის მარშრუტი ირანის გავლით, რომ გამოეყენებინათ არსებული ადგილობრივი და გლობა-ლური გამანაწილებელი ინფრასტრქტურა. ეს ეწინა-აღმდეგებოდა ვაშინგტონში გავლენიანი წრეების, ანტიირანული დაჯგუფების ინტერესებს (რომელსაც

> ახლაც აქვს ინიციატივების ბლოკირების საშუალება). შემდეგ ამოტივტივდა ნოვოსიბირსკის (სამხრეთ-დასავლეთის) მარშრუტის ინტერესი. მას შეეწინააღმდეგა ანტირუსული დაჯგუფება, რომელსაც ეშინოდა რა "ნეოიმპერიალიზმისა" (თუმცა ხმამაღლა გაჟღერდა მხარდაჭერა რუსეთის მონაწილეობის სასარგებლოდ). შემდეგ კვლავ გაჩნდა ინტერესი, რომ რაიმეთი დახმარებოდნენ "შევი"-ს [შევარდნაძეს] მისი, როგორც საგარეო საქმეთა მინისტრის მოღვაწეობის დასაფასებლად და, იმავდროულად, მხარი დაეჭირათ ალიევისთვის. ორივე შემთხვევაში ყურადღება ექცეოდა იმას, რომ არც ერთ პროექტს, შესაძლოა, ბოლომდე განხორციელება არ ეწერა.[13]

სად არ გაივლიდა ნავთობსადენი, ისევე მნიშვნელოვანი იყო, როგორც ის, თუ სად გაივლიდა იგი. შეიძლება მას დარქმეოდა "არარუსული, არაირანული" ნავთობსადენი. საბჭოთა კავშირის მიმართ სტრატეგიის განმსაზღვრელმა საუკეთესო ამერიკელმა ექსპერტმა სტროუბ ტელბოტმა კონგრესში გამოსვლისას 1998 წელს ღიად გააფრთხილა ირანი, რომლის მიმართაც გამოიყენა გამოთქმა "ტერორიზმის სახელმწიფო სპონსორი", ხოლო შეფარვით რუსეთიც – კავკასიაში მათი ინტერესების გამო. მან თქვა: "ჩვენ ვაგრძელებთ სახელმწიფოთა გაფრთხილებას ირანთან მჭიდრო ურთიერთობის განვითარების გამო. მეტიც, წინააღმდეგი ვართ, ამ რეგიონში რომელიმე სახელმწიფომ დაიკავოს დომინირებული მდგომარეობა, პოლიტიკური ან ეკონომიკური თვალსაზრისით. ჩვენ გავაგრძელებთ თანამშრომლობას კავკასიის ყველა სახელმწიფოსთან, რომ ხელი შევუშალოთ ირანის გავლენის ზრდას ამ რეგიონში."[14]

ნავთობის მრეწველობისთვის ყველა ეს არგუმენტი ნაკლებად დამაჯერებელი იყო. თერი ადამსი, რომელიც სათავეში ედგა პირველ მრავალეროვან ნავთობის კონსორციუმს — ბაქო-აზერბაიჯანის საერთაშორისო საოპერაციო კონსორციუმს, თქვა, რომ ეს გეგმა იყო

[13] ვაინე მერი, ავტორისთვის მიწერილი წერილი, 2003 წლის 4 ნოემბერი.
[14] Strobe Talbot, U.S. Congress, Senate, Testimony before the Subcommittee on Foreign Operations, Appropriations Committee, 105th Congress, 2nd Session, March 31, 1998.

პოლიტიზებული და ნაკლებად სიცოცხლისუნარიანი. 2000 წელს ადამსი წერდა:

> ეროვნული დამოუკიდებლობის მხარდაჭერა, თავისი არსით, გარე პოლიტიკური მოთამაშის ფართო გეოგრაფიულ არენაზე ჩართვას განაპირობებს. შეერთებული შტატებისათვის ეს ნიშნავს რუსეთისა და ირანის გავლენის შეკავებას ამ რეგიონში, იმავდროულად, მოითხოვს აშშ-ს იქ დამკვიდრების ზრდას. ეს უცილობლად მიდიოდა რეგიონულ დიპლომატიურ და კომერციულ კონფლიქტებამდე, რომლებიც პრაქტიკულად ფოკუსირდა ნავთობსადენის საქმეზე. ყველაფერი დაფუძნებული იყო შეუმოწმებელ წარმოდგენაზე, რომ კასპიიდან ბენზინის ექსპორტისათვის მარშრუტის იძულებით არჩევა განსაზღვრავდა ხანგრძლივ გეოპოლიტიკურ შედეგებს.[15]

დაახლოებით 2000 წელს, როგორც კი რეგიონში და მის გარშემო სიტუაცია შეიცვალა, ნავთობკომპანიებმა (განსაკუთრებით BPAmoco) ირწმუნეს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ("ბი-თი-სი") კომერციული შესაძლებლობანი. 2003 წელს დაიწყო მშენებლობა. გადამწყვეტ ფაქტორს წარმოადგენდა კასპიის ნავთობის პერსპექტიული ერთობლივი მარაგი, ნავთობზე არსებული მაღალი ფასები და მზარდი გაურკვევლობა ახლო აღმოსავლეთის მიმართ. რამდენადაც დასავლეთის კომპანიებისთვის და მთავრობებისთვის პრიორიტეტული მნიშვნელობა შეიძინა "ენერგეტიკულმა უსაფრთხოებამ", ენერგომატარებელთა წყაროს მიმზიდველობამ, რომელიც იყო OPEC-ის საზღვრებს მიღმა და კონტროლირდებოდა, პრაქტიკულად, უშუალოდ საერთაშორისო კომპანიების მიერ, თანდათან აამაღლა კასპიის რეიტინგი. ჯონ რობერტსი წერს: "კასპია მნიშვნელოვანია არა იმით, რომ ის არის მსოფლიოს ერთ-ერთი მწარმოებელი რეგიონი, არამედ

---

[15] *Terry Adams*. Caspian Hydrocarbons, The Politicisation of Regional Pipelines and the Economic Destabilisation of the Caucasus. – *Caucasian Regional Studies*, vol. 5, issue 1 & 2 (2000), http://poli.vub.ac.be/publi/crs/eng/0501-00.htm.

[16] *John Roberts*. Energy Reserves, Pipeline Politics and Security Implications, in *Lynch*. The South Caucasus, p. 91.

იმით, რომ ის შეიძლება გახდეს მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი მწარმოებელი რეგიონი, სადაც ნავთობის ფაქტობრივი მოპოვება ძირითადად რჩება ბაზარზე ორიენტირებულ საერთაშორისო ენერგეტიკულ კომპანიათა ხელში."[16] ამ თვალსაზრისით "ბი-თი-სი" "არაირანული და არარუსული ნავთობსადენიდან" გადაიქცა"არაერაყული და არასაუდის არაბულ" ნავთობგამტარად., რაც არის ენერგეტიკული უსაფრთხოების მიმზიდველი ალტერნატიული წყარო და რომელსაც მთლიანად აკონტროლებს დასავლეთის კომპანიები.

აზერბაიჯანისა და საქართველოსთვის სამი ქვეყნის მარშრუტის მქონე პროექტს, "ბი-თი-სი"-ს, ნამდვილად ჰქონდა პოლიტიკური სარგებელი. აზერბაიჯანი დაინტერესებულია, ჰყავდეს სატრანზიტო ქვეყნად პოლიტიკურად სუსტი მეზობელი საქართველო იქამდე, ვიდრე შეუძლია, თავი გაართვას ირანისა და რუსეთის მხრიდან ეჭვის თვალით ყურებას. საქართველოსთვის ნავთობსადენს აქვს უაღრესად დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს სიმბოლოს. ყოფილმა პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ ნათლად გამოთქვა, რომ "ბი-თი-სი"-ს მშენებლობა იყო უდიდესი მნიშვნელობის მოვლენა მთელი მისი პრეზიდენტობის პერიოდში. "ყველა აღიარებს, რომ საქართველო ერთ-ერთი მთავარი რგოლია ამ პროექტში", — განაცხადა შევარდნაძემ 2003 წლის აგვისტოში, — "ამ ნავთობსადენის ფუნქციონირება დიდად არის დამოკიდებული ჩვენს ქვეყანაზე, საქართველო გახდა გლობალური ინტერესების სფერო, რაც ჩვენი სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის განმტკიცების სერიოზულ ფაქტორს წარმოადგენს."[17]

შევარდნაძის თანაშემწისა და საგარეო პოლიტიკაში მისი უახლოესი მრჩევლის, გელა ჩარკვიანის თქმით, ქართველებიცა და რუსებიც კარგად აცნობიერებდნენ რუსეთის გვერდით გამავალი მსხვილი ნავთობსადენის სიმბოლურ მნიშვნელობას. ჩარკვიანი ამას განიხილავდა, როგორც საქართველოს სუვერენიტეტის ბურჯს:

---

[17] ციტატა მოტანილია ტექსტიდან: *Leila Amirova, Nurlana Gulieva, Gennady Abramovich, and Giorgy Kupatadze.* Special Report: Trans-Caucasus Pipeline Underway at Last. – *IWPR Caucasus Reporting Service* no. 211, December 23, 2003, http://www.iwpr.net/index/pl?archive/cau/cau_200312_211_2_eng.tst.

> საბჭოთა კავშირი ყველაზე ცენტრალიზებული ქვეყანა იყო მსოფლიოში. ყოველგვარი მოძრაობა საბჭოთა კავშირში ხდებოდა პერიფერიიდან ცენტრისაკენ და არა პირიქით. არავითარი კავშირი არ არსებობდა პერიფერიასა და საზღვარგარეთს შორის – თბილისიდან თურქეთში. თურქეთი უფრო ახლოსაა, ვიდრე მოსკოვი, მაგრამ ყველაფერი უნდა წასულიყო მოსკოვის გავლით. არ შეიძლებოდა საზღვრის გადალახვა, თუ თანხმობას არ მიიღებდი ცენტრიდან. ეს მენტალიტეტი დღემდე შენარჩუნებულია.[18]

მიუხედავად არეული დასაწყისისა და შეფერხებებისა, "ბი-თი-სი" დღეს აზერბაიჯანსა და საქართველოში სრული მხარდაჭერით სარგებლობს. არავითარ პოლიტიკურ წინააღმდეგობას ის არ შეხვედრია არც ერთ ამ ქვეყანაში. მას მხარს უჭერდნენ ოპოზიციური პარტიებიც. საკითხით დაინტერესებული არასამთავრობო ორგანიზაციები, მაგალითად, "მწვანე ალტერნატივა", გამოთქვამდნენ ეჭვს არა იმდენად პროექტის შესახებ, რამდენადაც, მათი აზრით, პროექტის განხორციელებისას დაშვებული შეცდომებისა და სიჩქარის გამო.

საქართველოში საყოველთაოდ მიღებულია აზრი იმის შესახებ, რომ ორი ენერგოსადენი დაეხმარება საქართველოს, გახდეს სატრანზიტო დერეფანი აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის და იყოს რუსეთისაგან უფრო მეტად დამოუკიდებელი. მაგრამ "ბი-თი-სი"-ს საქართველოსთვის მოაქვს სხვა სტრატეგიული შედეგებიც, თუმცა ისინი ნაკლებ სასიამოვნოა და ჯერ არ მიუღია ფართო მხარდაჭერა. ეს დაკავშირებულია იმასთან, რომ თვით პროექტების პოლიტიკური ხასიათი რეგიონს ჰყოფს "მოგებულებად" და "წაგებულებად" და ამან შეიძლება გამოიწვიოს არსებული სადავო საკითხების გამწვავება.

თავიდანვე ცნობილი იყო, რომ პროექტი "ბი-თი-სი" არ გაივლიდა სომხეთზე. ყველაზე სწრაფი და იაფი იყო მილის გაყვანა ბაქო-ჯეიჰანის მიმართულებით მდინარე არაქსის ველზე, აზერბაიჯანის ტერიტორიის, ნახჩევანის გავლით და შემდეგ აღმოსავლეთ თურ-

[18] ავტორის ინტერვიუ გელა ჩარკვიანთან, 2003 წლის 24 ოქტომბერი.

ქეთში. მაგრამ ეს იმას ნიშნავდა, რომ მილის 30 კმ-ს ირანის ტერიტორიაზე უნდა გაევლო, რაც აშშ-სთვის მიუღებელია, ან კიდევ ანალოგიურ მონაკვეთზე სომხეთში. სომხეთის ვარიანტი დასავლეთში მისაღები იყო მათთვის, ვინც პროექტს თვლიდა "სამშვიდობო პროექტად". აშშ-ს წარმომადგენელმა ჯონ მარესკამ, ევროპაში უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის მინსკის ჯგუფის ყოფილმა თანათავმჯდომარემ, მთიანი ყარაბაღის მშვიდობიანი პროცესის განხილვისას, 1995 წელს, მხარი დაუჭირა ამ იდეას. მან განაცხადა, რომ ამ იდეას ექნება დადებითი ეფექტი, რადგან ის სომხეთს ჩართავს ზოგადრეგიონულ ეკონომიკურ პროექტში. მარესკა წერს: "მილსადენის სომხეთზე გავლა სტიმულს მისცემდა საღად მოაზროვნე სომხებს, შეუერთდნენ პატიოსან ღონისძიებებს, რომ გადაწყვიტონ ყარაბაღის კონფლიქტი ამ უნიკალური შესაძლებლობის გამოყენებით. სულელური შეცდომა იქნებოდა გამტარ მილთან დაკავშირებული შესაძლებლობის გამოუყენებლობა".[19]

ეს არ მოხდა, რადგანაც მთიანი ყარაბაღის მშვიდობიანი პროცესის დინამიკა ფრიად ბუნდოვანი იყო საიმისოდ, რომ ხელი შეეწყო უაღრესად კომერციული პროექტისთვის. ნავთობკომპანიები გასაგები მიზეზების გამო თავს არიდებდნენ, რომ მთიანი ყარაბაღის ხვედრს განესაზღვრა მათი ნავთობსადენის ბედი. რობერტ ებელმა შთამბეჭდავად ჩაურთო: "მშვიდობას შეუძლია მოგვიტანოს ენერგოსადენი მილი, ხოლო ენერგოსადენ მილს არ შეუძლია მოგვიტანოს მშვიდობა".[20] მეტიც, ყარაბაღის კონფლიქტის გადაწყვეტის გარეშე მილსადენის შენების იდეა მტრული სახელმწიფოს გავლით აპრიორულად მიუღებელი იყო აზერბაიჯანისთვის. ქვეყნის საშინაო პოლიტიკა მხარს ვერ დაუჭერდა ამ მარშრუტს, რადგან ეს იქნებოდა საჩუქარი მტრისთვის, მოკლედ რომ ითქვას, საბოტაჟის პროვოცირება.

ამრიგად, "ბი-თი-სი" გამორიცხავს სომხეთს – მხოლოდ იმგვარად, როგორც ეს ცხადი იყო რამდენიმე წლის განმავლობაში. მისი

[19] *John Maresca*. A 'Peace Pipeline' to End the Nagorno-Karabakh Conflict. – *Caspian Crossroads*, vol. 1 (winter 1995).

[20] ციტატა, სხვა ადგილებს შორისაც, მოყვანილი შემდეგი სტატიიდან: : *Inga Saffron*. Black Gold, Once Red, Fuels an Oil Rush. – *Knight-Ridder Newspapers*, July 20, 1977.

ზემოქმედება ყარაბაღის შესახებ დავაზე არაერთგვაროვანია. თუ ვისაუბრებთმის დადებით მხარეზე, სამი მილიარდი დოლარის ღირებულების პროექტის მშენებლობა შანსს აძლევს BP Amoco-სა და სხვა უცხოელ ინვესტორებს, გარისკონ და ინვესტიციები ჩადონ ყარაბაღის კონფლიქტის მშვიდობან მოგვარებაში. "ბი-თი-სი"-ს ხაზი ყარაბაღთან ახლოს გაივლის, თორმეტიოდე კილომეტრის დაშორებით ცეცხლის შეწყვეტის ხაზის ჩრდილოეთიდან. აზერბაიჯანის ოფიციალური პირები გამოვიდნენ სრულიად არადამაჯერებელი განცხადებით, თითქოს ნავთობგამტარს ემუქრება "სომხური ტერორიზმი". აზერბაიჯანის თავდაცვის მინისტრმა, საფარ აბიევმა განაცხადა: "სომხეთი ზრდის შეიარაღებას და ეს ნავთობსადენისთვის საფრთხეს წარმოადგენს", ხოლო ეროვნული უსაფრთხოების დარგში მინისტრის მოადგილის, ფუადა ისკანდეროვას თქმით, მის ორგანიზაციას გააჩნია ინფორმაცია იმის შესახებ, რომ "სომხეთის ტერორისტული ორგანიზაციები" წარმოადგენენ საფრთხეს.[21] ამ გამონათქვამებში გადაჭარბებით არის შეფასებული სომხეთის ძირგამომთხრელობის უნარი და განზრახვა. ყურადღება არ ექცევა უსაფრთხოების ფართო კომპლექსურ ღონისძიებებს, რომლებიც ინვესტორების მიერ ჩადებულია პროექტის მშენებლობაში და, რაც მთავარია, სომხეთს აგრძნობინეს — თუ მოხდება რაიმე დივერსიული აქტი ნავთობსადენთან დაკავშირებით ვინმეს მხრიდან, ვინც დაკავშირებულია სომხეთთან, მისთვის ეს იქნება საერთაშორისო დიპლომატიური კატასტროფა და ამას შესაბამისი ქმედებაც მოჰყვება.

ექსპერტი ენერგეტიკის საკითხებში, ჯონ რობერტსი, წერს:

> "ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და სამხრეთ კავკასიის გაზსადენი მილები მიწაში ჩადებული იქნება ერთ მეტრზე ღრმად მთელ სიგრძეზე. ასე რომ, ისინი დაცული იქნება შემთხვევითი დარტყმისაგან. მაგრამ ორი გადასატუმბი სადგური განთავსდებააზერბაიჯანის ტერიტორიაზე, ორიც — საქართველოში, დანარჩენი გადასატუმბი სადგურები და წნევის შემამცირებლები სადგურები კი — თურქეთში. თუმცა ეს სადგურები

[21] *Amirova et al*. Special Report: Trans-Caucasus Pipeline Underway at Last.

> შეიძლება იქცნენ პარტიზანების ან ტერორისტების სამიზნედ. დიდია ალბათობა, რომ ასეთ ობიექტებზე თავდასხმა დიდი მასშტაბის კონფლიქტის ნაწილი იყოს და არა უშუალოდ მილსადენების წინააღმდეგ მიმართული ოპერაცია. ამიტომ ძირითადი საკითხია იმ ქვეყნის სტაბილურობა, რომელზეც ისინი გადის".[22]

ტერორისტულ აქტზე მსჯელობისას უნდა განისაზღვროს ორი ჰიპოთეტური საფრთხე (თუმცა, სავარაუდოდ "ბი-თი-სი"-ს არსებობის ორმოცი წლის განმავლობაში შეიძლება სხვა საფრთხეც შეიქმნას): პირველი: დასავლეთის მიმართულებით ნავთობსადენის პროექტი პროამერიკულ ქვეყანაში შეიძლება ალ-ქაედას ან მათი მოკავშირის სამიზნე გახდეს. უკანასკნელ წლებში მებრძოლი ისლამური ჯგუფები თავისუფლად გადადიოდნენ საქართველოს საზღვარზე ორივე მხარეს. არსებობს მოსაზრება, რომ რამდენიმე ათეული მათგანი ახლაც იმყოფება პანკისის ხეობაში ან მის ახლო რაიონებში. ამ სავარაუდო საფრთხესთან დაკავშირებით განიხილებოდა საკითხი ამერიკელთა მიერ მომზადებული და აღჭურვილი ქართული სპეცსამსახურების განლაგების შესახებ რეგიონში ნავთობსადენის დასაცავად.

მეორე ჰიპოთეტური საფრთხე ისაა, რომ რუსეთში ავტორიტარული რეჟიმის გაძლიერების შემთხვევაში საქართველოს მიმართ მტრულად განწყობილი რუსეთის სპეცსამსახურის არამზადა წარმომადგენლები ან მათი მოკავშირე, ანდა თავად რუსეთის ოფიციალური წარმომადგენლები (ამას ხაზი უნდა გაესვას) შეიძლება შეეცადონ ნავთობსადენის განადგურებას. საქართველოში ბევრი თვლის, რომ რუსეთის სპეცსამსახურის გარკვეული ჯგუფები გარეულნი იყვნენ შევარდნაძეზე თავდასხმაში 1995 და 1999 წლებში. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ რუსეთმა უარი განაცხადა ყოფილი საქართველოს უშიშროების მინისტრის, იგორ გიორგაძის გადაცემაზე, რაც ნაწილობრივ ადასტურებს მის დანაშაულს. როგორც ჩანს, მოსკოვმა მიატოვა საიდუმლო ოპერაციების პრაქტიკა, რომელსაც ის იყენებდა კავკასიაში 1990-იანი წლების დასაწყისში, მაგრამ ის შეიძლება კვლავ დაუბრუნდეს მას მო-

[22] *Roberts*. Energy Reserves, p. 99.

მავალში. ორივე შემთხვევაში ნავთობსადენი შეიძლება საშიში გახდეს საქართველოს უსაფრთხოებისათვის — გადააქციოს მისი ტერიტორია ბრძოლის ველად, რომელშიც ერთ-ერთი სუსტი მოთამაშე იქნება საქართველოს მთავრობა: 2002 წელს, როცა პანკისის ხეობის გარშემო გაჩაღდა სკანდალი, რუსეთმა და აშშ-მ თავიანთი შეშფოთება გამოთქვეს საქართელოს დაბნეული მთავრობის მიმართ.

რაც შეეხება რობერტსის გაფრთხილებას კავკასიაში "მასშტაბური კონფლიქტის" შესახებ, ყველაზე სერიოზული საფრთხეა სამხედრო მოქმედებათა განახლება მთიან ყარაბაღში. 2000 წელს, დაპატიმრებამდე, ყარაბაღელი სომხების არმიის ყოფილმა მთავარსარდალმა, სამველ ბაბაიანმა თქვა: "თუ დაიწყება მეოთხე რაუნდი, ის იქნება გადამწყვეტი და მაშინ ჩვენ არ მოგვიწევს ომის შეწყვეტა და მოლაპარაკების მაგიდასთან ჯდომა. ამის მსვლელობისას ორივე მხარე იძულებული იქნება, დათმობაზე წავიდეს და მიიღოს რაიმე გადაწყვეტილება. თუ ჩვენ კვლავ გავჩერდებით, როგორც 1994 წელს, მალე დავივიწყებთ, თუ რა პრობლემა იყო ეს."[23]

მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად ყარაბაღის სომხების ხელმძღვანელებს შედარებით ზომიერი პოზიცია უჭირავთ, ბაბაიანის შეხედულებები გამოყოფილ და სომხეთის მმართველობის ქვეშ მყოფი ჯუჯა "სახელმწიფოს" შესახებ ციხიდან გამოსვლის შემდეგ კვლავ პოპულარულია სამხედროთა შორის. საფრთხე ისაა, რომ თუ კვლავ დაიწყება საომარი მოქმედებანი, სომხეთის ოფიცრებისთვის, რომლებსაც ვერ აკავებს ზავი, ნავთობსადენი შეიძლება სამიზნე გახდეს.

ეს გვაფიქრებინებს სხვა შესაძლო ნეგატიური სცენარის შესახებ, რომელიც დაკავშირებულია "ბი-თი-სი"-ს პროექტთან. რაოდენ პარადოქსულიც უნდა იყოს (როგორც უკვე მოხდა აფრიკისა და ლათინური ამერიკის ზოგ სახელმწიფოში), მდიდარმა ენერგორესურსებმა აზერაიჯანს შეიძლება ზიანი უფრო მეტი მიაყენოს, ვიდრე სარგებელი, იმის გამო, რომ დიდი შემოსავალი საშუალებას მისცემს სახელმწიფოს, ბევრი დახარჯოს ქვეყნის შეიარაღებასა და საკუთარი უსაფრთხოების აპარატზე. თუ ეს მოხდა და აზერბაიჯანმა შექმნა ძვირად აღჭურვილი არმია, მისი საომარი რიტორიკა შეიძლება

[23]ავტორის ინტერვიუ სამველ ბაბაიანთან, 2000 წლის 26 თებერვალი.

იქცეს თვითაცხადებულ წინასწარმეტყველებად და გამოიწვიოს სამხედრო შეტევა ყარაბაღის წინააღმდეგ. თითქმის ყველა გარეშე დამკვირვებელი იზიარებს აზრს, რომ თუ ორი კარგად შეიარაღებული მოწინააღმდეგე განაახლებს დამანგრეველ კონფლიქტს მთიან ყარაბაღში, ეს ყველასთვის კატასტროფა იქნება. ამის ერთ-ერთი შედეგი შეიძლება იყოს ის, რომ სომხები უპასუხებენ აზერბაიჯანელთა შეტევას, ზოგიერთები დიდი ენთუზიაზმით აღიქვამენ ასეთ შესაძლებლობას, როგორც ბაბაიანის კონფლიქტის "მეოთხე რაუნდს". სამხრეთ კავკასია ჩაეფლობა რეგიონულომში, რომელშიც რუსეთის შეიარაღებული ძალები მონაწილეობას მიიღებენ სომხების მხარეზე. ყველაზე დამანგრეველ შედეგებს იგრძნობს სომხეთი და აზერბაიჯანი, იმავდროულად, დაზარალდება საქართველოც და ნავთობსადენიც.

ყარაბაღის ახალი ომის შესაძლებლობა, საბედნიეროდ, შორეული პერსპექტივაა, ყოველ შემთხვევაში, უახლოეს რამდენიმე წელიწადში. უფრო აქტუალური პრობლემა ჯავახეთის რეგიონია სამხრეთ საქართველოში, რომელიც ძირითადად სომხებითაა დასახლებული. "ბი-თი-სი"-ს განხორციელებამ შეიძლება გამოიწვიოს ამ პრობლემის გამწვავება. ჯავახელი სომხები დიდი ხანია გრძნობენ თბილისისგან მოწყვეტას. ცოტა მათგანი ლაპარაკობს ქართულად, მათი სატრანსპორტო კავშირი სხვა რაიონებთან ძალიან გაძნელებულია. ქართული ფულის ნაცვლად იქ ბრუნავს სომხური დრამი ან რუსული რუბლი, ორი სომხური ნაციონალისტური პარტია იღვწის ოფიციალური ავტონომიისათვის საქართველოს ფარგლებში (რისკენაც ისწრაფვის ზოგიერთი სომეხი ნაციონალისტი საქართველოს გარეთ). 2004 წლის იანვარში მიხეილ სააკაშვილის არჩევის შემდეგ საქართველოს ფარგლებში პოლიტიკური ავტონომიის მოპოვების საკითხი კვლავ წამოწიეს ჯავახეთის სომხებმა .

პირველად, როცა იხილებოდა ნავთობსადენის საქართველოს მონაკვეთი, ფართო მხარდაჭერა ჰპოვა მარშრუტმა ჯავახეთზე გავლით, როგორც უმოკლესმა მანძილმა თურქეთის საზღვრამდე. საბოლოო გადაწყვეტილება მიღებული იქნა უფრო გრძელი მარშრუტის სასარგებლოდ, ჯავახეთის ჩრდილოეთით უფრო რთულ რელიეფურ პირობებში. ახალი მარშრუტი გაივლიდა ბორჯომის ახლოს, რომელიც არის საქართველოს სახელგანთქმული მინერალური

წყლების დედაადგილი და ტურისტებისთვის მიმზიდველი ნაციონალური პარკი. ეს მარშრუტი გახდა მეტად სადავო საკითხი ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის მთელ პროექტში, რამდენადაც ბორჯომში მინერალური წყლების მწარმოებელი – Georgian Glass and Mineral Water (საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია) და საქართველოს მწვანეთა ეროვნული ორგანიზაციის ჯგუფები (რომელთაც მხარს უჭერდა მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდი) ეწინააღმდეგებოდნენ ბორჯომის მარშრუტს.

ნავთობსადენის მარშრუტის არჩევისას გადაწყვეტილების მიღების პროცესი მიმდინარეობდა დახურულად. პროექტის ინსტიტუციონალური ინვესტორები ბორჯომის მარშრუტს მიზანშეწონილად მიიჩნევდნენ. საქართველოს საერთაშორისო ნავთობკომპანიის (სსნკ) მაშინდელი ხელმძღვანელი, თედო ჯაფარიძე, 2002 წელს ამბობდა, რომ მიუღებელია ნავთობსადენის მშენებლობა ახალქალაქის რუსეთის ბაზის ახლოს, მიუხედავად იმისა, რომ ბაზა უნდა დაიკეტოს რამდენიმე წელში, ნავთობსადენი კი გათვლილია 40 წელზე. ბევრ ქართველს ჯერ კიდევ ეპარება ეჭვი ბორჯომის მარშრუტის არჩევის სისწორეში. მაგალითად, რამაზ ჯაბაურმა, საქართველოს დაზვერვის უფროსის მოადგილემ განაცხადა, რომ ახალქალაქის გავლით ნავთობსადენის გაყვანის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული იყო იმ დროს, როცა ერი აღმოჩნდა საშიშროებათა წინაშე. შემდეგ დაუმატა "ამ მომენტში უფრო ჭკვიანური იქნებოდა ნავთობსადენის გაყვანა ახალქალაქის გავლით იქ სამუშაო ადგილების შექმნის თვალსაზრისით."[24]

რადგან საქართველოში წარმოიშვა აზრთა სხვადასხვაობა, სავსებით სავარაუდოა (თუმცა დღემდე სარწმუნოდ არაა ცნობილი), რომ გადამწყვეტი როლი ითამაშა აზერბაიჯანის მოსაზრებამ მარშრუტის შესახებ ჯავახეთზე გავლით, ბაქოს მთავრობა ხელმძღვანელობდა პოლიტიკური მოსაზრებით და ვეტო დაადო სომხებით დასახლებული რაიონის გავლით ნავთობსადენის გაყვანის იდეას. აზერბაიჯანის ოფიციალური პირები ამ საკითხის ირგვლივ არ გამოთქვამდნენ რაიმე მოსაზრებებს, მაგრამ თუ გათვალისწინებული იქნა აზერბაიჯანის ჭარბი ყურადღება ნებისმიერი პროექტის მიმართ,

[24] *Amirova et al*. Special Report: Trans-Caucasus Pipeline Underway at Last.

რომელიც სასარგებლო იქნება სომხეთის ან სომხებისათვის, ჯავახეთის პროექტის მხარდაჭერა აზერბაიჯანის მთავრობისათვის პოლიტიკურად წამგებიანია. მაგალითად, ოპოზიციის ლიდერი, ალი ქერიმლი, სახალხო ფრონტის პარტიის რეფორმისტული ფრთის მეთაური, ამბობდა: "ჯავახეთის გავლით ნავთობსადენის გაყვანა შეუძლებელია. ეს რეგიონი დასახლებულია სომხებით და ამიტომ წარმოადგენს საფრთხეს პროექტისათვის. უფრო საიმედოა ნავთობსადენის გაყვანა ბორჯომის გავლით."[25]

ბორჯომის მარშრუტის არჩევის პირდაპირი შედეგი იყო ჯავახეთში სომხების გაუცხოების გრძნობის გაძლიერება. ახალქალაქის მერმა ნაირი ირიცინმა ინტერვიუში თქვა, რომ გულგატეხილია მისი რაიონის იგნორირებით. მან თქვა, რომ ქალაქის ორი ათასი მცხოვრები ყოველ წელს სამუშაოს საძებნელად მიდის რუსეთში. ერთადერთი ადგილი, სადაც შეიძლება სამუშაოს შოვნა, ეს არის რუსეთის სამხედრო ბაზა. ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენის მშენებლობა უზრუნველყოფდა რაიონში სამუშაო ადგილებს და კომპენსაციას.[26] იმის გათვალისწინებით, რომ ნავთობსადენისგან მიღებული მოკლევადიანი სარგებელი ადგილობრივი ეკონომიკისათვის უმნიშვნელო იქნებოდა, დღეს არსებული ვარაუდები პროექტთან დაკავშირებით შესაძლოა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო, ვიდრე რეალობა. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ლიდერმა, არარატ ესოიანმა ჯავახეთის გვერდის ავლის გადაწყვეტილების პოლიტიკური არსის გამო მკვეთრად განაცხადა: "ჯავახეთში ხალხი ამბობს: ამ მარშრუტის არჩევით მათ გაავლეს საქართველოს მომავალი საზღვარი".[27]

ზოგადად, ეს ორი მილსადენი წარმოადგენს საქართველოს, როგორც სუსტი სუვერენიტეტის ქვეყანას, რომელსაც აქვს უზარმაზარი შესაძლებლობები და დიდი პასუხისმგებლობა. გრძელვადიანი უსაფრთხოების პრობლემა წარმოიქმნება მაშინ, როცა ორი მილსადენი აშენდება, დაიწყებს ფუნქციონირებას 40 წლის ვადით და საქართველოს დაეკისრება მათი დაცვა თავის ტერიტორიაზე. აგრეთვე დიდი

[25] *Amirova et al*. Special Report: Trans-Caucasus Pipeline Underway at Last.
[26] *Amirova et al*. Special Report: Trans-Caucasus Pipeline Underway at Last.
[27] ავტორის ინტერვიუ არარატ ესოიანთან, 2003 წლის 24 ოქტომბერი.

მნიშვნელობა აქვს სოციოპოლიტიკურ კონტექსტსაც. თუ საქართველოს მთელი საზოგადოება (და არა მისი რომელიმე ნაწილი) მიიღებს სარგებელს მილსადენებიდან, პროექტს ექნება საზოგადოებრივი მხარდაჭერა, რაც განაპირობებს მათ პოლიტიკურ ხანგრძლივობას.

ადგილის პოვნა დიდ შუა აღმოსავლეთში

საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში საქართველო ჩამოქვეითებული იყო სუვერენული სახელმწიფოდან უაღრესად ცენტრალიზებულ სახელმწიფოს ერთ-ერთ რეგიონამდე. საბჭოთა დროის განმავლობაში მოკავშირე რესპუბლიკებს შორის კონტაქტი ხორციელდებოდა მოსკოვის მეშვეობით და არარუსულ რესპუბლიკებს ძალიან შეზღუდული ორმხრივი ურთიერთობა ჰქონდათ. საქართველოსთვის წარმოუდგენელი იყო, ჰქონოდა რაიმე "ორმხრივი ურთიერთობის" მსგავსი ურთიერთობა თურქეთთან, ხოლო საქართველო-თურქეთის საზღვარზე მოძრაობა მკაცრად შეზღუდული იყო. გორბაჩოვის დროს, 1980-იანი წლების ბოლოს, დაკეტილი კარი მოულოდნელად გაიღო. მაგრამ მას შემდეგ საქართველომ (მეტაფორის გადასხვაფერებით) 15 წელი გაატარა უთავბოლო ქორეოგრაფიულ სპექტაკლის მოცეკვავის მსგავსად, სადაც მისი პარტნიორები მუდმივად იცვლებოდნენ.

მოვლენათა ქარბორბალა არ იძლეოდა სტაბილური ურთიერთობების საშუალებას. 1989- 1991 წლებში ცენტრის მიმართ უაღრესად მტრულად განწყობილმა საბჭოთა რესპუბლიკებმა შექმნეს არაოფიციალური კავშირი გორბაჩოვისა და მოსკოვის წინააღმდეგ, საქართველო შეუერთდა ხუთ სხვა რესპუბლიკას — სომხეთს, მოლდოვასა და ბალტიის სამ რესპუბლიკას. მათ ბოიკოტი გამოუცხადეს 1991 წელს საბჭოთა კავშირის შენარჩუნების მიზნით ჩატარებულ რეფერენდუმს. მაგრამ ზემომოყვანილი რესპუბლიკათა სია არ იძლეოდა იმის გაგების საშუალებას, თუ როგორ განვითარდებოდნენ შემდგომ, რამდენადაც ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკების ურთიერთობების საფეხურებრივი განლაგება ხშირად იცვლებოდა. 1991 წელს მათ შექმნეს საერთო ფრონტი მოსკოვის წინააღმდეგ, თუმცა დღეს ამ რესპუბლიკებს ნაკლებად აქვთ ურთიერთკონ-

ტაქტები. ამასთან, მათი მომავალი სხვადასხვანაირად წარიმართა. როგორც უკვე აღინიშნა, სომხეთს დღეს სრულიად სხვა სტრატეგიული ორიენტაცია აქვს, ვიდრე საქართველოს. მხოლოდ მოლდოვას (რომელიც მაინც და მაინც არაა საქართველოს მთავარი მოკავშირე) აქვს საქართველოს მსგავსი ორიენტაცია.

ეს არის ერთგვარი სასარგებლო პრიზმა, რომლის მეშვეობითაც მიმოიხილება სუუამ-ის კავშირი (საქართველო, უკრაინა, უზბეკეთი, აზერბაიჯანი და მოლდოვა), რომელიც ჩამოყალიბდა 1996-1997 წლებში როგორც სუამ-ი (საქართველო, უკრაინა, აზერბაიჯანი, მოლდოვა). ზოგადად რომ ითქვას, ეს იყო მცდელობა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) არაოფიციალური კავშირის შექმნისა, რომლებიც ისწრაფოდნენ, ერთად წინ აღდგომოდნენ რუსეთის გავლენას. 1999 წლის აპრილში უზბეკეთის შეერთებით სუამ-ი გადაიქცა სუუამ-ად. ამავე დროს, სამი მათგანი — საქართველო, აზერბაიჯანი და უზბეკეთი გამოვიდნენ კოლექტიური უსაფრთხოების ხელშეკრულებიდან. შთამბეჭდავი იყო "სუუამ"-ის ფორმირების ადგილი – ეს მოხდა ვაშინგტონის სამიტზე, რომელიც მიეძღვნა ნატო-ს 50 წლისთავს.

ვაშინგტონის ამ შეხვედრაზე სუუამ-ის ლიდერებმა წამოაყენეს დღის წესრიგი, რომელშიც განაცხადეს ოთხ მთავარ საკითხში საერთო ვალდებულებების თავის თავზე აღება. პირველი ორი ვალდებულება იყო სახელმწიფოთა ტერიტორიული მთვლიანობის შენარჩუნება და "აგრესიული სეპარატიზმის" უარყოფა. მხედველობაში ჰქონდათ საქართველოს, აზერბაიჯანის და მოლდოვას განზრახვა, დაებრუნებინათ გამოყოფილი ტერიტორიები – აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი; მთიანი ყარაბაღი; დნესტრისპირეთი. მესამე საკითხი იყო საერთო მზადყოფნა "რელიგიურ ექსტრემიზმთან" ბრძოლისა, რაც გულისხმობდა უზბეკეთის მთავრობის კამპანიას ისლამური ოპოზიციის წინააღმდეგ. უკანასკნელი პუნქტი იყო საერთო ვალდებულება, რომ თავიდან ყოფილიყო აცილებული კონფლიქტების ზონაში იარაღის დაგროვება, რაც გულისხმობდა (თუმცა ეს პირდაპირ არ დასახელებულა) იარაღის შეტანას რუსეთის ბაზებში საქართველოში, სომხეთსა და მოლდოვაში.

სუუამ-ის ეს შეხვედრა ჩაფიქრებული იყო, როგორც სიმბოლური, მისი არსი შეესაბამებოდა რუსეთზე მათ სკეპტიკურ შეხედულებას,

რომელიც იმ დროს ძალს იკრებდა ვაშინგტონში. კონსერვატიული *Jamestown Foundation Prism* წამახალისებლად აღნიშნავდა: "ადგილი და სიტუაცია ორმაგად მნიშვნელოვანია: პირველი, იმ ფაქტის დრამატიზირებისთვის, რომ მოსკოვმა ვერ დაარწმუნა დსთ-ს ქვეყნები, ნატოს მიმართ რუსეთის პოლიტიკას მიჰყოლოდნენ; მეორე, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ამ ხუთი სახელმწიფოს დასავლეთზე სტრატეგიული ორიენტაციის სიმბოლურობისათვის."[28]

მაგრამ სუუამ-ი მირაჟი აღმოჩნდა. კავშირი არ შედგა, მის წევრ-სახელმწიფოთა მიერ არ იქნა ხელმოწერილი არანაირი ხელშეკრულება, არ ჩანს მათ შორის ვაჭრობის გაფართოება ამ ალიანსის შედეგად. როგორც ზემოთ აღინიშნა, საქართველოსა და აზერბაიჯანს შორისაც კი არ არის ისეთი ღრმა ურთიერთობა, როგორც ერთი შეხედვით შეიძლება მოგვჩვენებოდა. სუაამ-ი ძალიან დაზარალდა 2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების გამო, როცა შეიცვალა აშშ-ს სტრატეგიული პრიორიტეტები ყოფილი საბჭოთა კავშირის მიმართ. მოულოდნელად, რუსეთის სავარაუდო ნეოიმპერიული ამბიციების შეკავების პოლიტიკამ ვაშინგტონში პოპულარობა დაკარგა. ისლამური ტერორიზმის მუქარასთან ბრძოლისას შეერთებული შტატების ურთიერთობა ვლადიმერ პუტინის რუსეთთან გაუმჯობესდა. გაუმჯობესდა მოსკოვის ურთიერთობები აზერბაიჯანთან და უზბეკეთთან. სუუამ-ის სახელმწიფოთა უმეტესობა ცუდს ვერაფერს ხედავდა რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარებაში. იგივე დამოკიდებულება იყო აშშ-სთან, თუმცა საქართველო, გასაგები მიზეზების გამო, გამონაკლისს წარმოადგენდა. მუდმივად ცვალებადი პოლიტიკური ლანდშაფტისათვის ნიშანდობლივია, რომ 2005 წლის მაისში სუუამ-ი კვლავ გადაიქცა სუამ-ად, როცა "ვარდების" და "ნარინჯისფერი" რევოლუციებით შეშფოთებული უზბეკეთი გამოვიდა მისი შემადგენლობიდან.

თუ სუუამ-მა რაიმე აჩვენა, ეს იყო არასაჭიროება ისეთი გაერთიანებისა, როგორიცაა დსთ, რომელიც აღმოჩნდა არა იმდენად "თანამეგობრობა", არამედ რუსეთის იარაღი, გაეკონტროლებინა თავისი ყოფილი საბჭოთა მეზობლები, ახლა უკვე რუსეთის "უახლოესი

[28] From GUAM to GUUAM: A Growing Centrifugal Force in the CIS. – *The Jamestown Foundation Prism*, May 7, 1999.

საზღვარგარეთი". როცა დსთ-ს მიმართეს მოწოდებით, გაეძლიერებინა თავისი როლი უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, როგორც ომის შემდგომ აფხაზეთში სამშვიდობო მისიის დაკომპლექტების შემთხვევაში 1600 ჯარისკაცის შემადგენლობით, გამოჩნდა რეალური სურათი:ამ კავშირის არც ერთმა ქვეყანამ (გარდა რუსეთისა) არ გამოყო სამხედროთა ჯგუფი აფხაზეთში სამშვიდობო მისიისათვის.

ამრიგად, მკაცრი სინამდვილე არის ის, რომ საქართველოს ურთიერთობა ყოფილ საბჭოთა მეზობლებთან ბევრად არის დამოკიდებული აშშ-სა და რუსეთს შორის ურთიერთობათა ცვლილებაზე. ამასთან, ვაშინგტონი და მოსკოვი წარმოადგენენ უსაფრთხოების ორ პოლუსს, რომელთა შორისაც მერყეობენ ყოფილი საბჭოთა რესპუბლიკები. სახელდობრ, ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ საქართველოს წევრობა მეტად ამბიციურ, მაგრამ სუსტად დაფინანსებულ რეგიონულ ორგანიზაციებში. რამდენად უნარიანი იქნება მწირი ბიუჯეტი და სუუამ-ის ხმამაღალი განცხადებები, როცა მთავრობა რეალური კრიზისის წინაშე დადგება თბილისში, გალში და პანკისის ხეობაში?

ყოფილი საბჭოთა კავშირის საზღვრებს გარეთ, სამხრეთსა და დასავლეთში, საქართველო იწოდება სხვადასხვანაირად, მაგრამ, შესაძლოა, ყველაზე მოხერხებულია ტერმინი "დიდი ახლო აღმოსავლეთი". გეოგრაფიულად თბილისი უფრო ახლოსაა ბაღდადთან და დამასკოსთან, ვიდრე მოსკოვთან. საქართველოს მეზობელთაგან ყველაზე უკეთესი სატრანსპორტო მიმოსვლა – საგზაო, სარკინიგზო, საზღვაო და საჰაერო – აქვს თურქეთთან. ბოლო ათასი წლის განმავლობაში სპარსეთისა და ოსმალეთის იმპერიები ხშირად აკონტროლებდნენ სამხრეთ კავკასიას და განსაზღვრავდნენ მის ისტორიას, ამიტომ უადგილო არ იქნება მოველოდეთ, რომ მათი მემკვიდრეები – ირანი და თურქეთი – დაინტერესებულნი არიან, ამჯერადაც იგივე გააკეთონ.

მაგრამ დამოუკიდებლობის ოფიციალური აღდგენის მომენტიდან, 1992 წლიდან, საქართველოს ადგილი ამ მეტად ფართო არასაბჭოთა რეგიონში შეიძლება განხილული იქნას, როგორც "გამოუყენებელი პოტენციალი". მთავარი მიზეზი, როგორც ჩანს, არის ის, რომ საქართველოს სჭირდება დრო მეზობლებთან ურთიერთობათა დამყარებისათვის, რადგან 70 წლის განმავლობაში (საბჭოთა ძალაუფლების დროს) მას ყოველგვარი კავშირი გაწყვეტილი ჰქონდა ამ

ქვეყნებთან, როცა საბჭოთა კავშირის სამხრეთი საზღვრები მთლიანად ჩაკეტილი იყო. მეტიც, ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ ქართველები უფრო განათლებულ, მაღალი წრის და გაევროპელებულ ხალხად აქცია მათ სამხრეთელ მეზობლებთან შედარებით. სირია, თურქეთი და ირანი არ წარმოადგენენ სახელმწიფოთა ისეთ მოდელებს, რომელსაც ქართული ელიტა მიბაძავდა. ქართველ ახალგაზრდობას თითქმის არ აინტერესებს, ისწავლოს ამ ქვეყნებში, რომლებიც დაშორებული არიან ევროპულ ცივილიზაციას რომლისკენაც საქართველო ისწრაფვის.

ამ ქვეყნებს შორის პოლიტიკური ურთიერთობაც ამგვარადვე ჩამორჩენილია: საქართველოს ურთიერთობა მის სამხრეთელ მეზობლებთან, აქცევს მას, ყოველ შემთხვევაში, გარეგნულად მაინც, კავშირის სისტემათა ისეთ სფეროში, რომელიც დამახასიათებელია ამ ფართო რეგიონისათვის.

მაგალითად, თურქეთი ნატოს წევრია და აქვს მტკიცე კავშირი ისრაელთან, ირანი და სომხეთი ცდილობდნენ, დაემყარებინათ სამმხრივი ურთიერთობა საბერძნეთთან. მაგრამ ამ მოლაპარაკებათა შემდგომი განვითარება, საფიქრებელია, ნაკლებად ეხება საქართველოს. ისრაელი თავისი პრობლემებით საქართველოში ნაკლებად საინტერესოა. 2003 წელს პრეზიდენტ შევარდნაძის შეთავაზება აშშ-სთვის, ერაყის ომში ესარგებლა საქართველოს საჰაერო ბაზები, თავაზიანად უარყვეს. რაც შეეხება საბერძნეთს, ორმხრივ ურთიერთობაში თბილისსა და ათენს შორის ძირითადი პრობლემაა მიგრანტთა დიდი რაოდენობა და საზღვარგარეთიდან მოწვეული მუშები (რომელთა უმეტესობა ბერძენია), რომლებიც მიმოდიან ამ ორ ქვეყანას შორის. არც "ქრისტიანული სოლიდარობა", არც ისტორიული ეჭვიანობა თურქეთის მიმართ საკმარისი არაა, რომ საბერძნეთმა აზერბაიჯანში აქტიური დიპლომატიური მოღვაწეობა ანდა აზერბაიჯანული გაზით სარგებლობა შეწყვიტოს.

მიუხედავად შედარებითი გეოგრაფიული სიახლოვისა, ირანი შორსაა საქართველოსა და მისი სტრატეგიული ინტერესებისაგან. ირანის სტრატეგიული ინტერესები სამხრეთ კავკასიაში კონცენტრირებულია უმთავრესად სომხეთსა და აზერბაიჯანში. თეირანი შეშფოთებულია აზერბაიჯანის გავლენით ირანის ჩრდილოეთში საკუთარ აზერბაიჯანულ მოსახლეობაზე და ავითარებს კარგ ურთიერთობას სომხეთთან, რამაც შეიძლება გაამყაროს ახალი

გაზსადენის პროექტის იდეა. მაგრამ სომხეთიც და აზერბაიჯანიც შორს იჭერენ ირანის დიპლომატიას: 1992 წელს ირანი შეეცადა, დაეწყო მოლაპარაკება სომხეთ-აზერბაიჯანის კონფლიქტის საკითხზე, მაგრამ მოლაპარაკება შეწყდა სომხების მიერ შუშის დაპყრობასთან დაკავშირებით და აღარც განახლებულა.

ურთიერთობის თვალსაზრისით საქართველო უფრო მეტადაა დაშორებული ირანისაგან. ისლამური რესპუბლიკის ნახევრად ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა არ არის ის მოდელი, რომელსაც საქართველოში ვინმე გაიზიარებს. "ბოროტების ღერძის ერთ-ერთი რგოლის" სტატუსის წყალობით (პრეზიდენტ ბუშის შეფასება) ირანი აღმოჩნდება იმ ბანაკში, რომელიც ეწინააღმდეგება იმ პოზიციას, რომელსაც დღევანდელი მსოფლიო უმნიშვნელოვანესი პრობლემების სფეროში, იზიარებს საქართველო. მეტიც, ირანი არ შედის არც ერთ ევროპულ ინსტიტუტში, რომლის წევრიც თუ კანდიდატიც არის საქართველო: ევროკავშირი, ევროპის საბჭო, ეუთო და ნატო.

გამოუყენებელი პოტენციალის კიდევ ერთი მაგალითია საქართველოს თავშეკავებული დამოკიდებულება შავი ზღვის სანაპიროს მეზობლებთან, რომელებიც წარმოადგენენ შედარებით წარუმატებელ შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაციას (შეთო) თერთმეტი წევრი ქვეყნით. შეთო-ს დამფუძნებელი სამიტის დეკლარაციის მე-8 მუხლის თანახმად, რომელიც ხელმოწერილია სტამბულში 1992 წლის 25 ივნისს, ორგანიზაცია მიზანია, "უზრუნველყოს, რომ შავი ზღვა გახდეს მშვიდობის, სტაბილურობის, აყვავების, მეგობრულ და კეთილმეზობლურ ურთიერთობათა განვითარებისაკენ მისწრაფების ზღვად." ორგანიზაცია ჩაფიქრებული იყო თურქეთის პრეზიდენტის, ტურგუტ ოზალის მიერ, როგორც ინსტიტუტი, რომელიც ორგანიზაციას გაუკეთებდა მეზობელი ქვეყნების 330-მილიონიან მოსახლეობას თავისუფალი ვაჭრობის ახალ ზონაში და რომელსაც ექნებოდა 300 მლრდ დოლარის სავაჭრო ბალანსი. შეიქმნა აპარატი, რომელსაც ჰქონდა შესაძლებლობა, ჩაეტარებინა შეხვედრები და მიეღო დეკლარაციები, თუმცა ის ვერ გადაიქცა ისეთ ორგანიზაციად, რომელიც მზად იქნებოდა უფრო ახლო თანამშრომლობისათვის. 1999 წლის ივნისში შეთო-ს მდივანი, ნურვერ ნურესი, ინტერვიუში წუხდა, რომ ოზალის სიკვდილის შემდეგ მის ორგანიზაციას მხარს არ უჭერენ თურქეთის

პოლიტიკოსებიც კი. მან თქვა, რომ შეთო-ს ორი განყოფილება, სავარაუდოდ რომ განეკუთვნება საერთაშორისო ორგანიზაციებს, პრემიერ-მინისტრ თანსუ ჩილერის ბრძანებით გადაეცა თურქეთის მთავრობას. ნურესმა აგრეთვე თქვა:

> "ოზალი რომ ცოცხალი იყოს, ჩვენ გადავლახავდით წინააღმდეგობებს და მივაღწევდით უფრო მაღალ დონეს, რამდენადაც ოზალს მშვენივრად შეეძლო ამ იდეის მიმზიდველობის დასაბუთება. თუ ჩვენ ვერ შევძელით, ფართოდ გაგვეღო კარი ამ მიზნებისათვის, მისი შეხედულებები კი არ იყო დამნაშავე, არამედ ხალხი. იდეა შესანიშნავია. თურქეთს უნდა შეესრულებინა ლოკომოტივის როლი ამ ორგანიზაციის შიგნით". [29]

შეთო ცდილობს აღორძინებას მეორე ქართველი მდივნის, საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის, თედო ჯაფარიძის დანიშვნის შემდეგ, მაგრამ მას აქვს მიზერული ბიუჯეტი და საფიქრებელია, რომ ცოტამ თუ ვინმემ იცის საქართველოში, საერთოდ რას აკეთებს ეს ორგანიზაცია. ეს არ ნიშნავს, რომ შავი ზღვის რეგიონული გაერთიანება უსარგებლო იდეაა. ბოლო დროს შავი ზღვა გადაიქცა ავღანეთში დახმარების გადაზიდვის მარშრუტად: პირველი ტვირთი გაიგზავნა ბულგარეთიდან საქართველოში და შემდეგ ავღანეთში 2003 წლის სექტემბერში. 2001 წლის აპრილში შავი ზღვისპირეთის ექვსმა ქვეყანამ შექმნა შავ ზღვაზე საძებნო-სამაშველო და ჰუმანიტარული ოპერაციების კოორდინირების ორგანიზაცია. მაგრამ ეკონომიკური თანამშრომლობისა და კარგად დაფინანსებული შეთო-ს საორგანიზაციო სტრუქტურის სერიოზული პროგრამის გარეშე, როგორც სუუამ-ი და დსთ, შესაძლოა, ცარიელ სიტყვებად დარჩეს.

საქართველოს თურქეთთან ურთიერთობის განსავითარებლად, რომელიც მზარდ მნიშვნელობას იძენს სამხრეთ კავკასიაში, შეთო არ სჭირდება. რუსეთის მსგავსად, მეზობელი ქვეყნებისთვის თურქეთიც სხვაგვარი ქვეყანაა. მისი მოსახლეობა 68 მილიონია, სამხრეთ კავკასიის სამივე ქვეყნის მოსახლეობა კი, ერთად აღებული

[29] *Nurver Nures*. Lack of Interest, Not Lack of Success vis-à-vis Black Sea Economic Cooperation. – *Turkish Daily News*, June 22, 1999.

— 15 მილიონი; აქვს იმაზე მეტი ტერიტორია და შემოსავალი, ვიდრე საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს ერთად აღებულს.

თურქეთსა და საქართველოს აქვთ მნიშვნელოვანი საერთო ინტერესები, რაც გამოიხატება "ბი-თი-სი"-სა და ბაქო-ერზრუმის პროექტებით. თურქეთიცა და საქართველოც ისწრაფვიან, გახდნენ ევროკავშირის წევრები (ამასთან, თურქეთის სურვილი უფრო რეალურია, ვიდრე საქართველოსი). საქართველოს აგრეთვე სურს, თურქეთის კვალდაკვალ გახდეს ნატოს წევრი. აღმოსავლეთელი მეზობლებისგან განსხვავებით, როგორებიცაა თურქეთი, ირანი, სირია და სომხეთი, საქართველო იმედს იძლევა, იყოს საიმედო პოლიტიკური და სავაჭრო პარტნიორი. თურქეთი კი უკვე არის მოცულობით მეორე სავაჭრო პარტნიორი საქართველოსთვის. ამ ორ ქვეყანას შორის ვითარდება სამხედრო თანამშრომლობა, თურქმა სამხედრო მწვრთნელებმა დაიკავეს თბილისთან ახლოს სამხედრო-საჰაერო ბაზის ბინები, რომლებიც რუსებმა ახლახან დატოვეს. 2003 წლის აპრილში თბილისში ჩამოფრინდა თურქეთის სამხედროთა დელეგაცია შტაბის უფროსის, ჰილმი ოზკოკის ხელმძღვანელობით, რომელმაც, სხვათა შორის, განიხილა ქართული სამხედრო პერსონალის მომზადების საკითხები თურქი სამხედრო ექსპერტების მიერ, ქართული ჯარის დაფინანსება თურქების მიერ, საქართველოს სამხედრო-საჰაერო ობიექტების განახლება და თურქეთის დახმარება შავი ზღვის ფლოტის ანტიტერორისტული ქვედანაყოფების მომზადებაში.[30]

მიუხედავად ამისა, საქართველოსთვის ეკონომიკური თვალსაზრისით თურქეთი ჯერ კიდევ ჩამორჩება რუსეთს. ისტორიული და ლინგვისტური ფაქტორები საგრძნობლად აღემატება თანამედროვე პოლიტიკურ მოსაზრებებს. მაგალითად, დაახლოებით ნახევარი მილიონი ქართველი ცხორობს და მუშაობს რუსეთში, იქ წასასვლელად ქართველები ვალდებულნი არიან, წინასწარ აიღონ ვიზები; თურქეთში, სადაც ვიზის გაფორმებას მხოლოდ რამდენიმე წუთი სჭირდება, ქართველების რიცხვი უმნიშვნელოა.

რა თქმა უნდა, ნაწილობრივ ეს გამოწვეულია იმით, რომ თურქეთი უბრალოდ რუსეთზე ღარიბია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ

[30] *Igor Torbakov*. Explanding Turkish-Georgian Strategic Ties Rankle Russia. – *Eurasia Insight*, April 25, 2003.

ნიშნავს ყველაფერს. საქართველოში 2003 წლის ნოემბრის "ვარ-დების რევოლუციის" მიმართ თურქეთისა და რუსეთის რეაქციათა შედარება გვიჩვენებს, რომ საქართველო გაცილებით ღრმად არის ჩაფლული რუსეთსა და მის პრობლემებში, ვიდრე თურქეთისაში, მოსწონს მას ეს თუ არა. როგორც კი შევარდნაძის რეჟიმი შეირყა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრი, იგორ ივანოვი (საქართველოში დაბადებული), მაშინვე ჩამოფრინდა თბილისში პრეზიდენტსა და ოპოზიციას შორის საშუამავლოდ. ივანოვს სასწრაფო მოლაპარაკება ჰქონდა ორივე მხარესთან; რუსთაველის გამზირზე დემონსტრაციის მონაწილეებსაც კი ელაპარაკა. იგივე სურათი განმეორდა 2004 წლის მაისში. ამჯერად პირდაპირ თურქეთის ზღურბლზე, აჭარაში, როცა ივანოვი, ამჯერად რუსეთის უშიშროების საბჭოს მდივნის როლში, კვლავ ჩამოფრინდა მოსალაპარაკებლად, რომ აჭარის დიდი ხნის ლიდერი, ასლან აბაშიძე, მშვიდობიანად წასულიყო თანამდე-ბობიდან.

ძნელი წარმოსადგენია, რომ თურქეთს შეეძლო ასეთი მნიშვნე-ლოვანი როლის თამაში საქართველოში კრიზისის დროს. ფაქტობრივად, "ვარდების რევოლუცია" თურქეთის მთავრობისთვის მოულოდნელი აღმოჩნდა. ამ დროს პრემიერ-მინისტრი და საგარეო საქმეთა მინისტრი ქვეყანაში არ იმყოფებოდნენ. კომენტარზე ორივემ უარი განაცხადა. გაზეთის მიმომხილველი ტუნჯაი ოზკანი აღნიშნავს, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდში თურქეთმა და საქართველომ დაამყარეს მეგობრული კავშირები, მათი სამხედროები მტკიცედ თანამშრომლობენ მაგრამ, როგორც ოზკანი წერს მემარცხენე ცენტრისტულ გაზეთ "აკსამში", თურქეთი ვერ ერკვევა მიმდინარე მოვლენებში (კავკასიაში), რომ არაფერი ვთქვათ მათ მანიპულირებაზე.[31] როგორც ჩანს, თურქეთი ვერ ფლობს ენასა და ფორმატს, რომ საქართველოსთან ურთიერთობა გადაიტანოს ყოველდღიური პოლიტიკური დიალოგის რეჟიმში, რასაც ვერ ვიტყვით რუსეთსა და აშშ-ზე.

ამრიგად, თანამედროვე ისტორია და ძლიერი ინსტიტუციო-ნალური სტრუქტურა, რაც გააჩნია რუსეთსა და დასავლეთს, ჯერ კიდევ აღემატება საქართველოს ყველა გეოგრაფიულ და ისტორიულ

[31] *Mevlut Karik*. Will Turkey Meet The Strategic Challenge In Georgia? – *Eurasia Insight*, December 12, 2003.

პრეტენზიას. ფრიად უცნაურია, რომ თურქეთისა და ირანის სამხრეთ კავკასიაში ჩართულობის სტრატეგიის ინდიკატორია ის ინტერესი, რომელიც მათ გამოხატეს კავკასიაში "უსაფრთხოების პაქტის" მომაკვდავი კონცეფციის მიმართ. პრეზიდენტმა დემირელმა მხარი დაუჭირა ამ იდეას ეუთო-ს სამიტზე 1999 წელს. ირანის საგარეო საქმეთა მინისტრი ქამალ ხარაზი ცდილობდა, გაეცოცხლებინა ეს გეგმა 2003 წელს აპრილში, როცა სამხრეთ კავკასიას ეწვია. უსაფრთხოების პაქტი ხელს შეუწყობდა ორივე მხარეს, ამ რეგიონში ეთამაშათ ის როლი, რაც მათ ამჟამად არ გააჩნიათ.

დასკვნა

დამოუკიდებლობის მოპოვებიდან ათ წელზე მეტი ხნის შემდეგ საქართველო აღმოჩნდა უცნაურ სიტუაციაში: იგი კვლავ შესცქერის ორ შორეულ დედაქალაქს — ვაშინგტონსა და მოსკოვს პოლიტიკური არჩევანის გაკეთებისას და მან საოცრად ცოტა რამ გააკეთა უახლოეს მეზობლებთან თანამშრომლობის განსავითარებლად. თბილისში სააკაშვილის დროს მთავრობის სასახლის თავზე ევროპის დროშა მოწმობს იმ ახალ სურვილს, რომელმაც საბოლოო ანგარიშით შეიძლება უზრუნველყოს საქართველოს უსაფრთხოების მეტი სტაბილურობა, მაგრამ ჯერჯერობით ამისი შედეგი ეკონომიკური დახმარების ზრდაა: ევროპის საბჭოს ჯერ არა აქვს ფართო მონაწილეობის გამოცდილება დიდი რეგიონების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად. საქართველოს მეზობელ ქვეყნებში მდგომარეობა წყნარი არაა. სხვადასხვა მიზეზების გამო, საქართველომ ვერ მოიპოვა რაიმე სტრატეგიული უპირატესობა სამხრეთ კავკასიაში ვერც თავისი ცენტრალური მდგომარეობით და ვერც თურქეთთან და ირანთან ახლო მდებარეობით, რადგან ის დაშორებულია მთიანი ყარაბაღის კონფლიქტიდან, აქვს ღია საზღვრები სომხეთთან, აზერბაიჯანთან და თურქეთთან, აგრეთვე თავის მეოთხე მეზობელთან — რუსეთთან, მაგრამ მას არა აქვს გრძელვადიანი შეთანხმებები უსაფრთხოების სფეროში არც ერთ ამ ქვეყანასთან. საქართველოს ცენტრალური გეოგრაფიული მდებარეობა შეიძლება უსარგებლოც იყოს. საქართველო აღმოჩნდა ორ მოქიშპე ბანაკს შორის: თურქეთი-აზერბაიჯანი და რუსეთი-სომხეთი-ირანი,

რომელთაგან თითოეული ცდილობს, შექმნას ენერგეტიკული დერეფანი. საქართველო ამჯობინებს პირველ ალიანსს, მაგრამ მეორის იგნორირებაც არ შეუძლია და ანგარიში უნდა გაუწიოს რუსეთის სურვილს, კავშირი ჰქონდეს სომხეთთან.[32]

რეგიონული თანამშრომლობით არდაინტერესება წარმოადგენს საქართველოს სტრატეგიული სისუსტის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორს. "გამოუყენებელი პოტენციალის" თემა ამ თავში ბევრგან ვახსენეთ: როცა აშშ-რუსეთს შორის ურთიერთობათა ჩავარდნა ან პროგრესი ძლიერ გავლენას ახდენდა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, თუმცა ბოლო 13 წლის განმავლობაში საქართველოსა და მისი მეზობლების ურთიერთობაში წინსვლა არ ყოფილა. დიდ სახელმწიფოთა ურთიერთმეტოქეობა ხელს უწყობს ამ ტედენციას. არავითარი საფუძველი არ გვაქვს ველოდოთ, რომ "რეგიონული თვითმყოფადობა" ხორცს შეასხამს და გააუმჯობესებს იმ რეგიონის ეკონომიკურ ინტეგრაციას, რომლისთვისაც დამახასიათებელია მრავალფეროვნება და ისტორიული უნდობლობა. მაგრამ საქართველოს ელიტამ თავის თავზე უნდა აიღოს პასუხისმგებლობა იმ არჩევანისათვის, რომელსაც ის აკეთებს ან არ აკეთებს. ლეგალური ვაჭრობა, როგორც აუცილებელი პირობა მეტად ახლო ურთიერთობისათვის კავკასიის ქვეყნებს შორის, ჯერ კიდევ შეზღუდულია. 2003 წელს საქართველოს უდიდეს ექსპორტს წარმოადგენდა ჯართი და ხე-ტყე, რაც მას უმეტესწილად აქცევს მრეწველობის უქონელ ქვეყნად, რომელსაც არა აქვს განვითარებული არც მრეწველობა და არც მტკიცე სუვერენიტეტი. სასაზღვრო შეზღუდვები, კონტრაბანდა და დამნაშავეობა ანადგურებს ყოველგვარ, თვით მცირე იმედსაც კი, რომ საქართველოს ექნება თავისუფალი ვაჭრობა და ღია ბაზრები. აღნიშნულმა პრობლემებმა შეაფერხა საქართველოს ეკონომიკური

[32] ირან-სომხეთის გაზსადენი "გაზპრომის" ინტერესებს ეწინააღმდეგება, თუმცა ინტერფაქსის ცნობით (2004 წლის 2 თებერვალი), რუსეთის პრემიერ-მინისტრის მოადგილემ, ბორის ალიოშინმა ერევანში გამართულ კონფერენციაზე განაცხადა, რომ ირან-სომხეთის გაზსადენი რუსეთის ინტერესებში შედის, ვინაიდან ეს სომხეთში არსებულ ენერგოგენერატორებზე რუსეთის უფლებებს გაზრდის. მან თქვა, რომ "გაზპრომი", შესაძლოა, სომხეთის ტერიტორიაზე არსებული გაზსადენი მილის ნაწილის ოპერირებას ჩაუდგეს სათავეში. შესაძლებელია, აღნიშნული მილი საქართველოს საზღვრამდეც გაგრძელდეს.

შესაძლებლობები, მისი უსაფრთხოების სტაბილურობა და ხელი შეუშალა მისი რეგიონული პოტენციალის გამოყენებას. ადგილობრივი და ცენტრალური კორუმპირებული ლიდერები საკუთარი მატერიალური კეთილდღეობით უფრო არიან დაინტერესებულნი, ვიდრე სახელმწიფოს გრძელვადიანი პერსპექტივებით.

საქართველოს განვითარებისთვის ყველაზე იმედისმომცემია ორი ნავთობსადენის მშენებლობა. ეს დაეხმარება საქართველოს, აღარ იყოს დამოკიდებული რუსეთზე და დაუკავშირდეს ევროპას, თუმცა ნავთობსადენები საქართველოს სახელმწიფოსთვის გარკვეულ საფრთხესა და პასუხისმგებლობასაც შეიცავს. ნავთობსადენის დაცვის უზრუნველყოფა, რომელსაც მხარს უჭერს დასავლეთი, საქართველოს თავს ახვევს უსაფრთხოების უფრო ფართო პრობლემებს, რასთანაც მას აქამდე საქმე არ ჰქონია.

მოკლედ, სახმელეთო რეგიონული თანამშრომლობის უქონლობა ზოგადად, რეგიონში, კერძოდ, საქართველოსა და მის სამხრეთ-კავკასიელ მეზობლებს შორის ზრდის აშშ-სა და რუსეთის გავლენას და მათ შორის წინააღმდეგობას. შედეგად, საქართველო, საუბედუროდ, განიცდის მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის ურთიერთობათა ცვლილების გავლენას. მართალია, თავის რეგიონში დარღვეული მეზობლობა და მისი გაურკვეველი მომავალი მარტო საქართველოს ბრალი არ არის, მაგრამ მანაც ცოტა რამ გააკეთა ყოველგვარი ბზარისა და ბარიერის აღმოსაფხვრელად.

საქართველოს უსაფრთხოების მოდელი "ცენტრი-პერიფერია"*

ბრუნო კოპიტერსი

საქართველო სუსტი, რეგიონებად დანაწევრებული სახელმწიფოა. მას შემდეგ, რაც 1991 წლის აპრილში იგი საბჭოთა კავშირს გამოეყო, დამკვირვებლებს განუწყვეტლივ ებადებოდათ კითხვა, შეძლებდა თუ არა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფო, დაეძლია მოსალოდნელი ანარქია და დაემყარებინა სუვერენული სახელმწიფოებრიობა. უსაფრთხოების თვალსაზრისით, საქართველო და მისი სამხრეთ კავკასიელი მეზობელი სახელმწიფოები — სომხეთი და აზერბაიჯანი

---

* მინდა მადლობა გადავუხადო ვიაჩესლავ ჩირიკბას, ჯორჯ ჰიუიტს, მაგალი როდრიგესს, ქსიაოუკუნ სონგს, დიმიტრი ტრენინს და სხვებს, ვინც წვლილი შეიტანა ამ ნაშრომში, თავდაპირველ ტექსტში მათ მიერ მოცემული შენიშვნებისათვის. ცენტრ-პერიფერიის მოდელის მისადაგება საქართველოს საშინაო და საერთაშორისო უსაფრთხო გარემოს მიმართ წარმოდგენილი იყო სომხეთში ჩატარებულ კონფერენციაზე: "სამხრეთ კავკასია და საზღვარგარეთის პოლიტიკის მოთხოვნები", ან არბორი, მიჩიგანი, 21-24 ოქტომბერი, 2004; და "Sortir de l'Empire: le cas des Etats sud-caucasiens," პარიზი, 25-26 ნოემბერი, 2004 წ. პერიფერიის სხვადასხვა მნიშვნელობებს შორის განსხვავების შესახებ, როგორც ეს გამოყენებულია ევროპის კავშირის (EU) და საქართველოს დამოუკიდებლობის ადრეულ წლებში (1991), იხ. ბრუნო კოპიტერსის "საქართველო და ევროპა: პერიფერიის ცნება საერთაშორისო ურთიერთობებში" ბრუნო კოპიტერსის, ალექსეი ზვერევისა და დიმიტრი ტრენინის გამოცემაში "სახელმწიფო და დამოუკიდებლობა პოსტსაბჭოთა ევრაზიაში (ლონდონი, ფრანკ კასი, 1998), გვ. 44-68. ეს დამოკიდებულება მოცემულია ბრუნო კოპიტერსის "ევროპის კავშირის წარმომადგენელი ახალ პერიფერიაში", დოვ ლინდის ნაშრომში "სამხრეთ კავკასია: ევროკავშირის მოთხოვნები, Challiot Papers # 65, (დეკემბერი, 2003 წ.), გვ.161-170, და მიშელ ემერსონი, მარიუს ვალი, ბრუნო კოპიტერსი, მიშელ ჰუსენი, თამარა კოვზირიძე, გერგანა ნუჩევა და ნათალი ტოჩი, "გაევროპელება და დადგენილება კონფლიქტის თაობაზე: ევროპის პერიფერიის შესახებ" Journal and Minority Issues in Europe, 1 (2004), http://www.ecmi.de/jemie/

– წარმოადგენენ კავკასიის ფართო რეგიონის ნაწილებს, რომლებსაც მძიმე დრო უდგათ სამ ძლიერ სახელმწიფოსთან – რუსეთთან, ირანთან და თურქეთთან – თანაარსებობის გამო. ამ არასტაბილურ რეგიონში არსებობს სამი დე ფაქტო სახელმწიფო – მთიანი ყარაბაღი, აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი[1], რაც მეტწილად გამოწვეულია მეზობელი სახელმწიფოების გარეშე მხარდაჭერით. ეს სიტუაცია გვიჩვენებს მასშტაბს, თუ რამდენად არის მოშლილი პოლიტიკური ურთიერთდამოკიდებულება ამ ერებს შორის.

წინამდებარე ნაშრომის შესავალში აღწერილია "სახელმწიფოებრიობის უსაფრთხოება" ფრიად "არასტაბილური და საშიში სამეზობლოს" კონტექსტში და ამ უსაფრთხოების ორი საკითხი, რომელიც საქართველომ უნდა მოაგვაროს. საქართველოს ხელისუფლებამ უნდა დაამტკიცოს, რომ შეუძლია თავის მოქალაქეთა უზრუნველყოფა საზოგადოებრივი კეთილდღეობით. ასეთი საქმის შესრულება გადაჯაჭვულია უსაფრთხო რეგიონალურ გარემოს შექმნასთან.

ამ ნაშრომის ზოგიერთი თავი ეძღვნება საქართველოში "საშინაო" უსაფრთხოებაზე ზრუნვას, მაგალითად, 1991-92 წლების სამოქალაქო ომი, სეპარატისტული მოძრაობა ავტონომიურ ერთეულებში – სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ან სამხედრო საქმეზე სამოქალაქო კონტროლი. სხვა თავები ძირითადად ეხება საერთაშორისო ურთიერთობებს სამხრეთ კავკასიაში, აგრეთვე მეზობელი ქვეყნების როლს, გარეშე ძალებს და საერთაშორისო ორგანიზაციებს, იკვლევს, შეიძლება თუ არა, სამხრეთ კავკასიას ეწოდოს რეგიონი თავისი საკუთარი უფლებებით თუ ის უნდა წარმოვადგინოთ, როგორც დიდი რეგიონულიერთეულის ნაწილი. საშინაო და საერთაშორისო პერსპექტივები, რომლებიც წარმოდგენილია ამ ნაშრომში, თანხვდება იმ თვალსაზრისით, რომ რეგიონის დაყოფა-დანაწილების ისტორია აისახება საქართველოში მიმდინარე მცდარ მიმართულებებსა და კონფლიქტებზე; ნე-

[1] 1999 წლის რუსეთის სამხედრო ინტერვენციის შედეგად ჩეჩნეთი, როგორც დე ფაქტო სახელმწიფო, განადგურებული იქნა. ეს არ ნიშნავს, რომ ამ ომმა წარმოშვა ჩეჩნეთის განმათავისუფლებელი მოძრაობა ან კონფლიქტი, რომლის საფუძველიც სუვერენიტეტის მოთხოვნა იყო.

ბისმიერი პროგრესი რეგიონული ინტეგრაციის საქმეში უთუოდ უკავშირდება სახელმწიფო და ეროვნული შენების პროცესებს სამხრეთ კავკასიაში.

საქართველოში უსაფრთხოების შესწავლა ძირითადად უსაფრთხოების ზოგად განსაზღვრას ეფუძნება. ის აფასებს სახელმწიფოს ინსტიტუტებისა და რეგიონულისტაბილურობისადმი არსებულ შემდეგ საშიშროებებს: სეპარატისტულ კონფლიქტებში ცეცხლის შეწყვეტის შესახებ შეთანხმებათა წარუმატებლობას, მცირე მასშტაბის შეიარაღების ზრდასა და ორგანიზებული დანაშაულის სახელმწიფო სტრუქტურებში შეღწევას. შევარდნაძის რეჟიმის ბოლო წლებში დომინირებდა საზოგადო დისკუსიები იმის შესახებ, თუ რაოდენ სახიფათოა კორუფცია და რეფორმების წარუმატებლობა ეკონომიკის განვითარებისა და საქართველოს სახელმწიფოს არსებობისათვის.

სახელმწიფოს ქმედითობის გაუმჯობესების მცდელობისათვის გვერდის ავლა ის სამწუხარო ნიშანი იყო, რითიც შევარდნაძის მმართველობის ბოლო წლები გამოირჩეოდა. არავითარი შედეგი არ მოჰყოლია საქართველოს მთავრობაზე "მეგობრული" ძალების მხრიდან განხორციელებულ გარეშე ზეწოლას, განსაკუთრებით შეერთებული შტატების მთავრობის მხრიდან, რათა საქართველოს მოეხდინა შეიარაღებული ძალების რესტრუქტურიზაცია ან შეეცვალა ფინანსური პოლიტიკა. საქართველო აღარ აღიქმება, როგორც უბრალოდ თანამედროვე სუსტი სახელმწიფო იმ განსაკუთრებულ გარემოებათა გამო, როგორებიცაა გეგმურიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა, რუსეთთან დაძაბულობა ან წარუმატებლობა, სეპარატისტულ ერთეულებთან პოლიტიკური სტატუსის თაობაზე მშვიდობიანი შეთანხმება. ამის შეუსრულებლობა უმეტესად აღიქმებოდა, როგორც დათმობა სტრუქტურული მიზეზების გამო. არსებობდა გადაჭარბებული შიში იმისა, რომ პოსტშევარდნაძის დრო არ იქნებოდა მშვიდობიანი და გამოიწვევდა ბევრ ისეთ მოვლენას, რაც საქართველოში დამოუკიდებლობის ადრეულ პერიოდში მოხდა.

1990-იანი წლების პირველ ნახევარში საქართველო იყო არა მარტო "სუსტი სახელმწიფო" სახელმწიფოებრივი კრიტერიუმების თვალსაზრისით (როგორებიცაა უნარი, მოეპოვებინა საჭირო რე-

სურსები ძირითადი სახელმწიფოებრივი ფუნქციების შესასრულებლად, სოციალურ ურთიერთობათა მოსაწესრიგებლად, მიზანმიმართულად გამოეყენებინა საზოგადოებრივი რესურსები, დაეფუძნებინა ლეგიტიმური მმართველობა)[2] –ის გარკვეულ მომენტში ჩაიძირა სისუსტის სუბკატეგორიაში, რომელიც ცნობილია "არშემდგარი სახელმწიფოს" სახელით. ეს მოხდა მაშინ, როცა საქართველო კონფრონტაციაში აღმოჩნდა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან და როცა პირველი დემოკრატიულად არჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას განდევნის პერიოდში სამოქალაქო უკმაყოფილება აზვირთდა.

ცნება "არშემდგარი სახელმწიფო" მიუთითებს ისეთ ინსტიტუციონალურ სახეზე, სადაც პოლიტიკურ ინსტიტუტებს სრული დაშლა ემუქრება. ასეთი ტოტალური კოლაფსი, რომელმაც საქართველო "არშემდგარ სახელმწიფოდ" გადააქცია, შეიძლებოდა ყოფილიყო შევარდნაძის პრეზიდენტობისას მის შესაცვლელად ბრძოლის შედეგი. ის შეიძლება ყოფილიყო რუსეთ-ჩეჩნეთის ომის შედეგი, რომელიც საქართველოსაც შეეხო ან კიდევ აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში ცეცხლის შეწყვეტის შეთანხმების დარღვევა. მოგვიანებით სიღარიბის წინააღმდეგ საპროტესტო მოძრაობა და კორუფცია, შესაძლოა, სახალხო აჯანყების მიზეზი გამხდარიყო, რაც, თავის მხრივ, არეულობასა და მასობრივ ძალადობას გამოიწვევდა. მაგრამ ასეთი უბედური შემთხვევა არ მომხდარა. 2003 წლის ნოემბრის მოვლენებს პარლამენტის გაყალბებული არჩევნები და სხვა ტიპის რეჟიმის დამყარება მოჰყვა. საქართველოს უუნარობამ, გაეტარებინა რეფორმები, არ გამოიწვია ანარქია და სახელმწიფოს დაშლა. პირიქით, მან შედეგად მიიღო მთავრობის წინააღმდეგ კარგად

[2] წინამდებარე წიგნში მოცემული "სუსტი სახელმწიფოს" გია ნოდიასეული განმარტება ეფუძნება ჯოელ ს. იდგალის *"Strong Societies and Weak States: State-Society Relations and State Capabilities in the Third World (*Princeton, NJ: Princeton University Press, 1998), გვ. 4. ჩემ მიერ განხორციელებული ანალიზისას, მე აგრეთვე ვიყენებ სახელმწიფოს ეფექტურობის კრიტერიუმებს, რომელიც წარმოადგინა ბიუნგკი კიმამ კონფერენციაზე "Comparative Regionalism: Cases in Europe and East Asia". კონფერენცია ორგანიზებული იყო ჩინეთის რენმიმის უნივერსიტეტის მიერ, პეკინი, 2005 წლის 8-9 აპრილი. იხ. Robert I. Rotberg, ed., *When States Fail. Causes and Consequences* (Priceton, NJ: Princeton University Press, 2004).

ორგანიზებული გადატრიალება და პოლიტიკური ელიტის დიდი ნაწილიც მმართველობას ჩამოსცილდა.

ამ თავში მე ჩამოვაყალიბებ დასკვნებს ამ საკითხებისადმი მიძღვნილი სტატიებიდან, რომლებიც ეხება იმ ფაქტორთა ურთიერთქმედებას, რამაც განაპირობა საქართველოს ნაციონალური და რეგიონული უსაფრთხოების ურთიერთდამოკიდებულებანი, განსაკუთრებით კი შევარდნაძიდან სააკაშვილამდე მრავალასპექტიან გარდამავალ პერიოდში. რობერტ ლეგვოლდმა ამ შრომის შესავალში განაცხადა, რომ საქართველოში ნაციონალური და რეგიონული უსაფრთხოების პოლიტიკის ბევრმა ასპექტმა კომპლექსური ფორმით მოიყარა თავი. შემაჯამებელი თავი არის იმის მცდელობა, გააშუქოს წიგნში წარმოდგენილი ანალიზის ყველაზე რელიეფური ელემენტები, განსაკუთრებით ისინი, რომლებიც შეეხება საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკას საშინაო და საერთაშორისო სფეროში.

ამ მიზნით გამოვიყენებ "ცენტრისა" და "პერიფერიის" კონცეფციას და საქართველოს განვიხილავ ცენტრისა და პერიფერიის კუთხით. როგორც სუვერენულმა სახელმწიფომ, საქართველომ თავისი ძალაუფლება უნდა გაავრცელოს მთელ ტერიტორიაზე. ამ თვალსაზრისიდან გამომდინარე, საქართველოს სახელმწიფო შეიძლება ჩავთვალოთ ცენტრად. საქართველო ძლიერ სახელმწიფოებთან კონფრონტაციულ მდგომარეობაში მყოფი პატარა სახელმწიფოა, იგი იღვწის და ცდილობს, საერთაშორისო იურიდიულ დონეზე სხვების თანაბარი ჩანდეს. საერთაშორისო ურთიერთობის ამ პერსპექტივიდან საქართველო ჩანს, როგორც პერიფერია. სუვერენობის კონცეფცია – ტერიტორიისა და მოსახლეობის კონტროლი, აგრეთვე იმის უფლება, რომ საერთაშორისო არენაზე სხვა სახელმწიფოების თანაბარი ლეგალური სტატუსი მოითხოვოს – მეტად მნიშვნელოვანია ამ ორივე ტიპის ურთიერთობაში.

ცენტრ-პერიფერიის მოდელი

სუვერენობასა და ჰეგემონიაზე არსებული იმ საშინაო და საერთაშორისო კონფლიქტების გასაანალიზებლად, რომელშიც

საქართველო არის ჩართული, ცენტრ-პერიფერიის მოდელი, შესაძლოა, გამოსადეგი აღმოჩნდეს. ეს მოდელი ტრადიციულად გამოიყენება სხვადასხვა ტიპის პროცესების გასაანალიზებლად, რაც საზღვრებით სივრცობრივი დაქუცმაცებიდან გამომდინარეობს.[3] მას გააჩნია ერთგვარი გეომეტრიული საწყისი, მაგრამ მეტაფორულად გამოიყენებოდა ბევრ სხვა დისციპლინაში პოლიტიკური გეოგრაფიის,[4] არქეოლოგიის,[5] პოლიტეკონომიის,[6] შედარებითი ფედერალიზმის ჩათვლით.[7] პოლიტიკურ გეოგრაფიაში დაპირისპირება ცენტრსა და პერიფერიას შორის მჭიდროდ უკავშირდება ისეთ ურთიერთსაპირისპირო ცნებებს (დიქოტომიებს), როგორებიცაა ქვეყნის "შუაგული" და "სანაპირო". ცენტრის ცნება აგრეთვე დაკავშირებულია ტერმინებთან "შუაგული" "ბირთვი"

[3] იხ. Jean Gottmann, ed. Center and Periphery: Spatial Variations in Politics (London: Sage, 1980) ; Georges Prevelakis. Jean Gottmann's Relevance in Today's World. მოხსენება წარმოდგენილი ერჰარტ ფონდის კონფერენციაზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მდგომარეობის შესახებ, ბოსტონის უნივერსიტეტი, 6-7 დეკემბერი, 2002 წ., http://www.bu.edu/uni/iass/conf/George%20Prevelakis,pdf; Claude Grasland. Center/Periphery, http://hypergeo.free.fr/article.php3?id_frticle=186.

[4] Jean Gottmann. Confronting Center and Periphery // Gottmann, ed., pp. 11-25; Paul Claval. Center/Periphery and Space: Models of Political Geography // Gottmann, ed., pp. 63-71; George W. Hoffman. Variations in Center-Periphery Relations in Southeast Europe // Gottmann, ed., pp. 111-133.

[5] Tim C. Champion, ed. Center and Periphery: Comparative Studies in Archaeology (London: Routledge, 1995).

[6] იხ. სხვა მრავალთა შორის Raimondo Strassoldo. Center-Periphery and System-Boundary: Culturological Perspectives // Gottmann, ed., p. 42-44 è Immanuel Wallerstein. The Modern World System: Capitalist Agriculture and the Origins of the European World Economy in the Sixteenth Century (New York: Academic Press, 1974).

[7] საშინაო პოლიტიკის ანალიზისას ტრადიციულად ცენტრ-პერიფერიის ცნებები გამოიყენება, განსაკუთრებით კი ფედერალური ურთიერთობების ანალიზის დროს. მსგავს ფორმულირებას აქვს ადგილი, მაგალითად, რუსეთის ეროვნულ მთავრობასა და მცირე გეოგრაფიული იურისპრუდენციის მქონე მმართველობის დაბალი საფეხურების ანალიზის დროს. იხ. სხვა მრავალთა შორის, Daniel R. Kempton and Terry D. Clark, eds. Unity or Separation: Center-Periphery Relations in the Former Soviet Union (London: Praeger, 2002). მეცნიერებათა ისტორიაში მისი გამოყენებისთვის იხ. Center and Periphery Revisited: The Structures of European Science, 1750-1914 // Revue de la Maison Française d'Oxford, vol. I, no. 2 (2003), http://www.mfo.ac.uk/Publications/Revue%20Fox/introduction.htm. სისტემების ძირითადი თეორიის გამოყენებისათვის იხ. Strassoldo, p. 50.

"ღერძული არე", ხოლო პერიფერიის ცნება — "საზღვარი ორ ქვეყსნას" შორის, "საზღვრები", "ორი ტერიტორიის გამყოფი ხაზი". ყველა ეს სიტყვა მსგავს იდეებს ბადებს და გააჩნია ევრისტიული შესაძლებლობა.[8]

ცენტრ-პერიფერიის სქემა პირველად გამოყენებული იქნება საქართველოს საშინაო წყობის და შემდეგ საერთაშორისო არენაზე საქართველოს ადგილის მიმართ. მაგრამ ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობა მეტად განსხვავებულ მნიშვნელობას იძენს შიდა ურთიერთობების შესახებ არსებულ — მაგალითად, შედარებითი ფედერალიზმისა და საერთაშორისო პოლიტიკური ეკონომიის შესახებ ლიტერატურაში. ჩვენი მიზნის მისაღწევად კარგი იქნება ცენტრ-პერიფერიის ცნებათა სტანდარტიზაცია. ამრიგად, მე ზოგადად განვასხვავებ სხვადასხვა ტიპის ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობებს საშინაო და საერთაშორისო სფეროებში. ეს განსხვავება გამოიყენება, როგორც მთავარი იდეური იარაღი, რომელიც აღწერს ღრმა ცვლილებებს თბილისსა და საქართველოს ავტონომიურ ერთეულებს შორის საშინაო ურთიერთობაში; აგრეთვე თბილისსა და მთავარ გარეგან ძალთა აქტივობას შორის ამ რეგიონებში, რომლებიც ექვემდებარებოდა საქართველოს სამივე საპრეზიდენტო რეჟიმს (გამსახურდია 1991-1992 წწ; შევარდნაძე 1992-2003 და სააკაშვილი 2004-).

შესაძლოა, განვასხვავოთ ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობის ოთხი ტიპი. ოთხივე ტიპი შეიძლება განვალაგოთ საშინაო ან საგარეო დონეებზე, რასაც ნათლად გამოხატული სივრცობრივი განზომილება ექნება. გარდა ამისა, ისინი შიდა და საერთაშორისო დონეებზე გამოხატავენ ასიმეტრიას მატერიალურ და ნორმატიულ წყაროებში, რომელსაც მივყავართ დამოკიდებულებით და იერარქიულ ურთიერთობებთან ცენტრსა და პერიფერიას შორის. სუვერენობისა და ჰეგემონიის კონცეფცია გვიჩვენებს, რომ ცენტრი დომინირებს პერიფერიაზე.

პირველი, ცნება "პერიფერია" ცენტრ-პერიფერიის ურთიერთდამოკიდებულებაში განეკუთვნება კონფრონტაციის განსაკუთრებულ ფორმას – საზღვრებს, სადაც ცენტრმა უნდა დაიცვას

[8] Claval, p.64

თავისი ინტერესები, ან იმ სადავო ხაზს, სადაც ცენტრი კონ-ფრონტაციაშია გარეგან მუქარასთან.

მეორე, ცნება "ცენტრი" და "პერიფერია" შეიძლება გამოყენებული იქნას ინტეგრაციის პროცესის ან ცენტრის მიერ პერიფერიის პროგრესული ასიმილაციის გამოსახატად. ამ შემთხვევაში ეს მოდელი გვიჩვენებს სივრცობრივი შიდაურთიერთქმედების მუდმივ დინებას ორ უკიდურეს მხარეს შორის და განსაკუთრებულ სწრაფვას ცენტრის მიმართულებით.[9]

მესამე, "პერიფერია" შეიძლება მივაკუთვნოთ რაიმეს, რასაც ცენტრისთვის მარგინალური მნიშვნელობა აქვს. მაშინ ცენტრი შეინარჩუნებს ზედაპირულ დამოკიდებულებას პერიფერიის მიმართ.

მეოთხე ტიპი ცენტრ-პერიფერიის ურთიერთდამოკიდებულებაში ისაა, როცა პერიფერია წარმოადგენს ერთგვარ ხიდს, რომელიც აკავშირებს ერთ მიკრორაიონს (შიდა დონეზე) სხვა მიკრორაიონთან ან რომელიმე მაკრორაიონს (საერთაშორისო დონეზე) სხვა მიკრო ან მაკრორაიონთან.

მატერიალური და ნორმატიული წყაროების ძირეული უთანაბრობა ცენტრსა და პერიფერიას შორის საერთოა ზემოთ ჩამოთვლილ ცენტრ-პერიფერიის ურთიერთდამოკიდებულების ოთხივე ტიპისათვის. პერიფერიის ცნების აზრი — როცა საქმე ეხება საზღვრებს, განსაკუთრებით კი კონფლიქტის გამყოფ ხაზებს ან სადავო ხაზებს, სადაც ცენტრი გარეგან მუქარასთან კონფ-რონტაციაში მოიცავს ასიმეტრიულ და იერარქიულ ურთიერთობას ცენტრსა და პერიფერიას შორის —ეს იგივეა, რაც ინტეგრაციისა ან ასიმილაციის პროცესის გამოსახატად ამ ორი ტერმინის გამოყენება ან პერიფერიის დანიშნულება, შეასრულოს დამაკავშირებელი ხიდის ფუნქცია ცენტრისთვის. ცენტრსა და პერიფერიას შორის ინდი-ფერენტულობა არის აგრეთვე ასიმეტრიული ურთიერთდამო-კიდებულების სხვანაირი გამოხატვა. პერიფერიას ცენტრისთვის შეიძლება ჰქონდეს მარგინალური მნიშვნელობა, თუმცა პირიქით კი იშვიათად ხდება.

ორ პოლუსს შორის ასიმეტრიული და იერარქიული ურთი-ერთდამოკიდებულება შეიძლება ასახავდეს უფრო მეტს, ვიდრე

[9] ცენტრ-პერიფერიის დინამიკურ ხასიათზე იხ. Hoffman, pp.111-133.

თავად უთანაბრობის მდგომარეობაა. ცენტრის ცნება დასავლურ ცივილიზაციასა და ძველი კულტურის ქვეყნებში ხშირად აღიქმება, როგორც მარადიული, წმიდათაწმინდა, გონისმიღმეული, მაშინ, როცა პერიფერია წარმოდგენილია, როგორც დროებითი, არაპატივსაცემი ფიზიკური რეალობა. სახელმწიფოს თანამედროვე გაგებით, სუვერენობა გააჩნია მხოლოდ ცენტრს. სახელმწიფოს ძალაუფლება ვრცელდება მთელ მის იურისდიქციაში მყოფ ტერიტორიაზე. საზღვრები უჩვენებს ცენტრის ძალაუფლების ზღვარს, ზღუდავს გარეშე ძალებს, აკრძალული ხერხებით ჩაერიონ საშინაო საქმეებში. ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს ეს “წმიდათაწმიდის” მნიშვნელობას ანიჭებს.

როგორც რაიმე იდეალური ტიპის განსხვავებულობის შემთხვევაში, ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობის სხვადასხვა ტიპები არ გამოხატავს ემპირიულ რეალობას, მაგრამ აქცენტს აკეთებს, აზვიადებს ან აიდეალებს განსაკუთრებულ ემპირიულ განხილვას სოციალური რეალობის უკეთ გასაგებად. ურთიერთობის ეს სხვადასხვა ტიპები ერთმანეთს არ გამორიცხავს. დომინირების ურთიერთდამოკიდებულებანი, რომელნიც ხასიათდებიან კონფლიქტით, ინტეგრაციით ან განურჩევლობით, შეიძლება შერეული იყოს საშინაო ან საგარეო ურთიერთობასთან. თუ ცენტრი, სადაც მმართველობა და ძალაუფლება იმყოფება, ქმნის ღირებულებებს და ნორმებს, რასაც ითვისებს პერიფერია, მაშინ ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობა განისაზღვრება ინტეგრაციით. როგორც უუფლებო პერიფერიის ასიმილაციის ალტერნატივა, პერიფერიამ შეიძლება გამოთქვას უკმაყოფილება, დაიწყოს საპროტესტო მოქმედება და კონფრონტაციაში შევიდეს ცენტრთან.

რადგანაც ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობის ყველა ფორმა ასიმეტრიული და იერარქიულია, შეიძლება დავუშვათ, რომ ორი მხარის ურთიერთობათა ტრანსფორმაციაზე ზემოქმედებს თითოეულ დაპირისპირებულ მხარეში მომხდარი ცვლილებები, განსაკუთრებით კი, პერიფერიისაგან განსხვავებით, ცენტრში მომხდარი ცვლილებები. ცენტრ-პერიფერიის მოდელის გამოყენება შემდგომ უშვებს, რომ ორ მხარეს შორის ურთიერთობათა ტრანსფორმაცია უფრო ძირეულად ზემოქმედებს პერიფერიაზე, ვიდრე ცენტრზე.

ცენტრის არსი მკვეთრად აისახება პერიფერიაზე, ხოლო პერიფერიის არსი — მისი დამოკიდებულებით ცენტრისადმი. ცენტრი არის შუაგული, რომელიც ქმნის თავისთავს ზემოაღნიშნულ ურთიერთობათა ერთი ან მეტი ტიპის მეშვეობით, როგორებიცაა თავისი პერიფერიის ასიმილაცია, საზღვრების მტკიცედ დაცვა ან პერიფერიის სხვა რაიონებთან დამაკავშირებელ ხიდად გამოყენება.[10] მაგრამ პერიფერიებიც აქტიურად ქმნიან თავისთავს ცენტრზე დამოკიდებულების გზით, ინტეგრაციის მეშვეობით ან ცენტრთან კონფრონტაციით.

ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობათა წარმოქმნა არ უნდა გავიგოთ, როგორც სტატიკური მდგომარეობა. არ უნდა გამოირიცხოს უკუცვლილებანი დაპირისპირებულობისას. გარკვეულ გარემოებებში პერიფერიამ შეიძლება შეასრულოს განახლების ფუნქცია და მოითხოვოს მნიშვნელოვანი როლის თამაში ქვეყნის მთელ სისტემაში, შეცვალოს თავისი წყობილება ან მოითხოვოს საკუთარი ცენტრის შექმნა. ასეთი უკუსვლა დაპირისპირებულობისას შეიძლება იყოს ცენტრსა და პერიფერიას შორის ურთიერთობათა ძირეული ცვლილების შედეგი, რაც უფრო ამყარებს ამ უკანასკნელის მდგომარეობას, გახდეს დომინანტური ცენტრი. ამ ტიპის პერიფერია შესაძლებელია აღმოცენდეს, როგორც ცენტრი იმ შემთხვევაშიც, როცა იმპერიული ცენტრი დაიშლება. ის თანდათანობითი გადასვლა დამოკიდებულებიდან დამოუკიდებლობისაკენ შეიძლება მოხდეს მაშინაც, თუ მოპირდაპირე პოლუსები მოითხოვენ თანაბარ ფუნქციებს პოლიტიკურ სისტემაში. ისტორიაში ცენტრიდან პერიფერიისაკენ დომინირების ცვლილების უამრავი მაგალითია – დაწყებული ჩინეთის, მაკედონიისა და რომის იმპერიებში მიმდინარე პროცესებიდან, დამთავრებული ჩრდილოეთ ამერიკაში ბრიტანეთის კოლონიებიდან ახალ სახელმწიფოთა წარმოქმნით.[11] მსგავსია ეკონომიკის ისტორიაში არსებული უკუცვლილებანი დაპირის-

[10] Strassoldo, pp. 27-61.

[11] იხ. Owen Lattimore, “Thre periphery as Locus of Innovation,” in Gottmann, ed., pp. 205-215; and Jean Gottmann, “Organizing and Reorganizing Space,” in Gottmann, ed., pp.217-224.

პირებულ პოლუსებში , როგორც ერთი სახელმწიფოს რეგიონებს, ისე მაკრორეგიონებს შორის მსოფლიო სისტემაში.

სივრცობრივ ურთიერთობებში წამყვანი ფუნქცია აქვთ პოლიტიკური ელიტის წარმომადგენლებსაც . პერიფერიებმა შეიძლება დამაკავშირებელი ხიდის როლი ითამაშოს სხვადასხვა ცენტრებს შორის და ამ პერიფერიებიდან პოლიტიკურ ლიდერებს შეუძლიათ, ხელი შეუწყონ რეგიონულ თანამშრომლობას, ითამაშონ შემაკავშირებლის როლი.

რაიმონდო სტრასოლდო მიუთითებს, რომ პერიფერიებიდან (ალზას-ლორენი და რაინგეგბიტი) მოსულმა “უმნიშვნელო” პირებმა — ჟან მონეტმა ან კონრად ადენაუერმა გადამწყვეტი როლი ითამაშეს საფრანგეთისა და გერმანიის ევროპაში ინტეგრაციაში. თუმცა, აგრეთვე შეიძლება პერიფერიიდან მოსულმა პოლიტიკურმა ლიდერებმა უსიტყვო ერთგულება დაამტკიცონ ცენტრის მიმართ, რაც მოხდა ნაპოლეონის (კორსიკიდან) და სტალინის (საქართველოდან) შემთხვევაში.[12]

ცენტრ-პერიფერიის მოდელი სივრცობრივი მოდელია და სივრცობრივი ურთიერთობანი უაღრესად მნიშვნელოვანია, როცა ეროვნული მოძრაობა ცდილობს, შეცვალოს გარკვეული ტერიტორიის საზღვრები და გადააადგილოს ქვეყნის მოსახლეობა. ეს მოვლენა წარმოადგენს პერიფერიის პროტესტს თავისი სტატუსის, როგორც დაქვემდებარებულის წინააღმდეგ. მაგრამ სეპარატიზმი, რომლისკენაც ისინი ისწრაფვიან, არ არის აბსოლუტური, რადგან უკუქცევის ნაწილობრივი ფორმები მაინც არსებობს. ამრიგად, პერიფერია შეიძლება ცდილობდეს, შეასუსტოს ცენტრზე თავისი დამოკიდებულება რაიმე ფორმით, თვითმმართველობის ისეთი ფორმების ძიებით, როგორებიცაა ავტონომია ან ფედერალური ურთიერთობა. დამოკიდებული მდგომარეობის ურთიერთობათა შესუსტების საშუალებები სხვადასხვაა — ცენტრის საქმიანობაში ჩართვიდან მის მიერ გადაწყვეტილებათა მიღებისას (ფედერაციის შექმნის გზით) ცენტრთან გათანაბრებული საერთაშორისო საზოგადოების მიერ აღიარებული სუვერენული სახელმწიფოს შექმნამდე (მაგალითად, კონფედერაცია).

[12] Strassoldo, p.50.

დე ფაქტო სახელმწიფოს შექმნა, რომლის განსაზღვრებაც შეიცავს გარკვეულ ტერიტორიაზე კონტროლს[13] — საერთაშორისო საზღვრების შეცვლა — როცა სეპარატისტული მოძრაობა წარმატებულია აღიარების მიღწევით, შეიძლება შედეგიანი იყოს თავის სახელმწიფოში უმრავლესობისა და უმცირესობათა ურთიერთობის მოსაგვარებლად, აგრეთვე ძალაუფლების გარერეგიონული წონასწორობისათვის.[14] სეპარატისტულმა მოძრაობამ შეიძლება გამოიწვიოს საერთაშორისო წყობის შეცვლა და მისი ცენტრისკენ მიმართვა, მაშინ, როცა დამოკიდებული ურთიერთობა გადადის ერთი ცენტრიდან მეორეზე, ან მრავალფეროვანი ცენტრების შექმნით გამოიწვიოს დამოკიდებულ ურთიერთობათა გადაზრდა შედარებით პლურალისტურ ერთიანობებში.

---

[13] ტერიტორიის კონტროლი მნიშვნელოვანია სახელმწიფოს განსაზღვრებისთვის — დე ფაქტო სახელწიფოების ჩათვლით იურიდიული და პოლიტიკური მეცნიერებების ლიტერატურის მიხედვით. 1993 წელს მიღებული მონტევიდეოს კონვენციის I თავის თანახმად, "სახელმწიფო როგორც საერთაშორისო სამართლის პირი უნდა ფლობდეს შემდეგ მონაცემებს (კვალიფიკაციას): ა) მუდმივი მოსახლეობა; ბ) განსაზღვრული ტერიტორია; გ) ხელისუფლება და დ) უნარი სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობისა." იხ. Avalon Project at Yale Law School, Documents in Law, History and Diplomacy, 20th Century Documents, Convention on Rights and Duties of States (inter-American), December 26, 1933, http://www.yale.edu/lawweb/avalon/intdip/interam/intam03.htm#art1. სკოტ პეგი იძლევა დე ფაქტო სახელმწიფოს უფრო ფართო განმარტებას: "სინამდვილეში, დე ფაქტო სახელმწიფო არსებობს იქ, სადაც არსებობს ორგანიზებული პოლიტიკური ხელმძღვანელობა, რომელიც სათავეში მოვიდა ადგილობრივი საშუალებების გარკვეული დოზით გამოყენებით; რომელსაც გააჩნია საზოგადოების მხარდაჭერა და რომელსაც შესწევს ძალა, უზრუნველყოს გარკვეულ ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობა სახელმწიფო სერვისით, რაზეც ეფექტური კონტროლი ხანგრძლივად ხორციელდება.დე ფაქტო სახელმწიფო საკუთარ თავს განიხილავს, როგორც უნარიან სახელმწიფოს, ურთიერთობა დაამყაროს სხვა სახელმწიფოებთან, შესაბამისად, მოითხოვს სრულ კონსტიტუციურ დამოუკიდებლობასა და თავისი სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარებას". იხ. Scott Pegg. De Facto States in the International System. Working Paper no. 21 (Vancouver: Institute of International Relations, The University of British Columbia, February 1998), p. 1, http://www.iir.ubc.ca/pdffiles/webwp21.pdf. ix.: Scott Pegg. International Society and the De Facto State (Aldershot, UK: Ashgate, 1998) è Dov Lynch. Engaging Eurasia's Separation States: Unresolved Conflicts and De Facto States (Washington, DC: United States Institute of Peace Press, 2004).

[14] იხ. Prevelakis

მოდელის გამოყენება

სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის სხვადასხვა ტიპის ურთიერთობანი ხასიათდება საქართველოს საშინაო ცენტრ-პერიფერიის თავისებურებით. ყოველი ამ ტიპისათვის პოლიტიკური ძალაუფლება მოქმედებს სივრცით საზღვრებში. **პირველი** სახელმწიფოს მიმართ სახელმწიფოს დამოკიდებულებაა, სადაც საქართველოს მთავრობა წარმოადგენს საერთაშორისოდ აღიარებულ სახელმწიფოს, სამხრეთ ოსეთი და აფხაზეთი კი — დე ფაქტო სახელმწიფოებს. **მეორე,** საქართველოს მოქმედი კონსტიტუცია ადგენს ფედერალურ ურთიერთობას თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის.[15] **მესამე,** მხედველობაში უნდა იქნას მიღებული რეგიონალიზაციის პროცესი საქართველოში. "რაიონებმა", რომლებიც შეიქმნა შევარდნაძის რეჟიმის დროს და სადაც საპრეზიდენტო ძალაუფლებას ადგილობრივ დონეზე ე. წ. გუბერნატორები წარმოადგენენ, ვერ მიიღეს შესაბამისი კონსტიტუციური სტატუსი. რაიონულ დონეზე თვითმმართველობის საკითხი "ვარდების რევოლუციის" შემდეგაც პოლიტიკური დღის წესრიგში დარჩა.[16] **მეოთხე,** არსებობს რაიონები

---

[15] საქართველოს კონსტიტუციის თავი 3.3.-ში შეტანილ ცვლილებაში ნათქვამია: "აჭარის ავტონომიის სტატუსი განისაზღვროს საქართველოს კონსტიტუციური კანონით." 2004 წლის მაისამდე, როცა აჭარის ლიდერი ასლან აბაშიძე განდევნილი იქნა, მსგავსი კანონი საქართველოს პარლამენტს არ მიუღია. 2004 წლის 7 ივლისს მიიღეს, კანონი აჭარის სტატუსზე, რომელიც რეგიონს ანიჭებს ნომინალურ ავტონომიას, მაგრამ ფორმალურად ამოწმებს მის, როგორც ავტონომიური რესპუბლიკის მდგომარეობას. საქართველოს პოლიტიკაზე აჭარაში იხ. International Crisis Group. Saakashvili's Ajara Success: Repeatable Elsewhere in Georgia? // Europe Briefing, August 18, 2004, http://www.crisisgroup.org/home/index.cfm?id=2907&l=1. აჭარის კონსტიტუციურ სტატუსზე იხ. The Report of the Committee on the Honouring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe (Monitoring Committee), Parliamentary Assembly, Council of Europe, Honouring of Obligations and Commitments by Georgia, Doc. 10383, December 21, 2004, particularly pp. 3, 10-11, http://assembly,coe,int/Documents/WorkingDocs/doc04/EDOC10383.htm. 2002 წელს., ოფიციალური სტატისტიკური მონაცემებით, აჭარის მცხოვრებთა რაოდენობა შეადგენდა 376 016 ადამიანს.

[16] საქართველოს რეგიონალიზაციის პრობლემურობაზე იხ. Bruno Coppieters, Tamara Kovziridze, and Uwe Leonardy, "Federalization of Foreign Relations: Discussing Alternatives for the Georgian-Abkhaz Conflict," Caspian Studies Program Working Paper no.2, (Cambridge, MA: Caspian Studies Program, Harvard University, October 2003), p.16, http://bcsia.ksg.harvard.edu/publication.cfm?program=CORE&ctype=paper&item_ id=405

ეროვნული უმცირესობებით, მაგალითად, აზერბაიჯანთან მოსაზღვრე ქვემო ქართლის რაიონი (აზერბაიჯანელები), სამცხე-ჯავახეთი (სომხები), განსაკუთრებით ახალქალაქი და მისი შემოგარენი, პანკისის ხეობა (ჩეჩნების მონათესავე ქისტები). ამ უმცირესობათა ინტეგრაცია საქართველოს სახელმწიფო სტრუქტურებში სუსტია. მათ მიერ პოლიტიკური ავტონომიის მოთხოვნამ შეიძლება საქართველოს სახელმწიფოს დაქუცმაცება გამოიწვიოს. ყველა ამ შემთხვევაში არსებობს სივრცითი პრობლემა უსაფრთხოების პრობლემატიკის თვალსაზრისით: აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი შეადგენს საქართველოს ტერიტორიის 15%-ს, ხოლო სხვა ეროვნული უმცირესობანი — საქართველოს მოსახლეობის 16.3%-ს.[17]

ცენტრ-პერიფერიის იგივე კონცეპტუალური სქემა შეიძლება გამოვიყენოთ კავკასიაში "საერთაშორისო წესრიგის" მიმართ, განსაკუთრებით "პერიფერიული" უსაფრთხოების პოლიტიკის შემთხვევაში, რასაც საქართველო ავითარებდა წარმატებულ პრეზიდენტთა ხელმძღვანელობით მოსკოვის, ვაშინგტონისა და ბრიუსელის მიმართ.[18] აქვეა სივრცით განზომილებათა გამოყენებაც. საქართველო აღიქმება, როგორც ერთადერთი ცენტრი შიდა პერიფერიების მიმართ და როგორც პერიფერია საერთაშორისო ცენტრების მიმართ. ცენტრ-პერიფერიის ეს ორმაგი სტანდარტი საშუალებას გვაძლევს, ჩავწვდეთ შიდა და საერთაშორისო უსაფრთხოების ურთიერთკავშირს, რაც საქართველოს სამივე პრეზიდენტის რეჟიმების დროს ემუქრებოდა.[19]

---

[17] იხ. გია ნოდიას ნაშრომი წინამდებარე კრებულში.

[18] ქართული კულტურის როლის ანალიზისთვის საქართველოს საგარეო პოლიტიკაში იხ. Stephen Jones, "The Role of Cultural Paradigms in Georgian Foreign Policy," in Rick Fawn, ed., *Ideology and National Identity in Post-Communist Foreign Policies* (London: Frank Cass, 2004), PP. 83-110.

[19] ამ შემთხვევაში ცენტრ-პერიფერიის მოდელი გამოიყენება სივრცულად დაფუძნებული უსაფრთხოების წინააღმდეგ მიმართულ საშიშროებაზე.ეს არ გამორიცხავს ამავე მოდელის გამოყენებას იმ საფრთხეების წინააღმდეგ, რომელიც წარმოიშობა კორუფციის, სახელმწიფო სტრუქტურებისა და სიღარიბის კრიმინალიზაციის ან სამოქალაქო-სამხედრო ურთიერთობების საფუძველზე, რომელთაც სივრცული განზომილება აქვთ.ყველა ამ სახის საშიშროებებს უთუოდ უარყოფითი გავლენა ჰქონდა საქართველოსა და მისგან გამოყოფილ ტერიტორიებზე.

წინა თავებში გაკეთებული ანალიზი იძლევა იმის საფუძველს, რომ შევამოწმოთ ვარაუდები, რომლებსაც იყენებს ცენტრ-პერიფერიის მოდელი: საქართველოს საშინაო უსაფრთხოების პოლიტიკის გათვალისწინებით, შემცირდა თუ არა ცენტრსა და პერიფერიას შორის ცვლილებები პერიფერიისგან გასხვავებით ცენტრში ვითარების ცვლილების გამო? საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოების პოლიტიკის გათვალისწინებით, მოსკოვში, ვაშინგტონსა და ბრიუსელში განხორციელებულ ძირეულ პოლიტიკურ ცვლილებებს უფრო ძლიერი გავლენა აქვთ თბილისზე თუ იმ მოვლენებს, რაც საქართველოში ხდება?

ამ მოსაზრებების უშუალო შედეგი მომავალში საქართველოს პოლიტიკის არჩევაზე შესაძლოა იყოს, მაგალითად, განდგომილი პროვინციების მიერთება ან ევროპის კავშირთან დაახლოება. წარმატებული მოლაპარაკებები სამრეთ ოსეთის და აფხაზეთის პოლიტიკურ სტატუსზე ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება პოლიტიკურ დინამიკაზე სოხუმსა და ცხინვალში,[20] მაგრამ უფრო მეტად — თბილისში მიმდინარე პროცესებზე. დასავლეთის ორგანიზაციებში — ნატოსა და ევროკავშირში საქართველოს შესვლა აგრეთვე დიდად არის დამოკიდებული მის უნარზე, ჩაატაროს რეფორმები სახელმწიფო სტრუქტურებში. მაგრამ უფრო მეტად დამოკიდებულია ამ ორგანიზაციების უნარზე, საქართველოს პრობლემები განიხილონ პერიფერიული სახელმწიფოს ჭრილში.

ცენტრ-პერიფერიის მოდელში საქართველოს უსაფრთხოების დასამყარებლად წარმოდგენილი მოსაზრებანი არ ნიშნავს, რომ სეპარატისტული კონფლიქტი აღქმული იქნება, როგორც სამხრეთ კავკასიაში მთავარ გარეშე მოქმედ მხარეთა შორის ძალთა ბალანსის ცვლილება. პირიქით, ცენტრ-პერიფერიის მოდელის გამოყენება საქართველოში სეპარატისტული კონფლიქტის ანალიზისათვის ფოკუსირდება ცენტრის როლზე საერთაშორისო ურთიერთობებში – მხედველობაშია ის მოქმედი მხარეები, რომლებიც ახორციელებდნენ საქართველოზე ზეწოლას საგარეო პოლიტიკური კურსის არჩევისას. აგრეთვე მხედველობაში მიიღება საქართველოს სახელმწიფო

[20] აფხაზები წერენ "სუხუმ"-ს, ქართველები – "სოხუმს" ან "სუხუმს"=ს ინგლისურენოვან პუბლიკაციებში. ოსები იყენებენ "ცხინვალ"-ს, მაშინ, როცა ქართველები ამჯობინებენ "ცხინვალი"-ს.

პოლიტიკა. მაგრამ მთავარი გასაღები ცენტრსა და პერიფერიას შორის საშინაო კონფლიქტების გადასაწყვეტად საქართველოს ცენტრის გარდაქმნაა.

საქართველოში საფრთხისა და მთლიანად კავკასიაში არასტაბილურობის თანხვედრა გამოიხატა ცენტრიდან დაშორებული ორი პერიფერიის მოძრაობაში. პირველი, საქართველოს ცენტრს წინ აღუდგა პერიფერია უწინდელი საბჭოთა ავტონომიის ერთეულის მოთხოვნით, ერთი მხრივ, მეორე მხრივ, კონფრონტაციაში აღმოჩნდნენ ეროვნული უმცირესობანი. ეს გამომწვევი მოთხოვნები შეიძლებოდა გადაჭრილიყო პერიფერიის ცენტრთან ინტეგრირებით, პოლიტიკური წარმომადგენლობებით, უმცირესობათა უფლებებით ან ფედერალური მოწყობით. ისინი შეიძლება მივაკუთვნოთ კონფრონტაციის პოლიტიკას. ეს, რა თქმა უნდა, ასუსტებს ცენტრს, თუ სეპარატისტულ ერთეულებს შეუძლია, ისარგებლონ ამ სისუსტით და შექმნან ახალი სუვენერული ცენტრი. დღემდე ცენტრმა თბილისში ვერ შეძლო ურჩი პერიფერიების შემოერთება ან კონფრონტაციის პოლიტიკის საშუალებით მათი დამორჩილება. პერიფერიაში განზე გამდგარმა "სახელმწიფოებმაც" ვერ შეძლეს საქართველოდან თავის დაღწევა მათი სუვერენობის საერთაშორისო აღიარებით.

მეორე, კონფლიქტური მდგომარეობა, რომელიც შეიძლება შეფასდეს, როგორც ცენტრისგან განდგომის მოძრაობა, არსებობს ინტერნაციონალურ დონეზე: საქართველო მტკიცედ იცავს თავის პერიფერიულ სტატუსს მოსკოვთან მიმართებაში, როცა ითხოვს დასავლეთის ორგანიზაციებში გაერთიანებას. ის ცდილობს, შეიცვალოს ერთ ცენტრზე დამოკიდებულის სტატუსი დიდ ევროატლანტიკურ სივრცეში მრავალ ცენტრზე დამოკიდებულებით. საქართველოს ნატოში და ევროკავშირში გაწევრიანებისკენ მისწრაფება მიანიშნებს ამ სურვილზე. მოსკოვი ამ მოთხოვნაზე ინტეგრაციისა და კონფრონტაციის დახლართული პოლიტიკით რეაგირებდა. ასეთ შემთხვევაში ცენტრმა ვერ შეაჩერა პერიფერიების ჩამოცილების პროცესი. მაგრამ ვერც პერიფერიამ შეძლო, დაესრულებინა თავისი გათავისუფლება ცენტრზე დამოკიდებულებისაგან სხვა ცენტრთან მიმართებით, მაგალითად, ნატოსთან ან ევროკავშირთან. საქართველო დასავლეთის უსაფრთხოების სისტემის აღქმით კვლავ პერიფერიად რჩება. მისი ღრმა არასტაბილურობა

შეიძლება გაგებული იქნას, როგორც პერიფერიის ორი უნაყოფო ცდის შედეგი, შეეცვალა თავისი ურთიერთობა ცენტრთან — ერთ შემთხვევაში ნაციონალური, ხოლო მეორე შემთხვევაში — საერთაშორისო. ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობაში ინტეგრაციისა და კონფრონტაციის ორი პირობა არსებობს.

ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობის სხვა ტიპები იძლევა სასარგებლო ანალიტიკურ ინსტრუმენტს საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკის გასაგებად. მაგალითად, სახელმწიფო და ეროვნული სტრატეგიის შეფარდებითი მშენებლობისას, რაც საქართველომ გამოიყენა ავტონომიების მიმართ მათ მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საინტერესოა, გავიგოთ არა მარტო ის განზომილება, თუ რომელ კონფრონტაციულ პოლიტიკას ეფუძნებოდა ეს სტრატეგია, არამედ ისიც, თუ რამდენად იღებდნენ სხვა არჩევანს მხედველობაში. ამ თვალსაზრისითმრავალი კითხვა შეიძლება გაჩნდეს. რა მოცულობით განიხილავდნენ ავტონომიურ ერთეულებს ნაციონალური ელემენტები გამსახურდიას, შევარდნაძის ან სააკაშვილის დროს საზღვრების დარღვევისას, სადაც ეროვნულ უმცირესობათა ან გარე ძალების მძაფრ კონფრონტაციას ჰქონდა ადგილი? შეიძლება ამჟამინდელი კონფლიქტის ჩაწყნარებისას ეს ავტონომიური ერთეულები ოდესმე წარმოდგენილი ყოფილიყო , როგორც პოტენციური შემაკავშირებელი რგოლი სხვა რეგიონებთან მთელ კავკასიაში, რაც ხელს შეუწყობდა თურქეთთან, რუსეთთან ან ჩრდილო კავკასიის სხვა რეგიონებთან თანამშრომლობას? მეორე მხრივ, ისწრაფვოდნენ კი ეს ავტონომიური ერთეულები, მაგალითად, აჭარა, აფხაზეთი ასეთი როლისაკენ? მსგავსი კითხვები იბადება საერთაშორისო ურთიერთობათა დონეზე, როცა საქართველო განიხილება პერიფერიად და ცენტრი განლაგებულია ვაშინგტონში, ბრიუსელში ან მოსკოვში. რა პოლიტიკას მიმართავს ბრიუსელი და ვაშინგტონი საქართველოს, როგორც აზია-ევროპის შემაერთებლის მხარდასაჭერად?

ნაციონალური ან ინტერნაციონალური დონეები შეკავშირებულია მასშტაბით, რომლის მიმართაც "ეროვნული გეგმა" ამ მრავალეროვან სახელმწიფოში, ნოდიას თანახმად, შემოფარგლულია ქართველ ერსა და პერიფერიის ერებს შორის კონფრონტაციით ისევე, როგორც ქართული პერიფერია და რუსეთის ცენტრი. რა საშინაო შედეგი აქვს ვაშინგტონის მხრიდან საქართველოსადმი დამოკიდებულებას,

ქვეყნისადმი, რომელიც ესაზღვრება ირანს ან ქვეყნისადმი, რომელმაც ვერ შეძლო დაემყარებინა კონტროლი თავის ტერიტორიაზე და კარს უღებს ტერორისტულ ელემენტებს? ბოლოს, შეიძლება დაიბადოს კითხვა: რა მასშტაბისაა საქართველოს პოლიტიკის ბუნება შიდა პერიფერიებთან მიმართებაში რუსეთში, შეერთებულ შტატებში ან ეუთოში მიმდინარე გარდაქმნათა ფონზე?

ამ შრომის ავტორებმა არ ჩამოაყალიბეს თავიანთი ანალიზი ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობათა ცნებებისა, მაგრამ საამისოდ მასალა კი მოგვცეს. ამრიგად, წიგნი წარმოგვიდგა "დაშრევებული" სახით. შიდა შრეები უკავშირდება ნაციონალური უსაფრთხოების მოთხოვნის საშინაო და ისტორიულ წყაროებს, გარე შრეები — მოთხოვნის გარე წყაროებს, რუსეთის, დასავლეთის ჩათვლით, სხვა შრეების და პრობლემების კომპლექსური კონფიგურაცია გარემოს ძალიან ართულებს.

საქართველოს ნაციონალური გეგმის ანალიზისას ნოდია განიხილავს ორივე შრეს, რაც მოიცავს ეროვნულისა და ცენტრის მიერ თავისი პერიფერიის კონტროლის უნიფიკაციას, ერთი მხრივ, მეორე მხრივ — დასავლეთთან სრულ ინტეგრაციას. ორივე შრე მეტ-ნაკლები სიცხადითაა ჩართული ამ წიგნის ყველა სხვა მსჯელობაში მაშინაც კი, როცა მთავარი ყურადღება გადატანილია უსაფრთხოების შიდა ან გარე წყაროებზე.

ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობა საქართველოს საშინაო დონეზე

ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობა საქართველოს საშინაო დონეზე მოიცავს განსხვავებულ დამოკიდებულებებს თბილისსა და სხვადასხვა ტერიტორიულ ავტონომიებს შორის, როგორებიცაა ტერიტორიულად კონცენტრირებული ეროვნული უმცირესობანი. შიდაურთიერთქმედების ზოგიერთი ფორმა შესაბამისობაშია ამ კონტექსტთან. პირველი, კონფრონტაციაა ეროვნულ საზოგადოებებს შორის, რაც მოხდა სამრეთ ოსეთისა და აფხაზეთის პერიფერიებში და რამაც გამოიწვია სრულმასშტაბიანი ომი ცენტრთან. 2003 წლამდე კონფრონტაციით ხასიათდებოდა ურთიერთობა თბილისსა და აჭარას შორის. მოხერხდა კონფრონტაციისათვის თავის

არიდება, მაგრამ დარჩა გარკვეული საფრთხე ტერიტორიულად კონცენტრირებულ უმცირესობებთან. მეორე, ვერ მოხერხდა საქართველოს პერიფერიების გაერთიანება სახელმწიფო და ეროვნული მოწყობის ღონისძიებებში. ცენტრის ხელისუფალთ აკლდათ პოლიტიკური ნება, წასულიყვნენ რადიკალურ კომპრომისებზე, რათა მოეგვარებინათ კონფლიქტი პერიფერიაში, რადგან ასეთ კომპრომისებს შეიძლება დაეკარგა საშინაო ლეგიტიმურობა ან გამოეწვია სახელმწიფო არასტაბილურობის სხვა მიზეზები. მესამე, მიუხედავად კრიზისის მრავალგზის აფეთქებისა, რაც გამოწვეულია საქართველოს ეროვნული მოწყობის შეუძლებლობით, შიდაურთიერთქმედება ცენტრსა და პერიფერიას შორის ხასიათდება გაურკვევლობით. ეს გამომდინარეობს კონფრონტაციის პოლიტიკისა და კომპრომისიდან. მეოთხე, არ ხდება პერიფერიის, როგორც სხვა რეგიონებსა და სახელმწიფოებთან დამაკავშირებელი რგოლის, პოტენციალის გამოყენება. შიდაურთიერთქმედებისა ოთხივე ნიმუში ეროვნული რაობის შექმნისა და გარდაქმნის ელემენტებს წარმოადგენს.

ცენტრ-პერიფერიის მოდელი უშვებს, რომ შიდაურთიერთქმედებაში ცვლილებები დაპირისპირებულ მხარეთა შორის უფრო მძიმე ფორმას მიიღებს ცენტრში ცვლილებებით, ვიდრე პერიფერიაში. ეს ნიშნავს, რომ, მაგალითად, ძალაუფლებაში გამსახურდიას, შევარდნაძისა და სააკაშვილის მონაცვლეობით მოსვლა უფრო მძიმე დარტყმა იყო თბილისსა და პერიფერიას შორის ურთიერთობაზე, ვიდრე პერიფერიაში რომელიმე პოლიტიკური ცვლილება. დაპირისპირებულ მხარეთა შორის ასიმეტრიული და იერარქიული ურთიერთობა გულისხმობს, რომ ურთიერთობის ყოველ ცვლილებას უფრო ღრმა ეფექტი აქვს პერიფერიაზე, ვიდრე ცენტრზე. საქართველოში ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობაში მომხდარი დრამატული ცვლილებები გულისხმობს დამოუკიდებლობის პერიოდში გარდაქმნათა ამაო მცდელობას და, შესაბამისად, თბილისის იმედგაცურებას, კონტროლი დაემყარებინა სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთზე; იგივე შეიძლება ითქვას 2003 წლის "ვარდების რევოლუციის" შედეგებზე აჭარისა და სამხრეთ ოსეთისათვის.

საბჭოთა პერიოდი

საბჭოთა პერიოდში გაცხადებული მიზანი იყო ინტეგრაცია, მთავარი მახასიათებელი ნიშანი — დომინირება, საბოლოოდ კი

ეთნოფედერალური კონფრონტაცია. საბჭოთა კავშირი წარმოდგენილი იყო, როგორც სხვადასხვა ერების ინტეგრაცია, რომლებიც თავმოყრილი იყვნენ მეფის იმპერიული მმართველობის ქვეშ. ნაგულისხმევი იყო, რომ კომპლექსური ფედერალური წყობა, რომელიც მოიცავდა მმართველობის ზეეროვნულ დონეს და ფედერალურ ერთეულთა ხსვადასხვა ფორმებს (მოკავშირე თუ ავტონომიური რესპუბლიკები, ავტონომიური მხარეები), მოაგვარებდა (ან გადაჭრიდა) ნაციონალური თვითგამორკვევის პრობლემას. მოსკოვსა და მოკავშირე რესპუბლიკებს შორის ურთიერთობა წარმოადგენდა პირველ დამაკავშირებელ რგოლს ცენტრ-პერიფერიას შორის. მეორე რგოლი იყო ურთიერთობა ამ კავშირსა და ავტონომიურ რესპუბლიკას შორის. მოკავშირე რესპუბლიკასა და ავტონომიურ რეგიონებს შორის ურთიერთობა კავშირის მესამე ფორმას წარმოადგენდა. საბჭოთა ცენტრი ყველა ამ ურთიერთობის მთავარ გამგებლად რჩებოდა.

საბჭოთა ეთნოფედერალური წყობილება დაინგრა. მოიშალა სუვერენობის განაწილებაც, რაც ფედერაციულობის მთავარ ნიშანს წარმოადგენდა. ნოდია ამ სტრუქტურას აღწერს, როგორც კვაზი-ფედერალურს, სადაც სუვერენობის გამოყენება, ფაქტობრივად, ხორციელდებოდა ცენტრალიზებული გზით — კომუნისტური პარტიის მეშვეობით. კონფრონტაცია კავშირის მეორე და მესამე რგოლის დონეებზე ნაციონალურ ერთობებს შორის საბჭოთა ცენტრის დაშლის შედეგი იყო. მეტიც, როცა კონფრონტაცია დაიწყო, საბჭოთა ეთნოფედერალური ტრადიციები ძალას მატებდა სეპარატისტებს და ეხმარებოდა ნაციონალისტურ ელიტას.[21]

აფხაზეთმა და სამხრეთ ოსეთმა თავიანთი იდენტურობა გამოხატეს საქართველოს ხელისუფლებასთან ოპოზიციაში დგომით. ამავე დროს მათ კონფლიქტი ჰქონდათთავიანთ ტერიტორიაზე მყოფ ქართველ მოსახლეობასთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ საქართველოს მთავრობა გულხელდაკრეფილი ვერ უყურებდა ამ კონფლიქტს თავის პერიფერიაში. ამ მოთხოვნების პარალელურად

[21] ეთნოფედერალიზმის გამაერთიანებელ მიზნებსა და დაცალკევების შედეგებზე იხ. Henry E. Hale, “Divided We Stand. Institutional Sources of Ethnofederal State Survival and Collapse,” *World Politics*, vol. 56 (January 2004), pp. 165-193 and Nancy Bermeo, “Position Paper for the Working Group on Federalism, Conflict Prevention, and Settlement,” წარმოდგენილი ფედერალიზმის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე, ბრიუსელი, 2005 წლის 3-5 მარტი.

ის ეძებდა საშუალებას, რომ აღედგინა საქართველოს კულტურული და პოლიტიკური კონტროლი მთელ ტერიტორიაზე, რაც დაკარგა საბჭოთა პერიოდში.

აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთზე საქართველოს ტერიტორიული მოთხოვნები დროითი განზომილებით იყო გამართლებული. საქართველოს ისტორიული წყაროების მიხედვით, ეს ტერიტორიები თავდაპირველად დასახლებული იყო ქართველური ტომებით და დროთა განმავლობაში მათგან ჩამოყალიბდა ქართული მოსახლეობა.[22] სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართველები "ადგილობრივი" ძირძველი მოსახლეობაა, ოსები კი გვიან — ჩამოსახლებული მას შემდეგ, რაც მათ მიგრაცია განიცადეს ჩრდილოეთ ოსეთიდან რამდენიმე საუკუნის წინ. წარმოშობის მიხედვით ეს განსხვავება ქართველებს უპირატესობას აძლევს ოსებთან შედარებით, მიუხედავად დემოგრაფიული სურათისა მას შემდეგ, რაც ქართველების უმცირესობაში დარჩენის შემდეგ შეიქმნა. რაც შეეხება აფხაზეთს, საქართველოს კონტროლის გასამართლებლად სხვადასხვა არგუმენტებს იყენებენ, როცა აფხაზები ითხოვენ ავტოხთონურ სტატუსს: ბევრი ქართველის აზრით, ისინი არიან უმცირესობა (მოსახლეობის 18%, 1989) და რიცხობრიობა უფლებას არ აძლევს მათ, ჭარბად იყვნენ წარმოდგენილი რესპუბლიკის ინსტიტუტებში, არც განსაკუთრებულ პოლიტიკურ პრივილეგიებს ანიჭებს, როგორც წამყვან ერს.

მეტიც, ყველა ქართველი ნაციონალისტი როდი იზიარებს იმ თვალსაზრისს, რომ აფხაზები ავტოხთონური ერია. 1954 წელს ისტორიკოსი მეცნიერი პავლე ინგოროყვა მხარს უჭერდა აზრს, რომ აფხაზები აფხაზეთის ძირძველი მოსახლეობა კი არ არის, არამედ გადმოსულნი არიან ჩრდილოეთ კავკასიიდან. მის მოსაზრებას ბევრი მიმდევარი ჰყავს საქართველოში. ის უარყოფს აფხაზების უფლებას, ითვლებოდნენ პირველად ერად და უკანონოდ თვლის პოლიტიკაში მათ ჭარბად წარმოდგენას.

[22] Bruno Coppieters, "In Defense on the Homeland: Intellectuals and the Georgian-Abkhazian Conflict," in Bruno Coppieters and Michel Huysseune, eds., *Secession, History, and the Social Sciences* (Brussels: VUB University Press, 2002), p.105, http://poli.vub.ac.be/.

აფხაზების მსჯელობა აფხაზთაეთნოგენეზისის შესახებ შეიცავს მოწოდებას სუვერენიტეტის შესახებ. მათი ისტორიკოსები უარყოფენ აფხაზეთში ქართველთა ძირძველი ერის სტატუსს და მათ განიხილავენ, როგორც მიგრანტებს. ისინი იმოწმებენ ცარიზმისა და საბჭოთა მიგრაციულ პოლიტიკას, რამაც აფხაზი მოსახლეობა უმცირესობად აქცია.[23] აფხაზები ეყრდნობიან ამ ისტორიულ ინტერპრეტაციას, რათა გაამართლონ აფხაზთა განსაკუთრებული სტატუსი, აგრეთვე საერთაშორისო სუვერენობის მოთხოვნა. ამას იმიტომაც იყენებენ, რომ უკანონოდ ცნონ ქართველთა მოთხოვნა მმართველობაში პროპორციული წარმომადგენლობის შესახებ.

გამსახურდია

საბჭოთა ინსტიტუტების დასუსტებასთან ერთად ქართველები და აფხაზები შეეცადნენ, ახალი ფორმა მიეცათ ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობისათვის თავიანთი ნაციონალური გეგმების მიხედვით. ეს კონფრონტაციული გეგმები დაპირისპირებულ მხარეთა მსჯელობებში ეფუძნებდა ისტორიულ უსამართლობას, ეროვნულ რაობას და სახელმწიფო სუვერენობას. ქართველთა თვალთახედვით, ფედერალიზმისადმი საბჭოთა მიდგომა და ფედერალურ ერთეულთა შექმნა საქართველოში მიზნად ისახავდა ქვეყნის დაყოფას და მათი სუვერენობის შეჩერებას. აფხაზები და ოსები, როგორც საქართველოს რესპუბლიკის ფედერალური ერთეულების მცხოვრები ტიტულარული ერები, ეწინააღმდეგებოდნენ აღნიშნულ დამოკიდებულებას, როგორც შევიწროებისა და დისკრიმინაციის ფორმას. მათ ეშინოდათ, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა ბოლოს მოუღებდა იმ შეზღუდვებს, რაც საბჭოთა ცენტრმა დაუწესა საქართველოს ნაციონალიზმს. როგორც ნოდიამ წარმოადგინა, ეს უფრო ასატანი იყო ამ ორი უმცირესობისათვის, ვიდრე სხვა მცირე ჯგუფებისათის, რომლებსაც არ გააჩნდათ ავტონომიური სახელმწიფო ინსტიტუტები, რომ ჩამოეყალიბებინათ თავიანთი საჩივარი, ნაციონალური გეგმა,

[23] იხ. სხვადასხვა ნაშრომებში: George Hewitt, ed., *The Abkhazians* (Richmond, UK:Curzon, 1999).

თავი მოეყარათ ეროვნული რესურსებისათვის და გარედან მიეღოთ მხარდაჭერა, რათა წინ აღდგომოდნენ ცენტრს.

ნაციონალისტურ ძალთა მოკრებას ადგილი ჰქონდა საქართველოს ცენტრში, ოსებსა და აფხაზებში. მან მიიღო ცალმხრივი მოძრაობის ფორმა, რაც შეესაბამებოდა მსგავს მოძრაობებს სხვა მხარეს. ასე მაგალითად, სუვერენობის ან დამოუკიდებლობის ცალმხრივი გამოცხადება, არჩევნების ჩატარება, რომელშიც სხვა მხარე უარს ამბობდა მონაწილეობაზე, კონსტიტუციური ცვლილებები, რომელსაც მეორე მხარე არ ცნობდა, ახალი ენის შემოღება, რაც ზრდიდა ერთი ენისა და კულტურის მნიშვნელობას და აკნინებდა მეორე მხარის სტატუსს, ზოგჯერ ხდებოდა ძალის გამოყენებაც.

ამ კონფრონტაციაში უხეშ დარღვევათა აღზევება საქართველოს ცენტრსა და პერიფერიაში ცალმხრივ ქმედებათა ნაწილს შეადგენდა და შეიძლებოდა გაგებულიყო, როგორც მრავალგვარ ფაქტორთა შედეგი. დავით დარჩიაშვილი მიუთითებს, რომ საბჭოთა ცენტრის დასუსტებამ საშუალება მისცა, შექმნილიყო პარამილიტარული ერთეულები, რომლებსაც კავშირი ჰქონდა შიდაეთნიკურ კონფლიქტებთან 1980-იანი წლების ბოლოს. საქართველოს ხელისუფლებამ ვერ შეძლო, თავისი ერის მხარეს მდგარი პარამილიტარული ჯგუფების ერთგულება სახელმწიფო ინსტიტუტებისაკენ მიემართა. ქრისტეფორ ციურხერის აზრით, ეს სიტუაცია ქმნის ხელსაყრელ გარემოს “მოვაჭრეთა ძალადობისათვის”, გამოიყენონ ძალადობა თავისი სარგებლის საძიებლად. გამსახურდია იყენებდა ამ ძალებს თავისი პოლიტიკური ძალაუფლებისათვის და აწარმოებდა ომს სამხრეთ ოსეთში. მაგრამ საქართველოს სახელმწიფოს სისუსტის გამო ვერ შეძლო, კონტროლი გაეწია ამ მოქმედებისათვის ან, ბოლოს და ბოლოს, თავიდან აეცილებინა მის წინააღმდეგ მათი მოქმედება.

საქართველოს ეროვნული გეგმა და ნაციონალისტური მობილიზაცია დამოუკიდებლობის დროს არ უწყობდა ხელს ისეთ პოლიტიკას, რომელიც საშუალებას მისცემდა პერიფერიებს, ემოქმედა, როგორც შემაერთებელ რგოლს სხვა ცენტრებთან. როგორც თომას დე ვაალმა აღნიშნა, გამსახურდია იცავდა უჩვეულო იდეას კავკასიელი ხალხის ეთნიკური და კულტურული ბაზისის თაობაზე, მაგრამ ვერ გამოიჩინა პრაქტიკული ინიციატივა რეგიონული ინტეგრაციისათვის. ასეთ ინიციატივას საქართველოს პერიფერიები

უნდა ჩაერთო თანამშრომლობის ჩარჩოებში. კონფრონტაცია სამხრეთ ოსეთში ხელს უშლიდა რეგიონთან თანამშრომლობას. აფხაზეთის შემთხვევაში გამსახურდია ხელს უწყობდა იმ აზრის დამკვიდრებას, რომ აფხაზი არ იყო ძირძველი ეთნოსი იმ ტერიტორიაზე, ის გადმოსული იყო ჩრდილოეთ კავკასიიდან.[24] საზღვრისმიერი ურთიერთქმედება გამოიხატებოდა მხოლოდ შეიარაღებული დაპირისპირების დონეზე. სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში ომის დროს ორივეს შეიარაღებული მხარდაჭერა ჰქონდა მონათესავე ხალხისა და პოლიტიკური მოკავშირეების მხრიდან საქართველოს საზღვრის გარედან.

შევარდნაძე

1992 წლის იანვარში გამსახურდიას განდევნას და საქართველოში შევარდნაძის დაბრუნებას რამდენიმე თვის შემდეგ დრამატული შედეგი მოჰყვა თბილისის პერიფერიებთან დამოკიდებულების თვალსაზრისით. შევარდნაძის მიერ ძალაუფლების მოპოვებამ რუსეთის დახმარებით ხელი შეუწყო ოსეთში ომის შეწყვეტას. 1992 წელს შევარდნაძის მიერ აფხაზეთში შეჭრის მთავარი აზრი მისი ნაციონალისტური განწყობის დემონსტრირება იყო იმ დროს, როცა მუქარა გრძელდებოდა გამსახურდიას მხრიდან, რომელმაც დასავლეთში თავი მოუყარა შეიარაღებულ ჯგუფებს. ციურხერი შენიშნავს, რომ 1992 წლის აგვისტოს ომამდეც კი აფხაზეთში შიდასაზოგადოებრივი ძალადობა შეინიშნებოდა, მაგრამ მას ფართო მასშტაბის სამოქალაქო ომის ფორმა არ მიუღია. ასეთი ომი ცენტრის ჩარევის შედეგად მოხდა.

გამსახურდიას ერთგული შეიარაღებული ჯგუფები დამარცხდნენ მხოლოდ აფხაზეთის ომის შემდეგ 1993 ოქტომბერში და ისეც რუსეთის ჩარევის შედეგად. ტერიტორიის დიდი ნაწილის დაკარგვის მიუხედავად, შევარდნაძის მთავრობამ შეძლო სახელმწიფოებრიობის ელემენტების აღდგენა. “განსაცდელის ჟამის” ბოლო, როგორც ციურხერი ამბობს, სიმბოლიზებული იყო 1995 წლის კონსტიტუციის

[24] იხ. Coppieters, in Coppieters and Huysseune, eds., pp.91-94.

მიღებით და მთავრობის ძალაუფლების განმტკიცებით. საპარლამენტო ორგანიზაციები დაკნინდა ან შეერია ახალ შეიარაღებულ ძალებს.

მრავალეროვანი საქართველოს ერთ სახელმწიფოდ გაერთიანება გახდა შევარდნაძის რეჟიმის მთავარი მოთხოვნა. მარცხი აფხაზეთში, საქართველოს არმიის სისუსტე, რუსეთის უარი, ძალით გადაეჭრა საკითხი, მხოლოდ დიპლომატიის არჩევანსღა ტოვებდა, რომ გადაეჭრა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სტატუსის საკითხი. მოლაპარაკებები მალე ჩიხში შევიდა და ამ მხრივ დღემდე არაფერი შეცვლილა.

საქართველოს მიდგომა კვლავ გაერთიანებისადმი მოიცავს ასიმეტრიულ ფედერალურ მოდელს, რომელშიც აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი აჭარასთან და საქართველოს სხვა რაიონებთან ერთად მიიღებს სხვადასხვა დონის ავტონომიებს. ეს მიუღებელია სეპარატისტთა ლიდერებისთვის. ასეთი ფედერალური კავშირი, მათი აზრით, დამოკიდებულებას მუდმივ ურთიერთობად აქცევს. აგრეთვე მუდმივი იქნება კონფრონტაცია ცენტრსა და პერიფერიებს შორის. აფხაზეთის ლიდერები, თავის მხრივ, უპირატესობას ანიჭებენ კონფედერაციას ან “თავისუფალ ასოცირებულ სახელმწიფოს” საქართველოსთან. ორივე არჩევანი საშუალებას მისცემს აფხაზეთს, აღიარებული იქნას, როგორც საერთაშორისო სამართლის სრულუფლებიანი სუბიექტი და შეინარჩუნოს თავისი სუვერენიტეტი თუ გამოყოფის ცალმხრივი უფლება. ეს ძირეულად შეცვლის ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობას საქართველოში. თბილისმა უარყო ეს პოზიცია, რამდენადაც იგი ქვეყნის ერთიანობის შენარჩუნებისათვის მიუღებლად ჩათვალა.

აფხაზეთში ცენტრისა და პერიფერიის კონფრონტაცია დარჩა მთავარ საკითხად შევარდნაძის მმართველობის დროს. 1999 წელს აფხაზეთის ლიდერებმა დაიკავეს რადიკალური პოზიცია და მოითხოვეს, რომ დამოუკიდებლობა ან ასოცირებული დამოკიდებულება რუსეთის ფედერაციასთან იყო ერთადერთი მისაღები პოზიცია. მოლაპარაკების გაჭიანურების სანაცვლოდ საქართველოს ხელისუფლება ძალის გამოყენებით იმუქრებოდა. იგიფარულად ეხმარებოდა აფხაზეთში მოქმედ პარტიზანებს. საქართველოსა და

აფხაზეთის ხელისუფლება 1997 წლიდან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ ეკონომიკურ თანამშრომლობაზე და ორივე მხარისათვის საინტერესო საკითხში შეთანხმდებოდნენ, კონფრონტაციასაც თავიდან აიცილებდნენ.[25] მაგრამ აფხაზეთის სტატუსის საკითხი მკვდარი წერტილიდან ვერ დაიძრა — ვერც ეკონომიკური და ვერც სხვა სახის თანამშრომლობით.

ეკონომიკური ინტეგრაციის განვითარების პოლიტიკა სამხრეთ ოსეთში უკეთესი აღმოჩნდა, ვიდრე აფხაზეთში. ამ შემთხვევაში პოლიტიკური სტატუსის საკითხმა ეკონომიკური ინტეგრაციის ყველა ძალისხმევა დაჩრდილა. შევარდნაძის მთავრობასა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებაში დავის მთავარ საკითხს პასპორტები და სამგზავრო საბუთები წარმოადგენდა. სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელებისათვის ეს საქმე მნიშვნელოვანი იყო რუსეთის ფედერაციასთან ვაჭრობისა და კომუნიკაციისათვის. სამხრეთ ოსეთის ლიდერებმა ითხოვეს ნებართვა, თავად გამოეშვათ პირადობის მოწმობები და სხვა იურიდიული საბუთები, მაგრამ საქართველოს მთავრობამ ამისგანხორციელება არ დაუშვა.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პერსპექტივიდან გამომდინარე, რუსეთის მიმდებარე საზღვართან ვაჭრობა უნდა გაუმჯობესდეს, სანამ საბოლოო პოლიტიკური შეთანხმება იქნება მიღწეული. რუსეთის რეგიონებთან, განსაკუთრებით კი ჩრდილოეთ კავკასიაში გახშირებული კონტაქტი, მათი აზრით, სასარგებლო იქნება არა მარტო მათი ეკონომიკური განვითარებისათვის, არამედ გააუმჯობესებს მათ ბერკეტებს საქართველოს ხელისუფლებასთან მოლაპარაკებისას. შევარდნაძის პერიოდში ლეგალური რეჟიმის არქონავერ შეაჩერებს სამხრეთ ოსეთის გავლით დიდი რაოდენობის საქონლით ვაჭრობას, რომლის უმეტესობა კონტრაბანდა იქნება. შევარდნაძის მთავრობა უპირატესობას ანიჭებს ტოლერანტობას ასეთ ინიციატივებთან შედარებით და ზოგჯერ განიხილავს მათ, როგორც ქართველებსა და ოსებს შორის თანამშრომლობის სასარგებლო ფორმას, როგორც იმის დასაბუთებას, რომ ქართველებსა და ოსებს შორის ეთნიკური შუღლი არ არსებობს.

[25] აღნიშნულთან დაკავშირებით იხ. Coppieters, Kovziridze, and Leonardy.

როგორც ნოდია ხსნის, თბილისსა და აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკას შორის დაძაბულობა არ გამომდინარეობს სეპარატიზმის მოთხოვნიდან ან ნაციონალური იდენტურობის გამო შექმნილი კონფლიქტიდან. მისი თვალსაზრისით, არსებობს მკვეთრი განსხვავება ზემოთ განხილულ ორ შემთხვევას შორის. ცენტრ-პერიფერიის კონფლიქტი ამ შემთხვევაში მომდინარეობს აჭარის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის, ასლან აბაშიძის მიერ თბილისის მთავრობის არცნობიდან. ფისკალურ საქმეებში აჭარა ნებას არ რთავს თბილისს, აკონტროლოს საბაჟო თურქეთის საზღვარზე და არ რიცხავს თანხას წლიური შემოსავლიდან. უსაფრთხოების სფეროში აბაშიძე მჭიდროდ თანამშრომლობდა აჭარაში განლაგებულ რუსეთის ბაზასთან და ქმნიდა დამოუკიდებელ, ადგილობრივ შეიარაღებულ ძალებს. დარჩიაშვილის მიხედვით, 2003 წელს აჭარას ჰქონდა 20 ტანკი, საბრძოლო მანქანები, ვერტმფრენები, სანაპირო კატერები და საგანგებო შეიარაღებული ერთეულები.

პერიფერიიდან მოსული ლიდერები შეიძლება წარმოგვიდგნენ, როგორც პატრიოტები და აჩვენონ უპირობო ერთგულება ნაციონალური საკითხის მიმართ. ასეთი იყო აბაშიძის საქმე. როგორც ნოდიამ აღნიშნა, იგი არასოდეს იცავდა აჭარის ეროვნულ გეგმას, სამაგიეროდ "უყვარდა თავის წარმოდგენა, როგორც საქართველოს ერთიანობის ეროვნული ლიდერისა" ან შეეძლო გამხდარიყო გავლენიანი პოლიტიკური ფიგურა ნაციონალურ დონეზე არჩევნების გზით, განსაკუთრებით ხმების გაყალბებით და არასასურველ ამომრჩეველთა არდაშვებით. ასეთი საარჩევნო მანიპულაციები ბევრ ადგილს აძლევდა მის პარტიას საქართველოს პარლამენტში.

აჭარას ინტენსიური სავაჭრო ურთიერთობა ჰქონდა მეზობელ თურქეთთან, მან ხელი მოაწერა რამდენიმე ორმხრივ შეთანხმებას რუსეთის ფედერაციის რეგიონებთან და, როგორც ევროპის რე-

[26] 1985 წელს შექმნილი ევროპის რეგიონის ასამბლეა (ერა) არის ფორუმი, რომელიც ხელს უწყობს ევროპის 30 ქვეყნის 250 რეგიონს შორის თანამეგობრობას. 2004 წლის ნოემბერში აჭარა და საქართველოს ორი რეგიონი (იმერეთი და შიდა ქართლი) იყვნენ ერა-ს წევრები, ორ რეგიონს კი (გურია და კახეთი) დამკვირვებლის სტატუსი ჰქონდა. იხ. http://www.are-regions-europe.org/.

გიონული ასამბლეის წევრი, კავშირებს ამყარებდა ევროპის სხვა რეგიონებთან.[26] აჭარა იყო პირველი რეგიონი კავკასიაში, რომელიც სერიოზულად შეეცადა, გაერთიანებულიყო ინტერრეგიონული თანამშრომლობის პანევროპულ ქსელში. მაგრამ აჭარას ხელი მოეცარა იმაში, რომ შემაერთებელი რგოლის როლი ეთამაშა სხვა ქვეყნებთან ან რეგიონებთან, რადგან ბათუმმა და თბილისმა ვერ შეძლეს ფედერალური ურთიერთობის გაფორმება და, მაშასადამე, საბაჟოს საქმე ან აჭარის საერთაშორისო ლეგალური სტატუსის გადაწყვეტა. მეტიც, შიდა კონფლიქტი თბილისსა და აჭარას შორის წარმოებდა საერთაშორისო დონეზე. მაგალითად, აჭარის წევრობას ევროპის რეგიონულ ასამბლეაში სწრაფად მოჰყვებოდა იმერეთის მხარის წევრობა, რომლის მმართველიც საქართველოს პრეზიდენტის რწმუნებული იყო ამ ასამბლეაში. თბილისმა ეს ნაბიჯი გადადგა ბათუმის მცდელობის წინააღმდეგ საერთაშორისო დონეზე. საქართველოს ამ ორი რეგიონის წარმომადგენლები მალე წაეკიდნენ ერთმანეთს და ღიად აჩვენეს შიდაუთანხმოება. ამან ხელი შეუშალა ევროპის რეგიონული ასამბლეის სხვა წევრებთან თანაშრომლობას.

ცენტრსა და აჭარას შორის კონფრონტაციისათვის საკმარისი ნიადაგი არსებობდა, მაგრამ შევარდნაძეს და აბაშიძეს საერთო ინტერესები გააჩნდათ, რამაც შესაძლებელი გახადა მათ შორის პოლიტიკური შეთანხმების მიღწევა. მაგალითად, აჭარის ლიდერი დაჰპირდა შევარდნაძეს პირად მხარდაჭერას საპრეზიდენტო არჩევნებში 2000 წლის აპრილში, თუ საქართველოს კონსტიტუციაში შეიტანდნენ დასახელებას "აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა". შევარდნაძის შეხედულება სახელმწიფოს მომავალ ფედერალიზაციაზე იყო კიდევ ერთი ფაქტორი, რომელმაც შეაჩერა ბათუმსა და თბილისს შორის ნორმალიზაცია. შევარდნაძის აზრით, ბათუმთან ფედერალური კავშირის მოწესრიგებას მოჰყვებოდა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეინტეგრაცია. შევარდნაძის სურვილის არქონა, მოეწესრიგებინა ეს საკითხი, ეფუძნებოდა ცენტრისგან დე ფაქტოდ გამოყოფილი აჭარის წინაშე უძლურებას. მისი შედარებითი ინდიფერენტულობა თავისი რეჟიმის გასულ წლებში გამოწვეული იყო საქართველოს პარლამენტის ოპოზიციასთან უთანხმოებით.

შევარდნაძის მეთაურობით განიხილებოდა რეგიონალიზაციის საკითხი, მაგრამ რეფორმები სადავო და გადაუჭრელი რჩებოდა. აჭარისა და აფხაზეთის გარდა, საქართველო შედგება ათი რეგიონისაგან, რომლებიც, თავის მხრივ, დაყოფილია რაიონებად.[27] პრეზიდენტის რწმუნებული (მისი წარმომადგენელი) ან გუბერნატორი ფლობს დიდ ძალაუფლებას უფრო დაბალი ერთეულების მიმართ რაიონულ და მუნიციპალურ დონეებზე. დემოკრატიზაციის პროცესი და სახელმწიფოს განმტკიცება 1990-იანი წლების მეორე ნახევარში მარცხით დამთავრდა, რადგან რეგიონებში ვერ დაამყარეს შესაბამისი კონსტიტუციური სტატუსი და თვითმმართველობა. გადაუჭრელი სეპარატისტული კონფლიქტი რეჟიმის ერთი მთავარი არგუმენტი იყო ცენტრალურ მთავრობასა და რეგიონულ ხელისუფლებას შორის დემოკრატიული ძალაუფლების გაყოფის საკითხში. თბილისი დაჟინებით მოითხოვდა, რომ ასეთი რეფორმა უნდა გადადებულიყო, სანამ საქართველოს მთლიანობა არ აღდგებოდა. შევარდნაძეს ეშინოდა, კონტროლი არ დაეკარგა მმართველობის დაბალ დონეებზე, განსაკუთრებით საარჩევნო პროცესზე, რომელშიც გუბერნატორები რეგულარულად ერეოდნენ.

საქართველოს მომავალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობის შესახებ კამათში "რაიონისტები" ეწინააღმდეგებოდნენ "რეგიონალისტებს". რაიონისტებისთვის კონტროლი უნდა ყოფილიყო ცენტრალური, რათა შეენარჩუნებინა სახელმწიფოს სტაბილურობა და გადაერჩინა არსებული რეჟიმი. მათ სჯეროდათ, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატიზმი და სტაბილურობის საფრთხე შეუძლებელს ხდიდა რადიკალურ რეფორმებს.

[27] ათ რეგიონს წარმოადგენს (აჭარისა და აფხაზეთის გამოკლებით) შემდეგი: (1) იმერეთი (669 666 მცხოვრები), (2) ქვემო ქართლი (497 530), (3) სამეგრელო და ზემო სვანეთი (466 100), (4) კახეთი (407 182), (5) შიდა ქართლი (სამხრეთ ოსეთის გამოკლებით, 314 039), (6) სამცხე-ჯავახეთი (207 598), (7) გურია (143 357), (8) მცხეთა-მთიანეთი (125 443), (9) რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი (50 969), (10) თბილისი (1 081 679).მოცემული მონაცემების მოწოდებისათვის მადლობა მინდა გადავუხადო გია ნოდიას, რომელსაც, თავის მხრივ, მონაცემები საქართველოს სახელმწიფო სტატისტიკის დეპარტამენტისგან აქვს მიღებული.

“რეგიონალისტების” მიხედვით, არადემოკრატიული საარჩევნო პრაქტიკისათვის რეგიონულ დონეზე უფრო ძნელი იქნებოდა, შეენარჩუნებინათ რეგიონული დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი თვითმმართველობა. ორივე მიმდინარეობა წარმოდგენილი იყო საქართველოს მთავრობასა და პარლამენტში. შევარდნაძის რეჟიმის ბოლომდე ღრმა რეფორმები, რომელსაც “რეგიონალისტები” მოითხოვდნენ, შეუძლებელი ჩანდა.

შევარდნაძის დროს, გამსახურდიას პერიოდისაგან განსხვავებით, ეთნიკურ უმცირესობას აღარ მიაწერდნენ “სტუმრის” საშიშ სტატუსს. შევარდნაძის რეჟიმმა ვერ შეძლო, განევითარებინა ერთიანი ცივილური კონცეფცია საქართველოს მოქალაქეობისა და ეროვნების საკითხებთან დაკავშირებით. უმცირესობათა ელიტას მუდმივად მფარველობდა ცენტრი. ეს საბჭოთა წყობილების დროს მუდმივს ხდიდა პოლიტიკური ლოიალობის სანაცვლოდ ელიტაში კორუფციის დათმენას.

სააკაშვილი

პოლიტიკურმა მმართველობამ, რომელმაც ძალაუფლება აიღო საქართველოში “ვარდების რევოლუციის” შემდეგ, ბრძოლა გამოუცხადა კორუფციას, მიზნად დაისახა ევროატლანტიკურ ბლოკში გაერთიანება, რუსეთთან ნორმალური ურთიერთობის დამყარება და თავისი პოლიტიკით დღის წესრიგში დააყენა ქვეყნის გაერთიანება. ახალი ლიდერების აზრით, შევარდნაძისდროინდელი ხელმძღვანელობა ცრუ დაპირებებს იძლეოდა ამ საკითხებზე.ახალი მთავრობა ეძიებდა რადიკალურ ცვლილებებს. ერთი შეხედვით, ისე ჩანდა, რომ ეროვნული გაერთიანების საკითხში თვალსაჩინო შედეგების მიღწევა იყო შესაძლებელი. ერთხელ კიდევ, როგორც სააკაშვილის ორი წინამორბედის შემთხვევაში, პროგრესი მიღწეული უნდა ყოფილიყო კონფრონტაციის პოლიტიკის მეშვეობით. სააკაშვილი დარწმუნებული იყო, რომ ახალი რეჟიმი კავშირს გაწყვეტდა ძველ რეჟიმთან აჭარის მიმართ განსხვავებული პოლიტიკით, რომლის ლიდერიც ძლიერ ოპოზიციაში ედგა “ვარდების რევოლუციას”. სააკაშვილმა

იმარჯვა და 2004 წლის მაისში აბაშიძე აიძულა, დაეთმო ძალაუფლება.[28]

შევარდნაძის მიერ პრიორიტეტების განხილვისას აფხაზეთის საკითხი პირველ პლანზე იქნა წამოწეული, რასაც მოჰყვა სამხრეთ ოსეთი და აჭარა. სააკაშვილმა შეაბრუნა ეს მიდგომა. აჭარაში მისი წარმატების შემდეგ ახალი რეჟიმი კონფრონტაციაში შევიდა სამხრეთ ოსეთთან, გამოიყენა ძალა და თან დახმარების ხელი ჰქონდა გაწვდილი სამხრეთ ოსეთის მოსახლეობისაკენ. როგორც სამხრეთ ოსეთის შესახებ საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის მოხსენება აღწერს, საქართველოს მთავრობა ერთმანეთს ანაცვლებდა "შეტევით სიხარბეს" ელიტის დონეზე, "დუხჭირთა მზრუნველობას" მოსახლეობის დონეზე.[29]

სამხრეთ ოსეთსა და მის მიდამოებში 2003 წლის დეკემბერში დაიწყო და 2004 წლის მაისში გაძლიერდა ანტიკონტრაბანდული ოპერაციები . ყველაზე თვალსაჩინო მცდელობა იყო ძალისმიერი

[28] იმის გასაგებად, თუ რატომ არ ჰქონდა აბაშიძეს რუსეთის სრული მხარდაჭერა სააკაშვილთან კონფრონტაციის დროს 2004 წლის მაისში, საჭიროა განვასხვაოთ რუსეთის დამოკიდებულება კონფლიქტებისადმი საქართველოში ეროვნულ დასახლებებს შორის, ერთი მხრივ და შიდა-ქართულ დაპირისპირებებში, მეორე მხრივ. სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის ეთნიკურ კონფლიქტებში რუსეთმა ეროვნულ უმცირესობათა მხარე დაიჭირა, მაშინ როცა მოსკოვმა შედარებით ფრთხილი პოზიცია დაიკავა შიდაქართული კონფლიქტების ძალადობაში გადაზრდის დროს. იგი არ შეეცადა საქართველოს საშინაო მდგომარეობის სტაბილიზაციას განდევნილი პრეზიდენტის მომხრე სამხედრო ძალებისადმი დახმარების გაწევით მაშინ, როცა გამსახურდიას წინააღმდეგ განხორციელდა პუტჩი 1991 წლის ბოლოს. შემდგომში, 1993 წლის ბოლოს მან მხარი დაუჭირა შევარდნაძეს პროგამსახურდიას სამხედრო ძალების წინააღმდეგ, მაშინ, როცა საქართველო ძლიერი კი არა, შევარდნაძის თქმით, "დაჩოქილი" იყო. 2003 წლის ნოემბერში რუსეთმა თავი შეიკავა შევარდნაძის წინააღმდეგ რევოლუციური ძალების მობილიზაციაში მონაწილეობისაგან, აგრეთვე, 2004 წლის მაისში მან უარი განაცხადა, სამხედრო ძალით დახმარებოდა ასლან აბაშიძის რეჟიმს აჭარაში, პირიქით, აბაშიძის მიერ ქვეყნის დატოვების მედიატორიც გახდა.ეს განსხვავება ორი ტიპის კონფლიქტს შორის შეიძლება აიხსნას საქართველოში ტოტალური დესტაბილიზაციის შიშით. რუსეთისთვის შიდაქართულ კონფლიქტში ჩარევა უფრო დიდი რისკი იქნებოდა, ვიდრე სეპარატისტულ კონფლიქტებში მონაწილეობა.

[29] International Crisis Group,"Georgia: Avoiding War in South Ossetia," *Europe Report*, no. 159, November 26, 2004, pp. 11-12, http://www.icg.org/home/index.cfm?1=1.

დაშინება შეიარაღებული ძალების შეყვანით და ერგნეთის ბაზრის დაშლა, რომელიც ფუნქციონირებდა, როგორც სავაჭრო პუნქტი რუსეთსა და საქართველოს შორის. ეს ვაჭრობა, რომელშიც ჩართული იყვნენ ოსები და ქართველები, ძველი რეჟიმის მიერ ითვლებოდა, როგორც მოსახლეობათა შორის კონტაქტის გაუმჯობესების გზა. შესაბამისად, ფიქრობენ, რომ ამას ჰქონდა ხანგრძლივი დადებითი ეფექტი თბილისის მიერ კონფლიქტის მოგვარების ღონისძიებებისათვის. სააკაშვილის მთავრობის თვალსაზრისით, ამ ბაზრის პირველადი ეფექტი ის იყო, რომ ეკონომიკა კრიმინალური გახდა და კონფლიქტის მოგვარებას ხელი შეეშალა. მეტიც, ამან მოშალა საქართველოს ბიუჯეტი და ხელი შეუშალა საბაჟო და საგადასახადო რეფორმებს. შევარდნაძის ინდიფერენტულობის მიზეზი, ახალი ხელმძღვანელების აზრით, ის იყო, რომ საქართველოს გავლენიანმა წრეებმა საკმაო მატერიალური სარგებელი ნახეს ამ ვაჭრობიდან.

ამავე დროს, საქართველოს ახალმა მთავრობამ გააძლიერა ფიზიკური ზეწოლა სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელებზე, აგრევე დაჰპირდა ოსურ მოსახლეობას პენსიების გადახდას, ამოქმედდა ტელე და რადიო გადაცემები ოსურ ენაზე. სააკაშვილი და მისი მომხრეები საყვედურობდნენ იმას, რომ საქართველო-ოსეთის კონფლიქტი გამოწვეული იყო უფრო ძარცვის სურვილით, ვიდრე გულწრფელი წუხილით და, ამდენად, სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელებს აკლდათ სახალხო ლეგიტიმურობა. მათ მიაჩნდათ, რომ მოსახლეობისათვის მცირე დათმობებით შეცვლიდნენ ხალხის გაჭირვებას.

ამ ინიციატივებმა შედეგი ვერ გამოიღო: სამხედრო დაპირისპირება 2004 წლის აგვისტოში შეიარაღებულ შეტაკებამდე მივიდა, რასაც მოჰყვა მსხვერპლი, განსაკუთრებით, ქართველთა მხარეზე. აქედან გამომდინარე, სააკაშვილმა გადაწყვიტა, შეეწყვიტა კონფრონტაცია და გამოეყვანა ქართული ჯარი კონფლიქტის ზონიდან.[30] ავტონომიურ დონეზე, როგორც დამიენ ჰელი და გიორგი გოგია აღნიშნავენ, ერგნეთის ბაზრის დაკეტვამ დაფანტა კრიმინალური ჯგუფები, მაგრამ ვერ შეცვალა ადგილობრივი მო-

[30] იხ. Ghia Nodia, “Europeanization and (Not) Resolving Secessionist Conflict, *Journal on Ethnopolitics and Miorit Studies in Europe*, issue 1 (2004), http://www.ecmi.de/jemie

სახლეობის ეკონომიკური მდგომარეობა. ამრიგად, შეიარაღებული კონფრონტაცია სამხრეთ ოსეთის ხელისუფლებთან და იმის ცდა, რომ შეეკავშირებინა ადგილობრივი მოსახლეობა, ამაო გამოდგა. საერთაშორისო კრიზისის ჯგუფის მოხსენების თანახმად, კონფლიქტის რემილიტარიზაციამ შეაფერხა მცირე ხნის შედარებითი პროგრესი.

სიტუაციამ სამხრეთ ოსეთში ძირეულად გააუარესა თბილისთან ურთიერთობა, რაც ხაზს უსვამს სამხრეთ ოსეთის სტატუსს, როგორც სამუდამო პერიფერიას. საქართველოსთან ვაჭრობის მოშლის გამო ის მთლიანად დამოკიდებული გახდა სხვა ცენტრზე, რუსეთზე. ამჟამად მოსკოვი მხარს უჭერს ოსების ბიუჯეტს, ინფრასტუქტურას და საპენსიო სისტემასაც კი.[31]

დარჩიაშვილი აღწერს, თუ როგორ მივყავართ განდგომილი მხარეებისგან ცენტრალური ხელისუფლების ჩამოცილებას მათი ავტორიტეტის დაცემასთან მეზობელ ტერიტორიებზე. მსგავსი რამ ხდება საქართველო-აფხაზეთის ცეცხლის შეწყვეტის ხაზთან მიმდებარე ტერიტორიაზეც. ახალი მთავრობა ცდილობდა, ემართა აფხაზეთის ტერიტორიაზე მოქმედი პარტიზანული ჯგუფები და სდევნიდა მათ კრიმინალური მოქმედების გამო. ოქსანა ანტონენკოს მიხედვით, პოლიტიკის მოქმედებამ ამ ჯგუფების წინააღმდეგ 2004 წლის თებერვალში გააუმჯობესა უსაფრთხოების მდგომარეობა საქართველოსა და აფხაზეთში.

სააკაშვილის რეჟიმის მცდელობის მიუხედავად, გადაეწყვიტა საქართველოს ნაციონალური გაერთიანების პრობლემა, აღმოჩნდა, რომ ცალმხრივი ღონისძიებები ვერ მუშაობს აფხაზეთის შემთხვევაში. სამხედრო დონეზე მოქმედებათა განხორციელება, როგორც ეს იყო სამხრეთ ოსეთში, ვერ ხდებოდა რუსეთის სამშვიდობო ძალების გამო. აფხაზებისათვის ეკონომიკური დათმობისა და ხელსაყრელი პირობების შეთავაზება მოითხოვდა ურთიერთშეთანხმების სტრუქტურას, რაც იმ დროს შეუძლებელი იყო. მცირე ხნის შემდეგ აფხაზეთი გამოეყო საქართველოს და ყოველი სა-

[31] ინტერვიუები, რომლებიც "საქართველო-ოსეთის დიალოგის" დამსწრეებთან ჩატარდა სამხრეთ ოსეთიდან მოწვეულ პირველ ექსპერტთა შეხვედრაზე, 2005 წლის 15-19 მარტს, ბრნოში, სლოვენიაში. შეხვედრა ორგანიზებული იყო ოქსანა ანტონენკოს მიერ, სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტიდან.

სარგებლო სავაჭრო კავშირი საქართველოსა და აფხაზეთს შორის გამკაცრდა.

სოციალური, კულტურული და ეკონომიკური შიდაურთიერთქმედებანი აფხაზეთსა და საქართველოს შორის დარტყმას აყენებდა სახელმწიფო და ეროვნული მშენებლობის პროცესს აფხაზეთში. ამით აიხსნება ის, რომ საქართველოსთან მოლაპარაკება არავითარ როლს არ თამაშობდა საპრეზიდენტო არჩევნების დროს აფხაზეთში — 2004 წლის 3 ოქტომბერს, არც იმ კრიზისში, რაც შემდეგ გამოვლინდა. ამ არჩევნებში ორი კანდიდატიდან არც ერთი არ გამოხატავდა უთანხმოებას აფხაზეთის სუვერენიტეტის შესახებ ან საქართველოს მიმართ დადებით პოზიციას. ეს იყო პერიფერია, რომელიც ცენტრის მიმართ გამოხატავდა ინდიფერენტულობას, რაც აისახა ამ ურთიერთობათა ბუნებაში ძირეული ცვლილებებით და აფხაზეთის დამოუკიდებლობის კურსის შეცვლით რუსეთის ცენტრისადმი. საქართველოს შეეძლო, მხოლოდ პრეტენზია ჰქონოდა, რომ ცენტრად ჩათვლილიყო აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ძალაუფლების გავრცელებით, აფხაზეთის საერთაშორისო აღიარების ბლოკირებით და მკაცრი უსაფრთხოების დაფუძნებით. ანტონენკო შენიშნავს, რომ რუსეთი შუამავლობდა 2004 წელს აფხაზეთში საპრეზიდენტო არჩენვების დროს შეთანხმებას ორ კანდიდატს შორის, რჩებოდა ერთადერთ გარეგან ძალად, რომელიც პირდაპირ გავლენას ახდენდა აფხაზეთის საქმეებზე. ის ფაქტი, რომ რუსეთის მიერ შერჩეული კანდიდატი ვერ გახდა პრეზიდენტი, ნათლად უჩვენებს მისი ძალის ზღვარს. რუსეთსა და აფხაზეთს შორის ურთიერთობა, მაშასადამე, ასიმეტრიულიცაა და იერარქიულიც, მაგრამ არა სრულად დამოკიდებული.

რაც შეეხება პერიფერიების შემოერთებას, საქართველოს ახალმა რეჟიმმა წამოსწია ნაციონალური იდენტურობის, ნაციონალური მოწყობისა და მოქალაქეობის იდეა, რაც განსხვავდებოდა მათ წინამორბედთა ნაციონალისტური იდეოლოგიისაგან, რამდენადაც ისინი აღიზარდნენ საბჭოთა რეჟიმის დროს. ამრიგად, ამ შემთხვევაში განხვავებულია სააკაშვილისა და მის წინამორბედის პოლიტიკა. საბჭოთა პერიოდის განმავლობაში შევარდნაძე, როგორც კომპარტიის ლიდერი, იცავდა "ორთოდოქსულ" ნაციონალურ პოლიტიკას. ქართული ენის დაცვაზე მისი პოზიცია საბჭოთა კონტექსტში იყო

ორთოდოქსული. გამსახურდია, მთავარი დისიდენტი საბჭოთა რეჟიმის დროს, წარმოადგენდა “არაორთოდოქსული” ნაციონალიზმის მიმდევარს. ის აკრიტიკებდა მრავალ დათმობას, რომელსაც ახორციელებდნენ საბჭოთა (საქართველოს ჩათვლით) ხელისუფლები ნაციონალურ უმცირესობათა მიმართ. ორივე ბანაკი შეთანხმდა, რომ საქართველოს ტიტულარული ერი დაიცავდა თავის კულტურულ ჰეგემონიას სხვა ერებზე საქართველოს რესპუბლიკაში.

როგორც პრეზიდენტმა, გამსახურდიამ გააკეთა დათმობა აფხაზების, როგორც ტიტულარული ერის მიმართ, მაგრამ ეს ინტეგრაციის ცდა ძალაუფლების განაწილების საბჭოურ ტრადიციაში არ ითვალისწინებდა ძალაუფლების გამოყოფას ისევე, როგორც პოლიტიკურ დიფერენციაციას ეროვნულ საზოგადოებაში. 1991 წელს მან აფხაზეთის ლიდერებს შესთავაზა, მიეღოთ საარჩევნო კანონი, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა ეთნიკურ კვოტაზე. ეს მათ ისეთსავე ჭარბი წარმომადგენლობის გარანტიას აძლევდა, როგორც საბჭოთა რეჟიმის დროს გააჩნდათ. აფხაზეთის მხარემ ეს წინადადება მიიღო და დააწესეს მომავალი ადგილობრივი არჩევნები, მაგრამ ვერ შეძლეს კონფლიქტის მშვიდობიანი მოგვარება ორ მთავარ ეროვნულ ერთობას შორის. შევარდნაძე აფხაზეთში მარცხის შემდეგ სხვა გზით ეძებდა კომპრომისს განდგომილ სახელმწიფოებთან და ეროვნულ უმცირესობებთან, რომლებიც კვლავ საბჭოთა ტრადიციებით ცხოვრობდნენ. 1995 წელს შევარდნაძემ რამდენჯერმე შესთავაზა აფხაზ და ოსურ მხარეს, შეექმნათ ასიმეტრიული ფედერალური სახელმწიფო. მისი წინადადებები ძირითადად გამოხატავდა ავტონომიური უფლებების საბჭოურ პრაქტიკას ტერიტორიულად კონცენტრირებული უმცირესობებისათვის, ხოლო მათ ელიტას ანგარიშს არ უწევდა. ის არ ფიქრობდა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო ფედერალური მექანიზმები, რაც საბჭოურ ტრადიციებს სცილდებოდა და არ გააჩნდა იმის გაგება, თუ რა როლს შეასრულებდა მრავალპარტიული სისტემა სახელმწიფოს ერთიანობის მხარდაჭერაში. განდგომილი ქვეყნის ლიდერები მის წინადადებას “წარსულისკენ დაბუნებას” უწოდებდნენ.

ახალი ხელმძღვანელობა სააკაშვილის მეთაურობით და უმეტესად დასავლეთში განათლებამიღებული ელიტა უფრო პლურალისტურად მსჯელობდა პერიფერიის შემოერთების ცივილურ

სტრატეგიაზე და ეროვნულ მშენებლობაზე. მაგრამ დარჩიაშვილი და ნოდია ხაზს უსვამენ წინააღმდეგობას ლიბერალურ და დემოკრატიულ გადახრებს ახალი ელიტისა და ფართო პოპულარულ ტრადიციულ-ნაციონალისტურ გრძნობებსა და საქმიანობას შორის, რასაც ისინი უნდა ებრძოდნენ. უნდა აღინიშნოს ერთი რამ, რომ ახალი ელიტის შიში რადიკალურად არ განსხვავდება წინამორბედთა შიშისგან. ახალი ხელმძღვანელობა კვლავ ძველი დილემის წინაშე დგას: როგორ დაუკავშიროს საბჭოთა ეთნოფედერალური პრაქტიკა დემოკრატიულ ფორმებს, როცა დემოკრატიაზე დაფუძნებული ფედერალიზმი მომავალში შეიძლება აღმოჩნდეს ქვეყნის დაშლის საშიშროების წინაშე.

შედეგად, როცა ადგენს საქართველოს, აფხაზეთის და სამხრეთ ოსეთის გამაერთიანებელი მომავალი ფედერალური სისტემის გეგმას, ახალი ხელმძღვანელობა უპირატესობას ანიჭებს ფედერალური მოწყობის თანამშრომლურ თავისებურებებზე ზეწოლას და არა აქვს სურვილი, ჩამოაყალიბოს კონსტიტუციური მექანიზმები, რომელიც ძალაუფლების განაწილების გარანტიას მისცემდა. უცხო ძალების ჩართვის აუცილებლობა, განსაკუთრებით რუსეთის ფედერაციისა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთისათვის უსაფრთხოების გარანტიის მიცემაში, წარმოშობს კიდევ ერთ პრობლემას, რაც გამოიხატება იმაში, რომ საქართველოს მთავრობა არჩევს, არ მიმართოს მათ.[32] გარდა ამისა, აფხაზებისა და სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელების უარი, განიხილონ საკითხი, თუ როგორ შეიძლება ფედერალურმა

[32] სამხრეთ ოსეთთან სამშვიდობო გეგმის თაობაზე გაკეთებულ მოხსენებაში ევროპის საბჭოს წინაშე სააკაშვილმა ეუთო დაახასიათა, როგორც "სამშვიდობო დამკვირვებელი", ევროკავშირი — როგორც "მშვიდობის გარანტი", ამერიკის შეერთებული შტატები – როგორც "მშვიდობის მხარდამჭერი" და რუსეთი – როგორც "სასურველი და კონსტრუქციული სამშვიდობო პარტნიორი". შესაძლოა, ეს ფორმულა რიტორიკულად კარგად ფორმულირებულია, თუმცა არანაირად არ იძლევა წარმოდგენას იმაზე, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა სხვადასხვა საერთაშორისო აქტორებმა პოლიტიკურად გამართლებულ სამშვიდობო გარანტიის სამომავლო მექანიზმის შექმნაში. იხ. Mikheil Saakashvili, "Address by the President of Georgia on the Occasion of the First Part of the 2005 Ordinary Session of the Council of Europe Parliamentary Assembly," Strasbourg, January 24-28, 2005, http://www.coe.int/T/E/Com/Files/PA-Sessions/janv-2005/Saakashvili.pdf.

მოწყობამ დაასუსტოს ან მოსპოს იერარქიული ურთიერთობა ეროვნულ ერთობლიობათა შორის და უზრუნველყოს საერთაშორისო უსაფრთხოების გარანტიები ფედერალურ სახელმწიფოთათვის, ხელს არ უწყობს პოლიტიკური წესრიგის დამყარებაში.

კიდევ უფრო საინტერესოა 2005 წლის იანვარში სააკაშვილის მიერ გამოთქმული წინადადება, სამხრეთ ოსეთის პოლიტიკური სტატუსის საკითხი დაუკავშირდეს რუსეთის ფედერაციასთან საზღვარზე თანამშრომლობას.[33] სააკაშვილის აზრით, სამხრეთ ოსეთის კონსტიტუციური ავტონომია უფრო ფართო იქნება, ვიდრე საბჭოთა კავშირის დროს და, მართლაც, უფრო ფართო, ვიდრე ამჟამად ჩრდილოეთ ოსეთი ფლობს ავტონომიას რუსეთის ფედერაციაში. სამხრეთ ოსეთის კომპეტენცია ადგილობრივი ეკონომიკის კონტროლი იქნება. სააკაშვილმა შემდეგ განაცხადა, რომ სამშვიდობო შეთანხმება შედეგად მოიტანს საზღვრის გადაჭრის გამარტივებას ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთს შორის და თავისუფალი ეკონომიკური ზონის შექმნას. მაგრამ ოსეთის ფედერალურ სტატუსზე ეს შეხედულებაიმ სახით, როგორც წარმოდგენილი იყო ევროსაბჭოს წინაშე, ძალიან ბუნდოვანია.

2004 წლის ივლისში საქართველოს პარლამენტმა მიიღო კონსტიტუციური კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ.[34] მან დაამტკიცა აჭარის ფედერალური ავტონომიურობა, მაგრამ, ამავე დროს, გამოხატა ხელმძღვანელობის შიში მმართველობის უფლებრივი პასუხისმგებლობის რეგიონული ერთეულებისათვის გადაცემის თაობაზე. ევროსაბჭო ეყრდნობა ვენეციის კომისიის მოხსენებას[35] და გამოხატავს შეშფოთებას უაღრესად

---

[33] იხ. Ñì . Liz Fuller. South Ossetia Rejects Georgian President's Offer of Autonomy // RFE/RL Caucasus Report, vol. 8, no. 4, January 28, 2005, http://www.rferl.org/reports/caucasus-report/2005/01/4-280105.asp და Saakashvili. Address by the President of Georgia.

[34] იხ. International Crisis Group. Saakashvili's Ajara Success: Repeatable Elsewhere in Georgia?

[35] იხ. European Commission for Democracy through Law (Venice Commission), Opinion on the Draft Constitutional Law of Georgia on the Status of the Autonomous Republic of Ajara, Adopted by the Venice Commission at its 59th Plenary Session (Venice, June 18-19, 2004), CDL-AD(2004)018, Strasbourg, June 21, 2004, http://66.102.9.104/search?q=cache:j1bAtuP3w4IJ:www.venice.coe.int/docs/2004/CDL-AD(2004)018e.asp+Opinion+on+the+draft+constitutional+law+of+Georgia+&hl=nl.

“შეზღუდული ავტონომიის” გამო. უფრო მეტად იმაზე, რომ “საქართველოს პრეზიდენტს შეუძლია, დაითხოვოს აჭარის უმაღლესი საბჭო, თუ ეს უკანასკნელი რამდენჯერმე უარყოფს, მიიღოს პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატი რეგიონის პრემიერ-მინისტრად და რომ მისი (უმაღლესი საბჭოს) წევრები ინიშნება თბილისში მინისტრების მიერ. ეს შეზღუდვები ამცირებს აჭარის სტატუსს ნომინალურ ავტონომიამდე მცირე პრაქტიკული შედეგით.”[36]

“ვარდების რევოლუცია”, მაშასადამე, ვერ მივიდა რადიკალურ რეფორმებამდე რეგიონალიზმის ან ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხში. ეს არის ნაწილობრივ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის პრობლემის გადაუჭრელობის ბრალიც. 2004 წლის ოქტომბერში პარლამენტმა დაამტკიცა ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტია, მაგრამ თავი შეიკავა იმ პარაგრაფის მიღებისაგან, რომელიც განიხილავს ადგილობრივი ხელისუფლების თანამშრომლობას სხვა ქვეყნის შესაბამის ორგანოებთან.[37] რეგიონის შესაძლებლობა, მომავალში იყოს შემაერთებელი რგოლი სხვა რეგიონებთან და ქვეყნებთან, ნაკლებად მიმზიდველია საქართველოს პოლიტიკური ელიტისათვის.

სააკაშვილმა შექმნა კომისია ტერიტორიულ-ადმინისტრაციული რეფორმისათვის ტერიტორიულ ორგანიზაციათა კომპლექსური სისტემის შესაცვლელად. მთავრობა აცხადებს, რომ მომავალში ადგილობრივ მმართველობაში ყველა წამყვანი ადგილი არჩევითი იქნება.[38] მაგრამ ეროვნულ უმცირესობათა ინტეგრაცია ერთ-ერთ რთულ საკითხად რჩება, განსაკუთრებით იმ რეგიონებში, სადაც ისინი გეოგრაფიულად არიან კონცენტრირებულნი. ნოდიას მიხედვით, ნაციონალურ უმცირესობათა რაოდენობა საქართველოს პარლამენტში 2004 წელს უმნიშვნელო იყო.

“ვარდების რევოლუციის” შედეგად ცენტრის ცვლილებამ ძლიერი დარტყმა მიაყენა პერიფერიას, მიუხედავად იმისა, რომ კონფრონ-

[36] Report of the Committee on the Honoring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe.

[37] Civil Georgia, October 26, 2004, http://www.civil.ge/eng/article.php?id=8174.

[38] Report of the Committee on the Honoring of Obligations and Commitments by Member States of the Council of Europe, p. 11.

ტაცია და ანტიინტეგრაცია გრძელდება. ახალი ხელმძღვანელობა იყენებს უფრო ცივილურ და განსაკუთრებულ ნაციონალისტურ რიტორიკას პრიორიტეტებისადმი ნაციონალური გაერთიანების სტრატეგიაში. აჭარის შემთხვევაში ადგილი ჰქონდა ცვლილებათა დემოკრატიულ პროცესს. მაგრამ აჭარის რეინტეგრაცია მოხდა მკაცრი იერარქიული ნიმუშის მიხედვით და აჭარის რესპუბლიკას მხოლოდ ნომინალური სახელწოდება დარჩა. სამხრეთ ოსეთის შემოერთების უნაყოფო ცდამ სერიოზულად შეაფერხალონისძიებები ნდობის აღდგენისა და თანამშრომლობის სფეროებში. თბილისის დამოკიდებულება აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთთან კვლავ კონ-ფრონტაციულია. ტერიტორიული ერთიანობა, რეგიონიზაცია და ეროვნულ უმცირესობათა საკითხი კვლავ გადაუჭრელია. მაგრამ იმ მოუთმენლობას, როგორითაც ახლანდელი ხელმძღვანელობა ექცევა ამ საკითხებს, საქმე მიჰყავს, როგორც ეს სამხრეთ ოსეთის შემთხვევაში იყო, ნაჩქარევ და სარისკო მოქმედებებამდე. ეს ძალიან განსხვავდება იმ შედარებითი ინდიფერენტულობისაგან, როგორითაც შევარდნაძის რეჟიმი ექცეოდა ამ პრობლემას.[39]

[39] 2005 წლის იანვარში ევროკომისიის საპარლამენტო ასამბლეამ მიიღო რეზოლუცია საქართველოს შესახებ, რომელიც ამ წინააღმდეგობების შესანიშნავ სინთეზს წარმოადგენდა და რომელსაც საქართველო ეროვნული ინტეგრაციისა და სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში აწყდება: "ვარდების რევოლუციამ" და მომდევნო ორმა არჩევნებმა შედეგად ძლიერი ხელისუფლება მოიტანა, რომელიც ითამაშებს მნიშვნელოვან როლს საქართველოს პოლი-ტიკური, ეკონომიკური და უსაფრთხოების პრობლემების მოგვარებაში, იმის გათვალისწინებით, რომ ძლიერი ხელისუფლება იარსებებს მასზე ძლიერი და მოქმედი მონიტორინგის მექანიზმის არსებობის პარალელურად. დღესდღეობით საქართველოს აქვს ძლიერი საპრეზიდენტო ძალაუფლებით აღჭურვილი ნახევრად საპრეზიდენტო სისტემა, თითქმის არ ჰყავს საპარლამენტო ოპოზიცია, ჰყავს ძალიან სუსტი სამოქალაქო საზოგადოება, აქვს სასამართლო სისტემა, რომელიც ჯერჯერობით არასაკმარისად დამოუკიდებელი და არაეფექტურია, განუვითარებელი თუ არარსებული ადგილობრივი დემოკრატია, თვით ცენზორი მედია და აჭარის ავტონომიის არაადეკვატური მოდელი." Parliamentary Assembly, Resolution 1415 (2005), "Honoring of Obligations and Commitments by Georgia,"http://assembly.coe.int/Main.asp?link=http://assembly.coe.int/Documents/AdoptedText/ta05/ERES1415.htm. ეს რეზოლუცია დაფუძნებულია ზემოთ აღნიშნული ევროპის საბჭოს კომიტეტის მოხსენებაზე (Doc. 10383).

ცენტრ-პერიფერიის დამოკიდებულება საერთაშორისო წყობაში

სავარაუდოა, რომ მოსკოვსთან, ვაშინგტონსა და ბრიუსელთან საქართველოს ურთიერთობა შეიძლება აღწერილი იქნას, როგორც დამოკიდებული ურთიერთობა ცენტრ-პერიფერიის ნიმუშის მიხედვით. პირველი, ეს გულისხმობს იმას, რომ ცენტრში ორ დაპირისპირებულ მხარეს შორის ურთიერთქმედებაზე ცვლილებები უფრო ღრმა გავლენას ახდენს, ვიდრე ცვლილებები პერიფერიაში. მეორე, ურთიერთქმედებებში ცვლილებებს უფრო ძლიერი გავლენა აქვს პერიფერიაზე, ვიდრე ცენტრზე. ამ ვარაუდებს მივყავართ შემდეგ ხუთ საკითხთან: საბჭოთა კავშირის მრავალეროვანი წყობის დაშლა; 1990-იანი წლების მეორე ნახევარში კასპიის ზღვის ენერგიის უსაფრთხოების პოლიტიკა შეერთებულ შტატებში; რუსეთის სამხრეთ საზღვარზე მისი უსაფრთხოების გარემოს შეცვლა ჩეჩნეთის ომის დაწყებისას 1999 წელს და ვლადიმერ პუტინის პრეზიდენტად გახდომა; ამერიკის გლობალური უსაფრთხოების პოლიტიკის დაწყება 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ და ეუთოს სამხრეთ კავკასიის პოლიტიკის გაფართოების შედეგები.

ხუთივე საკითხი აჩვენებს, რომ საქართველოს უსაფრთხოება ღრმა გავლენას განიცდის ამ სამივე ცენტრის პოლიტიკის რეორგანიზაციის გამო უფრო მეტად, ვიდრე საქართველოს შინაური ცვლილებების გამო. ხუთივე შემთხვევაში თბილისში პოლიტიკოსებმა შეცვალეს ეროვნული უსაფრთხოების პარამეტრები. ეს აჩვენებს საქართველოს, როგორც პერიფერიული ქვეყნის პოზიციას საერთაშორისო ურთიერთობებში.

საბჭოთა კავშირის დაშლა

წიგნის წინამდებარე სტატია აღწერს, თუ როგორ იყო განსაზღვრული თბილისსა და მოსკოვს შორის ურთიერთობა საბჭოთა კავშირის დაშლითა და გარდაქმნებით, რაც გზას უხსნიდა საქართველოში ნაციონალურ-ლიბერალურ მოძრაობას, როგორც ცენტრში

(თბილისი), ისე პერიფერიაში (ოსეთი, აფხაზეთი). საქართველოს დამოუკიდებლობისათვის მოძრაობა გულისხმობდა მთელ საქართველოში პოლიტიკური და კულტურული ჰეგემონის დამყარებას, როგორც განუყოფელ ნაწილს მათი მცდელობისას, თავი დაეღწიათ საბჭოთა რეჟიმისა და, საბოლოოდ, რუსეთის მმართველობისაგან. შიდა სუვერენიტეტი არ უნდა ყოფილიყო განცალკევებული საგარეო სუვერენიტეტისაგან. მაგრამ მოსკოვთან მიჯაჭვულობამ საქართველოს არ მისცა საშუალება, განეხორციელებინა ავტონომიურ ერთეულებზე სრული კონტროლი. საქართველოს ნაციონალურმა მოძრაობამ 1980-იან წლებში თანდათან გამოიწვია კონფრონტაცია მის პერიფერიებთან. ვიდრე საქართველო წარმოადგენდა საბჭოთა კავშირის ნაწილს, თბილისს არ შეეძლო ჰყოლოდა შეიარაღებული ძალები, რომ საშინაო კონფლიქტში ჩარეულიყო. დარჩიაშვილის მიხედვით, ჟანდარმერიის მსგავსი ნაციონალური გვარდია, რომელიც ამ მიზნით შეიქმნებოდა, შეიძლებოდა დაპირისპირებოდა საბჭოთა ცენტრს.

მოსკოვთან კონფრონტაცია მაინც ვერ იქნა თავიდან აცილებული ორივე მხრიდან ცალმხრივი ნაბიჯების გამო. საბჭოთა ცენტრმა დაიწყო ადრეული პოზიციების გადასინჯვა, რომელიც შეეხებოდა საქართელოს ავტონომიურ ერთეულებს. საბჭოთა კომუნისტური პარტია ადრე ყოველთვის უარყოფდა აფხაზების განუწყვეტელ მოთხოვნას, გამოყოფოდა საქართველოს და უშუალოდ დაქვემდებარებოდა საბჭოთა ცენტრს. როგორც ციურხერი აღწერს, მიხეილ გორბაჩოვი შეეცადა, მოეხდინა საბჭოთა ფედერალური სისტემის რეფორმა, რაც საჭიროებდა მოკავშირე რესპუბლიკების ავტონომიებში, მათ შორის, საქართველოშიც ნაციონალური მოძრაობის მხარდაჭერას. 1990-იანი წლების თვითგამორკვევის საბჭოთა კანონი შეთითხნილი იყო ასეთი ალიანსისათვის. ეს კანონი უფლებას აძლევდა რესპუბლიკებში უმცირესობებს, რომლებიც დამოუკიდებლობისთვის იბრძოდნენ, დარჩენილიყვნენ საბჭოთა კავშირში. ასეთი ინიციატივა ამძიმებდა თბილისის მდგომარეობას, რადგან ტერიტორიულ ერთიანობას საშიშროება ემუქრებოდა არა მარტო შიგნიდან, არამედ გარედანაც. რუსეთისა და საქართველოს ინტერესები შეუთავსებელი იყო. საბჭოთა კავშირის გაგებით, საქართველო "ავიწროებდა სხვას". (დევდარიანი) შედეგად, ეს იწვევდა ცალმხრივ ნაბიჯებს და

კულმინაციას მიაღწია 1991 წლის დამოუკიდებლობის დეკლარაციის დროს.

საბჭოთა კავშირის კონტროლის შესუსტებამ გამოიწვია საბოლოოდ უარის თქმა ცენტრალიზებული კომუნისტური პარტიის მართვაზე, რამაც გამოიწვია ფედერალური ინსტიტუტების დაშლა საბჭოთა წყობის (სადაც ცენტრ-პერიფერიის მოლაპარაკებასა და მოწესრიგებას შეიძლება ჰქონოდა ადგილი) ყველა დონეზე.[40] მას აგრეთვე ჰქონდა განსაკუთრებული შედეგი ახალ დამოუკიდებელ რესპუბლიკებში, რომლებიც საბჭოთა კავშირს გამოეყვნენ. 1991 წლის ბოლოს საქართველოში არ იყო არც უცხო ქვეყნის და არც რუსეთის პოლიტიკა, რასაც შეეძლო მოეწესრიგებინა ნებისმიერი კონფრონტაცია ან თავი დაეღწია ცალმხრივი ნაბიჯებისგან დიპლომატიის საშუალებით.

1990 წლის ოქტომბერში საქართველოს პარლამენტის არჩევნებში გამარჯვების შემდეგ 1991-92 წლებში სამოქალაქო ომამდე, გამსახურდიას მოკლე ხნით ძალაუფლებით სარგებლობისას, რუსეთთან კონფრონტაციის პერიოდია, განსაკუთრებით მოსკოვის პირდაპირი და არაპირდაპირი ჩარევისას სამხრეთში შეიარაღებული კონფლიქტის დროს, რომელიც დაიწყო 1991 წლის იანვარში და გრძელდებოდა გამსახურდიას მმართველობის მთელი ხნის განმავლობაში.[41] რაც მთავარია, გამსახურდია უარყოფდა დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობას. დევდარიანი წერს, რომ გამსახურდია გამომწვევად ექცეოდა მოსკოვის უსაფრთხოების ინტერესებს მთელ კავკასიაში.

საქართველო აშენებდა, როგორც დევდარიანი უწოდებს, "შეუპოვარ თავისთავადობას" გარე ძალების მიმართ. მაგრამ რუსეთსა და საქართველოს შორის კონფრონტაციის ზრდა არ შეიძლება აიხსნას მარტოოდენ საქართველოს ნაციონალური გეგმითა და ეროვნული თვითმყოფადობის ძიებით. დევდარიანი მიუთითებს, თუ როგორ დაემთხვა საბჭოთა კავშირის დაშლა იდენტურობის კრიზისს

[40] Nancy Bernmeo, "Position Paper for the Working Group on Federalism, Conflict Prevention, and Settlement," წარმოდგენილი იქნა 2005 წლის 3-5 მარტს ბრიუსელში ჩატარებულ ფედერალიზმის მესამე საერთაშორისო კონფერენციაზე.

[41] ცეცხლის შეწყვეტის ხელშეკრულება სამხრეთ ოსეთში იქნა ხელმოწერილი 1992 წლის ივნისში, მას შემდეგ, რაც გამსახურდიამ დაკარგა ძალაუფლება.

თვით რუსეთში. რუსეთის ხელმძღვანელობა საბჭოთა კავშირის დაშლას ღებულობდა, როგორც თვითგათავისუფლების ფორმას, მაგრამ მისმა ელიტამ იგრძნო ღრმა ურთიერთწინააღმდეგობა წარსულის მიმართ. ზოგი კვლავ ფიქრობდა ქვეყნის წარსულის სტატუსზე, ე.წ. "დერჟავნოსტ"-ზე და ძლიერ ნანობდა საბჭოთა კავშირის სიდიადის დაკარგვას. ეს იყო მიზანი, რომელსაც რუსეთი ესწრაფვოდა სუსტი პერიფერიების მიმართ. როგორც რობერტ ლეგვოლდი შესავალში შენიშნავს, რუსეთი სუსტი იყო უწინდელ საბჭოეთთან შედარებით, მაგრამ მაინც შეეძლო მეზობელ ქვეყნებზე დომინირება.

იმავე პერიოდის განმავლობაში დასავლეთის სახელმწიფოები ინდიფერენტულნი იყვნენ საქართველოში კონფლიქტების მიმართ, აგრეთვე თბილისის ხელმძღვანელობას და მოსკოვს შორის დაპირისპირებულობისადმი. მათ არ მოსწონდათ გამსახურდიას ნაციონალიზმი, რომელიც ემსგავსებოდა ბალკანეთის რადიკალურ განცხადებებს, მაგრამ აღიქვამდნენ ამ კონფლიქტს, რომელიც ეხებოდა დასავლეთის უსაფრთხოების ინტერესებს. ისინი უარს ამბობდნენ, დაემყარებინათ დიპლომატიური ურთიერთობა გამსახურდიას მთავრობასთან ან საქართველო მიეღოთ საერთაშორისო უსაფრთხოების ორგანიზაციების წევრად. ამან გამოიწვია საქართველოს საერთაშორისო იზოლაცია, რომელიც გრძელდებოდა იქამდე, ვიდრე 1992 წლის მარტში შევარდნაძე არ დაბრუნდა თბილისში. საქართველოს სიტუაციის ახსნისას დევდარიანი წერს, რომ ქვეყანას ჰქონდა მემკვიდრული მისწრაფება, გაეზიარებინა ევროპული პოლიტიკის პრაქტიკა, მაგრამ არა მისი გამოცდილება.[42] ევროპასთან ურთიერთობის ისტორიის უქონლობა ნიშნავს, რომ

[42] აღნიშნულთან მიმართებაში ერთადერთი გამონაკლისი 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის ხანმოკლე პერიოდი იყო და შემდგომ 1921 წელს საქართველოს ბოლშევიკური ოკუპაცია, მაშინ, როცა ევროპის სოციალურმა დემოკრატიამ ქართველი მენშევიკების დასახმარებლად წამოიწყო სოლიდარობისა და მათთან თანამშრომლობის აქტიური კამპანია. თუმცა ამ მოკლევადიანმა გამოცდილებამ ვერანაირი პოზიტიური მემკვიდრეობა ვერ შექმნა: 1980-იან და 1990-იან წლებში საქართველოს მოძრაობას დამოუკიდებლობისათვის არავითარი სიმპათია არ გააჩნდა მენშევიკური იდეოლოგიური ტრადიციის მიმართ.

შეუძლებელია (როგორც ეს ბალტიის სახელმწიფოებშია), მაგალითად, ილაპარაკო საქართველოს დამოუკიდებლობაზე, როგორც ევროპისკენ ან დასავლეთის საზოგადოებისაკენ მიქცევაზე.

ამავე პერიოდში, აფხაზეთის ომის დროს, საქართველოს გაჭირვება ძლიერ არ აისახა მოსკოვის, ვაშინგტონის ან ბრიუსელის უსაფრთხოების პროგრამაზე. არც ერთ ამ ქალაქს არ ჰქონდა ნათელი წარმოდგენა, თუ როგორ უნდა ჩარეულიყვნენ ამ არეულ მეზობლობაში, იგივე ითქმის რუსეთზე. ანტონენკო აღწერს რუსეთის პოლიტიკის გადაწყვეტილებათა მიღების დაბნეულობასა და აზრთა სხვადასხვაობას საქართველოს მიმართ, განსაკუთრებით მისი ინტერვენციის დროს აფხაზეთის ომში. რუსეთის ხელმძღვანელობის ზოგ ნაწილს უნდოდა, მხარი დაეჭირა ტერიტორიული ერთიანობისათვის, განსაკუთრებით რუსეთის სამხრეთის მყიფე საზღვარზე. მაგრამ რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობამ მხარი დაუჭირა ადგილობრივ აჯანყებას საქართველოს სამხედრო ინტერვენციის წინააღმდეგ და ეს მხარდაჭერა იქცა რუსეთის როლის მთავარ ნიშნად 1992-93 წლების ომში. რუსეთის ხელმძღვანელობის უუნარობა, შეეზღუდა ადგილობრივი სამხედროები, ნაწილობრივ, შეიძლება აიხსნას მოსკოვის პოლიტიკური კრიზისით აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს შორის. კონფლიქტმა რუსეთის პრეზიდენტ ელცინსა და უმაღლეს საბჭოს შორის, რომელმაც პიკს 1993 წელს მიაღწია და ნამდვილი სამოქალაქო ომი გამოიწვია, დაჩრდილა რუსეთის როლის ყველა შესაძლებლობა აფხაზეთის კონფლიქტში.

აფხაზეთში საქართველოს ჯარის დამარცხების შემდეგ (1993 წლის 27 სექტემბერს) რუსეთის ჯარის დახმარებამ არ გამოიწვია საქართველოს მთავრობასთან კონფრონტაცია. საქართველო დააჩოქეს, როგორც მაშინ შევარდნაძემ თქვა. ის დათანხმდა, შესულიყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობაში და ნება დართო რუსეთს, საქართველოს ტერიტორიაზე განელაგებინა ბაზები. ამ დათმობამ მას მოუპოვა რუსეთის მხარდაჭერა, გაენადგურებინა გამსახურდიას ერთგული ძალები. რუსეთისადმი შემდგომი დათმობა იყო ვარდიკო ნადიბაიძის, რუსეთის მოქმედი ოფიცრის, თავდაცვის მინისტრად დანიშვნა 1994 წლის აპრილში. იმავე წლის ბოლოს შევარდნაძემ მხარი დაუჭირა რუსეთის სამხედრო ინტერვენციას ჩეჩნეთში.

დასავლეთის სახელმწიფოები ინდიფერენტულნი დარჩნენ აფხაზეთის ბედის მიმართ.[43] როგორც ჰელი და გოგია აღნიშნავენ, ეს სახელმწიფოები გვერდს უვლიდნენ ამ რეგიონში დაძაბულობას და მთავარი პასუხისმგებლობა რუსეთის სამშვიდობო მოქმედებას დააკისრეს. დასავლეთი მხარს უჭერდა მხოლოდ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის საზედამხედველო მისიას აფხაზეთში, სადაც ჩართული იყო ზოგიერთი დასავლეთის ქვეყნის სამხედრო. ისინი შეშფოთებას გამოხატავდნენ რუსეთი სამხედრო ძალის ყოფნის გამო სამხრეთ კავკასიაში. ევროპის ჩვეულებრივი ძალების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე რეგიონული სტაბილურობა გამომდინარეობდა დასავლეთის უსაფრთხოების ინტერესების წინ წამოწევით, თუმცა ეს არ იყო დასავლეთის პირდაპირი ჩარევისთვის იძულება.[44] აქ იყო აგრეთვე დასავლეთის ენერგოუსაფრთხოების ინტერესები, რაც მნიშვნელოვნად აძლევდა ბიძგს დასავლეთის ყოფნას სამხრეთ კავკასიაში.

ზრუნვის მესამე სფერო, რაც მოითხოვდა დასავლეთის თანამონაწილეობას, იყო შიში სამხრეთ კავკასიაში სახელმწიფოთა არშედგომისა. როგორც აღნიშნეს ჰელიმ და გოგიამ, დასავლეთის ჰუმანიტარული დახმარება 1990 წლის დასაწყისში პროგრესულად შეიცვალა სხვადასხვა სახის დახმარებით, დემოკრატიზაციის მხარდაჭერით და სხვა სახელმწიფო რეფორმების პოლიტიკით.

---

[43] ანტონენკოს დაკვირვებით, ბორის ელცინი თავის მემუარებში საქართველო-აფხაზეთის კონფლიქტზე არ საუბრობს, რაც კონტრასტულია იმასთან, თუ რა მნიშვნელობას ანიჭებს ის დსთ-ს. ამაში ვლინდება შედარებით ინდიფერენტული პოზიცია.მსგავსი რამ აღინიშნება გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრ ჰანს-დიტერ გენშერთან დაკავშირებით."საქართველოს მეგობრის" რეპუტაციის და იმ ფაქტის მიუხედავად, რომ გერმანიამ მნიშვნელოვანი დახმარება გაუწია საქართველოს 1992 წელს შევარდნაძის ქვეყანაში დაბრუნების შემდეგ, საქართველო მეტად იშვიათადაა მოხსენიებული გენშერის მემუარებში. ეს მიუთითებს საქართველოსა და მისი პრობლემებისადმი ინტერესების მარგინალობაზე, ისევე, როგორც ეს ელცინის შემთხვევაში იყო. იხ. Hans-Dieter Genscher, *Erinnerungen* (Berlin: Siedler, 1995).

[44] იხ. Alexei Zverev en Bruno Coppieters, "Verloren evenwicht. Georgie tussen Rusland en het Westen ." *Oost-Europa Verkenningen*, no. 134 (August 1994), pp. 38-47.

დასავლეთის ენერგოუსაფრთხოების პოლიტიკა

დარჩიაშვილის მიხედვით, საქართველოს საქმეებში დასავლეთის ჩართვის ინტერესი დაიწყო 1995 წელს შევარდნაძის რეჟიმის განმტკიცების შემდეგ. საქართველოს მთავრობა ცდილობდა, გადაელახა დასავლეთის გულცივობის პოზიცია საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის, აგრეთვე საკომუნიკაციო და სატრანსპორტო როლის გამოყენებით აზია-ევროპას შორის. საქართველოს ლიდერები იმედოვნებდნენ, რომ კონფრონტაციული პოლიტიკა რუსეთთან მიიქცევდა დასავლეთის ყურადღებას. მაგრამ არც ამერიკას და არც ევროკავშირის ქვეყნებს არ სურდათ, ჩართულიყვნენ ასეთ კონფრონტაციულ პოლიტიკაში რუსეთთან. როცა საქართველომ წამოაყენა ნატოს წევრობის იდეა, ჩრდილოატლანტიკურმა ალიანსხმა არ უარყო ეს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები ცუდ მდგომარეობაში იყო და არ გააჩნდა დემოკრატიული სტანდარტები თავდაცვის პოლიტიკაში. როგორც ლეგვოლდი აღნიშნავს, საქართველოს მისწრაფებამ ნატოს წევრობისაკენ ამ უკანასკნელს ხელთ მისცა ბერკეტები, რათა გაეტარებინა შიდასახელმწიფოებრივი რეფორმები, რომლებიც დასავლეთის ინტერესებს შეესაბამებოდა.

1990-91 წლებში საქართველოს საქმეებში დასავლეთის მონაწილეობის გაფართოებამ, განსაკუთრებით ამერიკის ენერგეტიკული პოლიტიკის მეშვეობით, რაც გამოიხატა ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტში, გადამწყვეტი გავლენა მოახდინა საქართველოს სტრატეგიაზე უსაფრთხოების სფეროში. დარჩიაშვილი აღწერს თბილისის ერთმნიშვნელოვან არჩევანს დასავლეთზე ორიენტაციის სასარგებლოდ 1998 წელს, როდესაც საქართველომ გააააქტიურა თავისი თანამშრომლობა ნატოსთან. ერთი წლის შემდეგ ის გამოვიდა დსთ-ს საერთო ხელშეკრულებიდან, გახდა ევროსაბჭოს წევრი. ამ წევრობის პირობები იყო დემოკრატიული სახელმწიფო რეფორმების გატარება და უმცირესობათა უფლებების პატივისცემა. დასავლეთის სახელმწიფოებმა გამოიყენეს ზემოქმედების ბერკეტები პოლიტიკის სხვადასხვა სფეროებში. სამხედრო საქმეში ამერიკელი და დასავლეთის სხვა ექსპერტები ცდილობდნენ, გაეტარებინათ რადიკალური რეფორმები საქართველოს შეიარაღებულ ძალებში. რეფორმა ითვალისწინებდა პირადი სამხედრო შემადგენლობის რიცხოვრივ

შემცირებას, კორუფციის ამოძირკვას, სამხედროთა მოქმედებაზე სამოქალაქო კონტროლისა და ნაციონალური უსაფრთხოების კონცეფციის შემუშავებას. რეფორმების გატარების ცდამ ფიასკო განიცადა.

დასავლეთზე ორიენტაცია არ უნდა გავაიგივოთ რადიკალური დემოკრატიული რეფორმების სასარგებლოდ არჩევანთან, ყოველ შემთხვევაში, შევარდნაძის მმართველობის პერიოდში. დარჩიაშვილის აზრით, გამჭვირვალე თავდაცვითი პოლიტიკა საფრთხეს შეუქმნიდა ნათესაური ნიშნით თანამდებობათა დარიგების კორუმპირებულ სისტემას. ანალოგიური დასკვნა შეიძლება გაკეთდეს პოლიტიკის სხვა ასპექტების მიმართაც. მაგალითად, სამხრეთ კავკასიაში რეგიონული თანამშრომლობის მიმართ, რაც ევროკავშირის ერთ-ერთი პრიორიტეტული ამოცანა იყო. საქართველომ ყურად არ იღო მოწოდება, გამოეყენებინა ეს “გამოუყენებელი პოტენციალი” (დე ვაალი) თავისი განვითარების პოლიტიკაში.

ამრიგად, დასავლეთის მცდელობას, დახმარებოდა საქართველოს რეგიონული ინტეგრაციის სფეროში, მნიშვნელოვანი წარმატება არ მოჰყოლია. შესაძლებელი გახდა მხოლოდ ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის პროექტის რეალიზება ამერიკელ მომხრეთა გეგმის თანახმად. ეს პროექტიც კი არ შეიძლება ჩაითვალოს მიღწევად რეგიონული ინტეგრაციის თვალსაზრისით, თუმცა მან შექმნა გრძელვადიანი მატერიალური სტიმული დასავლეთის მიერ რეგიონული სტა-ბილურობის მხარდასაჭერად. როგორც დე ვაალი აღნიშავს, სწორი იქნებოდა, თუ ამ ნავთობსადენსვუწოდებდით, როგორც არა-რუსეთის და არა-ირანის ნავთობსადენს.

შევარდნაძის იმედი, რომ გარედან მიეღო დახმარება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადასაჭრელად, არ გამართლდა. ჩეჩნეთის პირველი ომის დროს მან სრული მხარდაჭერა გამოუცხადა რუსეთის მთავრობის ცდას, ძალისმიერი მეთოდებით მოეხდინა ჩეჩნეთის რეინტეგრაცია, იმ იმედით, რომ რუსეთი დაეხმარებოდა საქართველოს, ანალოგიური კურსი გაეტარებინა აფხაზეთის მიმართ. ეს მხარდაჭერა არ შეესაბამებოდა დასავლეთის მკაცრ კრიტიკას იმის თაობაზე, რომ რუსეთის სამხედროები ყურად არ იღებდნენ საერთაშორისო ჰუმანიტარულ უფლებებს ამ ომის მსვლელობისას, კერძოდ, ჩეჩნეთის დედაქალაქის — გროზნოს დაბომბვისას. მაგრამ შევარდნაძის მხარდაჭერამ არავითარი შედეგი არ გამოიღო.

რამდენიმე წლის შემდეგ, 1999 წელს, შევარდნაძე მთლიანად დაუჭერს მხარს ნატოს ომს კოსოვოში, მიუხედავად იმისა, რომ იუგოსლავიის მთავრობა ომს აწარმოებდა სეპარატიზმის წინააღმდეგ და გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოც არ დაეთანხმა ნატოს ინტერვენციას. ის იმედოვნებდა, რომ შეერთებულ შტატებს ასევე შეუძლია, ჩაატაროს ცალმხრივი სამხედრო აქცია აფხაზეთში. როგორც ჰელი და გოგია აღნიშნავენ, აშშ-ს მთავრობამ მას აგრძნობინა, რომ არა აქვს განზრახვა, გაიმეოროს კოსოვოს სცენარი აფხაზეთში. ვაშინგტონის უარი არ იყო პრინციპის საქმე ან განურჩევლობის დასტური. აშშ-ს და ევროპის მთავრობებს არ შეეძლოთ, ცალმხრივად გადაეჭრათ სეპარატისტული კონფლიქტები, საქართველოში რუსეთთან დაპირისპირების რისკის გარეშე.

საქართველოს დიპლომატიური მცდელობები, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ჩარჩოებში უზრუნველეყო სამხედრო გზით აფხაზეთის პრობლემის გადაჭრა, აგრეთვე არ იძლეოდა არავითარ რეალურ საფუძველს წარმატებისათვის. წინადადებებმა იმის თაობაზე, რომ გაეროს მიეღო რეზოლუცია ძალის გამოეყენების მხარდასაჭერად, რათა საქართველოს აღედგინა ტერიტორიული მთლიანობა, ასევე ვერ ჰპოვა მხარდაჭერა დასავლეთის ქვეყნების საბჭოს მუდმივი წევრებისაგან.

მეორე ჩეჩნეთის ომი და პუტინის პრეზიდენტობა

1990-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში მთავარ თავისებურებად რჩებოდა კონფრონტაცია. რუსეთის ყოველი ცდა, მიმართული თავისი სამხრეთ მეზობლის ინტეგრაციისაკენ, საქართველოს მხრიდან აღიქმებოდა, როგორც დომინირების მუქარა, რაც განამტკიცებდა "იდენტურობის წინააღმდეგობას" და შექმნიდა რუსეთის მიმართ დაპირისპირების პოლიტიკის ახალ მოტივაციებს. სამხრეთ კავკასიაში დასავლეთის თანდათანობით დამკვიდრება იწვევდა რუსეთის უფრო მეტ ძალისხმევას, პოზიცია დაეკავებინა რეგიონში თავისი ინტერესების დასაცავად, განსაკუთრებით იმ პერიოდში, როცა საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტი ეკავა პრიმაკოვს (1996-1998 წწ.). ამ გაბედულმა ნაბიჯმა გავლენა მოახდინა გაეროსა და რუსეთის მეტოქეობაზე

საქართველო-აფხაზეთს შორის შუამავლის როლისათვის. პრიმაკოვი აქტიურად ცდილობდა, ყოფილიყო შუამავალი საქართველოსა და აფხაზეთის პრეზიდენტებს შორის, ორგანიზება გაუკეთა შეხვედრებს, მაგალითად, ვლადისლავ არძინბასა და ედუარდ შევარდნაძეს შორის 1997 წელს თბილისში. ანტონენკოს თქმით, ქართულ-აფხაზურ კონფლიქტში რუსეთის მონაწილეობას ხელი შეუწყო მისმა ფედერაციულმა სტრუქტურამ. რუსეთის რეგიონული ელიტა მეტად აქტიურად თანამშრომლობდა აფხაზეთთან. ეს ძირს უთხრიდა დსთ-ს მიერ შემოღებულ სანქციებს.

1999 წელს ჩეჩნეთში დაწყებულმა ომმა და ბორის ელცინის ნაცვლად პუტინის მოსვლამ რუსეთის პრეზიდენტის სახით, ამ კრებულში წარმოდგენილი გამოკვლევების თანახმად, გამოიწვია ძვრები პოლიტიკაში საქართველოს მიმართ და პრიორიტეტის ცვლილებები საქართველოს უსაფრთხოების სფეროში.

პირველი, რუსეთის წინაშე მდგარი მუქარის აღქმაში პირველი ადგილი ეკავა ისლამურ ფუნდამენტალიზმს. წინა ომისაგან განსხვავებით, ჩეჩნეთის მეორე ომი ოფიციალურად ითვლებოდა არა კონფლიქტად სუვერენიტეტის გამო, არამედ სამხედრო ოპერაციად ისლამური ტერორიზმის წინააღმდეგ. მან მოითხოვა ვაშინგტონთან ახალი ურთიერთობა, რამაც, თავის მხრივ, გავლენა მოახდინა საქართველოსა და აშშ-ს ურთიერთობაზე. ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობათა ჩარჩოში ამ სამკუთხედში გარკვეულობა რომ იყოს, არ ღირს იმის ფიქრი, რომ ყველა ცენტრს აქვს თანაბარი შესაძლებლობა, გავლენა მოახდინოს საქართველოს მოქმედების პროგრამაზე უსაფრთხოების სფეროში. სიმეტრიულობა და იერარქიულობა დამახასიათებელია არა მარტო ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობისათვის, არამედ (მართალია, უმნიშვნელოდ) ცენტრების ურთიერთობისთვისაც.[45] ამერიკის უსაფრთხოების სტრატეგიაში

[45] ზოგიერთი ლიტერატურა ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობების შესახებ წარმოადგენს მცდელობას, განასხვაოს ნახევარპერიფერიები, ცენტრალური პერიფერიები და პერიფერიული ცენტრები.მსგავსი განსხვავებები ხელსაყრელი არ არის საქართველოსა და მის წინაშე არსებული თავდაცვის პრობლემების შემთხვევაში.აზრი არა აქვს რუსეთისა თუ ევროკავშირის ნახევარპერიფერიებად ან პერიფერიულ ცენტრებად განხილვას ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საქართველოსთან მიმართებაში, იმ იერარქიებისა და ასიმეტრიების მიუხედავად, რაც ამ მხარეებს შორის არსებობს.

ძვრამ 2001 წლის 11 სექტემბრის შემდეგ გამოიწვია სულ სხვანაირი საერთაშორისო სიტუაცია, არა მარტო საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკისათვის, არამედ რუსეთის უსაფრთხოების პოლიტიკისთვისაც საქართველოს მიმართ. დევდარიანი აღნიშნავს, თუ როგორ დაიწყო პუტინმა ამერიკული რიტორიკიდან ნასესხები პრინციპებისა და ტერმინოლოგიის გამოყენება, განსაკუთრებით საქართველოს საზღვარზე წინასწარი დარტყმის უფლების შესახებ და, აგრეთვე, გაეროს წესდების თანახმად, ტერორიზმის მუქარის წინააღმდეგ რუსეთის თავდაცვის უფლების შესახებ. მეტიც, პუტინი არ გამოვიდა პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ს სამხედრო ძალის ყოფნის წინააღმდეგ, მაგალითად, წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა (GTEP) საქართველოში მან განმარტა, როგორც პასუხისმგებლობათა ერთგვარი განაწილება.

მეორე, პუტინის ძალაუფლებასთან ერთად კარდინალურად შეიცვალა საქართველოს მიმართ გადაწყვეტილებათა მიღების ფორმა. ანტონენკო წერს, რომ რუსეთის თავდაცვის მინისტრი, სერგეი ივანოვი, რომელიც 2001 წელს დანიშნეს, იყო ერთ-ერთი პოლიტიკური წარმომადგენელი, როგორც საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის კურსის გამტარებელი. მაგრამ სამხედრო აპარატს არ ჰქონდა ისეთივე უფლება, როგორიც ელცინის დროს. რეგიონების საგარეო პოლიტიკის მიმართ ხდებოდა პარალელური ცენტრალიზაცია. გუბერნატორებმა დაკარგეს დამოუკიდებლობა აფხაზეთთან კავშირის დამყარებაში, მაგრამ ამან არ გამოიწვია მათი ამგვარი ქმედების შეწყვეტა. პირიქით, რუსეთის ხელისუფლება აგრძელებდა ამ ნახევრადდიპლომატიური მოღვაწეობის გამოყენებას, როგორც ხერხს, რათა აერიდებინა საერთაშორისო საზოგადოების კრიტიკა სეპარატისტების მხარდაჭერის გამო.

მესამე, პუტინი შეეცადა რუსეთის გავლენის გაფართოებას სამხრეთ კავკასიაში, როდესაც მჭიდრო კავშირი დაამყარა დე ფაქტო სახელმწიფოებთან. დევდარიანი ამ ახალ პოლიტიკას "განსაკუთრებულ ნორმატიული რეჟიმის შექმნას" უწოდებს, რომელიც ნაწილობრივ შეთავსებადია საერთაშორისო კანონთან და ახასიათებს მას, როგორც განზრახვას, მაქსიმალურად ისარგებლოს ამ არაღიარებული სახელმწიფოების არსებობით. ანტონენკოს აზრით, ეს შეიძლება განხილული იქნას, როგორც შედეგი ჩეჩნეთის დაშლისა,

როგორც დე ფაქტო სახელმწიფოსი. ამ ყურადსაღები წარმატების წყალობით რუსეთს სულაც არ აწუხებდა იმ მხარდაჭერის შედეგები, რასაც ისინი უქმნიდნენ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. პოლიტიკაში ამ ცვლილებამ გამოიწვია ის, რომ რუსეთმა საზღვარი გახსნა აფხაზეთთან (თუმცა რუსეთის მიერ ადრე დაწესებული ბლოკადა მაინც ირღვევოდა საზღვრისიქითა ვაჭრობითა და რუსეთის რეგიონებთან თანამშრომლობით). საქართველოს მოქალაქეებისთვის შემოღებული სავიზო რეჟიმი აფხაზეთისა და ოსეთის მოქალაქეებზე არ გავრცელებულა, რომელთათვისაც მოსკოვმა რუსეთის მოქალაქეობის მოთხოვნა ფართო მასშტაბით დააკმაყოფილა. მოქალაქეობის მიცემის ასეთი პოლიტიკა რუსეთს აძლევდა შესაძლებლობას, დაეკანონებინა განდგომილ სახელმწიფოებში დიდი ხნით ყოფნა, გადაეწყვიტა უსაფრთხოების საკუთარი პრობლემები ამ კონფლიქტებში.

რუსეთის პოლიტიკაში ამ ცვლილებების შედეგად საქართველო იძულებული იყო, შეეცვალა პრიორიტეტები უსაფრთხოების სფეროში. უსაფრთხოების მთავარი პრობლემა საქართველოს ტერიტორიაზე რუსეთის გამაფრთხილებელი დარტყმების რისკი გახდა. მაგრამ დასავლეთის სახელმწიფოები, როგორც დევდარიანი აღნიშნავს, გამოვიდნენ საქართველოს საქმეებში რუსეთის პირდაპირი ჩარევისა და საქართველოს ტერიტორიაზე ყოველგვარი პრევენციული ანტიტერორისტული ოპერაციების განხორციელების წინააღმდეგ. წამოწყებული იყო დიპლომატიური ღონისძიებები ევროპაში უსაფრთხოებისა და თაამშრომლობის ორგანიზაციის მრავალმხრივი პროგრამის ჩარჩოებში, რომლის თანახმადაც, 1999 წლის დეკემბერში დაიწყო 81 კმ-ის სიგრძეზე საზღვრის გაკონტროლება საქართველოსა და რუსეთის ფედერაციის ჩეჩნეთის რესპუბლიკას შორის.[46]

[46] OSCE Press Release. OSCE Georgia Mission Expands Border Monitoring Operation, January 2, 2002, http://www.osce.org/item/6491.html. 2001 წლის დეკემბერში აღნიშნულმა მისიამ მოიცვა აგრეთვე საზღვარი საქართველოსა და ინგუშეთის რესპუბლიკას შორის, რომელიც რუსეთის ფედერაციის წევრია და მდებარეობს ჩეჩნეთის დასავლეთით.

11 სექტემბერი

2001 წლის 11 სექტემბრის მოვლენების შედეგად აშშ უსაფრთხოების პოლიტიკის შეცვლამ პირდაპირი ზეგავლენა მოახდინა მის ურთიერთობაზე საქართველოსთან. როგორც ჰელი და გოგია აღნიშნავენ, ამან გამოიწვია სამხრეთ კავკასიის ჩართვა "დიდ ახლო აღმოსავლეთში", რომელიც განისაზღვრა, როგორც პოტენციური მუქარის ზონა; ამან ასევე გამოიწვია აშშ-ს უსაფრთხოების პოლიტიკის გარდაქმნა რუსეთის ფედერაციის მიმართ, რასაც მოჰყვა, როგორც უჩვენებს დე ვაალი, სუუამ-ის კავშირის მნიშვნელობის შესუსტება. ვაშინგტონმა უმნიშვნელოვანესი ნაბიჯი გადადგა, როდესაც დაეხმარა საქართველოს თანამედროვე შეიარაღებული ძალების შექმნაში წვრთნისა და აღჭურვის პროგრამის ჩარჩოებში, რაც მიზნად ისახავდა რუსეთ-საქართველოს საზღვარზე სიტუაციის სტაბილიზაციას. ამრიგად, საქართველო დასავლეთის მხრიდან მეტი ყურადღებით სარგებლობდა, განსაკუთრებით კი აშშ-ს მხრიდან. ჰელი და გოგია აღნიშნავენ, რომ საქართველო იქცა აშშ-ს ავიაციის სატრანზიტო პუნქტად, რომელიც ეხმარებოდა ავღანეთში სამხედრო ოპერაციებს.

მიუხედავად საქართველოსადმი, როგორც ახალი გეოპოლიტიკური მნიშვნელობის სატრანზიტო ქვეყნისადმი, აშშ-ს ყურადღების გაძლიერებისა, დასავლეთთან, განსაკუთრებით ამერიკასთან, საქართველოს ხშირად ჰქონდა უთანხმოება. ნოდია, დარჩიაშვილი და დევდარიანი ანალიზის შედეგად აღნიშნავენ, რომ დასავლეთი მკაცრად აკრიტიკებდა საქართველოს მხარდაჭერას პარტიზანებისადმი აფხაზეთში, მაგალითად, 2001 წლის კოდორის ხეობაში გილაევის წარუმატებელი ოპერაციისა და კოდორის ხეობის გაკონტროლების უნიათობის გამო. კორუფციასთან წარუმატებელი ბრძოლის ცდამ და ინსტიტუციონალური რეფორმების ჩავარდნამ საქართველოში დაასუსტა სახელმწიფოს საერთო პოტენციალი, შეიქმნა საფრთხე, რომ ქვეყანა დაკარგავდა მართვის სადავეებს ან გახდებოდა მთლად უმართავი სახელმწიფო. დევდარიანის აზრით, საქართველოს შეიარაღებული ძალების უუნარობა, გაეკონტროლებინა პანკისის ხეობა, მოასწავებდა სახელმწიფოს უნიათობას. 2001 წლის ოქტომბერში საქართველო იძულებული იყო, ეღიარებინა პანკისის ხეობაში უცხოელი პარტიზანების არსებობა, მას შემდეგ,

რაც ვაშინგტონი დაჟინებით მოითხოვდა, რომ მას გამოეყენებინა "ნულოვანი ტოლერანტობის პოლიტიკა" უსაფრთხოებისადმი ასეთი მუქარის მიმართ.

დროთა განმავლობაში შევარდნაძეს უფრო და უფრო უჭირდა, დასავლეთის მხრიდან რეკომენდაციები და კრიტიკა მიეღო. დარჩიაშვილი და დევდარიანი აღნიშნავენ, რომ ამან შეარბილა შევარდნაძის პოზიცია მოსკოვის მიმართ საქართველოში რუსეთის ბაზების საკითხის ჩათვლით. შევარდნაძემ განაცხადა კიდევაც, რომ მომავალში ნატოს წევრობა, შეიძლება შეთავსდეს დსთ-ს წევრობასთან. ამასთან, არ არსებობდა უსაფრთხოების სტრატეგია, რაც ზუსტად განსაზღვრავდა ღირებულებებსა და მუქარას. აგრეთვე ძლიერდებოდა ნაციონალისტური მოძრაობა, რომელიც კრიტიკულად ეკიდებოდა დასავლეთისკენ საქართველოს ორიენტაციას.[47]

არ შეიძლება ყურადღება არ მიექცეს 11 სექტემბრის მოვლენების გავლენას და აშშ-ს უსაფრთხოების პოლიტიკის ორიენტაციის ცვლილებას საქართველოს მიმართ. საქართველოს უმართავ სახელმწიფოდ გადაქცევის პერსპექტივა, რაც გამოიწვევდა ჩეჩნეთის საზღვარზე ტერორიზმის ბუდედ მის გადაქცევას და სხვანაირად შექმნიდა დესტაბილიზაციას აშშ-რუსეთის ურთიერთობაში, ხსნის არა მარტო აშშ-ს მზარდ მოთხოვნებს შევარდნაძის მთავრობის მიმართ პოლიტიკაში რეფორმების თაობაზე, არამედ შევარდნაძისათვის დასავლეთის მხარდაჭერაზე უარისთქმას, როცა ის შეეჯახა შინაურ ოპოზიციას 2003 წელს და რამაც საბოლოოდ მისი დამხობა გამოიწვია.

რაც შეეხება აფხაზეთის პრობლემას, ჰელი, გოგია და ანტონენკო მიუთითებენ, რომ რუსეთის გააქტიურებამ ამ გამოყოფილ რესპუბლიკაში, საქართველოს მზარდ იმედგაცრუებასთან ერთად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შეუამავლური როლის უსუსურობის გამო, გამოიწვია შევარდნაძის დარწმუნება რუსეთის შუამავლური როლის მეტ მნიშვნელობაში. ყოველივე ამის შედეგი იყო

[47] ასეთი მოძრაობები, რომლებიც აკრიტიკებდნენ დასავლეთის დემოკრატიული სტანდარტების დანერგვას და მოუწოდებდნენ უნიკალური ქართული გზით განვითარებისაკენ, როგორც ნოდია აღნიშნავს, რჩებოდნენ უმცირესობაში და არ შეეძლოთ, წინააღმდეგობა გაეწიათ დასავლური კულტურული ჰეგემონიისათვის.

“სოჭის პროცესი”, რომელმაც დააახლოვა რუსეთ-საქართველო, თუმცა მას არ შეუცვლია გაეროს ეგიდით ჩატარებული ჟენევის მოლაპარაკებები.

2003 წელს “ვარდების რევოლუციის” შემდეგ თბილისში ძალაუფლება აიღო ახალმა ხელმძღვანელობამ. რეჟიმის შეცვლა ამ შემთხვევაში მოწმობს არა მარტო იმას, რომ საქართველოს ცენტრში გარდაქმნებმა ღრმა ზემოქმედება მოახდინა საქართველოს ურთიერთობაზე პერიფერიასთან, განსაკუთრებით აჭარასთან და სამხრეთ ოსეთთან, ის გვიჩვენებს იმასაც, რომ ისეთი მნიშვნელოვანი გარდაქმნაც კი, როგორიცაა “ვარდების რევოლუცია”, შეზღუდულია, განახორციელოს ფუნდამენტური ცვლილებები ძირითად გარე ცენტრთან (როგორიცაა მოსკოვი) ურთიერთობაში. საქართველოს ახალი ლიდერების მოლოდინის საწინააღმდეგოდ, მათ ვერ შეძლეს მიერთება დასავლეთის სტრუქტურებთან უფრო მეტი ინტეგრაციისათვის რუსეთის ფედერაციასთან ურთიერთობის ნორმალიზაციის პარალელურად. მათმა იმედებმა გამოხატულება ჰპოვა ერთდროულად ქართული წარმოშობის საფრანგეთის დიპლომატის, სალომე ზურაბიშვილის საგარეო საქმეთა მინისტრად, ხოლო კახა ბენდუქიძის — ქართველის მეწარმის, რუსეთში წარმატებული მრეწველის — ეკონომიკის მინისტრად დანიშვნაში. ამ მოლოდინს იზიარებდნენ დასავლეთის მიმომხილველებიც, მაგრამ, რაც მნიშვნელოვანია, არა რუსეთის მიმომხილველები და ჟურნალისტები. ისინი ძირითადად აღნიშნავდნენ, რომ სააკაშვილის რადიკალიზმი და ნაციონალიზმი შეიძლება გახდეს კონფლიქტის ახალი წყარო სეპარატისტულ სახელმწიფოებთან, საქართველოს უმცირესობებთან და თვით რუსეთთან დამოკიდებულებაში.

ევროკავშირის გაფართოება

ძალიან მნიშვნელოვანი პროგრესი დასავლეთთან ინტეგრაციის საქმეში, ალბათ, საქართველოს ევროკავშირის ევროპული მეზობლობის პოლიტიკაში ჩართვა იყო. მაგრამ ეს მოხდა, პირველ რიგში, არა საქართველოში რეჟიმის შეცვლის შედეგად, არამედ ამ ახალი გეოპოლიტიკური სიტუაციის შედეგად, რომელშიც აღმოჩნდა

ევროკავშირი თავისი გაფართოების შემდეგ 2004 წლის მაისში. აღმოსავლეთისაკენ გაფართოებამ და ახალი წევრების მიღებამ, რომლებიც ადრე საბჭოთა კავშირის ან ვარშავის შეთანხმების შემადგენლობაში შედიოდნენ, გამოიწვია სამხრეთ კავკასიაში ევროპის გაძლიერებული დაინტერესება, რასაც, სხვათა შორის, ადასტურებს ჩემს თეზისს იმის შესახებ, რომ ევროკავშირსა და საქართველოს ურთიერთობებში ცვლილებები გამოწვეულია გარდაქმნებით უფრო ცენტრში, ვიდრე პერიფერიებში. მაგრამ ამას შეიძლება დაემატოს, რომ "ვარდების რევოლუცია", რომელმაც გააძლიერა ევროპის ინტერესი სამხეთ კავკასიის რეგიონის მიმართ, ამით დაეხმარა, გასულიყო იმ მინიმალური მნიშვნელობის ჩარჩოების იქით, რომელსაც მანამდე საქართველოს მიაწერდნენ ევროკავშირის ხელმძღვანელები. მან შექმნა შესაძლებელი ევროპის მეზობლობის პოლიტიკაში თავისთავის სწრაფი ჩართვა.[48]

როგორც ჰელი და გოგია აღნიშნავენ, დასავლეთის მთავრობებთან და ორგანიზაციებთან საქართველოს თანამშრომლობის განმტკიცების შემდგომი ნიშანი იყო აშშ-ს განცხადება 2004 წლის მაისში იმის თაობაზე, რომ საქართველოსთვის გამოყოფილიყო სუბსიდია 500 მილიონი აშშ დოლარის რაოდენობით, უმთავრესად სახელმწიფო რეფორმების სფეროში. 2004 წლის ივნისში ევროკავშირმა და მსოფლიო ბანკმა საქართველოსათვის 1 მლრდ აშშ დოლარი გამოყო. იმავე წელს ნატომ დაამტკიცა საქართველოს მიმართ ინდივიდუალური პარტნიორობის მოქმედების გეგმა და დანიშნა საგანგებო წარმომადგენელი კავკასიისა და ცენტრალური აზიის საქმეში, რომლის რეზიდენცია თბილისშია. 2005 წლის მაისში საქართველოს დედაქალაქს ესტუმრა აშშ-ს პრეზიდენტი ჯორჯ ბუში.

ამ კრებულის ავტორები, კერძოდ, ქართველები — ნოდია, დარჩიაშვილი, დევდარიანი, მიუთითებენ რამდენიმე წინააღმდეგობაზე, რომელიც ხელს უშლის საქართველოს ინტეგრაციას დასავლეთთან. ახალი ხელმძღვანელობა უმეტესწილად წარმოდ-

[48] ევროკომისია 2003 წელს გამოვიდა განცხადებით, რომლის თანახმადაც სამხრეთ კავკასიის ქვეყნები მხოლოდ მომდევნო ეტაპზე შეიძლება იქნენ ინტეგრირებულნი ევროკავშირის ამ ახალ სტრატეგიაში თავისი პერიფერიის მიმართ.

გენილია ელიტით, რომელმაც განათლება დასავლეთში მიიღო და არ არის ან სუსტად არის დაკავშირებული ყოფილ საბჭოთა სტრუქტურებთან. თავის სახალხოდ გამოსვლისას ისინი სიხარულით ეგებებიან საერთაშორისო ინტეგრაციას და ომს უცხადებენ კორუფციას. ამავე დროს, ისინი რეაგირებენ ქართულ საზოგადოებრივ აზრზე, განსაკუთრებით აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრობლემის გადაუდებელ გადაწყვეტაზე. 2004 წლის ზაფხულში სააკაშვილის უკომპრომისო პოზიცია სამხრეთ ოსეთის კონფლიქტის მიმართ არ იქნა დადებითად შეფასებული დასავლეთის სახელმწიფოების მიერ. ჰელისა დ გოგიას თქმით, სააკაშვილი გააფრთხილეს, რომ ვერ მიიღებს ვერავითარ დახმარებას დასავლეთისგან და აღმოჩნდება იზოლაციაში, თუ გამოიყენებს სამხედრო ძალას ამ კრიზისის გადასაწყვეტად.

საქართველოს ხელისუფლებას არა აქვს იმ რეფორმების განხორციელების სურვილი, რომელიც თვითმმართველობის გარანტიას მისცემდა რეგიონულ და ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს, არსებული ოფიციალური ევროპული სტანდარტების მიხედვით, რაც უკვე აღნიშნული იყო ევროსაბჭოს რეკომენდაციებთან დაკავშირებით. ღრმა წინააღმდეგობა მისწრაფებებსა და არსებულ პრაქტიკას შორის შეიმჩნევა თავდაცვის და უსაფრთხოების სექტორის რეფორმაშიც. ამრიგად, თუმცა საქართველო ატარებს დასავლეთთან ინტეგრაციის პოლიტიკას, მისწრაფებასა და რეალურ პრაქტიკას შორის მაინც შეიმჩნევა წინააღმდეგობანი.

რუსეთისა და საქართველოს ურთიერთობაში არ მოხდა ნორმალიზაცია დასავლეთის მხრიდან რეფორმებისათვის საქართველოსთვის დახმარების გააქტიურების გამო. ეუთოს ზედამხედველობის მისია რუსეთთან საქართველოს საზღვარზე გაუქმებული იქნა. რუსეთის მხრიდან ამ ორგანიზაციის კრიტიკა, რომელსაც რუსეთი ერთ დროს სიხარულით იღებდა, გამოწვეული იყო იმით, რომ ბოლოს დაინახა, როგორც დასავლეთის ექსპანსიის ინსტრუმენტი პოსტსაბჭოთა სივრცეში. ეს აძნელებს დასავლეთის სახელმწიფოთა ძალისხმევას რუსეთ-საქართველოს ურთიერთობათა გაუმჯობესებისათვის მრავალმხრივ მოქმედებათა ჩარჩოებში.

ლეგვოლდი ამტკიცებს, რომ რუსეთი ყველა ღონეს მიმართავს საქართველოში ცენტრსა და პერიფერიაში თავისი გავლენის შესა-

ნარჩუნებლად. მოსკოვი პატივს სცემს ტერიტორიულ მთლიანობას და შიდა საქმეებში ჩაურევლობის პრინციპს, მაგრამ არა საკუთარი გავლენის შემცირების ფასად. ამას შეიძლება დაემატოს ისიც, რომ რუსეთს არ უნდა, მხარი დაუჭიროს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში კონფლიქტის მშვიდობიან დარეგულირებას, რისი წარმატების შანსიც მცირეა და, ამდენად, არ იძლევა მის საზღვარზე სტაბილურობის გარანტიას.

დევდარიანი ხაზს უსვამს რუსეთის საქართველოში ეკონომიკური შეღწევის მნიშვნელობას, განსაკუთრებით კი ენერგეტიკის სფეროში. საქართველოს ეკონომიკური თანამშრომლობა, თუ მოსკოვი არ მოითხოვს შეღავათიან რეჟიმს და აღიარებს თავისუფალი ვაჭრობის პრინციპს, შესაძლებელს გახდის მათი ურთიერთობის ნორმალიზაციას. მაგრამ მცდელობები ეკონომიკური თანამშრომლობის სფეროში აფხაზეთის მონაწილეობით შეიძლება ძნელად განსახორციელებელი აღმოჩნდეს. მაგალითად, რუსეთის ეკონომიკური პროექტები, რომლებიც სამხრეთ რუსეთს სომხეთთან არსებული სარკინიგზო ქსელების რეკონსტრუქციით აკავშირებს, მოითხოვს პიროვნებებზე საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებას და ეს მისაღები უნდა იყოს აფხაზეთის ხელისუფალთათვისაც. ამ შეთანხმების მიღწევის მცდელობას ადრე შედეგი არ გამოუღია.

დასკვნები და პერსპექტივები

საქართველოს ურთიერთობანი რუსეთთან, აშშ-სთან და ევროკავშირთან, აგრეთვე მისი პოზიცია შიდა პერიფერიებთან ერთდროულად ასიმეტრიულიცაა და იერარქიულიც. პოლუსებს შორის თანაფარდობაზე მეტწილად გავლენას ცენტრში მიმდინარე ცვლილებები უფრო ახდენს, ვიდრე პერიფერიაში. რაც შეეხება მოსკოვთან, ვაშინგტონთან ან ბრიუსელთან საქართველოს მდგომარეობის ცვლილებას საერთაშორისო უსაფრთხოების ჭრილში, ამ სახელმწიფოთა უსაფრთხოების პოლიტიკაში სერიოზულ ცვლილებათა შედეგად, დაწყებული საბჭოთა კავშირის დაშლით 1991 წელს, დამთავრებული ევროკავშირის გაფართოებით 2004 წელს, უფრო ღრმა ზემოქმედება მოახდინა საქართველოს საგარეო პოლიტიკაზე, ვიდრე ქვეყანაში წინა ორი რეჟიმის შეცვლამ.

ეს, რა თქმა უნდა, არ ნიშნავს, რომ სახელმწიფო გადატრიალებას გამსახურდიას წინააღმდეგ 1991 წელს და "ვარდების რევოლუციას" 2003 წელს არანაირი გავლენა არ მოუხდენია ქვეყნის საერთაშორისო მდგომარეობაზე. 1992 წელს შევარდნაძის მიერ ძალაუფლების ხელში აღებამ ხელი შეუწყო გარესამყაროსთან დიპლომატიურ ურთიერთობათა განვითარებას, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და სხვა ორგანიზაციებში საქართველოს მიღებას. ზუსტად ასევე "ვარდების რევოლუციამ" დააჩქარა სამხრეთ კავკასიის მიღება ევროპის სამეზობლო პოლიტიკის პროგრამაში.

მაგრამ საქართველოს ხელისუფლებას ყოველთვის როდი შეეძლო, სწორად ესარგებლა ამ სერიოზული ცვლილებებით საერთაშორისო სიტუაციაში თავისი პოზიციების გასამტკიცებლად, უფრო უსაფრთხო და ნაყოფიერი ურთიერთობის დასამყარებლად რუსეთის ფედერაციასთან ანდა აქტიურად დაემყარებინა კავშირი დასავლეთის სამყაროსთან. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ზვიად გამსახურდიამ ვერ შეძლო, უზრუნველეყო საქართველოსთვის საერთაშორისო მხარდაჭერა და, ფაქტობრივად, გააღრმავა თავისი რეჟიმის იზოლაცია, ვიდრე ეს რეჟიმი ძალის გამოყენებით არ დაემხო. შევარდნაძემ უფრო მოხერხებულად გამოიყენა დასავლეთის ენერგეტიკული პოლიტიკის შექმნა სამხრეთ კავკასიაში 1990-იანი წლების მეორე ნახევარში. ეს იყო მეორე მნიშვნელოვანი ცვლილება საქართველოს საერთაშორისო უსაფრთხოების პირობებში. მაგრამ შევარდნაძემ არჩია, არ ესარგებლა რუსეთის სიძნელეებით ჩეჩნეთის მეორე ომის დროს მოსკოვის ახალ მთავრობასთან ურთიერთობის გასაუმჯობესებლად. ამის ნაცვლად მან აირჩია თავისი შიდა ელექტორატის მობილიზაციის გზა ანტირუსული რიტორიკისა და პოლიტიკის საფუძველზე. პანკისის საკითხმა და საქართველოს ხელისუფლების უპასუხისმგებლობამ გილაევის ოპერაციის მიმართ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა მოსკოვის ანტიქართული განწყობის გაძლიერებაში. სიმართლე რომ ითქვას, რუსეთის მთავრობა უგულებელყოფდა საქართველოს უსაფრთხოების კანონიერ ინტერესებს, რამდენადაც უპირატესობას ანიჭებდა მუქარაზე დაყრდნობას. თუ შეიძლება, დიპლომატიაზე ითქვას, რომ ეს არის ურთიერთობის ხელოვნება ძნელად ასატან მეზობელთან მძიმე პირობებში, მაშინ დიპლომატია უმთავრესად ორივე მხარეს აკლდა.

იმ მომენტში, როცა საქართველო მიუახლოვდა არშემდგარი სახელმწიფოს სტატუსს, 11 სექტემბრის მოვლენებმა აიძულა თბილისი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობებში შეეცვალა თავისი უსაფრთხოების პოლიტიკა: აღდგა კონტროლი პანკისის ხეობაზე, დაიწყო იმ პარტიზანული ძალების დევნა, რომლებიც მოქმედებდნენ აფხაზეთში, მიღებული იქნა ინსიტიტუციონალური რეფორმების პროგრამა. მაგრამ შევარნდაძის რეჟიმი უძლური იყო, რეფორმები ბოლომდე მიეყვანა. ამის შედეგი იყო “ვარდების რევოლუცია” და ბოლოს ამოტივტივებული შესაძლებლობა, რაციონალურად გამოყენებულიყო გაფართოებული ევროკავშირის უსაფრთხოების პოლიტიკაში ცვლილებები და აგრეთვე შეერთებული შტატების მხრიდან დახმარების განახლება პოსტსაბჭოთა სივრცეში დემოკატიული განვითარებისათვის.

რაც შეეხება საქართველოში შიდა ურთიერთობებს, დამოუკიდებლობის მოპოვებამ, სახელმწიფო გადატრიალებამ, რომელმაც გამსახურდია გადააყენა და “ვარდების რევოლუციამ” უფრო დიდი გავლენა მოახდინა პერიფერიასთან ურთიერთობებზე, ვიდრე სხვა რაიმე ცვლილებებმა ამ ტერიტორიებზე. ეს ნათლად ჩანს სამხრეთ ოსეთის ახალი ისტორიის მოვლენების მაგალითზე, სადაც გამსახურდიას და სხვა ნაციონალური ლიდერების მიერ ორგანიზებული მობილიზაციის შედეგად 1989 წელს მოხდა მძაფრი შეტაკებები. თბილისში შევარდნაძის დაბრუნებამ 1992 წელს შესაძლებელი გახადა ცეცხლის შეწყვეტა, რომელიც ათწლეული გრძელდებოდა, მაგრამ “ვარდების რევოლუციამ” კვლავ გამოიწვია მძაფრი კონფრონტაცია.

1991 წელს აფხაზურმა ნაციონალურმა მოძრაობამ, რომელსაც გადაწყვეტილი ჰქონდა, მოეპოვებინა საქართველოს თანაბარი სტატუსი, ისარგებლა სამხრეთ ოსეთში გამსახურდიას მთავრობისთვის გართულებული სიტუაციით და განამტკიცა თავისი პოზიციები აფხაზეთში ახალი საარჩევნო კანონის მიღებით, რომელიც გარანტიას აძლევდა მის წარმომადგენლებს, პარლამენტში ადგილების გაზრდილი კვოტა ჰქონოდათ. 1992-1993 წლებში შევარდნაძის თბილისში დაბრუნებიდან რამდენიმე თვის შემდეგ საქართველოს მთავრობამ დაიწყო სამხედრო ინტერვენცია აფხაზეთში, რაც დამთავრდა აფხაზეთის გამარჯვებით და კიდევ ერთი დე ფაქტო სახელმწიფოს შექმნით საქართველოს პერიფერიაზე.

მოდელი "ცენტრი-პერიფერია" შემდეგ გულისხმობს, რომ ორ მხარეს შორის თანაფარდობაში ცვლილებები მეტად არსებით გავლენას ახდენს პერიფერიაზე, ვიდრე ცენტრზე. თვალსაჩინო გამონაკლისს წარმოადგენს საბჭოთა კავშირი, სადაც ცენტრი დაიშალა, ხოლო სხვადასხვა პერიფერიები გადაიქცნენ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად. ამ წიგნში ნაჩვენებია საქართველოსთვის საერთაშორისო მდგომარეობაში ცვლილებათა შედეგები, მათ შორის, რა თქმა უნდა, ცივი ომის შეწყვეტა და საბჭოთა კავშირის დაშლა, ოღონდ ცვლილებებს დასავლეთთან ურთიერთობებში ნაკლები თვალსაჩინო შედეგები ჰქონდა აშშ-სა და ევროპის მხრიდან საკუთარი ენერგეტიკული უსაფრთხოებით მზარდი დაინტერესების შედეგად. ამ შემთხვევაში ღრმა ზემოქმედება განიცადა საქართველოს არა მარტო საგარეო პოლიტიკამ და საქართველოს უსაფრთხოების პოლიტიკამ, არამედ მისი განვითარების მთლიანმა სტრატეგიამ. მოსკოვთან, ვაშინგტონთან და ბრიუსელთან საქართველოს ურთიერთობაში ცვლილებებს, რომელიც გამოწვეული იყო რუსეთში 1999 წელს დრამატული მოვლენებით, შეერთებულ შტატებში 2001 წელს და ევროკავშირის შიგნით 2004 წელს ჰქონდა ანალოგიური შორსმიმავალი შედეგები საქართველოსთვის. მაგრამ ეს ქვეყნები საქართელოსთან და სხვა კავკასიურ სახელმწიფოებთან ურთიერთობებს გაცილებით ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებენ.

რაც შეეხება საქართველოს შიდა კონფლიქტებს, იმ ფაქტმა, რომ ორ მხარეს შორის ურთიერთობაში ცვლილებები მეტ გავლენას ახდენს პერიფერიაზე, ვიდრე ცენტრზე, თავისი გამოხატულება ჰპოვა სამხრეთ ოსეთისა და აფხაზეთის დე ფაქტო სახელმწიფოებად გახდომაში ცენტრზე მათი სამხედრო გამარჯვების შედეგად. სხვა მაგალითს წარმოადგენს აჭარის დაბრუნება საქართველოს შემადგენლობაში, სამხრეთ ოსეთის რუსეთზე დამოკიდებულების ზრდა, რაც ორივე შემთხვევაში თბილისთან კონფრონტაციის შედეგად გამოვლინდა "ვარდების რევოლუციის" შემდეგ.

ამ კრებულის მასალები აგრეთვე მოწმობს იმას, რომ პერიფერიები როგორც ზესახელმწიფოებრივ, ისე საერთაშორისო დონეებზე შეიძლება შეეცადონ, თავიანთი თავი აქციონ ცენტრად. აღნიშნული მცდელობა განხორციელდა ურთიერთგანცალკევებულ, მაგრამ პარალელურ შემთხვევაში. საერთაშორისო დონეზე თბილისი

ისწრაფოდა, დაშორებოდა მოსკოვს, ამავე დროს, შიდასახელმწიფოებრივ დონეზე სოხუმი და ცხინვალი იბრძოდნენ თავის დასაღწევად.

სხვა ურთიერთობები ცენტრ-პერიფერიისა როგორც საერთაშორისო, ისე შიდასახელმწიფოებრივ დონეებზე ნაკლებად კონფლიქტურია, მაშინაც კი, როცა არც ერთი დაპირისპირებული მხარე არ ემხრობა ინტეგრაციის მაღალ ხარისხს.

დაპირისპირებულ მხარეებს შორის კონფლიქტები ზოგჯერ აღინიშნება პერიფერიის უუნარობით, მთლიანად გათავისუფლდეს ცენტრისაგან, რომელიც აღიქმება, როგორც დამჩაგვრელი, იქცევა ალტერნატიულ ცენტრად ან უერთდება სხვა ცენტრს, რომელიც, მათი აზრით, შეძლებს მათ საიმედო დაცვას. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის საქართელოს გამოყოფის კვალობაზე, ყოველი სეპარატისტული სახელმწიფო თანდათან ინტეგრირდებოდა რუსეთის ბანაკში. თუმცა საქართველოსგან ვერ გათავისუფლდა ვერც ფორმალურად და ვერც იურიდიულად. ამისათვის საჭიროა მათი სუვერენიტეტის საერთაშორისო აღიარება, რომელიც მათ ჯერ ვერ მიიღეს.

ასეთივე პრობლემა აქვს საქართველოს საერთაშორისო ურთიერთობაში. ათ წელზე მეტია, თბილისი, როგორც ჩანს, ვარაუდობდა, დასავლეთის ინსტიტუციონალურ სტრუქტურებთან ინტეგრაციის გაღრმავება საკმარისი იქნებოდა მოსკოვთან ძალთა თანაფარდობის ცვლილებისათვის და ეს პროცესი საშუალებას მისცემდა მათი ურთიერთდამოკიდებულების ნორმალიიზაცის, მათ შორის მოუწესრიგებელი კონფლიქტების გადასაწყვეტად. ამ კრებულის მასალები ნაწილობრივ ადასტურებს ამ ვარაუდს. საქართველოს კავშირმა დასავლეთის ქვეყნებთან, მისმა პროგრესულმა ინტეგრაციამ დასავლეთის ინსტიტუტებში და ამის პარალელურად კონფრონტაციის პოლიტიკის გატარებამ მოსკოვის მიმართ გამოიწვია მოსკოვზე დამოკიდებულების გარკვეულწილად შემცირება. მაგრამ ამ მოვლენებმა ვერ გადაჭრა საქართველოს ძირეული პრობლემები, ისეთები, როგორებიცაა რუსეთის სავიზო რეჟიმი ან აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან ურთიერთობის ძირეული საკითხები.

საერთაშორისო დონეზე, ცენტრ-პერიფერიის მოდელის თვალსაზრისით მოსალოდნელია საქართველო-რუსეთის ურთიერთობა

გამომდინარეობდეს უფრო მოსკოვის უსაფრთხოების პირობებში ღრმა ცვლილებებიდან, ვიდრე თბილისის. თუ რუსეთი შეცვლიდა ევროსაბჭოსა და აშშ-ს მიმართ თავის პოლიტიკას, ამას შეეძლო, მნიშვნელოვანი გავლენა მოეხდინა საქართველოსთან მის ურთიერთობაზე. თუ ჩრდილოეთ კავკასიაში მოხდა სიტუაციის სერიოზული გაუარესების ან მასშტაბური ტერორისტული მოქმედებების განხორციელება რუსეთის ტერიტორიაზე, შედეგები ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

საქართველო-რუსეთის ურთიერთობათა ტრანსფორმაცია შეიძლება გამომდინარეობდეს საქართველო-დასავლეთის ურთიერთობებში ძირეული ცვლილებიდან, მაგალითად, საქართველოს ნატოში შესვლა ან ევროსაბჭოში. ამ შემთხვევაში სამაგალითოა ბალტიის ქვეყნებთან შედარება. რუსეთი არის ერთადერთი ყველაზე ძლიერი საგარეო გავლენის წყარო ყველა პოსტსაბჭოთა სახელმწიფოზე, ბალტიის ქვეყნების გარდა. ბალტიის ეს სამი სახელმწიფო არის ერთადერთი პოსტსაბჭოთა სახელმწიფოები, რომელთათვისაც უსაფრთხოება "იწყება არა სახლში", როგორც ჩამოაყალიბა შესავალში ლეგვოლდმა და რომელშიც, მიუხედავად მოსკოვთან რთული ურთიერთობისა, "განიცდიან რაღაც უსაფრთხოებასთან მიახლოებულ არსებობას". რა თქმა უნდა, ეს მეტწილად უზრუნველყოფილია მათი ნატოსა და ევროკავშირის წევრობით და ამიტომ ისინი წარმოადგენენ მსგავს მოდელს იმ უსაფრთხოებისა, რისკენაც ისწრაფვის საქართველო.

ამ პერსპექტივების დროითი ჩარჩოების განსაზღვრა არა მარტო რთულია, არამედ, ევროკავშირის შემთხვევაში, ძალიან ძნელად წარმოსადგენია საქართველოს ეკონომიკის მდგომარეობისა და მისი სახელმწიფო ინსტიტუტების უძლურების გამო, აგრეთვე იმ სიძნელეების გამო, რასაც აწყდება ევროკავშირი მომავალ ახალ წევრებთან მოლაპარაკებებში. ადვილია საქართველოს ნატოში გაწევრიანების წარმოდგენა, მაგრამ ამისათვის საჭიროა, შეიცვალოს ნატოს მიზნები და ახალი წევრების მიღების კრიტერიუმები. მაგრამ ყველა შემთხვევაში ცვლილებები ნიშნავს, რომ გარდაქმნები ცენტრში მეტწილად განსაზღვრავს ახალ ურთიერთობას პერიფერიებთან.

თუ საქართველოს, აფხაზეთისა და ოსეთის მცდელობა, ექსპლუატატორად აღქმული ცენტრისგან გათავისუფლებისა, როგორც

ჩანს, წარმატებული იქნება ნაწილობრივ, მაშინ ასეთ ცენტრთან კომპრომისის გზით მათი ურთიერთობის ნორმალიზაცია ძნელი იქნება. საქართველოს საშინაო დონეზე ყოველგვარი ფედერაციული სქემა უნდა შეიცავდეს იერარქიის განსაზღვრულ ელემენტს სახელმწიფო ინსტიტუტებს შორის და ამას ექნება პირდაპირი შედეგი საქართველოს თანასაზოგადოებათა ურთიერთობისათვის. აფხაზური და ოსური ეროვნული პროექტების შემთხვევაში, თუნდაც ეთ-ნოფედერალურ სისტემაში მათი ჩართვა შესაძლებელს ხდიდეს ნაციონალური თვითგამორკვევის უფლების რეალიზებას, იერარქიის პრინციპის მიღება გართულდება. კოლექტიური სუვერენიტეტის პრინციპი შეიცავს ზოგიერთ მკაცრ შეზღუდვას საქართველოს უმრავლესობის მიერ ძალაუფლების განხორციელებისას, რაც არანაკლებ ძნელად მისაღები იქნება საქართველოს ნაციონალური პროექტების თვალსაზრისით.

საქართველოს შიგნით უფრო ძნელ ამოცანას წარმოადგენს ცენტრ-პერიფერიის კონფლიქტურ ურთიერთობათა გარდაქმნა სტაბილურ ფედერაციად. ამ დროს უნდა გადაილახოს ცენტრის აბსოლუტური არასტაბილურობა. არც ერთი პრეზიდენტის არჩევანი არ მომხდარა საქართველოში კონსტიტუციური პროცედურების შესაბამისად და აქამდე არაა ნათელი, როგორ შეძლებს ახალი ელიტა, ააშენოს საფუძვლიანი სახელმწიფოებრიობა კანონის პრინციპების მიხედვით. სუსტი სახელმწიფოებრიობა და ქრონიკული არასტა-ბილურობა, რომლებმაც გამოხატულება ჰპოვეს სახელმწიფო გადატრიალებასა და სახალხო აჯანყებებში,[49] უცილობელ გავლენას ახდენს პერიფერიასთან ურთიერთობაზე. კიდევ უფრო მნიშვნე-ლოვანია ის, რომ ცენტრ-პერიფერიის ურთიერთობაში ყოველგვარი ცვლილება ცენტრში არასტაბილურობის არსებობის შედეგად, უფრო დიდ გავლენას ახდენს პერიფერიებზე, ვიდრე ცენტრზე. საქართ-ველოში, რა თქმა უნდა, არ არის გამორიცხული დემოკრატიული რეფორმები და ინსტიტუციონალური სტაბილურობა, მაგრამ ფე-

[49] "ვარდების რევოლუცია" ძირითადად განიხილება პოსტკომუნისტური გარდამავალი პერიოდის კუთხით.მაგრამ ზოგიერთი ლათინური ქვეყნის, მაგალითად, ეკვადორისა და საქართველოს შედარებამ, შესაძლოა, გამოავლინოს მრავალი მნიშვნელოვანი პარალელი.

დერაციული გადაწყვეტა უნდა შეფასდეს რეალურად, ხოლო აფხაზეთისა და ოსეთის ანგარიშში ჩაგდება ძირეულ მნიშნველობას იძენს განვითარების უარესი სცენარის არდაშვებაში. ყოველგვარი ფედერალური მოწყობა საქართველოში უნდა უზრუნველყოფდეს უსაფრთხოების მექანიზმებს, რაც შეძლებს, წინ აღუდგეს არა-სტაბილურობის აფეთქებას გარედან. ბოლოს, სტაბილური ფე-დერაციის მისაღწევად საჭირო იქნება ძალაუფლების განაწილების მაღალი ხარისხი შინაგან ცენტრსა და პერიფერიას შორის, აგრეთვე საერთაშორისო უსაფრთხოების საიმედო გარანტიები. რუსეთის მონაწილეობა აფხაზეთისა და ოსეთის უსაფრთხოების გარანტიებში ითამაშებს გადამწყვეტ როლს, მაგრამ არანაკლები მნიშვნელობა ექნება რუსეთის მხრიდან თავშეკავებას იმ აზრით, რომ საერთა-შორისო გარანტიები ცალმხრივი არ აღმოჩნდეს.

ის, რომ საქართველოსა და რუსეთის მომავალი ურთიერთობა მეტად დამოკიდებულია ცენტრში გარდაქმნებზე, ვიდრე პერი-ფერიაში და რომ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი გადაიქცნენ რუსეთის ფედერაციის პერიფერიად, არ ნიშნავს, რომ კონფლიქტების დარეგულირება საქართველომ მოსკოვში უნდა ეძებოს. საქართველოს პრეტენზია აფხაზეთსა და ოსეთზე სუვერენიტეტის გამო ნიშნავს, რომ მანაც თავისთავზე უნდა აიღოს აქტიური როლი გადაწყვე-ტილების მოსაძიებლად. ამისათვის, თავის მხრივ, საჭიროა რუსეთის ფედერაციასთან მისი ურთიერთობის ნორმალიზაცია.აუცილებელია აგრეთვე ღონისძიებები ნდობის განსამტკიცებლად ცენტრს, აფხაზეთსა და ოსეთს შორის. საქართველოს მთავრობამ უნდა დაარწმუნოს ხალხი ორივე ტერიტორიაზე ცენტრის უნარიანობაში, რომ შეუძლია რეფორმების ჩატარება და მზადაა ნაციონალური კონფლიქტების მშვიდობიანი გზით მოწესრიგებისათვის. აქედან ბევრი რამ ძნელი განსახორციელებელია, მაგრამ თუ ქართველი ლიდერები შეძლებენ, თავიანთი თავი დაარწმუნონ ამ მიმართულებით წინსვლაში, მათ ექნებათ შანსი, ამაში დაარწმუნონ აფხაზებიც და ოსებიც.

ავტორთა შესახებ

ოქსანა ანტონენკო — სტრატეგიული კვლევების საერთაშორისო ინსტიტუტის რუსეთისა და ევრაზიის პროგრამების დირექტორი და უფროსი მეცნიერ-მუშაკი. MUCU –ში 1996 წლიდან მუშაობს. ხშირად აქვეყნებს MUCU-ს გამოცემებში (Survival, Strategic Survey The Military Balance), MUCU-ს წევრებისათვის მთელ მსოფლიოში ატარებს ბრიფინგებს, ამზადებს საერთაშორისო კონფერენციებზე წარსადგენ წერილობით და ზეპირ მოხსენებებს, საერთაშორისო მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით ევრაზიაში განვითარებულ მოვლენებს უკეთებს კომენტარს. მის ბოლო პუბლიკაციებს შორისაა: Russia and the European Union: Prospects for a New Relationship (რუსეთი და ევროკავშირი: ახალი ურთიერთობების პერსპექტივები, 2004). "Russia's Southern Border: Western Siberia-Central Azia" (IISS,2003).

გიორგი გოგია — კრიზისების თავიდან აცილების საერთაშორისო ჯგუფის კავკასიის პრობლემების ანალიტიკოსი. თავის გამოკვლევებში ის განიხილავს კონფლიქტების მიზეზებს ასევე სამხრეთ კავკასიის სამ ქვეყანაში — აზერბაიჯანში, სომხეთსა და საქართველოში კონფლიქტებზე საერთაშორისო და შიდა რეაქციას. მისი ყურადღების ცენტრშია რეგიონის სამი "გაყინული კონფლიქტი": სამხრეთ ოსეთი, აფხაზეთი და მთიანი ყარაბახი. მთავრობებისათვის, მრავალმხრივი ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ჯგუფებისათვის ამზადებს პოლიტიკური და პროგრამული რეკომენდაციების შემცველ მოხსენებებს. ბუდაპეშტის ცენტრალურევროპული უნივერსიტეტის პოლიტიკურ მეცნიერებათა მაგისტრი.

დავით დარჩიაშვილი — სოროსის ფონდების ქსელში შემავალი ფონდ "ღია საზოგადოება — საქართველოს" აღმასრულებელი დირექტორი, ილია ჭავჭავაძის სახელობის ენებისა და კულტურის უნივერსიტეტის მასწავლებელი. არცთუ ისე დიდი ხნის წინ მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტში მუშაობდა. როგორც მკვლევარი, ძირითადად ეთნიკური კონფლიქტებით, სამხრეთ კავკასიაში რეგიონული ურთიერთობებითა და საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების პრობლემებითაა დაკავებული. მის პუბლიკაციებს შორისაა: Georgian Security Problems and

Policies, in The South Caucasus: A Challenge for the EU და Trends of Strategic Thinking in Georgia: Achievements, Problems, and Prospects, in Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus, and Prospects, in Crossroads and Conflict: Security and Foreign Policy in the Caucasus and Central Asia (გზაჯვარედინი და კონფლიქტი: უსაფრთხოება და საგარეო პოლიტიკა კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში, 2000).

თომას დე ვაალი — ომისა და მშვიდობის საკითხების ინფორმაციის ინსტიტუტის კავკასიის პრობლემების რედაქტორი (ლონდონი). როგორც მწერალი და ჟურნალისტი, უკანასკნელი 14 წლის განმავლობაში კავკასიასა და რუსეთზე სპეციალიზდებოდა. რუსულს და თანამედროვე ბერძნულს ოქსფორდის უნივერსიტეტში სწავლობდა. მუშაობდა ბი-ბი-სის მსოფლიო სამსახურში, The Moscow Times და The Thimes of London-ში, ხშირად იბეჭდებოდა ჟურნალში The Economist. კარლოტა გოლის თანაავტორობით გამოსცა წიგნი Chechnya: Calamity in the Caucasus (ჩეჩნეთი: უბედურება კავკასიაში, 1998). არის ავტორი წიგნის Black Garden: Armenia and Azerbaijan through Peace and War (შავი ბაღი: სომხეთი და აზერბაიჯანი ომისა და მშვიდობის პირობებში, 2003), რომელშიც მთიანი ყარაბახის კონფლიქტის ღრმა გამოკვლევაა.

ჯაბა დევდარიანი — გაეროს ხელშემწყობი ქართული ასოციაციის დამფუძნებელ-დირექტორი. იყო ინტერნეტ-ჟურნალ Civil Georgia –ს ერთ-ერთი დამფუძნებელი და მთავარი რედაქტორი. მისი გამოკვლევების თემატიკა მოიცავს დემოკრატიზაციისა და განვითარების საკითხებს კავკასიასა და ბალკანეთში, ასევე სამხრეთ კავკასიის უსაფრთხოების საკითხებს. ამჟამად ადგილობრივი წარმომადგენლობის ხელმძღვანელი და ადამიანთა უფლებების ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციის (ეუთო) მისიის თანამშრომელი ბოსნიასა და ჰერცოგოვინაში. მის ბოლო პუბლიკაციაში Georgia: Rise and Fall of the Façade Democracy. — დემოკრატიზაცია, 2004 წლის ზამთარი — საქართველოში დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბება განიხილება.

ბრუნო კოპიტერსი — ასწავლის ბრიუსელის თავისუფალ უნივერსიტეტში (VUB). კვლევების მთავარი თემა — ომისა და სეცესიის ნორმატიული თეორიები. ძირითადად იბეჭდება კავკასიის კონფლიქტების თემაზე, განსაკუთრებით საქართველოსა და აფხაზეთში. მის ბოლო პუბლიკაციებს შორისაა — ფედერალიზმი და კონფლიქტი აფხაზეთში, კარნეგის მოსკოვის ცენტრი, ასევე ელექტრონულ ვერსიაში, მისამართზე: http://pubs.carnegie.ru/workpapers/2002/wp0202.pdf; იყო ერთ-ერთი რედაქტორი წიგნისა Secession, History, and the Social Sciences (სეცესია, ისტორია და საზოგადოებრივი მეცნიერებები, 2002) რომელიც გამოქვეყნებულია მისამართზე: http://poli.vub.ac.be/; ბრუნო კოპიტერსი, ნიკ ფოშინი, რუბენ აპრესიანი (რედ.). ომის ზნეობრივი შეზღუდვები: პრობლემები და მაგალითები (მ. გარდარიკი, 2002, ინტერნეტში იხ. საიტზე http://poli.vub.ac.be/); Contextualizing Secession: Normative Studies in Comparative perspective (სეცესია კონტექსტში: ნორმატიული გამოკვლევა შედარებით პერსპექტივაში, 2003); იყო ერთ-ერთი ავტორი (ბრუნო კოპიტერსი, მაიკლ ემერსონი, მიშელ ჰიოისენი, თამარ კოვზირიძე, გერგან ნუთჩევი, ნატალი ტოჩი, მარიუს ვალი) გამოცემის "ევროპეიზაცია და კონფლიქტების გადაწყვეტა: ევროპული პერიფერიის კონკრეტული გამოკვლევა" (M.: მთელი მსოფლიო, 2005, ასევე მისამართზე: http://poli.vub.ac.be/).

რობერტ ლეგვოლდი — კოლუმბიის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი, რომელიც რუსეთისა და ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების, ამჟამად უკვე დამოუკიდებელი სახელმწიფოების საგარეო პოლიტიკაში, პოსტსაბჭოთა სახელმწიფოებთან აშშ-ის დამოკიდებულებასა და აზიისა და ევროპის საერთაშორისო პოლიტიკაზე პოსტსაბჭოთა რეგიონის ზემოქმედებაში სპეციალიზდება. ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემიის საერთაშსორისო უსაფრთხოების პრობლემების კომიტეტის წევრი და პოსტსაბჭოთა სივრცის საერთაშორისო უსაფრთხოების პროექტის დირექტორი. 1986-1992 წლებში კოლუმბიის უნივერსიტეტთან არსებული ჰარიმანოვსკის ინსტიტუტის დირექტორი. მის ბოლო პუბლიკაციებს შორისაა — Swords and Sustenanse: The Economics of National Security in Belarus and Ukraine

(მახვილები და ჰოროლები: ბელორუსიისა და უკრაინის ეროვნული უსაფრთხოების ეკონომიკა, 2004), Thinking Strategically: The Major Powers, Kazakhstan, and the Central Asian Nexus (სტრატეგიული პერსპექტივები: წამყვანი სახელმწიფოები, ყაზახეთი და ცენტრალურაზიური კვანძი, 2003) და Belarus at the Crossroads (ბელორუსია გზაჯვარედინზე, 1999).

გია ნოდია — მშვიდობის, დემოკრატიისა და განვითარების კავკასიის ინსტიტუტის თავმჯდომარე, დამოუკიდებელი სამეცნიერო დაწესებულება, თბილისი, საქართველო და ილია ჭავჭავაძის სახელობის ენისა და კულტურის უნივერსიტეტის პოლიტოლოგიის პროფესორი. საერთაშორისო სტიპენდიები: ვუდრო ვილსონის ცენტრი, ვაშინგტონი, კოლუმბიის ფედერალური ოლქი; კალიფორნიის უნივერსიტეტი, ბერკლი; ბერლინის სამეცნიერო საზოგადოება; ემილ ფრანკოს კათედრა ბელგიაში. მეტწილად წერს რეგიონულ უსაფრთხოებაზე, კავკასიაში სახელმწიფო მშენებლობაზე და დემოკრატიზაციაზე, ასევე ნაციონალიზმსა და ცივი ომის დამთავრების შემდეგ დემოკრატიაზე გადასვლის შესახებ. არის ერთ-ერთი ავტორი წიგნისა Georgia Lurching to Democracy. From Agnostic Tolerance to Pious Jacobinism: Societal Change and People's Reaqtions (საქართველო დემოკრატიისაკენ იხრება: აგნოსტიკური თმენიდან იაკობინელთა კეთილდღეობისაკენ: საზოგადოებრივი ცვლილებები და ხალხის რეაქცია, 2000); არის მთელი რიგი პუბლიკაციების ავტორი ჟურნალში Journal of Ddemocracy.

ქრისტოფ ციურხერი — ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის ოტო ზურას სახელობის პოლიტოლოგიის ინსტიტუტის პედაგოგი და მეცნიერ-მუშაკი. ბერლინის თავისუფალი უნივერსიტეტის აღმოსავლეთ-ევროპული გამოკვლევების ინსტიტუტის კათედრის გამგე. როგორც მეცნიერი, მშვიდობისა და კონფლიქტების საკითხების შესწავლაში სპეციალიზდება.

განათლება მიიღო ბერნში, შვეიცარია; სწავლობდა მოსკოვში, ვილნიუსში, ხაბაროვსკსა და ლვოვში. ერთ-ერთი რედაქტორი წიგნის Potentials of Disorder: Explaining Violense in the Caucasus and in the Former Ygoslavia (არეულობის პოტენციალი: რით შეიძლება აიხსნას ძალადობა კავკასიაში და ყოფილ იუგოსლავიაში, 2003).

დამიენ ელი — პარიზის პოლიტიკურ მეცნიერებათა ინსტიტუტში დაიცვა სადოქტორო დისერტაცია პოლიტოლოგიაში. იყო კრიზისების აცილების საერთაშორისო ჯგუფის კავკასიური პროექტის დირექტორი. მისი კვლევების ძირითად სფეროს წარმოადგენს: ევროპული საგარეო პოლიტიკა, კონფლიქტების თავიდან აცილება და დარეგულირება, ასევე უცხოური დახმარება. მის ბოლო პუბლიკაციებს შორისაა: L'Union europeenne, acteur international (ევროპული კავშირი — მოთამაშე საერთაშორისო არენაზე, 2005), ასევე Georgia: What Now? (საქართველო: ახლა რა? 2003), Azerbaijan: Turning over a New Leaf? (აზერბაიჯანი: გვერდის გადაშლა, 2004), Moldova and Transdniestria: Democracy at Stake (მოლდავეთი და დნესტრისპირეთი: კარტზე დადებული დემოკრატია. მზადდება გამოსაცემად, 2005). ბოლო სამი შესრულებულია კრიზისების თავიდან აცილების საერთაშორისო ჯგუფისთვის.

საძიებელი

აბაშიძე, ასლან, 72-75, 152, 170, 248-249, 253, 441, 457სქ.15, 471-472, 475სქ.28

აბიევ, საფარ, 427,

ადამია, ვაჟა, 163, 167

ადამია, რევაზ, 175, 344

ადამს, ტერი, 423

ადგილობრივი თვითმმართველობის ევროპის ქარტია, 482

"ადემონ ნიხას", 121

ადენაუერ, კონრად, 455

ადიღეა, 143, 298, 338

ადიღეური ეთნო-ლინგვისტური ჯგუფი, 69, 115, 279, 338

ავღანეთი, 1, 233, 363, 399, 415, 416, 508

აზერბაიჯანის საერთაშორისო ოპერაციული კორპორაცია, 336, 422

აზერბაიჯანი, 3, 27, 29-30, 32-33, 35, 40, 45, 45სქ..26, 52, 58, 72, 77-78, 112, 131, 138, 140სქ.24, 147, 149, 203, 213სქ.2, 216, 218, 223, 229, 259-260, 323, 328-329, 364-371, 390-391, 393, 398, 403-410, 412-413, 415-420, 422, 424-427, 429-432, 434-435, 437-438, 440, 442, 445, 458 *იხ. აგრეთვე კავკასიის რეგიონი; კასპიის რეგიონი; სუუამი; მთიანი ყარაბახი; და სამხრეთი კავკასია*

აზერბაიჯანელები საქართველოში, 13, 31-32, 76-78, 82, 108, 131, 150, 223, 408, 430, 458

ათასწლეულის გამოწვევის პროგრამა, 391

აკსამ, 441

ალექსანდრე I, 9

ალიევ, ილჰამ, 413

ალიევ, ჰეიდარ, 216, 366, 410, 412, 422

ალიოშინ, ბორის, 443სქ.32

ალ-ქაიდა, 81, 242, 306, 416, 428

ამიერკავკასია *იხ. სამხრეთი კავკასია*

ამიერკავკასიის ფედერაცია, 408

ამიერკავკასიის სამხედრო ოლქი, 23, 278, 280

ამიერკავკასიის რუსული ჯარების ჯგუფი, 165

ანტიკორუფციული საკოორდინაციო საბჭო, 181

ანტონენკო, ოქსანა, 23-25, 51, 270, 400, 477, 478, 488, 493-494, 497

არუთინოვი, სერგეი, 268

ანქვაბ, ალექსანდრ, 344, 348

არშბა, ვალერი, 335

ანჩაბაძე, იური, 275

არძინბა, ვლადისლავ, 294, 297, 307, 341-343, 345-346, 348, 377, 493,

აფრასიძეების კრიმინალური ბანდა, 198

აფხაზეთი და აფხაზები, 3-4, 11, 16, 19, 21-25, 28, 39, 40, 42, 51, 53, 59, 61, 63-64, 68-73, 76-77, 80-82, 85, 88, 107, 113-120, 122-134, 137, 140, 142-151, 153, 164, 169, 170-171, 176, 181, 209, 214-216, 218, 220-221, 223, 227-228, 233, 235, 241, 243, 247, 250-252, 255, 264, 268-305, 307-308, 311-315, 319-321, 325-326, 331, 333, 341, 349, 352, 376, 379-380, 382, 416, 477, 493-497, 500-501, 503-508

აფხაზეთის კონსტიტუცია, 127

აფხაზეთის ეროვნული გვარდია, 143

აფხაზეთის პარლამენტი, 126, 273

აფხაზეთის უზენაესი საბჭო, 122, 126

აფხაზი კაზაკების საზოგადოება, 335

აფხაზური ბატალიონი, 146

აღორძინება, პარტია,

აშშ სპეციალური დანიშნულების ძალები, 47, 81

ახალქალაქის რაიონი, 77, 411, 432, 458

ახალქალაქის სამხედრო ბაზა, 78, 128, 176, 248, 252-254, 264, 287, 400, 412, 431

ახბა, იგორ, 333

ახმეთა, 80

აჭარა და აჭარლები, 4, 21, 53, 61, 68, 71-76, 81, 86, 94, 107, 152, 170, 176, 228, 248-249, 253, 324, 354, 356, 359, 384, 413, 415, 417, 441, 457, 457სქ.15, 426, 463, 469, 471, 472, 473, 473სქ.27, 474-475, 481-483, 492, 498, 504

ბაბაიან, სამველ, 429-430

ბაბურინ, სერგეი, 350

ბაგაფშ, სერგეი, 330, 343-348, 352

ბაგრატოვანთა დინასტია, 9

ბაევ, პაველ, 15, 235

ბათუმის სამხედრო ბაზა, 128, 176, 248, 252-254, 264, 287, 400, 412

ბათუმი, 73-74, 249, 261, 403-404, 407, 411, 472

ბალკანეთის სახელმწიფოები, 63, 225 359, 372სქ.32, 416, 487

ბალტიის ქვეყნები, 7, 46, 59, 92, 112, 114, 138, 148-149, 175, 203, 215სქ.19, 217, 227, 255, 405, 433, 488, 506

ბასაევ, შამილ, 146, 280

ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი, 34, 223, 258, 327, 364-365, 367, 387, 412, 419, 421, 423, 425, 427, 431-432, 490-491

ბაქო-თბილისი-ერზრუმის ნავთობსადენი, 369, 419-420, 440

ბაქო-სუფსას ნავთობსადენი, 223, 227, 365

ბეიკერ, ჯეიმს, 366

ბეისინჯერ, მარკ, 147

ბეჟუაშვილი, გელა, 200

ბელორუსია, 1, 2სქ.1, 16, 39, 44, 45სქ.26, 46, 140სქ.24, 165, 334

ბელკოვსკი, სტანისლავ, 336, 353

ბენდუქიძე, კახა, 262, 498

ბერეზოვსკი, ბორის, 297, 324

ბესლან (რუსეთი), 268

ბეჩჰოფერ, ს.ი., 403

ბიჭვინთა, 284

ბლანკ, სტივენ, 233

ბოდენის დოკუმენტი, 313-316, 320, 378, 508

ბოდენის ინიციატივა, *იხ. ბოდენის დოკუმენტი*

ბოდენ, დიტერ, 314-315, 378 *იხ. აგრეთვე ბოდენის დოკუმენტი*

ბოლშევიკური რევოლუცია, 161

ბორჯომი, 367, 430-432, 508

ბოსნია-ჰერცეგოვინა, 131, 233, 269, 378

ბოსფორის სრუტე, 327, 366, 421

ბოტა, ლივიუ, 378,

ბპ (ბრიტიშ პეტროლეუმი), 259, 365-366 *იხ. აგრეთხვე ბპ ამოკო*

ბპ ამოკო, 423, 427

ბჟეზინსკი, ზბიგნევ, 366,

ბრუბეიკერ, როჯერს, 131

ბუკაევ, გენადი, 347

ბულგარეთი, 40, 365, 389, 508

ბუნებრივი გაზი, *იხ. ენერგეტიკის განვითარება და უსაფრთხოება*

ბურჯანაძე, ნინო, 3,

ბუშ, ჯორჯ უ., 35, 42, 236, 246, 259-260, 307, 392, 438, 499

გაგრა, 142, 279

გაგულია, გენადი, 317

“გაერთიანებული ენერგოსისტემები”, 232, 259, 260

გაიდარ, ეგორ, 211

გაერთიანებული ქართული ბანკი, 262

გაერთიანებული სამეფო, 57, 195, 224, 293, 308სქ.55, 363, 365-366, 375-376, 385, 388, 392, 403-404, 454

გაერთიანებული ერები (გაერო), 25, 56, 220, 227, 238, 245-246, 273, 286, 288-290, 293-296, 308, 310, 313-314, 316-320, 341, 344-345, 349, 351, 373-377, 380, 382-383, 392, 394, 398

გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი (საქართველო), 293, 313-314, 318-319, 376, 379, 389

გაეროს განვითარების პროგრამა, 95, 396

გაეროს გენერალური მდივნის მეგობართა ჯგუფი (საქართველო), 293, 313-314, 318-319, 376, 379, 389

გაეროს კონვენცია ლტოლვილთა სტატუსის შესახებ, 238

გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, 319

გაეროს რეზოლუცია 1255, 341

გაეროს სამოქალაქო პოლიცია, 379

გაეროს სამხედრო დამკვირვებელთა მისია საქართველოში, 227, 282, 289-291, 303, 313, 319, 374-375, 377, 379

გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1378, 246

გაზპრომი, 232, 235, 259-260, 420, 443სქ.32

გალის რაიონი, 127, 269, 291, 294-296, 316, 320-321, 343, 345, 377, 379-380, 398, 436

გამსახურდია, ზვიად, 16-17, 22, 29-30, 63-64, 78, 85-86, 88, 93, 109, 112-113, 119, 121-130, 136-137, 139-142, 143, 150, 153, 162-163, 165-168, 170-171, 213-216, 222, 271, 286, 405, 448, 451, 461, 463, 466-468, 474-475, 479, 486-488, 502-503

გახოკიძე, ჯემალ, 175

გეგეჭკორი, ევგენი, 403, 405

გელაევის ოპერაცია, 303, 387, 416, 496, 502

გელაევი, რუსლან, 303, 416

გელათის ტაძარი, 105

გენერალური შტაბი (თავდაცვის სამინისტრო), 176

გერმანია, 105, 254, 262, 293, 363, 375-376, 388, 392, 404, 455

გიორგაძე იგორ, 171-172, 428

გოგია, გიორგი, 34, 38, 40-42, 51, 356, 476, 489, 492, 496-497, 499-500

გოგოხია, რუზგენ, 151

გორბაჩოვ, მიხაილ, 110, 125, 209-210, 412, 433, 485

გორეგლიად, ვალერი, 353

გრაჩოვ, პაველ, 218, 278-280, 284-285, 287-288

გრეფ, გერმან, 261

გუდაუთის სამხედრო ბაზა, 128, 252, 281, 287, 311-312

გუდაუთა, 142, 252

გუდკოვ, გენადი, 310სქ.60

გუმბარიძე, გივი, 119, 163

გუმრის სამხედრო ბაზა (სომხეთი), 411

გურია, 84

გუსტოვ, ალექსანდრე, 329

დაგომისის შეთანხმება, 383სქ.56

დაგომისის სამიტი, 278სქ.9

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) ხელშეკრულება კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ, 175, 296, 434

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა (დსთ), 25, 125, 128, 137, 175, 221, 225-227, 232, 235, 260, 265-266, 274, 286-293, 295-300, 308-313, 316-317, 322, 325-327, 334, 340, 350, 372, 374-375, 398, 434-436, 439, 489სქ.43, 490, 493, 497

დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის (დსთ) სამშვიდობო ძალები, 24, 252, 269, 273-274, 289-292, 294-296, 300, 303, 308-310, 312-313, 318, 322, 374

დარჩიაშვილი, დავით, 5, 14-17, 19, 36-38, 51, 155, 467, 471, 477, 480, 485, 490-491, 496-497, 499

დაღესტანი, 219, 237, 301, 323, 383

დე ვაალ, თომას, 10, 29-30, 51, 372, 403, 467, 491, 496

დევდარიანი, ჯაბა, 10, 20-22, 25-27, 51, 203, 283სქ.24, 485-487, 494-497, 499, 501

დემირელი, სულეიმან, 366

დერჟავა, 210, 212, 217-218, 220, 234, 487

დე ჰუუპ სხეფერ, იაპ, 255

დიდი ბრიტანეთი, *იხ. გაერთიანებული სამეფო*

დიდი ახლო აღმოსავლეთი, 363, 436, 496

დნესტრისპირეთი, 334, 434

დუბინ, ბორის, 210

დუდაევ, ჯოჰარ, 292

ებელ, რობერტ, 426

ევრაზიის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, 263

ევრაზჰოლდინგი, 262

ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო კორიდორი (TRACECA), 369

ევროპაში ნავთობისა და გაზის ტრანსპორტირების სამთავრობოთაშორისო პროგრამა (INOGATE), 369

ევროპაში ჩვეულებრივი შეიარაღების შესახებ ხელშეკრულება, 140სქ.24, 255, 296, 489

ევროპის პარლამენტი, 362, 393

ევროპის საბჭო, 106, 175, 227, 230, 438, 442 *იხ. აგრეთვე ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა*

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეა, 31, 483სქ.39

ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, 93, 267, 359, 360, 393-394, 502

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია (ეუთკ), 217, 286, 382 *იხ. აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)*

ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო), 25, 30-31, 41, 176, 192, 221, 225, 227-228, 242, 244, 246, 252, 254-255, 293, 295-296, 310-311, 313, 341, 372, 375, 380-384, 399, 402, 438, 442, 462, 480სქ.32, 484, 500 *იხ. აგრეთვე ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის კონფერენცია*

ევროპული კავშირი, 1, 27, 33, 40-42, 43, 46, 48, 58, 70, 89, 93, 104, 106, 147, 189, 192, 195, 197, 235, 246, 255, 263, 267-269, 356-359, 360-362, 365-366, 368-369, 372, 382, 384-385, 389, 392-394, 398-399, 401, 405, 438, 440, 459-460, 490-491, 498-499, 501, 503-504, 506

ევროპული კომისია, 362, 368-369, 383, 392-393, 499სქ.48

ეთნიკური იდენტურობა და კონფლიქტი, 13-14, 50, 54, 56, 59, 61-64, 66, 68, 73, 76-78, 81-83, 87, 92, 107-108, 126, 131, 157, 160, 172, 187, 197, 219, 227, 238, 271, 301, 345, 402 *იხ. აგრეთვე აფხაზები და აფხაზეთი; ოსები; სამხრეთი ოსეთი*

ეთნო-ფედერალიზმი, *იხ.ფედერალიზმი*

ელჩიბეი, აბულფაზ, 391

ენათა ქართველური ოჯახი, 115

ენგუტის ჰიდროელექტროსადგური, 317, 321, 327, 380

ენერგეტიკის განვითარება და პოლიტიკა, 32, 34, 41, 51, 148, 150, 200, 204, 222, 224, 232, 235, 248, 258-261, 317, 323, 327, 338, 344, 360, 361, 364-371, 390, 392, 401, 406, 414, 418-421, 423-427, 429, 443, 484, 489-490, 501-502, 504 *იხ. აგრეთვე აზერბაიჯანი; ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის ნავთობსადენი; კასპიის ზღვის რეგიონი; რუსეთი*

ერაყი, 1, 225, 227, 255, 363, 387-388, 399, 421, 437

ერგნეთის ბაზრობა, 152, 396, 476,

ერეკლე II, 9

ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, 115, 123

ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტი, 390

ეროვნული დამოუკიდებლობის პარტია, 123

ეროვნული უშიშროების საბჭო (საქართველო), 188, 191, 198

ესოიან, არარატ, 432

ესპანეთი, 58

ესტონეთი, 62, 389

ეუთო, *იხ. ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია*

ეუთოს მინსკის ჯგუფი, 31, 227, 426

ექსონ მობილი, 365

ექტონ, ლორდ ედვარდ დალბერგ, 61სქ.6

ეწერი, 198

ეხო მოსკვი, 247

ვაზიანის სამხედრო ბაზა, 128, 252, 287

ვარდების რევოლუცია, 8, 74, 86, 93, 109, 161, 247, 389-390, 402, 441, 474, 482, 498-499, 502-503, 507სქ.49

ვარშალომიძე, ლევან, 76

ვენეციის კომისია, 481

ვირქ, 78

ვნეშტორგბანკ, 262

ვოლგოდონსკ, 301

ვორონინ, ვლადიმერ, 266

ვო, ტონი, 415

ზაიტსევ, ანატოლი, 312

ზაქათალას რაიონი, 412

ზაქარეიშვილი, პაატა, 284

ზატულინ, კონსტანტინ, 337

ზვერევ, ალექსეი, 280-281

ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი (საქართველო), 174

ზუგდიდი, 320, 379

ზურაბიშვილი, სალომე, 256, 498,

თაბაღუა, ბატალ, 348სქ.117

თავდაცვის რესურსების მართვის ცენტრი, 176

თავდაცვის სამინისტრო (საქართველო), 166, 168-169, 171, 174, 176, 179-180, 181-182, 184-186, 190-191, 195-196

თავდაცვის სამინისტრო (რუსეთი), 278, 281, 288, 312, 323

თავდაცვის, ეროვნული უშიშროებისა და მართლწესრიგის კომისია, 167

თათრები, 403

თათარსტანი, 298

თანამემამულეთა საბჭო, 298

თბილისის საარტილერიო სასწავლებელი, 165

თბილისი, 112-113, 115, 140, 208

თევზაძე, დავით, 175, 181-182, 189

თურქეთი, 25, 31-34, 38, 40, 46, 51, 58, 72, 75, 78-79, 146-147, 175, 204, 213, 223, 226, 228-229, 253, 259, 327, 338, 362სქ.10, 364-366, 369-370, 372, 388, 390, 399, 403-405, 407, 419-421, 425, 427, 430, 433, 436-442, 446, 461, 471 *იხ. აგრეთვე ოტომანთა იმპერია*

თურქმენეთი, 44, 416 *იხ. აგრეთვე ცენტრალური აზია*

თეთრი არწივი, 163, 165

თეთრი ლეგიონი, 151, 294

იაკობიძე, დავით, 11სქ.4

იაპონია, 47, 49, 336

იაკოვენკო, ალექსანდრ, 351სქ.119

იაზკოვა, ალა, 353

იელოვას მოწმეები, 102

ივანოვ, იგორ, 75, 226, 248-249, 441

ივანოვ, სერგეი, 239, 254-255, 311, 494

“იმედი”, 163, 165

იმერეთის რეგიონი, 84, 472

ინდოეთი, 46

ინგუშეთი, 219, 383

ინოზემცევ, ვლადისლავ, 337სქ.101

იოსელიანი, ჯაბა, 125, 129, 138, 140, 145, 162-163, 169-170, 172-173, 222

ირანი, 1, 31-34, 38, 40, 46, 52, 120, 147, 225, 260სქ.101, 327, 364-365, 370, 372, 399, 405, 410, 416, 420-424, 426, 436-438, 440, 442, 446, 462, 491

ირიცინ, ნაირი, 432

ისკანდეროვ, ფუად, 427

ისრაელი, 27, 33, 437

ისტერ, ჯერალდ, 135

“იტერა”, 232, 235, 260

იუკოს, 251

იუნუსოვ, არიფ, 32

კავკასიის მთის ხალხთა კონფედერაცია, 143, 279

კავკასიის რეგიონი, 1-2, 8-10, 22, 25, 27-35, 38-40, 45-46, 48-51, 63, 74, 110, 135, 143-144, 146-148, 203, 212-213, 216, 218-220, 224, 226-227, 232, 233, 246, 249, 265, 275, 277, 287, 299, 306, 336-337, 355, 359, 365, 368-371, 389, 399, 400-405, 407-409, 411, 413, 418, 422, 428-429, 441-443, 446, 458, 460-461, 472, 486, 499 *იხ. აგრეთვე ჩრდილო კავკასია; სამხრეთი კავკასია*

კავკასიის ქედი, 146, 407

კავკასიის ხალხთა კონფედერაცია, 143სქ.28, 279

კაზაკები, 219-220, 335, 338

კათოლიკეები საქართველოში, 102

კამრანი (ვიეტნამი), 233

კანონი აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სტატუსის შესახებ, 481

კარაგანოვ, სერგეი, 250

კასპიის ზღვის რეგიონი, 32, 34, 362სქ.8, 364, 416, 484, *იხ. აგრეთვე კასპიის რეგიონი; ენერგეტიკის განვითარება და უსაფრთხოება; აზერბაიჯანი; ირანი; ყაზახეთი; თურქმენეთი*

კასპიის ნავთობსადენი, 34

კასტელს, მანუელ, 207, 214

კახეთი, 84, 471სქ.26

კენჭაძე, გიორგი, 198

კვაშნინ, ანატოლი, 239

კიტოვანი, თენგიზ, 124-125, 129, 138-139, 142, 167, 169-170, 222, 278

კოალიცია მრგვალი მაგიდა/ თავისუფალი საქართველო, 136, 164

კოდორის ხეობა, 243, 290-291, 303, 308, 311, 314, 320, 374-375, 387, 416, 496

კოზირევ, ანდრეი, 217, 225, 278

კოკოიტი, ედუარდ, 43, 152, 384

კოლესნიკოვ, ვლადიმერ, 345, 347, 348სქ.116

კოლექტიური თვითშეგნება, 206, 210

კოლიერ, პოლ, 144

კომუნისტური პარტია (აფხაზეთი), 116, 118, 133

კომუნისტური პარტია (საქართველო), 91, 99, 119, 120, 121, 157

კომუნისტური პარტია (მოლდოვა), 266

კომუნისტური პარტია (რუსეთი), 213, 334

კომუნისტური პარტია (სამხრეთი ოსეთი), 133

კომუნისტური პარტია (სანჭოთა კავშირი), 66-67, 118, 130, 464, 485-486

კონკორდატი, 104

კონტროლის პალატა, 180

კოპიტერსი, ბრუნო, 28, 52, 445

კორნელ, სვანტე, 416

კორუფცია, 4, 15-18, 41-42, 89-91, 94-95, 108, 157-159, 161, 180-183, 187, 193, 201-202, 263, 342, 344, 356, 388, 390-391, 394-395, 402, 406, 415-417, 447-448, 458, 474, 491, 496, 500, 508

კოსაჩევ, კონსტანტინ, 333

კოსოვო, 226-227, 233, 378, 388, 492

კოსტავა, მერაბ, 119

კრასნოდარის მხარე, 298, 316, 335, 338, 346, 350

“კუბიკი”,195

კურილის კუნძულები, 336

ლავროვ, სერგეი, 256

ლაკობა, სტანისლავ, 281, 285

ლატვია, 62, 389

ლებედ, ალექსანდრ, 280

ლეგვოლდ, რობერტ, 449, 487, 490, 500, 506

ლეკების ეთნიკური ჯგუფი, 407

ლიბერალურ-დემოკრატიული პარტია, 249, 332

ლიკლიკაძე, კობა, 239

“ლინქსი”, 381

ლინჩ, დოვ, 28, 322

ლიხნი, 118

ლიხნის დეკლარაცია, 118

ლორეს რეგიონი, 411

ლოშჩინინ, ვალერი, 312, 325

ლტოლვილები, 79, 224, 234, 238-239, 244, 270სქ.1, 286, 291, 300-301, 317, 319, 321-322, 375 *იხ. აგტრეთვე შიდა გადაადგილებული პირები*

“ლუკოილი”, 367

ლურდესი (კუბა), 233

ლუჟკოვ, იური, 298, 323, 338

მაილს, რიჩარდ, 65სქ.10, 391

მალაშენკო, ალექსეი, 232სქ.49, 250, 353

მან, სტივენ, 259-260, 390

მანუკიან, ანდრანიკ, 329

მარესკა, ჯონ, 426

მართლმადიდებელი ეკლესია, 14, 62, 76, 102, 103სქ.56, 104-105, 109, 115, 120, 156-157, 193

მარკოვ, სერგეი, 353

მაშველთა კორპუსი, 165, 168

მაჰმადიანები საქართველოში, 72, 76, 79, 102

მდინარე არაქსი, 425

მდინარე გუმისტა, 143, 471სქ.26

მდინარე ენგური, 294, 317, 320, 374

მდინარე ფსოუ, 292, 297, 322

მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შეთანხმება (რუსეთი და სომხეთი), 411

მეგრელები, 85-86, 116

მელიქაძე, ნიკო, 11სქ.4

მერაბ კოსტავას საზოგადოება, 142, 163, 167

მერაბიშვილი, ვანო, 199

მერი, ვუეინ, 421

მესხეთელი თურქები, 235სქ.54

მეცხრამეტე პარტიული კონფერენცია (საბჭოთა კავშირი), 118

მთიანი ყარაბახი, 3, 28, 30, 32-33, 50-51, 71, 77, 118-119, 218, 227, 288, 408-410, 417, 426-427, 429-430, 434, 442, 446

მიგდალ, ჯოელ, 87სქ.36

მილოშევიჩ, სლობოდან, 59, 391

მკალავიშვილი, ბასილ, 157, 159

მოლდოვა, 1, 27, 46, 52, 140სქ.24, 229, 254-255, 266, 433, 434

მონეტ, ჯან, 455

მორნინსტარ, რიჩარდ, 421

მოქალაქეობის შესახებ კანონი (რუსეთი), 316

მსოფლიო ბანკი, 217

მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაცია, 263

მუჯაჰედები საქართველოში, 416

მწვანე ალტერნატივა, 425

მხარეები, 84

მხედრიონი, დაჯგუფება, 16, 88, 124-125, 129, 138-142, 145, 162-163, 165, 168-169, 172, 222

ნადიბაიდზე, ვარდიკო, 129, 173, 175, 222

ნავთობი, *იხ. ენერგეტიკის განვითარება და პოლიტიკა*

ნაზარბაევი, ნურსულტან, 410

ნარინჯი ფერის რევოლუცია, 43-44, 352

ნაციონალიზმი, 14, 15, 18, 54, 62-65, 67-68, 77-79, 85, 99-102, 104, 108-109, 112, 115, 120-121, 124, 130-131, 134, 135-136, 138-139, 142-144, 146-147, 150, 157-159, 163-165, 168, 204, 208, 213, 219, 249, 268, 271-272, 306, 332, 337, 345, 350, 358, 400, 402, 430, 464-468, 478-480, 483, 487, 497-498

ნაციონალური მოძრაობა, 105

ნაციონალური მოძრაობა – დემოკრატები, 200

ნატო, *იხ. ჩრდილო ანტანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია*

ნატო, ინდივიდუალური პარტნიორიბის სამოქმედო გეგმა, 197, 199, 359, 389, 394

ნატო, პროგრამა პარტნიორობა მშვიდობისათვის, 47, 187, 226, 236, 267, 388

ნატო, სპეციალური
წარმომადგენელი კავკასიასა და
ცენტრალურ აზიაში, 389, 499

ნახჩევანი, 425

ნდობის ჯგუფი (საქართველოს
პარლამენტი), 174, 180

ნიკიტინი, ალექსანდრე, 310

ნიკოლაიშვილი, ლევან, 199

ნინოწმინდის რაიონი, 77

ნოდია, გია, 12-14, 22, 50, 53,
209სქ.8, 214, 283, 461-462, 464,
466 471, 480, 482, 496, 499

ნოვოროსიისკი, 328, 421

ნურეს, ნურვერ, 438

ოზალ, ტურგუტ, 438

ოზკან, თუნჯაი, 441

ოზკოკ, ჰილმი, 440

ოსური ეთნიკური ჯგუფი, 68-69, 71-
72, 76 81-82, 120-121, 130-131,
133, 141-142, 145-146, 150, 152,
209, 397-398, 407-408, 465-466,
470, 476 507 *იხ. აგრეთვე
ჩრდილო ოსეთი; სამხრეთი
ოსეთი*

ოსმალეთის იმპერია, 9, 31, 92, 147,
207, 436 *იხ. აგრეთვე თურქეთი*

ოჩამჩირა, 374სქ.34

პაკისტანი, 46

პალმერსტონ, ლორდ, 57

პანკისის ხეობა, 54, 79-81, 88, 176-
177, 237-247, 250, 255, 301, 303,
306, 308, 311, 387, 416, 428-429,
436, 458, 496, 502-503

პატიაშვილი, ჯუმბერ, 119

პატრონაჟის ქსელები, 84, 90-91, 98,
114, 135-136, 181, 183, 276

პაუელ, ქოლინ, 236

პენა, ფედერიკო, 421

პერესტროიკა, 110

პოლონეთი, 59, 389

პოლიტბიურო (საბჭოთა კავშირი),
409

პოლიციისა და საზოგადოებრივი
უსაფრთხოების სამინისტრო
(საქართველო), 196

პორტუგალია, 58

პრიმაკოვ, ევგენი, 225, 280სქ.15,
284, 294-295, 342, 492, 493

პრიზემლინ, ვასილი, 244

პუტინ, ვლადიმერ, 24, 26-27, 39, 47-
48, 230-233, 240, 243, 245-246,
249, 251, 254, 258, 263, 268, 273,
301-307, 313, 316, 318, 321, 323,
325-327, 332, 334, 338, 340, 343-

344, 347, 350, 352, 380, 413, 435, 484, 492-494

პფაფ, უილიამ, 106სქ.60

ჟვანია, ზურაბ, 3, 98, 222, 414

ჟირინოვსკი, ვლადიმერ, 249, 332, 334, 336, 345

რაიონისტები, 473

რამსფელდ, დონალდ, 106

რეგიონალისტები, 473

რემლერ, ფილიფ, 80

რიჩარდსონ, ბილ, 421

რობერტს, ჯონ, 423, 427, 429

როგოზინ, დმიტრი, 332, 337

როდინა, პარტია (რუსეთი), 249, 332, 334

როკის უღელტეხილი, 152, 383

როსტოვის ოლქი (რუსეთი), 298, 323

რუბინ, ჯეფრი, 205

რუმინეთი, 40, 365, 389

რუსეთი, 1-5, 7-9, 11, 14, 19-28, 30-32, 34-36, 39-43, 45-49, 51, 54-56, 60, 68, 70, 74-75, 78-82, 84, 91-92, 97, 100, 106-107, 116, 120, 125-128, 139, 141-144, 147-148, 150, 152-153, 161, 166, 168, 171-173, 175, 177, 187, 189, 191-193, 200, 203-355, 357, 360, 363-367, 370-380, 382-384, 388-390, 392, 397-401, 404-405, 407-413, 417, 419-425, 428-432, 434-436, 439-444, 446-448, 450, 461-462, 468-471, 474-478, 480-481, 484-498, 500-506, 508 *იხ. აგრეთვე დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობა; საბჭოთა კავშირი*

რუსეთის დუმა, 249, 255, 287-289, 298-301, 307, 311, 313, 323, 329, 332-334, 343, 345, 350

რუსეთის სახალხო პარტია, *იხ. ნაროდნაია პარტია*

რუსთაველის საზოგადოება, 115

რუსული თემების კონგრესი, 298

სააკაშვილი, მიხეილ, 3, 5-6, 10, 21, 25-26, 30-31, 37, 45, 70-71, 75, 83, 86, 94, 96, 98, 103-106, 108, 151-153, 158, 195-197, 203, 248-251, 253, 258, 261-262, 264-266, 270სქ.1, 271, 320, 324-326, 329-330, 332, 340, 353-354, 356, 358, 384-385, 385სქ.61, 388სქ.69, 389, 391, 394, 402, 406, 413, 417, 420, 430, 442, 449, 451, 461, 463, 474-479, 480სქ.32, 481-482, 498, 500

საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდი, 390-391

საბერძნეთი, 33, 262, 365, 369, 392, 437

საბჭოთა კონსტიტუცია, 67

საბჭოთა შეიარაღებული ძალები (არმია), 118, 121, 123-124, 139, 162, 165, 168, 208-209, 216

საბჭოთა შინაგან საქმეთა სამინისტრო, 124, 209, 409

საბჭოთა კავშირი, 1, 7, 16, 28, 38, 43-44, 46-48, 54, 59, 61-62, 65, 67-68, 110, 112, 114, 117, 121-122, 124-126, 132-133, 135, 147-149, 165, 203, 205-206, 210-212, 216-218, 224, 251, 254, 266, 270, 272, 275, 277-278, 328, 340, 357, 370, 407, 409, 413, 415, 422, 425, 433, 435-437, 445, 464, 481, 484-487, 499, 501-502, 504 *იხ. აგრეთვე რუსეთი*

საგანგებო მდგომაგეობის სახელმწიფო კომიტეტი, 166

საგარეო საქმეთა სამინისტრო (საქართველო), 189, 236, 278

საგარეო საქმეთა სამინისტრო (რუსეთი), 35, 252, 254, 278, 297, 299, 311-313, 315, 326, 351

საერთაშორისო გამჭვირვალობა, 89

საერთაშორისო კრიზისის ჯგუფი, 475

საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი, 390

საერთაშორისო სავალუტო ფონდი, 217

საერთაშორისო საფინანსო კორპორაცია, 367

საერთაშორისო წითელი ჯვარი, 382

საზღვრის დაცვის დეპარტამენტი, 196

საკოორდინაციო საბჭო (საქართველო-აფხაზეთი), 293, 219, 319სქ.71, 375, 378, 382

სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, 391

სამეგრელო, 70, 84-86, 88, 94, 285, 396, 417

სამცხე-ჯავახეთი, 77, 458

სამუშია, ზურაბ, 151

სამხედრო საზღვაო თანამშრომლობის შავი ზღვის ჯგუფი, 313, 440

სამხრეთი კავკასია, 8, 23, 25, 28-29, 36, 41, 74, 93, 135, 147, 203-204, 218, 221, 223-225, 227-228, 233, 242, 267, 278, 296, 299, 305, 307, 316, 330, 356-357, 359, 362-363, 366, 369-373, 378, 385-386, 388, 390, 393, 398-401, 404, 405-408, 410, 412-419, 427, 430, 436-437, 439, 442, 444-447, 459, 484, 489, 491-492, 494, 496, 499, 502 *იხ. აგრეთვე კავკასიის რეგიონი*

სამხრეთი ოსეთი, 3-4, 11, 19, 22, 25, 28, 31, 39-42, 51, 53, 61, 63-64,

68, 70-73, 77, 81-82, 107, 112-114, 119-126, 129-130, 132-134, 136, 141, 142, 149, 151-153, 160, 164, 214, 220-221, 223, 228, 233, 235, 243, 247, 250-251, 255, 264-265, 267-268, 270, 287-289, 300, 302, 305, 323, 329, 333-335, 339, 354, 356, 359, 370, 373, 382-385, 396-398, 410, 417, 434, 446, 448, 457-459, 462-465, 467-470, 472-473, 475-477, 480-481, 483, 491, 498, 500-501, 503-505, 508

სანქციები, 285, 293, 298, 322, 324-327, 351, 421, 493

სარიშვილი, ირინა, 65სქ.10

სასაზღვრო დაცვა (საქართველო), 168, 174, 185, 189, 193, 386, 416

საფრანგეთი, 61სქ.6, 293, 363, 365, 375-376, 385, 392, 455, 498

საქართველო და მსოფლიო: მომავლის ხედვა და სტრატეგია, 5, 189

"საქართველოს ახალ მეგობართა" ჯგუფი, 389

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა (1918-1921), 208

საქართველოს ეროვნული გვარდია, 16, 88, 122, 124-125, 127, 129-130, 137-143, 145, 164-170, 173-174, 183, 196, 222, 275, 278, 485

საქართველოს ეროვნული უშიშროების კონცეფცია, 11

საქართველოს კონსტიტუცია, 36, 72, 75, 85, 101, 128, 174, 178-179, 457, 472

საქართველოს მინისა და მინერალური წყლების კომპანია, 431

საქართველოს მოქალაქეთა კავშირი, 98, 222, 241,

საქართველოს პარლამენტი, 36, 65, 74, 83, 105, 122, 123-124, 128, 136, 178-179, 183-185, 198, 220, 228, 231, 245, 256-257, 308, 471-472, 481-482

საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი, 175, 179

საქართველოს სამხედრო-საზღვაო ფლოტი, 174

საქართველოს შეიარაღებული ძალები, 16, 17, 37-38, 71, 88, 112, 119, 128, 138, 140, 144, 153, 161, 164, 166-179, 183-184, 189-190, 194-195, 198-199, 201, 239, 243-245, 264, 278, 282, 283, 285, 287, 306-307, 387-388, 447, 488, 490, 496

საქართველოს წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა, 81, 176, 242, 244, 306, 387, 494, 496

საქართველოში გაეროს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი, 293, 314, 321-322

სახალხო პარტია, 432

სახალხო ფრონტის პარტია, 163, 432

სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი, 119

სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახური, 174, 185

სახელმწიფო საბჭო (საქართველო), 125, 168

სახელმწიფო დუმის დსთ-ის საქმეთა და საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებთან კავშირების კომიტეტი (რუსეთი), 287, 298-299

სახოკია, ნათელა, 11სქ.4

სელჯუკები, 9

სეპარატიზმი, 3, 5, 7, 10, 19, 22, 50, 71-73, 77, 83, 86, 94, 108, 112-115, 130-134, 146, 149-150, 153, 164, 187, 221, 232, 235, 250, 255, 265-266, 268, 272, 275, 277-278, 292, 301, 304, 307, 326, 334, 363, 373, 386, 397, 400, 402, 410, 434, 446-447, 455-456, 459-460, 464, 469, 471, 473, 492, 494, 498, 505 *იხ. აგრეთვე აფხაზეთი; აჭარა; სამხრეთი ოსეთი*

სერბეთი, 59, 391

სესტანოვიჩ, სტივ, 421

სეცესია, *იხ. სეპარატიზმი*

სვანები, რეგიონული იდენტურობა, 85

სვანეთი, 198

სიგუა, თენგიზ, 124-125, 129

სილოვიკი რუსეთში, 340, 347, 350-351

სიმონს, რობერტ, 389

სირია, 233, 437, 440

სიტნინ, ალექსეი, 350სქ.118

სკოუკროფტ, ბრენტ, 366

სმირნოვ, ლ.ნ., 298

სოლანა, ჰავიერ, 268

სომხები საქართველოში, 33, 76-77, 79, 82, 126, 131, 132სქ.14, 149, 271-272, 408, 411-412, 417, 429-432, 438, 458

სომხეთი, 3, 29, 32-33, 35-36, 77-78, 112, 131, 132სქ.14, 140სქ.24, 148-149, 259, 329, 380, 398, 404, 406-407, 409, 411-412, 417, 420-421, 427, 429-430, 432, 437-438, 440, 442-443, 445, 508

სომხური გრეგორიანული ეკლესია, 102

სოროს, ჯორჯ, 95, 391, 396

სოჭი (რუსეთი), 316-319, 321-322, 325-326, 330-331, 344, 347, 380, 498

სოჭის შეხვედრები და შეთანხმებები, 284, 285, 301, 317-322, 325, 344, 380

სოხუმი, 22, 116, 118, 127-128, 143-144, 221, 279, 284-285, 287, 289, 291, 293-294, 302, 314, 316, 321-322, 326-327, 330, 332, 338, 344-346, 351, 353, 373, 378, 380, 459, 505

სპარსეთის იმპერია, 9, 31, 92, 147, 364, 436
იხ. აგრეთვე ირანი

“სტატოილ”, 259

სტეფანაკერტი, 410

სტრატეგიული კვლევის ცენტრი, 11, 18

სუამის ალიანსი, 27, 52, 229, 434-436, 439, 496

სუნუნუ, ჯონ, 366

სწრაფი რეაგირების კორპუსი, 168

ტალვიტიე, ჰეიკი, 385

ტალიავინი, ჰაიდი, 320

ტაშკენტის ხელშეკრულება, 140სქ.24

ტაჯიკეთი, 45სქ.26 *იხ. აგრეთვე ცენტრალური აზია*

ტელბოტ, სტროუბ, 422

ტკაჩევ, ალექსანდრ, 338, 346-347, 350

ტრანსნაციონალური დანაშაულისა და კორუფციის კვლევის ცენტრი (TraCCC), 415

ტრაპიზონი, 407

ტყის ძმები, 151, 294

უზბეკეთი, 27, 44, 48, 52სქ.28, 434-435, *იხ. აგრეთვე ცენტრალური აზია*

უკრაინა, 1, 16, 21, 27, 39, 43, 45-46, 48, 52, 56, 140სქ.24, 165, 229, 267, 295, 349, 352-353, 434 *იხ. აგრეთვე სუუამი-ს ალიანსი*

ურთიერთობები ცენტრი-პერიფერია, 450-455, 459-461, 463-464, 477-478, 482, 484-485, 498, 500-501, 503-504, 507-508

უსაფრთხოების საკითხებში მრჩეველთა საერთაშორისო საბჭო (ISAB), 175, 187-191, 193

უშიშროების სამინისტრო (საქართველო), 81, 172, 193, 196, 222, 241, 244

უშიშროების სამინისტროს სპეციალური ბრიგადა, 172, 174, 193

ფაცაცია, ოთარ, 287

ფედერალიზმი, 54, 66-68, 81, 83-84, 113-114, 131-132, 134, 150, 238,

294, 302, 351, 450-451, 455, 457, 460, 464, 466, 469, 472, 479-481, 485, 486, 507-508

ფელგენჰაუერ, პაველ, 246

ფეოდოროვ, ვალენტინ, 335

ფოთი, 261, 411, 421

ქართველ შევარდენთა ლეგიონი, 163

ქერიმლი, ალი, 432

ქვემო ქართლი, 76-78, 81, 458

ქისტების ეთნიკური ჯგუფი, 79, 244, 301, 458

ქოენ, არიელ, 249

ქუთაისი, 105

ღლონტი, გიორგი, 414

ყაბარდო-ბალყარეთი, 298

ყაბარდოელთა ეთნიკური ჯგუფი, 69

ყაზახეთი, 16, 46, 48, 140სქ.24, 306, 365, *იხ. აგრეთვე კასპიის ზღვის რეგიონი; ცენტრალური აზია*

ყარაჩაი-ჩერქეზეთი, 143

ყარსი, 72, 407

ყარსის ხელშეკრულება, 72

ყარყარაშვილი, გიორგი (გია), 129, 163, 169

ყირგიზეთი, 44-46
იხ. აგრეთვე ცენტრალური აზია

შავი ზღვის ეკონომიკური თანამშრომლობის ორგანიზაცია, 372, 438-439

შამბა, სერგეი, 309სქ.58, 320

შარაძე, გურამ, 100სქ.53

შარტავა, ჟიული, 284

შაფერ, ბრენდა, 35

“შაჰ-დენიზის” გაზის საბადო (აზერბაიჯანი), 259, 390

შეერთებული შტატები, 5, 11, 17, 19-20, 25-28, 30, 33-36, 39, 41-44, 46-49, 51, 78, 80-81, 92, 147, 152, 175-177, 188, 192, 195, 223, 225-229, 231, 233, 236, 240-247, 251, 254-255, 257-258, 260, 262, 267, 293, 296, 305-307, 311, 333, 336, 356-358, 360-361, 363-368, 370, 375-376, 378, 380, 386-388, 390-392, 395, 399, 400-401, 405, 409, 414, 420-421, 423, 426, 429, 435-437, 441, 443-444, 447, 484, 492-494, 496-497, 499, 501, 504, 506
იხ. აგრეთვე წვრთნისა და აღჭურვის პროგრამა

შევარდნაძე, ედუარდ, 3, 5, 16-17, 19, 30, 42, 64-65, 73-75, 83-86, 88-90, 93-95, 98, 103-104, 109, 113, 125-129, 137-138, 140-142, 145, 151-153, 157-159, 168-178, 180-181, 183, 185-186, 189, 192-195, 197, 215-216, 221-223, 228-

230, 234-237, 239-241, 243, 247-248, 250-251, 256, 258-260, 264, 266-267, 271, 276-278, 285-286, 292-294, 296-297, 308, 316, 318, 321, 325, 357, 366, 377, 380, 389-392, 394-395, 402, 405, 409-410, 412-413, 416, 420, 422, 424, 428, 437, 441, 447-449, 451, 457, 461, 463, 468-470, 472-476, 478-479, 483, 487-493, 497, 502-503 *იხ. აგრეთვე საქართველოს მოქალაქეთა კავშირი*

შეთანხმება ცეცხლის შეწყვეტისა და მხარეთა დაშორიშორების შესახებ, 374

შეიარაღებული ძალების სტატუსის შესახებ შეთანხმება, 307

შელი, ლუიზ, 415

შენარჩუნებისა და სტაბილურობის პროგრამა, 388

შენგელია, დავით, 151

შერეული საკონტროლო კომისია, 382-383

შერეული სამშვიდობო ძალები, 382

შირაქის ველი, 365

შიდა გადაადგილებული პირები, 270სქ.1, 284, 286, 291-293, 295-296, 298, 309, 316-319, 321-322, 325, 329, 343-344 *იხ. აგრეთვე ლტოლვილები*

შინაგან საქმეთა სამინისტრო (საქართველო), 124, 140, 142, 160, 164, 166-168, 174, 179, 193, 196, 241, 303, 387, 409

შმიტ, იურგენ, 242

შოიგუ, სერგეი, 284, 346

შუშა, 438

ჩარკვიანი, გელა, 424

ჩეინი, რიჩარდ, 366

ჩეკალინ, ალექსანდრე, 347, 350

ჩერნომორენერგო, 344

ჩერქეზთა ეთნიკური ჯგუფი, 69, 279

ჩეჩნეთი და ჩეჩნეთის კონფლიქტები, 3, 8, 19, 21, 24, 31, 39, 41, 79-80, 138, 143, 149, 212, 219, 221, 223-224, 226-227, 232, 234, 237-238, 240-244, 246, 255, 277-278, 286, 292, 297, 299, 301-304, 306, 311, 357, 383-384, 446, 448, 484, 488, 491-495, 497, 502

ჩეჩნურ-დაღესტნური ჯგუფი, 115

ჩილერ, ტანსუ, 439

ჩილინგაროვ, არტურ, 345

ჩინეთი, 34, 46

ჩრდილო ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია (ნატო), 17, 25, 41-43, 47, 56, 70, 104, 175, 184, 187, 189-191, 195-197, 199, 204, 224-229, 236, 253, 255, 258, 267, 296, 300, 310, 313, 336, 359, 372, 378, 388-389, 394, 399-400, 412, 434-435, 437-438, 440, 459-460, 490, 492, 497, 499, 506

ჩრდილო კავკასია (რუსეთი), 8, 23, 30, 68, 69, 115, 127, 143-144, 146, 207, 213, 219-221, 223, 276-280, 282, 285, 288, 298, 304, 311, 316, 331, 338, 340, 345, 349, 351, 354, 461, 465, 468, 470, 506
იხ. აგრეთვე ჩეჩნეთი; დაღესტანი; ინგუშეთი; და ჩრდილო ოსეთი

ჩრდილო ოსეთი, 69, 120, 141-142, 146, 219, 298, 465, 481

ჩუბაის, ანატოლი, 260

ჩხაიძე, აკაკი, 198

ჩხეიძე, ვალერი, 189

ჩხიკვიშვილი, ვლადიმერ, 310სქ.59

ცენტრალური აზია, 1, 34, 39, 44, 46-48, 135, 306, 369, 389,
იხ. აგრეთვე ყაზახეთი; ყირგიზეთი; ტაჯიკეთი; თურქმენეთი; და უზბეკეთი

ციურხერ, ქრისტოფ, 22-23, 51, 110, 467-468, 485

ცხინვალი, 120-121

ჭანტურია, გიორგი, 115, 119

ხაბურძანია, ვალერი, 245

ხაკამადა, ირინა, 353

ხელშეკრულება მეგობრობის, კეთილმეზობლური ურთიერთობებისა და თანამშრომლობის შეხასებ (რუსეთი-საქართველო), 287, 289

ხარაზი, კამალ, 442

ხაშბა, ნოდარ, 284სქ.28, 346, 348

ხაჩიშვილი, თემურ, 129, 141

ხაჯიმბა, რაულ, 343-349, 350

ხრუშჩოვ, ნიკიტა, 162, 208-209

ჯაბაური, რამაზ, 431

ჯავახეთი, 78, 81, 411, 430, 432, 458

ჯავახკ, 78

ჯანჯღავა, ნიკოლოზ, 182

ჯაფარიძე, თედო, 26, 253, 431, 439

ჯერგენია, ანრი, 315სქ.65

ჯეფი, ამი, 364სქ.13

ჯექსონ, ბრიუს, 372სქ.33

ჰანტინგტონ, სემუელ, 178

ჰელი, დამიენ, 34, 38, 40-42, 51, 476, 489, 492, 496-497, 499-500

ჰეფლერ, ანკე, 144

ჰოვარდ, გლენ, 224

“ჰოლანდიური ავადმყოფობის” სინდრომი, 418

Accion Contra el Hambre, 382

AES, 192,სქ.39, 259

AES-თელასი, 192,სქ.39

“ENI”, 365

Halo Trust, 382

Medecins Sans Frontieres, 382

“TotalFinaElf”, 365

ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია

1780 წელს დაარსებული ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემია, რომელშიც მსოფლიოს წამყვანი მეცნიერები, ხელოვნების მოღვაწეები, ბიზნესმენები და პოლიტიკური ლიდერები შედიან, საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაა. ამჟამად აკადემიის 4000 წევრი აშშ-დანაა, 600 საპატიო წევრი კი უცხოეთიდან. მას აქვს ოთხი ძირითადი მიზანი:

- კრიტიკულად მნიშვნელოვანი სოციალური და ინტელექტუალური პრობლემების ანალიზის საშუალებით კვლევების ჩატარება და პრაქტიკული პოლიტიკის ალტერნატივის მოძიება;
- საზოგადოებრივი აქტივობის წახალისება და იდეების გაცვლა, შეხვედრების, კონფერენციების, სიმპოზიუმების ჩატარება, რათა მოხდეს სხვადასხვა პერსპექტივის განხილვა, იმ პრობლემების შესწავლისას, რომელიც საყოველთაო ინტერესს იწვევს;
- მეცნიერებისა და მოაზროვნეების ახალი თაობის მომზადება სწავლულების მოწვევის პროგრამის ჩარჩოებში;
- აკადემიის წევრებად იმ პირების არჩევა, რომლებმაც დიდ წარმატებებს მიაღწიეს სხვადასხვა სამეცნიერო დისციპლინებში.

აკადემიის შტაბბინა მდებარეობს მასაჩუსეტსის შტატში, ქ. კემბრიჯში. გეოგრაფიული მრავალფეროვნების წყალობით აკადემიამ გახსნა რეგიონული ცენტრები ჩიკაგოს უნივერსიტეტსა და კალიფორნიის უნივერსიტეტის ფილიალში, ირვაინში. აკადემია აქტიურად მოღვაწეობს საზრვარგარეთსა და აშშ-ში.

საერთაშორისო უსაფრთხოების კვლევის კომიტეტი

1982 წელს დაარსებული აკადემიის საერთაშორისო უსაფრთხოების პრობლემების კომიტეტი გეგმავს და, როგორც სპონსორი, მხარს უჭერს არსებული და ახლად გაჩენილი გლობალური მშვიდობისა და უსაფრთხოების გამოწვევის მრავალპროფილიან შესწავლას. მისი უახლესი და მიმდინარე პროექტები ეძღვნება კოსმოსური სივრცის მართვას, უსაფრთხოების სფეროში საერთაშორისო ურთიერთობებს პოსტსაბჭოთა სივრცეში, ერაყის ომის შედეგებსა და მნიშვნელობას, რაკეტულ იარაღზე ერთობლივ დაკვირვებას, როგორც გლობალური უსაფრთხოების ნაწილს და აშშ-ის ნაციონალური უსაფრთხოებისთვის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს მნიშვნელობას. კომიტეტის შესახებ დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ ჩვენს ვებ-გვერდს ინტერნეტში: http://www.amacad.org/projects/ciss.aspx.

კომიტეტის ბოლო პუბლიკაციებს შორისაა:

United States Spase Policy: Challenjes and Opportunities, by George Abbey and Neal Lane (ჯორჯ ები და ნილ ლეინი. აშშ-ის კოსმოსური პოლიტიკა: გამოწვევა და შესაძლებლობები, 2005).

The Phusics of Spase Security : A Reference Manual, by David Wright, Laura Grego, and Lisbeth Gronlund (დევიდ რაიტი, ლორა გრეგო, ლისბეტ გრონლენდი კოსმიური უსაფრთხოების ფიზიკური ასპექტები: საცნობარო ხელმძღვანელობა, 2005).

War With Iraq: Costs, Consequences, and alternatives, by Garl Kaysen, Steven E. Miller, Martin B. Malin, William D. Nordhaus, and John D. Steinbruner (კარლ კეიზენი, სტივენ ე. მილერი, მარტინ ბ. მეილინი, უილიამ დ. ნორდჰაუსი და ჯონ დ. სტეინბრიუნერი ომი ერაყში: ღირებულება, შედეგები და ალტერნატივა, 2002).

The Significance of Joint Missile Surveillance, by John D. Steinbruner (ჯონ დ. სტეინბრიუნერი: სარაკეტო დანადგარებზე ერთობლივი დაკვირვების მნიშვნელობა, 2001).

The United States and the international Criminal Count, edited by Sarah Sewall and Carl Kaysen (აშშ და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლო. სარა სიუელისა და კარლ კეიზენის რედაქციით, 2000).

წიგნის შესაკვეთად და სხვა ინფორმაციისთვის გთხოვთ მიმართოთ ჰუმანიტარული და ზუსტი მეცნიერებების ამერიკული აკადემიის კომიტეტს მისამართზე:

136 Irving Street
Cambridge, MA 02138.
Tel.: 617-576-5024
ელ. ფოსტა: ciss@amacad.org
ვებ-გვერდი ინტერნეტში: www.amacard.org